ემილ ჟებარი

მისტიური იტალია

ფრანგულიდან თარგმნა და კომენტარები დაურთო
ბაჩანა ბრეგვაძემ

გამომცემლობა „ნეკერი“
2003

გამომცემლობა „ნეკერი“ მკითხველს სთავაზობს ცნობილი ფრანგი მწერლისა და მეცნიერის, შუა საუკუნეებისა და რენესანსის ეპოქის იტალიური სინამდვილის მკვლევრის, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის წევრის ემილ ჟებარის (1839-1908) წიგნს „მისტიური იტალია“ (გამოქვეყნდა 1890 წელს). ჟებარის სხვა შრომებიდან აღსანიშნავია „იტალიის შესახებ“ (1876), „იტალიური რენესანსის დასაბამი“ (1879), „იტალიური რელიგიური გრძნობის ისტორია XIII საუკუნიდან ტრიდენტის საეკლესიო კრებამდე“ (1884), „ტიარის ირგვლივ“ (1894), „მონაზვნები და პაპები“ (1896), „ზარების ხმაზე“ (1899), „ფლორენციელი ნოველისტები“ (1901), „რენესანსის ეპოქის პაპი. – იულიუს II“ (1904) და სხვ.

საგამომცემლო ჯგუფი:

გ. ბაგრატიონი
ნ. კალანდაძე
ი. მარგველაშვილი
ნ. ქვაჩახია
ნ. ჩავლეიშვილი
ნ. ჩიტაია
დ. ჯაბუა

© გამომცემლობა „ნეკერი“, 2003

ISBN 99928-58-61-3

სარჩევი

წინათქმა 4

თავი I
იტალიის რელიგიური და სულიერი
მდგომარეობა ჯოაკინო დელ ფიორემდე.
არნოლდ ბრეშიელი..... 10

თავი II
ჯოაკინო დელ ფიორე 52

თავი III
წმიდა ფრანჩესკო ასიზელი და
ფრანცისკანული ქადაგება..... 80

თავი IV
იმპერატორი ფრიდრიხ II და სამხრეთ
იტალიის რაციონალისტური სული..... 127

თავი V
ფრანცისკანული მისტიციზმის განვითარება.
მარადიული სახარება.
იოანე პარმელი. ფრა სალიმბენე 165

თავი VI
წმიდა ტახტი და სპირიტუალები.
პოეზია და ხალხური ხელოვნება 209

თავი VII
დანტეს მისტიციზმი, ეთიკა და რელიგია..... 254

კომენტარები..... 288

წინათქმა

ჩვენ ვიწყებთ შუასაუკუნეობრივი იტალიის რელიგიური ისტორიის შესწავლას. იმ ხანად სწორედ რელიგია იყო იტალიური გენიის ყველაზე სრულყოფილი ქმნილება. პოეზია, ხელოვნება და პოლიტიკა, XIII საუკუნიდან მოყოლებული, დასავლური ცივილიზაციის მთავარ კერად რომ აქციეს იტალია, გამუდმებით იღებდნენ რელიგიური გრძნობისგან მძლავრსა და კეთილშობილურ შთაგონებას. აი, რა განაპირობებდა იტალიის რელიგიური მსოფლგანცდის სპეციფიკურ ბუნებას: უფლის სასუფევლისა და მისკენ მიმავალი გზის თავისებური გაგება; სულის განსაცვიფრებელი თავისუფლება, რასაც ავლენდა იტალია დოგმებისა თუ სარწმუნოებრივი დისციპლინის მიმართ; სრული სიმშვიდე და აუმღვრევლობა, რასაც ის იჩენდა სიკვდილ-სიცოცხლის დიადი მისტერიის წინაშე; ხელოვნება, რომლითაც ის ერთმანეთს უხამებდა რწმენასა და რაციონალიზმს; უგერგილობა ფორმალური მწვალებლობის სფეროში და, იმავდროულად, მისი მისტიური წარმოსახვის უკიდურესი სითამამე; სიყვარულის უებრო უნარი, ქრისტიანული იდეალის ცადაზიდულ მწვერვალამდე რომ აამაღლა იგი; ძრწოლა, რასაც დროდადრო განიცდიდა რომის ეკლესიის შემყურე, და უფლება, რომელიც თვითონვე მიითვისა, რათა დაუნდობლად ემხილებინა მისი ყოველი სისუსტე, სისასტიკე თუ ძალმომრეობა და, ამრიგად, მოედრიკა მისი პატივმოყვარეობა. ასეთი იყო რელიგია იტალიისა, პეტრე დამიანეს[1], არნოლდ ბრეშიელის, ჯოაკინო დელ ფიორეს, წმიდა ფრანჩესკოს, ჯოვანი პარმელის, ფრა სალიმბენეს, წმიდა ეკატერინეს[2],

სავონაროლასა[3] და კონტარინის[4] რელიგია. ამავე რელიგიის აღმსარებელნი იყვნენ დანტე და პეტრარკა, ჯოტო, ფრა ანჯელიკო[5] და რაფაელი, ოლიმპია მორატა[6], ვიტორია კოლონა[7] და მიქელანჯელო. იმ ორი თარიღიდან, რომლებიც აღნიშნავენ ამ ქრისტიანობის დასაბამს და დასასრულს, პირველი ძალზე ბუნდოვანია დოკუმენტების სიმწირისა და იმდროინდელი სიტლანქის გამო, თუმცა გრიგოლ დიდის[8] გულში მას უკვე გაედგა ფესვი და გრიგოლ VII[9] მისი გულმხურვალე მიმდევარი იქნებოდა, ეკლესიისა და წმიდა ტახტის ძირგამომთხრელი ინტერესებისა და ფეოდალური ქიშპობის საბედისწერო მძვინვარებას თავის მორევში რომ არ ჩაეთრია და თავისუფლების დასაცავად არ გაეხმო ბრძოლის ველზე, სადაც დაეცა კიდეც, სამართლიანობის მიღწევისა და ამ ქვეყნად მისი დამკვიდრების შესაძლებლობაში დაეჭვებული. ამ იტალიურ ქრისტიანობას XIII საუკუნემდეც ჰყავდა თავისი წინამორბედნი, წინასწარმეტყველნი და მოწამენი, მაგრამ სრულ თვითშეგნებასა თუ განვითარების უკიდურეს ზღვარს მან მხოლოდ ამ ეპოქაში მიაღწია, როცა უმბრიის ხეობებს მოედო წმიდა ასიზელის ხარება. წმიდა ფრანჩესკოდან მოყოლებული, ეს ქრისტიანობა ნათელს ჰფენს ყველა დიად სულს და თავის ადგილს იკავებს იტალიელთა გულის უიდუმალეს სიღრმეში. უკანასკნელი თარიღი კი ყველასთვის კარგად არის ცნობილი. ტრიდენტის საეკლესიო კრებამ[10] დასავლურ ქრისტიანობას თავს მოახვია ღვთისმოსაობის აბსოლუტურად ერთგვაროვანი წესი, მორალური კანონი და რელიგიური მეთოდი, იმავდროულად კი აღადგინა XV ს. საეკლესიო კრებების მიერ შერყეული მღვდელთმთავრობის ძალაუფლება; მან მიანიჭა რომის ეკლესიას ყოველგვარი კონტროლისგან თავისუფალი და შეუზღუდავი დისციპლინარული ავტორიტეტი, რომლის გავლენაც ვრცელდებოდა ეპისკოპოსებზე, მონასტრებზე, თეთრ სამღვდელოებასა და ერისკაცებზედაც. იმ დღეს აღსრულდა სახარების სიტყვა: ერთი მწყემსი და ერთი სამწყსო[11]. და ბოლოს, რომაული

კათოლიციზმი მყარად ორგანიზებული და განმტკიცებული იქნა უზენაესი საეკლესიო პოლიციით – იესოს ორდენითა[12] და ძველი ევროპული რეჟიმის პოლიტიკური სიმპათიებით. ეს იყო დიადი ქმნილება, დიდხანს რომ ხიბლავდა მსოფლიოს თავისი კულტის პომპეზურობით, თავისი მისიონერების გმირობით, თავისი მქადაგებლების სათნოებითა და თავისი სწავლა-განათლების ბრწყინვალებით. მაგრამ ეს გრანდიოზული ნაგებობა ისეთსავე შთაბეჭდილებას ახდენდა, რაც გეუფლებათ რომის წმიდა პეტრეს ტაძრის ხილვისას: გეგმის ულმობელი სისწორე, გუმბათიდან მონაფენი თანაბარი შუქი, მომნუსხველი ორნამენტაცია, გასაქანს რომ არ აძლევს პიროვნული ღვთისმოსაობის გზნებას; ხაზების ამ მკაცრ წესრიგში ადგილი აღარ რჩება თავისუფალ ოცნებას, რომელშიაც ძველად ყოველი მორწმუნე ისე გამოსახავდა ღვთაებრივ სამყაროს, როგორც მოეპრიანებოდა. სად გაქრნენ ის ძველი ეკლესიები, სადაც ისე ლაღად და თავისუფლად შედიოდა ყველა, როგორც მამის სახლში, და სადაც კედლების მოხატულობა ასე მიამიტურად გადმოსცემდა და განმარტავდა ლიტურგიკულ ტექსტებს? იქ, პატარა სამრეკლოების ჩრდილში მიყუჟული ქრისტიანი სასოებით ოცნებობდა სამოთხეზე და მღვდლის გალობას უფრო ნაკლებ უგდებდა ყურს, ვიდრე საკუთარი გულის სიმღერას. აქ კი, ტაძრისა და რიტუალების ბრწყინვალებით დაღლილი სული ამაოდ ცდილობს ლაღად გაშალოს ფრთები, რათა ცის სიწმინდეს შეერთოს: უზარმაზარი სხივოსანი გუმბათი უღობავს გზას, და ის ფრთამოტეხილი ჩიტივით ეცემა ძირს, საკურთხევლის ცივი მარმარილოს ფილებზე.

ტრიდენტის საეკლესიო კრების რეფორმატორულმა ძალისხმევამ, რასაც საფრანგეთში საკმაოდ დიდხანს გასაქანს არ აძლევდა პოლიტიკური ტრადიცია და იანსენიზმი[13], იტალიაში დაუყოვნებლივ გამოიღო ყოვლად უჩვეულო ნაყოფი. მანამდე იტალიელთა რელიგიური გრძნობა სულდგმულობდა სიყვარულით, პირადი რწმენი-

თა და თავისუფლებით; მაგრამ იმ დღიდან მოყოლებული, როცა, აბატ ჯოაკინო დელ ფიორეს ყველა წინასწარმეტყველების მიუხედავად და ჯოვანი პარმელის მოლოდინის საპირისპიროდ, ხელახლა დაბრუნდა მონობის ხანა, რათა ბოლო მოეღო შვილური მორჩილების ეპოქისათვის, და მომძლავრებულმა ნარ-ეკალმა საშველი აღარ დააყენა ველის შროშანთა გაფურჩქვნას, – იტალიური ცნობიერება სრულიად გულგრილი აღმოჩნდა რელიგიის მიმართ და ვერასდიდებით ვერ შესძლო ახალი ქრისტიანობის აღიარება, რათა გულმხურვალედ, მთელი არსებით მისცემოდა მას. იტალიელებმა შეითვისეს მხოლოდ გარეგნული კულტი, ისე, რომ არ უძებნიათ არავითარი სულიერი საზრდო, და მშვიდად მიუხურეს კარი ენთუზიაზმსაც და ფანატიზმსაც. უბირი ხალხის უწინდელი, მგზნებარე რწმენის უკანასკნელი ნაშთი აბსოლუტურად წარმართულ ცრურწმენად იქცა, ყველაზე განათლებულებმა კი წესიერად აღზრდილ და კეთილგონიერ მოქალაქეთა შესაფერის ზერელე ცერემონიალად აღიქვეს რელიგია. ძნელი როდია ამ რელიგიური უნაყოფობის მიზეზთა ახსნა. იტალიამ ვერ შესძლო ესპანეთივით შერწყმოდა ტრიდენტის კრების შემდეგ ჩამოყალიბებულ ეკლესიას; ესპანელთა რელიგიური რწმენისაგან განსხვავებით, ვერ შესძლო მკაცრი და პირქუში კათოლიციზმის ვიწრო ფარგლებში მოექცია მთელი თავისი სულიერი ცხოვრება: ხანგრძლივმა რაციონალისტურმა აღზრდამ, ზოგჯერ თვით სკეპტიციზმშიაც რომ გადადიოდა, თავისუფალ მოაზროვნეებად ჩამოაყალიბა იტალიის მკვიდრნი.

კლასიკურმა კულტურამ, საბოლოოდ რომ არ ჩამქრალა თვით ყველაზე სასტიკი ძნელბედობის ჟამსაც, მუდმივმა ურთიერთობამ ზოგიერთ ძველ მორალისტთან და სინამდვილის ცხადზე უცხადესმა შეგნებამ იხსნა იტალიელები სქოლასტიკის ყველა უკიდურესობისაგან, ხოლო სხვაგვარად მოაზროვნე – ბერძნულ და არაბულ რელიგიებთან სიახლოვემ სარწმუნოებრივი ეგოიზმისაგან დაიფარა ისინი. შემწყნარებლობამ მართლმორწმუნეობის

მაღალი გაგება ჩაუნერგა მათ: „სამი ბეჭდის“ არაკი ბოკაჩომდე დიდი ხნის წინათ იყო ცნობილი. იტალიელები ადრე მიეჩვივნენ სილოგიზმების გარეშე ემსჯელათ სულის, მისი ბედისა და მოვალეობის შესახებ: გავიხსენოთ თუნდაც ბრუნეტო ლატინი, დანტეს „Convito“[14] და პეტრარკას წერილები. იტალიელები პირველნი იყვნენ ქრისტიან ხალხთა შორის, თამამად რომ გაუსწორეს თვალი ბუნებას და მის მეთოდურ შესწავლას მიჰყვეს ხელი. ინტელექტუალური განვითარების საქმეში გადამწყვეტი როლი შეასრულა ფრიდრიხ II-ის[15] მეფობამ, მისი ტრუბადურებისა და ექიმების, მისი იმამებისა და ალქიმიკოსების მოღვაწეობამ. მაგრამ თავისუფალი აზროვნებისა და რაციონალური დაეჭვების პირველი ცდები კიდევ უფრო შორეულ დროს მიეკეთვნება. Carmina Burana-ს[16] მოხეტიალე კლერიკოსებიც და ეგრეთწოდებული ერეტიკოსებიც, რომელთა გახსენებაც ასე აშფოთებდა ვილანის, XII საუკუნეს მიეკუთვნებიან. გვახსოვდეს ისიც, რომ იტალიელთა რელიგიასა და მათ თავისუფალ აზროვნებას შორის არასოდეს უჩენია თავი სერიოზულ უთანხმოებას. XIII საუკუნეს შესაძლებლად მიაჩნდა ერთმანეთისათვის დაეახლოვებინა ფრიდრიხ II და ფრანჩესკო ასიზელი. ყველა იმ შემთხვევაში, როცა მხოლოდ გონება აცოცხლებს სულს და ნაკლები ყურადღება ექცევა „ასოს“, მორწმუნე ყოველთვის იმნაირ მნიშვნელობას ანიჭებს ზებუნებრივს, როგორც თვითონ ნებავს. იტალიელს სწამს, რომ ღმერთი არც ისე მკაცრი მევალეა, და რომ ის უხვად მიაგებს კაცს თავის წყალობას. მაგრამ იქ, სადაც „ასომ“ საბოლოოდ ჩაკლა ის, რასაც XVI საუკუნეში „ღრმა რწმენა“ ერქვა, ქრისტიანს ისღა დარჩენოდა, რომ ორში ერთი ერჩია: ან სრული განდგომა გონებისაგან, ანდა ცბიერი პირმოთნის ფარული ურწმუნოება; ან მთელი არსებით ზებუნებრივ სამყაროში დანთქმული მდაბიორის ავადმყოფური ღვთისმოსაობა, ანდა წარჩინებულთა თავაზიანი რწმენა, თავიანთი კეთილი სახელისა და კეთილდღეობის სამსახურში რომ აყენებდნენ ამ ზებუნებრივ სამყაროს. იტალიამ რაციონალ-

ისტური კულტურის ძალზე გრძელი პერიოდი გამოიარა, ასე რომ, აღარ შეეძლო კვლავ დაბრუნებოდა ბავშვობის მიამიტურ რწმენას. რაკიღა რწმენის თავისუფლება წაართვეს, მისთვის ჩვეული თავისუფალი აზროვნების გამო ქვეცნობიერად შეინარჩუნა სკეპტიციზმის ის დოზა, რაც ხელს არ უშლიდა რელიგიური მოვალეობის აღსრულებას და არც იმის ნებას რთავდა, რომ განუსჯელად გადაშვებულიყო მისტიციზმის მორევში. მაგრამ, ამასთანავე, იტალიური ქრისტიანობა, რომელსაც ზურგს აღარ უმაგრებდნენ პოლიტიკური მოსაზრებანი და, მთელი თავისი მისტერიების მიუხედავად, აღარც ბრბოის თვალში ჰქონდა რაიმე აზრი, ნელ-ნელა ქრებოდა და იშრიტებოდა, როგორც ტაძრის სიღრმეში ოდნავ მბჟუტავი სანთელი.

ასე, იტალიის რელიგიის ისტორიაში შეიძლება გამოვყოთ სამი ძირითადი ელემენტი, ან, თუ გნებავთ, დრამის სამი მთავარი მოქმედი პირი: რომის ეკლესია, რელიგიური სინიდისი და რაციონალიზმი, რამდენიმე სხვადასხვა სახით რომ პოულობს თავის გამოხატულებას: ირონიული ურწმუნოება თუ თავისუფალი კვლევა-ძიება, დამოუკიდებელი საერო სული, სეკულარული წინააღმდეგობა თუ მეცნიერული ინდიფერენტიზმი. ამ წიგნში ჩვენ გაგაცნობთ იტალიური რელიგიის ისტორიის ჰეროიკულ პერიოდს: თანმიმდევრულად გიჩვენებთ მწვალებლობისა და განხეთქილების პირველ უმწეო ცდებს, არნოლდ ბრეშიელს, ჯოაკინო დელ ფიორეს, წმიდა ფრანჩესკოს და მის რელიგიურ ქმნილებას, ფრიდრიხ II-ს და სამხრეთ იტალიის ცივილიზაციას, ჯოაკინიზმის რენესანსს ფრანცისკანელთა შორის და წმიდა ტახტის[17] მიერ გადახდილ ბრძოლებს ინოკენტი III-დან ბონიფაციუს VIII-მდე. იმავდროულად გიჩვენებთ იტალიური რელიგიის როლს ხელოვნებისა და პოეზიის განახლების საქმეში, და იმ ნათელსაც, XII-XIII სს. დიდ ქრისტიანთაგან რომ ეფინებოდა ნიკოლა და ჯოვანი პიზელების, ჯოტოს, ჯაკოპონე დი ტოდისა და თვით დანტეს აკვანს.

თავი I

იტალიის რელიგიური და სულიერი მდგომარეობა ჯოაკინო დელ ფიორემდე. არნოლდ ბრეშიელი

I

სახარების სიტყვები: „ჩემი სამეფო არ არის ამქვეყნიური"[1], აბსოლუტურად იდეალური რელიგიის ეს აღთქმა, შეუძლებელია განხორციელებულიყო ბარბაროსული დროების კატასტროფულ ვითარებაში. ცხოვრება იმდენად მძიმე იყო, რომ ეკლესია იძულებული შეიქმნა ამქვეყნიური საქმისათვის მიეყო ხელი. კაროლინგების[2] ეპოქამდე ის იყო ერთადერთი ორგანიზებული საზოგადოება და სახელმწიფოებრივ ტრადიციათა უკანასკნელი მტვირთველი. ამიტომაც გაულო თავისი მშვიდობიანი თავშესაფრის კარი არა მარტო საუკუნო ხსნის სურვილით შეპყრობილ მორწმუნეებს, არამედ ომის სისასტიკით დაშინებულ მთელ ხალხებსაც. და რაც უფრო საზარელი იყო მთელი ცივილიზაციის ნგრევა, მით უფრო აუცილებელი და მნიშვნელოვანი ჩანდა ამქვეყნიურ სინამდვილეში ეკლესიის მიერ ნაკისრი როლი. იტალიაში და, მეტადრე, რომში, ეპისკოპოსისა და მღვდელთმთავრის მოღვაწეობა მართლაც რომ გულმოწყალების საქმე გახლდათ. ბარბაროსთაგან გარშემორტყმული წმიდა ტახტის ჩრდილქვეშ, ქრისტიანობამ სამოქალაქო საზოგადოებას დაუბრუნა ჯერ კიდევ რომის იმპერიის დამხობისას დაკარგული ცხოვრებისეული პრინციპები.

გრიგოლ დიდი ეკლესიის ისტორიის ამ აპოსტოლური პერიოდის ხორცშესხმული ხატება იყო. ის ბარბაროსთა ერთ-ერთი ყველაზე საშინელი შემოსევისას მოევლინა ქვეყნიერებას. ალარიხმა[3] და ატილამ[4] გრიგალივით გადაუქროლეს იტალიას. ოსტგოთებმა საკმაოდ სწრაფად შეითვისეს იტალიური კულტურა, და როცა მათ კვალდაკვალ მოვიდნენ ლანგობარდები[5], ხალხს ეგონა, აღსასრულის დღე დადგაო. ლანგობარდთა გულმხეცობის წინაშე ძრწოლა თვით პავლე დიაკონშიაც[6] კი იგრძნობა, მიუხედავად იმისა, რომ ის მათი თვისტომი იყო. ამ ტლანქმა და გაუთლელმა ნარმართებმა, მწვანედ რომ იღებავდნენ თმებს, მთელს იტალიაში, თვით მესინის სრუტემდე დასცეს კარვები, და მხოლოდ შემთხვევით თუ ინდობდნენ ძველი რომის იმპერიის ცალკეულ ნაშთებს, როგორც, მაგალითად, რავენას, რომელიც უფრო ბიზანტიური ქალაქი იყო, ვიდრე იტალიური, ანდა ნეაპოლს, მალე სარაცინების[7] მოკავშირე რომ გახდა, და ბოლოს, რომს, სადაც ცელიუსის[8] სენაკში შეხიზნული მონაზონი[9] ლათინური ქრისტიანობის უკანასკნელი იმედი იყო. მონტეკასინოელი ბენედიქტელები რომში გაიქცნენ[10]. მთელი იტალია გრიგოლ დიდს მიუბრუნდა, რათა შევედრებოდა, შემენიეო, და მანაც იხსნა იგი. ეს იყო ღრმად განსწავლული კაცი, პატრიციული ოჯახის შვილი, ხორცშესხმული სიწმინდე და თვინიერება; სულიერი კულტურითა და კეთილშობილური ნარმომავლობით თანამედროვეთა თვალში ის ჩანდა გარდასული სამყაროს ცოცხალ მოგონებად, თავისი მკაცრი მონაზვნობით კი – მომავლის აღთქმად. ის, უწინარეს ყოვლისა, მოციქული იყო. სამშვიდობო ხელშეკრულებებს რომ დებდა ბიზანტიელებთან, ფრანკებსა თუ ვესტგოთებთან, იმავდროულად ცდილობდა ქრისტეს სჯულზე მოექცია ანგლო-საქსები და სახარებას უქადაგებდა ლანგობარდებს. და მათაც მუხლი მოიყარეს მისი სამწყემსთმთავრო კვერთხის წინაშე. ყოველ შემთხვევაში, ერთი საფრთხე მაინც თავიდან აცილებულ იქნა: იტალიას, გადამდები სნეულებასავით, უკვე აღარ ემუქრებოდა ნარ-

მართობა თუ არიანობა. მაგრამ ეს არ კმაროდა გრიგოლ დიდის ჭმუნვის გასაქარვებლად. მან ძრწოლით იტვირთა მღვდელთმთავრის მოვალეობა, რადგანაც გრძნობდა, რომ იმდროინდელ ქაოსში დანთქმული ეკლესია მალე ზურგს აქცევდა თავის დასაბამიერ დანიშნულებას. ის მიიცვალა საყოველთაო ურვის დღეს, შეძრწუნებული რომ მოელოდა, ვის მოავლენდა მომავალი მის მემკვიდრედ.

პაპ გრიგოლ დიდის ირგვლივ ჩამოყალიბდა ქრისტიანული რესპუბლიკა. რომში ის სახელმწიფოს მეთაური კი არ იყო, არამედ მთავარეპისკოპოსი. მაგრამ წმიდა ტახტის აპოსტოლური ერა უკვე დასასრულს უახლოვდებოდა. კაროლინგების საბოძვარმა[11] პაპი იტალიელ მთავრად აქცია, ფეოდალურმა რეჟიმმა კი განაპირობა ეპისკოპოსების გრაფებად და ბარონებად ქცევა. ამრიგად, ეკლესია საერო ძალაუფლებას იძენდა, რომელიც აშკარად აღემატებოდა ყველა დანარჩენი მთავრობის ძლიერებას იმ ზეგავლენის წყალობით, ადამიანთა შეგნებაზე რომ ახდენდა, თუმცა, იმავდროულად, დანარჩენებზე უძლურიც იყო, რადგანაც პაპები მემკვიდრეობის წესით არა ცვლიდნენ ერთიმეორეს, ასე რომ, მთელი ეს ძალაუფლება ერთი და იმავე ოჯახის ხელში როდი რჩებოდა. ეს იყო ისტორიის ირონია დედამინაზე ღმერთის ნაცვალთა მიმართ, გარემოებათა დამთრგუნველი ძალის წყალობით რომ აიძულებდა მათ ჩაბმულიყვნენ ქვეყნის პოლიტიკურსა და თვით სამხედრო ცხოვრებაშიც, მაგრამ ნებისმიერი მმართველობისათვის აუცილებელ ცოცხალ ძალებს კი არ იმეტებდა მათთვის: პაპები სისხლისმიერი მემკვიდრეობის წესით როდი ადიოდნენ ტახტზე, მათ არც წინაპრების ავტორიტეტი უმაგრებდა ზურგს, არც ხვალინდელი დღის რწმენა და არც იმის უფლება, რომ ერთპიროვნულად ემართათ მთელი ჰიერარქია, ან ერთხელ და სამუდამოდ დაემკვიდრებინათ თავიანთი სამფლობელოები.

IX-XIII საუკუნეებში ეკლესია თავგამოდებით იბრძოდა თავისი ამქვეყნიური არსებობის აბსურდული პირობების წინააღმდეგ. აუმღვრეველი თეორეტიკოსები, იოანე სა-

ლისბერიელიდან[12] და თომა აქვინელიდან დანტემდე, მარსილიუს პადუელსა[13] და ვილპელმ ოკამამდე[14], მშვიდად რომ მსჯელობენ პაპთან შედარებით იმპერატორის უპირატესობის შესახებ ან ორი ლამპრისა თუ ორი მახვილის თაობაზე, – ძალიან ხშირად ვერ ამჩნევენ პაპების ძალაუფლების იმ განსაცვიფრებელ პირობებს, რომლებიც გაცილებით უფრო ძლიერნი აღმოჩნდნენ, ვიდრე ისეთი წმიდა და გენიალური კაცი, როგორიც იყო გრიგოლ VII. ისინი ვერ მიხვდნენ, რომ ფეოდალურ სინამდვილეში ეკლესიის საერო სიდიადე თვით რელიგიის ხელშეუხებლობის გარანტია იყო. საკუთრივ რომის ფარგლებს გარეთ ეკლესია ხედავდა ქრისტიანული სამყაროს თავზე გადაფოფრილ იმპერიას. იმპერატორი, რომის მეფე თუ პატრიციუსი გამუდმებით აცხადებდა თავის იურიდიულ პრეტენზიებს მარადიული ქალაქის მიმართ. ეკლესიის ნიაღში ბერად აღკვეცილი თუ უმაღლეს საეკლესიო თანამდებობებზე გამწესებული ფეოდალები აიძულებდნენ ეპისკოპოსებსა და აბატებს იმპერატორისა თუ სუზერენების ვასალებად ქცეულიყვნენ და ერთგულება შეეფიცათ მათთვის[15], რაც მთელი იმდროინდელი ევროპის სახელმწიფოებრივი წყობილების საფუძველთა საფუძველი იყო. ამრიგად, ფეოდალური სამართალი იმპერატორს ხელში უგდებდა ეპისკოპატის ნაწილს და, პირიქით, პაპს, ასევე ნაწილობრივ, ხელიდან სტაცებდა მას.

იტალიაში ეკლესია სხვა სახის დაბრკოლებასაც აწყდებოდა: აქ მას ანგარიში უნდა გაეწია ეროვნული დამოუკიდებლობის მომხრეთათვის, რომელნიც აიძულებდნენ ქვეყანას არჩევანი მოეხდინა იმპერიასა და იტალიის სამეფოს აღდგენას შორის[16]; აქ მას საქმე ჰქონდა ლომბარდიისა თუ ტოსკანის ეპისკოპატთან, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანიის ცეზართან ფეოდალური ურთიერთობებით; ისევე, როგორც ბერძნებთან, სქიზმატურად[17] რომ უკავშირდებოდნენ ბიზანტიას, და ნორმანებთან[18], აბუჩად რომ იგდებდნენ წმიდა მამას

და, თუმცა იცავდნენ, იმავდროულად ამცირებდნენ კიდევაც მას.

და ბოლოს, თვით რომში ეკლესია ისე გრძნობდა თავს, როგორც ლომების ხაროში: პაპის მოწინააღმდეგე კარდინალები ყოველი ფეხის ნაბიჯზე ღალატობდნენ, ტუსკულუმელი[19] გრაფები აუქციონზე ყიდიდნენ წმიდა ტახტს, კამპანიელი[20] ბარონები ძარცვავდნენ, პატრიციული ოჯახები მონობის უღელს ადგამდნენ ქედზე, კაპიტოლიუმის[21] სენატი კი სამფლობელოებს ართმევდა მას; ხალხი, რომელიც სდევნიდა და ქვებით ჩაქოლვას უქადდა პაპებს, შეურაცხყოფდა ეკლესიას, რესპუბლიკელი ტრიბუნები კი ემუქრებოდნენ და ცდილობდნენ ფეოდალური უფლებები ჩამოერთმიათ მისთვის. ყოველივე ამას დაუმატეთ სარაცინები, მდინარე ტიბერისს რომ აჰყვნენ აღმა, ცეცხლს მისცეს წმიდა პეტრეს ტაძარი და მთელი პატრიმონიუმი[22] ააოხრეს; გერმანელები, რომლებიც იმპერატორების ყოველი კორონაციისას სისხლის მდინარეებით რწყავდნენ ქალაქის ქუჩებს[23]; ყაჩაღი ფეოდალები, შობის ღამეს სანტა მარია მაჯორეს საკურთხევლიდან რომ მოიტაცეს პაპი გრიგოლ VII, გელასიუს II კი – კონკლავის[24] სხდომიდან; და ბოლოს, ბერ-მონაზვნებად გადაცმული ქურდბაცაცები და არამზადები, ხროვებად რომ დაძრწოდნენ წმ. იოანე ლატერანელის ტაძართან და თავხედურად ძარცვავდნენ სამოციქულო ხაზინას.

მოდით, შებრუნებული რიგით დავუკვირდეთ უბედურებათა ამ წყებას. მდაბიორებიდან (ე.წ. monti), მარცელუსის თეატრსა თუ კოლიზეუმში დაბანაკებული პატრიციებიდან და ლაციუმის[25] ველური ბარონებიდან დაწყებული და თვით იმპერატორით დამთავრებული, მთელ ფეოდალურ საზოგადოებას თხემით ტერფამდე განწონიდა ათასგვარი უბედურება და საშინელება, ასე რომ თრგუნავდა ეკლესიასაც. თუ პაპი თავისი სახლისა და თავისი ბაზილიკების ბატონ-პატრონი არ არის, თუ რომის კომუნა ერთსულოვნად აღიძვრის მის წინააღმდეგ, პატრიმონიუმი ხელიდან ეცლება და ბარონები აღარ სცნობენ მის სუზერ-

ენულ უფლებებს, ის კარგავს თავის ადგილს იტალიელ ფეოდალებს შორის, ქვეყნის პოლიტიკურსა თუ სოციალ-ლურ ცხოვრებაში; ის მხოლოდ დამხობილი ეპისკოპოსია და მეტი არაფერი. საუკუნეში ათჯერ მაინც ის თავს აფარებს წმიდა ანგელოზის კოშკს[26] და იძულებულია მწედ მოუხმოს იმპერატორს. ყოველი საეკლესიო კრიზისის დროს, რაც, ჩვეულებრივ, რომის ამა თუ იმ გზაჯვარედინზე ბრბოის უბრალო ჯანყით იწყება, საბოლოო სიტყვა ყოველთვის დასავლეთის დიდ საერო სუზერენს ეკუთვნის.

მაგრამ აქ საქმე მხოლოდ წარმავალ ინტერესებს როდი ეხებოდა. რა თქმა უნდა, ამა თუ იმ საღვთო იმპერიის მთლიანობისა და კეთილდღეობის წიაღში, ტრაიანეს[27] დროინდელ რომის იმპერიას რომ მოგაგონებდათ, როცა ის მსოფლიოს მბრძანებელი იყო, – არც ეკლესიას და არც პაპს არ მოაკლდებოდა სრული რელიგიური თავისუფლება; მაშინ ისინი შეძლებდნენ ხელი აეღოთ ყოველგვარ პატივმოყვარულ მისწრაფებებზე, გარიდებოდნენ ყოველივე ამქვეყნიურს და მხოლოდ მორწმუნეთა სულების ხსნაზე ეზრუნათ, რაზედაც ოცნებობდა დანტე თავის „Monarchia"-ში. მაგრამ იტალიისა და მთელი ევროპის ფეოდალურ სინამდვილეში და რომის კომუნალური რეჟიმის პირობებში ეკლესიისა და წმიდა ტახტის თუნდაც დროებითი დაცემა გარდუვალად იწვევდა რელიგიის დაცემასაც. ყოველთვის, როცა პაპი უფრო უძლური იყო, ვიდრე კომუნა, ნობილები და პოპოლანები[28], მეამბოხე კარდინალები და იმპერატორები მას უპირისპირებდნენ ანტიპაპს. ერთხელ, ერთსა და იმავე დღეს, ვატიკანში, სანტა მარია მაჯორესა და წმ. იოანე ლატერანელის ტაძარში სამი სხვადასხვა პაპი იჯდა. გრიგოლ VII-ს თავისი ანტიპაპი – კლემენტე III[29] ჰყავდა, რომლის რეზიდენციაც მისი მეტროპოლიის პირდაპირ, ტივოლიში მდებარეობდა; ამ ანტიპაპმა პაპზე უფრო დიდხანს იცოცხლა[30]. XII საუკუნეში ურთიერთმოქიშპე კარდინალთა ორმა მეზობელმა კონკლავმა ერთდროულად აირჩია ორი პაპი – ანალეკტუს II და ინოკენტი II[31], ასე რომ, წმ. ბერნარდი[32] იძულებული იყო პირადად მიეთითებინა

ქრისტიანული სამყაროსათვის, ვინ უნდა მიეჩნია თავის ჭეშმარიტ მღვდელთმთავრად. ხოლო თუ ვერც სახალხო ამბოხება და ვერც ფეოდალური ინტრიგა ვერ ახერხებდა ანტიპაპის ტახტზე აყვანას, მაშინ ამ მისიის მოთავედ იმპერია ან გერმანული ეკლესია გამოდიოდა. სინამდვილეში, სასულიერო ძალაუფლების ყველაზე საშინელი უზურპატორი, რა თქმა უნდა, გერმანიის იმპერატორი იყო. გერმანულ ეკლესიას უპირისპირებდა იტალიურს თუ მის მიერვე მოწვეულ საეკლესიო კრებას – პაპისას; კარლოს დიდივით ენციკლიკებს უგზავნიდა ეპისკოპოსებსა და აბატებს, სამღვდელოებას და მორწმუნე მრევლსაც თუ მისტიური მეოცნების, „ღვთისმსახურთა მსახურის" – ოტონ III-ის ან გაქნილი პოლიტიკოსების – ჰენრიხ III-ისა და ჰენრიხ V-ის[33] მსგავსად ტახტზე აჰყავდა ან ამხობდა პაპებს, – ყველა ამ შემთხვევაში, მირონცხებით ნაკურთხი და გალაღებული გერმანიის იმპერატორი ისე სჯიდა და მოქმედებდა, როგორც ქრისტეს ჭეშმარიტი ნაცვალი და თვითნებურად ითვისებდა სასულიერო ძალაუფლებას, ასე რომ, რელიგიური კრიზისის ჟამს ის იყო არა მარტო რაღაც შუათანა ბიზანტიის იმპერატორს, სქიზმატიკური ეკლესიის მეთაურსა და რომის პაპს შორის, რომელსაც მუდამ თან სდევდა ანტიპაპის ლანდი, – არამედ მართლმორწმუნეთა კანონიერი მბრძანებელიც და მსოფლიო მღვდელთმთავარიც.

II

საიმისიდ განწირულს, რომ გარკვეული ადგილი დაემკვიდრებინა ამქვეყნიურ ჰიერარქიაში და ემბრძანებლა მხოლოდ იმიტომ, რომ არ დაღუპულიყო, ეკლესიას გააფთრებით უნდა ებრძოლა მიწის ყოველი უბადრუკი ნაგლეჯისათვის; ამიტომაც იყო, რომ თავისი საერო მბრძანებლობის სამსახურში ჩააყენა საუკუნეებით განმტკიცებული თავისივე ავტორიტეტი; მას ჰყავდა ურცხვი დიპლომატები და ულმობელი დაქირავებული მოლაშქრენი, და რაც უფრო მკაფიოდ გრძნობდა თავის სის-

უსტეს, მით უფრო ქედმაღლურად ეჭირა თავი; მან ვნებიანად შეიყვარა სიმდიდრე და სავახშო დახლი ნამოჭიმა ცოცხალი ღმერთის საკურთხევლის გვერდით. იმხანად სიმონია[34] მმართველობის არანაკლებ ქმედით საშუალებად იქცა, ვიდრე უფრო გვიან ნეპოტიზმი[35]. ყველაფერი იყიდებოდა სამღვდელთმთავრო ბაზრობაზე: კარდინალთა წითელი ქუდები და მიტრები, ცოდვათა მიტევება, განკვეთის მოხსნა, სუზერენიტეტი, ხმელსა თუ ზღვაზე მბრძანებლობის უფლება, წმიდათა ნანილები, საიმპერატორო გვირგვინი, პაპის ტიარა და თვით სამოთხეში შესასვლელი ბილეთი. სიმდიდრის მოხვეჭის წყურვილი იმდენად მძაფრი იყო, რომ თვით გრიგოლ VII, ოდესღაც ფეხშიშველი და თავშიშველი რომ ჩავიდა რომში, უფრო მეტად შეიპყრო სიხარბემ, ვიდრე ყველა სხვა პაპი: მატილდას[36] საბოძვრის წყალობით, ის ცდილობდა წმიდა ტახტისათვის შემოემტკიცებინა არა მარტო თავისი მწყალობლის დანარჩენი სამფლობელოები პოსა და ლირისს შორის, არამედ ვრცელი საიმპერატორო მამულებიც ტოსკანაში, შემდეგ კი – სპოლეტოში, კამერინოში, მანტუაში, მოდენაში, რეჯოში, ბრეშიასა და პარმაშიც. ალექსანდრე VI[37] გაცილებით უფრო ნაკლებ ამბიციური იყო.

ჩვენ აქ ვეხებით არა მარტო იმას, თუ როგორ მიატოვეს პაპებმა თავიანთი აპოსტოლური როლი, არამედ იმ არსებით ცვლილებასაც, რამაც თავი იჩინა რელიგიურ მოძღვრებაშიც და საეკლესიო დისციპლინაშიც. ზიზღის ღირსად იქცა სიქველე, ქრისტეს მიერ სიწმინდედ რომ იყო შერაცხილი; გლახაკნი, მშვიდობისმყოფელნი და გულით წმინდანი[38] უკვე აღარ არიან ეკლესიის რჩეულნი; სამაგიეროდ ყველაფერს, რაც სძულდა და საგმობად მიაჩნდა ქრისტეს, სიკეთის სახელი დაერქვა: ამიერიდან ანგარება, სისასტიკე უმწეოთა მიმართ, ამქვეყნიური სიამით ტკბობა და სიმდიდრისა თუ ძალაუფლებისაკენ სწრაფვა იკავებს თვითგანდგომისა და გულმოწყალების ადგილს, რაც ნიშნეული იყო პირველი ქრისტიანული თემებისათვის. შუა საუკუნეებიდან მოყოლებული, თითქოს სამუდამოდ

იხურება სახარების წიგნი. ოდინდელი ქრისტიანობა, წმ. პავლესაგან რომ იღებდა დასაბამს და რწმენით გამართლების დოგმაზე იყო დაფუძნებული[39], ან უკვე უაზრო ხდება; საწმიდარში აღარ არის იდეალიზმის ადგილი; ახლა მას სულ სხვა, ვიწრო და შეზღუდული რელიგია – ადამიანურ საქმეთა რელიგია ცვლის. ღმერთსა და მორწმუნეს შორის ეკლესია დგება და მამაზეციერს უფარავს მისკენ მიმართულ მზერას. ფეოდალიზმი რელიგიურ ცხოვრებაშიაც იჭრება. ეკლესიას მორჩილი მსახურნი, მტკიცე ხელი და გულუხვი მეგობრები სჭირდება. მისტიკოსთა მთელი ლეგიონი მის თვალში თხემით ტერფამდე აღჭურვილ ერთ ვასალად თუ კონდოტიერადაც არა ღირს, ხოლო წმიდა პეტრეს საუნჯე მისთვის უფრო ფასეულია, ვიდრე სულის სიწმინდე. ეკლესიისათვის, სასტიკი ბრძოლით რომ იგერიებს რომს, იტალიას და იმპერიას, ქრისტიანების პასიური მორჩილება თავდაცვის ყველაზე საიმედო იარაღია. შიში აიძულებს მათ დაემორჩილონ ეკლესიას, საღვთისმოსავო მოვალეობათა განუხრელად აღსრულების მკაცრი მოთხოვნა კი ქედს ახრევინებთ მის წინაშე. ანათემებითა და განკვეთის მუქარით ის ღვთის რისხვად ატყდება თავს მკრეხელ იმპერატორებს, ურჩ ქალაქებს და სამეფოებს, რათა შეძრას ხალხის სინიდისი და შეარყიოს ქვეშევრდომთა ერთგულება. და ბოლოს, თავისი მუდმივი მისტერიებით, მოწყალებით, ლოცვით, მარხვით, პილიგრიმობით, განკითხვის დღის შიშითა თუ განსაწმენდელში ტანჯვის მუქარით ის ყველგან და ყოველთვის აუცილებელს ხდის მღვდელს ამქვეყნიური არსებობის საშინელებით შეძრწუნებული ბურჟუებისა თუ მდაბიორებისათვის, ღვთაებრივი აღთქმისაგან რომ მოელიან ნუგეშს.

აი, რა საშუალებებით ცდილობს ეკლესია მორჩილებაში იყოლიოს ქრისტიანები, და მთელ ბრბოებად მოუხმობს მათ რომში, მოციქულთა საფლავებზე, ანდა იერუსალიმში, რათა თაყვანი სცენ მაცხოვრის საფლავს. და ამ ეკლესიის მღვდელთმთავარი, სიხარულით გალაღებული, გამარჯვების მთელი სამი დღის განმავლობაში, რომელთა

საზღაურიც გადახდილ იქნა ათი საუკუნის სიმწრით, გოროზად დაჰყურებს თავს მის ფეხთით თოვლში მუხლ-მოყრილ იმპერატორს, ე.ი. თვით ფეოდალურ სამყაროს, შეწყალებას რომ ითხოვს, განკვეთის შიშით შეძრწუ-ნებული[40]. მაგრამ მას აღარ ახსოვს ქრისტეს სიტყვები: Beati misericordes, quoniam ipsi misericordiam consequentur[41].

ამიერიდან რომის ეკლესია იძულებულია სახარების საპირისპიროდ იმოქმედოს და თავისი მორალის უპირატე-სობით გაამართლოს თავისივე პოლიტიკა. მაგრამ იმისათ-ვის, რომ დააშოშმინოს მორწმუნენი და განამტკიცოს საეკლესიო ქრისტიანობა, მღვდლები უთუოდ უბიწონი უნდა იყვნენ, მღვდელთმთავრები კი – უცოდველნი. სი-ნამდვილეში ჩვენ სულ საპირისპირო სურათსა ვხედავთ: მწყემსიცა და მწყემსთმთავარიც არცხვენენ თავიანთ სამ-წყსოს. საკმარისია თვალი გადავავლოთ ათი საეკლესიო კრების დადგენილებებს დაქორწინებულ მედავითნეებთან დაკავშირებით[42] და პეტრე დამიანეს „Liber Gomorrhianus"-ს. IX-XIII ს. პაპიზმის ისტორია კალიგულას მთელ სიშლეგეს, ნერონის მთელ გულმხეცობას და ჰელიოგაბალის მთელ გარყვნილებას მოგვაგონებს[43]. X ს. ტუსკულუმელი გრაფები წმიდა ტახტს კურტიზანებსა და ავაზაკებს უგდე-ბენ ხელში[44]. ჩვიდმეტი წლის იოანე XII ლატერანში ათავსებს თავის ჰარამხანას, დიაკონს კი ხელდასხმით აკურთხებს საჯინიბოში[45]. ბონიფაციუს VII, პაპის ტახტზე ასვლიდან ორმოცდამეორე დღეს რომ დაამხეს, კონსტან-ტინეპოლში გარბის და თან გაიტაცებს საეკლესიო ხაზი-ნას; ოტონ II-ის სიკვდილის შემდეგ ის კვლავ ბრუნდება რომში, შიმშილით ამოხდის სულს წმ. ანგელოზის კოშკის ჭაში ჩაგდებულ იოანე XIV-ს[46], მის ნაცვლად რომ აკურთხეს პაპად, და თვალებს დასთხრის თავის კარდი-ნალებს. ბენედიქტე IX, თორმეტი წლისა რომ დასვეს პაპის ტახტზე, ისე ამაზრზენად იქცევა, რომ საკურთხევლის წინ უპირებენ მოშთობას, მაგრამ გაქცევით შველის თავს, თა-ვის ტიარას ყიდის და ერთ ქალიშვილზე აპირებს დაქორწინებას; შემდეგ ისევ ბრუნდება რომში, სადაც პა-

პის ტახტზე ერთდროულად ორი ანტიპაპი ზის[47], იძულებულია კვლავ გაიქცეს იქიდან და მალულად მოაწამვლინებს გერმანელ ანტიპაპს კლემენტე II-ს; მესამედ იკავებს პაპის ტახტს და ბოლოს ველური მხეცივით სამუდამოდ უჩინარდება ტუსკულუმის უსიერ ტევრში[48].

გამაოგნებელი ტრაგედიები გამუდმებით ცვლიან ერთმანეთს მორწმუნეთა თვალწინ. პაპ ფორმოზუსს საფლავიდან თხრიან, მანტიას წამოასხამენ, მიტრას ახურავენ და მწვალებლობისთვის ასამართლებენ; მერე იმ თითებს აჭრიან, რომლებითაც პირჯვარს სახავდა ხალხს, ცხედარს ქალაქის ქუჩებში დაათრევენ და ტიბერისში აგდებენ; რამდენიმე დღის შემდეგ კი იმავე ცხედარს დიდი ზარზეიმით დაასვენებენ აკლდამაში[49]; გადმოცემით, სამგლოვიარო მსვლელობისას გზის პირას მდგარი წმიდანთა ქანდაკებები მონინებით იდრეკდნენ ქედს სიკვდილის შემდეგ წამებული პაპის წინაშე. ბონიფაციუს VII-ის სისხლიან გვამს ბრბო ფეხის კვრით მიაგორებს ქუჩებში, თვით მარკუს ავრელიუსის ქანდაკებამდე. მთელი ორი საუკუნის მანძილზე იტალიის გზებს თელავენ განდევნილ პაპთა კორტეჟები: ნორმანდიელი რაინდებით გარშემორტყმული გრიგოლ VII[51], ჰენრიხ V-ის ტყვე პასკალ II[52], რომიდან გაქცეული გელასიუს II[53] კარდინალთა მთელი კოლეგიითურთ ორი გალერით თავქვე მიუყვება ტიბერისს, რომლის გასნვრივაც გერმანელი მშვილდოსნები ისრის სროლით მისდევენ დევნილთ. ანაზდეულად ამოვარდნილი გრიგალი გალერებს ზღვაში გასვლის საშუალებას არ აძლევს. მაშინ კარდინალი დ'ალატრი მხარზე შეისვამს პაპს და კუნაპეტ ღამეში უახლოესი ციხე-კოშკისაკენ მიარბენინებს. განთიადისას გელასიუსი ხელახლა ჯდება ნავში და გაეტას მიაშურებს. მერე ფეხით ბრუნდება რომში, გზადაგზა თავშესაფარს სთხოვს ბარონებს და, ბოლოს, უკვე რომში ჩასული, თავისი ერთ-ერთი მეგობრის კარზე აკაკუნებს. მაგრამ გერმანელი ანტიპაპი ფხიზლად ადევნებს თვალს მის ყოველ ნაბიჯს. წმ. პრაქსიდას დღეს, როცა პაპი იმავე წმიდანის სახელობის ტაძარში წირვას ასრულებს, მოუ-

ლოდნელად შემოჭრილი ფრანჯიპანები ქვებსა და ისრებს უშენენ ქოროს. გელასიუსი სალაროს აფარებს თავს, მერე ყელზე ჩამოკიდებული ეპიტრახილით[54] და ჯვრის მტვირთველი მედავითნის თანხლებით ქალაქის ქუჩებში გარბის და გარეუბანში იმალება; საღამო ხანს, წმ. პავლეს ტაძრის მახლობლად მიწაზე ფეხმორთხმული საწყალობლად ტირის, და პაპთან ერთად ტირიან მის ირგვლივ შემოჯარული ქალებიც. O vos omnes, qui transitis per hanc viam, attendite et considerate, si est dolor sicut dolor meus![55]

ეს დემონიური და, იმავდროულად, უკიდურესად უბედური პაპობა, ათასგვარი ბიწით შერყვნილი და დროის სისასტიკით დათრგუნვილი ეს ეკლესია მორწმუნეთა ძრწოლის მიზეზი და მძაფრი სიძულვილის საგანი გახდა. თითო-ოროლა საპროტესტო ხმამ ჩვენამდეც მოაღწია: ქრისტიანობის ათასი წლისთავის მოახლოებისას სორაკტელი[56] მონაზვნის მრავალტანჯული მკერდიდან აღმომხდარმა ყვირილმა და რეიმსის საეკლესიო კრებაზე ორლეანელი ეპისკოპოსის რისხვამ. გლაბერი[57] ასე ამთავრებს თავის ქრონიკას ბენედიქტე IX-ის მღვდელთმთავრობის შესახებ: Horrori est quippe referre turpitudo illius conversationis et vite[58]. XI ს. ფერმოს ეპისკოპოსისადმი მიწერილ წერილში პეტრე დამიანე მოსთქვამდა იმის გამო, რომ ეკლესიას მიწიერი ხმალი უპყრია ხელთ, და სინანულით იგონებდა იმ ნეტარ დროს, როცა წმ. ამბროსი[59] და წმ. გრიგოლი მარტოოდენ თვინიერებით ახრევინებდნენ ქედს ბარბაროსებს და წარმართებს. ხალხის ცნობიერება, ღმერთის ხელს რომ მიაწერდა ყველა ისტორიულ კრიზისს, ისევე, როგორც ბუნების ყველა კატასტროფულ მოვლენას, უსიტყვოდ გმობდა რომის ეკლესიას. თუ ღმერთი დასაშვებად მიიჩნევდა ამნაირ უბედურებას, რას ნიშნავდა ეს, გარდა იმისა, რომ ის სატანას უგდებდა ხელში ქრისტიანობის მღვდელთმთავრებს? და იტალიელთა წარმოსახვა ანტიქრისტეს შემაძრწუნებელმა შიშმა მოიცვა. ერთი ფლორენციელი ეპისკოპოსი – რანიერი საეკლესიო კათედრიდანაც კი აუწყებდა მრევლს, ანტიქრისტე უკვე იშვა და სულ მალე მის მოვლინებასაც უნდა

ველოდეთო. საუკუნეები საუკუნეებს მისდევდნენ და თვით სავონაროლამდე გრძელდებოდა ეს მტანჯველი მოლოდინი, რამაც ხელოვნების ქმნილებებშიაც კი იჩინა თავი. შეძრწუნებული სულები აქეთ-იქით აწყდებოდნენ და ყოველ მხარეს გაშმაგებით დაეძებდნენ ხსნის გზას.

III

ამიტომაც იყო, რომ ყველაზე კეთილშობილმა ხალხმა მონასტრებს მიაშურა. მათ ეგონათ, რომ ამ ქვეყნისაგან განდგომით, სადაც თვით ეკლესიაც კი იღუპებოდა, ქრისტიანობის ერთგულებას მაინც შეინარჩუნებდნენ. უწინ, მთელი იმ შემზარავი უბედურების ეპოქაში, რაც წმ. ბენედიქტეს[60] თვალწინ ხდებოდა, მონაზვნობა ერთგვარ მყუდრო თავშესაფრად ჩანდა. მაგრამ მას მორწმუნეთა ძალზე მცირე ნაწილის შეფარება თუ შეეძლო. მონაზვნობას საფუძვლად ედო რწმენა, რომლის თანახმადაც საერო ცხოვრება სულისათვის დამღუპველია, და ვისაც სურს წმიდათა სიკვდილით აღესრულოს, მხოლოდ მყუდრო სენაკში განმარტოებით თუ შეძლებს ამას. XI საუკუნეში წმ. ბრუნომ[61] სწორედ ამ რწმენით დაარსა კარტეზიული მონასტერი. O beata solitudo! O sola beatitudo![62] მაგრამ ხალხმრავალი ქალაქებიდან მთელი მათი სიშორის მიუხედავად, ტყეების ჩრდილში მიყუჟული თუ მთის თხემზე აღმართული მონასტრები მაინც საკმაოდ ახლოს იყვნენ კაცთა ცოდვილ საცხოვრისთან. იმისათვის, რომ განუხრელად აღესრულებინათ აღთქმა უფლისა და მთელი სავსებით განეცადათ ღვთიური მადლის სიტკბოება, უწინარეს ყოვლისა, უნდა გათავისუფლებულიყვნენ ყოველგვარი სიამაყის, მინიერი სიყვარულისა თუ ამქვეყნიური ცხოვრების მოგონებებისაგან. სრული განდგომა ყოველივე იმისაგან, რაც არ არის იესო ქრისტე, – აი, ყველაზე ხშირი შეგონება, რასაც ჩვენ ვხვდებით უკვე შუა საუკუნეების დამლევს შეთხზულ წიგნში „ქრისტეს მიბაძვა“,[63] რომელმაც თითქოს შეისრუტა სიმარტოვის ამ ტრფიალთა მთელი ჭმუნვა და მწუხარება.

„Claude super te ostium. – მოიხურე შენს უკან კარი შენი და მოუხმე მფარველს შენსას იესო ქრისტეს, განმარტოვდი მასთან ერთად შენსავ სენაკში, რადგან მის გარდა ვერსად ჰპოვებ უფრო სრულსა და ღრმა სიმშვიდეს“.[64] ასე რომ, მონაზონი სამუდამოდ ემშვიდობებოდა ამ ქვეყანას, მეტიც, ეზიზღებოდა, უფრთხოდა და გაურბოდა მას. მონასტრიდან გამოსულს მთელი სხეული უცახცახებდა და გრძნობდა, რომ სატანის საუფლოში შეაბიჯა, სადაც ყოველ ნამს მზაკვრულად დაგებული მახე და საშინელი განსაცდელი ელანდებოდა. ნოვალეზელი მონაზონი, ჩენისის მთაზე,[65] დარწმუნებული იყო, რომ ეშმაკი, უხსენებლისა თუ მასხარას სახით, განუწყვეტლივ დაძრნის გარშემო*. ამიტომაც სასწრაფოდ ბრუნდებოდა თავის სენაკში და სიზმრად ათასნაირ კოშმარს ხედავდა. ბენედიქტელთა განაწესი, სხვა მხრივ საკმაოდ მსუბუქი, თავის მონაზვნებს სასტიკად უკრძალავდა გარე სამყაროსთან ურთიერთობას. ცრუ და მუხთალი საწუთროს შიში ყოველგვარი სიბრძნის საწყისად და დასაბამად იყო მიჩნეული, ასე რომ, სიცილიელმა აბატებმა სასწრაფოდ თარგმნეს ხალხურ ენაზე XI საუკუნეში არნულფ ბოველის მიერ შეთხზული „მონაზონთა სარკე“, თავიანთი მცრედ მცოდნე ძმებისათვის ფრიად სასარგებლო ბრევიარიუმი, სამონასტრო დისციპლინის ეს ჭეშმარიტი სახელმძღვანელო. მონაზონი – ნათქვამია ამ თხზულებაში, – არც პოლიტიკურ მოვლენებზე უნდა მსჯელობდეს, არც ომებზე, არც პარტიებზე, არც განცხრომასა თუ ამქვეყნიური სიამით ტკბობაზე, არც უცხოელებზე და არც თავის ნათესავებზე: არც ღიმილი უნდა დასთამაშებდეს სახეზე და არც თავპირი ჩამოსტიროდეს, არამედ მუდამ მკაცრ სიმშვიდეს ინარჩუნებდეს, როგორც კაცი, რომელსაც ცალი ფეხი სამარეში უდგია უკვე. „დაე, ყოველი მონაზონი – დასძენს ავტორი, – მელქისედეკსა ჰგავდეს, უდედმამოს და უთვისტომოს.[66] ნურავის უნოდებს ამ ქვეყნად ნურც

* Chron. Novalic., ap. Pertz., V. 43-45.

დედას და ნურც მამას; მარტოსულად მიაჩნდეს თავი, ღმერთი კი – მამად. ამინ. იდიდოს იესო ქრისტე. ამინ.“ *

რა თქმა უნდა, მონაზვნობა ბევრს ვერაფერს ეტყოდა და ვერც რას მისცემდა ისეთ ქმედითსა და ენერგიულ ხალხს, როგორიცაა იტალიელი ერი, რომელიც უკვე აპირებდა, კომუნების მეშვეობით, ქედიდან გადაეგდო ფეოდალიზმის, იმპერატორობისა და მღვდელთმთავრობის სამმაგი უღელი. ვერც მდაბიორები და ხელოსნები, ვერც ბურჟუები და წვრილფეხა აზნაურები ვერ იგულებდნენ ფსალმუნებში თავჩარგულ ამ განდეგილებს თავიანთ მოკავშირეებად რომის წინააღმდეგ ბრძოლაში, ვერც ნუგეშისმცემლებად გაჭირვების ჟამს და ვერც სიკეთის მაუწყებელ მაცნეებად, ღვთის სიტყვა რომ უნდა ექადაგათ მათთვის. მონაზვნებს კიდევაც რომ ეპოვათ ღმერთი, სულერთია, მაინც ვერ შესძლებდნენ, ან ვერ გაბედავდნენ მის წინაშე მიეყვანათ ხალხი და დახმარების ხელი გაეწოდებინათ თავიანთი საერო ძმებისათვის. ისინი ძალზე შორს იდგნენ კაცობრიობის დანარჩენი ნაწილისაგან. მათი ღამეული გალობა მათივე რომანული ეკლესიების თაღებქვეშ გუგუნებდა, მაგრამ ვერ აღწევდა ცოცხალი ხალხის ყურამდე.

ეგეც არ იყოს, ცხოვრება ყოველდღე მოწმობდა, რომ პირველი ბენედიკტური მონაზვნობის იდეალისტური კონცეფცია სრულიად უცხო იყო მისთვის. ისევე, როგორც თეთრ სამღვდელოებას, სინამდვილე მონაზვნებსაც აიძულებდა ჩაბმულიყვნენ ფეოდალურ ურთიერთობაში: აბატები, ეპისკოსებივით, გრაფები ხდებოდნენ. გარდა ამისა, იტალიაში უფრო მეტად, ვიდრე ევროპის რომელიმე სხვა ქვეყანაში, სააბატოებს ძალით ითრევდნენ საომარ მოქმედებათა ჯოჯოხეთურ ორომტრიალში. მათ, ერთიმეორის მიყოლებით, დაუნდობლად არბევდნენ, ძარცვავდნენ და წვავდნენ არა მარტო უნგრელები და არაბები, არამედ ეპისკოპოსებიც, ბარონებიც და იმპერა-

* Di Giovanni, Filol e litterat. siciliana, p. 129.

ტორებიც. სუბიაკო, წმ. ბენედიქტეს სავანე, იძულებული იყო საუკუნეების განმავლობაში დაეცვა თავი ტიეოლის ეპისკოპოსებისა და საბინოელი თუ პრენესტელი გრაფებისაგან. მონტე კასინო და სალერნოს კავა თავდაპირველად ბენედიკტელთა ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდნენ, თავიანთი მაღალი ქარაფებიდან ერთდროულად რომ ადევნებდნენ თვალყურს სარაცინებსაც და რომაელ ბარონებსაც, ნორმანდიელ ავანტურისტებსაც და შვაბიელ მთავრებსაც. 1192 წელს მონტე კასინო ჰენრიხ IV-ს უჭერდა მხარს პაპის წინააღმდეგ, რის გამოც ყველა მონტეკასინოელი მონაზონი რომის ეკლესიისაგან განკვეთილ იქნა. ძალაუფლებამ საკმაოდ სწრაფად გადააგვარა მონაზვნები, სიმდიდრემ კი თვით თეთრ სამღვდელოებაზედაც უფრო მეტად გარყვნა ისინი.კლიუნის[67] რეფორმის დროს, დაღუპვისაგან რომ იხსნა წმ. ბენედიქტეს ორდენი, ფეოდალური იტალიის ერთ-ერთი უმდიდრესი მონასტრის – საბინოს ფარფის მონაზვნებმა მოწამლეს თავიანთი აბატი, გაძარცვეს მონასტერი და თავზეხელაღებული ყაჩაღებივით განცხრომას მისცეს თავი. უფრო გვიან, გრიგოლ VII-ის არაერთგზისი ანათემის მიუხედავად, მათ შეიფარეს და მხარში ამოუდგნენ ჰენრიხ IV-ს. პაპისა და აბატების ძალისხმევამ, ეიძულებინათ მონაზვნები კვლავ დაბრუნებოდნენ ცხოვრების უწინდელი წესის დასაბამიერ სიწმინდეს, გამუდმებულ ლოცვას, შრომას, თავშეკავებას, – არავითარი შედეგი არ გამოიღო, რაშიაც ბრალი მიუძღვის მონაზვნობის ამქვეყნიური არსებობის ისტორიულ პირობებს.

სწორედ მაშინ იყო, რომ ზოგიერთმა წმინდა და სიმშვიდის მოყვარე სულმა უკვე მონასტრებს გარეთ დაიწყო თავშესაფრის ძებნა, რომელიც უფრო შესაფერისი იქნებოდა კონტემპლაციური ცხოვრებისათვის. X-XI საუკუნეებში რავენის პინეტა,[68] აგუბიოს, ვალომბრეზესა თუ კალაბრიის სილას უდაბნოები, გარგანოს მთა და დასავლური ათონი ანაქორეტთა სავანეებად იქცნენ. ისინი იქვე იყვნენ თვით XIII საუკუნის ბოლომდის. უდაბნოს ეს ჭეშ-

მარიტი მამები ფსალმუნთა გალობაში, მარხულობასა და თვითგვემაში ატარებდნენ მთელ დღეებს, რამაც ზოგიერთ მათგანს, როგორც მაგალითად, რომუალდს, კამალდულთა ორდენის დამაარსებელს,[69] და წმ. ნილს, კალაბრიის ბერძენ იღუმენსა და გროტა ფერატას პირველ აბატს (1002 წ.) მთელ მსოფლიოში გაუთქვა სახელი.* ზოგი, მაგალითად, პეტრე დამიანე, დომინიკო სორელი, ბრუნო სენიელი და სხვა, დროდადრო უბრუნდებოდა სეკულარულ ეკლესიას, რათა განეწმინდა და ნრფელი გზით წარემართა იგი. მთელი ქრისტიანული სამყარო თაყვანს სცემდა მათ უჩვეულო სინანულის, ამქვეყნიურ სიამეთა უარყოფისა და ხანგრძლივი ექსტაზის გამო, რომლის განმავლობაშიაც მათთვის ცხადი ხდებოდნენ ღვთაებრივი საიდუმლონი. ფეოდალური სამყაროს მბრძანებლები – პაპი და იმპერატორი – სათანადო პატივს მიაგებდნენ და, იმავდროულად, შიშით ძრწოდნენ მათი სიწმინდისა და წინასწარმეტყველების ნიჭის წინაშე, რომელსაც მათ მიაწერდნენ. მას შემდეგ, რაც წმ. ნილი მოინახულა, იმპერატორი ოტონი ასე ეუბნებოდა თავის ბარონებს: „ეს ადამიანები, ჭეშმარიტად, ზეცის მოქალაქენი არიან; ისინი კარვებში ცხოვრობენ, როგორც სრულიად უცხონი დედამიწაზე". და მართლაც მათთვის სიცოცხლეშივე საერთოდ აღარ არსებობდა საზოგადოებრივი ცხოვრება. მათი სოციალური აქტივობა კიდევ უფრო უმნიშვნელო იყო, ვიდრე მონაზვნებისა. ამიტომ არც ანაქორეტებსა და არც მონაზვნებს არ შეეძლოთ აეღორძინებინათ ქრისტიანობა, ან მცირე ხნით მაინც გარდაექმნათ სასულიერო ცხოვრება.

ყოფილი კლიუნელი მონაზონი გრიგოლ VII თუ მონტეკასინოელი აბატი ვიქტორ III[70] პაპის ტახტზე ასვლის შემდეგ ამაოდ მოითხოვდნენ სამღვდელოებისაგან მონაზვნურ მორჩილებასა და სიმკაცრეს; რელიგიური ცხოვრების განახლების ეს მცდელობა მხოლოდ ერთი პონტიფი-

---

* ix. Fel. Tocco, L'Eresia nel medio Evo, p. 387. Fr. Lenormand, Grande - Grèce, t. I, ch. VI.

კატობის მანძილზე გრძელდებოდა. აპოსტოლური მოღვაწეობის დაკნინება და დაშრეტა დასავლეთის არცერთ ქვეყანაში ისე მკვეთრად არ იგრძნობოდა, როგორც იტალიაში. ჯვაროსნული ლაშქრობისაკენ მოწოდებამ სწორედ იტალიელებს შორის ჰპოვა ყველაზე ნაკლები გამოძახილი. მაშინ როდესაც მთელი ევროპა ფეხზე დგებოდა და იარაღს ისხამდა პაპისა და მონაზვნების მოწოდების პასუხად, ისეთი დიდი საზღვაო ქალაქები, როგორიცაა ვენეცია, გენუა, პიზა და ამალფი, უზარმაზარ საფასურს მოითხოვდნენ თავიანთი ფლოტის ქირად და სრულიადაც არ ადარდებდათ უფლის საფლავის ბედი: აღმოსავლეთში მათ მხოლოდ თავიანთი პოლიტიკისა და ვაჭრობის პრობლემები აინტერესებდათ და თვით ქრისტიანულ სიწმიდეთაც იმის მიხედვით აფასებდნენ, თუ რამდენად სასარგებლონი იყვნენ ისინი მათი პოლიტიკისათვის.* ამრიგად, სწორედ იმ მომენტში, როცა ნახევარკუნძულზე იწყება კომუნალური რევოლუცია, ეკლესიის როლი უკვე ამონურული ჩანს და ქრისტიანობა თავს აღნევს იმ სოციალურ კრიზისს, რომელშიაც ჩართული იყო უმნეოთა და ჩაგრულთა ბედი.

IV

დროის იმ შუალედში, რომელიც ძევს X საუკუნის დამლევს ბრეშიას კომუნის ფორმირებასა და XII საუკუნის დასასრულს ფლორენციის კომუნის საბოლოო ჩამოყალიბებას შორის,[71] ქალაქებმა ერთიმეორის მიყოლებით შემუსრეს თავიანთი გრაფებისა თუ ეპისკოპოსების ციხე-სიმაგრეები სამოქალაქო თავისუფლებათა მოსაპოვებლად და თავიანთ შვილებს კვლავ დაუბრუნეს მათი პატარა სამშობლო, გარს რომ ეკრა მუნიციპალურ კოშკს, ხოლო დიდ იტალიურ ლიგათა დღეებში შესძლეს მათ გულებში გაელვიძებინათ საერთო იტალიური სამშობლოს

---

* ix. Marino Sonudo ap. Muratori, XXII, 479: ვენეციისა და პიზის კონფლიქტი წმ. ნიკოლოზის ნეშტთან დაკავშირებით.

ხსოვნა. მაგრამ თვით ქალაქებმაც კი ვერ მოახერხეს მყარი საფუძველი ჩაეყარათ საზოგადოებრივი მშვიდობისათვის.

იტალიური კომუნა, სინამდვილეში, თავისუფლებისა და თანასწორობის ნაშიერი კი არ იყო, მხოლოდ ჩანდა მათ ნაშიერად. მისი მუდმივი ზედამხედველობა უკიდურესად ზღუდავდა და გასაქანს არ აძლევდა პიროვნებას, რადგანაც რესპუბლიკური ასოციაციის ყოველგვარი თავისუფლების გარანტიად პიროვნული ნების უგულებელყოფა გვევლინება. მოქალაქე ისევე იყო მიჯაჭვული თავის ქალაქს, როგორც კოლონი – მიწის ნაკვეთს; და ის ანონიმური ძალაუფლება, რომელზედაც მთლიანად იყო დამოკიდებული, გაცილებით უფრო მეტად ზღუდავდა მას, ვიდრე ძველი ფეოდალური ხელშეკრულება,რამდენადაც კონტრაქტს, ერთმანეთთან რომ აკავშირებდა ვასალსა და სენიორს, ორმხრივი და პერმანენტული ინტერესები ედო საფუძვლად, მაშინ როდესაც კომუნის სენიორია, არც ვისიმე წინაშე პასუხისმგებელი და არც მყარად დაფუძნებული, მოცემული მომენტის მოთხოვნებისა თუ საჭიროების შესაბამისად, გამუდმებით ცვლიდა საზოგადოებრივ წეს-წყობილებას და მით უფრო აუტანელს ხდიდა ინდივიდის ყოფას, რაც უფრო არამყარი და საბოლოოდ ჩამოუყალიბებელი იყო თავად.

ადამიანი სამუდამოდ ჩაკეტილი რჩებოდა ერთ-ერთი იმ ჯგუფის ვიწრო წრეში, რომელთა ერთობლიობაც ქმნიდა კომუნას. მთელი მისი სიცოცხლე ეკუთვნოდა ამა თუ იმ სოციალურ ფენას, ცეხს, კორპორაციას, მრევლსა თუ უბანს. კონსულები და მრჩევლები არა მარტო ზომით მიუწყავდნენ პიროვნული თავისუფლების გარკვეულ წილს, არამედ დეკრეტებითაც არეგულირებდნენ მისი პირადი ცხოვრების ბევრ ცალკეულ აქტს: რამდენი ლეღვისა თუ ნუშის ხის დარგვა შეეძლო თავის ნაკვეთზე, რამდენ მღვდელს უნდა გაეცილებინა მისი კუბო და რამდენი სანთლის ანთება შეიძლებოდა მისი სულის მოსახსენიებლად; მას უფლება არ ჰქონდა შესულიყო უცხოელთათვის განკუთვნილ ტავერნებში, საჩუქრები მიეძღვნა ახლად

დაქორწინებულთათვის და უფრო ძვირფასი ტანსაცმელი ან სამკაულები ეტარებინა, ვიდრე რეგლამენტით იყო ნებადართული; დალაქს ეკრძალებოდა დადგენილზე უფრო მეტი საფასური აეღო კლიენტისაგან; თოკის მგრეხელს – წვიმიან დღეებში მუშაობა; მეთევზეს – თევზის გაყიდვა ქალაქგარეთ; მონადირეს მხოლოდ ბადით შეეძლო დაეჭირა მწყერები; მიწის მუშაკს კი კომუნისათვის უნდა ჩაებარებინა მოსავლის მთელი ნამეტი. ეტყობა, მხოლოდ მზე და ჰაერი არ ექვემდებარებოდა ინდივიდუალურ უფლებათა ამ რეგლამენტაციას. მარტოოდენ ნებაყოფლობით გადასახლებასა თუ იძულებით განდევნას შეეძლო დაებრუნებინა იტალიელისათვის თავისუფლების აჩრდილი. ბედკრული განდევნილი (fuoruscito), რომელსაც მეზობელი კომუნები ისე იღებდნენ, როგორც მანანნალას ან საეჭვო პიროვნებას, და რომელსაც სხვა გზა აღარ ჰქონდა, გარდა იმისა, რომ მოჯამაგირედ დასდგომოდა ამა თუ იმ ბარონს – შარაგზებზე მოთარეშე ყაჩაღსა და ყოველგვარი კომუნის მტერს, – მხოლოდ სამოქალაქო ომების უჩვეულო პერიპეტიების ან შემთხვევითობის წყალობით თუ შესძლებდა დაბრუნებოდა მშობლიურ კერას.

XII საუკუნის დასასრულამდე იტალიური კომუნა მთლიანად გამსჭვალული იყო არისტოკრატიზმის სულით; უფრო გვიან ის თითქმის ყველგან აიმღვრა დემოკრატიის მბრძანებლური პრეტენზიებით და შეძრწუნებულმა საკუთარი თვალით იხილა, როგორ მოიცვა მისმა შეუზღუდავმა და თვითნებურმა ძალაუფლებამ ყველა კომუნალური დაწესებულება ქუჩებში თუ მოედნებზე მოფუთფუთე ბრბოის ხელში, უკვე ხმას რომ იმაღლებდა და დემაგოგიურ parlamento-ს ქმნიდა რატუშის ზარების საგანგაშო ნაბათის ხმაზე. მაგრამ ეს იყო უკვე XIII საუკუნეში, როცა კომუნები, მათი ფუძემდებლური პრინციპის რღვევის შედეგად, ტირანიისაკენ გადაიხარნენ. იმ დროს კი, რომელიც ამჟამად გვაინტერესებს, ე.ი. მუნიციპალური რეჟიმის ჩასახვის მომენტში, ეს ძირითადი პრინციპი მთელი თავისი ძალმოსილებით მოქმედებდა. იტალიის

შუასაუკუნეობრივი ყოფა ჯერ კიდევ მთლიანად მოცული იყო საზოგადოებრივი ჰიერარქიის იდეით, რაც ხელს უშლიდა იმაში, რომ ერთი ნახტომით მოეტოვებინა უკან ფეოდალური რეჟიმი და საყოველთაო თანასწორობის საწყისებზე გადასულიყო. კომუნები ყალიბდებოდნენ წვრილ აზნაურთა სასარგებლოდ, რომლებიც ამ ახალ ვითარებაში თვით კაპიტნებსა და უწინდელი გრაფების ვიკარებსაც[72] კი ემორჩილებოდნენ. ბურჟუაზიაც მხოლოდ საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ ჰქმნიდა იტალიის სამოქალაქო საზოგადოებას. ფლორენციაში მან ისიც კი შესძლო, რომ დაემკვიდრებინა მაღალ და დაბალ ხელობათა ჰიერარქია, ე.ი. ჩამოეყალიბებინა pòpolo grasso და pòpolo minuto.[73] უკვე ყველა ქალაქში იგრძნობოდა მეტნაკლები სიმკვეთრით გამოხატული სოციალური კიბის არსებობა, რომლის საფეხურებსაც მრეწველობისა და ვაჭრობის ამა თუ იმ დარგის მნიშვნელობა, ე.ი. ფაქტიურად, სიმდიდრე განსაზღვრავდა. ყველაზე მაღალ საფეხურზე იდგნენ ნოტარიუსები, ზარაფები, ექიმები, მსაჯულები, აბრეშუმის, ხავერდის, მაუდის საქსოვი სახელოსნოების მფლობელნი; დაბლა – ხელოსნები, ფეიქრები და ყასბები; კიდევ უფრო ქვემოთ – pòpolo minuto, რომელსაც საკუთარი კორპორაციებიც კი არ გააჩნდა და მაღალი თუ დაბალი რანგის ხელოსანთა ამა თუ იმ ამქარზე იყო მიწერილი; მათ მოსდევდა „ჩომპების" (Ciompi) ფეხშიშველა შავი ბრბო; „პოპოლანები", რომლებსაც, დინო კომპანის[74] სიტყვით, ყოველი ფეხის ნაბიჯზე შეურაცხყოფდნენ და წარამარა „თავში უტყაპუნებდნენ წარჩინებული და ქედმაღალი მოქალაქენი"; მილანში აზნაურს შეეძლო დაუსჯელად მოეკლა მდაბიორი: სულ რამდენიმე ეკიუს თუ გადაახდევინებდნენ ჯარიმის სახით.*

როგორც ჩანს, ასე მოზუზუნე და მოფუსფუსე იტალიური სკა სულაც არ იყო თანაბრად სანუკვარი ყველა ფუტკრისთვის, და როცა ბონიფაციუსს VIII[75]-ის მღვდელ-

---

* Gabriele Rosa, Feudi e comuni

თმთავრობისას გველფებისა და გიბელინების ურთიერთმოქიშპე პარტიებმა[76], საომარი მიზნებისათვის რომ იყენებდნენ ოჯახების შუღლს, უბნების მტრობასა და უპოვართა მძაფრ სიძულვილს ბურჟუების მიმართ, – ცეცხლი შეუნთეს და აამტუტეს მთელი ცენტრალური იტალია, პოეტებმა და ისტორიკოსებმა თავიანთი ქვეყნის სოციალურ წყობილებაში ყოველგვარი ძალისხმევის გარეშე აღმოაჩინეს ორი ურთიერთშეუთავსებელი რამ: დიდებულთა გულქვაობა და უპოვართა შური. „შენს ქალაქში – ეუბნება ერთი ტანჯული სული დანტეს, – ისე ბობოქრობს შური, რომ მალე ყველაფერს წალეკავსო". „უმწეოებს – წერს კომპანი, – მეტისმეტად ავიწროებდნენ ძლიერნი". ამასვე იტყვის ვილანიც[77] იმ ხანძრების თაობაზე, XII საუკუნეში ლამის უდაბნოდ რომ აქციეს ფლორენცია: „ჩვენი მდიდრები საკუთარ ქონში იხრჩობოდნენ, ფუფუნებით გალაღებულნი".

ფლორენცია პირველი იყო იტალიის ქალაქებს შორის, სადაც ნამდვილი კლასობრივი ბრძოლა გაჩაღდა, რადგანაც ის ყოველთვის წინ უსწრებდა დანარჩენებს არა მარტო თავისი ცივილიზაციის განვითარებით, არამედ თავისი რევოლუციური ლოგიკისადმი ერთგულებითაც. რაც შეეხება სხვა კომუნებს, მათი არსებობის პირველ საუკუნეებში, დანტეს სიტყვებით რომ ვთქვათ, „საქმე სისხლის ღვრამდეც რომ მისულიყო", ამის მიზეზი მარტოოდენ სოციალური დაპირისპირებულობა როდი იყო. თავადაზნაურობისა და მსხვილი ბურჟუაზიის უკმაყოფილებას, რომელთა პირად თავისუფლებასაც ზღუდავდა მუნიციპალური რეჟიმი, ისევე, როგორც „პოპოლანების" რისხვას, რომლებისთვისაც მიუწვდომელნი შეიქნენ პრივილეგირებული კლასები, – უპირატესად რელიგიური უკმარისობის გრძნობა განაპირობებდა. საღმრთო საქმეთათვის ბრძოლა იმხანად ძალზე ბევრს ნიშნავდა; ხალხი სწორედ ღმერთისაგან მოელოდა შემწეობას იმ ბოროტებისაგან თავდასაღწევად, ასე რომ თრგუნავდა მის სულს, და ამქვეყნიური არსებობის სიმწრისა და სიდუხჭირისაგან გა-

წამებული უფრო სრულყოფილ რელიგიაში ეძებდა ნუგეშს. და რაკი სოციალური განახლების ამ ეპოქაში ეკლესია უწინდებურად რჩებოდა უწმინდესი და უზენაესი ძალაუფლების სიმბოლოდ, ცვლილებას რომ არ განიცდიდა თვით ფეოდალური სენიორების დამხობისა და კომუნების აღზევების რთულსა და მშფოთვარე პროცესშიც, – მორწმუნენი ჯერ კიდევ დიდხანს სახავდნენ მას თავიანთ ერთადერთ სასოებად და იტალია მთელი საუკუნენახევრის განმავლობაში უფრო თავისუფალი რწმენისა და უფრო სათუთი გულმოწყალების წიაღში ეძებდა იმ თანალმობასა და თავისუფლებას, რასაც მისთვის არ იმეტებდნენ მისივე პოლიტიკური ინსტიტუტები.

V

ამ სულიერი მღელვარების ჟამს, იტალია, რომელსაც არ გააჩნდა არავითარი დოქტრინალური მეთოდი, თავისი რელიგიური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად ცდილობდა შეექმნა რაღაც ახალი, მაგრამ ამ მცდელობას სასურველი შედეგი არ მოჰყოლია მისთვის. რა თქმა უნდა, გულგრილობამ და უარყოფამ მალე შეიძინეს ადეპტები, განსაკუთრებით ლომბარდიასა და ფლორენციაში. იტალიურ მწვალებლობაში, 1115-117 წლებს შორის რომ აქცევს ვილანი, არსებობდა ერთი „ეპიკურული სექტა", ანუ, ბენვენუტო დ'იმოლას განმარტებით, იმ ადამიანთა ჯგუფი, „სულსაც რომ აკვდინებდნენ ხორცთან ერთად".* მეორეს მხრივ, ისიც ცნობილია, რომ სწორედ ლომბარდიიდან გამოვიდა ე.წ. Clerici vagantes[78]-თა უმრავლესობა, მხიარული კომპანია, რომლის მემკვიდრეებსაც დღესაც შეხვდებით ევროპის თითქმის ყველა ქვეყანაში. მათი ურწმუნოება ფრიად ორიგინალურია და ირონიის, სენსუალიზმისა და პაგანიზმის რეალური ინსტინქტის ნაზავად გვევლინება. ისინი მასხრად იგდებენ ეკლესიას, პაროდიებს თხზავენ სახარების ტექსტზე და საგალობლებით ადიდებენ ბახუსს:

---

* Comment. ad infern., X.

Introibo ad altare Bacchi. ad deum qui laetificat cor humanis.[79] ისინი უკვე თავისუფლად მოაზროვნე „მწიგნობრები" არიან, სიხარულით რომ აღწევენ თავს სქოლასტიკურ პედანტიზმსა და ქრისტიანულ სიდარბაისლეს. ეს ხალხი აშფოთებდა შუა საუკუნეების მთელ სამყაროს, რომელიც ვერ იტანდა, როცა მის მიერ წმიდად შერაცხილ ფასეულობებს მასხრად იგდებდნენ, თუმცა თავს როდი ევლებოდა მონაზვნებსა და კლერიკალებს. მათ ადანაშაულებდნენ იმაში, რომ „იუვენალისა უფრო სწამდათ, ვიდრე წინასწარმეტყველებისა",

Et pro Marco legunt Flaccum,
Pro Paulo Virgilium.[80]

მაგრამ ეს პირველი ტოსკანელი თუ ლომბარდიელი სკეპტიკოსები ადამიანთა მხოლოდ მცირერიცხოვან ჯგუფს შეადგენდნენ, ჩაკარგულს იტალიურ ქრისტიანობაში. ძნელია ზუსტად განვსაზღვროთ, სადამდის უწევდა მათი რელიგიური ინდეფერენტიზმი, მაგრამ მისი გავრცელება შეუძლებელია სახიფათო ყოფილიყო სარწმუნოებისათვის. ხოლო იმას, რომ უარყოფის სულს სწავლულთა წრიდან შეეღწია ხალხში, მთელი საუკუნე დასჭირდა, რომელიც ჯერ დიდი მწვალებლობის ტრიუმფის მოწმე გახდა, შემდეგ კი – საბოლოო განხეთქილებისა და ფილოსოფიური ცივილიზაციის განვითარებისა. აზრის თავისუფლებას, ამ სიტყვების დღევანდელი გაგებით, მხოლოდ ფრიდრიხ II-ისა და ავეროისტული პროპაგანდის ეპოქამ მისცა დასაბამი.

მორწმუნეთათვის, რომელთაც არასდიდებით არ ეთმობოდათ სამოთხის ნეტარება, განხეთქილება და მწვალებლობა გაცილებით უფრო საშინელი საცთური იყო, ვიდრე უბრალო ურწმუნოება. XI საუკუნის შუა წლებში ლომბარდიაში თავი იჩინა ყოვლად უცნაურმა ერესმა, რომელიც ძველ ისტორიკოსებსა თუ პულჩისნაირ[81] პოეტებს სახელწოდებათა მსგავსების გამო ხშირად კათარებში ერეოდათ. მე ვგულისხმობ „პატარებსა„ თუ „პატარინებს", ანუ Pataria[82]-ს, პირწმინდად ხალხურსა და მონაზვნურ

მცდელობას, რომელსაც აშკარად უჭერდა მხარს რომი ჰილდებრანდის[83] მიერ შთაგონებულ რეფორმატორ პაპთა მღვდელთმთავრობისას. იტალიის ორი მთავარეპისკოპოსის მეტოქეობა, დოქტრინალური პაექრობა რომსა და მილანს შორის, აი, ამ რელიგიური ბრძოლის მიზეზი, რომელიც სამოქალაქო ომში გადაიზარდა. ლომბარდიის ეკლესიას რომის წმიდა ტახტის მიმართ დიდიხანია სქიზმატური პოზიცია ეკავა. ის ინარჩუნებდა ამბროსიული წესის სრულიად თავისებურ ლიტურგიას, letanias exacrandas,[84] როგორც აღნიშნავდა დიაკონი არიალდო.* შარლ მელოტის[85] მეფობიდან მოყოლებული, მილანის არქიეპისკოპოსს მიაჩნდა, რომ სწორედ მას უნდა გადაეწყვიტა იტალიის სამეფო გვირგვინის ბედი; ეს პრივილეგია მხოლოდ ოტონ III[86]-ის კონსტიტუციამ წაართვა მას. Mediolanensi episcopo papatum oblatum est.[87] რაკიღა მდიდარი სამღვდელოებისა და ლომბარდიის ეპისკოპატის მხარდაჭერით სარგებლობდა, მთელ თავის უფლებამოსილებას რომ იღებდა არქიეპისკოპოსის ხელიდან, რომელსაც შეეძლო თავისი ნება-სურვილით მოეწვია ლომბარდიის საეკლესიო კრება, იმპერიის ფარის მოიმედე მილანის არქიეპისკოპოსი არავითარ ყურადღებას არ აქცევდა რომის ანათემებს და ზემო იტალიის ნამდვილი პაპი იყო, ფულსაც ჭრიდა და ლაშქარსაც კრებდა. ის მფარველობდა ფეოდალურ ეპისკოპოსთა მძლავრ ჰიერარქიას, რომელსაც მფარველობდა იმპერია და მთელი ორი საუკუნის განმავლობაში, საერო გრაფთა სავალალოდ და საზიანოდ, საგანგებო პრივილეგიებით აჯილდოებდა მათ. მილანის არისტოკრატიული კომუნა, იმპერიის შიშით, ძალაუნებურად ემორჩილებოდა თავისი მწყემსთმთავრის პოლიტიკურ ბატონობას, მაგრამ, იმავდროულად, აღშფოთებით უმზერდა ათასნაირ სკანდალს, თავს რომ იჩენდა ამბროსიული ეკლესიის[88] წიაღში, უზენაესი სამღვდელოების სიმონიას და ცოლიანი მღვდლების, ე.წ. ნიკოლაიტების[89]

---

* Arnulfi Gesta, III, 17, ap. Pertz

უტიფრობას, რომლებიც საცინლად იგდებდნენ საეკლესიო კრებებს და მოციქულის სიტყვებით პასუხობდნენ რომის დადგენილებებს: Qui no se continet, nubat.[90] ეგეც არ იყოს, უპოვართა ღვარძლს გამუდმებით ამძაფრებდა დაბალი სამღვდელოება, განსაკუთრებით ხშირად რომ განმარტავდა ხალხის წინაშე მთაზე წარმოთქმულ ქადაგებას. „ნუ დაივიწყებთ, – ამბობდა არიალდო, – რომ ძეს კაცისას ქვაც კი არა აქვს სასთუმლად. მაგრამ მან თქვა: „ნეტარ არიან გლახაკნი". ახლა შეხედეთ თქვენს მღვდლებს, მათ სასახლეებს და ციხე-კოშკებს, მათ სასალუქო ტანსაცმელს, მათ ქედმაღლობას, ფუფუნებას და სიზარმაცეს". მილანის ბინძურ ქუჩებში, სადაც, როგორც გეტოში, საწყალობლად მიყუჟულიყვნენ ღატაკ ხელოსანთა დუქნები და რკინეულობათა თუ ძველმანებით მოვაჭრეთა დახლები, პატარინების ამ ბაზარში იზრდებოდა და ძალას იკრებდა ახალი, ეგზალტირებული ქრისტიანობა, პირწმინდად დემოკრატიული თავისი სულისკვეთებით, რომელიც მხოლოდ ზარის ჩამოკვრას ელოდა, რათა გააფთრებით შეეტია პატრიციული და სიმონიური ეკლესიისთვის.

ზარმა პირველად რომში ჩამოკრა, სადაც მომავალი პაპი გრიგოლ VII მონაზვნური სიმკაცრის აღდგენას ცდილობდა. რევოლუციურ მოძრაობას სათავეში ჩაუდგნენ მილანელი კლერიკალები და საერო მაგნატები. ერთი ამ კლერიკალთაგანი, ანსელმუს ლუკელი, 1061 წელს ალექსანდრე II-ის სახელით ავიდა პაპის ტახტზე. იმ დროს, როდესაც პატარინელ მოლაშქრეთა წინამძღოლი ერლემბალდო რომში ნაკურთხ დროშასა შლიდა, წმიდა ტახტის ლეგატები – ჰილდებრანდი, შემდეგ კი პეტრე დამიანე რომში ჩავიდნენ, რათა გაეტეხათ ამბროსიელთა წინააღმდეგობა. იმპერატორის სატელიტი – არქიეპისკოპოსი გვიდო იძულებული შეიქნა რომში ჩასულიყო, რათა თავისი მეტოქის ხელიდან მიეღო საეპისკოპოსო ბეჭედი. მაგრამ ამ სიმბოლური ცერემონიით უკმაყოფილო ბრბო, რომელსაც ამბოხებისაკენ მოუწოდებდნენ მოქადაგენი,

საკუთარი ეკლესიის წინააღმდეგ აღიძრა და თავიანთი საკურთხევლებიდან დაითრია ნიკოლაიტები. ევანგელური რეფორმა, როგორც ჩანს, დემაგოგიად უნდა ქცეულიყო.* მას შემდეგ, რაც პაპის ტახტზე გრიგოლ VII ავიდა, ერლემბალდომ შიშის ზარი დასცა ქალაქს. იმდენად გაკადნიერდა, რომ სამიტროპოლიტო ბაპტისტერიუმში ნათლისცემის აღსრულებაც კი აკრძალა. ბრბომ დაარბია სიმონიაკოსთა სახლები და ცეცხლს მისცა ორი საკათედრო ტაძარი და მრავალი ეკლესია. მაშინ თავადაზნაურობამ იარაღი აისხა და პატარინების წინააღმდეგ გაილაშქრა. ერლემბალდო, გრიგოლ VII-ის დროშით ხელში, თავისი ლაშქრის მეწინავე რიგში დაეცა. მის გვერდით დაიღუპა ჯვრის მტვირთველი მღვდელი ლიპრანდოც. დამარცხებული Pataria ამის შემდეგ საერთოდ გაქრა ლომბარდიიდან.**

ამ პირველმა, პირნმინდად ლოკალურმა რელიგიურმა პროტესტმა თავისუფალი ასპარეზი გაუმზადა კათარების ერესს,[91] რომელიც XI საუკუნეში მთელ ზემო იტალიაში, თვით რომის გალავნამდე გავრცელდა. საკუთრივ მილანის ოლქში ეს სექტა 1035 წელს გამოჩნდა; ის სრულიად უჩინრად იზრდებოდა და ვითარდებოდა პატარინების მიერ შემზადებულ ნიადაგზე. ცნობილია, რომ კათარინულმა მწვალებლობამ სწორედ ლომბარდიიდან შეაღწია ალბიგოურ საფრანგეთში.[92] 1152 წელს მან უკვე მთელი ორვიეტო მოიცვა, 1117-1150 წლებში – ფლორენცია, 1166 წელს – მილანი, 1184 წელს კი – ვერონა. 1194 წელს ფლორენცია უკვე თავშესაფარს სთავაზობდა პრატოელ ერეტიკოსებს. ძველისძველი აზიური მანიქეიზმის ფონზე ყოვლად უცნაურად შეერწყა ერთმანეთს ძველ მწვალებლობათა უმრავლესობა, როგორც მაგალითად, ევქარისტიისა[93] და ტრადიციული ნათლისცემის უარყოფა. კათარების მიხედ-

---

* Muratori, Vitium personarum congeriem, ac deinde seditionem objectorum artificum

** Archiv. Stor. ital., ser. III, t. VI. - Muratori, Antiquit. ital., t. V, Dissert. 60. - Tocco, l'Eresia nel Medio Evo, 207

ვით, მხოლოდ ძველი, სილვესტრისა და კონსტანტინეს პაპობაზე ადრინდელი ეკლესია იყო ორგანიზებული ღმერთის ნებით, და ამიტომ საეკლესიო ჰიერარქიის ყველა ხარისხიდან ისინი ინარჩუნებდნენ მხოლოდ ეპისკოპოსსა და დიაკონს. გარდა ამისა, ისინი აღიარებდნენ მხოლოდ იოანეს სახარებას, ქრისტეს შობასა და ორმოცდაათობის დღესასწაულს[94] და რამდენიმე უკიდურესად სახეცვლილ საიდუმლოს, როგორც მაგალითად, ხელდასხმით ნათლობას. მათთვის დომინანტური იყო მოძღვრება სული წმიდის შესახებ. კათარებს შორის ყველაზე სრულყოფილნი, ჭეშმარიტად განწმენდილნი და თალხი სამოსით მოსილნი, სასიკვდილოდ უნდა გამზადებულიყვნენ უწყვეტი მედიტაციებითა თუ ფანატიკური ქადაგებებით. მათთვის არ არსებობდა არავითარი ამქვეყნიური სიამე, რასაც ისინი უსასტიკეს თვითგვემას, რელიგიური კომუნიზმის მომაკვდინებელ მოწყენილობასა და მუდმივ ჯაშუშობას არჩევდნენ, რის გარეშეც წარმოუდგენელია ფარული საზოგადოება. ისინი ნაადრევად ისწრაფებდნენ სიცოცხლეს ტანჯვა-წამებით, საშინელი მარხვით, სისხლის გამოშვებით და თვით შხამითაც.* თუმცაღა იმ ძმებს, რომლებიც მაინცდამაინც დიდად არ იწუხებდნენ თავს სიწმინდისაკენ სწრაფვით, კათარები გაცილებით უფრო ნაკლებად მკაცრ რეჟიმს უწესებდნენ. მათ შეეძლოთ შეჰგუებოდნენ არსებულ წესწყობილებას და გარკვეული თანამდებობები სჭეროდათ ქალაქის მაგისტრატურებში.

მთელი XII საუკუნის განმავლობაში იტალიელი კათარები ძალზე მრავალრიცხოვანნი იყვნენ, მაგრამ მათ მაინც ვერ შესძლეს ნახევარკუნძულზე მეტ-ნაკლებად მნიშვნელოვანი პროზელიტური მოძრაობა გამოენვიათ. მათი თეორიები ქაოტური იყო; თავიანთი უკიდურესად ასკეტური და პესიმისტური ტენდენციით ისინი აფრთხობდნენ იტალიელებს. ამ სასტიკი და ნაკლებად ტოლ-

---

* Schmidt, Histoire et doctrine de la secte des cathares. - Liber Inquisit. Tholos , p. 33, 174, 204.

ერანტული რელიგიის მიხედვით, ყოველგვარი ცოდვა მომაკვდინებელი იყო; ის გმობდა სიხარულს, სატანის ზემოქმედებით გაუკუღმართებულად მიიჩნევდა ადამიანის ბუნებას, სწყევლიდა ქორწინებას, როგორც ამ ცოდვილ მიწაზე კაცთა მოდგმის არსებობისა და სიცოცხლის გაგრძელების საშუალებას, და თავისი მორალითა და დისციპლინით თავის ყველაზე გულმხურვალე ადეპტებს სასტიკად უკრძალავდა სამოქალაქო თუ საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობას.

XII საუკუნის მეორე ნახევარში იტალიის მბორგავსა და რელიგიური ვითარებით უკმაყოფილო აზრს ახალი ერესი მოევლინა – ვალდელთა მწვალებლური მოძღვრება. ვალდელების, ანუ „ლიონელი მწირების" (ასე იწოდებოდნენ იმიტომ, რომ მათი სექტის დამაარსებელმა პიერ ვალდომ, წმიდა ფრანჩესკო ასიზელის მწვალებელმა წინამორბედმა, ნებაყოფლობით აიღო ხელი მთელ თავის სიმდიდრეზე, რათა ღატაკი ყოფილიყო ღატაკთა შორის) თეოლოგია, თავის მხრივაც, საკმაოდ მწირი იყო. მათ სახარების მარტივ ტექსტზე დაჰყავდათ მთელი ქრისტიანობა და აუქმებდნენ მთელ საეკლესიო ჰიერარქიას. ვალდელები გამუდმებით იმეორებდნენ, უმჯობესია ღმერთს მორჩილებდე, ვიდრე ადამიანებს, და კეთილი ერისკაცის მორჩილება გერჩიოს უკეთური მღვდლის მორჩილებასო; თანაც, პირდაპირ აცხადებდნენ, რომ ერისკაცი არაფრით არ ჩამოუვარდება მღვდელს და უფლება აქვს ასრულებდეს ყველა საიდუმლოს, თვით ლიტურგიულ მსხვერპლშეწირვასაც. ამ გზით, ისინი ხელიდან უსხლტებოდნენ ეკლესიას, თავს აღწევდნენ აღსარებას და კვლავ იბრუნებდნენ ინდივიდუალური რწმენის უფლებას. იტალიელი ვალდელები გაცილებით უფრო რადიკალურად ჩამოშორდნენ რწმენის საეკლესიო სიმბოლოს, ვიდრე მათი ფრანგი თანამოძმენი; სამაგიეროდ აბსოლუტური სიღატაკის აუცილებლობის საკითხში ისინი მათზე უფრო შემწყნარებლები იყვნენ. უპოვართა ამ ძმობას, „დამცრობილებს" რომ უწოდებდნენ თავიანთ თავს და ხალისით

თხოულობდნენ მოწყალებას, ზიზღით უყურებდნენ მოქალაქენი, მაგრამ ისინი აინუნშიაც არ აგდებდნენ ამას და ხან მოედნებზე ქადაგებდნენ, ხან ძალით იჭრებოდნენ ეკლესიებში და ხანაც ტყეებს თუ მთის კალთებს აფარებდნენ თავს. დევნილობის დღეებში ვალდელები სოფლიდან სოფელში გადადიოდნენ თავიანთი თანამოძმეების სანუგეშებლად. ეს ნამდვილი პროტესტები, როგორც 1180 წლით დათარიღებული ერთი დოკუმენტი იხსენიებს მათ, ხან პილიგრიმებად გვევლინებოდნენ, ხან დალაქებად, ხანაც მეჯადაგეებად თუ მონანიე ცოდვილებად მოჰქონდათ თავი. თვით რომაული ინკვიზიცია აღიარებდა, რომ ისინი კვლავ დაუბრუნდნენ ევანგელურ ძმობას. ვალდელები დახმარების ხელს უწვდიდნენ ყველა გაჭირვებულს, საპყარს, ობოლსა თუ ციხის საკანში გამომწყვდეულს; სნეულთა თუ მოგზაურთათვის აარსებდნენ თასშესაფრებს, ხსნიდნენ უფასო სკოლებს, პარიზის უნივერსიტეტში სასწავლებლად აგზავნიდნენ სტუდენტებს და თვით ორთოდოქს კათოლიკეებსაც არ აკლებდნენ მოწყალებას. ამრიგად, ქრისტიანობის ეს დისიდენტები და ეკლესიის მტრები ცდილობდნენ კვლავ აღედგინათ ქრისტიანული თანასწორობა.*

მაგრამ ამ „დამცრობილთა" იდეალიზმი მეტისმეტად მწირი ჩანდა სამხრეთის მკვიდრთა თვალში, მათი მორალი კი - ძალიან მკაცრი; ხოლო მათი ღვთისმსახურება, ეკლესიების, ხატებისა და ბრწყინვალე დღესასწაულების გარეშე უკიდურესად ულიმღამო და უბადრუკი ეჩვენებოდათ იტალიელებს. ვერც ვალდელებმა და ვერც კათარებმა ვერ შესძლეს აეყოლიებინათ მკვირცხლი, კისკასი და დახვეწილი, სილამაზისა და ქმედითი ცხოვრების მოტრფიალე იტალიელები, რომელთა სენსუალური ღვთისმოსაობა იმნაირ ლიტურგიას მოითხოვდა, საამოდ რომ მიელამუნებოდა მათ მზერას, ხოლო სისუსტე – მღვდლის დიდსულოვან მიმტევებლობას. ყველა ეს ერესი, მთლიანად

---

* D'Argentré, Collect. Judicior., ann. 1180.

გამსჭვალული რაციონალიზმის სულით, სრულიად მიუწვდომელს ხდიდა ღმერთს, და თუმცა ეკლესიის კირთებისაგან კი ათავისუფლებდა მორწმუნეებს, მაგრამ ღმერთსა და მათ შორის ვერ ამყარებდა იმ მარტივ, მამაშვილურ ურთიერთობას, რაც არსებობდა მოციქულების დროს. ადამიანს უწინდებურად თრგუნავდა მიწიერი არსებობის სიმძიმილი და შეგნება იმისა, რომ ამ ქვეყნად ყველაფერი ისე ვერ არის, როგორც უნდა იყოს. მაშ, როგორღა ეზრუნა საუკუნო ხსნისათვის უნუგეშო და უმწეო სულს?

სწორედ ეს იყო რელიგიური ცნობიერების ყველაზე მძიმე სნეულება, ცნობიერებისა, ამიერიდან მხოლოდ შიშით და ძრწოლით რომ მიიქცეოდა ღვთის მიმართ. კვლავინდებურად გრძელდებოდა შუა საუკუნეების მთელი უბედურება და დასასრული არ უჩანდა იმ სისასტიკესა და ძალმომრეობას, რაც აიძულებდა მონაზვნებს და განდეგილებს უდაბნოში ეძებნათ თავშესაფარი. კვლავინდებურად მძვინვარებდა ომის ხანძარიც. ცხოვრებისეული ტრაგედიის მუდმივი ჭვრეტით შეშლილი და შეძრწუნებული სული თვით ბუნებაშიც თავის მოსისხლე მტერსა ხედავდა: თავზარდამცემ ციურ მოვლენებსა და მიწიერ უბედურებებს თითქოს პირი შეეკრათ ადამის ძეთა წინააღმდეგ. უფლის მარჯვენა უკვე მეტისმეტად.. მძიმე ჩანდა, გაიცრიცა მაცხოვრის წმიდა ხატება და მის ადგილას დარჩა მხოლოდ საშინელი აპოკალიფსური მსაჯულის სახე. ქრისტეს აღთქმა, ეკლესიის პირველ საუკუნეებში ესოდენ მდიდარი სასოებითა და რწმენით, ახლა შიშისა და ძრწოლის სიმბოლოდ იქცა. იტალია, ამ მხრივ, არანაკლებ იტანჯებოდა, ვიდრე მთელი დანარჩენი ქრისტიანული სამყარო. მისი პირველი მოზაისტების ქმნილებები ისევე გვიმჟღავნებენ მათ რელიგიურ ძრწოლას, როგორც საფრანგეთის რომანული ეკლესიების ჟრუანტელის მომგვრელი სკულპტურები. რა თქმა უნდა, მე აქ სულაც არ ვგულისხმობ XI საუკუნის დასასრულზე უფრო ადრინდელ მოზაიკებს, როგორიც, ვთქვათ, რომის სანტა მარია ნოვიჩელას მოზაიკებია, სადაც ხელოვანის უმწეობა

აშკარად ჩრდილავს მის რელიგიურ გრძნობას. მაგრამ თვით იმ მოზაიკებშიაც, რომლებიც მიეკუთვნებიან ბიზანტიური აღორძინების ეპოქას, რასაც გრიგოლ VII-ის დროს დასაბამი მისცა აბატმა დიდიემ, – ერთპიროვნულად დომინანტობს შიში. სანტ ანჯელო-ინ-ფორმის ეკლესიაში, კაპუის მახლობლად, ცენტრალური პორტალის ზემოთ წარმოდგენილ სურათზე გამოხატული იესო ქრისტე ერთი ხელით პურსა და ღვინოს (თავის სისხლსა და ხორცს) ანვდის მოციქულებს, მეორე ხელის მბრძანებლური ჟესტით კი შეაჩვენებს განკითხვის დღის საბრალო მსხვერპლთ; თვით მთავარი ნავის ფრიზზე გამოსახული ჯვარცმული ღმერთი მრისხანე სახით იხრება ღვთისმშობლისაკენ. ჩაქრა ევანგელური სიყვარულის უკანასკნელი სხივი, და, აი ყველგან – პიზისა თუ მონრეალის ტაძრებში, ისევე, როგორც ფლორენციისა თუ ლატერანის ბაპტისტერიუმებში, აბსიდების ოქროსფერ ფონზე ისახება გოროზი ქრისტე, თავისი ბასრი და მკაცრი მზერით აღმოსავლელ დესპოტს რომ მოგვაგონებს; სასტიკი და მრისხანე ღმერთი, ვის მკერდზედაც ქრიატიანი უკვე ვეღარ ბედავს თავის მიყრდნობას, როგორც საიდუმლო სერობისას ეყრდნობოდა მას იოანე.

VI

ამასობაში კი, პარიზის უნივერსიტეტში წარმოუდგენელი ძალისხმევით ცდილობდნენ არტახებისაგან გაეთავისუფლებინათ ადამიანის აზრი. ტყუილად როდი ესწრაფოდა აბელიარი[95] გონებისა და რწმენის კონკორდანსს, თავისი ბორცვის თხემიდან[96] დიდხანს რომ ასაზრდოებდა ევროპის ახალგაზრდობას თავისუფლების მოძღვრებით. მისი ფილოსოფიის ძირითადი ცნება თავის თავში შეიცავდა სამმაგი გადატრიალების ჩანასახს: მეცნიერებაში, პოლიტიკასა და ქრისტიანობაში. იოანე სკოტუს ერიუგენას[97] საპირისპიროდ რომ ამტკიცებდა, იდეები თვითმყოფი არსნი კი არა, მხოლოდ გონების კონცეფციები არიანო, ის არყევდა მთელ ძველ სამყაროს. თუ ადამიანის

აზრი ყოველგვარი რეალობის წყაროცაა და, იმავდროულად, ზომაც, მაშასადამე, ჭეშმარიტება თვით მასშივეა, და არა ტრადიციებსა თუ მოძღვართა სილოგიზმებში. თვითეულ ჩვენგანს მოეძებნება საიდუმლო შიფრი, რომლის მეშვეობითაც შეიძლება არა მარტო ბუნების კანონების, არამედ ღვთის სიტყვის თარგმნაც. გონება თვითონვეა თავისი თავის ავტორიტეტიც და თავისი საკუთარი სანთელიც. მაშასადამე, მას უფლება აქვს ყველაფერს იკვლევდეს, ყველაფერს მცდელი თვალით აფასებდეს და ყველაფერზე მსჯელობდეს. აბელიარმა თავის კრიტიკას დაუქვემდებარა მთელი ქრისტიანობა. მან ერთმანეთს შეუჯერა და შეუპირისპირა ბუნებითი ფილოსოფია, ებრაული სარწმუნოება და ქრისტიანობა;* თვით ქალებისა და ბავშვებისთვისაც გასაგებად განმარტა წმ. სამების საიდუმლო, მეტიც, შეარბილა თვით საიდუმლოს ცნება და მორწმუნეს შეაძლებინა პირისპირ შეეხედა ღმერთისთვის. „რაც უფრო მეტად ვგრძნობთ და განვიცდით ღმერთს, მით უფრო გვიყვარს იგი, და ჩვენი ცნობიერება ჩვენს სიყვარულთან ერთად იზრდება. Cum profectu intelligentiae caritatis accenditur flamma“**. „ღვთის შვილებსა და ეშმაკის ნაშიერთა შორის – სწერდა აბელიარს ელოიზა, – მთელი განსხვავება მხოლოდ გულმოწყალების მეშვეობით ვლინდება, რომელიც, მოციქულის სიტყვით, სხვა არა არის რა, თუ არა კანონის სისრულე და ზღვარი ყოველი ბრძანებისა“.

აბელიარი მიუბრუნდა წმ. პავლეს ქრისტიანიზმს და უპირატესობა მიანიჭა რწმენას[98] კეთილ საქმეთა წინაშე. „ღვთის სასუფეველი – ამბობდა ელოიზა, – სმა-ჭამისაგან თავის შეკავება კი არაა, არამედ სამართლიანობა, მშვიდობა და სიხარული სული წმიდის მიერ“. თეოლოგიასთან ერთად აბელიარმა განაახლა ქრისტიანული მორალიც. მისთვის სიქველე, ისევე, როგორც ჭეშმარიტება, სულის სიღრმიდან იღებს დასაბამს, ცოდვას კი აზრის უიდუ-

---

* Dial. int. Philos. jud et christ., Éd. Cousin, II, 646.
** Theol. Chris., 456.

მალეს ხვეულებში აქვს ფესვი გადგმული; ამიტომ ბორო-ტების სათავე მოქმედება კი არ არის, არამედ უკეთური ზრახვა. ვინც ჯვარს აცვა იესო ქრისტე, ისე, რომ არ იცოდა, რას სჩადიოდა, არ შეუცოდავს. მაგრამ ვინ შეიც-ნობს ზრახვას, გარდა სულისა, დასაბამს რომ აძლევს მას, და ამიტომ მხოლოდ თვითონ თუ შეუძლია მის არსში წვდომა? რა ფასი აქვს ამიერიდან მსაჯულის, ანუ მღვდლის სენტენციას, ანდა ყველა იმ პირწმინდად გარეგ-ნულ ქმედებას, რომელთა მეშვეობითაც ეკლესია ცდი-ლობს რელიგიური ცნობიერების გამოცოცხლებას? რწმე-ნის ყოველი აქტი, სინაზის ყოველი იმპულსი ქრისტიანს უფრო მეტად აახლოებს ღმერთთან, ვიდრე სინანული და თავშეკავება. კი მაგრამ, აბელიარისთვის რომ გვეკითხა, რაღა დარჩებოდა დასაბამიერი ცოდვიდან მისი მოძ-ღვრების ლოგიკური განვითარების შედეგად? ის, ალბათ, გვიპასუხებდა, რომ ეს ცოდვა კი არ არის, არამედ ტანჯვა. მაშინ რაღაა გამოხსნა? ფუჭი და ამაო მსხვერპლი, წმინდა წყლის ილუზიად რომ აქცევს ქრისტიანობას? გამოხსნა – მოგვიგებდა აბელიარი, – სხვა არა არის რა, თუ არა წმინდა სიყვარულის აქტი.*

VII

ჩაიტანა თუ არა არნოლდ ბრეშიელმა[99] იტალიაში აბე-ლიარის ეს სიტყვა, რომელმაც XII საუკუნის წყვდიადში უცებ იელვა, როგორც ჭეშმარიტად მარადიული სახარების სიტყვამ? ათასობით სტუდენტი, სქოლასტი, კლერიკალი და მონაზონი, გარს რომ შემოსჯარვოდნენ დიდი ბრძენ-მოძღვრის კათედრას, თავიანთ ქალაქებს დაუბრუნდნენ, მისი აზროთ გულსავსენი და ფრთაშესხმულნი. აბელიარის თხზულებები მთელ ნახევარკუნძულზე ხელიდან ხელში გადადიოდა, მათ გატაცებით კითხულობდნენ თვით ეპისკოპოსებიცა და კარდინალებიც. „აბელიარის საჭურ-

* Non fusse necessarium in mundo Christi adventum. - Migne, t. CLXXX, p. 269. Dom Bouquet, t. XIV, p. 370.

ველთმტვირთველად“ მონათლულ არნოლდს, რა თქმა უნდა, შეეძლო თავისი მეგობრის ტრადიციის ერთგული დარჩენილიყო და ისე შესდგომოდა თავის მოციქულებრივ მოღვაწეობას. მისი სკოლა უკვე მზად იყო, მაგრამ მოციქულმა უკან დაიხია ტრიბუნის წინაშე: მთელი არსებით ჩაერთო საზოგადოებრივ მოძრაობაში და თავისი დროის რელიგიური კრიზისი მხოლოდ მიწიერი ეკლესიის რეფორმად აღიქვა თუ სურდა აღექვა. ან, შესაძლოა, ერთსა და იმავე კაცს, ერთსა და იმავე ქალაქსა და საუკუნეს იმდენი ძალა არ ჰქონდა, რომ ერთდროულად აღედგინა როგორც რელიგიური, ისე სოციალური თავისუფლება. ეს დიდი კაცი დიდხანს ენიგმურ პიროვნებად რჩებოდა იმის გამო, რომ შუა საუკუნეებმა მის შესახებ მხოლოდ ორიოდე ბუნდოვანი ან არაობიექტური ცნობა შემოგვინახეს. ზოგიერთი თანამედროვე, როგორც მაგალითად, არაგონელი კარდინალი, მასში მხოლოდ საშიშ ერეტიკოსს ხედავდა, ზოგი კი, მაგალითად, წმ. ბერნარდი[100] – სქიზმატიკოსს. მას ბრალად სდებდნენ იმას, რომ სრულიად თავისებური აზრისა იყო ევქარისტიაზე (რომლის დოგმაც საბოლოო სახით მხოლოდ ბერანჟე ტურელის[101] დროს ჩამოყალიბდა) და უარყოფდა ყრმების ნათლობას, როგორც ჩანს, არ იწონებდა წყალში ჩაყვინთვას ნათლისღებისას. თუმცა ოტონ ფრაიზინგენი[102] ძალზე ბუნდოვნად გადმოგვცემს ამ ბრალდებას: non recte dicitur sensisse.[103] არავითარი გამართლება არ მოეძებნება წმ. ბერნარდის უკმეხობას არნოლდის, „ჯვრის ამ მოსისხლე მტრის“ „მოწამლული“ მოძღვრების მიმართ, „მტრისა“, რომელსაც „მტრედის თავი აქვს და მორიელის კუდი“.

როგორც ჩანს, პირწმინდად ორთოდოქსულ საკითხებთან დაკავშირებით, ამ „მკრეხელს“ – quell'infome, როგორც იხსენიებს მას მურატორი[104], ძალაუნებურად უნდა აეტანა ეკლესიის მსახურთა მთელი ის ზიზღი, რაც უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თან სდევდა მის მასწავლებელსაც. სანსის საეკლესიო კრებაზე ინოკენტი II-მ ერთი და იმავე დეკრეტით შეაჩვენა ორივე. იმ ხანად არნოლდს პარიზის უნი-

ვერსიტეტში თავისი მასწავლებლის კათედრა ეკავა, თვით მასწავლებელი კი კლიუნიში იყო გაძევებული. ეჭვს გარეშეა, რომ ამ ვითომცდა ერეტიკოსის სახით წმ. ბერნარდს და ეკლესიას სენტ-ჟენევიევის სკოლის მოწაფის დამხობა სურდათ. მაგრამ ის, უწინარეს ყოვლისა, თავზარს სცემდა მათ, როგორც რეფორმატორი და მოქმედების კაცი; ამიტომაც ცდილობდნენ მის გასრესას. არნოლდის პიროვნული რელიგია არ გადაზრდილა მწვალებლობაში და სქიზმის ზღურბლზე შეჩერდა: რომში ერთი სიტყვაც არ დასცდენია არც სამებისა და არც წმიდა ტახტის სპირიტუალური ძალაუფლების წინააღმდეგ. XII საუკუნის ამ იტალიელს, თავისუფალი ბრეშიის შვილს მხოლოდ ერთი მიზანი ამოძრავებდა: უნდოდა რომში დაეარსებინა პაპისაგან დამოუკიდებელი კომუნალური რეჟიმი და კაპიტოლიუმზე გამოეცხადებინა ხალხის უზენაესი ძალაუფლება. ყველაფერი, რაც ჩვენთვის ცნობილია არნოლდის სიტყვებიდან, მხოლოდ იმას მოწმობს, რომ ის ქადაგებდა პირველი ეკლესიის ევანგელურ სიღარიბეს და უბრალოებას, ხმამაღლა აცხადებდა, რომ მონაზვნებსა და კლერიკალებს არ შეიძლება ჰქონოდათ რაიმე საკუთრება, და მოითხოვდა სახელმწიფოს, ე.ი. კომუნას გადასცემოდა სამღვდელოების მთელი ავლადიდება. ის მოუწოდებდა ცელესტინე II-ს,[105] ლუციუს II-ს,[106] ევგენი III-სა და ადრიანე IV-ს უარი ეთქვათ ამქვეყნიურ იურისდიქციაზე და აპოსტოლური ეპისკოპოსების თეთრ კვერთხს დასჯერებოდნენ. მისი აზრით, ეპისკოპოსებს ფეოდალური სამფლობელოები უნდა ჩამორთმეოდათ და ძვირფასი სამოსის ტარებას, დელიკატესებით ტკბობასა და უხამსი თამაშებით თავშექცევას უკრძალავდა მათ. არნოლდს შეეძლო დაემოწმებინა პეტრე დამიანე და თვით წმ. ბერნარდი, როცა ევგენი III-ს სწერდა: „ნეტა იმას მომასწრო, რომ სიკვდილამდე ისეთი მანახა ეკლესია, როგორიც იყო ძველად, როცა მოციქულები ოქრო-ვერცხლის მოსახვეტად კი არ ისროდნენ ბადეს, არამედ კაცთა სულების დასაჭერადო“. ერთ მომენტში არნოლდ ბრეშიელის მოთხოვნები იმდენად

დაემთხვა წმ. ბერნარდის თვალსაზრისს, გადმოცემულს მის წიგნში „De Consideratione", რომ პაპმა განკვეთაც კი ახსნა, სულს რომ უხუთავდა და ხელ-ფეხს უკრავდა განდევნილს. ტრიბუნი ერთხანს ვიტერბოში დამკვიდრდა, მერე კი ფარულად გადასახლდა რომში და იქ დაუწყო ლოდინი იმ წამს, როცა დაირღვეოდა პაპ ევგენი III-სა და კომუნას შორის დადებული ზავი. 1146 წლის გაზაფხულზე პაპი მეორედ გაიქცა თავისი დედაქალაქიდან და არნოლდის რელიგიურმა თეორიამ მთელი თავისი სიდიადით იჩინა თავი.

ახლა საქმე უკვე მორალურ რეფორმას კი აღარ ეხებოდა, არამედ ეკლესიის მთელი ისტორიული ტრადიციის რადიკალურ ცვლილებას. წმ. ბერნარდი თანახმა იყო ფეოდალური სუვერენის მოვალეობებისა და ამქვეყნიური ძალაუფლების მძიმე ტვირთისაგან გაეთავისუფლებინა პაპი, თუმცა, უცვლელად კი უნარჩუნებდა უზენაეს ავტორიტეტს, რომლის წინაშეც ქედი უნდა მოედრიკა ყველა მბრძანებელს და ყველა ქალაქს. მისი აზრით, პაპს ხელთ ეპყრა ორი მახვილი, მაგრამ სულიერი მახვილით მას თვითონ უნდა ემუსრა მტერი, მეორე – საერო მახვილით კი პაპისნაცვლებს – იმპერატორსა და მეფეებს უნდა გაესწორებინათ ანგარიში მისთვის, რა თქმა უნდა, პაპის ბრძანებით და განკარგულებით.*

წმ. ბერნარდის იდეალი იყო გრიგოლ VII, რომელსაც სხვა საუფლო არა ჰქონდა, გარდა თავისი ბაზილიკისა; არნოლდის იდეალი კი – პირველი საუკუნის პაპობა, რომლის ძალაუფლებაც არცერთ პოლიტიკურ საზოგადოებაზე, ე.ი. სახელმწიფოზე არ ვრცელდებოდა. ტრიბუნის ეს იდეალი რამდენიმე წლის განმავლობაში მთელი რესპუბლიკური რომისა და მთელი კომუნალური იტალიის იდეალიც იყო. თვით ევგენი III-ის მღვდელთმთავრობა, მთელი მისი უბადრუკობის მიუხედავად, არნოლდს არ მიაჩნდა იმის ღირსად, რომ ქრისტიანებს მის წინაშე მორჩილად მოედრიკათ ქედი. საკვირველია, რომ ის, ბოლოს და

* De Consideratione, IV, Epistol., 256.

ბოლოს, სქოზმატიკოსი არ გახდა, რათა ერთი სახელიც მიემატებინა ანტიპაპების გრძელი მწკრივისთვის. არნოლდს, უწინარეს ყოვლისა, უნდა გადაეჭრა ამოცანა, რომელიც კაროლინგების დროიდან იდგა ქრისტიანობის წინაშე: ჰქონდა თუ არა უფლება ეკლესიას და მის მღვდელთმთავარს, არსებულ ვითარებაში უარი ეთქვა ყოველგვარ საერო ძალაუფლებაზე? ამ ძირითად პრობლემასთან ერთად ყველაფერი მოითხოვდა გადასინჯვას: საეკლესიო დისციპლინა, უზენაესი სამღვდელოების ფეოდალური მდგომარეობა, სიმდიდრის ფლობის უფლება, ამ სიმდიდრის წყაროები და რომის ეპისკოპოსის ეკუმენური პირველობა. მოკლედ, მთელი დასავლური ქრისტიანობა, როგორც ის ჩამოაყალიბა შუა საუკუნეების ბობოქარმა ისტორიამ, თავიდან ბოლომდე გადაკეთებას მოითხოვდა. საეპისკოპოსო ქალაქების მცხოვრებლებმა შესძლეს რელიგიური ომების გაუჩაღებლად შეესუსტებინათ თავიანთი ეპისკოპოსების პოლიტიკური ძალაუფლება, მაგრამ სხვაგვარი ვითარება იყო რომში. პაპისათვის საერო ძალაუფლება რომ გამოეგლიჯათ ხელიდან, აუცილებელი იყო ეკონომიური ძლიერების საფუძველი მოეშალათ ეკლესიისთვის, რომელიც ნიკოლოზ II-ის საარჩევნო რეფორმის წყალობით პონტიფიკატის სრულუფლებიან მბრძანებლად იქცა.[107] საერო მოკავშირეების – ნაკლებად შეძლებული არისტოკრატიისა და ხალხის მხარდაჭერა საკმარისი არ იყო არნოლდის საქმის გასამარჯვებლად: მან შესძლო გადაებირებინა წვრილი სამღვდელოება, რომელიც ხალისით უჭერდა მხარს უზენაესი საეკლესიო ჰიერარქიის სფეროში რადიკალურ ცვლილებას. გარემოებათა საბედისწერო ძალა აიძულებდა არნოლდს დემაგოგიისათვის მიემართა. რამდენიმე წლის წინათ მან შესძლო აემბოხებინა ხალხი ბრეშიელი ეპისკოპოსის წინააღმდეგ. ახლა ის ცდილობდა რომის წმიდა ტახტის წინააღმდეგ საბრძოლველად აეღორძინებინა XI საუკუნის ლომბარდიული Pataria. პატარინებივით ისიც განწირული იყო საიმისოდ, რომ იმ რეფორმატორთა მთელი

უკიდურესობისათვის მიემართა, რომელნიც ცდილობენ ევანგელურ პრინციპზე დააფუძნონ სამოქალაქო საზოგადოება. ეგეც არ იყოს, რომის შინაგანი პირობები გაცილებით უფრო ართულებდნენ რელიგიური რევოლუციის დაწყებას. არნოლდს მეტი გზა არ ჰქონდა, უფრო რადიკალურად უნდა ემოქმედა, ვიდრე ჩვეულებრივი იტალიური კომუნის პროგრამა აძლევდა ამის საშუალებას, კომუნისა, რომელიც ყველგან ბურჟუაზიისა და pòpolo grasso-ს ინტერესებს ემსახურებოდა. მაგრამ XII საუკუნის რომში ბურჟუაზია ისევე მცირერიცხოვანი იყო, როგორც ცეზარის დროს, ასე რომ, „აბელიარის საჭურველთმტვირთველი", ფაქტიურად, ცდილობდა ტიტუს ლივიუსის რესპუბლიკა დაემყარებინა[108] მარტოოდენ ველური ტრანსტევერელი „პოპოლანებისა" და რომის ეკლესიის მშიერი მრევლისათვის. რომი „ნობილების" შეთქმულებებით შეხვდა და არნოლდის უპირველესი საზრუნავი ის იყო, რომ სახალხო სენატის სასარგებლოდ გაეუქმებინა რომაული კომუნის არისტოკრატიული რეჟიმი. ამრიგად, ის ჩაქრობას უპირებდა ორივე „დიდ ლამპარს": ერთის მხრივ, დემოკრატიული კომუნის დაარსებით ცდილობდა პაპისთვის ჩამოერთმია მისი ფეოდალური ღირსება, მეორეს მხრივ კი, იმპერატორს ხელიდან სტაცებდა იმპერიის მისტიურ დედაქალაქს და, ამრიგად, ძირს უთხრიდა დასავლეთის ქრისტიანული სამყაროს მთელი პოლიტიკური სისტემის საყრდენ ბურჯს. მაგრამ დადგა დრო, როცა ამ რომაელმა ტრიბუნმა, მისი გუშინდელი მოკავშირეების – ბარონების მიერ მიტოვებულმა და ნახევრად ველური ბრბოის გამცემლობით გულამღვრეულმა, ბრბოისა, რომელსაც დემაგოგიურმა ტრადიციებმა ვერც ერთგულება ასწავლა და ვერც პატივისცემა, – მის მიერ დამხობილი არისტოკრატიისა და მისგანვე უარყოფილი ეკლესიის ზურგსუკან ანაზდეულად დალანდა ძლევამოსილი იმპერატორი, ვისი ბადალიც კარლოს დიდისა და ოტონ I-ის შემდეგ არ ახსოვს ის-

ტორიას: იმპერატორი, რომელმაც გადმოლახა ალპები და ახლა მის გასანადგურებლად მოისწრაფოდა.

ფრიდრიხ ბარბაროსამ და ადრიანე IV-მ შურისმგებელ რისხვად შეკრეს თავიანთი სიძულვილი და მართლმსაჯულება. პაპმა პასუხის საგებად უხმო სჯულისაგან განდგომილ მწვალებელს, იმპერატორმა – ტრიბუნს. ინტერდიქტმა დევნილს დაუხშო რომის ყველა ეკლესიის კარი. არნილდი გაიქცა, მაგრამ ორჩას ხეობაში შეიპყრეს, თუმცა მალევე გაათავისუფლეს და თავიანთ ციხე-კოშკებში შეიფარეს იქაურმა ვიკონტებმა, რომლებსაც ნინანარმეტყველად მიაჩნდათ იგი. ბარბაროსა გარს შემოადგა მათ სიმაგრეებს და თავისი მსხვერპლი ჩაიგდო ხელში. 1155 წელს არნოლდი მოაშთეს, მისი გვამი კი ტიბერისის უდაბურ ნაპირას დაწვეს, სწორედ იმ „ნერონის ველზე", სადაც ოტონ III-ის მეფობისას კრესცენციუსმა დასთხია თავისი სისხლი.

VIII

მისი ოცნება მეტისმეტად დიდი იყო. მან იგემა იდეალის სიტკბოება და სინამდვილესთან შეხებამ მოკლა. წმ. ანგელოზის ციხე-კოშკში, თავისი დილეგის სიღრმიდან, სასოწარკვეთილი აბელიარის სიტყვებით შეჰბღაოდა ზეცას: A finibus terrae ad te clamavi, dum anxiaretur cor meum.[109] წარმოიდგინეთ წამებულის ტანჯვა აღსასრულის ჟამს, როდესაც მიხვდა, რომ შეცდა და თავისი სიკვდილით მომავალი სარწმუნოების აღმსარებლად კი არ შეირაცხებოდა, არამედ – წარსულისა. ის იღუპებოდა არა მარტო იმიტომ, რომ წინდაუხედავად ცდილობდა რომშიაც მოეხდინა რევოლუცია, რაც შესაძლებელი შეიქმნა მილანში, პიზასა და თვით ფლორენციაშიც, მოკლედ, მთელ მუნიციპალურ იტალიაში; ის იღუპებოდა იმიტომ, რომ უკანასკნელი საუკუნეების ყველა რეფორმატორთან ერთად ირწმუნა, თითქოს რომი და წმიდა ტახტი იყო მთელი ეკლესია, ეკლესია კი – მთელი ქრისტიანობა. და ვიდრე იტალიელებს სწამდათ ეს ილუზია, ისინი ამაოდ ელოდნენ

უფლის დღის რიჟრაჟს. რელიგიურ ნიადაგზე დაფუძნებული ყველა ამნაირი მცდელობა იმედგაცრუებით მთავრდება. იტალია მეტისმეტად ახალგაზრდა იყო საიმისოდ, რომ ურწმუნოება თუ გულგრილობა ერჩია რწმენას და ამა თუ იმ პოზიტიური რელიგიის გარეშე დარჩენილიყო; ქრისტიანობის გარეშე არსებობა ვერ წარმოედგინა. ქრისტიანობა ხომ მის კალთაში გაიზარდა, და ის დედობრივი სინაზით თავს ევლებოდა მას. ვერც კათოლიკობას განუდგებოდა; აკი რომის წმიდა ტახტიც, გარკვეულწილად, მისი ქმნილება იყო, და მას არასდიდებით არ შეეძლო დაევიწყებინა თავისი დიდი პაპები, რომელთა მანტიასაც ზოგჯერ თავს აფარებდა იტალიის ეროვნული თავისუფლება. მას ეკლესიასთან აკავშირებდა სასიქადულო მოგონებები და საერთო ტანჯვა. ყოველ დილით ის გადიოდა ეკლესიიდან, რათა ალალბედზე ეძებნა გზა, ჭეშმარიტება, სიცოცხლის აზრი, და ყოველ საღამოს, როგორც იმედგაცრუებული და დაღლილი მგზავრი, კვლავ უბრუნდებოდა ძველი ეკლესიის წიაღს, სადაც ეგულებოდა თავისი სასოება.

მაგრამ ახლოვდებოდა ამ მტანჯველი ძიების დასასრული: არნოლდის კოცონი ამ გზის უკანასკნელი სამანია. იტალიას უკვე თავს დასტრიალებდა აღორძინების სული. ლენიანოს ბრძოლაში[10] ლომბარდიის კომუნები სისხლით ნათლავენ თავისუფლებას და იტალიელების გულში ხელახლა იღვიძებს ისტორიული სამშობლოს ხსოვნა. უკვე იფურჩქნებიან ხელოვნებისა და პოეზიის პირველი ყვავილები. მოზაიკის ოსტატები, ათონის პირველი სკულპტორები და მხატვრები უკვე იწყებენ საეკლესიო ფერწერის განახლებას და ლომბარდიაში, ტოსკანასა და ნორმანთა სამეფოში თეთრად მოქათქათე ტაძრები, ვარდისფერი მარმარილოს ბაპტისტერიუმები და ტანკენარი სამრეკლოები თავიანთი ტრიუმფალური სიმაღლით ერთვიან ზეცას. სიცილია არაბული ხელოვნების უნატიფეს ნიმუშებთან ერთად აღმოსავლეთის სენსუალური სილამაზის ათინათს უგზავნის ნახევარკუნძულს. სულ მალე მხია-

რული პროვანსიდან ალპების ციცაბო ბილიკებით დაეშვებიან პირველი ტრუბადურები და პოსა თუ ადიჯის პირას დიდებულთა სასახლეებში მხიარულად ახმიანდება როლანდის საფრანგეთიდან ჩამოტანილი რაინდთა საგმირო გესტები და არტურისა თუ მერლინის ლეგენდები. საზოგადოებრივი და სულიერი ცხოვრების ამ გამოცოცხლებაში უკვე იგრძნობა რელიგიური განახლების ნიშნები: სხვაგვარად შეუძლებელია იმ საყოველთაო სიხარულის ახსნა, ასე ანაზდად რომ მოიცავს მთელ იტალიას, რომელიც უკვე გრძნობს, რომ ახლოვდება შუა საუკუნეების რელიგიური კოშმარის დასასრული. განთიადის მკრთალი ნათელი უკვე თავს დაჰკანკალებს გუმბათებს და ოქროსფრად ეფინება პალერმოს პალატინის სამრეკლოსა თუ ვენეციის წმ. მარკოზის ტაძრის ქიმებს, და ბოლოს, კალაბრიის მთების თხემიდან ამოსასვლელად ემზადება ახალი შობის ვარსკვლავი.

თავი II

*ჯოაკინო დელ ფიორე**

დიდ მისტიკოსებს, წმიდა ანსელმუსს[1], ჰუგო სენ ვიქტორელსა[2] და წმიდა ბონავენტურას[3] შორის დანტე ათავსებს კალაბრიელ წინასწარმეტყველს ჯოაკინოსაც:

Il calavrese abate Giovacchino,
Di spirito profetico dotato[4].

ეს იყო ძალზე თამამი წინასწარმეტყველი, თუ ვიმსჯელებთ იმის მიხედვით, რა ბედი ეწია მის ოცნებებს, და გავითვალისწინებთ მისი მეტ-ნაკლებად ლეგიტიმური მონაფეების შეუპოვრობასაც, შუა საუკუნეების დასასრულამდე თავიანთ მასწავლებლად რომ მიაჩნდათ იგი. ეს იყო ყველაზე საშიში ერეტიკოსი, თუ მისი ავთენტიკური თხზულებებიდან** გამოვიტანთ სათანადო ლოგიკურ დასკვნებს, როგორიცაა მაგალითად, ეკლესიისა და სიტყვის სჯულის დამხობა. და ბოლოს, ეს იყო ყველაზე თვინიერი ქრისტიანი, თუ ჩავუკვირდებით ბავშვური უშუალო-

---

* მთელი ამ თავისათვის იხ.: P. Denifle, Archiv. für Litterat. und Kirchen - Gesch. des Mittelalters, t. I, fascic. I. Reuter, Gesch. der religös. Aufklärung im Mittelalter, t. II. Dom de Riso, Della vita et delle op. dell'abate Gioacchino. Renan, Nouvelles études d'hist. religieuse. Acta Sanctorum, mai, VII .

** Divini Vatis Abbatis Ioachim Liber Concordiae novi ac veteris Testamenti, Venetiis, 1519. Expositio magni prophetae abbatis Joachim in Apocalypsin. Psalterium decem chordarum, Venetiis, 1527. გამოუცემელ თხზულებათა კატალოგისათვის იხილეთ P. Denifle, Archiv., loc. cit

ბით აღბეჭდილ მისი ცხოვრების ლეგენდას და რწმენის იმ მიამიტურ აქტს, რომელიც მან წინ წაუმძღვარა თავის ყველაზე მნიშვნელოვან თხზულებას – „ძველი და ახალი აღთქმის კონკორდანსი".მან ლამის დაარღვია ეკლესიის სიმშვიდე, მაშინ როდესაც ეკლესიამ, სიცოცხლეშივე სათანადო პატივს რომ მიაგებდა მას, როგორც საღმრთო წერილის აღიარებულ განმმარტებელს, ჯოაკინოს სიკვდილის შემდეგ ნება დართო ნეაპოლიტანელ ცისტერციანელებს[5] თაყვანი ეცათ მისთვის, როგორც ნეტარისათვის და სასწაულმოქმედად ეღიარებინათ იგი. კალაბრიის დიოცეზში[6] მისი ხსენების დღეს აქამდე გალობენ ანტიფონს[7], ასე რომ მოგვაგონებს დანტეს ლექსს: „Beatus Joachim, spiritu dotatus prophetico, dixit futura ut praesentia"[8]. აი, უცნაური რელიგიური ფენომენი, რომელიც, ერთი შეხედვით, შინაგანი წინააღმდეგობებითაა სავსე. იტალიური რელიგიური სულის მერყეობას არნოლდ ბრეშიელის საუკუნეში მხოლოდ ნაწილობრივ თუ შეუძლია ამ ფენომენის ახსნა, ხოლო იმისათვის, რომ სრულად შევიცნოთ იგი, უთუოდ ღრმად უნდა ჩავწვდეთ ეკლესიის საუკუნოვან საზრუნავს.

I

თავდაპირველ ქრისტიანულ საზოგადოებაში ერთი ყველაზე თვითმყოფი და ქმედითი იდეა ის იყო, რომ რელიგიურ სამყაროში ჯერ კიდევ ვერაფერს ვერ მიიჩნევდით სრული სახით დაფუძნებულად; რომ გამოცხადებას ჯერ კიდევ არ წარმოეთქვა თავისი საბოლოო სიტყვა; რომ ქრისტეს მოძღვრება და მოწამეობრივი სიკვდილი სამყაროული დრამის მხოლოდ ერთ-ერთი აქტი იყო, და ამ დიადი მისტერიის დასასრული მეტ-ნაკლებად ახლო მომავალში იყო მოსალოდნელი. მაცხოვრის ზოგიერთი სიტყვა, ბუნდოვანი მინიშნებები არნახულ კატასტროფებსა და, შესაძლოა, ყოველივე არსებულის აღსასრულზედაც, ქრისტიანთა გულში აღვივებდა ძრნოლასთან ნილნაყარ იმედს. ჯერ კიდევ საბოლოო სახით ჩამოუყალიბე-

ბელი დოგმები და საეკლესიო ჰიერარქია – აი, მორწმუნეთა წრიალისა და მერყეობის მიზეზი; მათ ჯერ კიდევ არ ზღუდავდა მკაცრი დისციპლინა, და ისინი თავიანთ თავს ეკითხებოდნენ, როგორი უნდა ყოფილიყო მომავალი სარწმუნოება. მათი ცნობისმოყვარეობა იდუმალი მერმისის მიმართ მით უფრო დაუცხრომელი იყო, რომ იუდეური კანონის ძალზე თავისუფალი ინტერპრეტაცია, დაწყებული ჯერ კიდევ თვით იესო ქრისტეს მიერ, მათ დროსაც გრძელდებოდა. ყოველი სული, რომელიც ცდილობდა ამოეცნო საბოლოო საიდუმლო, იმავე დროს, თავისუფლად ქმნიდა თავის საკუთარ რელიგიასაც და მარტო სახელით კი არ იყო ქრისტიანი, არამედ – არსითაც. პავლე მოციქულის ძალმოსილებას განაპირობებს სწორედ მისი მოძღვრება თავისუფლების შესახებ და ქრისტიანობის პირველი საუკუნეების საერთო განწყობილება გამოხატულია მის მეორე ეპისტოლეში კორინთელთა მიმართ: „თქვენ მოწმობთ, რომ ქრისტეს წერილი ხართ, დაწერილი ჩვენი მსახურებით, არა მელნით, არამედ ცოცხალი ღმერთის სულით... მან მოგვცა იმისი ძალა, რომ ახალი აღთქმის მსახურნი ვიყოთ; არა ასოსი, არამედ სულისა, ვინაიდან ასო კლავს, ხოლო სული აცოცხლებს... სადაც არის სული უფლისა იქვეა თავისუფლება“[9].

აპოკალიპსისიცა და მთელი მეოთხე სახარებაც მთლიანად გამსჭვალულია ღვთაებრივი მომავლის, მუდმივი გამოცხადების სულით. პირველი – თავისი სახეების უჩვეულობით, ხოლო მეორე – თავისი ენის მეტაფიზიკური სიბნელით საოცრად უწყობდა ხელს პავლე მოციქულის მიერ გამოცხადებულ რელიგიური გრძნობის თავისუფლებას. აპოკალიპსისი ქრისტიანთა თვალწინ აცოცხლებდა ხილვას, ძალიან დიდხანს რომ თრგუნავდა მათ წარმოსახვას და თითქოს ამართლებდა ისტორიის ყველა საშინელებას, იმავდროულად კი იუწყებოდა იმ დიადი დღის მოახლოებას, როცა გამარჯვებას იზეიმებდნენ წმიდანნი. მას საფუძვლად უდევს აზრი, რომლის თანახმადაც ზეციური იერუსალიმის მოვლინებას წინ უნდა უსწრებდეს ურიცხვი

კატასტროფა, და მრავალი სასწაული უნდა მოხდეს მანამ, სანამ მორწმუნენი საუკუნო განსვენებას ჰპოვებენ უფლის ნიაღში. საშინელი კონვულსიების შემდეგ, რომლებიც გადაიყოლებენ რომის იმპერიას, მოიწევა მესიისა და მისი მარტვილების სუფევა (შესაძლოა, პალესტინაში), რაც გაგრძელდება ათას წელს, რის შემდეგაც თავს აიშვებს სატანა, ანტიქრისტე, ღმერთი დავიწყებას მიეცემა და დაღუპვის პირას დადგება ეკლესია. მაშინ ხელახლა მოვა უფალი, მკვდრები აღდგებიან თავიანთი საფლავებიდან და განკითხვის დღით დამთავრდება ამქვეყნიური ისტორია, რის შემდეგაც სამყაროში ნეტარება და მარადიული სიმშვიდე დაისადგურებს.

მაგრამ შემზარავი შთაბეჭდილება, რასაც აპოკალიპსისი ახდენდა მორწმუნეთა სულზე, თანდათან უნდა შესუსტებულიყო. რამდენ საშინელებას უქადდა ქრისტიანობის ათასი წლისთავი ქვეყნიერებას, მაგრამ არაფერი არ ახდა, და დაიბადა ეჭვი: ნუთუ მოციქულს ანგარიში შეეშალა? თუ იესო ქრისტეს ამქვეყნიური სასუფეველი მხოლოდ ფუჭი ილუზია იყო? მეოთხე სახარება, ბერძნული სულის ეს ქმნილება, მთლიანად გამსჭვალული ნეოპლატონიზმით, მწედ მოევლინა შეშფოთებულ ქრისტიანობას და ხელახლა აპოვნინა იდეალი. პატმოსელი ნათელმხილველისათვის[10] სრულიად უცხო სიმშვიდითა და სიცხადით, მეოთხე სახარებამ განაახლა რწმენა, რომლის მიხედვითაც მალე უნდა მოეწია სულ სხვა, უზენაესი რელიგიის საუკუნეს: „მერწმუნე, ქალო, მოვა დრო, როცა არც ამ მთაზე და არც იერუსალიმში აღარ სცემთ თაყვანს მამას... მოვა დრო და მოვიდა კიდეც, როცა ჭეშმარიტი თაყვანისმცემელნი თაყვანს სცემენ მამას სულითა და ჭეშმარიტებით“[11]. მაგრამ იოანეს სახარების მთავარი ორიგინალობა, ძვირფასი ქვა, რომელიც მან ჩაატანა ქრისტიანობის შენობაში, ესაა ტრანსცენდენტური თეოლოგიის პირველი მონახაზი და, მისი მეშვეობით, მისტიციზმისათვის საფუძვლის ჩაყრა. აბრაამისა და დავითის შთამომავლის, გალილეველი წინასწარმეტყველის კვალ-

დაკვალ, ვის გენეალოგიასაც თავისი წიგნის პირველ გვერდზე გადმოგვცემს მათე, და ვის ცხოვრებასაც დანვრილებით აღგვიწერს პირველი სამი – სინოპტიკური სახარება, – ქვეყნიერებას მოევლინა მარადიული სიტყვა, გონება ღმრთისა, თვით ღმერთი, რომელმაც კაცის სახე მიიღო. პირველსავე თავში ის გვევლინება წმიდა ღვთაებრივ არსად, შემდეგ კი – ნათლის სხივოსნობად იორდანეს პირას, ნათლისმცემლის წინაშე, რომელსაც აღმოხდა: „აჰა, ძე ღმრთისა!" წიგნის დასასრულს, უკვე ვნების შემდეგ, დილის ბინდბუნდში ის კვლავ ევლინება თავის მოწაფეებს ტიბერიადის ტბის პირას. დროის იმ შუალედში, ერთმანეთისაგან რომ აშორებს ამ ორ ხილვას, ის კაცთა შორის მოქმედებს და ცხოვრობს, მაგრამ ზებუნებრივი ნათელფენით გარდაქმნილი და სახით ანგელოზის მსგავსი. ის მხოლოდ მამის სახელით მოქმედებს; თვით მისი მეშვეობით კი მხოლოდ აღწევენ მამაზეციერს და საუკუნო ცხოვრებაში იდებენ წილს. „მე და მამა ერთი ვართ"[12]. საიდუმლო სერობისას მოწაფეებს ესმით მის მიერ ჩურჩულით წარმოთქმული სიტყვები: „ეს არის საუკუნო სიცოცხლე, რათა გიცნობდნენ შენ ერთს, ჭეშმარიტ ღმერთს, და ვინც შენ მოავლინე, იესო ქრისტეს..."[13] „მარტო მათთვის როდი გევედრები, არამედ ყველასათვის, ვისაც ვნამვარ მათივე სიტყვით. რათა ყველანი ერთად იყვნენ, როგორც შენ, მამაო, ჩემში, და მე – შენში; რათა ისინიც ერთი იყვნენ ჩვენში".[14]

მაგრამ იმისათვის, რომ ულრმესი რწმენით ეზიარო ღმერთს, უწინარეს ყოვლისა, უნდა მიიღო მისი სული; სწორედ ესაა მისტიური ზიარების საბოლოო მიზანი, რისკენ სწრაფვადაც გვევლინება ქრისტეს მთელი ამქვეყნიური ცხოვრება. მოძღვრება სული წმიდის შესახებ, რასაც წინასწარ უკვე ჭვრეტდა პავლე მოციქული, ერთპიროვნულად დომინანტობს მთელ მეოთხე სახარებაში. სული წმიდა, პარაკლეტოსი,[15] ისეთივე შუამდგომელია, როგორც სიტყვა; მას ძის თხოვნით მოავლენს მამა, რათა ისევე გვიმოწმოს იგი, როგორც მოწმობდა იესო ქრისტე,

და სამუდამოდ დარჩეს კაცთა შორის. მისი მეშვეობით დასრულდება სიტყვის გამოცხადება და დამკვიდრდება სიტყვისმიერი აღთქმის რწმენა: „ის გასნავლით და მოგაგონებთ ყველაფერს, რასაც მე გეუბნებოდით“.[16] მაგრამ სული წმიდის მოვლინება სრულიად განსხვავებულია იესო ქრისტეს მოსვლისაგან: „ახლა კი ჩემს მომავლინებელთან მივდივარ, და არცერთი თქვენგანი არ მეკითხება: სად მიხვალ? თუმცა ეს რომ გითხარით, მწუხარებით აღივსო თქვენი გული. მაგრამ ჭეშმარიტებას გეუბნებით: გიჯობთ, რომ წავიდე, რადგან თუ არ წავალ, არ მოვა თქვენთან ნუგეშისმცემელი; ხოლო თუ წავალ, მოგივლენთ მას“.[17] ის კვდება და თავისი სიკვდილით სამუდამოდ ამკვიდრებს აღთქმას, რომელიც მოუტანა ქვეყანას. მის საფლავზე იწყება ახალი რელიგიური ერა. მტკიცედ დახშულ სენაკში, სადაც ებრაელების შიშით იმალებიან მისი მოწაფეები, ის ანაზდეულად წარსდგება მათ წინაშე, როგორც აჩრდილი, და მისი ბაგეებიდან სიოსავით მონაბერი ჩურჩულით ჩაესმით ყურში: „მიიღეთ სული წმიდა“.

მაგრამ სული წმიდა მხოლოდ სიყვარულით განწმენდილ სულებზე გადმოდის. სიყვარული უზენაესი სათნოებაა, რჩეულობის ნიშანი. მეოთხე სახარების მთელი მორალი მოქცეულია მოძღვრის სიტყვებში, რომლებსაც გამუდმებით იმეორებს იგი: „გიყვარდეთ ერთმანეთი; როგორც მე შეგიყვარეთ თქვენ, ასევე გიყვარდეთ თქვენც ერთმანეთი... დარჩით ჩემში და მე დავრჩები თქვენში... როგორც მე შემიყვარა მამამ, მეც ასევე შეგიყვარეთ თქვენ; დარჩით ჩემს სიყვარულში... როგორც ლერწი თავისთავად ვერ გამოიღებს ნაყოფს, თუკი არ შერჩა ვაზს, ასევე თქვენც, თუკი არ დარჩებით ჩემში“.[18] მან შეიბრალა მეძავი; ის დასტიროდა მკვდარ ლაზარეს, იუდეველები კი ამბობდნენ: „ხედავთ, როგორ ჰყვარებიაო?“[19] ჯვრის სიმაღლიდან ის უკანასკნელად გადმოხედავს თავის საყვარელ მოწაფეს,[20] რომელსაც მიანდობს მისტიური რელიგიის ქადაგებას მთელი დედამიწის ზურგზე.

ქრისტიანობის პირველ საუკუნეებში იოანეს სახელს უკავშირებდნენ აპოკალიპსისსაც და მეოთხე სახარებასაც. მას უყურებდნენ როგორც წინასწარმეტყველს, ახალი აღთქმის წიაღში რომ განჭვრიტა მომავლის აღთქმა. მას მერე ხალხი მშვიდად მოელოდა აპოკალიპსურ წინასწარმეტყველებათა აღსრულებას: უკვე არსებობდა სული წმიდის, სიყვარულის, თავისუფლებისა და გულმოწყალების რელიგია. ყველა მაღალი სულისა და ფაქიზი გულისათვის უკვე მზად იყო საწმიდარი, ზეციური იერუსალიმის კარიბჭე. რაღას დააკლებდა მათ ამქვეყნიური არსებობის საშინელება, მათი საუკუნის სისასტიკე, ეკლესიის ყველა შეცდომა და თვით სისუსტეც? შუა საუკუნეებში ყველაზე პირქუშ დღეებში ქრისტიანული სამყარო ხშირად უბრუნდებოდა ამ სასოებას და სამარიტელი ქალის კვალდაკვალ იმეორებდა მის მიერ იაკობის ჭასთან წარმოთქმულ სიტყვებს: „მომეცი ეგ წყალი, რომ აღარ მომწყურდეს!“[21]

II

შუა საუკუნეების ინტელექტუალური ცხოვრების ორი დიდი მიმართულებიდან ერთი წმიდა ავგუსტინესაგან[22] იღებს დასაბამს, მეორე კი – იოანე სკოტუს ერიუგენასგან.[23] პირველმა შექმნა სისტემატური თეოლოგია, რომელსაც ჯერ კიდევ მოციქულებმა – იოანემ და პავლემ ჩაუყარეს საფუძველი. იოანეს იდეების განმარტებისას ერიუგენას თავისი სულიერი მოძღვრის წმ. ავგუსტინეს მიმდევრად მოჰქონდა თავი. ის განმარტავდა ჰიპონელი ეპისკოპოსის[24] კომენტარებს, აზუსტებდა მის თვალსაზრისს და თანდათანობით შორდებოდა ორთოდოქსულ მიმართულებას, რის შედეგადაც მწვალებლობის თესლი ჩააპნია ქრისტიანობაში.

„ღვთის ქალაქი“[25] გამსჭვალულია აპოკალიპსისის მთელი საშინელებით. წმიდა ავგუსტინე მთელი რომაული ცივილიზაციის დაღუპვის – იოანეს მიერ ნაწინასწარმეტყველები გრანდიოზული ტრაგედიის პირველი აქტის – უშუ-

ალო მოწმე იყო. მას ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ ანტიქრისტეს ჩრდილი უკვე მთელ სამყაროს გადაეფინა. ავგუსტინეს უკვე ყურში ჩაესმის ძლევამოსილი ქრისტეს მოახლოებული ნაბიჯების ხმა, ხედავს, რომ შორეულ ჰორიზონტზე უკვე ამოსვლას აპირებს მეათასე წელი; ის ცდილობს ჩაუღრმავდეს იოანეს თხზულების ბუნდოვან პასაჟებს, რომელთა განსამარტავადაც იშველიებს პავლე მოციქულისა და დანიელ წინასწარმეტყველის ყველა მოწმობას ანტიქრისტეს შესახებ და ცდილობს ზუსტი გამოთვლებით დაადგინოს აპოკალიპსური პერიოდები. ის თავის თავს ეკითხება, შეიცავს თუ არა ათასწლეული იმ ორმოცდაორ თვეს, როცა სატანა თავს დაეცემა ეკლესიას, თუ ამ ორმოცდაორ თვეს ცალკე უნდა გამოვყოფდეთ?[26] თავისი მოლოდინის დასტურად ის ძველ აღთქმაში ეძებს პერიოდთა მონაცვლეობის მტკიცებას, მონაცვლეობისა, რომელსაც, ბოლოს და ბოლოს, დაასრულებს დიდი შაბათი, მეშვიდე დღე, როცა მეომარი ეკლესია თავისი გამოცდის ჯილდოს მიიღებს. პირველი პერიოდი ადამიდან წარღვნამდე გრძელდება, მომდევნო პერიოდები აბრაამის, დავითის, ბაბილონის ტყვეობისა და ქრისტეს შობის ნიშნით არიან აღბეჭდილნი, მეექვსე პერიოდის გამოთვლა შეუძლებელია, რადგანაც ის ამჟამად მიმდინარეობს, მეშვიდე კი იქნება მშვიდობის დღე, რომელსაც ველარც დაისი დაასრულებს და ველარც მწუხრი. ეს იქნება დღე მოზეიმე ეკლესიისა, რომელიც განადიდა იოანემ, უდიდესმა მოციქულთა შორის, ერთადერთმა მონაფემ, თავისი ჭეშმარიტი არსით რომ იხილა ღმერთი; იმ მოზეიმე ეკლესიის დღე, რომლის სიმბოლოც, მხოლოდ და მხოლოდ სიმბოლოც იყო წმ. პეტრეს მინიერი ეკლესია. „წმიდა პეტრეს ეკლესია – წერს ავგუსტინე, – რწმენის ეკლესიაა, მოზეიმე ეკლესია კი უშუალო ჭვრეტის ეკლესია იქნება. პირველი ჯერ კიდევ გზაშია, ხოლო მეორე თავის მარადიულ სამ-

შობლოში დაივანებს. პირველი კეთილია, მაგრამ უბედური, მეორე კი იქნება უკეთესი და ნეტარი".*

კვლავაც ელოდა თუ არა X საუკუნე ავგუსტინესეულ მეათასე წელს? იქნება სწამდა, რომ მის უკანასკნელ საღამოს დაიწყებოდა სამყაროს აგონია? IX საუკუნეში ერიუგენა არ იზიარებდა თავისი თანამედროვეების შეშფოთებას მეათასე წელთან დაკავშირებით. მაგრამ, მისი აზრით, ეკლესია მერყეობდა, და მეოთხე სახარების მედიტაციებმა განსაცვიფრებელი სიცხადით დაანახა მას ეკლესიის წარსულიც, აწმყოც და მომავალიც. ამიტომ, თუმცა თვითონაც იმეორებს ისტორიულ პერიოდთა თანმიმდევრული მონაცვლეობის თეორიას, ჩამოყალიბებულს მისი მასწავლებლის მიერ, მაგრამ შემდეგ სამ ძირითად კატეგორიად აჯგუფებს მათ, რომელთაგანაც თვითეული სამი სხვადასხვა სამღვდელოების ნიშნითაა აღბეჭდილი, რათა, ამრიგად, შეგვაგნებინოს, რომ პირველ ორ ეპოქაში სამღვდელოება, ისევე, როგორც მოძღვრება, რომლის მცველიც ის იყო, ღვთაებრივი აზრის მხოლოდ გარდამავალ მომენტს შეესაბამებოდა. პირველი, ანუ ძველი აღთქმის სამღვდელოება გონებამიუწვდომელ საიდუმლოთა შორის მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობდა ჭეშმარიტებას; მეორემ, ანუ ახალი აღთქმის სამღვდელოებამ ჭეშმარიტების ერთგვარი შუქი მოჰფინა იდუმალების ბურუსით მოცულ სიმბოლოებს, და ბოლოს, მესამე – მომავალი დროის სამღვდელოება შეგვაძლებინებს პირისპირ ვიხილოთ ღმერთი. პირველს შეესაბამება ბუნებითი სჯული, მეორეს – სჯული მადლისა, მესამეს კი – უფლის სასუფეველი. პირველმა გარკვეულ წილად გამოასწორა ადამიანის დაცემული ბუნება, მეორემ რწმენით, სასოებითა და სიყვარულით გააკეთილშობილა იგი, მესამე კი ჭვრეტით გაანათლებს მას. პირველი, რომელსაც სიმბოლურად განასახიერებს ცისარტყელა, მიეცა მიწიერ ხალხს, მხოლოდ ასოს რომ იცნობდა. მეორე, რომლის სიმბოლოდაც

* De Civit. Dei,XV, XXII. In Joan. Evangel. Tract., 36, 124.

თითქმის ხელშესახებად საგრძნობი საიდუმლო გვევ-ლინება, სპირიტუალური ცხოვრებისაკენ წარმართავს სულებს, მხოლოდ სამოთხეში რომ იგემებენ მთელ მის სიტკბოებას. ამრიგად, თანამედროვე ეკლესიის მთელი გარეგნული მხარე შთაინთქმება მომავალი ეკლესიის ნათელში. ადამიანი ჭეშმარიტად მხოლოდ სული წმიდის მეშვეობით ეზიარება ღმერთს. თავის ქადაგებაში იოანეს სახარების პირველი თავის თემაზე ერიუგენა იმასაც კი ამტკიცებს, რომ განკაცებულ იესო ქრისტეში სწორედ სული წმიდა იყო ღვთაებრივი სიცოცხლის პრინციპი. ამ-რიგად, ახალი აღთქმის ეკლესია სხვა არა არის რა, თუ არა მარადიული ეკლესიის სიმბოლური ხატი. თუმცა კონტემ-პლატორი ქრისტიანები თვით მიწიერ სიცოცხლეშიაც კი ახერხებენ უზენაესი ეკლესიის წიაღში შეღწევას და ცათა სასუფევლის იდეალურ სულიერებაში იდებენ წილს.*

ეს უკანასკნელი თვალსაზრისი მთელი რელიგიური ევოლუციის შემცველი იყო. ერიუგენამ შესძლო ერთ-მანეთისთვის შეეთანხმებინა იოანე მოციქულის ორივე თეორია: აპოკალიპსური და ევანგელური. მესამე გა-მოცხადება პარაკლეტოსის გამოცხადებაა და მისი წვდომა დღესდღეობით მთელი დედამიწის ზურგზე მხოლოდ ყვე-ლაზე წმინდა და მაღალ სულებს თუ შეუძლიათ, in primitiis contemplationis.[27] მოციქულის აღთქმა ფუჭი როდი იყო: ღმერთი მჭვრეტელთათვის თვით ამქვეყნიურ ცხოვრე-ბაშიც კი შესაძლებელს ხდის ზეციური იერუსალიმის წვდომას; ის მათ უჩვენებს როგორც სიტყვის, ისე სულის ეკლესიებსაც. ეს უჩვეულო ცნება გამოსჭვივის შუა საუ-კუნეების თითქმის ყველა საღვთისმეტყველო კრიზისის სიღრმიდან, როგორც რომაული ეკლესიისაგან სამუდამოდ განდგომილ ერესიარქებს, ისე დისიდენტებს შორისაც, რომელთა გონებრივი მიდრეკილებაც, უფრო ფილოსოფი-

---

* Comment. in Evangel. Joan., ap. Migne, 308. Exposit. sup. Hierarch. Eccles. St. Dionisii, lib. II, in Prol. ალანსონის ბიბლიოთეკის ხელნაწერი, აღნერილი რავესონის მიერ: Rapp. sur les biblioth., Append., 334.

ური, ვიდრე სექტანტური, ქრისტიანობის სპირიტუალიზაციითა და რწმენის ძველი სიმბოლოს ერთგვარი შესწორებით კმაყოფილდება. ერთნიცა და მეორენიც დარწმუნებულნი არიან, რომ, ბოლოს და ბოლოს, მიაკვლიეს ჭეშმარიტი რწმენის გზას და ამიერიდან ღვთისაკენ მიმავალ ბილიკს მისდევენ. ეკლესია მათ განდგომილებაში ადანაშაულებს, თვითონ კი სახარების ჭეშმარიტ განმმარტებლებად მოაქვთ თავი, განდგომილების გულისთვის დათმენილ ტანჯვა-წამებას კი ცათა სასუფეველში შესვლის საწინდრად მიიჩნევენ.

ერიუგენას მოძღვრება დიდხანს შერჩა შუა საუკუნეების ცნობიერებას. მისი სიკვდილიდან სამი საუკუნის შემდეგ ის ანაზდეულად კვლავ გამოჩნდა ამორი შარტრელის სკოლაში და ამჯერად თავისი მკაცრად დოგმატური ფორმით დააფეთა ეკლესია. ამორი ამბობდა: „მამა ღმერთის ძალაუფლება ზუსტად იმდენხანს გრძელდებოდა, რამდენ ხანსაც გრძელდებოდა მოსეს სჯული, და საღმრთო წერილის თანახმად, რომელიც ბრძანებს, რომ ყოველი ახლის მოვლინებისთანავე ძველი უკუგდებულ უნდა იქნეს, ქრისტეს მოსვლის შემდეგ ძველი აღთქმის ყველა საიდუმლო გაუქმებულ იქნა და დღემდე მხოლოდ ახალი აღთქმა მოქმედებს. მაგრამ მოვა დრო, როცა დასრულდება ახალი აღთქმის ყველა საიდუმლოც და დაიწყება სული წმიდის ერა... ძე მოქმედებდა დღემდე, სული წმიდის მოქმედება კი დღეიდან იწყება და გაგრძელდება უკუნისამდე". მისი აზრით, ეს საბოლოო სჯული იქნება მესამე აღთქმა.*

ეს სიტყვები თითქოს უკვე ჯოაკინოს მონაფეს ეკუთვნის, იოანე პარმელის დასიდან, მარადიული სახარების მონაფეს. ამორი შარტრელსა და ჯოაკინო დელ ფიორეს შორის გამორიცხულია ყოველგვარი ინტელექტუალური ურთიერთობა. ისინი მხოლოდ ერთსა და იმავე

---

* იხ. D'Argentré, Collectio judic., ann. 1204-1210. Eymeric, Director. inquisit., P. II, p. 248.

დროს ცხოვრობდნენ და ერთი და იმავე იმედით სულდგ-მულობდნენ, რომელიც მათ გულში ქრისტიანული ტრა-დიციის ყველაზე შორეული წყაროდან ჩაისახა. უნდა გაგ-ვეხსენებია ეს ტრადიცია. ასე უკეთ მივხვდებით, როგორ შესძლო კალაბრიელი განდეგილის ოცნებამ მთელი შუა საუკუნეების შეძვრა და რა იდუმალი ძალა აკავშირებდა იტალიის რელიგიურ რენესანსს ქრისტიანობის ნარსულ-თან.

III

ჯოვანი დეი ჯოაკინი დაიბადა 1132 წელს კალაბრიის დაბა ჩელიკოში, კოზენცას მახლობლად. მამამისი ნორ-მანთა სამეფოს წარჩინებული ბურჟუაზიული საზოგადოე-ბის წრეს ეკუთვნოდა. ჯოაკინოს თვალწინ ჩაიარა არნოლდ ბრეშიელისა და ფრიდრიხ ბარბაროსას დროებამ. ქრის-ტიანული გარემოცვა, რომლის წიაღშიაც ის აღიზარდა, გარკვეული თავისებურების ნიშნით იყო აღბეჭდილი: აქ კაცი უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს, ვიდრე იტალიის რომელიმე სხვა პროვინციაში. სულის ხსნისათ-ვის რომთან მჭიდრო კავშირი აქ გაცილებით ნაკლებ აუ-ცილებელი ჩანდა. კალაბრია კვლავინდებურად ინარ-ჩუნებდა X საუკუნის განდეგილთა შთაგონებასა და წმ. ნილის მონაფეთა დამოუკიდებლობას. სამხრეთ იტალიის მბრძანებლები – ჯერ ბიზანტიელები, შემდეგ კი ნორ-მანები მნიშვნელოვანწილად უმსუბუქებდნენ თავიანთ ქვეშევრდომებს პაპების საერო ძალაუფლების უღელს. მთაგორიანი კალაბრია, რომლის ველური ხეობებიდან ანაზდეულად იშლებოდა მზის სხივებით განათებული ზღვის ხედი, ყოველნაირად უწყობდა ხელს მისტიური გან-წყობილების გაღვივებას და სრულიად განსაკუთრებულ პირობებს უქმნიდა მას. მთის თხემზე დამკვიდრებული განდეგილები თავიანთი მაღალი სავანიდან ჭვრეტდნენ ორ დიდ რელიგიას, ერთმანეთში რომ ინაწილებდნენ სამყაროს იმ ნაწილს, რომლის დაუფლებაც ჯერ კიდევ ვერ მოესწრო რომის ეკლესიას: მე აქ ისლამსა და ბერძნულ ეკლესიას

ვგულისხმობ. მაჰმადიანობა, რომელიც ჯერ კიდევ მყარად იდგა ნორმანების მიერ დაპყრობილ სიცილიაში, შთამბეჭდავ ზემოქმედებას ახდენდა მთელ სამხრეთ იტალიაზე თავისი დახვეწილი ზნე-ჩვეულებებით, მაღალი კულტურითა და რელიგიური გრძნობის სიწმინდით. სიცილიელ ბერძენ სქიზმატიკოსთა და ლათინურ ეკლესიას შორის რომის ერთგული „ბაზილიელები“,[28] კვლავინდებურად რომ ინარჩუნებდნენ თავიანთ ენას და ლიტურგიას, თითქოს ერთმანეთთან აკავშირებდნენ ორ დიდ ქრისტიანულ ოჯახს. ამ მხარეში მათ საკმაოდ ბევრი მონასტერი ჰქონდათ. მაშინ როდესაც რომი და ჩრდილო იტალია მოუსვენრად ბორგავდა, მწვალებლობით განამებული, დიდი საბერძნეთი მშვიდად უბრუნდებოდა ანტიკური იდეალიზმის ტრადიციებს და სიმბოლოებს, საღვთისმეტყველო თეორიებისა თუ რიტუალების უსასრულო მრავალფეროვნების მიღმა მისი წმინდა სახით ჭვრეტდა მარადიულ ჭეშმარიტებას.

ჯოაკინოს ბავშვობიდანვე უყვარდა განმარტოება. ვაზის ჩრდილქვეშ, ვეება ლოდზე გაწოლილი, თითქმის მთელ დროს ლოცვაში ატარებდა. განათლება კოზენცაში მიიღო და თხუთმეტი წლისა უკვე კალაბრიის სამეფო კურიაში გაამწესეს. მაგრამ Სევდიანი ყმაწვილი, „სახით ანგელოზს რომ მოგაგონებდათ“, ვერ შეეგუა საერო ცხოვრების ფუჭ ფუსფუსს და ამაოებას. მისი კალამი ანგარიშმიუცემლად დასრიალებდა ქაღალდზე, თვითონ კი ოცნებით შორეულ აღმოსავლეთს, ბიზანტიურ საოცრებებს, გალილეის ხეობებსა თუ უფლის საფლავს დასტრიალებდა თავს. დაჟინებით მიილტვოდა იქითკენ და, ბოლოს, მამამაც გაუშვა იგი, მაგრამ ისე კი არა, როგორც ღატაკი პილიგრიმი, არამედ როგორც ჭაბუკი პრინცი: მეგობრებისა და მსახურების ამალით. კონსტანტინეპოლს რომ მიაღწია, მაშინ იქ შავი ჭირი მძვინვარებდა და ადამიანური უბედურების გულშემზარავი სურათის ხილვისას მთელი სიცხადით წარმოუდგა თვალწინ თავისი ნამდვილი მოწოდება. უკანვე გაისტუმრა მხლებლები, გარდა ერთისა,

თმა შეიკვეცა, ძაძა შეიმოსა და ფეხით დაადგა წმიდა მიწისაკენ მიმავალ გზას. დაღლილობისაგან ქანცგაწყვეტილი გზად შიშვლ-ტიტველ არაბებს გადაეყარა და თავისი ტანსაცმელი მათ მისცა. ავადმყოფობამ აიძულა რამდენიმე დღე მათთან დაეყო და ამ „უსჯულოთა“ გულთბილობითა და სტუმართმოყვარეობით მოიხიბლა. როგორც იქნა მიაღწია წმიდა ქალაქს და ორმოცი დღის განმავლობაში თაბორის ერთ-ერთ მღვიმეში განმარტოვდა. პასექის დილას მთელი სიცხადით წარმოუდგა თვალნინ თავისი მომავალი პროფეტული მოღვაწეობის გეგმა: ამიერიდან ის უნდა ქცეულიყო გარდაქმნილი ქრისტიანობის მოციქულად. მაშინ დაბლა, დაბებისაკენ დაეშვა და „ქალაქების დანახვისას მწარედ დაიტირა ისინი“. მერე სიცილიაში დაბრუნდა და ერთი ბერძნული მონასტრის მახლობლად მღვიმეს შეაფარა თავი. გამუდმებული მარხვით, ლოცვით და ცრემლის ღვრით ინანიებდა სიცილიის ცოდვებს. ბოლოს, კალაბრიაში დაბრუნებული, მთას შეეხიზნა. სრულიად შემთხვევით მიაგნეს: ერთმა მისმა მეგობარმა ლეღვი მოიპარა და მის დასახსნელად გამოცხადდა. მამამ, რომელსაც ეგონა, შვილი აზიაში დამეღუპაო, ნება დართო სამბუჩინის ცისტერციანულ მონასტერში ბერად აღკვეცილიყო, სადაც მან თორმეტი წელი დაჰყო; აქ ის მეკარის მოვალეობას ასრულებდა. ერთხელ, როცა ბაღში სეირნობდა და ღმერთზე ფიქრობდა, უცებ საოცრად მომხიბლავი ჭაბუკი გამოეცხადა, რომელმაც ამფორა გაუწოდა და უთხრა: „ჯოაკინო, აიღე და შესვი ეს ღვინო, ნახე, რა მშვენიერია“. ჭაბუკმა ბერმა წყურვილი მოიკლა და ჭურჭელი უკანვე დაუბრუნა. „ეჰ, ჯოაკინო, – უთხრა ანგელოზმა, – ბოლომდე რომ დაგეცალა, ყოვლისმცოდე გახდებოდიო“.

მაგრამ ჭაბუკმა მაინც საკმაოდ შესვა ღვინო, რათა მაშინვე მიმხვდარიყო, რომ მისმა საათმა დაჰკრა. ჯოაკინომ თავისი ქადაგება დაიწყო. დიდხანს ქადაგებდა რენდაში. სრულყოფილად ფლობდა ბრბოის წინაშე მჭევრმეტყველების ხელოვნებას და ზემოქმედების

გასაძლიერებლად ბუნებრივ მოვლენებსაც იშველიებდა. ერთხელ, კაცთა ცოდვებზე რომ ლაპარაკობდა, ცა მოიქუფრა და თავსხმამ დაუშვა. მაგრამ ღრუბლები სულ მალე გადაიყარა და მთელი ეკლესია მზის მხიარულმა შუქმა მოიცვა. ჯოაკინომ მაშინვე შეწყვიტა ქადაგება, Veni Creator[29]-ის საგალობელი წამოიწყო და გარეთ გამოვიდა, რათა ხალხთან ერთად მისალმებოდა მზეს.

მაგრამ შორს როდი წასულა სამოციქულო გზაზე, რომელსაც თითქოს ფრანჩესკო ასიზელს უმზადებდა. ეკლესიამ აიძულა გაპარსულიყო და თავის ჩვეულებრივ საქმიანობას დაბრუნებოდა (1168 წ.). კორაცოს სააბატოში, სადაც სამღვდლოდ ემზადებოდა, მან შეიტკბო და შეიყვარა სამონასტრო ცხოვრების მყუდროება, რომელიც უფრო შეესაბამებოდა მის ბუნებას, ვიდრე მქადაგებლის შრომა. ჯოაკინო ცისტერციანელებში ჩაირიცხა და გულმოდგინედ შეუდგა საღმრთო წერილის შესწავლას. დაახლოებით 1178 წელს, ძმობის დაჟინებული თხოვნით, აბატი გახდა. მაგრამ ამქვეყნიური საზრუნავი, მონაზვნების დავა და აყალმაყალი, დიპლომატიური ურთიერთობა ნორმანთა სასახლის კართან და მთელი მონასტრის მართვა – ყოველივე ეს სულიერ დაცემად ესახებოდა ამ კუშტსა და სევდიან კაცს, თავისი სენაკის ბინდბუნდში ნამდვილ ნეტარებას რომ განიცდიდა ესაიასა და იოანე მოციქულის წინასწარმეტყველებათა კითხვისას. ის გაიქცა თავისი მონასტრიდან და რომს მიაშურა, რათა პაპ ლუციუს III-სათვის ეთხოვა გათავისუფლება იმ მძიმე ტვირთისგან, რაც ხელს უშლიდა იმაში, რომ უფლის სიტყვაზე ეფიქრა. პაპმა შეიწყნარა მისი თხოვნა და განმარტოებას მონატრული ჯოაკინო კალაბრიაში დაბრუნდა. უწინდებურად განმარტოვდა პიეტრალატას უდაბნოში, სადაც თავაუღებლივ მუშაობდა თავის სამ მთავარ თხზულებაზე: „ძველი და ახალი აღთქმის კონკორდანსი“, „აპოკალიპსისის კომენტარები“ და „ათძალიანი ფსალმუნნი“. ნმიდა ტახტი მხარს უჭერდა მის ღვაწლს. ლუციუს III-ის კვალდაკვალ, ურბინუს III-მ და კლემენტე III[30]-მ აკურთხეს მისი

შრომა, იმ პირობით, რომ ის პაპის ცენზურისათვის უნდა ეჩვენებინა. ჯოაკინო მთელ ნახევარკუნძულზე მონასტრიდან მონასტერში დაიარებოდა, უშუალოდ აკვირდებოდა ეკლესიის წყლულებსა თუ მონაზვნობის დაცემას და რეფორმის აუცილებლობას უქადაგებდა ბენედიქტელებს, რომელთა მონასტრებშიც „ფუძემდებლის წესდება მთლიანად გამოსულიყო ხმარებიდან, არას დაგიდევდნენ შრომასა და თავშეკავებას, სიმდიდრე და ფუფუნება სისუსტისა და უმწეობის წყაროდ ქცეულიყო, უძლურთა სნეული კუჭი კი ვეღარაფერს ინელებდა, რძის გარდა“.* ჯოაკინო საბედისწერო დღეების მოახლოებას უწინასწარმეტყველებდა ქრისტიანობას, სამთავროებსა და რესპუბლიკებს. იტალია შეშფოთებით უგდებდა ყურს ამ უცნაურ კაცს, წმიდა წერილის ტექსტში რომ კითხულობდა საღმრთო საიდუმლოთა ფარულ აზრს და თავისი მკაცრი ცხოვრებითა თუ წინასწარმეტყველებით თვალნათლივ უჩვენებდა ყველას, რომ ქრისტიანული საზოგადოება არასწორ გზას ადგა. მისკენ ყოველი მხრიდან მოისწრაფოდნენ მოწაფეები, განათლებული მონაზვნები, როგორც მაგალითად, რანიერი ფორმიის სააბატოდან, სინიდისის ქეჯნისაგან გათავისუფლების მოწადინე ცოდვილნი და მისტიკოსები, რომლებსაც სურდათ მისი მეშვეობით ჩასწვდომოდნენ საღმრთო წერილის სიმბოლური სიბნელის სიღრმეს. როცა პიეტრალატას თავშესაფარი მეტისმეტად ვიწრო შეიქნა, ჯოაკინო კიდევ უფრო მაღლა აუყვა კალაბრიის მთებს და სილას ზეგანზე, „ცივი ალპების გულში“, როგორც გადმოგვცემს მისი ბიოგრაფი ჯაკომო გრეკო, თავისი მიმდევრებისათვის დაარსა დელ ფიორეს სპირიტუალისტური მონასტერი, რომელიც იოანე ნათლისმცემელს მიუძღვნა. ცელესტინე III-მ[31] 1196 წელს დაამტკიცა მისი სტატუსი. მაშინ როდესაც ნორმანთა სამეფოს უკვე არყევდა ჰენრიხ VI შვაბიელის[32] თავდასხმები და მთელ სამხრეთ იტალიაში გაისმოდა სიმწრისა და

* Exposit. in Apocal., 80, 3.

სასოწარკვეთილების ყვირილი, სილას ზეგანზე გადაჭიმულ უდაბნოში განმარტოებული მისტიკოსების ყურამდე გარე სამყაროდან მხოლოდ ფიჭვნართა ჩუმი შრიალი და თავქვე დაქანებული ჩანჩქერების შორეული ზათქი აღწევდა.

IV

XIII საუკუნის დასაწყისშივე ჯოაკინომ სიკვდილის მოახლოება იგრძნო და უკანასკნელად გადაათვალიერა თავისი თხზულებები, მისი სალმობისა და სასოების ეს უკვდავი მოწმენი. ამოარჩია თავისი მემკვიდრე, რომელსაც დელ ფიორეს მონასტრის წინამძღვრობა მიანდო და ბრძანა პიეტრალატაში, სან მარტინოს პატარა მონასტერში გადაეყვანათ, სადაც აპირებდა სიკვდილს. სამხრეთ იტალიის ყველა ბენედიქტელმა სულთმობრძავის გარშემო მოიყარა თავი, რათა მხცოვანი აბატის უკანასკნელი ქადაგება მოესმინათ. „ჯოაკინომ ხსნის გზა უჩვენა შეკრებილთ და მათი ორდენის აღსასრული უწინასწარმეტყველა. გამუდმებით უმეორებდა ყველას: ამას გიბარებთ, რომ მუდამ გახსოვდეთ – გიყვარდეთ ერთმანეთი, როგორც ქრისტემ შეგვიყვარა ჩვენ“. მერე კი დალოცა ყველანი, კორაცოს მონაზვნებით, როგორც თავისი უფროსი შვილებით დაწყებული და დელ ფიორეს განდეგილებით დამთავრებული. გარდაიცვალა 1202 წლის 30 მარტს.

იმდროინდელ იტალიურ ეკლესიაში ვერ ნახავდით ქრიტეს უფრო ერთგულ მოწაფეს. „იესოსგან ისწავლა მან სიკეთე და თვინიერება“. მისი თავმდაბლობა და ლმობიერება მართლაც გასაოცარი იყო: გულში იკრავდა და თავისი მკერდით ათბობდა სულთმობრძავს; იმ ზამთარს, რომელიც წინ უძღოდა მის სიკვდილს, სიცილიასა და კალაბრიაში დიდი შიმშილობა ჩამოვარდა: მან თავისი უკანასკნელი ტანსაცმელი მისცა ღატაკებს; თავისი ხელით ასუფთავებდა სნეულთა თავშესაფრის იატაკს; ჰენრიხ IV-ის სისასტიკისაგან იცავდა და იფარავდა ქალაქებს; თავს ევლებოდა ყველა ტანჯულს მისი სარწმუ-

ნოების მიუხედავად; ერთხელ, ტრებორნაში, თავშესაფრის ძიებისას კარზე მიუკაკუნა ერთ ბერძენ მღვდელს, რომელსაც ლეო ერქვა სახელად. მისი ცოლი ავად იყო, ჯოაკინოს დანახვისას ფეხქვეშ ჩაუვარდა და შეევედრა: „უფალო, თუ გნებავს, განვიკურნები“. წმიდა კაცმა თანალმობით მიუგო: „თუ გწამს, რომ ღვთის შეწევნით შემიძლია შენი განკურნვა?“ „დიახ, უფალო, მწამს“. მაშინ ქრისტეს მსახურმა ცის მიმართ აღაპყრო ხელი, მერე თავზე დაადო სნეულს, პირჯვარი გადასახა და უთხრა: „ადექი, ქალო, შენმა რწმენამ და ღვთისმოსაობამ გადაგარჩინა“. ამის თქმაც იყო და სნეული განიკურნა.

მაგრამ XII საუკუნის ადამიანებს ყველაზე მეტად მისი ნათელმხილველობა უკვირდათ. ფრა ლუკას, მის ყოფილ მდივანს, რომელიც შემდეგ კოზენცას არქიეპისკოპოსი გახდა, ეჭვიც არ ეპარება იმაში, რომ დელ ფიორეს აბატი ერთავად ხილვებში იყო დანთქმული, გამუდმებით ხედავდა ზებუნებრივ არსებებს, რომლებსაც მხოლოდ მისი სულიერი მზერა თუ გაარჩევდა, და ასევე გამუდმებით ესაუბრებოდა მისტიურ ძალებს, რომელთა სიტყვების აღქმა ძეხორციელის ყურს არ შეეძლო. „ყოველთვის მის ფერხთით ვიჯექი; დღე და ღამ განუწყვეტლივ მკარნახობდა, მე და ორი სხვა ბერი – ფრა ჯოვანი და ფრა ნიკოლა კი იქვე ვიწერდით მის სიტყვებს. წირვის დროსაც გვერდით ვედექი და განცვიფრებული ვიყავი მისი ღვთისმსახურებით. ყველა სხვა მღვდელზე უფრო მაღლა რომ აღმართავდა ხელს, გულმხურვალე მადლს სწირავდა უფლის წყალობას, ხოლო ამ დროს მის სახეს, ჩვეულებრივ, ხმელი ფოთოლივით ფერმკრთალს, რაღაც უჩვეულო, ჭეშმარიტად ანგელოზური ნათელი ეფინებოდა... ხშირად მინახავს ამ დროს მტირალი, უმეტესწილად კი უფლის ვნებათა კითხვისას... როცა მთელი კაპიტულის წინაშე ქადაგებდა, გვეგონა, თითქოს ანგელოზი დაგვყურებდა თავს. იწყებდა ჩუმად, ხმადაბლა, მაგრამ ხმა თანდათანობით ძლიერდებოდა და ბოლოს მეხივით გრგვინავდა. ღამეებს თეთრად ათენებდა, განუწყვეტლივ ლოცულობდა, კითხ-

ულობდა და წერდა". არასოდეს არ ეძინა, „თვით ქორო-ზედაცო", – დასძენს კეთილი ბერი. რაც უფრო მეტს მარხ-ულობდა, მით უფრო მხნე და მხიარული ჩანდა. „ხშირად მინახავს მუხლმოყრილი, სასოებით რომ აღეპყრო ხელი ცის მიმართ მზირალს: ისე მხიარულად ესაუბრებოდა იესოს, თითქოს პირისპირ ხედავსო". „ვნების დღეებში – წერს ჯაკომო გრეკო, – ამქვეყნიურს აღარა ჰგავდა; მაცხოვართან ერთად განიცდიდა მის ტანჯვას და ისე ინთქმებოდა ღვთაებრივ აგონიაში, რომ ეს დღეები მეტის-მეტად მოკლედ მიაჩნდა".

ჯოაკინოს სიკვდილის შემდეგ, მისი წიგნები რომ გადაშალეს, მიხვდნენ, რა საშინელ ძრწოლასაც მოეცვა აბატის სული, როცა მორჩილებს თავის უცნაურ გა-მოთვლებს და უჩვეულო ხილვებს კარნახობდა. მას თავზარს სცემდა ანტიქრისტეს გამოჩენა, რაშიაც ეჭვიც არ ეპარებოდა, და, ყველა მიამიტი სქოლასტის მსგავსად, სამების დოგმიდან გამომდინარე ზოგიერთი გაუგებრობა, სამებისა, რომელიც ლამის „ტრითეიზმად"[33] გარდაქმნა, პეტრე ლომბარდისეული[34] „ოთხებით" დაფეთებულმა. მა-გრამ საღმრთო წერილის სიღრმეში მან თვალი ჰკიდა გა-მაოგნებელ გამოცხადებას, რომლის თანახმადაც, ქრის-ტიანობის სავანე – მიწიერი ეკლესია მხოლოდ დროებით გაშლილი კარავი იყო, ერთი ღამის თავშესაფარი, რო-მელიც გარიჟრაჟისთანავე უნდა აეკეცათ. 1200 წლის პასექის ღამეს, სამარისებურ სიჩუმეში, მან წინასწარ განჭვრიტა ქრისტიანობის მომავალი. ჯოაკინოს ეშინოდა დუმილისა, ხმის ამოღებას კი ვერ ბედავდა. საუკუნე ძველი სახარების მიერ ნაწინასწარმეტყველები საში-ნელების წინაშე ძრწოლით ღაფავდა სულს, და ჯოაკინოც შეძრწუნებული ეკითხებოდა თავის თავს, რა ტანჯვის ფასად შეიძლებოდა დასჯდომოდა სამყაროს მარადიული სახარების დაბადება.

V

და მართლაც, კალაბრიელი ნინასწარმეტყველი სრული შეგნებით იუწყებოდა მარადიული სახარების მოვლინებას. მისი აზრით, სული წმიდას ისევე უნდა განეწონა მორწმუნეთა რელიგია, როგორც ის უფრო ადრე განიწონა მამისა და ძის მიერ. „ის დამკვიდრდება თავისი სახარების მეოხებით", – ამბობს ფსალმუნი. მაგრამ რომელი სახარება იგულისხმება? სწორედ ის, რომელზედაც ლაპარაკობს იოანე მოციქული თავის „გამოცხადებაში": „და ვიხილე შუა ცაში მფრინავი სხვა ანგელოზი, რომელსაც ჰქონდა სახარება მარადიული"...[35]

ის ამოიზიდება ქრისტიანული გამოცხადების იდუმალი სიღრმიდან, როგორც აზრი ამოდის ასოდან. ჯოაკინო წერს: „ამ სახარებას იოანემ იმიტომ უწოდა მარადიული, რომ ქრისტესა და მისი მოციქულების მიერ ჩვენთვის ბოძებული სახარება წარმავალია; წარმავალია იმდენად, რამდენადაც საიდუმლოთა ფორმას ეხება საქმე, მაგრამ მარადიულია იმ ჭეშმარიტებათა მიხედვით, რომელთა სიმბოლურ გამოხატულებადაც ეს საიდუმლონი გვევლინებიან". ახალი აღთქმის სიტყვებში მოქცეული სული თავისი განვითარებით დაარღვევს იმ სიმბოლურ ტექსტს, რომელიც გარსივით გარს აკრავს მას, როგორც ყვავილი გაშლისას გლეჯს თავის ბუტკოს. ამ იდეალურ სახარებას ჯოაკინო „ქრისტეს სულიერ სახარებასაც" უწოდებს და ამბობს, რომ „ის მალე გაბრწყინდება მთელი თავისი სიდიადით, როგორც მზე, რომელსაც ველარ ფარავს ღრუბელი, ან მოსეს სახე, რომელსაც ველარ გვიბურავს ბნელი". ძალიან ხშირად ის Evangelium regni[36]-საც უწოდებს მას. ძველმა აღთქმამ ასოს საბურველი ჩამოაფარა ჭეშმარიტებას, ახალმა აღთქმამ კი მოსეს სჯულს ჩამოხსნა იგი და, ამრიგად, დასაბამიდან აღთქმულ სიკეთეს გვაზიარა. მაგრამ როდესაც ნათლიდან ნათლისკენ მიმავალნი სულის მიერ შევძლებთ ღვთაებრივ საგანთა უშუალო წვდომას, მთელი თავისი სიდიადით ვიხილავთ ქრისტეს და ჭვრეტის მწვერვალს მიღწეულნი გავიგონებთ

მამის ხმას, რომელიც ამბობს: „ეს არის ძე ჩემი საყვარელი“.[37] მხოლოდ მარადიული სახარებით დავიბადებით ჭეშმარიტად იესო ქრისტეში, ასოებით შეთხზული წარმავალი სახარება კი, არსებითად, მიილევა სულის გამოცხადების წინაშე და მორწმუნენი დაიმკვიდრებენ მიწას, „სადაც მოედინებიან რძისა და თაფლის მდინარენი“.[38]

გარდასული დროის მანძილზე ღვთაებრიობის უწყვეტი განვითარება და ორი პირველი გამოცხადების ჰიერარქია ჯოაკინოსათვის ქრისტიანიზმის საბოლოო კრიზისის უტყუარ დასტურად გვევლინება. სამი ეპოქისა თუ სამყაროს სამი რელიგიური მდგომარეობის სხვადასხვაობა – აი, მისი მოძღვრების ცენტრალური მომენტი, რასაც ის აყალიბებს თავის ძირითად შრომაში „Concordia“ კომენტარების უჩვეულო სიუხვისა და ისტორიული მიახლოებისა თუ გამოთვლების წყალობით. კონკორდანსი მისთვის ეგზეგეტიკის უმკაცრესი მეთოდია, რომელსაც ის ადარებს უდაბნოდან ქალაქში მიმავალ გზას, სადაც მგზავრი ბორცვებსა თუ გორაკებზე ისვენებს ხოლმე, რათა თვალი გადაავლოს როგორც გავლილ, ისე გასავლელ მანძილსაც. ძველი და ახალი აღთქმა სწორედ კონკორდანსის მეშვეობით ზომავენ ერთიმეორეს quoad numerum, non quoad dignitatum,[39] რადგანაც ძველი აღთქმის სახეები და ფაქტები, არსებითად, ახალი აღთქმის სახეებსა და ფაქტებში მეორდებიან. მაგრამ ეს უკანასკნელნი თავიანთი ღირსებით აღემატებიან პირველთ, რამდენადაც იოანე ნათლისმცემელი – ისააკზე, ხოლო ღმერთკაცი იესო იაკობზე უმეტესია. პირველი რელიგიური ერა, როცა ადამიანები ხორციელად ცხოვრობდნენ, ადამიდან იწყება და იესო ქრისტემდე გრძელდება; მან მთელი თავისი ნაყოფი გამოიღო აბრაამიდან ზაქარიამდე. მეორე ერა, როცა ადამიანები ხორცსა და სულს შორის ცხოვრობენ, ოსიათი და ელისეთი იწყება და თვით ჯოაკინოს დრომდე გრძელდება; მან მთელი თავისი ნაყოფი გამოიღო ზაქარიადან წმიდა ბენედიქტემდე. და ბოლოს, მესამე ერა, როცა ადამიანები მხოლოდ და მხოლოდ სულით იცხოვრებენ, წმ.

ბენედიქტეთი იწყება და გაგრძელდება უკუნისამდე. ამ სამ ერას, რომელთაგანაც პირველი ორის დასაწყისი წინა ეპოქის დასასრულს ემთხვევა, – ადამიანთა სამი სხვადასხვა გვარი შეესაბამება, რომელთაც ღმერთმა უბრძანა უზენაესი რელიგიური ცხოვრებით ეცხოვრათ: პირველ გვარს მიეკუთვნებიან მეუღლენი, ე.ი. პატრიარქები და მეფეები; მეორე – კლერიკოსთა გვარი ჯერ კიდევ ლევიტების დროს დაიწყო და თავის უზენაეს განსახიერებას იესო ქრისტეში – მეუფესა და მღვდელთმთავარში მიაღწია; მესამეა მონაზონთა გვარი, ხოლო მათ შორის უპირველესი წმიდა ბენედიქტეა.[40] მართალია, მონაზვნები მანამდეც იყვნენ, მაგრამ მონაზვნობამ თავისი ჭეშმარიტი სახე მხოლოდ მისი მეოხებით მიიღო, როცა „სული წმიდამ თავისი სრული ძალმოსილება გამოავლინა". და თავის ამ ჰიმნივით ბრწყინვალე ფრაგმენტს ჯოაკინო წმიდა ავგუსტინესა და სკოტუს ერიუგანას ისტორიული ხილვით ამთავრებს: „პირველი ერა შემეცნების ეპოქა იყო, მეორე – სიბრძნისა, მესამე კი სრულყოფილი სულიერი წვდომის ერა იქნება; პირველს მონური კირთების ეპოქა ერქვა, მეორეს – შვილური მორჩილებისა, ხოლო მესამეს თავისუფლების ერა ერქმევა; პირველს გამოცდის ერა უნდა ეწოდოს, მეორეს – მოქმედებისა, მესამე კი ჭვრეტის ერად იწოდება; პირველი შიშის ერაა, მეორე – რწმენის, მესამე კი – სიყვარულისა; პირველი მონების ეპოქაა, მეორე – შვილების, მესამე – მეგობრებისა; პირველი – სიბერის, მეორე – სიჭაბუკის, ხოლო მესამე – სიყრმისა; პირველს თავს დაჰნათოდა ვარკვლავთა შუქი, მეორეს – ცისკრის ციაგი, მესამეს კი გაანათებს დღის ბრწყინვალება; პირველი ზამთარსა ჰგავდა, მეორე – გაზაფხულის დამდეგს, ხოლო მესამე ზაფხულს ემგვანება; პირველი ჭინჭრით მოვიდა, მეორე – ვარდთა სურნელით, ხოლო მესამე ველის შროშანთა შრიალით მოვა; პირველმა ბალახი აღმოაცენა, მეორემ – ჯეჯილი, მესამე კი ხორბლით აგვავსებს; პირველმა წყალი გვიწყალობა, მეორემ – ღვინო, მესამე კი ზეთს გვიწყალობებს; პირველი ძე შეცთომილის

კვირას ეკუთვნის, მეორე – მართლმადიდებლობისას, ხოლო მესამე პასექის დღესასწაულად მოგვევლინება; პირველი მამაზეციერის ერა იყო, ყოველივე ხილულისა და უხილავის შემოქმედისა, მეორეს ღვთის განკაცებული ძის ერა ერქვა, მესამე კი სული წმიდის ერა იქნება, რომლის მოციქულიც ამბობს: „სადაც არის სული უფლისა, იქვეა თავისუფლებაც“.* [41]

ჯოაკინოს სწამს, რომ დიადი დღე უკვე ახლოა. მისი გამოთვლით, ადამსა და იესო ქრისტეს შორის 1260 წელი, ანუ, რაც იგივეა, ორმოცდაორი თაობის სიცოცხლე ძევს, რომელთაგანაც თვითეულის ყავლი ოცდაათი წლით განისაზღვრება.[42] ორი აღთქმის კონკორდანსის თანახმად, ამდენივე წელი გაივლის ქრისტეს მოსვლიდან სული წმიდის ნეტარ ერამდე. აღსრულდება თუ არა 1260 წელს დიადი მისტერია? აქ წინასწარმეტყველს ეჭვი იპყრობს. მისი აზრით, ორი უკანასკნელი თაობა შეიძლება ანგარიშში არც მივითვალოთ. ამრიგად, რელიგიური კრიზისის დასაწყისი 1200 წელსაა მოსალოდნელი. XII საუკუნის პირველი ნახევარი ეკლესიისათვის ტრაგიკული მოვლენებით იქნება სავსე. მოვა ანტიქრისტე და თავზარს დასცემს მთელ საქრისტიანოს: „აღარც მსხვერპლშეწირვა იქნება და აღარც შემწირველი, საეკლესიო წესრიგი ისე მოიშლება, რომ უთვალავ ხალხში ერთ კაცსაც ვეღარ ნახავთ, ვინც გაბედავდა ხმამაღლა ეხსენებინა უფლის სახელი“. მაშინ გრგვინვასავით ახმიანდება მთავარანგელოზის საყვირი და აღსრულდება ყველა საიდუმლო, რასაც გვაუწყებს საღმრთო წერილი: „ასე მოიწევა დედამიწაზე მშვიდობისა და ჭეშმარიტების სუფევის ჟამი“. ჯოაკინოს უკვე ყურში ჩაესმის ქარიშხლის შორეული ბორგვა და ხმამაღლა უხმობს უფლის მეგობრებს – იზრუნეთო სულის ხსნისათვის: „თუ არის ვინმე ლოტის სახლეულთაგანი, დაუყოვნებლივ გაეცალოს სოდომის გალავანს, და თუა ვინმე ნოეს სახლეულთაგანი, სასწრაფოდ შეუერთდეს მათ, ვინც უკვე

* Concordia, lib. V, cap. 84.

შეაფარა თავი კიდობანს". „კონკორდანსის" ბოლო სტრიქონებს უკვე სულთმობრძავი წერს და მკითხველებს ევედრება, ილოცონ მისი სულისთვის. „თუ იმ დღეს მოვესწარი, ღმერთმა შემაძლებინოს ქრისტეს სჯულისათვის ბრძოლა, რათა მის აღმსარებლებთან ერთად დავიმკვიდრო სასუფეველი. ამინ. ამინ.ამინ."*

VI

რელიგიური ჭეშმარიტების ერასთან ერთად, ჯოაკინოს აზრით, დაიწყება სინიდისის, ეკლესიისა და მთელი ქრისტიანული სამყაროს ევოლუცია. მარადიული სახარების არსში წვდომა მხოლოდ სპირიტუალურ, ანუ მისტიურ გონებას – misticus intellectus – თუ შეუძლია, რადგანაც მხოლოდ მას შესწევს იმისი ძალი, რომ სული წმიდამდე ამაღლდეს. ამიტომ ეს იქნება პირწმინდად მისტიური და კონტემპლაციური ეკლესიის ხანა, ეკლესიისა, „ყოველგვარი მიწიერი საზრუნავისაგან თავდახსნილი მხოლოდ სპირიტუალური ცხოვრებით რომ იცხოვრებს და სხვა საქმე არ ექნება, ლოცვისა და გალობის გარდა". საღმრთო სიყვარულით გულანთებული მონაზვნობა, ისევე, როგორც სული წმიდა, რომლის სიმბოლოდაც ის გვევლინება, „ვეღარ შესძლებს შეიზიზღოს ეს ქვეყანა და მთელი მისი ამაოება, თუკი სამუდამოდ დაიხსნის თავს იმ სულის მძლავრობისაგან, უდაბნოში რომ გაიხმო ჩვენი უფალი".** მონაზვნურ ეკლესიას ძველად ელისე განასახიერებდა, შემდეგ კი წმიდა ბენედიკტე და ბენედიკტელთა ყველა მონასტერი, რომელთა სიმბოლოდაც იაკობის კიბე[43] უნდა მიგვაჩნდეს; მაგრამ სულის რელიგიას ყველაზე უფრო სრულად წარმოგვიჩენენ ბერძნული ეკლესია და მეუდაბნოე მამები. ქვეყნის ფუჭ ფუსფუსს გარიდებული და კლდოვან მღვიმეში დაყუდებული განდეგილი, ველური ფუტკრები რომ ასაზრდოებენ თავიანთი თაფლით, – აი,

---

* Concordia, lib. V, cap. 116, 117, 119.

** Concordia, ibid., Tract. I, cap. VIII.

ვინ არის დელ-ფიორელი აბატისათვის ჭეშმარიტი ქრისტიანის უსრულქმნილესი ნიმუში, ვინც კი ოდესმე უხილავს ახალი აღთქმის ეკლესიას. სწორედ მას ეკუთვნის მომავალი; დროთა განმავლობაში სწორედ ის შეარიგებს ერთმანეთთან კაცობრიობის ყველა დიდ რელიგიურ ოჯახს სულის ტრანსცენდენტური სარწმუნოების წიაღში. ის იქნება შემაერთებელი რგოლი დასავლურსა და აღმოსავლურ ეკლესიებს შორის. მისი ქადაგება მოეფინება მთელ დედამიწას, გამქისებულ გულს მოულბობს ურჩ წარმართებს და მარადიული ეკლესიის წიაღისაკენ უბიძგებს ხანგრძლივი წინააღმდეგობით დაღლილ ბებერ ისრაელს.

ამრიგად, ჯოაკინო ქრისტიანობის დასასრულს კი არ მოელოდა, არამედ – გასრულებას; ქრისტიანული ეკლესიის დაქცევას კი არა, არამედ – აღზევებას. მას სწამდა, რომ სამღვდელოება ისევე თანდათანობით უნდა გამქრალიყო, როგორც ძველი აღთქმის დროს გაქრა ლევიტების წოდება. რელიგიურ საზოგადოებას სათავეში უნდა ედგნენ მონაზონები, ისევე, როგორც უწინ კლერიკალები წარმართავდნენ საერო საზოგადოებას. მაგრამ ტრადიციული სახარება ყველასათვის უსარგებლო წიგნად როდი იქცევა, რადგანაც მარადიული სახარება თავისთავად სულაც არ არის ის წიგნი, რომელიც შეცვლის ძველსა და ახალ აღთქმას, არამედ ისევე გამოვა ორივე მათგანიდან, როგორც სული წმიდა გამოდის მამისა და ძისაგან. ის საბოლოო ნათელს მოჰფენს ყველა უწინდელ გამოცხადებას და შინაგანი კავშირით შეაერთებს მორწმუნეთა სულს და სული წმიდას. ასე გამართლდება, იოანე მოციქულის წინასწარმეტყველებათა აღსრულების წყალობით, კაცობრიობის საუკუნოვანი ოცნება.

მთელი იტალია, სიცილიიდან ალპებამდე, უჩვეულო ძალით შესძრა ჯოაკინოს სიტყვებმა. მთელ ქრისტიანულ სამყაროს, წმიდა ტახტს, დასავლეთის ყველა მბრძანებელს თითქოს თვალი მოსჭრა დელ-ფიორელი განდეგილის ხილვამ. ამ საოცარ კაცს წილად ხვდა ღრმა კვალი დაეტოვებინა თანამედროვეთა ხსოვნაში, ხოლო ერთგვარმა მისტი-

ურმა შთაბეჭდილებამ, თაობიდან თაობაში რომ გადადიოდა, მნიშვნელოვანწილად შეუწყო ხელი წინასწარმეტყველის დიდების ზრდას. ჯოაკინო პასუხობდა თავისი დროის რელიგიურ მოთხოვნებს, მაგრამ მისი პასუხი მხოლოდ ნაწილობრივ თუ იყო ზუსტი. მისი მოძღვრების შინაგანი წინააღმდეგობანი, მისი თეორიის მთელი სისუსტე თავდაპირველად შეუმჩნეველი დარჩა. თანამედროვენი ვერ მიხვდნენ ამ კაცის ორჭოფობას, ერთდროულად რომ მიელტვოდა ნამყოსაც და მყოფადსაც და წარსულის მისტიურ ტრადიციებს ანდობდა მერმისის სულიერ აღორძინებას. მისი მაღალი აზრი, რწმენის სრულყოფის მცდელობა უზენაესი, ასოს არტახებისაგან განთავისუფლებული და სული წმიდის მიერ საკრალიზებული ქრისტიანობის წიაღში საამოდ ელამუნებოდა იტალიის სინიდისს, რომელიც, მწვალებლური სექტების მთელი სიმრავლის მიუხედავად, ჯერ კიდევ ინარჩუნებდა ერთგულებას თავისი ძველი სარწმუნოების მიმართ. ამიტომაც იყო, რომ იტალიელები ყურადღებით უსმენდნენ მის ხმას, რომელიც იუწყებოდა სამღვდელოების, საეროდ ქცეული წმიდა ტახტისა თუ სეკულარული ეკლესიის დამხობას და კიდით-კიდემდე („ზღვიდან ზღვამდე"*) მათი სამწყემსთმთავრო მოვალეობების გადასვლას კონტემპლატორთა და წმიდანთა ხელში.

ამით, ალბათ, ახდებოდა არნოლდ ბრეშიელის ოცნება. მაგრამ რაკი ის ტრიბუნი უფრო იყო, ვიდრე მისტიკოსი, ცხადია, მისთვის სრულიად მიუღებელი იქნებოდა ჰიერატიკული უძრაობის ის მდგომარეობა, რომელშიაც დელ ფიორეს აბატი აპირებდა მთელი ქრისტიანობის მოქცევას. ნაცვლად იმისა, რომ განევრცო ეკლესია და მის წიაღში შეეკრიბა მორწმუნეთა მთელი სიმრავლე, ის ფაქტიურად, ხურავდა მის კარს და ეკლესიაში მხოლოდ სანთლებით გაჩახჩახებული საკურთხევლის წინაშე მოწიწებით მუხლმოყრილი რამდენიმე წმიდანისთვის ტოვებდა ადგილს. მას

* Concordia, lib. 5, cap. 57.

სურდა აღეზევებინა მონაზვნობა სწორედ იმ დროს, როცა იტალია, დროის მოთხოვნების კარნახით, ბურჟუაზიულ კომუნას აარსებდა და სამუდამოდ უარყოფდა სოციალური წყობილების იმ კონცეფციას, შუა საუკუნეების საეკლესიო სინამდვილემ რომ შეიმუშავა. შროშანები, რომლებიც არც ართავენ და არც ქსოვენ,[44] ვერ იქნებოდნენ იმ სამყაროს სიმბოლური ყვავილები, რომლის ქმედითობაც უკვე მთელი ხმელთაშუა ზღვის აუზის ევროპულსა თუ აღმოსავლურ ქვეყნებს მოიცავდა. კონტემპლაციური ცხოვრება სულის ჭეშმარიტ კეთილშობილებას, მინიერი ინტერესებისაგან სრულ განდგომას, ყოველგვარი ქმედითობის უარყოფასა და აბსოლუტურ განმარტოებას გულისხმობს. ის ერთიმეორის მიყოლებით არღვევს ადამიანური თანაარსებობის ყველა კვანძს და ისე ადვილად გადის ფონს ყოველგვარი თანალმობის გარეშე, რომ შეუძლებელია, ბოლოს და ბოლოს, ეგოიზმში არ გადაიზარდოს. ის განუხრელად ვერ ასრულებს ღვთაებრივ აღთქმას, ჩვენამდე მოტანილს იოანე მოციქულის მიერ: „გიყვარდეთ ერთმანეთი“. ასე რომ, ძალაუნებურად იბადება კითხვა: იქნებ ძველი სახარება, ამდენხანს რომ ანუგეშებდა მრავალტანჯულ კაცობრიობას, უფრო მდიდარია, ვიდრე მარადიული სახარება? და, აი, წმიდა ფრანჩესკო ასიზელი, ხელახლა რომ გადაშლის ქრისტეს აღთქმას, მასში აღმოაჩენს საიდუმლოს, რომლის არსებობა მანამდე აზრადაც არ მოსვლია ვინმეს. ის მიხვდება, რომ ყოველი მორწმუნის ხსნა, როგორც მწყემსისა, ისე სამწყსოსიც, თვით ყველაზე უბირისა და უბადრუკის ჩათვლით, მხოლოდ მასზეა დამოკიდებული, და რომ ქრისტიანობა ძირეულად გარდაიქმნება მაშინ, როცა თვით ყველაზე დამცრობილი და დაკნინებული სულიც კი თავისი ნებით მიუბრუნდება ევანგელური ეპოქის სათნოებასა და სიქველეს. მას არც რომის გარდაქმნა დაუპირებია, არც ძველი მონაზვნობის აღორძინება და არც მთელი ავლადიდების ჩამორთმევა ეპისკოპოსებისა და კლერიკალებისათვის; არა, მხოლოდ შეეცადა შინაგანი კაცი გაეღვიძებინა ყველა ქრისტიანში

და მორწმუნეთა ერთსულოვანი ძალისხმევის წყალობით აეყოლიებინა ეკლესია. აი, რამ შეაძლებინა, თუმცა მღვდელიც კი არ ყოფილა პორტიუნკულაში, თავის ღარიბულ სენაკში, გადაეხადა ჯოაკინოს პასექი და მთელი საქრისტიანო მიეწვია დღესასწაულზე, რომელიც, მისი წინამორბედის აზრით, მხოლოდ მონაზონთა შორის ყველაზე ღირსეულთათვის იყო განკუთვნილი.

თავი III

წმიდა ფრანჩესკო ასიზელი და ფრანცისკანული ქადაგება

ჯოაკინო დელ ფიორე აღესრულა. იტალია, რომელსაც მან კვლავ მოახვია თავზე აპოკალიპსის მთელი საშინელება, შიშითა და ძრწოლით მოელოდა ანტიქრისტეს გამოჩენას, მაგრამ ანაზდად ღრუბლებიდან მზემ გამოანათა და ასიზის, პერუჯის, აგუბიოს, ორვიეტოსა და სპოლეტოს ხეობებს თავისი ცხოველმყოფელი სხივები მოჰფინა. ამ პატარა ქალაქებში, რომლებსაც არ შეხებია ფლორენციის, მილანისა თუ ვენეციის ბრწყინვალე ცივილიზაცია, და რომლებიც ტიბერისის ზემო დინების გასწვრივ, ტრაზიმენის ტბის გარშემო, ძველი ეტრუსკული უდაბნოს – კიანას სიღრმეში თითქოს სრულიად განკერძოებულსა და კარჩაკეტილ სამყაროს ქმნიდნენ, განგების ნებით, რელიგიური რენესანსის აკვანი უნდა დარწეულიყო. შუასაუკუნეობრივი სინამდვილე განსაკუთრებით მძიმე აღმოჩნდა ამ კუთხისათვის, რომელსაც იმპერატორები ქმედით დახმარებას ვერ უწევდნენ, პაპებმა კი, საეკლესიო პატრიმონიუმის დასაცავად, ციხე-სიმაგრეების ქსელით მოფინეს იგი. აქ კომუნალური რეჟიმი ვერ ჩრდილავდა მისთვის ნიშნეულ ყველა იმ ნაკლს, რაც გაცილებით უფრო ადვილი ასატანი ჩანს დიდ ქალაქებში. სანატრელი იყო მშვიდობაც: პერუჯა გამუდმებით ეომებოდა ასიზმის, ეკლესია და ბარონები კი ერთმანეთს ხელიდან გლეჯდნენ

ორვიეტოს, სპოლეტოსა და ნარნის. თუმცა ეკლესიის მძიმე ხელი აქ უფრო ნაკლებ იგრძნობოდა, ვიდრე სხვაგან: ჩიმინოს მთაგრეხილი უმბრიას თითქოს საიმედოდ იცავდა რომის ხარბი თვალისგან. ბენედიქტელებს აქ არ დაუარსებიათ არცერთი დიდი მონასტერი, და პაპიც აქაურების თვალში ერთ საკმაოდ აუტანელ საერო ფეოდალად ჩანდა. ამიტომაც იყო, რომ წმ. ფრანჩესკოს პირველსავე მოწოდებას ათასობით ადამიანი გამოეხმაურა. იტალიას არასოდეს სმენია უფრო დიდი ნუგეშისმცემლის ხმა. ის არ ქადაგებდა მონაზვნებისა და განდეგილების მკაცრ ასკეტიზმს; არც კათარებისა თუ ვალდელი[1] მისიონერებივით ცდილობდა შეერყია სარწმუნოება; არ აპირებდა ძირფესვიანად შეეცვალა ხალხის შეგნება და ახლებურად განემარტა სახარება, როგორც იქცეოდა ჯოაკინო, და არც არნოლდ ბრეშიელივით რაზმავდა ხალხს, რათა ნამდვილი ჯვაროსნული ლაშქრობა წამოეწყო ძველი ეკლესიის შესამუსრავად. მისი პირველივე ნაბიჯები მოწმობდა, რომ ეს იყო ნამდვილი სამხრეთელი, იტალიელი, პოეტი, სინათლის, სიხალისისა და სიკისკასის ტრფიალი, რომელმაც არ იცოდა, რა იყო სევდა, უმწეობა, უსასოება, და არც სული ამღვრევია ოდესმე შავბნელი ფიქრების ჯანლით. უნდა წარმოვიდგინოთ ისეთი, როგორსაც გვიხატავენ მისი პირველი მოწაფეები: დახვეწილი სახის ნაკვთები, სისხლივით წითელი ბაგეები, ცეცხლოვანი შავი თვალები, წელწვრილი და ბეჭგანიერი, მკვირცხლი, კისკასი, ჩაუქი, და არა სახეჩამომჭკნარი და ცხვირპირჩამომტირალი, როგორც წარმოგვიჩენენ მისი პორტრეტები, რომლებიც უეჭველად ესპანელი მხატვრების ფუნჯით უნდა იყოს შესრულებული. ის არის ჭეშმარიტი შვილი თავისი ქმედითი საუკუნისა. მისი აზრით, ყველაფერი მშვენიერია ამ ქვეყნად: ბუნებაც და ადამიანებიც. ის თავისსავე მსგავსთა სიახლოვეს მიელტვის და ყოველი სულდგმულის, თვით ყველაზე პატარა ქმნილებებისთვისაც კი პოულობს თავის სულში სითბოს, სინაზეს, სალოცავ სიტყვას. მას სულაც არ ემძიმება უფლის მამობრივი მარჯვენა. მისი გული მეტისმეტად

სუფთაა საიმისოდ, რომ სატანის ხრიკებს უფრთხოდეს, მის ბავშვურად მიამიტურ რწმენასთან კი რა ხელი უნდა ჰქონდეს სასონარკვეთას? სიჭაბუკისას ეგონა, რომ დიად საქმეთათვის იყო ხმობილი და ხმამაღალი ყიჟინით წინასწარვე მიესალმებოდა თავის მომავალს. პერუჯელებმა ტყვედ ჩაიგდეს ომში და მთელი ერთი წელი დილეგში ჰყავდათ გამომწყვდეული, სადაც თავისი უშრეტი სიხალისით აცვიფრებდა მცველებს: „ვინ გგონივართ? – ეკითხებოდა მათ, – იცით თუ არა, რომ ერთ მშვენიერ დღეს მთელი ქვეყანა თაყვანისცემის ნიშნად მუხლს მოიყრის ჩემს წინაშე?" მეგობრებს ეგონათ, ცოტა არ იყოს, ჭკუაზე მწყრალად არისო, და ვერ ხვდებოდნენ მისი სიტყვების აზრს, რომლებსაც წარამარა იმეორებდა: „ტყვე მხოლოდ ჩემი სხეულია, სული კი თავისუფალი, და მეც მეტი არა მინდა რა".

ის დაიბადა 1182 წელს, წარჩინებული ასიზელის ოჯახში. მეზობელ ქალაქებთან გაცხოველებული სავაჭრო ურთიერთობების წყალობით, ასიზის კომუნა ამ დროს უკვე ძალას იკრებდა. მამამისს, მდიდარ ვაჭარს ბერნარდონეს, თავისი მაუდის ნაწარმი საფრანგეთშიც კი გაჰქონდა გასასაღებლად. თვით ფრანჩესკოს კი სიყმაწვილეშივე დიდ სიამოვნებას ანიჭებდა ბერნარდონეს ფლორინების ფლანგვა. ძალზე მხიარული და დროსტარების მოყვარე იყოო, – გადმოგვცემს მისი პირველი ბიოგრაფი ტომაზო დი ჩელანო. ღამღამობით, ჩირაღდნების შუქზე, თავის ამფსონებთან ერთად დასეირნობდა ქალაქის ქუჩებში; მდიდრულად ჩაცმულს ხელში ბელადის კვერთხი ეჭირა.* ეს იყო დრო, როცა პროვანსული ცივილიზაცია

---

* წმ. ფრანესკოს ბიოგრაფიისათვის იხ. Acta Sanctorum, octob. t. II; Thomas de Celano, 1929; Tres Socii, 1247; Saint Bonoventure, 1263. Wadding, Annal. Minorum. წმიდანის დახასიათებისათვის იხ. Fioretti, ფრანციისკანიზმის ხალხური სახარება, უჩვეულოდ ნატიფი ანალიზის საშუალებით რომ გვიჩვენებს წმ. ფრანჩესკოსა და იესო ქრისტეს თეორიულ მსგავსებას. პირველად მოციქულობასთან დაკავშირებით იხ Anolecta franciscana, t I მისი სიკვდილისშემდგომი მოვლენების

ყველაზე დიდ გავლენას ახდენდა იტალიის სამოქალაქო ცხოვრებაზე. ტრუბადურები ნახევარკუნძულზე ნერგავდნენ სამხრეთ საფრანგეთის დახვეწილ კულტურას, მისი სატრფიალო ლექსებითა და ბრწყინვალე დღესასწაულებით. როგორც ჩანს, ფრანჩესკო ხშირად იყენებდა ფრანგულს, ან, უფრო სწორად, პროვანსულს, რომელიც, უმბრიულ კილოკავთან შედარებით, გაცილებით უფრო დახვეწილი ეჩვენებოდა. ფრანგულ რომანებზე, ფაბლიოებსა და სირვენტებზე აღზრდილი ჭაბუკი, მდიდარი ვაჭრის მემკვიდრე, რაინდობასა და უჩვეულო ავანტიურებზედაც კი ოცნებობდა გოტიე დე ბრიენის[2] ნორმანდიულ ბანდებთან ერთად. „დიდი ბარონი ვიქნებიო", – ხშირად ეუბნებოდა თავის მეგობრებს.

მეორეს მხრივ კი ურიცხვი შემზარავი შთაბეჭდილება თუ მტანჯველი განცდა, ყოველდღე რომ მეორდებოდა, მამის აუტანელი ხასიათი, მძიმე შრომით ქანცგაწყვეტილი მოქალაქეების ეგოიზმი და ათასგვარი უბედურება, რასაც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ანყდებოდა: ეკლესიის კართან ატუზული მათხოვრები, უდაბნოში მოლასლასე კეთროვანები, საეჭვო პილიგრიმები, დღისით ქალაქგარეთ რომ დაძრწოდნენ, ღამით კი მძარცველებად იქცეოდნენ, გაქცეული ყმები, მოწყალებას რომ თხოულობდნენ „ღვთის გულისათვის", – ყოველივე ეს მწუხარების ჩრდილს აფენდა და სინიდისის ქენჯნით უწამლავდა უწინდელ სიხალისესა და უზრუნველობას. ასიზის მომღიმარე ბუნების ნიაღში, თვალუწვდენი ზვრებით მოფენილ უმბრიის ვრცელ ხეობაში, თავს რომ წამოსდგომოდნენ და,

---

შესახებ იხ. Historia Septem Tribulationum Ordin. Minor. - Archiv für Literatur und Kirchen Geschichte, T. II; Archiv. stor. ital , fascic. 5, 1886. იტალიურ პოეზიასა და ხელოვნებაზე ნმ. ფრანჩესკოს გავლენის შესახებ იხ H. Thode, Franz von Assisi und die Anfänge der Kunst der Renaiss. in Ital., Berlin, 1885. ნმ. ფრანჩესკოს ცხოვრებისა და პიროვნების უფრო სრულად შეცნობის მიზნით იხ. Hase, Franz von Assisi, ein Heiligenbild, Leipzig, 1856; Renan, Nouv. Ét. d'hist. relig.; Ozanam, Poètes franciscains; Görres, Der heil. Franc. von Assisi, ein Troubadour, Strassburg, 1826.

როგორც აკვანში მწოლარე ყრმას, ფხიზლად დარაჯობდნენ მაღალი მთები, ამ კურთხეულ მხარეში, სადაც თითქოს პირდაპირ ციდან იფრქვეოდა სიცოცხლე, სილაღე და სიხალისე, ფრანჩესკო მიხვდა, რომ მხოლოდ ადამიანი იყო უმწეო, უსუსური და მიუსაფარი, ულმობელი სინამდვილის მიერ თავისი თანამოძმეების წინააღმდეგ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლისათვის განწირული და თვით ღვთისაგან დავიწყებული, ღვთისაგან, ვის გონებამიუწვდომელ გზებსაც ყოველ მხარეს ბნელი ეფინა. მწვალებლობით გაწამებულ ეკლესიასაც ყოველმხრივ ავიწროებდნენ ერისმთავრები. საქმე იქამდე მივიდა, რომ XII საუკუნის დამლევს ჰენრიხმა,[3] ფრიდრიხ ბარბაროსას ძემ, ყველა ქალაქი წაართვა პაპს ორვიეტოს, პერუჯისა და სპოლეტოს მხარეში. ამრიგად, წმიდა ფრანჩესკო სიჭაბუკეშივე დარწმუნდა, რომ რომის ეკლესია, ერთი თანამედროვის სიტყვით, „ხანგრძლივი სიღატაკისათვის იყო განწირული". ჭაბუკს ავადმყოფობამ დარია ხელი, ხოლო როცა გამოჯანმრთელდა, პირველად მშობლიურ მთა-ველს გახედა და აუტანელი მწუხარებით აევსო სული. ნეაპოლს წასვლა გადაწყვიტა, მაგრამ გზაში უცნაური ხილვები არ აძლევდნენ მოსვენებას და შეშფოთებული ასე მიუგებდა იდუმალ ხმას: „რას მიბრძანებ, რა ვქნა, უფალო?" ის უკვე ნებდებოდა სინიდისის მბრძანებლურ კარნახს. თუმცა ასიზიში დაბრუნებული ერთხანს ჯერ კიდევ განაგრძობდა თავის ამფსონებთან ღრეობას. მაგრამ ერთხელ, მორიგი ღრეობის შემდეგ, როცა უკანასკნელად აღიარეს „სიჭაბუკის ბელადად", ნაცვლად იმისა, რომ მეგობრებს გაჰყოლოდა სახეტიალოდ და ღრიანცელით აეკლო მთელი ქალაქი, უცნაურმა აზრმა გაუელვა თავში და ელდანაცემივით შედგა, ფერმიხდილი და გაოგნებული. „რა მოგივიდა, – ჰკითხეს მეგობრებმა, – ცოლის შერთვას ხომ არ აპირებ?" „გამოიცანით, – მიუგო მან, – ერთი მშვენიერი ქალიშვილის დასანიშნად ვემზადები". საქმე ისაა, რომ ღვთაებრივი ხმა ჩაესმა ყურში: „ფრანჩესკო! ყველაფერი რაც აქამდე ასე გიყ-

ვარდა ამ ქვეყნად, სამუდამოდ უნდა შეიძულო და მიატოვო!“ ჭაბუკმა რომს მიაშურა, სადაც ერთხანს წმ. პეტრეს ტაძრის ბჭესთან თხოულობდა მონყალებას, მერე კი შინ დაბრუნდა და კეთროვანთა მოვლას შეუდგა, რომელთა დანახვაც უწინ თავზარსა სცემდა. წმ. დამიანეს სამლოცველო ინგრეოდა. ყმაწვილმა კაცმა მამამისის ძვირფასი მაუდი მალულად ჩაიტანა ფოლინიოში, რომ გაეყიდა და აღებული ფულით უფლის სახლი შეეკეთებინა. ბერნარდონეს მოთმინების ფიალა აევსო, შვილის მონოდება უკვე სახიფათოდ მიიჩნია და კონსულთა წინაშე უჩივლა, მაგრამ ჭაბუკმა მათი მსჯავრი უკანონოდ სცნო და განაჩენი საეპისკოპოსო სასამართლოში გაასაჩივრა, რადგანაც ეპისკოპოსის გარდა არავის სცნობდა „სულების მამად და მეუფედ“.

ასე რომ, დროებით ის კვლავ მიუბრუნდა ეკლესიის წარსულს, რათა თავი დაეხსნა სოციალური რეჟიმის უღლისაგან, რომელიც დამოუკიდებლობისა და სულიერი ძმობისათვის მეტისმეტად მძიმე ეჩვენებოდა. იმ დღეს, როცა ფეხქვეშ ჩაუვარდა ეპისკოპოსს, ფრანჩესკოს შეეძლო მღვდლად კურთხევა ეთხოვა მისთვის, ან რომელიმე მონასტრისათვის შეეფარებინა თავი და, ამრიგად, ბენედიკტელთა ანაფორით სამუდამოდ მომკვდარიყო ამ ქვეყნისათვის. მაგრამ ბუნდოვნად გრძნობდა, რომ ვერც სეკულარული ეკლესია და ვერც მონაზვნობა ხელს ვეღარ შეუწყობდა აპოსტოლური იდეის განხორციელებას თავის წიაღში; რომ ძველი საეკლესიო სტრუქტურა უკვე ვეღარ პასუხობდა ქრისტიანობის მოთხოვნებს, და რომ განახლებულ იტალიას, თვით ეკლესიის სიტყვით, „ახალი რელიგია“ სჭირდებოდა. მას კი მხოლოდ თავისუფლება სურდა და უნდოდა უვალი გზით ეულად ევლო უფლისკენ. სულ რაღაც ორიოდე საათის განმავლობაში მან ზურგი აქცია ამ ქვეყანას, უარი თქვა მამისეულ მემკვიდრეობაზე, ეპისკოპოსის მიერ ბოძებული მოსასხამი მოისხა და ფრანგული სიმღერების ღიღინით ასიზის ტყეს მისცა თავი. წინ ყაჩაღები გადაუდგნენ, მან კი სიცილით უთხრა მძარ-

ცველებს, მეფის ჰეროლდი ვარო. ნაცემ-ნაგვემი თოვლით სავსე თხრილში ჩააგდეს. ამოფოფხდა, გზა განაგრძო და ერთ მონასტერს მიადგა, სადაც მონაზვნებს სთხოვა, მზარეულად მიმსახურეთო. მერე მთელი თვე აგუბიოს უდაბნოში კეთროვანთა შორის დაჰყო და ასიზის შარაგზებზე მოწყალებას სთხოვდა გამვლელ-გამომვლელს. უწინდელი მეგობრები უწყალოდ დასცინოდნენ და ტალახის გუნდებს უშენდნენ, მამა და ძმა კი ზურგს აქცევდნენ შეხვედრისას. „ვინ მოსთვლის, რამდენი სიმწარე მინახავს, მაგრამ ეს ყველაზე საშინელი იყოო", – იგონებდა შემდეგ. თავის სანუგეშებლად ერთ მათხოვარს სთხოვდა, მიშვილეო. მაგრამ მისი მოციქულებრივი მორჩილება ამით დამთავრდა. გულმოწყალებისა და ნებაყოფლობითი სიღატაკის, ქედმოდრეკილობისა და სიყვარულის წყალობით, მან, ბოლოს და ბოლოს, მოიპოვა თავისუფლება და კვლავ დაიბრუნა სიხალისე, მისი მისიის უკანასკნელ დღემდე რომ ასულდგმულებდა. მან შესძლო კვლავ გადაეშალა სახარება იმ ადგილას, რომელიც გადმოგვცემს ქრისტეს ქადაგებას მთის თხემზე.[4] ის მზად იყო კვლავ დაებრუნებინა იტალიისათვის გულმოწყალების ღიმილი და ის მომნუსხველი სიტყვები, რომლებითაც ეკლესია უნანავებდა ოდესღაც ქრისტიანობის სიყრმეს. ბოლოს, როცა მის ირგვლივ თავი მოიყარა რამდენიმე მოწაფემ და თანამოაზრემ, მან თქვა: „წავიდეთ და რომის ეკლესიის – ჩვენი წმიდა დედის კალთას ვემთხვიოთ; ვაუწყოთ მას, რა წამოიწყო უფალმა ჩვენი მეშვეობით, რათა ჩვენი საქმე პაპის ნებისამებრ წარვმართოთ".

ეს ითქვა 1209 წელს. მაშინ პაპი იყო ინოკენტი III.[5] წმიდა ფრანჩესკომ თავისი პირველი წესდება* ჩაიტანა რომში. ამრიგად, სამღვდელთმთავრო ჰიერარქია და

---

* 1209 წლის ეს წესდება, რომელსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, გულმოდგინე შრომის შედეგად საკმაო დამაჯერებლობით აღადგინა მ.ჯ. მიულერმა (Die Anfänge des Minoriten Ordens, I). კარგი იქნებოდა მისით შეგვეცვალა პირველი ტრადიციული წესდება, რომელიც უკვე 1221 წელს ეკუთვნის.

ფრანცისკანელთა ახლად ფეხადგმული ძმობა, ეკლესიის ისტორიული ტრადიცია და იტალიური ქრისტიანიზმის მომავალი პირისპირ შეხვდნენ ერთმანეთს ნმ. იოანე ლატერანელის ტრიუმფალური მდუმარების წიაღში.

II

სწორედ ამ დროს რომის წმიდა ტახტი მთელი თავისი სიდიადით წარმოგვიჩნდება. ცოტა ხნის წინათ მის გარშემო მძვინვარებდა ქარიშხალი, რომელიც წარმატებით მოიგერია, რამაც კიდევ უფრო აამაღლა მისი ავტორიტეტი, ვიდრე გრიგოლ VII-ის მღვდელთმთავრობისას. პაპის ძალაუფლების ორი ასპექტის – საეროსა და სასულიეროს საკითხი არასოდეს ისე მწვავედ არ დასმულა გადასაჭრელად, როგორც XII საუკუნის ბოლო წლებში. საეკლესიო პრობლემების მთელი სიმძიმე, არსებითად, ინოკენტი III-ს დააწვა მხრებზე. რომის ავტონომიური და უკიდურესად ტლანქი, ხან ოლიგარქიული და ხანაც დემოკრატიული კომუნა ყოველთვის მტრულად იყო განწყობილი ეკლესიის მიმართ. არნოლდ ბრეშიელის ხსოვნის ერთგული დემაგოგია ნამდაუწუმ იჩენდა თავს კაპიტოლიუმში. ნობილების უმრავლესობა ასე თუ ისე ეგუებოდა ხალხს. საშინელი ორსინები[6] პაპიზმის ისტორიას უკავშირებდნენ თავიანთ სახელს. მთელ ქალაქში – კოლიზეუმის, პაულუს ემილიუსის თერმების, მარცელუსის თეატრისა თუ კვირინალის ახლომახლო გოროზად აღმართულიყვნენ მეამბოხე ბარონების ციხე-კოშკები. ლატერანში,სადაც ანიბალდების მფარველობას მინდობილი, სრულიად მარტო ცხოვრობდა პაპი, დღედაღამ გაისმოდა კაპიტოლიუმის ზარების რეკვა, სამოქალაქო ომში ერთმანეთის საჟლეტად რომ უხმობდა ხალხს. რომის გარშემო, ბარონები და სენატორები იქაურობის სრული ბატონ-პატრონნი იყვნენ. უფრო შორს, ორივე სიცილიაში, ჰენრიხ VI იმპერიის დასაყრდენს ქმნიდა. რომის ჩრდილოეთით მდებარე კომუნები,ტოსკანაში – აშკარად, დანარჩენ მხარეებში კი ფარულად რომ მტრობდნენ მას, ფეოდა-

ლური საეპისკოპოსოების შემუსვრით ცდილობდნენ მთელს იტალიაში ყველაზე საიმედო საყრდენი გამოეცალათ წმიდა ტახტისათვის: თუკი სანადელს მიაღწევდნენ, მაშინ შეეძლოთ იმპერატორის გარშემო დარაზმულნი, ერთ მშვენიერ დღეს დაძრულიყვნენ პაპის წინააღმდეგ. იტალიის ყველაზე მდიდარსა და აყვავებულ მხარეში ფარული მწვალებლობა უკვე საზოგადოების ყველა ფენას მოიცავდა. ნახევარ საფრანგეთში მწვალებლობას მხარს უჭერდნენ სენიორები, რომლებიც გამარჯვებას გამარჯვებაზე აღწევდნენ. და ბოლოს, ამორი შარტრელის სქოლასტიკური ერესი უარყოფდა ქრისტიანობის მარადიულობას. კაცს შეიძლებოდა ეფიქრა, რომ იტალიელი მორწმუნენიც აღარ ემორჩილებოდნენ თავიანთ მწყემსთმთავარს. ინოკენტი III-ს, გრიგოლ VII-ზე უფრო ახალგაზრდასა და უფრო ღრმად განსწავლულს, ნათლად ჰქონდა წარმოდგენილი, რა უნდა მოემოქმედა წმიდა ტახტის, რომაული ეკლესიისა და, შესაძლოა, თვით სარწმუნოებრივი ერთიანობის გადასარჩენად. უწინარეს ყოვლისა, ხელში უნდა სჭეროდა რომი. პაპმა იმით დაიწყო, რომ 1198 წელს ქედი მოადრეკინა იმპერატორის პრეფექტს და აიძულა რომაელი სენატორი ერთგულება შეეფიცა მისთვის. შინააშლილობამ, ჰენრიხ VI-ის სიკვდილის შემდეგ რომ იჩინა თავი, დიდად შეუწყო ხელი წმ. პეტრეს პატრიმონიუმისა და მატილდას მიერ ბოძებული ძველი ტოსკანური სამფლობელოების დაბრუნებაში. ოტონ IV-ისა და ფილიპე შვაბიელის[7] მეტოქეობამ, საიმპრატორო პარტიის სრული დეზორგანიზაცია რომ გამოიწვია და შეასუსტა თითქმის ყველა კავშირი, რაც იტალიის ბევრ ქალაქს აერთებდა იმპერიასთან, პაპს საშუალება მისცა თავი ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის ბელადად გამოეცხადებინა და ტახტზე ასვლიდან რვა თვის შემდეგ დოკუმენტებს უკვე ასე აწერდა ხელს — „იტალიის მეურვე".

ამრიგად, ის საფუძველს უყრიდა ტრადიციას, რომელიც თვით ბონიფაციუს VIII-მდე, ე.ი. ავინიონის ტყვეო-

ბამდე[8] პაპიზმის მძლავრი საყრდენი იყო. მართალია, ეს ტრადიცია გამუდმებით ირღვეოდა ხალხისა და ბარონების ამბოხებებით და დიდხანს ითელებოდა ფეხქვეშ უკანასკნელ ჰოჰენშტაუფენთა სასოწარკვეთილი ძალისხმევით, რაც მიზნად ისახავდა იმპერიის პროვინციად ექციათ იტალია, მაგრამ წმიდა ტახტი დაჟინებით უბრუნდებოდა მას, მით უმეტეს, რომ მისი სულიერი პრესტიჟი და ეკუმენური სუზერენიტეტი უკვე შერყეული იყო, ხოლო XV საუკუნეში ეკლესიის სრულ მბრძანებლობამდე ჯერ კიდევ ბევრ დროს უნდა გაევლო; ასე რომ, მხოლოდ გველფების პარტიის მორალური და პოლიტიკური ჰეგემონიის წყალობით თუ შეინარჩუნებდა იტალიის წარმმართველი ძალის მნიშვნელობას. ინოკენტი III ისე გულმოდგინედ შეუდგა თავისი გეგმის ხორცშესხმას, რომ თვით იმ სავალალო მოვლენებმაც კი ვერ ააღებინეს ხელი მასზე, რომლებმაც მისი მღვდელთმთავრობისას იჩინეს თავი. 1203 წლის გაზაფხულზე ის იძულებული შეიქნა ცეცხლმოდებული რომიდან გაქცეულიყო, მაგრამ ათი თვის შემდეგ კვლავ დაბრუნდა დედაქალაქში, თავისი მომხრეები შეაიარაღა და რომის კომუნის მაშინდელი თავკაცის ჯოვანი კაპოჩის წინააღმდეგ საბრძოლველად დასძრა ისინი. ხალხს რომ ებრძოდა, იმავდროულად ოქრო-ვერცხლს არ იშურებდა მისი ბელადების მოსასყიდად. ამჯერად მან მიაღწია ყველაფერს, რასაც მიელტვოდა, სხვათა შორის, იმის უფლებასაც, რომ საკუთარი ნება-სურვილით დაენიშნა ან გადაეყენებინა სენატორი თუ პოდესტა, რომლებსაც ეკუთვნოდათ მთელი აღმასრულებელი ძალაუფლება რომში. ამრიგად, დედაქალაქი ნაწილობრივ მაინც დაემორჩილა ეკლესიას. მას რომ ეცადა, იმავდროულად, მინის პირისაგან აღეგავა რომის კომუნა და მთელი ერთი საუკუნით ადრე დაემყარებინა პაპის მონარქია, ვიდრე მთელ იტალიაში დაიწყებოდა ქალაქების ერთობლივი მოძრაობა ტირანიული რეჟიმისაკენ, ამ სახიფათო წამოწყების გამო იძულებული იქნებოდა უარი ეთქვა იტალიური რესპუბლიკების პროტექტორატზე და წმიდა ტახტი

სრულიად იზოლირებული და მიუსაფარი დარჩებოდა იმპერიასა და კომუნებს შორის. არა, ქედმოდრეკილობის გამო როდი დასჯერებია პაპის საერო ძალაუფლების ამნაირ შეზღუდვას; აკი, იმავდროულად, თვითონვე ეუბნებოდა ფილიპე ავგუსტუსის ელჩებს: „უფალმა ღმერთებისაგან გამოიხმო მღვდლები; მხოლოდ სამღვდელოებაა ღვთაებრივი დაწესებულება, იმპერია კი – კაცთა ნაცოდვილარი". მას სულაც არ აკმაყოფილებდა ყოფილიყო მხოლოდ რომისა და პატრიმონიუმის უზენაესი სულიერი მბრძანებელი, რათა თავისი სამღვდელთმთავრო კვერთხის გარშემო შემოეკრიბა ყველა კომუნა; არ აკმაყოფილებდა მარტოოდენ რომის მთავარეპისკოპოსობა, რათა მთელ დასავლეთთან ეკუმენური ეპისკოპოსის სახელით ელაპარაკა, უზრუნველეყო კათოლოკური სარწმუნოების მთლიანობა, პარიზისათვის ეკარნახებინა თავისი თეოლოგების დასკვნები და ინკვიზიტორების ჯვაროსნული ლაშქრობაც კი წამოეწყო სამხრეთ საფრანგეთის წინააღმდეგ. როგორც მეურვეს, პალერმოს არაბული სასახლის ჩრდილში ჰყავდა გამომწყვდეული ბარბაროსას ბადიში, პატარა ბავშვი, რომელიც ტახტზე ასვლის შემდეგ ნამდვილ ღვთის რისხვად მოევლინა ეკლესიას[9]; ჯერჯერობით კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ფრიდრიხ შვაბიელის მეშვეობით გიბელინების მთელი პარტია ს ყურ მოჭრილი მონა იყო. ამრიგად, წმინდა ტახტის ორმაგი მისია XII საუკუნეში, იტალიის ჰეგემონობა და რელიგიური დისციპლინის აღდგენა, მხოლოდ იმ კაცის პოლიტიკური მოღვაწეობის შედეგი გახლდათ, რომელიც არა მარტო მღვდელთმთავარი, სახელმწიფო მოღვაწეც იყო. ამ მისიის არსებობასაც და მის წარმატებით განხორციელებასაც იმავე პოლიტიკამ შეუწყო ხელი. უფრო მეტად, ვიდრე ოდესმე რომის ეკლესიის მორალური ძალა, ისევე, როგორც მისი მისტიური ზემოქმედება, უწინარეს ყოვლისა, მატერიალური ინტერესებით იყო განპირობებული.

სწორედ ამიტომ ინოკენტი III-მაც და მისმა წმიდა კოლეგიამაც გულწრფელი განცვიფრებით აღიქვეს თორმეტი სრულიად უცნობი უმბრიელის ევანგელური ოცნება, რომლებიც იმის სათხოვნად ეახლნენ ღვთის ნაცვალს, რომ მისი ნებართვით უფლის სიტყვა ექადაგათ ხალხში, მოწყალება ეთხოვათ უპოვართა დასაპურებლად, ენუგეშებინათ სულთმობრძავნი და ერთმანეთში გაენაწილებინათ ქრისტიანული სამყაროს დაპყრობის პატივი, თუმცაღა თავიანთ პორტიუნკულაში, ასიზის მთის ძირას, ერთი ხელის დადება მინდვრისა და დანგრეული სამლოცველოს მეტი არა ჰქონდათ რა. მოწიწებით მოიდრიკეს ქედი პაპის წინაშე და მათეს სახარების სიტყვებით წარუდგნენ მას: „თუ გსურს იყო სრულქმნილი, წადი, გაყიდე ყველაფერი, რაც გაბადია, მიეცი გლახაკთ და გექნებასაუნჯე ცაში"[10]. მაგრამ იმხანად სეკულარულ ეკლესიას არასდიდებით არ შეეძლო იმის გაგება, რომ რელიგიას შეიძლებოდა არაფერი საერთო არ ჰქონოდა მატერიალურ ინტერესებთან. პაპი და კარდინალები დიდხანს ყოყმანობდნენ, დაემტკიცებინათ თუ არა ახალი ძმობის ნესდება: მათ მეტისმეტად მძიმე ეჩვენებოდათ სიღატაკისა და სრული თვითგანდგომის აღთქმა. ეგეც არ იყოს, ინოკენტი III თითქოს წინასწარ გრძნობდა, რომ ახალშობილ ორდენს მალე გათიშავდა სქიზმა. მაგრამ წმიდა კოლეგიის სხდომაზე ერთ-ერთმა კარდინალმა თქვა: „თუ ამ უპოვარის თხოვნას უარვყოფთ მხოლოდ იმიტომ, რომ მისი აღთქმა ძნელი აღსასრულებელია, ვაითუ ამით ქრისტეს სახარებას დავუპირისპირდეთო". მაშინ ინოკენტი III-მ აკურთხა ორდენის დამაარსებელიც და მისი საქმეც, უფლის მოწყალებას მიანდო და უკანვე გაისტუმრა პილიგრიმები. იმ ღამეს პაპმა თურმე სიზმარი ნახა, რომელიც საუკუნეების ხსოვნას შემორჩა: მან იხილა ლატერანის ტაძარი, ქარიშხლის მძვინვარებას ხომალდივით ცალ გვერდზე რომ გადაეხარა, ასიზელი ჭაბუკი კი მხრებით შესდგომოდა და ასე აკავებდა წასაქცევად გამზადებულს.

III

უფრო დაწვრილებით უნდა გავეცნოთ ამ მოციქულის სპირიტუალურ ცხოვრებას, ყოველივე ამქვეყნიურს რომ აქცია ზურგი, მაგრამ არა საკუთარი სულის სახსნელად, როგორც იქცეოდნენ მონაზვნები, არამედ რათა გარდაექმნა თვისი მოყვასნი და მონასტრის სიმყუდროვეში კი არა, ხალხმრავალი ქალაქის მოედნებზე, მთის კალთებზე თუ ველ-მინდვრებში ეძებნა და იქ ედიდებინა ღმერთი. რაც უფრო მეტად ივიწყებდა საკუთარ თავს, მით უფრო მეტად ხდებოდა საკუთარი ნებისა თუ გულის ბატონ-პატრონი. მსხვერპლის გაღებას ჩვეულმა იმდენად დათრგუნა ჩვეულებრივი ადამიანური ეგოიზმი, რომ უდიდეს სიამოვნებას ანიჭებდა ტანჯვა და თვითდამცირება. რაც უფრო მეტად იმცრობდა თავს უფლის მარჯვენის ქვეშ, მით უფრო ძლევამოსილი და ხალისით სავსე ჩანდა თავისი მონაფეების თვალში. ერთხელ „მტრედივით თვინიერ" ფრა ლეონეს სთხოვა, ყვედრებით აევსო იგი, და გამოცდას რომ უკეთ ჩაევლო, თვითონვე კარნახობდა სათქმელს: „ეჰა, ძმაო ფრანჩესკო, შენს სიცოცხლეში იმდენი სიავე გიქნია, იმდენჯერ შეგიცოდავს, რომ ჭეშმარიტად ღირსი ხარ გეენის ცეცხლში იხრუკებოდე". ფრა ლეონე კი ყველაფერს უკულმა ამბობდა: „უფალი ღმერთი იმდენ სიკეთეს გაქნევინებს, რომ ჭეშმარიტად სამოთხის ნეტარება გელის". მაშინ წმ. ფრანჩსკომ მკერდში მჯილის ცემითა და ცრემლების ფრქვევით შეღაღადა ღმერთს: „უფალო ჩემო ცაშიაც და ქვეყანაზედაც, იმდენი ვცოდე შენს წინაშე, რომ ჭეშმარიტად ღირსი ვარ შენი შეჩვენებისა!. ფრა ლეონე კი მიუგებდა: „ძმაო ფრანჩესკო, ღვთის მოწყალება უკურთხეულესს გყოფს კურთხეულთა შორის". ერთხელ, ზამთრის სუსხიან საღამოს, პერუჯიდან ერთად ბრუნდებოდნენ შინ, და წმიდა ფრანჩესკო შეეცადა თავისი მეგობრისთვის აეხსნა, რას ნიშნავს „ნამდვილი სიხარული". ეს არც იმას ნიშნავსო, – ეუბნებოდა, – რომ შენი სიწმინდით მაგალითი მისცე ქვეყანას, არც იმას, თვალი აუხილო ბრმებს, განდევნო ეშმაკეულნი, ან აღადგინო ოთხი დღის

მკვდარი; არც ყველა ენის, მეცნიერებისა თუ წერილის ფლობას; არც წინასწარმეტყველების ნიჭს, არც ვარსკვლავთმრიცხელობის, მცენარეებისა თუ წყაროს წყალთა თვისებების ცოდნას და, ასე განსაჯე, არც ქადაგების უნარს, რომ ჭეშმარიტების გზაზე მოაქციო ურწმუნონი. – მაშ, რაღაა ეს ნამდვილი სიხარული, მამაო? – ჰკითხა ლეონემ. – მოგახსენებ, – მიუგო მან, – წარმოიდგინე, რომ თხემით ტერფამდე განუწულნი, გათოშილ-გალურჯებულნი, ტალახში ამოსვრილნი და შიმშილით დაოსებულნი მივადექით სანტა მარია დელი ანჯელის და კარზე დავაკაკუნეთ; მეკარემ გამოგვხედა, აგვათვალიერ-ჩაგვათვალიერა და შემოგვიღრინა: ვინა ხართო? – ორი თქვენი ძმათაგანი, – მივუგეთ ჩვენ. – ძმები კი არა, ავაზაკები ხართ, – დაგვიღრიალა, – ღარიბ-ღატაკებს მოწყალებას რომ ჰპარავთო. მერე ცხვირწინ მოგვიჯახუნა კარი და ამ თავსხმასა და ქარაშოტში ღვთის ანაბარა დაგვაგდო. ჩვენ კი ბედს დავმორჩილდით და თანაც გულში გავივლეთ: ხედავ, რა კარგად ვცნობივართო? მაგრამ მაინც გავბედეთ და ხელახლა დავაკაკუნეთ. გაცეცხლებული მეკარე კომბლით გამოგვენთო და გვიყვირა: აქედან მოუსვით, თქვე მაწანწალებო, ავაზაკთა ბუნაგშია თქვენი ადგილი, აქ კი ნურც ვახშმის იმედი გექნებათ და ნურც მოსვენებისაო. მერე კაპიუშონებში ჩაგვავლო ხელი და თოვლში მოგვისროლა. ჩვენ კი მხოლოდ მაცხოვრის ტანჯვა-ნამება, მისი სისხლიანი იარები გვედგა თვალწინ და ხმა არ ამოგვიღია, ყველაფერი უდრტვინველად ავიტანეთ, – აი, სწორედ ეს იქნება, ძმაო ლეონე, ჩვენი ნამდვილი სიხარული.

სწორედ ეს სიხარული აძლევდა მოციქულებრივი მოღვაწეობის ძალას. წმიდა ფრანჩესკო ხიბლავდა ძმებს, ძმები კი, თავიანთი მხრივ, ხიბლავდნენ იტალიას იმ ნათელი და აუმღვრეველი სიხარულით, რომლითაც ისინი იგერიებდნენ წარმოუდგენელ გაჭირვებას, წვრილმან უსიამოვნებებს და იმ მცირეოდენ სიტკბოებასაც, რასაც მათთვის იმეტებდა ცხოვრება. ერთ სოფელში დაღლილო-

ბისაგან ქანცგაწყვეტილმა და არაქათგამოლეულმა ორიოდე ნატეხი ხმელი პურის მეტი ვერაფერი იშოვა, მაშინ როდესაც ფრა მასეოს, რომელიც „Fioretti"[11]-ს მიხედვით, „ახოვანი და წარმოსადეგი კაცი იყო", უშურველად უწყალობეს მშვენიერი ფუნთუშა პური. მთელი როჭიკი ანკარა წყაროს პირას, ერთ ვეება ლოდზე დააწყეს. წმიდა ფრანჩესკო აღტაცებას ვერ მალავდა მეფური სადილის მოლოდინში. – კი მაგრამ, მამაო, – თქვა ფრა მასეომ, – არც სუფრა გვაქვს, არც დანა, არც თეფშები, არც მაგიდა და არც სახლი, არც მსახურები და მოახლეები გვყვანან. – რაო? აბა, მაშ, რა არის ეს თეთრი ლოდი, ბროლივით კამკამა წყარო და ამოდენა პურის ნაჭრები? – მიუგო წმიდა ფრანჩესკომ. სახეზე მუდამ ღიმილი დასთამაშებდა და ხარობდა, როცა პირმცინარი ხალხი ეხვია გარს. არავის აძლევდა იმის ნებას, რომ mea culpa-ზე ჭმუნვით აემღვრია საერთო სიხალისე და მხიარულება. ერთ ახალბედას უთხრა: „რა ცხვირპირი ჩამოგტირის, ძმაო? თუ სცოდე, ეს მხოლოდ ღმერთსა და შენ გეხება. წადი და ილოცე. მაგრამ როცა ჩვენს ძმობაში ხარ, დაღვრემილ-დაძმარებული არ დაგინახო, რადგანაც ღვთისმსახურს არ შეშვენის მწუხარება და ურვა".* 1221 წლის წესდებაში მან სიხარული ისეთსავე სავალდებულო ნორმად აქცია, როგორც მორჩილება და უბიწოება. ფრანცისკანელები ყოველთვის „gaudentes in Domino"[12] უნდა ყოფილიყვნენ, მხიარულნი და კაცთმოყვარენი. უმბრიის წმინდა მიწაზე არასოდეს არ ყოფილა „ცრემლების ხევი".

ისინი კი ღარიბ-ღატაკნი იყვნენ. ყოველდღე თხოულობდნენ მოწყალებას სახლებისა თუ ეკლესიების კართან. თავშესაფრად, ასიზის ახლოს, მხოლოდ ლერწმის რამდენიმე ქოხი ჰქონდათ. კომუნების, გველფების, ზარაფებისა და ნოტარიუსების იტალია, რომლისთვისაც ფლორინი წმიდათა-წმიდა და არსობის პური იყო, განცვიფრებით ადევნებდა თვალს მისთვის სრულიად უცხო, გაუგებარსა

* Lib Conformitat., 1590, p. 185.

და იმავდროულად, გულის ამაჩუყებელ სანახაობას: ამ ქვეყნისაგან განდგომილთა სილაღეს, სიხალისესა და აუმღვრევლობას, ზიზღით რომ ექციათ ზურგი ყოველგვარი მიწიერი სიკეთისათვის. ასი წლის შემდეგ დანტე და ჯოტო კვლავინდებურად ხოტბას ასხამდნენ წმიდა ფრანჩესკოს დაწინდვას სიღატაკეზე, „რომელსაც უკვე დიდი ხანია აღარ ჰყავდა თავისი პირველი მეუღლე – ქრისტე და ათას ორასი წლის მანძილზე ყველასაგან მოძულებული და პატივაყრილი იყო". და მართლაც, სიღატაკე ფრანცისკანული ქრისტიანიზმის უპირველეს სიქველედ იქცა. 1209 წლის ზამთარში, შუა ნირვისას, ფრანჩესკოს ყურში ჩაესმა იდუმალი ხმა, რომელმაც უთხრა: „ნუ წაიტანებთ სარტყლით ნურც ოქროს, ნურც ვერცხლს, ნურც რვალს; ნურც აბგას გზაში, ნურც ორ ხელ სამოსს, ნურც ფეხსაცმელს, ნურც არგანს"[13]. ამიტომ მან უღარიბესი ხელოსნებისა და მეთევზეების ტანსაცმელი ირჩია: უხეში მაუდის კაპიუშონიანი ანაფორა და სარტყლის მაგივრად – კანაფის თოკი. გადაჭრით აღკვეთა ხამლების ტარება და სასტიკი სასჯელი დაუწესა თავისი საძმოს ყველა წევრს, ვინც არათუ ჩაიჯიბავდა, ხელს მაინც ახლებდა ფულს. „ღარიბლატაკებს ქრისტეს გულისთვის – წერს ჟაკ დე ვიტრი[14], – არც აბგა დააქვთ, არც სურსათ-სანოვაგე, არც ქისა - სარტყლით და არც ხამლებს ატარებენ. არც ეკლესია-მონასტრები აქვთ, არც ბაღ-ვენახები და არც საქონლის ჯოგი დაუდით; არაფრის მქონეთ სასთუმალიც კი არა აქვთ, რომ ზედ მიიდრიკონ თავი". „დავითნი, უბადრუკი ჭურჭელი და კიდევ უფრო უბადრუკი ავეჯი, – აი, მთელი მათი ავლადიდება: მაგრამ ამასაც თავიანთ საკუთრებად კი არ თვლიან, არამედ ნათხოვრად და დროებით სახმარად", – ნათქვამია გრიგოლ IX[15]-ის ერთ ბრევეში[16]. სიღატაკის ამ აღთქმასთან დაკავშირებით ფრანჩესკო ასიზელის მიმდევრებს შორის ჯერ კიდევ წმიდანის სიცოცხლეშივე თავი იჩინა უთანხმოებამ, რაც მისი სიკვდილის შემდეგ განხეთქილების საბაბად იქცა. ეგეც არ იყოს, თვით საეკლესიო დისციპლინის მოთხოვნებმა

აიძულა მინორიტი ძმების უზარმაზარი ინსტიტუტი, საკუთარი მონასტრები ჰქონოდა, რომლებიც უფრო იმსახურებდნენ ამ სახელს, ვიდრე ის უბადრუკი ქოხმახები, რასაც თავდაპირველად სჯერდებოდა. XIII-XIV საუკუნეებში დავამ, რომელიც წარმოუდგენლად გაამძაფრა წესდების ზუსტად დაცვის მომხრეთა სიკერპემ, მთელი ეკლესია შეარყია და ფრანცისკანელთა ერთი ნაწილი ლამის მწვალებლობამდე მიიყვანა. მაგრამ ამ თეოლოგიურმა დავამ მინორიტების[17] მოციქულებრივი მოღვაწეობის მნიშვნელობა ვერ დააკნინა იტალიური საზოგადოების თვალში. მათ შესძლეს თავიანთი გულმოწყალებით გამოესყიდათ საკუთარი სიმდიდრე. წმიდა ფრანჩესკოს მაღალი იდეალი დიდხანს უცვლელი რჩებოდა. თავისი სიღარიბის მეოხებით ის კვლავ დაუბრუნდა საუკუნეების განმავლობაში თანდათანობით მივიწყებულ უპოვართა ღმერთს, ალალბედზე ნაპოვნი გომურის ბაგაში შობილ ყრმას, მაშინ როდესაც მელიებსაც თავიანთი სორო ჰქონდათ, ჩიტებს კი – ბუდე. მანვე მიუძღვნა იესოს ეს გულისშემძვრელი ლოცვა თუ საგალობელი: „სიღარიბე შენთან ერთად იწვა ბაგაში, და, როგორც ერთგული საჭურველთმტვირთველი, თხემით ტერფამდე აღჭურვილი, გვერდით გედგა იმ სასტიკ ბრძოლაში, რომელიც შენ გადაიხადე ჩვენდა სახსნელად. მხოლოდ მას არ მიუტოვებიხარ, უფალო, შენი ვნებისას. ღვთისმშობელი ჯვრის ფერხთით შედგა, ის კი ჯვარზედაც ამოგყვა, უკანასკნელ ამოსუნთქვამდე თავს გევლებოდა და გულში გიკრავდა. სიყვარულით გიმზადებდა იმ ლურსმნებს, რომლებმაც გამსჭვალეს შენი ხელ-ფეხი, და როცა წყურვილი გახრჩობდა, მანვე მოგაწოდა ძმარი. მის ხვევნაში დალიე სული, მან კი მკვდარიც არ მიგატოვა და თან ჩამოგყვა სხვისათვის გათხრილ სამარხში. ის გათბობდა ცივ სამარეში. გემუდარები, უპოვარო უფალო ჩემო: მიწყალობე შენი წმიდა სიღარიბე და ჩვენი ძმობის სჯულად დადე მისი ნიშანი, რომ არაფერს არა ვფლობდეთ ამ ცოდვილ ქვეყნად, და,

შენი სახელის სადიდებლად, არც სხვა რამ საუნჯე გვქონდეს, გარდა სიღარიბისა".

IV

ჩვენ უკვე ვხვდებით, რა ვნებაც ბობოქრობდა ფრანჩესკო ასიზელის გულში მთელი თავისი უშრეტი ძალით. მისი გული სიყვარულით იყო მოცული:

In foco l'amor mi mise, –

„ცეცხლის ალს მიმცა სიყვარულმა", – ვკითხულობთ ერთ პოემაში, რომელიც ბერნარდო სიენელს[18] მიეწერება. ფრანჩესკო სიყვარულით მთვრალია. „ო, სულზე უტკბესო იესო! მომეალერსე და მომეც სიკვდილი, ჩემო სიყვარულო!" ღმერთი სახარებისა, გეთსიმანის ბაღში მლოცველი, მოწაფეებისაგან მიტოვებული, მოციქულის მიერ გაყიდული, თავისი ხალხის მიერ შეურაცხყოფილი, ეკლის გვირგვინით შუბლშემკული, გოლგოთაზე ჯვარცმული ღმერთი, სიკვდილის წინ რომ შეღაღადა: „ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო, რატომ მიმატოვე მე?!"[19] – მთლიანად ეუფლება ფრანჩესკოს გულს. ალვერნიის მთაზე განმარტოებულს მხოლოდ ის სურს, რომ თვითონვე განიცადოს ქრისტეს სულთმობრძაობის ყოველი წამი:„ ორი რამ მიწყალობე, უფალო: დაე, განვიცადო სულით და ხორცით შენს მიერ დათმენილი ტანჯვა, და გულით ვიგრძნო ის უსაზღვრო სიყვარული, რამაც გაიძულა შენ, მხოლოდშობილი ძე ღვთისა, ჩვენთვის, საბრალო ცოდვილთათვის, დაგეთმინა ესოდენ საზარელი ნამება!" მაგრამ ამ ექსტაზს არაფერი აქვს საერთო ჯოაკინო დელ ფიორეს პირქუშ ხილვებთან. ცრემლები, რომლებსაც ის ღვრის აღტყინების ჟამს, სინაზისა და ნეტარების ცრემლებია. მას ევლინება ანგელოზი, ჩანგით ხელში, საკრავის ხმის გაგონებისთანავე სიყვარული ეუფლება მთელს მის არსებას და თვალწინ ეშლება სამოთხის სხივოსანი ნათელი, რომლის წიაღშიც მზესავით ბრწყინავს სახე უფლისა. ალვერნიის მაღალი ქარაფები ზურმუხტითა და საფირონით უფრო მდიდრულად მოოჭვილი ჰგონია ვიდრე

იოანე მოციქულის ზეციური იერუსალიმი. იესო თავის სისხლმდინარე მკერდში იკრავს და თავისი ვნების სტიგმატებით[20] აღბეჭდავს მის ხელ-ფეხსა და გულს, რათა ზეციერი მამის სასუფეველში აიტაცოს სიყვარულისაგან ცნობამიხდილი.

მაგრამ სადამდისაც არ უნდა ამაღლდეს ფრანჩესკო, მისი თვალთახედვის არეში ყოველთვის რჩება დედამიწა, ტანჯული კაცობრიობა და მისი ნუგეშისმცემელი ღმერთი, ისევე, როგორც უჩინოთა და უმწეოთა ბრბო, რომელსაც ოდნავ მაინც უმსუბუქებს ტანჯვას მთის თხემზე წარმოთქმული ქადაგება[21]. ის თავისი ხელით უვლის და მკურნალობს კეთროვანებს, მოწყალების დის სინაზით წმენდს ხორციელ ჭრილობებს და თავის თანალმობას სალბუნად სცხებს სულის იარებსაც. ქურდებს, რომლებიც მეკარემ არ შეუშვა მის ერთ-ერთ მონასტერში, თავისი ტრაპეზიდან უგზავნის პურსა და ღვინოს, და ისეთი გულისშემძვრელი სიტყვებით მიმართავს მათ, რომ ისინი ფეხებში უვარდებიან და სთხოვენ თავის ორდენში მიიღოს*. ხოლო ორდენის თავყრილობის დღეს, როცა ათასობით პილიგრიმი ავსებს ასიზის ხეობას, ყოველი მხრიდან მოემართებიან პურით, ღვინით, ყველით, ლობიოთი და „ქრისტეს გლახაკთათვის განკუთვნილი სხვა ნუგბარი სანოვაგით" დატვირთული ჯორების, ცხენებისა თუ ფორნების მთელი ქარავნები.

ერთხელ, შობის ღამეს, გრეჩის ხეობაში უხმო გლეხებსა და მწყემსებს, რათა ერთად ედღესასწაულათ იმისი შობა, ვისაც ის „ბეთლემის" ყრმას უწოდებდა. და, აი, ღამის მყუდროებაში მთელი ტყე-ველი გაანათა ჩირაღდნების შუქმა, სწრაფად რომ მოიწევდა ერთი გომურისაკენ, სადაც წვეულებს ბაგის წინ, ხარსა და ვირს შორის ჩამდგარი წმიდა ფრანჩესკო ელოდა. როდესაც ხალხმა მუხლი მოიყარა, მან ბაგასთან, როგორც საკურთხეველ-

---

* Fioretti, XXIV. 1212 წლის ნესდება, თ XII: Et quicumque ad eos venerint, amicus vel adversarius, fur vel latro, benigne recipiatur (ვინც არ უნდა მისულიყო მათთან, მტერი თუ მოყვარე, ქურდი თუ ავაზაკი, ყველას მოწყალედ იღებდა).

თან, ლუკას სახარება წაიკითხა, მერე კი მუხლმოყრილ მლოცველებს მიუბრუნდა, რათა მაცხოვრის შობა ექადაგა მათთვის. რა თქმა უნდა, ამ დროს წმ. იოანე ლატერანელის ტაძარში თუ პალერმოს საიმპერატორო კაპელის გუმბათქვეშ შეკრებილ მორწმუნეთა გული უფრო ნაკლებად იქნებოდა გამსჭვალული რწმენითა და სიყვარულით, ვიდრე ეს უბრალო ხალხი, მუხლმოყრილი რომ ლოცულობდა ბაგის წინაშე. ზოგიერთს ისიც კი ეჩვენებოდა, რომ ბაგაში ჩაფენილ ჩალაზე იწვა მძინარე ყრმა, რომელმაც ნელ-ნელა გაახილა თვალები და მკლავები გაშალა, რათა გულში ჩაეკრა ისინი. ეს იყო ჭეშმარიტად უპოვართა ღმერთი, ხანგრძლივი ძილიდან რომ გამოიხმო წმიდა ფრანჩესკომ, და მანაც კვლავ გაუღიმა უმწეოთა და მიუსაფართ.

V

ამავე დროს, ეს იყო ახალი რელიგია, რომელსაც კეთილი ნების ადამიანები ისევე იღებდნენ ფრანჩესკო ასიზელისგან, როგორც ოდესღაც მიიღეს ის ვარსკვლავებით მოჭედილი ბეთლემის ცის ქვეშ. აქ ჩვენ ვუახლოვდებით ფრანციისკანიზმის ძირითად ასპექტს. ასიზელი წმიდანი სიყვარულითა და თანალმობით უბრუნებდა იტალიას ევანგელურ მოძღვრებას. ყოველგვარი თეოლოგიისა თუ სქოლასტიკის გარეშე, ის ცდილობდა აღედგინა დასაბამიერი ქრისტიანობა; ყოველგვარი ბრძოლისა თუ მწვალებლობის გარეშე, ის აახლებდა ეკლესიას და რელიგიურ თავისუფლებას ანიჭებდა თავის საუკუნეს. ის ახალ ხელშეკრულებას დებდა ღმერთსა და მორწმუნეთა შორის.

ფრანჩესკო ღმერთთან არიგებდა ადამიანს და მის წიაღში შეჰყავდა იგი, ვინც ბრძანა: „ნეტარ არიან მგლოვიარენი“[22]. ის აქარწყლებდა საუკუნოვან გაუგებრობას, რაც ამძიმებდა ეკლესიის სინიდისს; ის თრგუნავდა შიშს და შუა საუკუნეების თავზარდამცემ საშინელებას. მან კეთილი ღმერთით შეცვალა მართლად გამრიგე მრისხანე ღმერთი

და მორწმუნეთა სულს კვლავ ჩაუნერგა სამოთხის ნეტარების იმედი, შვილური ნდობა და ამ ქვეყნად მშვიდობიანი არსებობის უღრუბლო რწმენა. ეკლესიის ნაცვლად ის უშუალოდ ქრისტეს აყენებდა მორწმუნის სინიდისის წინაშე, რადგანაც, მისი აზრით, ის იყო ჭეშმარიტი შუამავალი, ადამის ძეთა სახსნელად რომ ევნო და მათთვისვე დასთხია სისხლი, – ჭეშმარიტი მღვდელი „სულების ეპისკოპოსი", Episcopus animarum nostrarum,[23] როგორც ნათქვამია 1221 წლის წესდებაში. იოანე მოციქულის კვალდაკვალ, ფრანჩესკო იმეორებდა: „ყველანი ძმები ხართ; ნურავის უწოდებთ მამას ამ ქვეყნად, რადგანაც ერთია მამა თქვენი ზეციერი. ნუ მიითვისებთ მოძღვრის სახელს, რადგანაც ერთია თქვენი მოძღვარი, რომელიც არის ცათა შინა". სწორედ მასთან – მამასთან, მწყემსთან, მოძღვარსა და უზენაეს ეპისკოპოსთან უნდა მიგვქონდეს მთელი ჩვენი უბედურება, რომ სიმძიმილი შეგვიმსუბუქოს, და მასვე ვუმჟღავნებდეთ გულის იარებს, რათა განგვკურნოს. მან ყველაზე უკეთ იცის, რა სჭირდება მის შვილებს, რადგანაც „მხოლოდ უფლის თვალი ჭვრეტს კაცის ღირსებას", – დასძენდა წმიდა ფრანჩესკო. მისთვის ყველა სული ერთია, რადგანაც თავისი გულმოწყალებით ყველას თანაბრად მიაგებს მადლს, თვითეულს – მისი ღირსებისამებრ. „მთელი სიქველე და სიკეთე – ვკითხულობთ „Fioretti"[24]-ში, –ქმნილებისაგან კი არა, ღვთისაგან იღებს დასაბამს. ნურვინ იქადის მის წინაშე, ხოლო ვინც იქადის, ღვთით იქადოდეს". ღმერთსა და მორწმუნეს შორის უშუალო კავშირის შედეგად მღვდლის მნიშვნელობა საგრძნობლად მცირდება; წმიდანის არსებობასაც აზრი ეცლება, რადგანაც ადამიანები, ღვთის შვილები, თავისუფლად აღავლენენ თავიანთ ჭმუნვასა და ლოცვა-ვედრებას მამაზეციერის წინაშე. ასე რომ, წმიდანთა შუამდგომლობა ფრანცისკანულ ქრისტიანიზმში, გარკვეულწილად, ზედმეტი ხდება. მხოლოდ ღვთისმშობელი, იოანე ნათლისმცემელი, იოანე მოციქული და ანგელოსები ინაწილებენ ერთმანეთს შორის ქრისტეს უშუალო თაყვანისცემის პატივს. ამრი-

გად, ყოველი მორწმუნე თავისი თავის მღვდელიც ხდება და თავისი რწმენის მსაჯულიც, მას შეუძლია საკუთარი ძალისხმევით იხსნას თავისი სული. „საქმეთა რელიგია“ კარგავს იმას, რასაც „გრძნობის რელიგია“ იძენს. „ნუ გგონიათ, თითქოს სრულქმნილნი ხართ მხოლოდ იმიტომ, რომ აღასრულეთ ის, რისი აღსრულება უკეთურსაც ძალუძს; მასაც ხომ შეუძლია მარხვის შენახვა, ლოცვა, ცრემლის ღვრა და ხორცის მოკვდინება; ერთადერთი, რაც მას არ შეუძლია, ესაა ერთგულება თავისი მაცხოვრის მიმართ“*.

ფრანცისკანული ეკლესია უთუოდ მჭიდროდაა დაკავშირებული რომაულ ეკლესიასთან რწმენის სიმბოლოს ინტეგრალური ერთიანობითა და პაპისა თუ ეპისკოპოსების ძალაუფლების, ისევე, როგორც საიდუმლოთა აუცილებლობის აღიარებით, რასაც თვითონვე გვიდასტურებს წმიდა ფრანჩესკო, თუმცა გარკვეული დაზუსტებებით. „ძმობა – ნათქვამია ორივე წესდებაში, – სამღვდელოებას ემორჩილება ყველაფერში, რაც კი სულის ხსნას ეხება“, მაგრამ იქვე ვკითხულობთ დაზუსტებასაც: „ყველაფერში, რაც არ ეწინააღმდეგება ჩვენს ორდენს“. ძმებს უფლება აქვთ არ აღნიშნონ არცერთი დღესასწაული, რასაც პაპი დააწესებს კანონიკური ბრევიარიუმის გარეშე, თუკი მათ აღნიშვნას საგანგებოდ არ დაუწესებს მინორიტების ორდენს. ეს, არსებითად, მისტიური ქრისტიანიზმი სეკულარულ ეკლესიას აღარ უტოვებს იმის უფლებას, რომ მუდმივ ზედამხედველობას უწევდეს სპირიტუალურ ცხოვრებას. ის ხელიდან უსხლტება საეკლესიო ჰიერარქიას და, ყოველგვარი ტრადიციული დისციპლინის გარეშე, თავის საკუთარ ორგანიზაციას აყალიბებს. წმიდა ფრანჩესკო განუხრელად იცავს მშვენიერ სამღვდელთმთავრო ფორმულას: Servus servorum Dei[25]. ისიც და ფრანცისკანელთა ნებისმიერი დასის ყველა თავკაციც მხოლოდ და მხოლოდ თავიანთი ძმობის მმართველნი, გულმოდგინე მსახურნი და ფხიზელი მცველნი არიან. ამ

* Acta Sanctor., p. 757

ახალი ორგანიზაციისათვის სრულიად უცხოა მონაზვნური თუ ფეოდალური ეპისკოპატი. წმიდა ფრანჩესკოს ანდერძი ძმებს უკრძალავს რომის ეკლესიას გამოსთხოვონ ესა თუ ის პრივილეგია, ქადაგების ან იმის უფლება, რომ დევნისაგან დაიცვან თავი. ფრანცისკანელთა უმრავლესობას არასოდეს არ მიუღია მაღალი სასულიერო ხარისხი; თვით ორდენის დამაარსებელი მხოლოდ დიაკონი იყო; და მაინც, ყველა, არსებითად, აპოსტოლური მქადაგებლის როლს ასრულებდა. წმიდა ფრანჩესკოს ლოცვა ისევე თავისუფლად აღწევს უზენაესის ტახტამდე, როგორც რომის ეპისკოპოსის ლიტურგიული ვედრება. ძმებს, რომლებიც განუხრელად ასრულებდნენ სახარების მოთხოვნებს, სამოთხის ნეტარება ელით, – ვკითხულობთ ერთ პატარა კურიოზულ თხზულებაში – „სტიგმატებისათვის", – ხოლო ისინი, ვინც მათნაირ გულმოდგინებას ვერ იჩენდა, განსაწმენდლის ტყვეობისთვის არიან განწირულნი, იმდენი ხნის განმავლობაში, რამდენსაც მათ დაუწესებს წმიდა ფრანჩესკო. წელინადში ერთხელ წმიდანი განსაწმენდლის ბჭემდე ეშვება, რათა სამოთხის კარი გაუღოს თავისი დაძმებისა და იმ ქრისტიანთა სულებს, რომელნიც სიცოცხლეში ასიზელი განდეგილის ერთგულნი იყვნენ. ერთხელ წმიდა ფრანჩესკომ თვით ჯოჯოხეთის ბჭენიც კი სძლია, როცა გამოცხადებით ეუწყა, რომ მისი უშუალო მემკვიდრე ორდენის თავკაცის პოსტზე, ძმა ელია კორტონელი მალე აღიძვროდა ორდენისა და ეკლესიის წინააღმდეგ, რისთვისაც მას შეჩვენება არ ასცდებოდა. ფრანჩესკომ არა მარტო ეს განაჩენი გააუქმებინა, არამედ იმის პირობაც მიიღო, რომ ელია სიკვდილის წინ მაინც შეიგნებდა თავის შეცდომას და, პაპის მიერ შეწყალებული, ისე დალევდა სულს, როგორც ჭეშმარიტი ფრანცისკანელი.

ამრიგად, ხსნის გზა, მანამდე ესოდენ ნარეკლიანი, თანდათანობით მოსწორდა და უფრო ადვილად სავალი გახდა. რელიგიური წესების დაცვა გამარტივდა, თითქოს ღმერთი სიყვარულის გაცილებით უფრო ნაკლებად მკაცრი სიქველითა თუ სათნოებით შეცვლას დასჯერდაო.

საღვთისმოსაო მოვალეობათა ინტერპრეტაცია ახლა უკვე დასაშვებს ხდის მეტ მოქნილობასა და თავისუფლებას. წმიდა ფრანჩესკო გამუდმებით ლოცულობს, მაგრამ მოვალეობის გამო კი არა, არამედ იმიტომ, რომ ლოცვა სიხარულს ანიჭებს. მისი აზრით, სულის მდუმარე ლოცვა სიტყვიერ ლოცვაზე უმეტესია, რომელსაც მხოლოდ ბაგეებით წარმოსთქვამენ: mentaliter potius, quam vocaliter[26]. მისი აზრით, საყოველდღიურო „მამაო ჩვენო", ან უფლის ვნებათა გამო მოწურული ორიოდე ცრემლი ყველაზე დიდებული ლოცვაა*. "შენ არ გესმის, რა არის ნამდვილი ლოცვა, – ეუბნებოდა ახალბედა ფრა ეჯიდიოს, რომელსაც – აქაოდა, ვლოცულობო, – არასდიდებით არ უნდოდა წასულიყო და პური ეშოვა ძმობისთვის; – უსიტყვო მორჩილება ათასჯერ უფრო მეტია, ვიდრე თვით ანგელოზებთან პირისპირ საუბარი". წმიდა ფრანჩესკოს არ უნდოდა, რომ მის მიმდევრებს ვეება ტაძრები აეგოთ; გამუდმებით შეაგონებდა თავის მოწაფეებს, რომ დღეში მხოლოდ ერთჯერ ეწირათ თავიანთ სამლოცველოებში. „თუ არის რამდენიმე მღვდელი, დაე, ერთმა მათგანმა აღასრულოს წირვა, დანარჩენები კი მხოლოდ დაესწრონ მას, რადგანაც ღმერთი თანაბრად სწყალობს საკურთხევლის წინაშე მდგომთაც და მოშორებით მყოფთაც; მთავარია, მისი ღირსნი იყვნენ". „დაე, მინორიტებმა, თუკი თავიანთი ორდენის ან სეკულარული ეკლესიის მღვდელი არა ჰყავთ, რომ მათი აღსარება მოისმინოს, – იაკობ მოციქულის რჩევის თანახმად, ერთ-ერთი ძმის წინაშე მოიყარონ მუხლი"**. კულტის გარეგნული მხარე ნაკლებად აინტერესებდა წმიდა ფრანჩესკოს: ის უმალ დათანხმდებოდა უკანასკნელი სამკაულისაგან განეძარცვა ღვთისმშობლის ტახტი, ვიდრე თუნდაც ორიოდე ფლორინი მოექუჩებინა თავისი ორდენის საჭიროებისათვის და, ამრიგად, დაერღვია სიღარიბის აღთქმა. ერთხელ, ერთმა დედაბერმა, ვისი ორი

---

* Lib. Conform., 178, 262.

** Confiteantur fratri suo (1221 წლის წესდება, თ. XX).

ვაჟიც მინორიტი გახდა, მოწყალება სთხოვა, და რაკი მონასტერში არაფერი აღმოაჩნდათ მის გასაკითხად, ბიბლიის გარდა, რომლითაც ღვთისმსახურებას ასრულებდნენ, წმიდანმა ბრძანა დაუყოვნებლივ მიეცათ მისთვის: „მიეცით ბიბლია, – თქვა მან, – ღმერთს მისი გაკითხვა უფრო ეამება, ვიდრე ჩვენი ლოცვა და ფსალმუნების გალობა. მან თავისი შვილები მისცა ჩვენს ორდენს, და ახლა უფლება აქვს, რაც უნდა, ის გვთხოვოს". „წმიდა ფრანჩესკო და ფრა ლეონე – ვკითხულობთ „Fioretti"-ში, – ერთ მიყრუებულ ადგილას იყვნენ, სადაც ვერცერთი წიგნი ვერ იშოვეს, რომ ღვთისმსახურება აღესრულებინათ. ცისკრის ლოცვის დრომ რომ მოაწია, ფრანჩესკომ ფრა ლეონეს უთხრა: ძვირფასო ძმაო ჩემო, რა ვქნათ, რომ დავითნი არა გვაქვს ცისკრის ლოცვის აღსასრულებლად? მაგრამ ღმერთი ხომ უნდა ვადიდოთ? ამიტომ მე ვილაპარაკებ, შენ კი ისე მიპასუხე, როგორც მე გეტყვი". ერთხელ იგივე შეემთხვა ჯოაკინო დელ ფიორესაც, მაგრამ ამ სანიმუშო მონაზონმა, ნაცვლად იმისა, რომ სული წმიდის შთაგონებით სახელდახელოდ შეეთხზა ცისკრის ლოცვა, აიძულა თავისი თანამგზავრი ზეპირად წარმოეთქვა მთელი კანონიკური მსახურება, ისე, რომ სიტყვა კი არა, მარცვალიც არ გამორჩენოდა.

„ღმერთს – ამბობდა წმიდა ფრანჩესკო, – წყალობა ნებავს და არა მსხვერპლი"*. მორწმუნის მკაცრ ასკეტიზმს, თვითგვემით რომ ცდილობს აამოს ღმერთს, ადგილი აღარა აქვს ფრანცისკანიზმში. სადაც ის, უმალ, ღვთისადმი უნდობლობის გამოხატულებად მიიჩნევა. წმიდა ფრანჩესკო თავის განანესში რთავს ათასნაირ შემარბილებელსა თუ შემამსუბუქებელ საშუალებას, რათა შეენიოს ადამიანის უმწეობას. როგორც ოდესღაც იესო ქრისტე – თავის მოციქულებს, ფრანჩესკოც ნებას რთავს თავის მონაფეებს, მგზავრობისას ჭამონ და სვან ყველაფერი, რასაც სტუმართმოყვარე მასპინძელი შესთავაზებთ. თუ

---

* Lib. Conform., p. 243.

შობის დღე პარასკევზე მოდის, ის მარხვასაც კი კრძალავს: „ცოდვაა ვმარხულობდეთ მაშინ, როცა იშვა იესო ქრისტე. ამ დღეს თვით კედლებიც კი სახსნილოს უნდა შეექცეოდნენ". ერთ ღამეს ხანგრძლივი მარხვით გამოფიტული მისი ერთ-ერთი მონაზონი ცუდად შეიქნა. ფრანჩესკო ადგა, სუფრა გაშალა, ჭაბუკს გვერდით მიუჯდა და აიძულა ყველა მონაზონი ამ უდროო დროს ევახშმათ, რომ ახალბედას სუფრასთან მარტო ჯდომით თავი უხერხულად არ ეგრძნო: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: ყველა თავისი შეძლებისამებრ უნდა მოიქცეს და ჭამოს ის, რაც საჭიროა მისთვის, რათა სხეული ერთგულად ემსახურებოდეს სულს. ორივე უკიდურესობას უნდა ვერიდოთ: ნურც მუცელს ვაღორებთ, რამაც შეიძლება სხეულსაც ავნოს და სულსაც, და ნურც უსაშველოდ დიდხანს ვმარხულობთ, რადგანაც მაცხოვარს გულმოწყალების საქმე ურჩევნია იმას, რომ მოსაჩვენებლად ვასრულებდეთ სარწმუნოების მოთხოვნებს"*. ერთხელ ფრა სილვესტროს ყურძნის ჭამა მოუნდა, მაგრამ სურვილის ასრულება ვერ გაბედა. მაშინ ფრანჩესკომ თვითონვე ჩაიყვანა ვენახში, დალოცა და დამკრახული მტევნებით გაუმასპინძლდა. როცა ორდენის საერთო სხდომაზე გაიგო, რომ ზოგიერთ ძმას თვითსაგვემად ყელზე რკინისკბილებიანი ჯაჭვი ეკიდა, დაუყოვნებლივ აღკვეთა ეს სისხლიანი ჩვეულება: ბრძანა, ახლავე შეაგროვეთ და თვალით აღარ დამანახოთო. ხუთი ათასამდე ჯაჭვი ბუჩქებში მიყარ-მოყარეს. სიცოცხლის დამლევს, უკვე დასნეულებული, თავს აყვედრიდა, რომ უმონყალოდ თრგუნავდა და ულმობლად ექცეოდა თავის სხეულს. ერთ ღამეს ყურში ჩაესმა: „ფრანჩესკო, არ მოიძებნება ამ ქვეყნად ისეთი ცოდვილი, რომ ღმერთმა არ შეინყალოს, თუკი კვლავ მიუბრუნდება მას; მაგრამ ვინც მეტისმეტი სიმკაცრითა და თავშეკავებით აკვდინებს ხორცს, მთელი მარადისობის მანძილზეც ვერ ეღირსება შენყალებას". ერთხელ თვითონვე აღიარა, რომ მეტის-

* Lib. Conform., p. 244.

მეტად მკაცრი იყო თავისი „ვირი ძმის“, ესე იგი, სხეულის მიმართ. სნორედ იმხანად ძალიან მოუნდა ერთხელ კიდევ მოესმინა მუსიკა, ახალგაზრდობაში რომ აღმერთებდა, მაგრამ ვერ გაბედა მუსიკოსებისათვის ეხმო. იმ ღამეს აუტანელმა ტკივილმა არ დააძინა; გატანჯულსა და ძილგამფრთხალს უცებ ყურში ჩაესმა თვთაებრივი ხმა, გეგონებოდათ, ვარსკვლავები მღერიანო; ხმა თანდათან ახლოვდებოდა, სულ უფრო ნაზი, უფრო ნარნარი და ნანასავით მოალერსე ხდებოდა; მისი ხიბლით მონუსხულმა ნელ-ნელა მილულა თვალი და ტკბილად ჩაეძინა.

ამ ფაქიზი და ნაზი გულისთვის სიყვარული მარტოოდენ ინსტინქტური პოეტურობის შედეგი როდია; ყველა სულდგმულს რომ ეხვევა, წმიდა ფრანჩესკოს ჰგონია, თითქოს მათ შემოქმედს ემთხვევა და სიყვარულით იხუტებს გულში. მინდვრის ყვავილების სურნელთან ერთად ის იმ სასწაულთმოქმედი ბალახის სურნელებასაც იყნოსავს, რომლის ერთი შეხებაც სიცოცხლეს უბრუნებდა მკვდრებს. უმბრიის ხეობა მისთვის ნამდვილი სამოთხის ველია, სადაც ის შინაურულად ესაუბრება ცხოველებს და თავის და-ძმებს უწოდებს მათ. ცდილობს, რაც შეიძლება ფრთხილად აიყვანოს ბილიკზე მცოცავი ჭია, და, ფეხით რომ არ გასრისონ, ასევე ფრთხილად გადასვას განზე, ზამთრის პირას კი სკების წინ ღვინისა და თაფლის ტრაპეზს უმზადებს ფუტკრებს. კრავის დანახვისას, ქრისტეს რომ აგონებს მას, მღელვარებისაგან გული ყელში ებჯინება და მის გამოსასყიდად თავის მოსასხამსა და კაპიუშონს სთავაზობს ყასაბს. ამიტომაცაა, რომ ცხოველები გვერდიდან არ შორდებიან თავიანთ მოსიყვარულე მეგობარს. ის სავსებით სერიოზულად ელაპარაკება მათ, და ლეგენდა დაბეჯითებით გვიმტკიცებს, რომ ისინიც, – ვისაც როგორ შეუძლია, – თავიანთ ენაზე აძლევენ პასუხს. მახეში გაბმულ ბაჭიას საჩუქრად რომ მიუყვანენ, ყურცქვიტა მკერდზე ახტება, ხოლო როდესაც პატრონი განთავისუფლებას დაუპირებს, ის, როგორც ერთგული ძაღლი, ტყის პირამდე ცუნცულით მიჰყვება უკან. მის

სენაკთან ლეღვის ხის ფოთლებში მიმალული ჭრიჭინო-ბელა, თავისი ჭრიჭინით რომ აყრუებს იქაურობას, პირველი დაძახებისთანავე ხელზე ასკუპდება ფრან-ჩესკოს. „იმღერე ჩემო საყვარელო, ჩემო მშვენიერო დაიკო, – შენი სილაღით და სიხალისით ადიდე ჩვენი უფალი“. და ისიც, მთელი რვა დღის განმავლობაში, თითქოს მოძახილს ეუბნებაო, თავის ჭრიჭინს აყოლებს წმიდანის ლოცვას. ნაჩუქარი ბატკანი მასთან ერთად შედის ეკლესიაში, საკურთხევლის გვერდით ჩერდება და წირვის დანყებამდე მუხლს იყრის მის წინაშე. ავერნიის უდაბნოში, შევარდენი, მის მეზობლად რომ ბუდობს, ყოველ ღამე უფრთხობს ძილს თავისი სიფხიზლით, მაგრამ როცა წმიდანი ავადაა, ფრინველი სულგანაბული უცდის ალიონს და მხოლოდ გარიჟრაჟისას აფართქუნებს ფრთებს. პატარა ბიჭის მიერ ნაჩუქარ გვრიტებს თავისი ხელით უკეთებს ბუდეს ბუჩქნარში, გარს რომ აკრავს მის სამლოცველოს. ტომაზო დი ჩელანოს გადმოცემით, ერთხელ, როცა ღია ცის ქვეშ უქადაგებდა ხალხს, მერცხლები ისე ხმამაღლა აჟღურტულდნენ, რომ იძულე-ბული შეიქნა გაჩუმებულიყო. მოთმინებით უცდიდა დიდხ-ანს, მაგრამ რაკი ჟივილ-ხივილი არ ცხრებოდა, ბოლოს თქვა: „ჩემო საყვარელო დაიკოებო, კაი ხანს იჟღურ-ტულეთ, ახლა კი ჩემი ჯერია, მე უნდა ვილაპარაკო. მაშ, მოისმინეთ უფლის სიტყვა და ვიდრე არ დავამთავრებ, ჩუ-მად იყავით“. ისინიც დადუმდნენ და ხმა აღარ ამოუღიათ, ვიდრე ფრანჩესკომ არ წარმოსთქვა: ამინ. ერთხელაც, ბევანიის მახლობლად, საგანგებოდ იქადაგა პატარა ჩიტე-ბისათვის: „ყველგან და ყოველთვის ადიდეთ თქვენი უფალი, რომელმაც საუფლოდ მოგცათ ცის სივრცე, თავშესაფრად – მთები და ხეობები, და თბილ ტანსაცმელს ქსოვს თქვენთვის და თქვენი ბარტყებისათვის“. მობიბინე ბალახში მიყუჟულმა თუ ხის ტოტებზე განაბულმა ჩიტებმა მხიარულად ააფართქუნეს ფრთები და სმენის დამატ-კბობლად აჭიკჭიკდნენ. ქადაგებისას წმიდანი აქეთ-იქით დადიოდა და ანაფორის კალთებით ეხებოდა მათ, მაგრამ

არცერთი არ დამფრთხალა და არც გაფრენა უცდია. ბოლოს პირჯვარი გადასახა ჩიტებს და ისინიც მხიარული ჭიკჭიკით აიჭრნენ ცაში, შემდეგ კი ჯვრისებრ გაიშალნენ და თვალსაწიერის ოთხივე მხარეს გაფრინდნენ.

წმიდა ფრანჩესკო მთელი არსებით ნებდება ბუნების მომნუსხველ ალერსს და, ძველი მონაზვნებისაგან განსხვავებით, სრულიადაც არ უფრთხის იმას, რომ ბოროტმა სულებმა, შესაძლოა, სწორედ ამ ალერსში ჩააქსოვეს მთელი თავიანთი მზაკვრობა და ათასგვარი საცთური. უხილავი სამყარო მთელი თავისი სადა და მარტივი სიდიადით იშლება მის თვალწინ, რასაც საერთოდ ვერ აღიქვამდნენ პროვანსელი ტრუბადურები, პოეზიის ხელოვნებას რომ აზიარეს იგი. თავის უმბრიულ გალილეაში, პერუზის კამკამა ტბის პირას, ალვერნიის მუხნარის მწვანე ჩარდახქვეშ, მას ყურში ჩაესმის ღვთაებრივი სიცოცხლის იდუმალი ჩურჩული და თავის ხმას უერთებს ამ სამყაროულ ქორალს. „მზის საგალობელში“ ის ადიდებს უფალს მისი ქმნილების სიდიადისა და მომნუსხველი მშვენების გამო:

Laudato sia, Dio mio Signore,
Con tutte le tue creature![27]

ასიზური „ალილუია“, რომელშიაც ირეკლება შუადღის თვალისმომჭრელი ნათელი, ვარსკვლავებით მოჭედილი სამხრეთული ღამის მყუდროება, სიოს ალერსი, ანკარა წყაროების ჩუხჩუხი და ხასხასა მდელოებით შემკული, მინდვრის ყვავილებით მოჩითული, ნაყოფთა სიუხვით მკერდსავსე და დედაშვილური სიყვარულის მადლით ცხებული მშობლიური მიწის (nostra madre terra[28]) თავბრუდამხვევი სურნელი, – იტალიური პოეზიის აკვნიდან საზეიმო საგალობელივით მიიწევს ცისკენ. მაგრამ, ამასთანავე, ესაა ფრანცისკანული ქრისტიანიზმის „ქებათა-ქება“, რომელსაც არ სურს დაინახოს სამწუხარო კონტრასტი ბუნების მშვიდ სილამაზესა და ადამიანის ამქვეყნიური არსებობის სიმწარეს შორის, და რომელიც თვით ტანჯვისაგან რაღაც წმიდათა-წმიდასა თუ სალოცავ ხატსა ქმნის: „კურთხეულ იყავ, უფალო ჩემო, იმათ გამო, ვინც ყვე-

ლაფერს მიუტევებს მოყვასს შენი სიყვარულით; ვინც უდრტვინველად იტანს ტანჯვა-წამებას. ნეტარ არიან მშვიდობისმყოფელნი, რადგანაც შენა ხარ, უზენაესო, მათი გვირგვინი". –

Loudato sia, mio Signore,
Per quelli che perdonano per tuo amore
Et sosteneno infirmitate et tribulatione:
Beato quelli que sostenerano in pace,
Che da ti altissimo serano incoronati.[29]

VI

ამრიგად, 1210 წელს იტალია მოციქულების დროინდელი ენთუზიაზმის განახლების მოწმე შეიქნა. ხალხი ჯგროდ აწყდებოდა წმიდა ფრანჩესკოს, ვისი სიტყვაც ნუგეშს სცემდა და სიმძიმილს უმსუბუქებდა. ის სახარების უებრო ბალზამს სცხებდა ყველა იარას. იმ ხალხს, ვისთვისაც აუტანელი იყო კომუნალური რეჟიმი, ის უჩვენებდა უფლის სასუფეველს, როგორც ამ ქვეყნად დათმენილი უბედურებისა და უსამართლობის ჯილდოს. ის აცხრობდა სასომიხდილთა ბორგვას, რომელნიც ცდილობდნენ თავი დაეღწიათ ამქვეყნიური ამაოებისათვის და თანდათანობით შორდებოდნენ ეკლესიასაც: პირადი მაგალითით ცხადყოფდა, რომ ადამიანი შეიძლებოდა ჭეშმარიტ ქრისტიანად დარჩენილიყო და, იმავდროულად, სიხარულისა და შვების მთელი საუნჯე ეპოვა რელიგიის წიაღში. ის თავისუფალ კვლევას კი არ აწესებდა, არამედ სიყვარულის თავისუფლებას. ის ცდილობდა შეემსუბუქებინა ეკლესიისა და მღვდელთმთავრის ხელი, რომელიც შუა საუკუნეების მანძილზე ისე დამძიმდა, რომ წელში წყვეტდა ქრისტიანობას. თვით ეკლესიას კი ის ანიჭებდა მოციქულების დროინდელ ძალმოსილებას და ცდილობდა სამონასტრო ცხოვრების ფუჭი მელანქოლიისგან დაეხსნა იგი, რათა ქედმაღალი ქალბატონის კი არა, მოსიყვარულე დედის სახით შეეყვანა ხალხმრავალი ქალაქების, მოფუსფუსე კომუნებისა და მაშვრალთა სოფლური ყოფის

ნიაღში; ყველაზე ძვირფას მოგონებებს უღვიძებდა და, როგორც მაგიურ სიტყვას, ხელახლა უბრუნებდა მას ქრისტეს ღვთაებრივ ძახილს: Misereor super turbam[30].

ფრანცისკანელთა მოციქულებრივი მოღვაწეობა სახარების ხელახლა პოვნით იწყება. თავდაპირველად ისინი არც ახალი მონაზვნური ორდენის წევრები იყვნენ და არც რომელიმე სხვა – მკაცრად ორგანიზებული დაწესებულებისა. დამფუძნებლის აზრი რამდენიმე წლის განმავლობაში თავისუფალი ძმობის – კონფრერიის იდეას დასტრიალებდა თავს, ძმობისა, რომლის არსებითი ნიშნები ჩამოყალიბებულია 1209 წლის წესდებაში, 1221 წლის წესდება კი მხოლოდ აზუსტებს მათ. აქ რეკომენდირებულია ოთხი მთავარი ევანგელური სათნოება: სიღარიბე, თვინიერება, გულმოწყალება და ლოცვა. ცხოვრებაში მათი დანერგვა მალე სრულიად თავისებურ ხასიათს იძენს. თვინიერება ყოველივე ამქვეყნიურის სრულ უგულებელყოფას იწვევს, ხოლო იგივე თვინიერება სიღარიბესთან ერთად – სიღატაკეს „ღვთის გულისათვის". გულმოწყალება მარტოოდენ უპოვართა და უმწეოთა სიმრავლეს როდი სჯერდება: ის კეთროვანებს, დამნაშავეებსა და თვით წარმართებსაც მოიცავს. იმთავითვე მკაფიოდ იკვეთება ფრანცისკანელთა ორი ძირითადი ფუნქცია: ქადაგება და ხელგარჯილობა. მათი ქადაგება – ესაა ცოცხალი და ქმედითი სიტყვა, დაუშრომლად რომ ფანტავენ ხალხში და ამიტომაც საკმაოდ სწრაფად აღწევს ქვეყნის ყველა შორეულ კუთხეს. რაც შეეხება ხელგარჯილობას, რის საფასურადაც თავის გასატანად და არსებობის შესანარჩუნებლად პირველი საჭიროების საგნებს იღებენ, – ის თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ფრანცისკანელები თავდაპირველად ზედმიწევნით ესადაგებიან იმდროინდელი სოციალური ცხოვრების ზოგად პირობებს. 1221 წლის წესდება არავითარ საგანგებო სამსახურს არ ავალებს მღვდლებს, ხოლო ერისკაცთა მთელ მოვალეობას რწმენის სიმბოლოსა და ლოცვების – „მამო ჩვენო", მიცვალებულთა სულის მოსახსენიებელი „Miserere"-სა და

„de Profundis“[31]-ის რეჩიტაცია შეადგენს. 1209 წელს ფრანცისკანელთა ძმობა ტერციარიუსების[32] ორდენს უფრო ჰგავდა, ვიდრე რელიგიურ მხედრიონს. აი, რატომაა, რომ ორდენის არსებობის პირველსავე წლებში იტალიური საზოგადოების ყველა ფენა, რომელსაც არა მარტო ამშვიდებდა, ნუგეშსაც სცემდა წმიდა ფრანჩესკო, ერთბაშად აზავთდა და კიდევაც მიემხრო მას. წმიდანის მონაფეთა შორის უხუცესმა – ბერნარდო კვინტავალელმა, „ასიზის ერთ-ერთმა ყველაზე კეთილშობილმა, ყველაზე მდიდარმა და ბრძენმა მოქალაქემ“, რომელიც თხემით ტერფამდე შესძრა ჭაბუკი მოციქულის თვითგანდგომამ, მთელი თავისი ქონება ქვრივ-ობლებს, პატიმრებს, პილიგრიმებსა და სნეულთა თავშესაფრებს გაუნაწილა და კვალდაკვალ მიჰყვა წმიდანს. სილვესტრო, რომელიც უწინ ცნობილი იყო თავისი სიძუნწით, უპოვართა ორდენში ჩაეწერა და ისე ესაუბრებოდა ღმერთს, როგორც „მეგობარი – მეგობარს“. ფრანცისკანელებსვე შეურთდნენ: მდაბიორთაგან – ლეონე, რუფინო და მასეო; ჯარისკაცთაგან – ანჯელო; აზნაურთაგან – ეჯიდიო და ვალენტინო ნარნელი; პრელატთაგან – ასიზის საკათედრო ტაძრის კანონიკოსი და პიეტრო კატანი, „იურისკონსულტი და სჯულისმოძღვარი“; სასახლის კარის პოეტთაგან – პაჩიფიკო; ორი ბოლონიელი სტუდენტი – პელეგრინო და რინიერი, რომელთაგანაც ერთი ნამდვილი ჭკუის კოლოფი და დეკრეტალიების[33] დიდი მცოდნე იყო; და ბოლოს, შარაგზის სამი ყაჩაღი, „ავაზაკი და კაცისმკველელი“ („Fioretti“). ფრანჩესკოს ერთადერთი იარაღი მისი სიტყვაა და შეიძლება თამამად ითქვას, რომ არავის მოუსმენია უფრო პოპულარული ქადაგება. მისი თეოლოგია საღმრთო ნერილია, საყვარელი თემები კი – „მამაო ჩვენო“-ს კომენტარები, ცოდვილის სიკვდილი და უფლის ენებანი. ის ქადაგებს ყოველგვარი ორატორული სამზადისის გარეშე; იცინის, ტირის და მსმენელსაც ცრემლს აღვრევინებს; მკვეთრი ჟესტიკულაციებით თვითონვე განასახიერებს იმას, ვისზედაც ხალხს ესაუბრება და არც ბგერათმიბაძ-

ვისგან იკავებს თავს. ერთხელ პაპ ჰონორიუს III[34]-ის წინაშე უნდა ექადაგა და ამ შემთხვევისათვის საგანგებოდ დაიზეპირა მთელი სიტყვა, მაგრამ დაიწყო თუ არა, შეცბა, დაიბნა და ენა დაება; მაშინ, ჩვეულებისამებრ, იმპროვიზაციაზე გადავიდა და „გეგონებოდათ, თვით სული უფლისა ამეტყველდა მისი პირითო", – გადმოგვცემს წმიდა ბონავენტურა.

ამა თუ იმ ქალაქში შესვლისას მთელი ხალხი მის შესახვედრად გამოეფინებოდა ხოლმე. ბოლონიაში ვეებერთელა მოედანიც კი ვერ იტევდა მორწმუნეთა სიმრავლეს. სოფელ-სოფელ რომ დადიოდა, მის შესახვედრად მოეშურებოდნენ მთელი პროცესიები: კონფრერიები, კორპორაციები, პატარა ბავშვების გუნდები, რომლებსაც ხელში დროშები და მწვანე რტოები ეჭირათ. უმბრიის პატარა ზარები მხიარულად წკრიალებდნენ, როგორც ქრისტეს ბრწყინვალე აღდგომისას, ფრანჩესკოს კი გარს ეხვია ხალხი, რომელსაც სურდა მისი სამოსის კალთას შეხებოდა, ან მაუდის პაწაწინა ნაჭერი ჩამოეჭრა მისი კაპიუშონისათვის. ბორგო სან დონინოში იმდენი ხალხი მიაწყდა, რომ კინაღამ გული შეუღონდა და სუნთქვაშეკრული თავისი თაყვანისმცემლების მკლავებზე გადაესვენა. გაეტაში იძულებული შეიქნა ნავში ჩამხტარიყო და ცურვით გასცლოდა იქაურობას, რათა ბრბოისაგან დაეხსნა თავი. რიეტიში ხალხი ისე გაშმაგებით მოისწრაფოდა ფრანჩესკოს სანახავად, რომელსაც მონასტრისათვის შეეფარებინა თავი, რომ გარშემო მთელი ვენახი გადაჯეგა; საბრალო წინამძღვარი სასოწარკვეთილებაში ჩავარდა, მაგრამ წმიდანმა ანუგეშა და საუცხოო მოსავალი უწინასწარმეტყველა; შემოდგომაზე მართლაც ისეთი რთველი ჰქონდათ, რომ აღარ იცოდნენ მოსავალი სად წაეღოთ.

როგორც კი ინოკენტი III-მ პირველი ძმობა აკურთხა, ფრანჩესკომ მთელ იტალიაში წყვილ-წყვილად წარგზავნა მისიონერები და უთხრა: „წადით და ასწავლეთ, მარტო ჩვენი ხსნისათვის როდი გვიხმო უფლის გულმოწყალებამ, არამედ ხალხის ხსნისთვისაც. ეკრძალეთ მდიდართა გმო-

ბასა და განკითხვას, რადგანაც ღმერთი იმდენადვეა მათი უფალი, რამდენადაც – თქვენი, ასე რომ, მას შეუძლია მიიხმოს და გაამართლოს კიდეც ისინი. ამიტომაც გვმართებს პატივს ვცემდეთ მათ, როგორც ჩვენს ძმებსა და ბატონებს, თავიანთი სახსრებით რომ შეეწევიან კეთილი ხალხის უმწეობას. მაშ, წადით, მშვიდობა აუნყეთ და სინანული უქადაგეთ ხალხს ცოდვათა მისატევებლად. ზოგი სიხარულით მიგიღებთ და სიამოვნებით დაგიგდებთ ყურს; უკეთურნი, ქედმაღალნი და გულმხეცნი კი თქვენს წინააღმდეგ აღიძვრიან. მაშ, იყავით ჭირთამთმენნი, ლოცვისას – გულმხურვალენი, შრომაში – მხნენი, სიტყვით – თავმდაბალნი, ზნით – დარბაისელნი, კეთილისმყოფელთა მიმართ – მადლიერნი, და ჯილდოდ მიიღებთ ცის სასუფეველს"*. ფრანცისკანელთა პირველ საერთო სხდომაზე, 1216 წელს, მან იგივე განაწესი გაიმეორა: „დაე, თქვენს გულში უფრო მეტი მშვიდობა იყოს, ვიდრე ბაგეებზე; ნურავის მისცემთ წყრომის საბაბს და ნურც მოთმინებიდან გამოიყვანთ ვინმეს, არამედ კეთილმოსურნეობა, თანხმობა და მეგობრობა ჩაუნერგეთ ყოველი მორწმუნის სულს. თქვენი მოწოდება ეს არის – განკურნოთ დაჭრილნი, ანუგეშოთ მტირალნი, მოაქციოთ შეცთომილნი. ამ უკანასკნელთაგან ზოგიერთი შეიძლება ეშმაკის მსახურიც კი გეგონოთ, მაგრამ მოვა დრო, როცა ისინი ქრისტეს დაემოწაფებიან".

ძმები, თავიანთი დავითნის კითხვით, ქალაქიდან ქალაქში და სოფლიდან სოფლად დადიოდნენ და სახლებში თუ ეკლესიების ეზოებში შინაურულად უქადაგებდნენ ხალხს. მათი მოუღლელობა ჭეშმარიტად საოცარია. თვით ორდენის დამაარსებელი თავის ძმობაში ვერ იტანდა უქნარებს. „წადი, ძამიკო, შენს გზას ეწიე, – ეუბნებოდა ერთ ახალბედას, რომელიც მხოლოდ იმას ცდილობდა, რომ მუცელი ამოეყორა და ნასადილევს ჩეროში მოეტყუებინა

* Wadding Annal minor., t I, p 61. Lib. Conformitatis-ში არ არის ის სტრიქონები, რომლებიც მდიდრებს ეხება.

თვალი, – გეყო, რაც დედა ფუტკარივით იყავი, რომელიც თვითონ კი არ ამზადებს თაფლს, არამედ მუშა ფუტკრების ნაოფლარს შეექცევა". უნდა გენახათ ფრა ეჯიდიო, რომიდან რვა კილომეტრის მანძილზე ფეხით რომ მიდიოდა სოფელში, სადაც ძნას კონავდა, კაკალს ბერტყავდა, თავთავებს აგროვებდა უპოვართათვის და კარდაკარ დაჰქონდა წყალი. ძმებს, რომლებსაც სამღვდელო ხარისხი ჰქონდათ, ხალხი ყველაზე ხშირად ეუბნებოდა აღსარებას, როგორც ჩანს, იმის იმედით, რომ აღარასოდეს შეხვდებოდა მათ, და ამ მოხეტიალე მღვდლებსაც, ვინ იცის, საით მიჰქონდათ სხვისი სინიდისის მძიმე ტვირთი. ისინი აცხრობდნენ ოჯახის წევრებს შორის ატეხილ დავას, პარტიების მძაფრ სიძულვილს ერთურთის მიმართ და ვნებების მძვინვარებას შინააშლილობებისა თუ ამბოხებების დროს. 1210 წელს ისინი ჩაერივნენ ასიზელი ბარონებისა და გლეხების დავაში და აიძულეს ეს უკანასკნელნი ხელი მოეწერათ განთავისუფლების ქარტიისათვის. 1220 წელს წმიდა ფრანჩესკო გულმხურვალედ მოუწოდებდა ბოლონიის კომუნალურ პარტიებს, ერთმანეთს შეურიგდითო. ის მძვინვარე მგელი, აგუბიოს უდაბნოდან დავითნის მომხიბლავი ილუსტრაციებით სახელგანთქმულ პატარა მისტიურ ქალაქში კრავივით მოთვინიერებული რომ ჩაიყვანა, კეთილმორწმუნე ოზანამის[35] აზრით, რომელიღაც ბარონი, თავზეხელაღებული „იზენგრინი", ან „შუა საუკუნეების მთელი ბრბო" უნდა ყოფილიყო. მაგრამ, მართალი გითხრათ, ცოტა არ იყოს, ძნელია შეელიო ამ მგელზე ფიქრს, ლეგენდის თანახმად, ჭეშმარიტი ღვთისმოსავის მორჩილებით რომ გაუწოდა თათი ფრანჩესკოს და ფიცით აღუთქვა, ამიერიდან თვინიერი მგელი ვიქნებიო; შეასრულა კიდევაც თავისი აღთქმა: მთელი სიცოცხლის განმავლობაში აგუბიოს გულკეთილ მკვიდრთა ერთგული მეგობარი იყო, და როცა მოკვდა, „Fioretti"-ს მოწმობით, წმიდანობას ბევრი აღარა უკლდა რა.

უკიდურესად მარტივმა ორგანიზაციამ დიდად შეუწყო ხელი მინორიტთა სწრაფ წარმატებას. 1209 წლის წესდე-

ბაში ეს ორგანიზაცია ჯერ კიდევ არ ფიგურირებს, და „ასიზის მონანიე მოქალაქენი" მხოლოდ და მხოლოდ სეკულარული სამღვდელოებისა და ეპისკოპოსის ზედამხედველობას არიან მინდობილნი. ჩვენ მას უკვე ვხედავთ 1221 წლის წესდებაში, თუმცა რაც შეეხება ძმობის მსახურთა თუ მრჩეველთა ინსტიტუტს, ამ მხრივ ის ჯერ კიდევ საბოლოოდ ჩამოყალიბებული არა ჩანს, და თავის დასრულებულ სახეს მხოლოდ 1223 წლის წესდებაში იღებს, რომელიც პაპმა ჰონორიუს III-მ აკურთხა. აქ ორდენი, სარწმუნოებრივი დისპიცლინის შესაბამისად, უკვე თავისი სრული სახითაა ფორმირებული. ვიდრე ძმები ჯერ კიდევ უზარმაზარ მონასტრებში არ იყვნენ გამოკეტილნი და, თუ შეიძლება ასე ითქვას, ქრისტიანობის ნიაღში მომთაბარე ცხოვრებას ეწეოდნენ, ისინი, ყოველგვარი ამქვეყნიური ინტერესის გარეშე, ძალიან სწრაფად გამრავლდნენ, რადგანაც თავიანთ რიგებში იზიდავდნენ ყველას, ვისაც ხიბლავდა ახალი აპოსტოლატის თავისუფლება მთელი თავისი ავანტურებით. მაგრამ როცა რიცხვმრავლობით უზარმაზარ არმიად იქცნენ, იძულებულნი გახდნენ ჰიერარქიული წესრიგი დაენერგათ თავიანთ ორდენში. წმიდა ფრანჩესკო პროვინციებად ყოფს მთელ დასავლეთს. პროვინციალური მინისტრი თვალყურს ადევნებს მცველებს, ანუ მონასტერთა მსახურ მინისტრებს; მთავარ მინისტრს კი, ვისი რეზიდენციაც ასიზიშია, პროვინციალური მინისტრები ირჩევენ ორდენის კაპიტულის[36] საერთო კრებაზე, რომელსაც უმბრიაში სამ წელინადში ერთხელ, ორმოცდაათობის[37] დღეს იწვევენ: მხოლოდ ამ კრებას შეუძლია მისი გადაყენებაც. წმიდა ტახტის თათბირზე ერთ-ერთი კარდინალი ორდენის ინტერესების დამცველად გვევლინება.

აბატისა და პრიორის[38] არისტოკრატიული ნოდებები ბენედიკტური მონაზვნობის სულთან ერთად ქრება, მონაზვნობისა, სადაც ფეოდალური პრინციპების მიხედვით ფორმირებული რელიგიური საზოგადოება მთლიანად თავის აბატზეა დამოკიდებული, ხოლო კომუნებს შორის

ერთადერთ მაკავშირებელ რგოლად წმიდა ბენედიკტეს წესდება გვევლინება. წმიდა ფრანჩესკო მიხვდა, რომ ახალი ღვინო ახალ რუმბებში უნდა ჩაესხა. ამიტომაც XIII საუკუნის კომუნალურ იტალიას მან წარუდგინა არა რელიგიური ოლიგარქია, არამედ რელიგიური რესპუბლიკა, რომელიც ასიზური პარლამენტის წყალობით, სრულიად თავისუფალია თავისთავად და საერო სამყაროს წინაშე – ყოვლად ძლიერი, ხოლო თავისი მოქნილი ჰიერარქიის მეოხებით, – რომისგან დამოუკიდებელი. მაგრამ წმიდანი ამასაც არ დასჯერდა. „კლარისების“[39] მკაცრი დასკვნა რომ გამოიტანა იმ ქალების მიმართ, რომლებიც თავიანთი სისუსტის გამო გაურბოდნენ ამქვეყნიურ საფრთხეს და საცთურს, მან შესძლო სულ უკანასკნელ ფენებამდე გამოეცოცხლებინა რელიგიური საზოგადოება. 1221 წელს წმიდა ფრანჩესკომ დაარსა „მონანულ ძმათა კონფრერია“ (რომელსაც 1230 წელს ტერციარიუსების ორდენი[40] ეწოდა) მეოჯახე ქალებისა თუ კაცების, მეუღლეებისა და თვით სეკულარული მღვდლებისთვისაც. პირველი ასოციაციები ფაენცასა და ფლორენციაში შეიქმნა. ტერციარიუსების ორდენის კარი ყველასათვის ღიაა: მდიდრებისა თუ ღირიბების, ხელოსნებისა თუ ნობილებისთვისაც. თავდაპირველად ის არავითარი წერილობითი წესდებით არ არის რეგლამენტირებული; წესდება, რომელიც თითქოს 1221 წელს უნდა მიეკუთვნებოდეს, სინამდვილეში, წმ. ფრანჩესკოს გარდაცვალების შემდეგაა შექმნილი. ეს წესდება (ჩვენამდე მოღწეული სახით) გამეორებულ იქნა ნიკოლოზ IV[42]-ის 1289 წლის ბულაში – Supra montem[43]. ორდენის დამაარსებლის ყველა პრეცეპტი მკაცრი დისციპლინით განმტკიცებულ ქრისტიანული სარწმუნოებისა და გულმოწყალების დიად წესებს უკავშირდება. ძმები ვალდებულნი არიან პატივს სცემდნენ ღვთისა და ეკლესიის ბრძანებებს, უზავდებოდნენ თავიანთ მტრებს, უკანვე აბრუნებდნენ უკანონოდ შეძენილ ქონებას, ღარიბულად იცვამდნენ, აღთქმის დადებიდან სამი თვის შემდეგ ადგენდნენ თავიანთ ანდერძს და თავს არიდებდნენ

როგორც წვეულებებს, დღესასწაულებს, თეატრალურ სანახაობებს და პროცესიებს, ისე ფუჭ სიტყვასა და ამაო ფიცსაც. „ისინი არ უნდა ატარებდნენ არავითარ იარაღს, გარდა იმ შემთხვევისა, როცა საჭიროა რომაული ეკლესიისა და სამშობლოს დაცვა". XIII საუკუნის შუა წლებამდე ტერციარიუსები სრულიადაც არა ჰგვანან რელიგიურ მილიციას; მათი სჯულიერი ბელადები ეპისკოპოსები არიან, ამრიგად, ფრანცისკანელთა კომუნა მთლიანად ავსებს მუნიციპალური კომუნის ფარგლებს და ხელს უწყობს მანამდე გათიშული სოციალური ფენების ურთიერთდაახლოებას; ნებისმიერ ქალაქში ტერციარიუსები საერთო საკურთხევლის, როგორც საძმო ტრაპეზის ირგვლივ თავს უყრიან ყველას, ვისაც ერთმანეთს აშორებს ამქრული თუ კორპორაციული რეჟიმი. ისინი გასაქანს არ აძლევენ მდიდართა თავნებობას, ღირსების გრძნობას უნერგავენ ჩაგრულთ და თანალმობას აღვიძებენ ხალხის გულში. „მიიწვიე ღარიბ-ღატაკნი შენს დიდებულ სასახლეში გაშლილ სუფრაზე, – სწერს XIV საუკუნის ერთი ფლორენციელი ნოტარიუსი პირველი გილდიის ვაჭარს, – თუ გინდა, რომ ღმერთმა არ წამოგაყვედროს: რატომ ერთხელ მაინც არ მიიპატიჟე ჩემი მეგობრები სახლში, რომელიც მე გიბოძეო?"*.

მაგრამ ტერციარიუსთა განტოტებანი შორს სცილდებიან ქალაქის ფარგლებს. ისინი ერთმანეთთან აახლოებენ ქალაქებსა და პროვინციებს, ერთი დევიზით აერთიანებენ მთელ ნახევარკუნძულს, განამტკიცებენ სინიდისისა და ეკლესიის ურთიერთკავშირს და თავისუფლების ამაყი გრძნობით აღანთებენ იტალიელთა გულებს. ამ მხრივ, უთუოდ ნიშანდობლივია შემდეგი წერილი, რომელიც ფრიდრიხ II-ის კანცლერს პიეტრო დე ლა ვინიას მიეწერება, მაგრამ, სინამდვილეში, ერთი გიბელინი ეპისკოპოსის კალამს უნდა ეკუთვნოდეს: „მინორიტები და მოქადაგენი ჩვენს წინააღმდეგ აღიძრნენ; საჯაროდ

* Ser Lapo Mazzei, Lettere, t. I, p. 214.

დაჰგმეს ჩვენი ცხოვრება და ჩვენი საქმე; ფეხქვეშ გათელეს ჩვენი უფლებები და არარაობად გვაქციეს; ხოლო იმ მიზნით, რომ საბოლოოდ დავემხეთ და ხალხის სიყვარულისაგან განვეძარცვეთ, თავიანთი ძმობის ორი ორდენი შექმნეს, რომლებიც თითქმის ყველა ქალსა და კაცს აერთიანებენ. ძნელად თუ იპოვი ორიოდე სახელს, რომელიც ჯერ კიდევ არ იყოს შეტანილი მათ სიებში"*. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, ტერციარიუსებმა იტალიის გარეთ, პოლიტიკური ინტერესებით გათიშულ დასავლეთშიაც აღადგინეს ნებისმიერი ეროვნული ეკლესიისაგან დამოუკიდებელი რელიგიური საზოგადოება, პირველ ქრისტიანულ საზოგადოებას რომ მოგაგონებდათ. უშუალო კავშირი აერთებს ერთმანეთთან ფრანცისკანული ოჯახის ყველა წევრს, ოჯახისა, მთელს ევროპაში მშვიდობისა და ლოცვის ლიგას რომ აყალიბებს. „Fioretti"-ში ამასთან დაკავშირებით ვხვდებით მშვენიერ ლეგენდას, რომელსაც არავითარი ისტორიული მნიშვნელობა არა აქვს, და მაინც ამ ზოგად-ევროპული ძმობის გულისშემძვრელ სიმბოლოდ აღიქმება ჩვენს მიერ. ერთხელ მსხემის ფლასებით მოსილმა წმიდა ლუიმ[43] პერუჯის მონასტრის კარზე დააკაკუნა და ფრა ეჯიდიო იკითხა. ფრანჩესკო ასიზელის მეგობარი, რომელსაც მეკარემ აუწყა, გკითხულობენო, მაშინვე მიხვდა, რომ ეს უცხო მგზავრი სწორედ საფრანგეთის მეფე უნდა ყოფილიყო და სირბილით გაეგება სტუმარს. უსიტყვოდ მოიყარეს მუხლი ერთურთის წინაშე და ასევე უსიტყვოდ ეამბორნენ ერთიმეორეს; შემდეგ კი წმიდა ლუიმ ხმის ამოუღებლად განაგრძო გზა, ხოლო ეჯიდიო თავის სენაკში დაბრუნდა. როდესაც ძმებმა უსაყვედურეს, რატომ ერთი სიტყვაც არ უთხარი ამ უჩვეულო სტუმარსაო, – „მე მის გულში ვკითხულობდი, ის კი ჩემსაში", – მიუგო მან.

მწვალებელთა მოქცევა ნაკლებად ადარდებდა წმიდა ფრანჩესკოს, იქნებ იმიტომ, რომ ურყევად სწამდა უფლის

---

* Petri de Vin., Epist., I, 37.

უსაზღვრო გულმოწყალება ქრისტიანობის დისიდენტთა მიმართ, ან, შესაძლოა, წინასწარ ჭვრეტდა, რომ სამწყსოს დასაცავად და გაფანტული ცხვრების საძებნად საკმარისი იქნებოდა მოქადაგეთა ინსტიტუტი, Domini Canes[44], როგორც შუა საუკუნეებში უწოდებდნენ მათ. მისთვის სრულიად გაუგებარი იყო ღმრთისმეტყველების სიღრმე და, მით უმეტეს, სქოლასტიკური დახვეწილობა. ნაკლებად აფასებდა საერო მეცნიერებას, წიგნებს და სიტყვაკაზმულ მწერლობას. შესაძლოა, დომინიკური ინკვიზიციის „საგმირო საქმეებმა" სამხრეთ საფრანგეთში[45] სამუდამოდ ააღებინეს ხელი იმ ევანგელურ მისიაზე, რასაც ასე წარმატებით ახორციელებდა საერო ხელისუფლება არა მარტო ჯვრით, არამედ ცეცხლითა და მახვილითაც. ამიტომაც იყო, რომ თავისი მოწაფის, ყოფილი ავგუსტინელი კანონიკოსის, მინორიტთა ორდენის უთვალსაჩინოესი თეოლოგისა და საეკლესიო სამართლის ყველაზე დიდი მცოდნის, პორტუგალიელი წმიდა ანტონიოს[46] მრისხანე ქადაგებებს მიანდო იტალიელ ერეტიკოსთა ბედი. წმიდა ფრანჩესკოს გენია გაცილებით უფრო თავისუფლად გრძნობდა თავს წარმართებთან ურთიერთობისას. ამიტომაც XIII საუკუნიდან მოყოლებული, უსჯულოთა მოქცევა ფრანცისკანიზმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად იქცა. ფრა პლანოკარპინი, რომელიც 1223 წელს საქსონიის პროვინციალური მინისტრი იყო, ინოკენტი III-ის სახელით შუა სათათრეთში გაემგზავრა და, ამრიგად, გზა გაუკაფა მარკო პოლოს. ფრანჩესკო თვითონ აძლევდა ძმებს მისიონერული მოღვაწეობის მაგალითს: 1219 წელს ის დამიეტშია, უსჯულოთა მიერ ალყაშემორტყმულ ქრისტიანთა შორის, რომლებსაც ნილოსზე გამაგრებული სულთანი ეგვიპტიდან განდევნას უპირებდა[47]. სარაცინების მოქცევაზე მეოცნებე წმიდანი მალიქ ალ-ქამელს ეახლა და სთხოვა ცეცხლით გამოცდა მოეწყო მისთვის: პირობის თანახმად, იმამებთან ერთად მოგიზგიზე კოცონის შუაში უნდა გაევლო, მაგრამ არცერთმა მუსულმანმა ღვთისმსახურმა არ ინება სასწაულისთვის მიენდო

თავისი ბედი, და წმიდა ფრანჩესკო ჯვაროსნების ბანაკში დაბრუნდა. აკრის არქიეპისკოპოსის იაკობ ვიტრიელის[43] ცნობით, წმიდანს თან ჩამოჰყვა მხოლოდ წარმართი მბრძანებლის კეთილი სიტყვა: „ჩემთვისაც ილოცე ხოლმე, ეგება ღმერთმა გამიმჟღავნოს, რომელი სარწმუნოება უფრო სასურველია მისთვის". ფრანჩესკოს ისღა დარჩენოდა, რომ იქაური ქრისტიანებისათვის ექადაგა, რომლებსაც ძალიან სჭირდებოდათ მოციქული, მაგრამ მისმა ქადაგებამ და გულმოდგინებამ სასურველი შედეგი არ გამოიღო. ამ ჯვაროსნული ლაშქრობის მემატიანე გვაუწყებს: „'Cil hom qui commença l'ordre des Frères Menors, si ot nom frère François... vint en l'ost de Damiate, et i fist moult de bien, et demora tant que la ville fut prise. Il vit le mal et le péché qui comença à croistre entre les gens de l'ost, si li desplot, par quoi il s'en parti, et fu une pièce en Surie, et puis s'en rala en son païs.'"*[49].

VII

ფრანჩესკოს თავისი ეკლესია წელგამართული, წმიდა ტახტისაგან პატივცემული და ლატერანის 1215 წლის კრების მიერ განმტკიცებული დახვდა. შვიდი წელი ორდენის იტალიური პროვინციების მონახულებას მოანდომა. გულით ხარობდა მათი შემყურე, როგორც ხარობს ოჯახის მამა, როცა ხედავს, რომ მოსავალი უკვე მწიფდება მის ყანაში, რომელიც თავისი ხელით დაამუშავა, მორწყა, გამარგლა და ქვა-ღორღისაგან გაასუფთავა. გადმოცემით, 1222 წელს იმპერატორ ფრიდრიხსაც შეხვდა და თავისი სიწმინდით და გულწრფელობით განაცვიფრა მისი ნახევრად მუსულმანური სასახლის კარი. ყოველ წელიწადს სულ უფრო აშკარად გრძნობდა, რომ იწურებოდა მისი ამქვეყნიური არსებობის ყავლი და, ალბათ, სულ მალე უნდა მიბრუნებოდა თავისი უფლის წიაღს. ახლა ყველაფერს ერჩია უმბრიის მთებში განმარტოება, სადაც

* Hist. de Crois., t. II. L'Est. de Eracles Emtereur, liv. XXXII, ch. XV.

რამდენიმე კვირის მანძილზე კაციშვილს ვერა ხედავდა.საშინლად იტანჯებოდა, ხანგრძლივი სინანულით გამოფიტული, ძლივს იდგა ფეხზე, თითქმის ვეღარაფერს ხედავდა და აღარც ჭამა შეეძლო. „ჩემთვის ერთია სიცოცხლეც და სიკვდილიცო“, – ეუბნებოდა ექიმს, ხოლო ერთ ძმას, ვისი აზრითაც, ღმერთი მეტისმეტად უწყალო იყო მის მიმართ, უთხრა: “შენი მიამიტობის ამბავი რომ არ ვიცოდე, ახლავე მოგიშორებდი თავიდან; როგორ ბედავ უფლის გმობას იმ ტანჯვის გამო, რომელიც მე მარგუნა ნილად?“ „ყველაზე სასტიკი ნამებაც კი ვერ შეედრება ჩემი სამი დღის ტანჯვას, – ეუბნებოდა ერთ-ერთ განდეგილს, – მაგრამ მე მაინც ტანჯვას ვარჩევ, რადგანაც ღმერთმა მომივლინა იგი“.

1226 წელს ძმა ელიამ რის ვაივაგლახით გადაიყვანა სიენიდან კორტონაში, იქიდან კი ასიზიში, სადაც აპირებდა სიკვდილს. მთელი ხალხი ქალაქგარეთ გამოეგება. ეპისკოპოსმა თავისი სახლი დაუთმო, სადაც რამდენიმე თვე იწვა. ამ ხნის განმავლობაში მან ერთი სტროფიც მიუმატა „გზის საგალობელს“, „თავისი დის“ – ხორციელი სიკვდილის სადიდებლად. როდესაც ექიმმა გააფრთხილა, რომ მისი უკანასკნელი საათი ახლოვდებოდა, ბრძანა, სანტა მარია დელი ანჯელიში გადამიყვანეთო. პროცესია მონასტრის წინ შეჩერდა. ფრანჩესკომ ითხოვა, დაბლა დაეშვათ, და თავისი მშობლიური ქალაქისკენ იბრუნა პირი; მერე ხელი შემართა და რამდენიმეჯერ დალოცა ასიზი: „კურთხეულ იყავ, უფლის მიერ, წმიდა ქალაქო, რადგანაც შენი მეშვეობით მრავალი სული იხსნის თავს, მრავალი ღვთისმსახური იცხოვრებს შენში, და შენი მრავალი შვილი დაიმკვიდრებს ცის სასუფეველს“. ამის შემდეგ ძმებმა ხელახლა ასწიეს და პორტიუნკულის სნეულთა თავშესაფარში მიიყვანეს საკაცით. ბრძანა, ტანსაცმელი გამხადეთ და ფერფლის გროვაში ჩამაწვინეთო. მაგრამ მცველმა უბრძანა, წმიდა მორჩილების სახელით ნათხოვარი ტუნიკა და კაპიუშონი მიეღო როგორც მოწყალება. მაშინ მკლავები გაშალა და აკურთხა მი-

ნორიტები. თვალთ დაუბნელდა; როდესაც ხელით ეხებოდა მის თავთით დახრილ მონაზვნებს, თვითეული მათგანის სახელს ეუბნებოდნენ, რადგანაც უკვე ვეღარავის სცნობდა. ელია კორტონელითა და ბერნარდო კვინტავალელით დაიწყო. მერე, თითქოს მზის ნათელს და მიწიერ სიცოცხლეს ეთხოვებაო, ბრძანა „მზის საგალობელი" წაეკითხათ მისთვის, ხოლო ეკლესიასთან გამოსამშვიდობებლად – იოანეს სახარების მეცამეტე თავი, რომელიც შემდეგი სიტყვებით იწყება: „პასექის დღესასწაულის წინ იცოდა იესომ, რომ მოაწია მისმა საათმა, რათა გასულიყო ამ ქვეყნიდან და მისულიყო მამასთან, ვინაიდან შეიყვარა თავისიანნი, რომელნიც იყვნენ ამ ქვეყნად, და შეიყვარა ისინი აღსასრულამდე". მკითხველი განაგრძობდა კითხვას; მეთვრამეტე თავის ბოლო ლექსი რომ ჩაათავა და უფლის ვნებათა აღწერამდე მივიდა, ფრანჩესკომ ფსალმუნის სიტყვები წარმოსთქვა: „შეისმინე ჩემი ყვირილი, უფალო, და შეიწყნარე ჩემი ლოცვა".

თვალცრემლიანი ძმები გარს შემორტყმოდნენ და ჩუმად, ჩურჩულით ლოცულობდნენ. ტომაზო დი ჩელანოსა და წმიდა ბონავენტურას მტკიცებით, სულთმობრძავის უკანასკნელი სიტყვები იყო: „მე აღვასრულე ის, რისთვისაც ვიყავ ხმობილი; დანარჩენს იესო ქრისტე გიჩვენებთ. ახლა კი ღმერთი მეძახის. მშვიდობით, ჩემო კარგებო. ღვთის შიში გქონდეთ. ახლოვდებიან შფოთისა და ცთუნების დღენი. ნეტავი იმას, ვინც არ გადაუხვევს ჭეშმარიტ გზას. მე კი უფალთან მივალ. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი". ოქტომბრის დამდეგი იყო. ღამდებოდა. იტალიური შემოდგომის ამ თბილ საღამოს, მის მტრედისფერ ბინდბუნდსა და ცის მქრქალი შუქით განათებულ ბუნების იდუმალ მდუმარებაში, ფრანცისკანელთა ოჯახი გარინდებული უცდიდა, როდის გაეყრებოდა მათი წმიდა მამის სული თავის ხრწნად სხეულს. და სწორედ მაშინ მოხდა სასწაული. წმიდა ბონავენტურამ რომ შემოგვინახა: ვეება გუნდი ტოროლებისა, რომლებიც მხოლოდ მაშინ გალობენ, როცა მზე აფრქვევს თავის სხივებს, Aludae aves lucis ami-

cae[50], – ღრუბელივით გაეკრა ზეცას, სანტა მარია დელი ანჯელის თავზე დაფრინდა და არა მარტო ამ პატარა ტაძრის გუმბათი, არამედ მთელი ეზოც დაფარა. წმიდა ფრანჩესკომ მგალობელი ჩიტუნების სამგლოვიარო ზარის ხმაზე დალია სული.

იმ ღამეს უმბრიის მთა-ველი შესძრა საზეიმო საგალობელთა ხმამ, თანახმად ეკლესიის ძველისძველი ჩვეულებისა, ერთი ზარ-ზეიმით რომ აღნიშნავდა მონამეთა თუ აღმსარებელთა სიკვდილს. მეორე დღეს უამრავმა ხალხმა, რომელსაც ხელში ზეთისხილის რტოები და ანთებული სანთლები ეჭირა, მოწიწებით გადაასვენა წმიდა ფრანჩესკოს ცხედარი წმ. გიორგის ეკლესიაში. გზად მიმავალნი წმ. დამიანეს ტაძართან შედგნენ, რათა წმიდა კლარისას და მის მონაზვნებს მონასტრის სარკმლიდან უკანასკნელად შეევლოთ თვალი მიცვალებულისათვის. ორი წლის შემდეგ მხცოვანმა პაპმა გრიგოლ IX-მ, რომელიც წმიდანის სიცოცხლეში მისი მეგობარი და ინოკენტი III-ის საკრალურ კოლეგიაში მინორიტთა ორდენის პირველი მფარველი იყო, წმ ფრანჩესკოს საფლავზე საზეიმოდ გამოაცხადა სერაფიკული მამის ნეტარება. 1230 წელს მისი ნეშტი ასიზის ქვედა ეკლესიის მიწისქვეშა კაპელის საძვალეში გადაასვენეს, რომლის შესასვლელიც მხოლოდ ჩვენს საუკუნეში იქნა აღმოჩენილი. 1236 წელს დასრულდა ზედა – საოცრად ნათელი და ჰაეროვანი ეკლესია, თავს რომ დაჰყურებს რელიკვარიუმს, სადაც მარადიულ სიმშვიდეში განისვენებს მოციქული.

VIII

წმიდა ფრანჩესკომ იტალიას დაუტოვა თავისი დიადი და უკვდავი საქმე. ფრანცისკანელთა ორდენს, თავისი წარმოსახვით წაქეზებულს, მისი დამაარსებლისგან რომ იღებს დასაბამს, არსებობის მთელ მანძილზე ბედის უცნაური ტრიალი და ცვალებადობა უნდა განეცადა. ის ხან რომის ტახტისა და რწმენის ძველი სომბოლოს ხელშეუხებლობის გულმხურვალე დამცველთა რიგებში იდგა,

ხანაც, თავისი მისტიციზმით აზავთებული, თამამად უჭერდა მხარს განხეთქილებას. მაგრამ რა მიმართულებაც არ უნდა აერჩია მომავალში: იოანე პარმელს გაჰყვებოდა, წმიდა ბონავენტურას მმართველობას დაექვემდებარებოდა თუ XIV საუკუნეში „ღარიბი ქრისტეს“ დასს მიემხრობოდა ქრისტესავე ვიკარის საპირისპიროდ, – ის ყოველთვის თავისი დასაბამიერი მოწოდების ერთგული რჩებოდა. ის ყოველთვის შეინარჩუნებს ცნობიერების ქმედითი საწყისის მნიშვნელობას; ყოველთვის განამტკიცებს მორწმუნეთა სულში იმ ნაზსა და კეთილშობილურ ვნებას, წმიდა ფრანჩესკომ რომ აღძრა მათში. ფრანცისკანული რელიგიის სპეციფიკური ნიშნები: აზრის თავისუფლება, სიყვარული, გულმოწყალება, ნათელი და მხიარული განწყობილება, სიმარტივე და უბრალოება, – დიდი ხნით განაპირობებენ იტალიური ქრისტიანობის ორიგინალობას, ესოდენ მკვეთრად რომ განასხვავებს მას ბიზანტიური ფარისევლობის, ესპანური ფანატიზმისა და გერმანული თუ ფრანგული სქოლასტიკური დოგმატიზმისგან. ყოველივე ის, რაც სხვა ქვეყნებში თრგუნავდა და, ცოტა არ იყოს, აჩლუნგებდა კიდევაც ცნობიერებას – დახვეწილი მეტაფიზიკა, ნატიფი ღვთისმეტყველება, კაზუისტიკა, სინანულისა თუ დისციპლინის სიმკაცრე, ღვთისმოსაობის უკიდურესი სკრუპულოზურობა, – სრულიად უცხო იყო იტალიისთვის. საკმარისია ერთმანეთს შევადაროთ წმ. ფრანჩესკო და წმ. დომინიკე, ისევე, როგორც მეროჭიკეთა ორი დიდი ორდენის[51] დამაარსებელთა სული, წმ. ეკატერინე სიენელი[52] და წმ. ეგნატე[53], დანტე და კალდერონი, სავონაროლა[54] და კალვინი ან იანსენიუსი[55]. იტალიელებს არ ეშინიათ ღვთისა, რადგანაც მისი სიკეთისა და გულმოწყალების იმედი აქვთ. მათ არც ეკლესიისა ეშინიათ, ვინაიდან თვითონვე ქმნიან საკუთარ ეკლესიას. მაკიაველი, რომელიც ნამდვილად არ ყოფილა მისტიკოსი, მაგრამ მშვენივრად იცნობდა თავისი ხალხის სულს, თავის თხზულებაში „მსჯელობანი ტიტუს ლივიუსის შესახებ“, მას შემდეგ, რაც ძალზე მკაცრი განა-

ჩენი გამოაქვს რომის ეკლესიისა და იტალიის სოციალურ-პოლიტიკური ვითარების მიმართ, – წერს: „აუცილებელია, რომ რელიგიები ახლდებოდნენ და თავიანთ პირველსაწყისს უბრუნდებოდნენ. ქრისტიანობა საბოლოოდ ჩაქრებოდა, წმიდა ფრანჩესკოს და წმიდა დომინიკეს რომ არ განეახლებინათ იგი და, სიღარიბის გზითა თუ ქრისტეს მაგალითით, მორწმუნეთა გულები არ მოექციათ მისკენ; ამრიგად, მათ იხსნეს რელიგია, რომლის შენარჩუნებაც ეკლესიას უკვე აღარ შეეძლო“*.

მაგრამ ყოველი რელიგიური რენესანსი, სწორედ იმის წყალობით, რომ აახლებს სულის სიცოცხლეს და ზემოქმედებას ახდენს საზოგადოებრივ ცხოვრებაზე, უთუოდ მოცემული ქვეყნის მთელ ცივილიზაციასაც მოიცავს. ამიტომაც იტალიის გენია, ჯერ კიდევ XIII საუკუნის დასაწყისში რომ ეძებდა საკუთარ გზას, გატაცებული იყო იტალიური ქრისტიანობის ევოლუციით. მაგრამ ამ გრანდიოზული მოძრაობის წიაღში თავის ორბიტას არ ასცდენია; არ ჩაფლულა იმ ტრანსცენდენტურ მისტიციზმში, რომლისკენაც წმ. ფრანჩესკოს სიკვდილის შემდეგ სულ უფრო და უფრო იხრებოდა ფრანცისკანული სამყარო. გიბელინური სამხრეთის რაციონალისტური ცივილიზაციის მომნუსხველი ძალა გარკვეულწილად ზღუდავდა სულის იმპულსს, გასაქანს არ აძლევდა მის ცალმხრივ სწრაფვას, მძლავრ ზემოქმედებას ახდენდა თვით ქრისტიანიზმზეც (მე საერო საზოგადოების ქრისტიანიზმს ვგულისხმობ) და თუმცა ცათა სასუფევლის გზას არ უხშობდა იტალიას, კვლავ აბრუნებდა მას ამქვეყნიური ცხოვრებისა და მინიერი სიყვარულის წიაღში.

---

* Lib. III, cap. I. რაც შეეხება წმ. დომინიკეს, მაკიაველი მას საეონაროლას თვალთახედვით აღიქვამს, ვისი აღტაცებული მსმენელიც ის იყო. მაგრამ საეონაროლა XIII საუკუნეში, ალბათ, ფრანცისკანელი უფრო იქნებოდა, ვიდრე დომინიკელი.

თავი IV

იმპერატორი ფრიდრიხ II და სამხრეთ იტალიის რაციონალისტური სული

სწორედ იმ დროს, როცა ფრანცისკანელებმა თავიანთი მოციქულებრივი მოღვაწეობა დაიწყეს, სამხრეთ იტალიასა და სიცილიაში საფუძველი ჩაეყარა სრულიად თავისებურ ცივილიზაციას, თანდათანობით რომ იზრდებოდა და ვითარდებოდა შვაბიის სამეფო სახლის საბოლოო დაცემამდე. ნორმანდიის პროვინციები, უფრო გვიან იმპერიის პროვინციებად რომ იქცნენ და XII საუკუნეში მონუსხულებივით უსმენდნენ ჯოაკინო დელ ფიორეს წინასწარმეტყველურ სიტყვებს, მოულოდნელად გამოვიდნენ ასპარეზზე შუა საუკუნეების ქრისტიანობისათვის სრულიად ახალი კულტურითა და ფეოდალური დასავლეთისათვის სრულიად უჩვეულო პოლიტიკური წყობილებით. ყველა იმ სახიფათო წამოწყებაში, ასე რომ ამღვრევდა სარწმუნოებას, ეკლესია მხოლოდ ერთ, ჩვენთვის იდუმალების ბურუსით მოცულ კაცს – იმპერატორ ფრიდრიხ II-ს ადანაშაულებს, მაშინ როდესაც ისტორიისათვის ის იმნაირი სოციალური და რელიგიური რეჟიმის შემოქმედად რჩება, რომელიც, თუ ქრისტიანობის წარსულის მიხედვით ვიმსჯელებთ, არასდიდებით არ იყო მოსალოდნელი. მისი მეშვეობით დაიწყო ის ინტელექტუალური მოძრაობა, რომლის ზეგავლენაც იტალიის რელიგიურ ცხოვრებაზე სულაც არ ყოფილა ეფემერული.

I

თუ მზერით მოვიცავთ ფრიდრიხ II-ის მთელი ცხოვრებისა და მოღვაწეობის გზას, ხელად შევნიშნავთ, რარიგ შეცვალა ამ იმპერატორმა ის ტრადიციები, რომლებზედაც, კაროლინგების ეპოქიდან მოყოლებული, დაფუძნებული იყო მთელი დასავლური სამყარო. მასა და პაპამისს – ბარბაროსას შორის, რა თქმა უნდა, მთელი უფსკრული ძევს. ფრიდრიხ I თავისი დროის ტიპიური იმპერატორია, რომის ნამდვილი მეფე, ზედმიწევნით რომ მოგვაგონებს თავის წინამორბედებს: ის განასახიერებს ევროპის ფეოდალურ წესრიგს და თეოლოგიური თეორიის ძალით მბრძანებლობს; მისი ძალაუფლება უშუალოდ ღმერთისაგან იღებს დასაბამს, ისევე, როგორც პაპისა. ხოლო თუ ზოგჯერ მაინც უპირისპირდება პაპს, როგორც უპირისპირდებოდნენ მისი წინამორბედები, – მხოლოდ იმიტომ, რომ ძალიან მაღალი წარმოდგენა აქვს თავის ღვთაებრივ მისიაზე. მისი ძალაუფლება ორ ურყევ ბურჯს ეყრდნობა: ერთის მხრივ, ღვთაებრივ სამართალს, რომლის მიხედვითაც თვით ღმერთი ანდობს დასავლეთის საერო საქმეთა გამგებლობას და თავის ნაცვლად ნიშნავს მას; მეორეს მხრივ კი, ფეოდალურ ჰიერარქიას, რომელიც მას ეკუმენურ იმპერატორად აცხადებს. პოლიტიკური საზოგადოება, რომელსაც ის მართავს, თავის მხრივ, რელიგიური იდეით იგება და ამ იდეითვე სულდგმულობს: მისტიური კავშირი აახლოებს ადამიანებსაც და ხალხებსაც, ნათლისღების წყალობით რომ ეზიარებიან ქრისტეს; ეს ქრისტიანული სამყარო ხორციელად იმპერატორზეა დამოკიდებული, სულიერად კი – პაპზე. სამყაროს ამგვარი კონცეფციის თანახმად, მისი უზენაესი მბრძანებელი ღმერთია. პაპი ზეგარდმოა ნაკურთხი, თვით იესო ქრისტეს ხელდასხმული, მაშინ როდესაც იმპერატორი მხოლოდ ცეზარისგან იღებს დასაბამს, და როცა პაპს უტევს, ეს ღვთისგმობაა, ხოლო როცა მას ანტიპაპს უპირისპირებს, ამით თვით წმიდა ეკლესიის მთლიანობას ხელყოფს. პაპს კი შეუძლია განკვეთოს იმპერატორი და,

ამრიგად, ქვეყნიერების მბრძანებელი ქვეშევრდომთა თუ უბრალო მოკვდავთაგან გაანაპიროს. სამასი წლის განმავლობაში ქრისტიანობა ამაოდ ელოდა დაზავებას ღმერთის ორ ნაცვალს შორის, რომელთაგანაც თვითეული ერთპიროვნულ მბრძანებლობაზე აცხადებდა პრეტენზიას, და სწორედ ამიტომ, ფეოდალური რეჟიმით ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებულნი, იძულებულნი იყვნენ გამუდმებით შეევიწროებინათ და დაემცირებინათ ერთიმეორე. XIII საუკუნეში სწორედ ამ ურთულესი პრობლემის გადაჭრა განიზრახა ბარბაროსას ბადიშმა.

ფრიდრიხ II-ს ტრადიციული იმპერატორის ტიტული, პრესტიჟი და პრეტენზიები ჰქონდა. ძალიან ხშირად, რომის წინააღმდეგ ბრძოლისას, ის იმპერატორის სახელითა და თავისი გვირგვინოსნობის მთელი ავტორიტეტულობით აწარმოებდა მიმოწერას ქრისტიანული ევროპის მეფეებთან, გრაფებსა თუ რესპუბლიკებთან. მაგრამ ალპებს გადაღმა საიმპერატორო ძალაუფლებას, რომის მეფის ტიტულთან ერთად, ის თავის ვაჟებს – ჰენრიხსა და შემდეგ კონრადს უთმობს, თვითონ კი სიცილიას, ოდინდელ დიდ საბერძნეთს, კამპანიას და აპულიას ირჩევს სამკვიდროდ, რაც შეიძლება იტალიაში მისი დაბადებით, ბერძნულ-რომაული განათლებითა და მუსულმანობისადმი ფარული სიმპათიით იქნეს ახსნილი. ჩრდილო იტალიის ნაწილს მისი ლეგატი ეძელინო განაგებს. ძალისხმევა, რასაც ის ლომბარდიის წინააღმდეგ ბრძოლას ალევს, და თეორია ყოველგვარი ამქვეყნიური პატრიმონიუმისაგან განძარცული ქრისტიანული პონტიფიკატის უზენაესობის შესახებ, რასაც თავისი კარისკაცების მეშვეობით ავრცელებს, გვაფიქრებინებენ, რომ მისი პატივმოყვარეობის ერთ-ერთი ყველაზე სანუკვარი მიზანი იტალიის სამეფოს აღდგენა უნდა ყოფილიყო. ეს გეოგრაფიული რევოლუცია, იმპერიის ცენტრი აახენიდან, ნიურნბერგიდან და შპაიერიდან ნეაპოლში, ფოჯასა და პალერმოში რომ გადაჰქონდა, თავისთავად უკვე უჩვეულო სიახლე იყო. ხმელთაშუა ზღვიდან, რომელიც მას ძველი სამყაროს

ყველა ქვეყანაში შეღწევის საშუალებას აძლევს, ის საბერძნეთის იმპერიას, იერუსალიმსა და ეგვიპტეს გასცქერის. იტალიის სამეფო მისთვის მხოლოდ საყრდენი წერტილი თუ დასაბამია მსოფლიო იმპერიისა, რომელშიაც მოკავშირეებად თუ ვასალებად უნდა შევიდნენ ქაიროს სულთანი და ნიკეის იმპერატორი, და რომელიც ბალტიიდან მონღოლეთის სტეპებამდე უნდა იყოს გადაჭიმული. „მისი გული – წერს ბრუნეტო ლატინი, – მხოლოდ იმისთვის ძგერდა, რომ სამყაროს მბრძანებელი გამხდარიყო“.

მაგრამ გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი იყო მისი კიდევ ერთი სიახლე: ფრიდრიხ II-მ რადიკალურად შეცვალა სახელმწიფოს ფუნდამენტური ცნება, ურთიერთობა მბრძანებელსა და იმათ შორის, ვისზედაც იგი მბრძანებლობს. ორი სიცილიის სამეფოში აღარ რჩება იმპერიის ადგილი. ნორმანდიელმა თავადებმა ფეოდალური წესრიგი უკვე შეცვალეს კეთილშობილთა სასარგებლოდ, რომელთა საბარონოებიც, გარკვეულწილად, დამოუკიდებელნი გახდნენ. ფრიდრიხმა იქვე დაამყარა აბსოლუტური მონარქია. მან ერთმანეთს გაუთანაბრა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ფორმა – ეკლესია, კომუნები, კორპორაციები. შუა საუკუნეებმა მის სამფლობელოში თითქოს ორნახევარი საუკუნით უფრო ადრე დაასრულეს თავიანთი არსებობა, ვიდრე დანარჩენ ევროპაში: ფრიდრიხმა შექმნა დესპოტური სახელმწიფო, ამ სიტყვის თანამედროვე გაგებით, სფორცების[1] ტირანიისა თუ ლუი XI[2]-ის სამეფოს ერთგვარ პროტოტიპი. მართვა-გამგებლობის სადავეები, რომლებიც უწინ არისტოკრატიას, ეპისკოპოსებსა და კომუნალურ მაგისტრატურებს ეპყრათ, ახლა მოხელეთა თუ საქმისმწარმოებელთა მთელი ჰიერარქიის ხელში გადავიდა, რომელთაც საიმპერატორო კანცელარია ნიშნავდა. მართლმსაჯულება, პოლიტიკური სათათბიროები, საზოგადოებრივი ადმინისტრაციის რეგლამენტი, გადასახადების აკრეფა, – ყოველივე ეს იმპერატორისა და მისი ლეგატების ხელშია კონცენტრირებული. რაც შეეხება ლოკალური თუ ფეოდალური იურისდიქციის ცალკეულ

ნაშთებს, რომლებიც ჯერ კიდევ განაგრძობენ არსებობას, – იმის გამო, რომ ნებადართულია მათ მიერ გამოტანილი განაჩენის გასაჩივრება, ისინი მაინც საიმპერიო ტრიბუნებზე არიან დამოკიდებულნი. იურისკონსულებმა ფრიდრიხს დაუბრუნეს – როგორც ერთგვარი მრისხანე იარაღი ფეოდალიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში, – რომაული სამართლის ძირითადი პრინციპი, რომელიც არა სცნობდა არც უფროსობის უფლებას, არც პრივილეგირებულ მემკვიდრეობითობას და თანაბარ ნაწილებად აქუცმაცებდა პატრიმონიუმს. ქალაქებს, რომლებიც გაბედავდნენ კვლავ განეახლებინათ თავიანთი კომუნალური არჩევნები, მიწასთან გასწორებით ემუქრებოდნენ, მათ მცხოვრებლებს კი მონებად ქცევას უქადდნენ. ახალგაზრდობის დროინდელი თავისი ერთ-ერთი ედიქტით, 1220 წლით რომ თარიღდება და წმ. პეტრეს ბაზილიკაშია ხელმოწერილი, იმპერატორი პატივის აყრით, გადასახლებითა და ქონების კონფისკაციით ემუქრება ერეტიკოსებს, ქალებსაც და კაცებსაც, კათარებს, პატარინებს და არნოლდისტებსაც, ერთის სიტყვით, ყველას, ვინც გაბედავს საკუთარი აზრი ჰქონდეს ღმერთთან და სულის ხსნის გზასთან დაკავშირებით, თვით მაშინაც კი, როცა მათ მხოლოდ ეჭვის საფუძველზე (sola suspicione notabiles) ადანაშაულებენ იმაში, რომ „წარუვალი სიდიადის" წინააღმდეგ აპირებენ ამბოხს. მართალია, „Novellino"[3]-ს ერთ-ერთი ნოველა ფრიდრიხს გვიხასიათებს როგორც იდეალური მართლმსაჯულების განუხრელად დამცველს, რომელსაც შეუძლია თავის თავში დათრგუნოს ქედმაღლობის ყველა ცთუნება*, მაგრამ ისტორია გვაფიქრებინებს, რომ მისთვის ერთადერთი კანონი მისივე ჟინი იყო. და რაკი თავის ქვეშევრდომთა ყველა პოლიტიკური უფლება შთანთქა, საკუთარი ხაზინისკენ უქცია პირი თავისი სამეფოს სიმდიდრის ყველა წყაროსაც. მიწის ბეგარის, პირველი საჭიროების საგნებზე დაწესებული

* Nov., 52.

გადასახადისა და მარილსა თუ ლითონზე მონოპოლიის წყალობით, სულ მალე გაავსო თავისი საგანძური. ის პირველი გემთმფლობელია ხმელთაშუა ზღვის ნავსადგურებში; ზღვაში გასვლის ნებას არ აძლევს ხომალდებს, რომლებსაც მისი ტვირთი არ მიაქვთ. ორივე სიცილიის ახალგაზრდობა ვალდებულია მხოლოდ ნეაპოლისა და სალერნოს სკოლებში ისწავლოს. იმპერატორი ისე ეულად გრძნობს თავს თვით თავისი საბრძანებლის ცენტრში და მთელი საქრისტიანოს წინაშე, ისე გადაჭრით დაარღვია ფეოდალური ერთგულების ყველა კავშირი, რომ უკვე ვეღარ ბედავს ფეოდალური რაინდებისაგან ჩამოაყალიბოს თავისი არმიის მთავარი კორპუსი; მისი სარაცინები და იანიჩარები, თავიანთი ერთგულების დასამტკიცებლად, არავითარი საშინელების წინაშე არ იხევენ უკან; ისინი, ერთდროულად, მისი რაინდებიც არიან და მისი საიმპერატორო გვარდიაც, მისი პოლიციელებიც და მისი ჯალათებიც. ასეთია, ძალზე ზოგადად, ფრიდრიხ II-ის მიერ დამყარებული რეჟიმი. თანამედროვეებმა მალე შეიცნეს მასში ხალიფთა პოლიტიკის საშიში მიბაძვა და მმართველობის პირწმინდად მუსულმანური კონცეფცია. ფრიდრიხი რომ მხოლოდ დესპოტი ყოფილიყო, შეუბრალებლად რომ ახშობდა ყოველგვარ ინდივიდუალურ თავისუფლებას, შუა საუკუნეებისათვის ეს კიდევ გასაგები იქნებოდა, მაგრამ იმპერატორის მიერ იმ კოლექტიურ თავისუფლებათა ხელყოფა, რომელთა მეშვეობითაც შუა საუკუნეებში, თავიანთი რელიგიური ინსტინქტის კარნახით, ცდილობდნენ დაეცვათ უმწეონი და ლაგამი ამოედოთ პიროვნული თვითნებობისთვის, – აუტანელ უკანონობად იქნა აღქმული. ქრისტიანობა ირღვეოდა იმ ჩარჩოს დაშლის შედეგად, რომელშიაც ამდენხანს იყო მოქცეული. წმიდა ტახტის მისტიური პირველობა ქარწყლდებოდა მაშინვე, როგორც კი იმპერატორი, სახელმწიფოებრივ ინტერესთა სახელით და სახელმწიფო წყობილების წყალობით, რომის ეპისკოპოსსა და მორწმუნეთა სინიდისს, ეპისკოპოსებსა და პაპს შორის

დგებოდა. თუნდაც მხოლოდ იმ ფაქტის გამო, რომ ფრიდრიხმა სახელმწიფოს სრული სეკულარიზაცია მოახდინა, თანამედროვეთა თვალში ის ქრისტიანობის დაუძინებელ მტრად ჩანდა.

II

კეთილი ქრისტიანების, ეკლესიისა და გველფებისათვის ფრიდრიხი ანტიქრისტეს განსახიერება იყო, ასე რომ, მისმა ბრძოლამ ქედუხრელი პაპების – გრიგოლ IX-ისა და ინოკენტი IV-ის წინააღმდეგ წმიდა ტახტის მეგობართა შორის აპოკალიპსური დრამის მთელი სიდიადე შეიძინა. მხოლოდ სატანას შეეძლო ესოდენი მზაკვრობა ჩაენერგა მბრძანებლის სულში, რომელიც ჯერ კიდევ ყრმა იყო, ეკლესიას, ინოკენტი III-ის დროს, თავის მკლავებზე რომ ეწვინა. „ათეისტი იყოო", – ამტკიცებს ფრა სალიმბენე[4] იმპერატორის ყველა ბიწის სათითაოდ ჩამოთვლისას: ვერაგობა, სიხარბე, ავხორცობა, სისასტიკე, სიფიცხე და მთელი ის უკეთურება, მონასტრების ბნელ სენაკებში ჩურჩულით რომ გადასცემდნენ ერთიმეორეს. როგორც კი ფრიდრიხმა საჯაროდ აუწყა მეფეებსა და ეპისკოპოსებს, გრიგოლ IX ცრუ-პაპი და ცრუ-წინასწარმეტყველიაო, ამ უკანასკნელმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა თავისი ენციკლიკა – „Ascendit de mari"[5]: „შეხედეთ ურჩხულს, ზღვის სიღრმიდან რომ მოიზლაზნება და ღვთისგმობას აფრქვევს გარშემო; კლანჭებით დათვს მოგვაგონებს, ტანით – ლეოპარდს, მძვინვარებით კი – ლომს; ისარს ისარზე აყრის აღთქმის კარავსა და წმიდათა კრებულს". მომდევნო წელს გრიგოლ IX წერდა: „იმპერატორი, რომელიც ცდილობს თავზე მოექცეს ყოველივე იმას, რასაც ჩვენ ღმერთად ვსახავთ, და უღირს განდგომილთ თავისი უკეთურების მსახურებად ირჩევს, ლუციფერივით მაღლდება ქედმაღლობის მთაზე... დამხობას უქადის წმიდა პეტრეს ტახტს, წარმართი ხალხების ძველისძველი რიტუალებით ცვლის ქრისტიანულ სარწმუნოებას და, ტაძარში წამოჭიმული, უზურპატორივით ითვისებს ღვთისმსახურის ფუნქციებს".

„ერთავად ბერძნებსა და არაბებს შორის რომ ტრიალებდა, – წერს „გრიგოლ IX-ის ცხოვრების“ ანონიმი ავტორი, – ამ ღვთის პირიდან გადავარდნილმა წარმოიდგინა, თითქოს ღმერთი იყო, კაცის სახით მოვლინებული“*. ხოლო პაპის ადვოკატი, ინოკენტი IV-ის მეგობარი, ალბერტ დე ბეჰამი 1245 წელს წერდა: „როგორც ახალი ლუციფერი, ის ცდილობდა ცად აღმხდარიყო და ვარსკვლავებს ზემოთ დაედგა ტახტი, რათა თავისი სიდიადით თვით უზენაესის ნაცვალიც კი დაეჩრდილა. უნდოდა მღვდელთმთავრად დაესვა თავისი პაპი; საკუთარი ნება-სურვილით ნიშნავდა და ათავისუფლებდა ეპისკოპოსებს; უფლის ტაძარში ისე იჯდა, თითქოს თვითონვე ყოფილიყო უფალი, პრელატებსა და კლერიკალებს საამბოროდ უნვდიდა ფეხს და ბრძანებდა წმიდანი ეწოდებინათ მისთვის“**. შემდეგ კი იქვე დასძენდა: „მან მოინდომა ღმერთის ტახტზე დაბრძანება, თითქოს თვითონვე ყოფილიყოს ღმერთი. მარტო იმას კი არ მიელტვოდა, რომ ახალი პაპი აერჩია და თავისი ნებისათვის დაექვემდებარებინა წმიდა ტახტი, არამედ ღვთაებრივი სამართლის უზურპირებაც სცადა, რათა შეეცვალა სახარების მიერ დადგენილი მარადიული კავშირიც, სჯულიცა და ადამიანთა ცხოვრების პირობებიც“. 1245 და 1248 წლებში ინოკენტი IV-მ ერთგულების ფიცისაგან გაანთავისუფლა ორივე სიცილიის სამღვდელოება და მოსახლეობა, საგანგებო დეკრეტით საიმპერიო იურისდიქციას განარიდა სიცილიის ეკლესია და იმპერატორის პარტიის ერთგული გრაფები და ბურჟუები როგორც პოლიტიკური, ისე რელიგიური საზოგადოებისაგან განკვეთა. გარდა ამისა, საეკლესიო ფეოდალებს უფლება მისცა იმპერატორის წინააღმდეგ საბრძოლველად გაემაგრებინათ თავიანთი ციხე-კოშკები და საზეიმო ფიცი დადო, დედაბუდიანად ამოეჟლიტა „იქედნეს ნაშიერნი“***.

---

* Muratori, Scriptor., t. III, p. 585.
** Hullord-Bréholes, Vie et correspond. de P. de la Vigne, p. 196.
*** Histor. diplom., t. VI, p. 326, 614, 618, 676.

პიეტრო დელა ვინია და შვაბიელი მბრძანებლის კარისკაცები ერთსულოვნად უპირისპირდებოდნენ ეკლესიის დამცველებს. პიეტრო იმპერატორის მესაიდუმლე იყო. „მე ხელთ მეპყრა მისი გულის ორი გასაღები, – ეუბნება პიეტროს სული დანტეს, – გულისა, რომელსაც ფრთხილად ვაღებდი და ვკეტავდი"[6]. ამიტომაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მისი ყოველი სიტყვა ექოსავით იმეორებს იმპერატორის აზრს. მაგრამ წერის მანერა, რომლითაც ის განადიდებს თავისი მბრძანებლის რელიგიურ მისიას, იდეებისა და სახეების უჩვეულო ჰიპერბოლიზაცია, ძალიანა ჰგავს წმიდა ტახტის დამცველთა მიერ შეთხზულ ინვექტივებს. კანცლერისათვის, თვით პალერმოს არქიეპისკოპოს ბერალდოს, საიმპერატორო კანცელარიის ნოტარიუსის ნიკოლო დი როკასა და გიბელინი პრელატებისათვის, სახარების სიტყვებით რომ აქებენ და ადიდებენ იმპერატორს, ფრიდრიხი ნამდვილი მესიაა, ჭეშმარიტი მოციქული, რომელსაც ღმერთმა მიანდო სული წმიდის გამოცხადება, „საბოლოო ეკლესიის" მღვდელთმთავარი, „ფრთაგაშლილი მძლავრი არწივი", ჯერ კიდევ ეზეკიელმა რომ იწინასწარმეტყველა. რაც შეეხება პიეტრო დი ვინიას, ის ფრიდრიხის ისეთივე ნაცვალი იქნება, როგორც წმიდა პეტრე იყო იესო ქრისტეს ნაცვალი. ის არის ქვაკუთხედი, მსხმოიარე ვაზი, თავისი ჩრდილით რომ იფარავს და ხალისით ავსებს ქვეყანას. გალილეველმა მოციქულმა სამჯერ უარყო თავისი მეუფე, კაპუელი კი არასოდეს უარყოფს თავისას. რომის ეკლესიის მისტიური როლი უკვე თავის დასასრულს უახლოვდება. „ლიბანის მაღალი კედარი უნდა მოიჭრას, – გაჰყვიროდნენ ხალხოსანი წინასწარმეტყველნი, – იქნება მხოლოდ ერთი ღმერთი, ანუ მონარქი. ვაი სამღვდელოებას! თუ დაემხო, ახალი ორდენი უკვე მზადაა". ინოკენტი III-ს მაგიდაზე ხვდებოდა ლექსები, რომის აღსასრულს რომ უწინასწარმეტყველებდნენ მას*. ხოლო ალბიგოელთა

* Histor. diplom. Introd.

დალაშქვრის შემდეგ სამშობლოდან გამოქცეული პროვანსელი ტრუბადურები, თავიანთი თვალით რომ იხილეს, რა უბედურებაც დაატეხეს თავზე მათ მშობლიურ ქალაქებს ინკვიზიტორებმა[7], – პალერმოსა და ლუჩერას სასახლეებში ხმაშეწყობით მღეროდნენ გიიომ ფიგეირას[8] გესლიან სტრიქონებს: „გამყიდველი ხარ, რომო! შენივე სიხარბე გღუპავს; კი არ პარსავ, ატყავებ შენს ფარას; უპოვართა ხორცი არ გყოფნის და მათ ძვლებს ხრავ; თხრილში ყრი ცხვრებს და ცოდვათა მიტევებას არიგებ ვერცხლის ფასად; მეტისმეტად მძიმე ტვირთს იკიდებ მხრებზე... ო, როგორ ხარობს ჩემი გული, რომ სულ ახლოა შენი აღსასრულის დღე, თუ მართლად გამრიგე იმპერატორი განუხრელად გაჰყვება თავის გზას და აღასრულებს ყველაფერს, რისი ქმნაც მართებს, ჭეშმარიტად გეუბნები: იმ დღესაც მოგვასწრებს უფალი, რომ შენს ქედმაღლობას მიწაზე განრთხმულს ვხედავდეთ. ნეტა მალე გვიჩვენებდეს ჩვენი მაცხოვარი შენს იავარქმნას“.

მაგრამ საომარი ყიჟინა და გმობის სიტყვები მხოლოდ არაუშუალო მოწმენი არიან ისტორიული სინამდვილის კვლევისას. უნდა ვაცალოთ, როდის დაცხრება მტვრის ბუქი, ბრძოლის სიფიცხემ რომ აშალა, თუ გვინდა ნათლად განვჭრიტოთ, როგორ მოქმედებდა იმპერატორი წმიდა ტახტისა და ქრისტეს ეკლესიის წინააღმდეგ. რამდენიმე სანდო დოკუმენტი და მისი ცხოვრების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ეპიზოდი – 1229 წლის ჯვაროსნული ლაშქრობა, ვფიქრობთ, საშუალებას მოგვცემს უფრო ზუსტად წარმოვიდგინოთ მის მიერ დასახული საბრძოლო მოქმედების გეგმა.

უწინარეს ყოვლისა, ეჭვს გარეშეა, რომ მას არასოდეს უცდია განხეთქილება გამოეწვია ეკლესიის წიაღში. ის ზიზღით იხსენიებს მილანს, როგორც „პატარინების ბუნაგს“. თავისი მოსისხლე მტრების – გრიგოლ IX[9]-ისა და ინოკენტი IV[10]-ის საპირისპიროდ არასოდეს წამოუყენებია ანტი-პაპი. 1227 წელს ცრუ-პაპსაც კი არ დაუჭირა მხარი, რომელიც, მარტოოდენ რომაელ ბარონებზე დაყრდნობით,

მთელი ექვსი კვირა იჯდა წმიდა პეტრეს ტაძარში. მისი კანცელარიიდან გამოსულ ყველა დოკუმენტში ის „თავის დედად" იხსენიებს რომის ეკლესიას. ის ღმერთს მოუხმობს რწმენის იმ სიმბოლოს მიმართ თავისი ერთგულების მოწმედ, რომელიც აღიარა და მოიწონა რომის ეკლესიამ*. სასიკვდილო სარეცელზე – სწერს მისი ვაჟი მანფრედი მეფე კონრადს, – „მან მონანიე გულით, როგორც ჭეშმარიტმა ქრისტიანმა, თავის დედად სცნო რომის წმიდათა-წმიდა ეკლესია". ამრიგად, თვით უკანასკნელ ამოსუნთქვამდე, ის სცნობდა, რომ ფორმალურად მაინც რომის ეკლესიას ეკუთვნოდა. 1242 წელს, ხანგრძლივ მეუფებათაშორის პერიოდში, ცელესტინე IV-ის სიკვდილს რომ მოჰყვა[11], ფრიდრიხი არაერთხელ შემოადგა რომის გალავანს, რომელსაც მხოლოდ გველფი ბარონები იცავდნენ, და ისეთი თავაზიანი წერილი გაუგზავნა კარდინალებს, როგორიც მხოლოდ წმიდა ლუის თუ შეიძლებოდა დაეწერა; აქ ის ამტკიცებდა, რაოდენ აუცილებელი იყო, დაუყოვნებლივ დაებრუნებინათ ეკლესიისათვის მისი მწყემსთმთავარი. ხოლო როცა პაპის ტახტზე ავიდა ინოკენტი IV, მოწიწებით მიესალმა მას. მაგრამ ამის შემდეგ ექვს თვესაც არ გაევლო, რომ უკვე მრისხანედ ემუქრებოდა სენატსა და რომაელ ხალხს, თუკი რომი არ დაემორჩილებოდა მას – „ზღვისა და ხმელის აბსოლუტურ მბრძანებელს, ვისი ნება-სურვილიც დაუყოვნებლივ აღსრულებულ უნდა იქნეს". 1244 წლის აპრილში ის აუწყებდა თავის ვაჟს – კონრადს, რომ დაუზავდა პაპს, და ხარობდა იმის გამო, რომ მღვდელთმთავარმა კვლავ მიიღო „როგორც ეკლესიის ღვთისმოსავი ძე და კათოლიკე მბრძანებელი ეკლესიის წიაღში"; თუმცა იქვე დასძენდა: „როგორც უფროსი და ერთადერთი ძე ეკლესიისა და მისი მფარველი (sicut primus et unicus Ecclesiae filius et patronus), ყოველნაირად უნდა ვცდილობდეთ მისი სიდიადის განმტკიცებას... ძალ-ღონეს არ დავიშურებთ, რათა გან-

* Hist. diplom., t VI, p. 336, 473, 811.

ვახორციელოთ საეკლესიო რეფორმა, მარადიულ მშვიდობას რომ აღგვითქვამს ჩვენც, ჩვენს მეგობრებსაც და მომხრეებსაც*. ეს სიტყვები საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან ფრიდრიხ II-ის რელიგიურ კონცეფციაზე. მისი აზრით, ეკლესიის მფარველი და პატრონი შეიძლება იყოს მხოლოდ მისი აბსოლუტური მბრძანებელი. ის მოითხოვს, რომ ეკლესია ისევე მორჩილად იხრიდეს ქედს სახელმწიფოს მკაცრი კანონების წინაშე, როგორც მანამდე იხრიდნენ ქალაქები და ფეოდალები. მას სურს ისევე თავისუფლად განაგებდეს ეკლესიის საქმეებს, როგორც სახელმწიფოსას. 1236 წელს ის სწერდა გრიგოლ IX-ს ბენეფიციების გაცემასთან დაკავშირებით: „თქვენ გაღიზიანებული ხართ იმის გამო, თითქოს ჩვენ აგვერჩიოს ახალგაზრდა და უღირსი ხალხი... მაგრამ სადავოდ აქციო ჩვენი დიდსულოვნების სამართლიანობა და ეჭვი შეიტანო იმათ ღირსებაში, ვინც თვით იმპერატორმა აირჩია, განა ეს, ღვთაებრივი სამართლის ძალით, მკრეხელობა არ არის?" 1246 წელს კი წერილობით მიმართავს ყველა ქრისტიან მბრძანებელს: „მღვდელთმთავარს უფლება არა აქვს ძალმომრეობას მიმართოს ჩვენს წინააღმდეგ. თვით მაშინაც კი, როცა საამისოდ ლეგიტიმური მიზეზი აქვს"**. 1248 წელს თავისი სიძის, ნიკეის იმპერატორისადმი მიწერილ წერილში გულისწყრომას ვერ მალავს დასავლელ მბრძანებლებსა და ლათინური ეკლესიის მღვდელთმთავართა შორის აუტანელი ურთიერთობის გამო; ყოველი შინააშლილობის, ომებისა თუ ამბოხებების მიზეზად ის ეკლესიას სახავს, ბოროტად რომ იყენებს თავისუფლებას. მისი აზრით მხოლოდ აღმოსავლურმა ქვეყნებმა – სქიზმატიკურმა ბიზანტიამ და მუსულმანურმა ხალიფატებმა შესძლეს სათანადოდ გადაეჭრათ ეკლესიისა და სახელმწიფოს ურთიერთობის პრობლემა. მათ არასოდეს ჰქონიათ საქმე მღვდელთმთავარ-მეფეებთან. აღმოსავლეთში

---

* Hist diplom., t. VI, p. 176.
** Hist. diplom., t. IV, p. 910; t. VI, p.391.

სასულიერო საზოგადოება პოლიტიკურ მთლიანობად არ გვევლინება. ეს უკანასკნელი მხოლოდ დასავლეთის უკურნებელი სენია. აღმოსავლეთი კი ბედნიერია; ის რელიგიური მშვიდობით ტკბება. იქ არაფერი არ ზღუდავს მბრძანებლის უფლებებს, რადგანაც ეკლესია ტაძრებს გარეთ არ არსებობს*.

მაგრამ ამ იმპერიული პროტექტორატის, ცეზარის მიერ ეკლესიის მართვის აუცილებელი პირობაა საეკლესიო რეფორმა. საკმარისი არ არის, რომ პაპსა და ეპისკოპოსებს პოლიტიკური გავლენა აღარ ჰქონდეთ და პაპის საერო მბრძანებლობა რომში ისევე ჩაბარდეს წარსულს, როგორც ეპისკოპოსების ფეოდალური ძალაუფლება – მათსავე ეპარქიებში. გარდა ამისა, აუცილებელია, რომ საეკლესიო ჰიერარქიამ უარი თქვას სოციალურ ძალმოსილებაზე, და ქრისტიანები პოლიტიკური საზოგადოების წევრები კი აღარ იყვნენ, არამედ მხოლოდ კერძო პირები. 1246 წელს ფრიდრიხი თავის ენციკლიკაში წერდა: „მღვდლებს ქონი მოსჭარბდათ წარჩინებულთა მოწყალებით და ჩვენი შვილებისა და ქვეშევრდომების შევიწროებას მიჰყვეს ხელი; სულ დაივიწყეს ჩვენი მამობრივი უფლება, ასე რომ, ჩვენში აღარც იმპერატორს სცემენ პატივს და აღარც მეფეს... ჩვენი სინიდისი სუფთაა და, მაშასადამე, ჩვენთან არს ღმერთი, რომელსაც მოვუხმობთ ჩვენი სანუკვარი სურვილის მოწმედ: ჩვენ გვინდა მთელი სამღვდელოება, უწინარეს ყოვლისა კი, უზენაესი სასულიერო წოდების პირნი კვლავ დავუბრუნოთ იმ მდგომარეობას, რაც მათ ჰქონდათ დასაბამიერი ეკლესიის წიაღში, სადაც ისინი მოციქულებრივი ცხოვრებით ცხოვრობდნენ და თვინიერებით ბაძავდნენ უფალს. მაშინდელი მღვდლები ანგელოზებთან ლაპარაკობდნენ, განსაცვიფრებელ სასწაულებს ახდენდნენ, თავს დასტრიალებდნენ სნეულებს, აღადგენდნენ მკვდრებს და მეფეებზე თავიანთი იარაღის ძალით კი არა, თავიანთი სიწმინდით

* Hist. diplom., t. VI, p. 685.

მბრძანებლობდნენ. დღევანდელი მღვდლები კი ყელამდე ჩაეფლნენ ამქვეყნიურ საზრუნავში, განცხრომასა და ფუფუნებაში და სრულიად დაივინყეს ღმერთი. ისინი ძალიან მდიდრები არიან, სიმდიდრემ კი სარწმუნოება ჩაახშო მათში. ამ დამღუპველი და სულის წარმწყმედი სიმდიდრისაგან მათი განთავისუფლება მხოლოდ მადლი და სამოწყალო საქმე იქნება. მაშ, შემოგვიერთდით ამ საღმრთო საქმის აღსასრულებლად, მღვდლებმა კი, დაე, გაიღონ ყველაფერი, რაც ზედმეტია მათთვის, რათა უკეთ ემსახურონ ღმერთს"*. 1249 წელს მან საჯაროდ დასდო ბრალი ინოკენტი IV-ს იმ ექიმის მოსყიდვაში, რომელიც პარმაში იმპერატორის მოწამვლას ცდილობდა, და მხარდაჭერისათვის მიმართა დასავლეთის ყველა მბრძანებელს, „ეხსნათ თავიანთი დედა, წმიდა ეკლესია", რომლის „რეფორმირების სრული უფლება ჰქონდათ ღვთის სადიდებლად".

ამრიგად, ფრიდრიხ II უბრუნდებოდა არნოლდ ბრეშიელის თეორიას, რომლის ავტორსაც პაპამისმა – ფრიდრიხ I-მა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა. მაგრამ ეს ლეგენდარული იმპერატორი, უფლის საფლავის გამოსახსნელად აღძრული სრულიად მოულოდნელად შორეული აზიის ერთ-ერთ ხეობაში რომ გაუჩინარდა[12], ვერასდიდებით ვერ წარმოიდგენდა, რა უცნაური ფორმით აღიქვამდა ჰოჰენშტაუფენთა ერთ-ერთი ნარმომადგენელი ჯვაროსნულ ლაშქრობებს და როგორი იქნებოდა მისი დამოკიდებულება იმპერიის, რომისა და მთელი საქრისტიანოს ერთ-ერთი უდიდესი ისტორიული ტრადიციის მიმართ.

1229 ნლის ეს ჯვაროსნული ლაშქრობა[13], რომელმაც მთელი ევროპა შესძრა, უშუალოდაა დაკავშირებული ფრიდრიხ II-ის პოლიტიკურ საქმესთან. წმიდა ტახტს ეს ლაშქრობა მხოლოდ განდგომილების აქტად მიაჩნდა. გრიგოლ IX-მ განაცხადა, რომ იმპერატორი ისე კი არ მიე-

---

* Hist. diplom., t. VI, p. 391.

შურებოდა წმიდა მიწისკენ, როგორც რაინდი ან პილიგრიმი, არამედ როგორც მუსულმანი პირატი. მან შეაჩვენა ფრიდრიხ II იმის გამო, რომ ამდენხანს გააჭიანურა ინოკენტი III-ის წინაშე ჯერ კიდევ 1215 წელს დადებული აღთქმის აღსრულება, და ეკლესიისაგან განკვეთა იმ სრულიად უჩვეულო გარიგებისთვის, რის საფუძველზედაც ცდილობდა აღესრულებინა თავისი აღთქმა: იმპერატორი მხოლოდ მას შემდეგ დაიძრა აღმოსავლეთისაკენ, რაც შეუთანხმდა პალესტინის მაშინდელი მბრძანებლის – ეგვიპტისა და დამასკოს სულთანს. იაფაში ორივე მბრძანებელმა ზავი დადო და იერუსალიმის სამეფო გაინაწილა. წმიდა ქალაქი ქრისტიანების ხელში გადავიდა, ომარის მეჩეთისა და სოლომონის ტაძრის გარდა, სადაც მხოლოდ მუსულმანებს შეეძლოთ შესვლა. ევანგელური ქალაქები – ბეთლემი და ნაზარეთი, აგრეთვე იერუსალემსა და იაფას, იაფასა და აკრას შორის მდებარე ყველა დასახლებული პუნქტი იმპერატორს გადაეცა. აზიურ სამფლობელოთა დაცვის მიზნით, იმპერატორმა და სულთანმა ხელი მოაწერეს თავდაცვით ხელშეკრულებას თავიანთი მტრების, მათ შორის – ქრისტიანების, წინააღმდეგ საბრძოლველად. მტრებად, უწინარეს ყოვლისა, ტამპლიერები და ჰოსპიტალიერები[14] იგულისხმებოდნენ. ხელშეკრულება ათი წლით, ხუთი თვითა და თოთხმეტი დღით იქნა დადებული.

1229 წლის 17 მარტს ფრიდრიხი იერუსალიმში შევიდა. ბინდდებოდა. ქრისტიანებს სანთლებით გაეჩახჩახებინათ სახლები; ქუჩებში მხიარული სიმღერები ისმოდა. მეორე დღეს იმპერატორმა მცირერიცხოვანი ამალის თანხლებით მოიხილა წმიდა საფლავი, სადაც არცერთი მღვდელი თუ მონაზონი არ დახვედრია, და თავისი ხელით დაიდგა თავზე იერუსალიმის მეფის გვირგვინი. მომდევნო დღეს კი იქვე მივიდა კესარიის არქიეპისკოპოსი და ინტერდიკტი დაადო ეკლესიას და მთელ ქალაქსაც. იმპერატორმა სახელდახელოდ გაამაგრა იერუსალიმი, შემდეგ კი თითქმის მარტოდმარტომ გადაჭრა უდაბური და მდუმარე წმიდა

ქალაქი და პაპის მიერ შეჩვენებულმა იაფასაკენ აიღო გეზი. მშვენივრად ესმოდა, რომ ეს გამარჯვება, რომელიც ქრისტიანობას ერთ წვეთ სისხლადაც არ დასჯდომია, ეკლესიას მკრეხელობად ეჩვენებოდა, და როგორც სარწმუნოების მიმართ სრულიად გულგრილი დიპლომატიის ნაყოფი, შეუძლებელია მყარი და ხანგრძლივი ყოფილიყო[15].

და მაინც, ეკლესიისაგან განკვეთილი მბრძანებლის ჯვაროსნულ ლაშქრობას ფრიად მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვა, რასაც იმპერატორი წინასწარ ხედავდა და ესნრაფოდა კიდეც. აზიისა და ევროპის ქრისტიანობისა და ისლამის ამ მშვიდობიანმა დაახლოებამ სახე უცვალა იმ იდეებს, პეტრე მეუდაბნოის[16] დროიდან მოყოლებული რომ ასაზრდოებდნენ შუა საუკუნეებს. ჯვაროსნულ ლაშქრობათა ცრურწმენა სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს, როცა ხალხი მიხვდა, რომ სულაც არ იყო აუცილებელი ჯვარი ეტვირთა და უნაყოფო მოწამეობისათვის დაძრულიყო აღმოსავლეთისაკენ, რათა უსჯულოთა ხელიდან გამოეგლიჯა უფლის აკვანი და საფლავი, და ამრიგად, სარაცინების მიწაზე თავის წმიდათა-წმიდა საკუთრებად ექცია ისინი. 1229 წლის ლაშქრობამ ზღვარი დაუდო ეკუმენურ ჯვაროსნულ ლაშქრობებს. ამიერიდან ქრისტიანობას აღარასოდეს შეაძრწუნებს და აღარც საბრძოლველად აღძრავს ფიქრი იერუსალიმის უბედურ ხვედრზე. ამას იქით გერმანია და იტალია, ესე იგი, მთელი იმპერია ხელს იღებს პალესტინაზე და უკანასკნელი ჯვაროსანი მეფე იერუსალიმში კი არა, ეგვიპტესა და ტუნისში დაუწყებს ძებნას უფლის საფლავის გასაღებს[17]. ამ დღიდან მოყოლებული, რაც ქრისტიანობამ დაკარგა ენთუზიაზმის სახით, იგივე დანაკარგი უნდა განეცადა წმიდა ტახტის პრესტიჟსაც. ეს საუკუნოვანი ორთაბრძოლა, ეს მსჯავრი ღვთისა, მისი სიდიადის წყარო იყო; ყოველთვის, როცა ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მოუწოდებდა ხალხებს, ის მთელი სიდიადით მოწმობდა თავის სულიერ ძალმოსილებას და იმასაც, რომ რომის ეპისკოპოსის ეპარქიას სხვა საზღვრები არა ჰქონდა, გარდა მთელი ქრისტიანული

სამყაროს საზღვრებისა. ამიერიდან თვით XVI საუკუნემდე, როცა პაპი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის მოუხმობს მთავრებსა და ხალხებს. ამით ის მხოლოდ საკუთარ უმწეობას ცხადყოფს: vox clamantis in deserto[18]. ფრიდრიხ II-მ წმიდა ტახტს წაართვა იდეალური პატრიმონიუმი. ეკლესიის მოღვაწეობის აპოსტოლური პერიოდი სამუდამოდ დასრულდა.

III

ფრიდრიხ II-ის მიერ დამყარებულმა რეჟიმმმა, რომელიც საზოგადოებრივი თავისუფლებისათვის ესოდენ არასასურველი გამოდგა, დიდად შეუწყო ხელი სულის თავისუფლებას, სწორედ იმ დარტყმების წყალობით, შუასაუკუნეობრივ ტრადიციებს რომ აყენებდა. სამხრეთ იტალიამ, რომელიც უფრო ახლო იყო მთელ ამ სიახლესთან, უკვე გამოიღვიძა და სიხარულით აღიქვამდა ადამიანის აზრის ამ აღორძინებას, მეორეს მხრივ, იმპერატორის რელიგიურმა პოლიტიკამ ეკლესიის მიმართ კრიტიკულად განაწყო ხალხი და ურწმუნოების მთელი უკიდურესობის სათავედ იქცა. თუმცა ორივე სიცილიის სამეფოში საკმაოდ სახიფათო იქნებოდა კათარების ერესისა თუ არნოლდ ბრეშიელის მოძღვრების ქადაგება, რომელთა ხსოვნაც ჯერ კიდევ ცოცხლობდა ხალხის შეგნებაში, და ეს, ალბათ, იმის ტოლფასი იქნებოდა, რომ რევოლუციონერად გამოგეცხადებინა თავი. მაგრამ სულის იმნაირი განწყობილება, როცა ეჭვი, გულგრილობა და ირონია თითქმის დღევანდელი სიმძაფრით აღვივებენ სკეპსისს, აშკარად ფილოსოფიური განწყობილებაა. რეფლექსია ისევე მშვიდად ამუშავებს სარწმუნოებრივ საკითხს, როგორც მიუკერძოებელი კვლევის ნებისმიერ სხვა საგანს. რელიგიის ღირებულება უკვე სულის თავისუფალი მედიტაციის საგანი ხდება, სულისა, რომელსაც აღარ აშფოთებს თავისი სარწმუნოების ბედი. ის უკვე თამამად უდარებს ერთმანეთს იმხანად ცნობილ ყველა რელიგიას და მშვიდად მსჯელობს მათზე.

სამხრეთული ცივილიზაციის ისტორიის ამ ღირშესანიშნავი მომენტის გასაგებად დიდი მნიშვნელობა ენიჭება წიგნს, რომლის სათაურიცაა „Novellino“, და რომელმაც შემოგვინახა იტალიელი ხალხის ცალკეული მოგონებები იმ კრიზისთან დაკავშირებით, რასაც იმხანად განიცდიდა ქრისტიანობა. „Novellino“, მისი უძველესი სახით, ერთი უცნობი კომპილატორის, ალბათ, ფლორენციელის, ქმნილებად უნდა მიგვაჩნდეს, კომპილატორისა, რომელსაც XIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში უნდა ეცხოვრა. წიგნი, რომელიც შეიცავს სხვადასხვა ხასიათის ნოველათა ცალკეულ ჯგუფებს, ეტყობა, ფრიდრიხის სასახლის კარზე, მის მეგობართა წრეში უნდა იყოს შეთხზული. აქ იმპერატორი განდიდებულია როგორც „სამყაროს ჭეშმარიტი სარკე თავისი სიბრძნით“, ზომიერების გრძნობით, სამართლიანობითა და სიუხვით. მისი ვაჟი - კონრადი, რომელიც მაშინ პატარა ბავშვი იყო, ავტორის დელიკატური თავაზიანობის წყალობით, ცდილობს თვალი ფხიზლად ეჭიროს და შეცდომის საშუალება არ მისცეს მამას, რათა თავის პაუებს აარიდოს მკაცრი სასჯელი. ამ სასახლის კარზე, სადაც ყველა სული ასე მაღალია და კეთილშობილი, სრულიად გამორიცხულია ფარისევლური დამოკიდებულება ქრისტიანული კულტის მიმართ. ერთხელ ფრიდრიხის წინაშე დაასმინეს ერთი მჭედელი, „რომელიც მთელ დროს თავის ხელობას სნირავდა და არც კვირას უქმობდა და არც პასექსა თუ სხვა დღესასწაულს ზეიმობდა, რაგინდ დიდიც არ უნდა ყოფილიყო იგი“*. იმპერატორმა, როგორც „კანონის მეუფემ და მბრძანებელმა“, სასახლეში დაიბარა და დაკითხვა დაუწყო ხელოსანს. „მე დღეში ოთხი სოლდო უნდა გამოვიმუშაო, – უთხრა მჭედელმა, – აქედან თორმეტ დანაროს ღმერთს ვწირავ, თორმეტს მამაჩემს ვაძლევ, რომელიც უკვე ისე ბებერია, რომ მუშაობა აღარ შეუძლია, თორმეტი ფანჯარაში გადასაყრელად, ესე იგი, ჩემი

* Nov., 139.

ცოლისთვის მაქვს გადადებული, თორმეტს კი ჩემი პირადი საჭიროებისთვის ვინახავ". იმპერატორი ყოველგვარი ყოყმანის გარეშე დათანხმდა საქმისათვის შეეწირა რელიგიური წესდების ასო, მხოლოდ იმ პირობით, რომ მჭედელს თავისი აღთქმა უნდა შეესრულებინა და მახეში არ გაბმულიყო. მჭედელმა არა მარტო ადვილად დააღნია თავი ამ ძნელ გამოცდას, არამედ კარისკაცებისაგან ასი ოქროც კი მიითვალა. იმპერატორმა მისი ამბავი რომ მოისმინა, გაიცინა და უთხრა: „წადი, ძმობილო, შენ უფრო ჭკვიანი ყოფილხარ, ვიდრე ჩემი ბრძენი მრჩევლები. ღმერთმა ხელი მოგიმართოს". მჭედელი მშვიდობით დაბრუნდა შინ და იმის უფლებაც მიიღო, როგორც მოეპრიანებოდა, ისე მოქცეულიყო.

„Novellino"-ში ფრიდრიხის გვერდით სალადინსაც[19] ვხვდებით, მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროინდელ სულთანს, „უკეთილშობილეს, გულუხვსა და მამაც მბრძანებელს". მისი წყალობით, ისლამი, ქრისტიანობასთან ერთად, ძალიან დიდ როლს ასრულებს წიგნში. ზოგჯერ ის ღვთისმოსაობის გაკვეთილსაც კი სთავაზობს ქრისტიან რაინდებს. ერთხელ, დაზავებისას, სალადინი ჯვაროსანთა ბანაკს ეწვია. აქ მან ნახა სადილად მსხდარი რაინდები; ყველა მაგიდას „თოვლივით თეთრი სუფრა" ეფარა; თავისი თვალით იხილა საფრანგეთის მეფის[20] სადილობაც და დიდად შეაქო ეს წესრიგი. „მაგრამ მან იქვე იხილა ღარიბ-ღატაკნი, ფეხმორთხმით რომ ისხდნენ შიშველ მიწაზე, და გმობის ნიშნად ხმამაღლა თქვა: თქვენი უფალი ღმერთის ეს მეგობრები უფრო მწირ ლუკმას შეექცევიან, ვიდრე მათხოვრებიო". შემდეგ ჯვაროსნები ეწვივნენ სულთანს. სალადინმა თავის კარავში მიიღო ისინი, „რომლის იარტაკიც ხალიჩებით მოეფინათ, ხალიჩებზე კი ჯვრები იყო ამოქარგული. მაგრამ რაინდები ისე აფურთხებდნენ ზედ, როგორც შიშველ მიწაზე". მაშინ სულთანმა მკაცრად მიმართა მათ: „თითქოს ჯვრის თაყვანისმცემლები გქვიათ, მაგრამ ჩემს თვალწინ კი

შეურაცხყავით იგი; ეტყობა, თქვენი ღმერთი მხოლოდ სიტყვით გიყვართ და არა საქმით“*.

საჭირო იყო კიდევ ერთი სარწმუნოების, ქრისტიანობისა და მაჰმადიანობის დედის – ძველი იუდეური რელიგიის წამოტივტივება, რომელსაც ძალზე უდიერად ექცეოდნენ მისი ნაშიერნი. და, აი, მთხრობელის თანახმად, ძველი აღთქმა თანაბრად მძლავრობს ქრისტიანობაზეც და ისლამზედაც თვით სალადინის თანდასწრებით. სულთანს ფული დასჭირდა და ერთი მდიდარი ებრაელი დაიბარა, რომ გაეფცქვნა და გაეტყავებინა. ამიტომაც ძალზე საჭოჭმანო კითხვა დაუსვა: რომელია, შენი აზრით, ყველაზე უკეთესი სარწმუნოებაო? ებრაელს რომ ეპასუხა – იუდეურიო, ეს იქნებოდა მბრძანებლის რელიგიის შეურაცხყოფა, რაც ქონების კონფისკაციისათვის სავსებით საკმარისი საბაბი იყო; ხოლო პასუხად რომ ეთქვა – მუსულმანურიო, ეს საკუთარი სარწმუნოებისაგან განდგომილებას ნიშნავდა. ებრაელს მარაგში აღმოაჩნდა ჭკუის სასწავლი არაკი, რომელიც, შესაძლოა, ბაბილონის ტყვეობის დროინდელიც კი იყო: „მბრძანებელო, – თქვა მან, – ერთ ბერიკაცს სამი ვაჟი ჰყავდა; სამივეს მამის ერთადერთ, უძვირფასესი ქვებით შემკულ ბეჭედზე რჩებოდა თვალი; სამივე ცალ-ცალკე სთხოვდა, სიკვდილის შემდეგ მისთვის დაეტოვებინა იგი. მაშინ მამამ, შვილების თხოვნა რომ დაეკმაყოფილებინა, ოქრომჭედელი დაიბარა და სთხოვა, ორი ასეთი ბეჭედიც გამიკეთეო. ოქრომჭედელმა თხოვნა შეუსრულა: ორივე ასლი ისე ჰგავდა დედანს, რომ მამის მეტი ვერავინ გაარჩევდა ერთმანეთისგან. ბერიკაცმა სათითაოდ უხმო შვილებს და სამივეს ცალცალკე გაუმჟღავნა თავისი საიდუმლო. თვითეულ მათგანს ეგონა, რომ სწორედ ის იყო ნამდვილი ბეჭდის მფლობელი, სიმართლე კი მხოლოდ მამამ იცოდა. ასეთია, მბრძანებელო, სამი რელიგიის ისტორია. მხოლოდ მამას შეუძლია გვითხრას, რომელია მათ შორის ნამდვილი, შვილებს, ესე იგი, ხალხებს კი

* Nov., 71.

ჰგონიათ, რომ სწორედ მათი ბეჭედია ყველაზე უკეთესი". სულთანს ისე მოეწონა ეს არაკი, რომ ებრაელისთვის არა უვნია რა, პირიქით, დიდი პატივით გაისტუმრა შინ.

ამ ეთიკურ აპოლოგიას დიდი გავლენა უნდა მოეხდინა სამხრეთ იტალიაზე, რომელსაც ასე ნაკლებად ახასიათებდა რელიგიური თუ პოლიტიკური ფანატიზმი. ბიზანტიელების შემდეგ მან სიცილიაში შეიფარა ჯერ არაბები, შემდეგ კი ნორმანებიც. ის ყოველგვარი განცვიფრების გარეშე უმზერდა, როგორ ცვლიდნენ შვაბიელი მბრძანებლები ფრანგ ავანტურისტებს, ხოლო იმ სრული თანხმობისა თუ კონკორდანსის შემყურე, ფრიდრიხის სასახლის კარზე რომ სუფევდა ლათინ და ბერძენ ეპისკოპოსებს, არაბ იმამებსა და ებრაელ რაბინებს შორის, – თავისი მრავალფეროვანი ისტორიის გულისშემძვრელ სიმბოლოდ აღიქვამდა ამდენი სარწმუნოებისა და სამღვდელოების ჰარმონიულ ურთიერთკავშირს. მაგრამ ეს რელიგიური მშვიდობა, რომელსაც შორიდან ადევნებდა თვალყურს გველფური იტალია, ანუ სამონასტრო სამყარო, ამ უკანასკნელს იმპერატორისა და სატანის ამაზრზენ კავშირად, ქრისტიანული სარწმუნოების უბოროტეს და უსაზარლეს ღალატად ეჩვენებოდა. იმ თავისებურმა თვალსაზრისმა, რომლითაც რომი ყოველთვის აღიქვამდა ლათინური ორთოდოქსიის საპირისპირო შეხედულებებს, წმიდა ტახტის მომხრეებს ყოვლად უცნაური ასპექტით წარმოუჩინა სინამდვილე. ვინც ცდილობს შეიწყნაროს და, როგორც თანაბრად კეთილი, ერთმანეთს შეუთანხმოს სხვადასხვა გამოცხადება, ამით თურმე ერთბაშად სასტიკ შეურაცხყოფას აყენებს ყველას. ორთოდოქსთა აზრით, იმპერატორი თავისი ხელით მუსრავდა მოსესაც, მაჰმადსაც და იესო ქრისტესაც. ამიტომაც იყო, რომ იმ უცნაური თხზულების ავტორობა, რომლის სათაურიცაა „De Tribus Impostoribus"[21], და რომელმაც მით უფრო საშინელი პანიკა გამოიწვია შუა საუკუნეების მთელ ქრისტიანულ სამყაროში, რომ არავის არასდროს თვალითაც არ უნახავს ამ ლეგენდარული წიგნის არცერთი

ბნკარი, – დაუყოვნებლივ მიეწერა ფრიდრიხ II-ს. თავდაპირველად ამ აშკარად ღვთისმგმობლური სათაურის ავტორად სქოლასტიკოსებმა არაბი ფილოსოფოსი ავეროესი მიიჩნიეს, პაპმა გრიგოლ IX-მ კი ამავე სათაურით მთელი დოქტრინა წარმოიდგინა, რომლის ავტორადაც ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე გამოაცხადა „ის შეჩვენებული მეფე, ვისი მტკიცებითაც სამყარო მოტყუებულ იქნა სამი ცრუმოძღვრის მიერ, რომელთაგანაც ორი დიდებით აღესრულა, მესამე კი – ჯვარზე"*. სწორედ ამ სატანისტური მოძღვრებიდან მეროჭიკე ბერების ქადაგებით აღგზნებულმა ხალხურმა წარმოსახვამ შექმნა წიგნი, რომლის ავტორსაც ამაოდ დაეძებდნენ მთელი ხუთი საუკუნის მანძილზე. ფრიდრიხ II-ის გარდა, ყველაზე თავგადაკლული ქრისტიანები მის დაწერაში სხვადასხვა დროს ადანაშაულებდნენ პიეტრო დე ლა ვინიას, მაკიაველის, ჯორდანო ბრუნოსა და სპინოზას.

IV

ჩვენს მიერ ზემოთ ციტირებულ დოკუმენტში გრიგოლ IX ამასაც ამბობს ფრიდრიხ II-ზე: „იმდენად ჩაეფლო სიცრუის ჭაობში, რომ ბრიყვებად მიიჩნევს ყველას, ვისაც სწამს, თითქოს სამყაროს შემოქმედი ყოვლისმძლე ღმერთი ქალწულისაგან იშვა... იმასაც დასძენს, რომ სარწმუნოდ უნდა მიგვაჩნდეს მხოლოდ ის, რასაც გვიდასტურებენ ბუნების კანონები და ჩვენი ბუნებითი გონება". აქ ჩვენ მივადექით იმპერატორის ნამდვილ ერესს. ახლა საქმე იმას კი აღარ ეხება, რომ შეზღუდო ეკლესიის პოლიტიკური ძალაუფლება და მთელი საქრისტიანოს უზენაესი მმართველობის სადავეები ხელიდან გამოსტაცო პაპს, – არა, აქ ფრიდრიხი აშკარად ხელყოფს თვით ქრისტიანული სარწმუნოების პრესტიჟს. ის ცდილობს ერთ მეუფესა და მბრძანებელს – გონებას დაუქვემდებაროს მეცნიერებაც, ფილოსოფიაც, სარწმუნოებაც და, ამრიგად,

* Hist. diplom., t. V, p. 339.

მოახდინოს მათი სეკულარიზაცია, ისევე, როგორც მანამდე შესძლო სახელმწიფოს სეკულარიზება, იმის წყალობით, რომ ერთი მბრძანებლის ნებას დაუმორჩილა ყველა რელიგიური, სოციალური თუ პოლიტიკური ძალა.

ამ დიადი მიზანდასახულობის ხორცშესხმაში რომ შეეწყოთ ხელი, იმპერატორისაკენ სხვადასხვა მხრიდან დაიძრნენ მრავალრიცხოვანი მოკავშირენი, რომლებმაც ერთმანეთს შორის ადვილად გამონახეს საერთო ენა და მშვენიერად აუღეს ალღო მბრძანებლის გულის ნადებსაც: არაბები, ებრაელები და ეპიკურელნი, ესე იგი, ურწმუნონი, რომელნიც მთელ იტალიაში იყვნენ მიმოფანტულნი. თანამზრახველთა ამ სიმრავლეს გამუდმებით ავსებდნენ ახალი ძალები სირიიდან და ესპანეთიდან, აზიელი თუ სიცილიელი ბერძენი სწავლულები, როგორც მაგალითად, თეოდორე, თითქოს ფილოსოფიურ მეცნიერებათა კანცლერის როლს რომ ასრულებდა იმპერატორის სასახლის კარზე და გამოცდილი რედაქტორის ხელით ასწორებდა მის მიმოწერას ქაიროს, ტუნისისა და მაროკოს მბრძანებლებთან; ანდა სახელგანთქმული პიზელი მათემატიკოსი ლეონარდო ფიბონაჩი[22], პირველი ქრისტიანი ალგებრისტი. იქვე იყრიან თავს სამხრეთ საფრანგეთიდან გადმოხვეწილი ტრუბადურები და რაბინები, თან რომ ჩამოიტანეს იმ კურთხეული კუთხის მოგონებები, სადაც სარაინდო ცივილიზაცია თავისუფლად ეგუებოდა ერესსა და რელიგიურ ინდიფერენტიზმს. ამ თავისუფლად მოაზროვნეთა და უკმაყოფილო მეამბოხეთა მეოხებით, სწორედ იმ დროს, როცა სქოლასტიციზმმა თავის აპოგეას მიაღწია საფრანგეთში, ფრიდრიხმა შუა საუკუნეებს უჩვენა, რომ ყოველგვარი თეოლოგიური დისციპლინისა და საღმრთო წერილის არტახებისაგან თავდახსნილ აზრს შეეძლო ნაყოფიერად ეკვლია ღვთაებრივი საიდუმლონი, გადაეჭრა ცნობიერების წინაშე მდგარი პრობლემები და აღმოეჩინა ბუნების ახალი კანონები.

ჰოჰენშტაუფენების თაოსნობით დაწყებული ინტელექტუალური განახლების ამ პროცესის ყველაზე

არსებითი ნიშანია არაბული კულტურის დომინანტობა. თუმცა აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ იმპერატორი ისლამს როდი უპირისპირებდა ქრისტიანობას. მუსულმანური ტრადიცია, რომელსაც ის მიემხრო ისლამისაგან განდგომილი ტრადიციაა. კვლევა-ძიების თავისუფლებისათვის დაწყებულმა მოძრაობამ, VIII საუკუნის ბაღდადში რომ ჩაეყარა საფუძველი და ყურანის ღვთაებრიობის, ისევე, როგორც წინასწარგანსაზღვრულობის დოგმის წინააღმდეგ იყო მიმართული[23], ომაიადებთან[24] ერთად ესპანეთში გადმოინაცვლა. აქ ის, ხალხური ფანატიზმისა და ალმორავიდთა[25] ძალმომრეობის მიუხედავად, ფართოდ გავრცელდა ანდალუსიაში, შემდეგ – კორდოვის სკოლაში და, ბოლოს, XII ს. თავისი სრულყოფილი გამოხატულება ჰპოვა ავეროესის[26] პიროვნებაში.

შუა საუკუნეებისათვის ავეროესი იყო ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო არაბი ფილოსოფოსი. უარყოფათა მთელი ის სიმრავლე[27], რაც დიალექტიკის ოთხი საუკუნის მანძილზე დაგროვდა, და რასაც მან ერთად მოუყარა თავი, ისეთ საშინელ ღვთისმგმობლობად იქნა აღქმული, რომ ეკლესიამ, თავის მხრივ, „ათეიზმის პატრიარქად“ და „ანტიქრისტედ“ შერაცხა იგი. ჯერ კიდევ იბნ ტუფაილი[28], რომელიც მის ერთ-ერთ მასწავლებლად იყო მიჩნეული, თამამად ქადაგებდა აბსოლუტურ ინდიფერენტიზმს რელიგიურ საკითხთა მიმართ და ყოველი სულის უფლებას, თავისუფლად შეეცნო სიკეთე და ჭეშმარიტება. ავეროესი ქედმაღლური ზიზღითაა გამსჭვალული უბრალო მორწმუნის მიმართ, რომელიც მდაბიორთა რელიგიის ტყვეობისა და თეოლოგიური ცრურწმენისთვისაა განწირული. ის თვით ყურანზე დაყრდნობით ამტკიცებს: ღმერთი ბრძანებს, გონებისა და მეცნიერების მეშვეობით ვეძებდეთ ჭეშმარიტებას, და რელიგიის არსში წვდომა მხოლოდ ფილოსოფოსს თუ შეუძლიაო. „ფილოსოფოსთა რელიგია – ამბობს ის, – სხვა არა არის რა, თუ არა არსებულის შეს-

ნავლა"*. მთელი რწმენა, რომლის საგანია ღმერთი, ანგელოზები და წინასწარმეტყველნი, საკრალურ რიტუალებთან, ლოცვებსა თუ სინანულთან ერთად, – უბირთა და უვიცთათვისაა ზედგამოჭრილი. რაც შეეხება ბრძენს, ის თვითონვეა თავისი თავის ბატონ-პატრონი და უფლება აქვს ისე მოიქცეს, როგორც მოეპრიანება; მას შეუძლია არსებულ რელიგიათა შორის ამოირჩიოს ყველაზე კეთილშობილური სარწმუნოება, ან მოცემული რელიგიის სიმბოლოებისა თუ დოგმების იდეალისტური ინტერპრეტაციით დაკმაყოფილდეს. მისი გონება მთელ გამოცხადებას მოიცავს: ის პოულობს მასში მოძღვრებას, მორალს, კულტს, იმ ზომით, რა ზომითაც ეს რჩეულ სულსა სჭირდება.

ავეროიზმი სასურველი სტუმარი აღმოჩნდა ფრიდრიხის სასახლის კარზე, სადაც, თუ ნაკლებად სარწმუნო ცნობებს ვენდობით, მამისეული სიბრძნის წარმომადგენლად ერთხანს ავეროესის ორი ვაჟიც ცხოვრობდა თურმე. სიცილიური კულტურა სულ მალე განიმსჭვალა იმ დახვეწილი არაბული სკეპტიციზმით, რომელიც მის მოკავშირედ იქცა იმპერატორის მტრების, პაპის შეუწყნარებლობის, გველფების მძვინვარე გულმოდგინებისა და მონაზვნებისა თუ დაბალი სამღვდელოების ერთსულოვანი ბღავილის წინააღმდეგ ბრძოლაში. ფრიდრიხ II-მ მთელი თავისი ცხოვრებით ცხადყო, რარიგ შეეფერებოდა მის გემოვნებას მუსულმან მოძღვართა ყბადაღებული ეკლექტიზმი: გამუდმებით რომ ებრძოდა წმიდა ტახტს და ლუჩერისა თუ კაპუის ჰარამხანებში თავის ევნუქებსა და ასტროლოგებს შორის ყოველთვის ინარჩუნებდა იმის შესაძლებლობას, რომ მაჰმადიანობას მიბრუნებოდა, მან მაინც შესძლო შეენარჩუნებინა იმნაირი დამოკიდებულება დასავლური რელიგიის მიმართ, რაც აუცილებელი იყო იმპერიული პოლიტიკის განსახორციელებლად.

---

* Renan, Averroès et l'averoisme, 2e édit., p. 167.

მაგრამ არაბებსა და მათ უშუალო მოწაფეებს – ესპანელ და პროვანსელ ებრაელებს სკეპტიციზმსა და რელიგიურ ინდიფერენტიზმზე უფრო მაღალი ინტელექტუალური ფასეულობისათვის უნდა ეზიარებინათ ორივე სიცილიის სამეფო: ეს გახლავთ რაციონალიზმი. ღვთისმეტყველებისა და სარწმუნოების არტახებისაგან თავდახსნილი გონების ბუნებრივი სწრაფვა იმაში პოულობს გამოხატულებას, რომ თავის წინაშე სვამს პრობლემებს, რომელთა გადაჭრაც სურს რელიგიას, და ცდილობს ჩასწვდეს საგანთა არსს, ისე, რომ ღმერთს არ მოუხმოს მწედ და მეოხად. ამ თავისუფალ კვლევა-ძიებას, რომლის ნაყოფადაც გვევლინება მეცნიერება, ჯერ კიდევ ძველმა ბერძენმა ფილოსოფოსებმა ჩაუყარეს საფუძველი, ხოლო შუა საუკუნეებში არაბები, სწორად რომ აუღეს ალღო ინტელექტუალური ტრადიციების მნიშვნელობასა და ღირებულებას, თამამად დაადგნენ და ასწლეულების მანძილზე მისდევდნენ კიდეც ოდესღაც ძველი ბერძნების მიერ კაცობრიობისათვის გაკვალულ გზას. აქ მათ სულ მალე აღმოაჩინეს არისტოტელე და ხელი მიჰყვეს მისი გრანდიოზული ენციკლოპედიის შესწავლას, თარგმნასა და კომენტირებას. მათი გაკვეთილების მიხედვით ქრისტიანულმა დასავლეთმა საკმაოდ სრული, თუმცა ასევე საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა შეიმუშავა პერიპატეტიზმსა[29] და ძველი სამყაროს სიბრძნეზე. დასავლური ეკლესია, რომელიც გაოგნებული იყო იმ უცნაური და ურთიერთსაპირისპირო დასკვნებით, არისტოტელეს მოძღვრებიდან რომ გამოჰქონდათ, ხან გმობდა, ხან კი მონინებით იხრიდა ქედს ძველი ბერძენი მოაზროვნის წინაშე; ყოველნაირად ცდილობდა სქოლასტიკისათვის დაექვემდებარებინა და თეოლოგიის სამსახურში ჩაეყენებინა ბერძნული რაციონალიზმი, რათა სტაგირელის ტრაქტატების მიხედვით განემარტა თავისი ფიზიკა, მეტაფიზიკა და რელიგიური კოსმოლოგია. XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, თავისი დიდი ინტერპრეტატორების – ალექსანდრე ჰალესელის[30], ალბერტ დიდისა[31]

და თომა აქვინელის[32] წყალობით, არისტოტელეს ფილოსოფია უკვე ერთპიროვნულად ასაზრდოებს სქოლასტიკურ აზრს. მაგრამ ეს არისტოტელე, რომელიც დასავლურ ეკლესიას იესო ქრისტეს წარმართ წინამორბედად მიაჩნდა, და რომელსაც XIV საუკუნის ფერმწერნი – ორკანია, გოძოლი, გადი, ტრაინი[33] ისე გვიხატავდნენ, თითქოს წმიდა თომას გვერდით მდგარი დიაკონი ყოფილიყო, ფეხით რომ თელავდა ავეროესსა და მუჰამედს, – სულაც აღარ იწვევს შიშსა და ძრწოლას: ის მხოლოდ სილოგიზმების ოსტატია, რომელიც საშუალებას აძლევს სქოლასტიკას საკმაოდ უწყინრად მსჯელობდეს მატერიისა და კოსმოსის, ინდივიდუაციის პრინციპის, უკანასკნელი – უხრწნელი ცისა და თვით უძრავი პირველი მამოძრავებლის შესახებ.

ეს უკვე აღარ არის ავეროესისა და არაბების ერესიარქი არისტოტელე, რომელიც იმპერატორმა ფრიდრიხ II-მ ფილოსოფიური განახლების მის მიერ წამოწყებულ საქმეში ჩართო. ბაღდადში, ქაიროში, ტოლედოსა და კორდოვაში მაჰმადიანურმა პერიპატეტიზმმა სტაგირელის თხზულებებიდან – „მეტაფიზიკა“ და „სულის შესახებ“ – გამოიტანა ორი ფრიად საჭოჭმანო საკითხი, რომელთა გადაჭრამაც თვით ისლამის წიაღში უკიდურესად განამტკიცა ურწმუნოთა მეამბოხური სულისკვეთება. ავეროესმა თავის თხზულებებში ნათლად გადმოგვცა ამ ორი საკითხის მაშინდელი მდგომარეობა, რომელთაგანაც ერთი მატერიის მარადიულობას ეხებოდა, რასაც შედეგად მოსდევდა სამყაროს შემოქმედი ღმერთის უარყოფა, მეორე კი – უნივერსალურსა და ქმედით გონებას, რასაც ინდივიდუალური სულის უკვდავების უარყოფამდე მიჰყავდა აზრი*. ამ ორი არსებითი საკითხის განმარტებისას, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაეჭრა ნებისმიერ რელიგიას, არაბები საკმაოდ მიუახლოვდნენ არისტოტელეს თვალსაზრისს. თუ დასაბამიერი მატერია მხოლოდ და მხოლოდ

* Renan. Averroès, ch. II.

არსებობის შესაძლებლობაა, მაშინ, ამ გაგების თანახმად, ყოველგვარი სუბსტანცია მარადიულია თავისი მატერიის, ე.ი. არსებობის შესაძლებლობის წყალობით. მატერია არასოდეს არ შექმნილა, ის უხრწნელია. ამ მარადიული წყაროდან გამოსულ თაობათა მნკრივი უსასრულოა. მოძრაობა, ყოველგვარი ქმნადობის ეს აუცილებელი პირობა, თვითონაც უწყვეტია და მარადიული, რამდენადაც თავისი წინამორბედისგან იღებს დასაბამს. ამიტომ სამყარო შექმნილი კი არაა, არამედ მარადიული[34]. გონება მხოლოდ მის ზოგად კანონებს შეიცნობს; მას სახესთანა აქვს საქმე და არა ინდივიდთან; ის რომ კერძოს შეიმეცნებდეს, მთელი მისი არსება უწყვეტი განახლების არენად იქცეოდა[35]. მოძღვრება უნივერსალური გონების შესახებ ამ მეტაფიზიკის პარალელურია, მაგრამ რაკი არისტოტელეს თხზულებაში ის ნაკლები სიცხადითაა გადმოცემული, ამიტომ არაბების ფილოსოფიურმა წარმოსახვამ, რომლებსაც, რენანის სიტყვებით რომ ვთქვათ, არასოდეს არ ჰქონიათ ნათელი წარმოდგენა ცნობიერების ინდივიდუალურობაზე, – თავისი ორიგინალობის გაცილებით უფრო მკაფიო ბეჭედი დაასვა მას. ავეროესის მიხედვით, კაცთა მთელი მოდგმისათვის საერთო ქმედითი გონი სხვა არა არის რა, თუ არა გონების პრინციპთა უნივერსალურობა, ფსიქიკური ბუნების, როგორც სახეობრივი მთლიანობის, ერთიანობა. ინდივიდისაგან განცალკევებით განხილული გონება ესაა რაღაც აბსოლუტური და ინდიფერენტული. კაცობრიობა, რომელიც ამ გონების ქმედითობად გვევლინება, აუცილებლობის ძალით არსებობს და მუდმივ განახლებას განიცდის. სხეულისაგან განცალკევებული გონება მარადიულია. მხოლოდ ეს გონებაა ნარუვალი, ისევე, როგორც კანონები, რომლებსაც ის იაზრებს[36]. რაც შეეხება ინდივიდუალურ გონებას, ე.ი. გრძნობელობას, მეხსიერებას, ვნებას, ტანჯვასა თუ სიხარულს, მოკლედ, ყველაფერს, რაც ერთ ადამიანს განასხვავებს დანარჩენთაგან, – ის ხრწნადია, მსწრაფლწარმავალი და სხეულის მოკვდავ ელემენტებთან ერთად იშლება. უკვდავი გონებისათ-

ვის სრულიად უცხოა ცნობიერება. ასე რომ, ადამიანს ნურც აღდგომის იმედი აქვს და ნურც საუკუნო ნეტარებისა[37]; სასაცილოდაც ნუ ეყოფა მარადიული ტანჯვა. არაბულმა პერიპატეტიზმმა ბავშვური ოცნებებივით გაფანტა ორივე დიდი იმედი და, მათთან ერთად, კაცობრიობის მტანჯველი შიშიც: სამყაროს შემოქმედი ღმერთის, ცისა და მიწის მბრძანებლისა და საუკუნო სიცოცხლის რწმენა.

ფრიდრიხ II-ს გულწრფელად აინტერესებდა ეს უმნიშვნელოვანესი პრობლემები, არა როგორც ქრისტიანს, საერო სიბრძნისაგან თავისი რწმენის დასტურს რომ ელის, არამედ, როგორც თავისუფლად მოაზროვნეს, მთელი არსებით რომ მიელტვის ჭეშმარიტებას, რაგინდ მწარეც არ უნდა იყოს იგი თავისი დროის სარწმუნოებისათვის. იმპერატორი სათავეში ედგა თავისი სასახლის კარზე მის მიერვე დაარსებულ ფილოსოფიურ აკადემიას. 1227 წელს ბერ-მონაზონმა მიხეილ სკოტუსმა[38], გრიგოლ IX-ის პროტეჟემ, ფრიდრიხს საჩუქრად მიართვა არისტოტელეს თხზულებების, მათ შორის, ტრაქტატის – „სულის შესახებ" ლათინურად თარგმნილი ავეროესისეული კომენტარები. 1229 წელს, სულთანთან დიპლომატიური მოლაპარაკებისას, იმპერატორმა თავის მუსულმან ელჩებს დაავალა ეგვიპტელ და სირიელ სწავლულებთან ერთად განეხილათ რამდენიმე მნიშვნელოვანი სამეცნიერო პრობლემა. უფრო გვიან, იმავე მეტაფიზიკურ პრობლემებზე ეთათბირებოდა ესპანელ ებრაელს იუდა ბენ სალომონ კაჰენს, ავტორს ენციკლოპედიური თხზულებისა „Inquisitio sapientiae"[39]. და ბოლოს, დაახლოებით 1240 წელს მან კვლავ განაახლა თავისი რაციონალისტური ძიებანი და მთელ მაჰმადიანურ სამყაროში ეძებდა მათ პასუხს, შემდეგ კი ესპანეთის უთვალსაჩინოეს დიალექტიკოსს იბნ საბინ მურსიელს მიმართა რამდენიმე კითხვით; ამ უკანასკნელმა უპასუხა „ღვთის სიყვარულისა და ისლამის ტრიუმფის გულისათვის". მისი პასუხების არაბული ტექსტი სათაურით „სიცილიური საკითხები", იმპერატორის კითხვებთან ერთად, დღემდე შემოგვრჩა ერთი ოქსფორდული ხელნაწერის

სახით. აი, იმპერატორის კითხვები: „დაამტკიცა თუ არა არისტოტელემ სამყაროს მარადიულობა? თუ ვერ დაამტკიცა, რა ფასი აქვს მის არგუმენტებს? რა არის თეოლოგიის მიზანი და როგორია ამ მეცნიერების აპრიორული პრინციპები, თუკი მას საერთოდ გააჩნია ეს პრინციპები, ესე იგი, იღებს თუ არა დასაბამს წმინდა გონებისაგან? როგორია სულის ბუნება? უკვდავი? რა არის მისი უკვდავების ნიშანი? რას ნიშნავს მაჰმადის სიტყვები: მორწმუნის გული გულმოწყალის ხელთაა?"

ეს თამამი იდეები, რომლებსაც მანამდე მხოლოდ იმისთვის უბრუნდებოდა შუასაუკუნეობრივი სამყარო, რომ ძირფესვიანად ამოეძირკვა ისინი, – იმპერატორის პოლიტიკის პარალელურად, წითელი ხაზივით გასდევს იტალიის მთელ იმპერიულ ცივილიზაციას. რაც უფრო თამამად ათავისუფლებდა ფრიდრიხ II-ის მფარველობით გალაღებული ფილოსოფია ადამიანის გონებას ყოველივე ზებუნებრივის მომნუსხველი ხიბლისაგან, მით უფრო ნაკლებად ემორჩილებოდა გიბელინური პარტია რომის ეკლესიის გავლენას. და რაკი ყოველი მეტაფიზიკის სიღრმეში მიმალულია ეთიკური მოძღვრება, იმპერატორის ყველა მომხრემ, ვინც ხარბად მიელტვოდა ძალაუფლებას, სიმდიდრეს, ამქვეყნიური სიამით ტკბობას და ნაკლებად იტკიებდა თავს სამყაროს მარადიულობასა თუ უნივერსალურ გონებაზე ფიქრით, – დაუყოვნებლივ აღიარა და გაიზიარა ეს ახალი მოძღვრება, რომელიც ამშვიდებდა და საბოლოოდ ათავისუფლებდა იმაზე დარდისაგან, თუ რა ელის სულს სიკვდილის შემდეგ, კიდევ უფრო საამურს ხდიდა ამქვეყნიურ ცხოვრებას, აძრნუნებდა მღვდელსა თუ ინკვიზიტორს და ძალას უკარგავდა პაპის შეჩვენებას. ფლორენციელი ეპიკურელები, რომლებსაც XII საუკუნეში საზოგადოებრივი სიმშვიდის უბოროტეს მტრებად მიიჩნევდნენ, ღვთის რისხვას რომ ატეხდნენ თავზე ქალაქს, ორჯერ გახდნენ თავიანთი რესპუბლიკის ბატონ-პატრონნი: ფრიდრიხის მეფობის დამლევს და მანფრედის[40] მბრძანებლობისას. იმხანად ჩრდილო იტალიაში საიმპერა-

ტორო პარტიას სათავეში ედგნენ უბერტები, მკაცრი და დიდსულოვანი გამგებლები, მათ მხარდამხარ კი „ასი ათასი კეთილშობილი, რომლებიც – ბენვენუტო დ'იმოლას სიტყვებით რომ ვთქვათ, – თავიანთი თავკაცის ფარინატასა[41] და ეპიკურესავით ფიქრობდნენ, რომ სამოთხე მხოლოდ ამქვეყნიურ ცხოვრებაშია საძიებელი"*. XII საუკუნის დასასრულამდე, მათი პოლიტიკური ბედის წაღმაუკუღმა ტრიალისა და ცვალებადობის მიუხედავად, ამ ქედუხრელ გიბელინებს მაღლა ეჭირათ თავიანთი რელიგიური ურწმუნოებისა და, შესაძლოა, რადიკალური მატერიალიზმის დროშა. „როცა კეთილ ხალხს გზაში ხვდებოდა გვიდო კავალკანტი[42], – გადმოგვცემს ბოკაჩო, – ჩაფიქრებული რომ დაეხეტებოდა ქალაქის ქუჩებში, მათ ეგონათ, ახალ არგუმენტებს იგონებს ღმერთის არარსებობის დასამტკიცებლადო"**. ამასვე ამბობდნენ მანფრედზედაც, რომელსაც, ვილანის სიტყვებით, „არც ღმერთი სწამდა და არც წმიდანნი, არამედ მხოლოდ ხორციელი განცხრომა". ტოსკანელ კარდინალ უბალდინის[43], რომელიც რომში თამამად უჭერდა მხარს შეჩვენებულ ჰოპენშტაუფენებს, ერთი პირწმინდად ვოლტერისებური გამონათქვამი მიეწერება: „თუ სული მართლა არსებობს, კაი ხანია, რაც გიბელინების გულისთვის წარვწყმიდე ჩემი არსების ეს უკეთესი ნაწილიო". რაღა თქმა უნდა, თვითეული მათგანი ურწმუნოების ერთი და იმავე ნიშნითაა აღბეჭდილი: მათ, როგორც ცრურწმენა, უარყვეს ყოველგვარი რელიგიის ძირითადი დოგმები. ცნობიერად თუ არაცნობიერად, ისინი ავეროესის მიმდევრები არიან. ზოგიერთ მათგანს დანტემ „ჯოჯოხეთის" ერთსა და იმავე წრეში მოუყარა თავი: ფარინატას, ფრიდრიხ II-ს, უბალდინის, კავალკანტე კავალკანტის[44]. მაგრამ მათ შორის ყველაზე „დიდსულოვანს" ფარინატას აქაც არ სჯერა ჯოჯოხეთის არსებობა, რომლის ალიც თხემით ტერფამდე

---

* Comm. ad Infern., X.

** Decamer., VI, 9.

ნთქამს; მთელი ტანით წამოიმართება თავისი ალმოდებული სარკოფაგიდან და ამაყ მზერას მიმოავლებს მისთვის საძულველ მხარეს, რომლის ზიზღიც არასოდეს გაუნელდება:

Ed ei s'ergea col petto e colla fronte,
Come avesse l' inferno in gran dispitto
(Inf., X, 35)[45].

ამ მეტაფიზიკურ ურწმუნოებას, სულიერი ცხოვრებიდან ყოველივე ზებუნებრივის სრულ გამორიცხვას, სინამდვილის სრულიად ახლებური აღქმა შეესაბამება. სასწაული ქრება, ისევე, როგორც ღმერთის ყველგანმყოფობა, ყველა წმინდა სულის სიხარულისა და ნეტარების წყარო, სატანის აღსასრული, სულით უძლურთა ძრწოლა, და მათ ადგილს იკავებენ ბუნების გარდუვალი კანონები, რომლებიც განსაზღვრავენ ცოცხალ არსებათა უსასრულო ევოლუციას, ძალებისა და ელემენტების კომბინაციებს. საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა აღორძინება თავისი არსებობის ძირითად პირობად ბუნების რაციონალისტურ თეორიას მიიჩნევს.

არაბმა ალქიმიკოსებმა და მედიკოსებმა სამხრეთ იტალია ხელახლა დაუბრუნეს არისტოტელეს – ნატურალისტსა და ფიზიკოსს. 1230 წელს მიხეილ სკოტუსმა ფრიდრიხ II-ისათვის საგანგებოდ თარგმნა ავიცენას მიერ მოკლედ გადმოცემული „ცხოველთა ისტორია". სასახლის კარის ქიმიკოსი თეოდორე საუცხოო სასმელებსა და ნაირნაირ ტკბილეულობას ამზადებდა იმპერატორის სუფრისათვის. სალერნოს სახელგანთქმულმა სკოლამ მთელი დასავლეთისათვის ააღორძინა მედიცინის შესწავლა არაბული მეცნიერების მეთოდიკაზე დაყრდნობით, რაც გულისხმობდა უშუალო დაკვირვებას ადამიანის სხეულის ორგანოებსა და მათ ფუნქციონირებაზე, სამკურნალო მცენარეების ძიებას, სხვადასხვა შხამის ანალიზს და მინერალური წყლების მარგი მოქმედების გამოცდას. ფრიდრიხმა აღადგინა რომაელი იმპერატორების მიერ დადგენილი წესი, სამედიცინო პრაქტიკას რომ უკრ-

ძალავდა იმ პირებს, რომლებსაც არ ჩაებარებინათ სათანადო გამოცდები სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად. მანვე დაადგინა სწავლების ხუთწლიანი ვადა მედიცინისა და ქირურგიის სრული კურსისთვის. მისი მითითებით დაიწყეს პოცუოლის თერმული წყაროების შესწავლა. ის თვითონ უწერდა წამლებს თავის მეგობრებს და თვითონვე იგონებდა ახალ რეცეპტებსაც. აზიიდან და აფრიკიდან მისთვის ჩამოჰყავდათ იშვიათი ცხოველები, რომელთა ზნესა და ქცევას გულმოდგინედ აკვირდებოდა. მას მიეწერება თხზულება „De arte venandi cum avibus"[46], რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა ტრაქტატი სანადირო ფრინველების ანატომიის, მათი წვრთნისა და მოთვინიერების შესახებ. ვინ იცის, რა საშინელ ამბებს აღარ ყვებოდნენ ხალხში მის ცდებთან დაკავშირებით. ამბობდნენ, თითქოს ცოცხლად ფატრავდა ხალხს საჭმლის მონელების პროცესის შესასწავლად, და პირქუშ დილეგში მთელი ქვეყნისაგან განცალკევებით ზრდიდა პატარა ბავშვებს, რათა დარწმუნებულიყო, რომელ ენაზე დაიწყებდნენ ლაპარაკს: ებრაულზე, ბერძნულზე, ლათინურზე, არაბულზე თუ „მაინც თავიანთ მშობლიურ კილოკავს არჩევდნენო", – დასძენს მთელი ამ სიახლით შეძრწუნებული ფრა სალიმბენე. იმპერატორი აიძულებდა თავის მყვინთავებს გაეზოგაეზომათ მეს სრუტის სიღრმე; აინტერესებდა, რა მანძილი იყო დედამიწიდან ვარსკვლავებამდე. მონაზვნები განცვიფრებულნი იყვნენ ამ უჩვეულო ცნობისმოყვარეობით, რასაც ისინი ქედმაღლობად და მკრეხელობად აღიქვამდნენ; სალიმბენე, დაუფარავი ზიზღით, „ცრუმორწმუნეობას", „წყეულ ხრწნილებას", „სიშლეგეს", „ცოდვილ ქედმაღლობას" უწოდებს ამას*. შუასაუკუნეობრივი სამყარო ვერ იტანდა, როცა ვინმე მეტისმეტი გულმოდგინებით ცდილობდა ჩასწვდომოდა ღვთაებრივი ქმნილების სიღრმეს, ადამიანური ცხოვრების არსს თუ ციური მოძრაობის მექანიზმს. ბუნე-

* Cron., 169, 170.

ბის შესწავლა მას „ხრწნილებად“ თუ „ჯადოქრობად“ ესახებოდა, და იტალია, რომელსაც ჰოპენშტაუფენებმა უჩვენეს ექსპერიმენტულ დაკვირვებათა გზა, კელავაც დიდხანს რჩებოდა ქრისტიანული ევროპის ერთადერთ ქვეყნად, სადაც ადამიანი შიშის გარეშე ჭვრეტდა ხილული ბუნების მოვლენებსა და მის მარადიულ კანონებს.

V

ყველგან, სადაც კი ვრცელდება შვაბიური კულტურა, ჩვენ ვხედავთ ხალხურ ენაზე შექმნილი პოეზიის კერებს, პოეზიისა, რომელშიაც მკაფიოდ იჩენს თავს ჩვენს მიერ ზემოთ აღწერილი რელიგიური ინდიფერენტიზმი და ბუნების ფილოსოფია. ამ პოეზიის ერთადერთი თემა სიყვარულია, მაგრამ არა ის სიყვარული, რომელსაც ჩრდილო საფრანგეთი „მრგვალი მაგიდის“ რომანებით იცნობდა, ერთგვარი მისტიციზმით გაწმენდილი და თვით სიკვდილის მძლეველი სიყვარული; არც ის, შუა საუკუნეებს რომ გაუმყღავნეს აბელიარისა და ელოიზას ტრაგიზმით სავსე ნერილებმა, შეცოდების შიშითა და სირცხვილით დათრგუნვილი სიყვარული, – არამედ ის დახვეწილი ვნება, რომელიც მხოლოდ ტკბობას მიელტვის და რომლისთვისაც სრულიად უცხოა ყოველგვარი მძაფრი ტკივილი, გამუდმებით ცვალებადი, გიჟმაჟი და დაუდეგარი, მხიარულად რომ ეთამაშება იმ პატარა ქარიშხლებს, რომლებსაც თვითონვე ასეთი ხალისით იწვევს; ერთის სიტყვით, ის ნატიფი გრძნობა, მთელი ორი საუკუნის განმავლობაში თავდავიწყებით რომ უმღეროდნენ პროვანსელები. თუმცა ისიც ცხადია, რომ ნიმუშებმა, რომლებსაც ბრმად ბაძავდნენ სიცილიელი ტრუბადურები, ცოტა არ იყოს, გაამქრქალეს და ფერი უცვალეს გრძნობის ორიგინალობას. პროვანსული ლირის მომნუსხველ, თუმცაღა ოდნავ ინფანტილურ ხმიერებაში, მოალერსე ოხვრასა და ნატიფ სიტყვიერ ქსოვილში ოსტატურად ჩაწნულ ჩივილსა თუ ვაი-ვიშში ძნელია ამოიცნო სიცილიის სერალთა აღვირახსნილი ვნებების ბორგვა. ყველა პოეტი, იმპერატორ ფრიდრიხითა და მეფე

ენცოთი დაწყებული და ნაკლებად ცნობილი სახელებით დამთავრებული, ერთხმად და ზუსტად ერთნაირი ტონალობით უმღერის სატრფოს საოცნებო ღიმილსა თუ საზარელ ღალატს, თვით სატრფოს კი ყვავილად სახავს ყვავილთა შორის:

La Fiore d'ogni fiore,

ეს ყვავილი ისე ნატიფია და ისე წმინდა:

Tont'è fine e pura,

ტანკენარი, ქერა და ვერცხლივით სახენათელი:

Bionda, viso d'argento.

მაგრამ მუდამ ნუ ენდობით მათ, თუ პიეტრო დე ლა ვინიასავით ცდილობენ დაგარწმუნონ, რომ „ვნებისაგან იბნიდებიან", ან ტომაზო დი სასო დი მესინასავით მოსთქვამენ, რომ „სიყვარულმა მიჰხადათ ცნობა":

Son divenuto paccio, troppo amando[47].

ეს რაინდული თაყვანისცემა სხვა არა არის რა, თუ არა გონების ჟინიანი თამაში. ამ კეთილგონიერმა მიჯნურებმა ისე ადვილად აქციეს ზურგი ყოველგვარ იდეალიზმს, რომ ნამდვილად აღარ შეუძლიათ მთელი სიმძაფრით განიცდიდნენ უიღბლო სიყვარულით გამოწვეულ ტანჯვა-წამებას. ისინი ისე აშკარად მიელტვიან სავსებით რეალური ვნებით რეალურ ტკბობას, რომ წარმოუდგენელია ასევე აშკარად არ არიდებდნენ თავს იმედგაცრუების სიმწარეს. სატრფოს სიკვდილს რომ დასტირიან, უთუოდ გვაგრძნობინებენ, რომ ყველაფერი დამთავრდა და იმედის ნატამალიც აღარა რჩება. მათთვის სრულიად უცხოა ჭეშმარიტ პოეტთათვის ესოდენ სანუკვარი საუკუნო ცხოვრების ნეტარება, სადაც სამუდამოდ უცვლელი რჩება მიწიერი სიყვარულის უკვდავი ხატი. მათი გული მხოლოდ წარსულითა და გარდასულ დღეთა სიხარულითღა სულდგმულობს. „ჰოი, უწყალო სიკვდილო, – წამოიძახებს ერთი მათგანი, – შენ წარმტაცე ჩემი შვება და სიხარული":

Tolto m'ai 'l sollazo e 'l gioco.

თავის მიჯნურს რომ დასტირის, ქალიშვილი ამ სიტყვებით მიმართავს სიკვდილს: „შენ წამართვი ჩემი სიხალისე და სიხარული; მწუხარებად მიქციე ბედნიერება“:

del mio diporto
Messa m'ai in gran tristezza[48].

ეს ჩივილი სავსებით გულწრფელია და მას საერთო არა აქვს რა ლიტერატურულ პირობითობებთან. მასში უკვე შეიძლება შევიცნოთ მიჯნურის მიერ მიტოვებული ფიამეტას გოდება. ეპიკურელს (ასე უწოდებდნენ შუა საუკუნეებში შვაბიელთა პარტიის ნებისმიერ წარმომადგენელს) არ შეუძლია გარდასული სიხარულის სანაცვლოდ სევდიანი მოგონებებით ინუგეშოს თავი; კიდევ უფრო ნაკლებად შესწევს იმის უნარი, რომ სულიერი სიყვარულით სულდგმულობდეს და გასაქანს არ აძლევდეს ხორციელ ვნებათა ბობოქრობას. ძნელია ფრიდრიხ II-ის სარაცინულ დღესასწაულებზე წვეულთა შორის წარმოვიდგინოთ დანტე ან პეტრარკა, სიყვარულის უკვდავ სიმღერებს რომ უძღვნიან ბეატრიჩესა თუ ლაურას.

VI

ამჟამად უკვე შეიძლება ზუსტად განვსაზღვროთ, რა მნიშვნელობა ჰქონდა იტალიური ცნობიერების განვითარებისათვის გიბელინურ ცივილიზაციას. იმპერატორის მთელი სიცოცხლის საქმიდან გამოვყოთ ის წამონყებანი, რომლებმაც ყველაზე მძაფრი ზემოქმედება მოახდინეს თანამედროვეთა წარმოსახვაზე: ბრძოლა წმიდა ტახტის წინააღმდეგ; მცდელობა იმისა, რომ პაპისათვის სოციალური პირველობა ჩამოერთმია; 1229 ნლის დიპლომატიური ჯვაროსნული ლაშქრობა; დესპოტური იმპერიის დაარსება, რომელიც არ სცნობდა არავითარ ფეოდალურ ხელშეკრულებას და ძველისძველ მისტიურ ტრადიციას ორი ძალაუფლების ნონასწორობის შესახებ; – ყოველივე ეს, ჩვენი აზრით, ნაკლებად არსებითი სიახლე გახლდათ: მათ მხოლოდ განამტკიცეს შუასაუკუნეობრივი იტალიის ზოგიერთი ძველთუძველესი წარმოდგენა იმის თაობაზე,

რომ, მაგალითად, სახელმწიფოს, ისევე, როგორც ეკლესიის ორგანიზაცია დოგმასავით უცვლელი როდია; რომ ურთიერთობა ქვეშევრდომებსა და მათ საერო თუ სასულიერო მბრძანებლებს შორის შეიძლება შეიცვალოს დროის მოთხოვნების შესაბამისად; რომ ეკლესიის გავლენა კაცობრიობაზე წარმავალ პირობათა შედეგია და, მაშასადამე, ისევე ცვალებადია, როგორც თვით ეს პირობები. ქვემოთ ჩვენ ვნახავთ, რომ მთელი XIII საუკუნის განმავლობაში როგორც წმიდა ტახტის, ისე რომაული ორთოდოქსიის ყველაზე დაუძინებელი მტრები ქრისტიანიზმის ენთუზიასტები იყვნენ, ჯოაკინო დელ ფიორესა და წმიდა ფრანჩესკოსაგან რომ იღებდნენ დასაბამს და წყევლა-კრულვით იხსენიებდნენ ფრიდრიხ II-ის სახელს.

ასე რომ, შვაბიურმა ცივილიზაციამ იტალიის რელიგიურ ცხოვრებაში თავისი პოლიტიკური მოქმედებით კი არა, თავისი ფილოსოფიური სულისკვეთებით შეიტანა ნამდვილი სიახლე. მან ცხადყო, რომ გონების ბუნებრივი განვითარების გზით კაცობრიობა, შესაძლოა, საერთოდ ჩამოშორებოდა ქრისტიანობას. მაგრამ რაკი ჰოჰენშტაუფენები თავისუფლად მოაზროვნენი იყვნენ, ამ სიტყვის ჭეშმარიტი გაგებით, მათ არასოდეს უცდიათ რომაული აღმსარებლობის შეცვლა ამა თუ იმ რელიგიით ან მისი საპირისპირო ერესით; ერთხელაც არ წამოსცდენიათ, რომ აუცილებელი იყო ქრისტიანობაზე ხელის აღება. მათ მხოლოდ ინტელექტუალური დამოუკიდებლობის მაგალითი უჩვენეს აპენინის ნახევარკუნძულს. ამ მხრივ, ისინი ზუსტად შეესატყვისებოდნენ იტალიური სულის უღრმეს ინსტინქტს. მათ საშუალება მისცეს რაციონალიზმის უპირატესობაში დარწმუნებულ ადამიანებს და იმათაც, ვისთვისაც აშკარად აუტანელი იყო მღვდლის მბრძანებლობა პიროვნებაზე და ეკლესიისა-საზოგადოებაზე, – თავიანთ გულში შეენარჩუნებინათ ქრისტიანობა, იმდენად, რამდენადაც თვითეული მათგანი საჭიროდ მიიჩნევდა თავისთვის. სიცილიურმა ცივილიზაციამ ხელი შეუწყო ურწმუნოთა და სარწმუნოებისადმი ინდიფერენტულად

განწყობილთა მომრავლებას, მაგრამ, იმავდროულად, გაუღვიძა იტალიელებს პიროვნული რწმენის წყურვილი და განუმტკიცა რელიგიური საკითხების თავისუფალი კვლევის მიდრეკილება. ფრანჩესკო ასიზელის საუკუნეში და თვით ფრანჩესკოს მსგავსად, მან დიდი ხნით ჩამოაშორა იტალია სქოლასტიკურ ქრისტიანობას, რომელსაც XII საუკუნეში მკვეთრად უპირისპირდებოდა აბელიარი და რომელიც ის-ის იყო რის ვაივაგლახით დააფუძნა პარიზის უნივერსიტეტმა. სიცილიურმა ცივილიზაციამ მხოლოდ თავისი ფილოსოფიის დომინანტური ძალის წყალობით აზიარა იტალია იმ ზომიერებას, რომელმაც საშუალება მისცა ქრისტიანთა შორის ყველაზე გონიერთ, თავიდან აეცილებინათ ინდივიდუალური მისტიციზმის მთელი უკიდურესობა.

თავი V

ფრანცისკანული მისტიციზმის განვითარება. მარადიული სახარება. იოანე პარმელი. ფრა სალიმბენე

რელიგიის ყველა დამაარსებლის მსგავსად, წმიდა ფრანჩესკო ასიზელიც ძალზე მაღალი წარმოდგენისა იყო ადამიანის ბუნებაზე. მას სწამდა, რომ სიწმინდის, ასკეტიზმისა და გულმოწყალების იდეალი, რომელსაც მიელტვოდნენ მისი მოწაფეები, ყოველთვის იქნებოდა მისი ორდენის ნათელი და მთელი იტალიის ნუგეში. თუმცა ის მხოლოდ ნახევრად შეცდა. მთელი ერთი საუკუნის მანძილზე მისტიური იმპულსი იმდენად ძლიერი იყო ფრანცისკანელთა შორის, და ზოგჯერ ისეთ სიმაღლეს აღწევდა, რომ იმ ძმებმა, რომლებსაც გულწრფელად სურდათ ბოლომდე თავიანთი მოძღვრის გამოცხადების ერთგულნი დარჩენილიყვნენ, საერთოდ დაკარგეს თვალთახედვის არიდან დედამიწა, ადამიანთა საზოგადოება და თვით ეკლესია. წმიდა ფრანჩესკომ წინასწარ ვერ განჭვრიტა, რომ ის სიქველენი, რომელნიც შეადგენდნენ ახლად ფეხადგმული ორდენის ღირსებას, სახიფათონი გახდებოდნენ სწორედ იმ დღეს, როცა მისი ძმობა მთელ საქრისტიანოს მოედებოდა თავისი აპოსტოლური მრწამსის დასამკვიდრებლად, რითაც მკვეთრად დაუპირისპირდებოდა რომის ეკლესიის დისციპლინას, მის ისტორიულ ტრადიციებსა და ამქვეყნიურ მოთხოვნილებებს. შესაძლოა, რელიგიათა მო-

მავალი შეჯახების წინათგრძნობამ წამით მაინც გაიელვა ინოკენტი III-ის სულში, მაგრამ წმიდა ფრანჩესკოს აზრადაც არ მოსვლია ეს. ერთადერთი, რასაც სიცოცხლის ბოლოს მიხვდა, ის იყო, რომ ძმები შეიძლებოდა საკმაოდ მალე მოექანცა მეტისმეტად მკაცრ რეჟიმს, და მათ სისუსტისა თუ სასოწარკვეთილების გამო ეცადათ შეძლებისდაგვარად მისადაგებოდნენ ამქვეყნიურ სინამდვილეს. მას შეეძლო წარმოედგინა განდგომილება, მაგრამ ისე უმანკოდ და მიამიტურად ენდობოდა ღვთის გულმოწყალებას, რომ სამწუხარო აზრი სქიზმის შესახებ ფეხს ვერ მოიკიდებდა მის სულში.

I

ფრანცისკანული მისტიციზმის უკიდურეს განვითარებას ორი არსებითი მიზეზი განაპირობებს, რომელთაგანაც პირველი თვით წმიდა ფრანჩესკოს პრესტიჟი გახლავთ, ვისი სახეც ლამის ღვთის ხატად შემორჩა მონაფეთა მეხსიერებას. მის სიცოცხლეშივე ამბობდნენ: იმათაც კი უსმენს, ვისი ვედრებაც ღმერთის ყურამდე ვერ აღწევსო. მას უყურებდნენ, როგორც მესიას, რომელსაც ღმერთმა მიანდო იესო ქრისტეს აღთქმის აღსრულება. აქედან ერთი ნაბიჯილა რჩებოდა იქამდე, რომ ასიზელის მოძღვრება რელიგიური რწმენის საბოლოო გამოხატულებად მიეჩნიათ, პორტიუნკულის კაპელა კი – მსოფლიო რელიგიის კარვად. მეორე მიზეზი იყო ის უჩვეულო თავისუფლება, რასაც ფრანჩესკო ასიზელი ანიჭებდა სრულქმნილებისაკენ დაუოკებელი სწრაფვით ანთებულ სულებს. ეს იყო იმ ცხოველმყოფელი ქმედითობის მძლავრი ფერმენტი, მთელი XIII საუკუნე რომ აღძრა და სარწმუნოებას რელიგიურ ქმნილებათა ესოდენ უხვი მოსავალი მოაწევინა. ფრანცისკანელებს სურდათ თავიანთი მოძღვრისთვის მიებაძათ და პირადი სწრაფვის წყალობით ისევე მიახლებოდნენ ღმერთს, როგორც ოდესღაც მიეახლა წმიდა ფრანჩესკო. ამრიგად, ასიზელი წმიდანის გაღმერთება და იმის შესაძლებლობა, რომ ყველა ძმას სულის ხსნის საკუ-

თარი გზა აღმოეჩინა, ფრანცისკანელებს აფიქრებინებდა, რომ ისინი იყვნენ საზოგადოების რჩეული ნაწილი, რომელიც საკუთარი რწმენის დამოუკიდებლობაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე მთელი სასულიერო ჰიერარქიისათვის სავალდებულო მორჩილებასა და მოძღვრების ასოს პედანტურ თაყვანისცემაზე.

აბსოლუტური სიღარიბის აღთქმა, რომლის დაცვაც მით უფრო ეადვილებოდა საძმოს თვითეულ წევრს, რომ ის სავალდებულო იყო მთელი ძმობისთვის, – ორდენის მთავარ სათნოებად ითვლებოდა, და მან დასაბამი დაუდო ხანგრძლივ დავას, რომლის მხოლოდ საწყის პერიოდსაც თუ განვიხილავთ ჩვენს თხზულებაში. 1312 წლამდე, ესე იგი, ვიენის საეკლესიო კრებამდე, დავა, როგორც ჩანს, ფრანცისკანული დისციპლინის მხოლოდ ერთ საკითხს ეხებოდა. წმიდა ფრანჩესკოს ჭეშმარიტი მიმდევრები, ე.წ. „სპირიტუალები" ყოველგვარი საკუთრების უარყოფას უჭერდნენ მხარს და მკვეთრად უპირისპირდებოდნენ „კონვენტუალებს", რომლებმაც შემდეგ უზარმაზარი მონასტრები აიგეს და სამონასტრო საკუთრებას, საერო მეცნიერებასა და არასაღმრთო წერილს მიუბრუნდნენ. მაგრამ 1312 წლიდან მოყოლებული დავა მოულოდნელად გამწვავდა: ახლა საქმე უკვე ქრისტესა და მის მოციქულებზე მიდგა, რომლებსაც არასდროს არავითარი საკუთრება არ ჰქონიათ, და ეს სათნოება სარწმუნოებრივ დოგმად დაუწესეს მთელ ქრისტიანობას. სეკულარული ეკლესია და ავინიონელი პაპები საშინლად შეაშფოთა ამ სიახლემ, რომელსაც თავგამოდებით იცავდნენ „სპირიტუალთა შორის" ყველაზე გულმხურვალე „ფრატიჩელები", ანუ „პატარა ძმები". ვითარება კიდევ უფრო გაამწვავა იმან, რომ თეორიულ დავაში ჩაერია პოლიტიკა – იმპერატორისა და ევროპის სხვა მბრძანებელთა ინტერესები, ერთსულოვნად რომ უჭერდნენ მხარს ახალ მოძღვრებას, რომელსაც შეეძლო შეესუსტებინა ეკლესიის საერო ძალაუფლება. აქედან მოყოლებული, ფრანცისკანელთა ორდენში (მეტა-

დრე სამხრეთ საფრანგეთში) საგრძნობლად მომრავლდნენ მწვალებელნი და მონამენი*.

აქ ჩვენ განვიხილავთ ამ მწვავე კრიზისის ხანგრძლივ მოსამზადებელ პერიოდს, რომელიც ფრა ანჯელო კლარენოს ორიგინალური თხზულების – „Historia Septem Tribulationum ordinis Minorum"[1] – ნიშნითაა აღნეჭდილი. ამ თხზულებას მხოლოდ ზერელედ იცნობდა ვადინგი**[2]. ანჯელომ, ჯოაკინელთა მეთოდის მიხედვით, შვიდ ეპოქად შეაჯამა მთელი სალმობა, ბრძოლა და ტანჯვა-ნამება, რისი გადატანაც მოუხდათ „სპირიტუალებს" XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული. მეშვიდე ეპოქა, რომელიც ზემოხსენებული თხზულების დაწერის დღიდან იწყება, თავიანთი ქრისტიანული მრწამსის საბოლოო ტრიუმფამდე მიიყვანს ჭეშმარიტ ძმებს. ფრა ანჯელო სამოცდაათი წლის განმავლობაში ებრძოდა თავის მდევნელებს. მას ბრალად დასდეს მწვალებლობა და სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს. 1289 წელს განთავისუფლებულ იქნა ორდენის გენერლის რაიმონდ გოფრიდის ბრძანებით. ცელესტინე V[3]-ის მღვდელთმთავრობისას ცოტა ხნით მაინც დააღწია თავი დევნას, მაგრამ მალე იძულებული შეიქნა ადრიატიკის ზღვის ერთ-ერთ კუნძულზე გადახვეწილიყო, სადაც უკვე მოეყარათ თავი რომაული კამპანიიდან და ნეაპოლის სამეფოდან გამოქცეულ განდეგილებს, რის ვაივაგლახით რომ დასხლტომოდნენ ხელიდან ბონიფაციუს VIII[4]-ს. ღრმად მოხუცებული ანჯელო 1337 წელს გარდაიცვალა. მან მოასწრო თავის ქრონიკაში შეეტანა მოგონებები წმიდა ფრანჩესკოს უკანასკნელ მიმდევრებზე და იმ სასტიკი ბრძოლის დრამატული ეპიზოდები, რომელ-

---

* Biblioth. de l' Écol des Chartes, 1886. M.L. Richard, Jean XXII et les Franciscains. Archiv für Litterat. und Kirch. Gesch. des Mittelalt., T. III, fasc. I. Fr. Ehrle, Zur Vorgeschichte des Concils von Vienna.

** ob. Archiv, t. I. fasc. 4. Ehrle, Die Spirtualen, ihr Verhältniss Zum Franziscanerorden und zu den Fraticellen, t. II, fasc. 2, Hist. Sept. Tnbulat Fel. Tocco, Docum. franciscani, _ Archiv. stor. ital., 1886, Disp. V.

შიაც ის მთელი ნახევარი საუკუნის მანძილზე, იოანე პარმელის დროიდან დანტეს ეპოქამდე, ქედუხრელად იცავდა „წმიდა მოძღვრებას“.

1317 წელს მან თავისი ძმების ორთოდოქსალიზმის დასაცავად ვრცელი ეპისტოლე გაუგზავნა პაპ იოანე XXII‘-ს. იმავე დროს და შემდეგაც, სადაც არ უნდა ყოფილიყო, გამუდმებით სწერდა წერილებს მთელს იტალიაში მიმოფანტულ „სპირიტუალებს“, რათა განემტკიცებინა მათი რწმენა და მოციქულებრივი სულისკვეთება. ძნელია გადაჭარბებით შევაფასოთ ამ დოკუმენტის მნიშვნელობა: ისინი „სალმობათა ისტორიაზე“ უფრო ნათლად და მარტივად გადმოგვცემენ ორთოდოქს ფრანციისკანელთა მოძღვრების ინტიმურ არსს იმ სახით, რა სახითაც ის ჩამოყალიბდა უშუალოდ ფრანჩესკოს სიკვდილის შემდეგ და, როგორც სიმბოლო, აღიარებული ათასნაირი სექტისა და XIII საუკუნის ჯოაკინისტთა მიერ, უცვლელად შენარჩუნებულ იქნა იმ კრიზისამდე, „ფრატიჩელების“ გამო რომ იჩინა თავი. „Epistola excausatoria“[6] თვალნათლივ მოწმობს რომის ეკლესიასთან, ამ „ერთადერთ ჭეშმარიტ ეკლესიასთან“ მჭიდრო კავშირს. ის უარყოფს ყველა ბრალდებას, ბონიფაციუს VIII-ის მღვდელთმთავრობისას ერთმანეთზე რომ ახვავებდნენ მისტიკოსების წინააღმდეგ, რომლებიც თითქოს ამტკიცებდნენ, რომ რომის ეკლესიამ ვერ შეინარჩუნა სული წმიდა; რომ მხოლოდ „სპირიტუალებს“ უნდა ჰქონდეთ საიდუმლოთა აღსრულების უფლება, და რომ აღმოსავლური ეკლესია აშკარად ჩრდილავს დასავლურს. „ჩვენ მხოლოდ საბრალო არას მქონენი ვართ, მეუდაბნოე ძმები, განუხრელად რომ ვიცავთ სიღარიბის აღთქმას, რომლითაც სამუდამოდ მოვიზღუდეთ თავი“. თუმცა ძმებთან მიმოწერისას ანჯელოს ტონი გაცილებით ნაკლებ მოკრძალებული ჩანს: „იესო ქრისტე მამათა, მოციქულთა, წინასწარმეტყველთა, მარტვილთა, მოძღვართა და წმიდათა მეშვეობით გველაპარაკებოდა ჩვენ; უკანასკნელად კი სერაფიკული ფრანჩესკოს, ყველა თავისი მოწამის ამ ღირსეული მემკვიდრის პირით მოგვმართა... ნეტარხსე-

ნებული ფრანჩესკო ჯვარცმული ქრისტეს ხატებით ცხოვრობდა ამ ქვეყნად; თავი დაიმცრო და ამიტომაც ქრისტემ განადიდა იგი. მანვე დაადებინა სიღარიბის აღთქმა და ამ მისიის აღსრულება მიანდო, ხოლო პაპმა ინოკენტი III-მ საეკლესიო კრებაზე მთელ ქვეყანას აუწყა, რომ ფრანჩესკომ წმიდა ტახტისადმი მორჩილების ნიშნად ირჩია ცხოვრების ევანგელური წესი და აღთქმა დადო ქრისტეს სადიდებლად ასე ეცხოვრა უკანასკნელ ამოსუნთქვამდე... ვესწრაფოდეთ ზეციერს, გვსურდეს ყოველივე სულიერი, გვძულდეს ის, რაც მიწიერია, ველტოდეთ იმას, რაც წინაა და ვივიწყებდეთ, რაც უკან დაგვრჩა, – აი, როგორია ჩვენი აღთქმა; ქრისტეს მიბაძვა ჩვენი უკვდავების საწინდარია. ამ წესების განუხრელ დაცვას წინ ვერ აღუდგებიან ვერც კანონები და ვერც დეკრეტები; მათ წინაშე უკან უნდა იხევდეს ყოველგვარი ძალაუფლება თუ ძალმორჭმულება... რომელიმე მეფეს ან პაპს რომ ეცადა თავს მოეხვია ჩვენთვის რაღაც ისეთი, რაც უპირისპირდება ამ რწმენას, მის აღსრულებას, ან კიდევ ამ გულმოწყალებას, ჩვენ, უმალ, ღმერთს დავემორჩილებოდით, ვიდრე ადამიანს, ვინც უნდა იყოს იგი... იესო ქრისტემ, ჩვენმა ერთადერთმა მაცხოვარმა, თავისი საკუთარი ცხოვრების მაგალითითა და თავისი ღვთაებრივი ქადაგებებით სულის ხსნისა და სიმართლის გზა გვიჩვენა ყველას: ოჯახის მამებს, რომლებსაც თავიანთი კერძო საკუთრება აქვთ, კლერიკალებსა და კანონიკოსებს, ერთობლივად რომ ფლობენ საერთო საკუთრებას, ქრისტესა და მისი მოციქულების ცხოვრების მიმბაძველებს, რომლებსაც არაფერი არ გააჩნიათ და აღთქმას დებენ, არც არასდროს იქონიონ ან ისურვონ რამე... ეკრძალეთ ყველას, ვინც უკეთურად ცხოვრობს, მხოლოდ თავისი გულისთქმისა თუ ანგარების კარნახით; თავი არიდეთ მათთან ლაპარაკს და ილოცეთ მათთვის. პატივი ეცით არქიეპისკოპოსებსა და სხვა ღვთისმსახურთ; ნუ ეძებთ მათ ცოდვებს, რადგანაც აღთქმა დაგიდევთ, ისე იცხოვროთ, თითქოს სამუდამოდ მკვდრები ხართ მათთვის და

არაფერი გესაქმებათ იმასთან, რასაც ისინი სჩადიან... წესდება ყოველგვარ ავტორიტეტზე უმაღლესია; უმალ მისი მორჩილება გმართებთ, ვიდრე თქვენი წინამძღვრების, გენერლისა თუ მფარველი კარდინალისა... წესდებაში არ არსებობს წესდების საპირისპირო ავტორიტეტი, ისევე, როგორც ეკლესიაში – ეკლესიისა... წესდება საშუალებაა ცრუ პრელატთა ტირანიის წინააღმდეგ საბრძოლველად, რადგანაც არა არის რა მასზე უზენაესი... წმიდა ფრანჩესკოს თავისთავად არაფერი მიუმატებია მისთვის, რადგანაც იესო ქრისტეს კარნახით წერდა". შეუპოვარი ფრანცისკანელი თავის წერილს ამთავრებს საგულისხმო რჩევით იმ კაცის მიმართ, „ვისი ნებაც კეთილია და წმინდა", ვისაც საეკლესიო ხელისუფლებამ აღუკვეთა წმიდა საიდუმლონი და ვინც პაპისაგან მოელის მიტევებას. ანჯელო იმოწმებს მოციქულის სიტყვებს: „ყოველივე ის, რაც რწმენისაგან არ არის, ცოდვაა". რწმენა – დასძენს იგი, – თვით სინიდისის მსჯავრია. რა თქმა უნდა, კარგი იქნებოდა, რომ პაპს მიეტევებინა ამ კაცისათვის, მაგრამ ანჯელოს არა სურს, რომ კაზუისტიკით ზღუდავდნენ სინიდისს და საიდუმლოს სიძნელით აშინებდნენ ამ ცოდვილს. „ჩვენი ცოდვების გამო ყველანი სიკვდილის ჩრდილში ვართ გამომწყვდეულნი. მაშ, ვილოცოთ მონანული გულით, რომ მადლმა წარხოცოს ჩვენი შეცოდების ლაქა. ამ წინასწარი აღსარების წყალობით (confessione previa) ყველანი ვეღირსებით შინაგან შენდობას, გაცილებით უფრო სრულს, ვიდრე ეს ჩვენს მიმტევებლებს წარმოუდგენიათ. ყოველგვარი შიში აღმოიფხვრება ჩვენი გულიდან და რწმენის, ჩვენივე გულის მოწმობისა და ქრისტეს სულის მეოხებით ვიგემებთ სიმშვიდის სიტკბოებას. ვინაიდან, როცა სინანული მოიცავს სულს, ის წაშლის ცოდვების ლაქას და მორჩილებასა და მოწინებას გვინერგავს გულში ეკლესიის მსახურთა და ღვთაებრივ საიდუმლოთა მიმართ".

II

ეს თეორია, რომელიც XIV საუკუნის დამდეგს შეიქმნა, XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან მოყოლებული, უკვე სავსებით შეესაბამებოდა ასიზური ქრისტიანიზმის ევოლუციას. თავიანთი სიღარიბისა და სულიერი ცხოვრების მეოხებით ხელიდან უსხლტებოდნენ ეკლესიას. ვისაც არაფერი არ გააჩნია, ნაწყალობევი ლუკმის გარდა, მოუხელთებელია და ჩიტივით თავისუფალი. ადამიანს, რომელსაც მიზნად დაუსახავს მხოლოდ თავისი საკუთარი ძალისხმევითა და თავისი ცრემლებით მიაღწიოს სულის სიწმინდეს, საერთოდ აღარ სჭირდება მღვდელი, აღარც მის მიერ მიჩენილი საქმე და აღარც მის მიერ თავს მოხვეული სინანული. ხსნა მხოლოდ მორწმუნესა და ღმერთს შორის უშუალო კავშირზეა დამოკიდებული. აშკარაა, რომ რელიგიური საზოგადოება, რომელშიაც თავს იჩენს ესოდენ თავისუფალი თეოლოგია, ეკლესიას აყალიბებს ეკლესიაში, დამოუკიდებელ ქრისტიანობას – ქრისტიანიზმის ნიაღში. მისტიკოსები თავს არიდებდნენ რომს, უწინდელი განდეგილებივით მიელტვოდნენ განმარტოებას და თანდათანობით შორდებოდნენ ქრისტიანთა საერთო ოჯახს. ისინი კვლავ უბრუნდებოდნენ ჯოაკინო დელ ფიორეს ასკეტიზმს და, ამრიგად, ჩრდილს აყენებდნენ წმიდა ფრანჩესკოს ქმნილებას.

ორდენის დამაარსებლის სიკვდილისთანავე მის მიმდევრებს შორის უთანხმოებამ იჩინა თავი: ზოგს წმიდა ტახტის გვერდით ყოფნა ერჩია, ზოგი კი ევანგელურ შთაგონებას ყოველგვარ ჰიერარქიულ დისციპლინაზე მაღლა აყენებდა. პირველი „სპირიტუალები" მკვეთრად დაუპირისპირდნენ წმიდა ფრანჩესკოს მემკვიდრეს ელია კორტონელს, რამდენიმე წლის მანძილზე გასაოცარი ტაქტითა და ენერგიით რომ მართავდა ორდენს*.

---

* პირველი ქრისტიანების აზრი ერთმანეთს არ ემთხვევა იმის თაობაზე, თუ როდის იქნა არჩეული გენერლად, ან რამდენჯერ ეკავა ეს თანამდებობა.

ეს იყო ნამდვილი პოლიტიკოსი, ფრთხილი და წინდახედული კაცი, როცა საჭიროება მოითხოვდა – ცბიერიც და, შესაძლოა, საკმაოდ განათლებულიც. მან დააპირა დესპოტური რეჟიმით შეეცვალა ორდენის პარლამენტარული კონსტიტუცია და გამუდმებით ჩასჩიჩინებდა ძმებს, რომ წესდების განუხრელად დაცვა მხოლოდ „ღმერთთან ახლომყოფსა" და ორდენის დამაარსებელივით უდრეკი ნებისყოფის კაცს თუ შეეძლო. იმავდროულად კი წმიდა ტახტს გარკვეული შეღავათები გამოსთხოვა სიღარიბის აღთქმასთან დაკავშირებით და იმის ნებართვაც მიიღო, რომ per interpositas personas[7] აეღოთ ფული. ეს უკვე წესდების დარღვევას ნიშნავდა, რამდენადაც ორდენს საერთო მიწიერი ინტერესებით აახლოებდა ეკლესიასთან. მაშინ ყველა, „ვისაც ჯერ კიდევ შეენარჩუნებინა წმიდა ფრანჩესკოს შთაგონება", ფარულად გაერთიანდა „ამ კაცის ძლევამოსილებისა და მის მრავალრიცხოვან მომხრეთა შიშით". ელია – ამბობდნენ ისინი, – ნამდვილი პრინციკვით ცხოვრობს, იმ შემოწირულობათა წყალობით, რაც ასიზის ბაზილიკის ასაგებად იყო განკუთვნილი. წმიდა ფრანჩესკოს მემკვიდრეს ცხენებიც ჰყავდა, ლაქიებიც და ყოველდღე მეფურ სუფრას უჯდა, ერთი სიტყვით, ისე ცხოვრობდა, როგორც ნამდვილი ფეოდალური ეპისკოპოსი. გულუბრყვილო ბერნარდო კვინტავალელი, წმიდა ფრანჩესკოს პირველი მოწაფე, ზოგჯერ სადილობისას შეუვლიდა გენერალს, მიუპატიჟებლად მიუჯდებოდა მის სუფრას და იტყოდა: რა იქნება, შენთან ერთად მეც ჩავიტკბარუნო პირი იმ ნუგბარი სასუსნავით, ჩვენს ღარიბ ძმებს რომ უგზავნის მაცხოვარიო. მაგრამ ანტონიო პადუელი[8] გაცილებით უფრო ტრაგიკულად აღიქვამდა ამ ფუფუნებას და ელიას პირდაპირ ადანაშაულებდა იმაში, რომ თავისი პრივილეგიებით დაშლის პირას მიიყვანა ორდენი და ხელი შეუწყო „იმ ევანგელური სისტემის რღვევას, რომელიც, აღთქმისამებრ, განუხრელად უნდა დაეცვათ". ამ პორტუგალიელმა ღვთისმეტყველმა, ენერგიულმა და ქმედითმა კაცმა, ფიცხმა, ჯიუტმა და შეუპოვარმა თა-

მამად რომ უტევდა თვით ფრიდრიხ II-ის ნაცვალს, ეძელინოს, – გარს შემოიკრიბა მხდალი მისტიკოსები და მათთან ერთად ფეხქვეშ ჩაუვარდა გრიგოლ IX-ს; ანტონიოს დრტვინვით შემცბარმა პაპმა მძიმედ ამოიოხრა და ორდენის გენერლის გადაყენება გადაწყვიტა. ელია გასაოცარი სიმშვიდით შეხვდა ამ განაჩენს, ფრიდრიხ II-ს ეახლა, ერთხანს მისი სასახლის კარზე ცხოვრობდა და თავგამოდებით ცდილობდა ერთმანეთისათვის დაეზავებინა პაპი და იმპერატორი. ინოკენტი IV-ის მღვდელთმთავრობისას შეეცადა კვლავ დაებრუნებინა ორდენის გენერლობა, მაგრამ ძმებმა პორტიუნკულის საერთო კრებებზე რამდენიმეჯერ უარყვეს მისი კანდიდატურა, და განრისხებული უკვე აშკარად გადავიდა ომპერატორის მხარეზე, რომელმაც ერთხელ დიპლომატიური მისიით კონსტანტინოპოლსაც კი წარგზავნა იგი. ფრიდრიხ II-ის სიკვდილის შემდეგ თავის მშობლიურ კორტონაში დაბრუნდა. ფული ბლომად ჰქონდა და იქ დიდი ფრანცისკანული ეკლესია ააგო. ეკლესიისაგან განკვეთილს ჩიტივით თავისუფლად და ბედნიერად მიაჩნდა თავი, არც ეპისკოპოსს ემორჩილებოდა, არც პაპს და უკანასკნელ ამოსუნთქვამდე არც სულის ხსნაზე ფიქრით აუტკიებია თავი. მხოლოდ სასიკვდილო სარეცელზე მწოლარე „წმიდა ფრანჩესკოს სახელით" შეურიგდა პაპსა და მამაზეციერს.

მისი მეტოქე, ანტონიო პადუელი ოცი წლით უფრო ადრე გარდაიცვალა. ნაცვლად იმისა, რომ ურთიერთშულლით ორდენი დოგმატურ კრიზისამდე მიეყვანათ, რასაც ძალზე მძიმე შედეგი მოჰყვა, წმიდა ფრანჩესკოს ეს ორი მემკვიდრე მხარში რომ ამოსდგომოდა ერთმანეთს და თავიანთი ნება, ნიჭი და უნარი ერთი და იმავე მიზნისაკენ მიემართა, ფრანცისკანელთა ორდენის, ისევე, როგორც იტალიისა და მთელი დასავლეთის რელიგიური ისტორია სულ სხვანაირი იქნებოდა. ელიას განდგომილებამ დიდი არეულ-დარეულობა გამოიწვია ეკლესიაში; ანტონიო პადუელი კი წმიდანად იქნა შერაცხილი. მიუხედავად ამისა, რომის ეკლესია სულ მალე სწორედ ელიას პარტიასთან

უფრო ადვილად გამონახავს საერთო ენას. ამქვეყნიურ ინტერესებზე ზრუნვით დაღლილი „კონვენტუალები" იძულებულნი იყვნენ კვლავ შეერთებოდნენ წმიდა ტახტს, რომელიც ამის სანაცვლოდ ბულებს არ იშურებდა მათთვის, გარკვეულწილად რომ არბილებდნენ პირველი წესდების სიმკაცრეს.

წმიდა ანტონიომ, რომელიც 1231 წელს გარდაიცვალა, მოასწრო თავისი ძმებისათვის ჩაენერგა „სპირიტუალთა" სულისკვეთება და თითქმის ცრუმორწმუნეობრივი მონება არა მარტო წესდების სულის, თვით მისი ასოს მიმართაც. ამ გულმხურვალე ფრანცისკანელის ქადაგებებიდან ნათლად ჩანს, რა დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა იგი ნებისმიერ წმინდა ტექსტს. მისი სიტყვები სავსეა საღმრთო წერილიდან მოტანილი ციტატებით, რომლებსაც ის სახელდახელოდ განმარტავს. თვით ძველი აღთქმის სიმბოლურ ფიგურებსაც კი პედანტურად იყენებს თავისი მოსაზრებების განსამტკიცებლად: კოიმბრის[9] ავგუსტინელი სწავლულებისაგან გადმოიღო ქადაგების ეს პირწმინდად სქოლასტიკური მანერა. რაკიღა დადებულ იქნა სიღარიბის აღთქმა, თუნდაც მხოლოდ იმიტომ, რომ ამას ბრძანებდა წესდების კანონიკური ტექსტი, მას უკვე შეუძლებლად მიაჩნდა, ოდნავ მაინც შეემსუბუქებინა იგი ზომიერებისა თუ გულმოწყალების სულისკვეთებით, რაც შეადგენდა ფრანცისკანიზმის ჭეშმარიტ არსს და თვით წმიდა ფრანჩესკოს სულიერი ბუნების ერთ-ერთ უმთავრეს ნიშანს. წმიდა ანტონიომ „ობსერვანტთა" ორიგინალური ტრადიციაც უანდერძა თავის მიმდევრებს: უნდობლობა თეთრი სამღვდელოების, პრელატებისა და ეპისკოპოსების მიმართ, რაც ზოგჯერ აშკარა ზიზღშიაც კი გადადიოდა. ის არანაკლებ ვნებასა და მრისხანებას აქსოვდა ეკლესიის წინააღმდეგ მიმართულ ქადაგებებში, ვიდრე სავონაროლა, ეკლესიისა, რომელსაც ბრალად სდებდა მის სიმდიდრეს და ძლიერებას, მის გრძნობელობას და უზნეობას, რისთვისაც საღმრთო წერილიდან ისეთსავე მკაფიო მაგალითებს იშველიებდა, როგორც სახელგანთქმული ფლორენციელი

განდეგილი 1493 წელს. Circumdederunt me vituli multi: tauri pingues obsederunt me[10]. მან შეურაცხმყოფელი სიტყვებითაც კი გაამძაფრა ეს ტექსტი, რომელსაც, მისი მაგალითისამებრ, ამოს წინასწარმეტყველს ესესხება სავონაროლა: Audite verbum, vaccae pingues[11]. აქედან ის ქმნის თავისი ტრივიალურობით პირწმინდად ხალხურ სურათს, რომლის წარდგენასაც თვით სავონაროლაც კი ვერ ბედავს ლორენცო დიდებულის დროინდელ ფლორენციელთა წინაშე: „ხბოს ხორცი ბუხრის კვამლში იბოლება და უცდის, როდის შეექცევიან შაშხად ქცეულს. ასე ჩაჰკიდებენ ეშმაკებიც ჯოჯოხეთის ალში უკეთურ პრელატთა ხორცსაც, ხოლო მათ უფრო უარესი სატანჯველი წარმოუდგებათ თვალწინ: მოთუხთუხე ქვაბები, ანუ როგორც ბრძანებს საღმრთო წერილი, გეენის ცეცხლი, ადგილი წყევლის, ტანჯვა-წამებისა და ენით უთქმელი მწუხარებისა". წმიდა ანტონიო, ვისთვისაც სრულიად უცხო იყო წმიდა ფრანჩესკოს გულმოწყალებაც და მისი სინაზეც, გამუდმებით უბრუნდებოდა ამ გესლიან სატირას და მონაზვნებიც კიდევ დიდხანს იმეორებდნენ იმავე ინვექტივებს. ამ პორტუგალიელმა მთელი იტალიის გასაგონად გამოაცხადა დასკვნა, რომლისთვისაც უკვე მოამზადა თავისი მსმენელები, რომ ხარბი და გარყვნილი სამღვდელოების ღვთისმსახურება ფუჭია და ამაო, სულისთვის ურგები და ღმერთის უღირსი, რომელიც ყურად არ იღებს მას. „ამ ჩვენს ქონმოჭარბებულ კანონიკოსებს ჰგონიათ, რომ პირნათლად მოიხდიან საღმრთო ვალს, თუკი ხმაშენყობით იტყვიან „ალილუიას" ან თავის ადგილას აუწევენ ხმას. შემდეგ კი შინისაკენ ეშურებიან, რათა განცხრომას მიეცენ ან გემრიელად ივახშმონ თავიანთ მასხრებსა და ოინბაზებთან ერთად". ანტონიოს ლოგიკა ძალზე მკაცრია საიმისოდ, რომ სათანადო დასკვნები არ გამოიტანოს თავისი ძირითადი აზრიდან, მთელი მათი უჩვეულობისა და უკიდურესობის მიუხედავად: ჭეშმარიტმა რელიგიამ დიდი ხანია მიატოვა კლერიკალების, პრელატების, მოძღვართა ეკლესია და საეროთა შორის ჰპოვა თავშესაფარი. „კარ-

მელს[12] უდაბნოს ნარ-ეკალი აშთობს; კლერიკალთა რწმენა უნაყოფოა და მხოლოდ საეროთა რწმენაა ცოცხალი და ნაყოფიერი"*.

ამრიგად, ერთის მხრივ, დასრულდა ზომიერ და ფანატიკურად მკაცრ ფრანცისკანელთა განხეთქილება, მეორეს მხრივ კი ასეთივე განხეთქილება იყო მოსალოდნელი მისტიკოსებსა და სეკულარულ ეკლესიას შორის. ფრანცისკანელი მემატიანენი ერთმანეთს არ ეთანხმებიან იმაში, თუ რა ერქვათ ორდენის პირველ გენერლებს, ან რანაირი თანმიმდევრობით ცვლიდნენ ერთმანეთს, მაგრამ მათ თხზულებებში სავსებით ნათლად ვამჩნევთ, როგორ ითიშებოდა ორდენი ორ ურთიერთშეურიგებელ ბანაკად, ერთმანეთისაგან რომ განსხვავდებოდნენ არა მარტო თეოლოგიითა და დისციპლინით, არამედ ჩაცმულობითაც. ფრა კრესცენციუსი, კანონისტი და ექიმი, Historia Tribulationum[13]-ის მიხედვით, ორდენის გენერალი 1244-1248 წლებში, თავისი წინამორბედის ელია კორტონელის კვალს მიჰყვებოდა: ისეთივე ვერცხლისმოყვარე, მეცნიერების ისეთივე ტრფიალი და უდაბნოში მიმოფანტული პატარა მონასტრების მოძულე, რომლებსაც ვეება სავანეებით ცვლიდა. მისი თანამოაზრე მონაზვნები თავგამოდებით ცდილობდნენ, რომ ხალხს მონასტრებისათვის ეანდერძებინა თავისი ავლადიდება, სასამართლოებში უჩიოდნენ თავიანთ მოვალეებს, დიალექტიკის ხელოვნებაში იწაფავდნენ თავს და „არისტოტელეს ფუჭი ცნობისნადილის" გულისთვის უგულებელყოფდნენ საღმრთო წერილსა და ლოცვებს. კრესცენციუსს გაიძვერა მოძღვრები ეხვივნენ გარს, როგორც მაგალითად, მისი იურისკონსულტი ფრა ბონადიესი, „რომელიც ისე ეწაფებოდა ცბიერებასა და სიცრუეს, როგორც წყაროს წყალს"; ის ავისმოსურნე თვალით უყურებდა „სპირიტუალთა" სექტის განუხრელ ზრდას, „რომელთათვისაც უცხო იყო ევანგელური სული, ზიზღით უყურებდნენ ორდენის წეს-

* Opera, Migne, Patrol., t. VI, p. 1206.

დებას, ყველაზე მაღლა აყენებდნენ თავიანთ თავს, როგორც მოეპრიანებოდათ, ისე ცხოვრობდნენ, ყველაფერს გონებას უკავშირებდნენ და, ასე განსაჯეთ, უფრო მოკლე მოსასხამებსაც კი ატარებდნენ, ვიდრე მართებდათ (mantelos curtes uque ad nates[14])*". მალე კრესცენციუსმა პაპის წინაშე დაასმინა „სპირიტუალები", „რომლებიც საეროთა თვალში წმიდანებად ჩანან, თუმცა სინამდვილეში ცრუმორწმუნენი არიან, ქედმაღალნი, ურჩნი, შფოთისთავნი და სახიფათო სიახლეთა დამნერგავნი". ინოკენტი IV, რომელიც სწორედ მაშინ იწყებდა თავის დიდ ბრძოლას ფრიდრიხ II-ის წინააღმდეგ, გადაჭრით მოითხოვდა, რომ მთელი ეკლესია მის სამწყემსთმთავრო კვერთხს დამორჩილებოდა. ამიტომაც დისიდენტების დევნის უფლება მისცა კრესცენციუსს, რათა გამოესწორებინა ისინი და, ამრიგად, „ძირფესვიანად აღმოეფხვრა ორდენში განხეთქილებისა და სკანდალის ყოველგვარი საბაბი". გენერალმაც „ლეოპარდის სიმარდით და ცბიერებით" დაუგო მახე „კეთილმორწმუნე, გულუბრყვილო, ჭეშმარიტებისა და გულმოწყალების საქმეში უდრეკ ძმებს", რომში რომ აპირებდნენ წასვლას. გზად მიმავალნი შეაჩერა, ძალზე უხეშად მოექცა მათ და წყვილ-წყვილად წარგზავნა ფრანცისკანელთა ყველაზე შორეული პროვინციების გამგებლებთან; თან ცილისმწამებლური წერილები გაატანა, რომლებშიაც საშიშ მწვალებლებს უწოდებდა მათ. „მაგრამ ღმერთმა ინება, – წერს ანჯელო კლარენო, – რომ მათი სათნოება სინათლესა და სურნელებასავით გავრცელებულიყო იმ ძმებს შორის, რომლებსაც ნაბრძანები ჰქონდათ მათი დასჯა, და რომლებიც ენით უთქმელი სიხარულით უსმენდნენ მათ ანგელოზურ საუბარს". უფალმა მართლაც წყალობის თვალით გადმოხედა „სპირიტუალებს" და 1247 თუ 1248 წელს ორდენის გენერლად არჩეულ იქნა „თავისი სიბრძნითა და სიწმინდით სახელგანთქმული" იოანე პარმელი, რომელმაც თავისი მოღ-

* Chron., XXIV, Min. Gener., ap. Ehrle, Archiv, t. II, p. 256.

ვაწეობა იმით დაიწყო, რომ უკანვე დააბრუნა ყველა განდევნილი. ასიზელ ძმათა ოჯახი ცას ეწია სიხარულით. წმიდა ფრანჩესკოს ძველი მეგობრების, პირველი ფრანცისკანული ეკლესიის უკანასკნელი მოციქულების – „ეჯიდიოს, მასეოს, ანჯელოსა და ლეოს სახარულს საზღვარი აღარ ჰქონდა, რადგანაც ეჩვენებოდათ, რომ იოანე პარმელში აღდგა თვით წმიდა ფრანჩესკოს სული". პროფეტული სულით ნათელფენილმა ეჯიდიომ ამ სიტყვებით მიმართა მას: „კეთილი და პატიოსანი; კურთხეულ იყოს შენი მოსვლა, მაგრამ გვიან კი მოხვედი"*.

III

იმ წლებს, როცა ასიზურ ორდენს სათავეში ედგა პარმელი იოანე ბორელი, ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს შუა საუკუნეების რელიგიის ისტორიისთვის. ახლად არჩეული გენერლის ირგვლივ თავი მოიყარა ოპოზიციის ყველა მცდელობამ, „სპირიტუალთა" მთელმა სიმწარემ და ჯერ კიდევ ბუნდოვანმა ზრახვებმა. ჯოაკინურმა იდეებმა, ნახევარი საუკუნის განმავლობაში რომ ასაზრდოებდნენ იტალიურ ქრისტიანობას, მოულოდნელად სრულიად უჩვეულო განვითარება ჰპოვეს და რამდენიმე მკაფიოდ განსაზღვრული დებულების სახით ჩამოყალიბდნენ, რომლებსაც დაუყოვნებლივ დაუჭირეს მხარი მისტიკოსებმა. ჯერ კიდევ 1240 წელს ფრა აიმონი, წარმომავლობით ინგლისელი, კრესცენციუსის წინამორბედი, ესაიას კომენტარების მეშვეობით კვლავ მიუბრუნდა კალაბრიელი განდეგილის პროფეტულ მეთოდს. იოანე პარმელი მისი არჩევისთანავე უწმინდესი ფრანცისკანული იდეალის განსახიერებად წარმოუდგა ძმობას. ის მოქმედებდა „კონვენტუალთა" და „ზომიერთა" წინააღმდეგ როგორც ნამდვილი რეფორმატორი და გამუდმებით დადიოდა მონასტრიდან მონასტერში, რათა 1209 წლის წესდება აღედგინა იქ. წმიდა ფრანჩესკოს თაყვანისცემამ, ძველებური

* Bene et opportune venisti, sed venisti tarde. Archiv, t. II, p. 259-263.

გულმხურვალებით რომ იჩინა თავი, სულ ადვილად მიაქცია ეს ეგზალტირებული ხალხი ჯოაკინო დელ ფიორეს მიმართ. თუმცა, განა ეს უკანასკნელი უმბრიელი მესიის წინამორბედი არ იყო? განა ამ „ჯვალოთი მოსილმა კაცმა" არ იწინასწარმეტყველა „ცოცხალი ღმერთის ნიშნით აღბეჭდილი ანგელოზის" მოვლინება? და ბოლოს, განა უკანასკნელი რელიგიური ეპოქის სრულქმნილი ძმები, რომლებიც კონტემპლაციითა და სიყვარულით ისულდგმულებდნენ, ასიზის შვილები არ იყვნენ, ყოველგვარი მიწიერი საზრუნავისგან ევანგელური სიღარიბით თავდახსნილნი და სული წმიდას ენით უთქმელი ურთიერთობის წყალობით ზიარებულნი? მაგრამ, ამასთანავე, ივიწყებდნენ, რომ წმიდა ფრანჩესკო ყოველნაირად ეწინააღმდეგებოდა ამ მონაზვნურ ეგოიზმს, რომელსაც ჯოაკინო სიწმინდის აუცილებელ პირობად სახავდა, და რომ კაცთა სიღარიბის შესამსუბუქებლად ხელგარჯილობასა და გაჭირვებულებზე მუდმივ ზრუნვას ავალებდა თავის მინორიტებს. ივიწყებდნენ, რომ ორდენის დამაარსებელი ყოველთვის რჩებოდა ეკლესიის ყველაზე ქედმოდრეკილ და მოკრძალებულ ძედ. თავიანთი რელიგიური გამომგონებლობით აღგზნებული „სპირიტუალები" XIII საუკუნის შუა ნლებში ისე უყურებდნენ თავიანთ თავს, როგორც საბოლოო ეკლესიას, გაცილებით უფრო სრულქმნილს, ვიდრე უწინდელი ეკლესია იყო, და აბატ ჯოაკინოს თხზულებებში, რომლებსაც ისე ნაუცბათევად და სახელდახელოდ განმარტავდნენ, რომ ლამის მწვალებლად აქციეს მათი ავტორი, – გაფაციცებით დაეძებდნენ მინიშნებას იმ დიად დღეზე, როცა სიტყვა-ღმერთის კანონი სული წმიდის კანონით უნდა შეცვლილიყო. თუმცა თვით ჯოაკინომ, რომელმაც სიცოცხლის უკანასკნელი წლები იმ მომენტის გამოთვლას შესწირა, როცა „სპირიტუალებს" (spirituales viri), ანუ სრულქმნილ განდეგილებს უნდა ეხსნათ დამხობილი ეკლესია და ქრისტიანობა, – ეს თარიღი 1260 ნლით განსაზღვრა. ამ ღირშესანიშნავი ეპოქის ერთ-ერთი ყველაზე საოცარი მოწმე, ფრა სალიმბენე გულწრფელად

მოელოდა ჯოაკინოს მიერ ნაწინასწარმეტყველებ წელს, რომლის დადგომასაც თითქოს თვალნათლივ მოწმობდა იმპერატორ ფრიდრიხ II-ის სიკვდილი, ვინც ნამდვილ აპოკალიპსურ ურჩხულად მიაჩნდათ თანამედროვეებს, და ვისი მოვლინებაც, „მეათასე წლის" ძველი თეორიის თანახმად, იმის წინასწარ მაუწყებელი უნდა ყოფილიყო, რომ ახლოვდებოდა წმიდათა სხივოსანი ეკლესიის სუფევა. სალიმბენემ, რომელსაც თავზარს სცემდა ეს მოსალოდნელი კრიზისი, თუმცა თავი მოჰქონდა იმით, რომ ჯოაკინელთა წრეს ეკუთვნოდა, 1260 წლის უკანასკნელ დღეს შვებით ამოისუნთქა: „მე საბოლოოდ ვაქციე ზურგი ამ მოძღვრებას და გადავწყვიტე ამიერიდან აღარაფერს ვენდო, გარდა იმისა, რასაც ჩემი საკუთარი თვალით ვიხილავ",– წერს იგი თავის „ქრონიკაში".

ეს გრანდიოზული რელიგიური მოძრაობა, ფრანცისკანელთა ეს მდუღარება გარკვეულწილად იოანე პარმელის მოღვაწეობის შედეგიც იყო. ფრა სალიმბენეს თანამოსაუბრე „ქრონიკის" იმავე გვერდზე ამბობს: „ფრა იოანე პარმელმა თავდაპირველად თავისი თავიც შეაცბუნა და მთელი ორდენიც; მისი ცხოვრება ისე წმინდა იყო, თვითონ კი – ისე ღრმად განსწავლული, რომ შეეძლო რომის მთელი კურია[15] გამოესწორებინა. მაგრამ ნახევრად შეშლილთა წინასწარმეტყველურ ბოდვას აჰყვა, რის შედეგადაც დიდად ავნო თავის თავსაც და თავის მეგობრებსაც... შენი წინდახედულებისათვის რომ მიებაძა, უთუოდ დააცხრობდა თავისი ძმების მბორგავ სულს". მაგრამ, ჩვენი აზრით, შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, თითქოს იოანე პარმელი სექტანტი იყო, მწვალებლობანას რომ თამაშობდა, ან მოახლოებულ საეკლესიო გადატრიალებაზე მეოცნებე ვიზიონერი. სალიმბენეს მიერ გაკვრით მოხაზული მისი პორტრეტი, ზედმიწევნით რომ ეთანხმება მის დახასიათებას, გადმოცემულს „Historia Tribulationum"-ში, თვალწინ წარმოგვიდგენს ქედმოდრეკილსა და თვინიერ მისტიკოსს, „ანგელოზის სახით, მომღიმარესა და პირმცინარს", ჭირთამთმენს, მოკრძალებულს და გულ-

მონყალეს. Consolabatur moestos, corripiebat inquietos, suscipiebat infirmos, fovebat debiles, simplices fomiliariter et laete erudiebat[16]. უებრო მჭევრმეტყველი იყო უფლის სიტყვის ქადაგებისას და გულისშემძვრელად ღვთისმოსავი წმიდა საიდუმლოთა აღსრულებისას. თუმცა საერთოდ სიტყვაძუნწი გახლდათ. ეკლესიაში ვერასოდეს ნახავდით დამჯდარს ან კედელს მიყრდნობილს, არამედ ყოველთვის გამართული იდგა. საშუალო ტანისა იყო, მხნე და ფეხმარდი. ხანდაზმული მონაზვნები იტყოდნენ ხოლმე, ზედგამოჭრილი წმიდა ფრანჩესკოაო. მისი ჯოაკინიზმი, როგორც ჩანს, კალაბრიელი აბატის ზომიერ წინასწარჭვრეტას არ გასცილებია. მაგრამ ესეც კი სავსებით საკმარისი იყო „სპირიტუალთა" ფანტაზიის გასამძაფრებლად, რომელსაც უკვე ვეღარ აკმაყოფილებდა თვით ჯოაკინოს თხზულებები. ისინი ეძებდნენ უფრო ზუსტ წინასწარმეტყველებებს და კიდევაც პოულობდნენ მათ ერემიას, ეზეკიელის, მერლინის[17], ერითრიელი სიბილასა[18] თუ იმპერატორ ფრიდრიხ II-ისა და წმიდა ტახტის წინააღმდეგ მიმართულ თავზარდამცემ თხზულებათა კომენტარებში. ეს ფსევდოჯოაკინისტური ლიტერატურა ძმობის მთელ თავისუფალ დროს ნთქამდა. როცა საჭიროება მოითხოვდა, ისინი ცდილობდნენ ბიბლიის ტექსტში ამოეკითხათ სათანადო ცნობები ანტიქრისტეს შესახებ, რომელიც უკვე „იშვა და იზარდა", ან გამოცხადებანი იმის თაობაზე, თუ რა ბედი ელოდათ ევროპის მბრძანებლებს. ზაფხულის პაპანაქება სიცხეში სალიმბენე და ჯერარდო დი სან დონინო, ბიბლიით ხელში, არაერთხელ სწვევიან მოდენის სამონასტრო ბაღს, რათა თალარის ჩრდილქვეშ, ამ სახიფათო თემებზე საუბრით ეჯერათ გული.

ეს ზმანებები ვერ ამღვრევდნენ იოანე პარმელის კეთილშობილ სულს. მას არაფერი არ სურდა, გარდა იმისა, რომ ძმობას გარკვეული სრულქმნილებისათვის მიეღწია სპირიტუალიზმში, სიღარიბის აღთქმის აღსრულებაში, კონტემპლაციასა და სიყვარულში. ისევე სათუთად ინახავდა სერაფიკული მამის ხსოვნას, როგორც იოანე

ნათლისმცემელი ეპყრობოდა ქრისტეს. მან დაწერა წიგნი „De sacro commercio sancti Francisci cum Domina Paupertate"[19]. მის ირგვლივ იქმნებოდნენ და მთელ ქვეყანაში ვრცელდებოდნენ ლეგენდები წმიდა ფრანჩესკოს შესახებ, რომლებიც სულ უფრო და უფრო სასწაულებრივნი ხდებოდნენ. Tres Socii[20] ახალ-ახალი სამკაულებით ამკობდნენ წმიდანის პირველ ბიოგრაფიას, დაწერილს ტომაზო ჩელანოს მიერ. ასე ეყრებოდა საფუძველი მესიანურ თეორიას ასიზელი სასწაულთმოქმედის შესახებ, თეორიას, რომელიც ბარტოლომეო პიზელის „Liber Conformitatum"[21]-ში უნდა დასრულებულიყო. მაგრამ დაუოკებელი სწრაფვა, თვით ფრანჩესკოზე უფრო შორს რომ მიჰყავდა ფრანცისკანელები, იოანე პარმელის სიბრძნეზე უფრო ძლიერი აღმოჩნდა. ჯოაკინისტები, ხელიდან რომ უსხლტებოდნენ ორდენის დისციპლინას, გენერლის უშუალო მეთვალყურეობისაგან მოშორებით, უჩვეულოდ მრავლდებოდნენ იტალიასა და საფრანგეთში. პროვენსისა და ჰიერეს მონასტრებში ყალიბდებოდნენ ამ სექტის ყველაზე თამამი წინასწარმეტყველებანი. როგორც ჩანს, საფრანგეთში ჯოაკინიზმის აღიარებული ლიდერი იყო ჰუგო დინიელი, სალიმბენეს სიტყვებით, „მსოფლიოს ერთ-ერთი უდიდესი კლერიკოსი" და იოანე პარმელის მეგობარი; ხალხის საყვარელი მოქადაგე, კამათში ფიცხი და დაუნდობელი, paratus ad omnia[22], სამოთხისა და ჯოჯოხეთის უებრო აღმწერი, ორიგინალური მისტიკოსი, spiritualis homo ultra modum[23], პავლესა თუ ელისეს დარი. მისი ქადაგებისას ხალხი ისე ირხეოდა, „როგორც ლერწამი წყალში". ჰუგოს თვით წმიდა ლუის წინაშე უქადაგია. მას ჰქონდა კალაბრიელი აბატის ყველა თხზულება. ის წინასწარმეტყველებდა თავის ჰიერულ სენაკში. მის სუფრასთან მხოლოდ ჯოაკინელთა სასოებაზე ლაპარაკობდნენ. მაგრამ ამ აშკარა ჯოაკინიზმის გვერდით, რომელსაც გასაქანს არ აძლევდა საეპისკოპოსოს ინკვიზიციის სიახლოვე, მოქადაგეთა არაკეთილმოსურნე ცნობისმოყვარეობა და საერო ხელისუფალთა უნდობლობა, შეიძლებოდა შეგემჩნიათ

პატარა მონასტრების სიმყუდროვეში მიყუჟული ოკულტური მოძღვრების საიდუმლონი და ფარული საზოგადოების ყრუ დრტვინვა. დაახლოებით 1240 წელს სალიმბენეს თავისი თვალით უნახავს ფიორეს სააბატოს მოხუცი ნინამძღვარი, vetulus et sanctus homo[24], პიზის ფრანცისკანულ მონასტერში მალულად რომ გადაჰქონდა ჯოაკინელთა წიგნები, ალბათ, იმ მიზნით, რომ ფრიდრიხ II-ის დევნისაგან ეხსნა ისინი. მაგრამ განა მაშინდელი ჯოაკინისტები უფრო მეტად პაპსა და მის თეოლოგებს არ უფრთხოდნენ? კალაბრიელი განდეგილის აპოკრიფული პროფეტული ტრაქტატები ხელიდან ხელში გადადიოდა. მათ მალავდნენ იმ სენაკებში, რომლებიც ხელისუფლებას ნაკლებად საეჭვო ეჩვენებოდა, in angulis et nostris[25], როგორც ნათქვამია არლის საეკლესიო კრების ოქმებში. პროვენსსა და ჰიერეში ჩურჩულით თათბირობდნენ. ამ თათბირებში საერო ტერციარიუსებიც ღებულობდნენ მონაწილეობას. ჰუგო ღირსეულის სენაკში დიდი დღესასწაულებისას შეიძლებოდა გენახათ ნოტარიუსები, მოსამართლენი, ექიმები და სწავლულები, პროვანსელი წინასწარმეტყველის ხელმძღვანელობით რომ ცდილობდნენ ჩასწვდომოდნენ საღმრთო წერილის სიბრძნეს. მაგრამ, ცოტა არ იყოს, სინიდისი კი ჰქენჯნიდათ, რადგანაც გრძნობდნენ, რომ არღვევდნენ რწმენის ძველი სიმბოლოს ხელშეუხებლობას და ზურგს აქცევდნენ ძველ ეკლესიას, რომლის ნაცვლადაც ახალ რელიგიას ქმნიდნენ, აკრძალული ხილვით რომ იზიდავდა მათ. მეორეს მხრივ, თავიანთი საუკუნოვანი სარწმუნოების ერთგული მდაბიორნი შიშითა და ძრწოლით უყურებდნენ ჯოაკინელებს. დაახლოებით 1250 წელს სიცილიაში მამის, ძისა და წმიდა მათეს სახელით იწერდნენ პირჯვარს (Signumi in Patre et in Filio et in Santo Matteo)[26], რათა არც სული წმიდა ეხსენებინათ და არც იოანეს სახარება, – ვკითხულობთ ჩულიო დ'ალკამოს „Contrasto"-ში.

მისტიურმა ეგზალტაციამ სწრაფად მოიცვა საზოგადოების ყველა ფენა. 1260 წელს „ფლაგელანტების"[27]

ნამდვილმა ეპიდემიამ იჩინა თავი, მაგრამ ჯერ კიდევ 1248 წელს მთელი პროვანსი და გენუის მხარე მონანული კაცებითა და ქალებით იყო სავსე, საკუთარ ჭერქვეშ დაუნდობელი თვითგვემით რომ ცდილობდნენ ხორცის მოკვდინებას. ერთმა არაჩვეულებრივმა ქალმა, წმიდა დუსელინამ, ჰუგო დინიელის დამ, მთელი სამხრეთ საფრანგეთი შესძრა. „ის არასოდეს აღკვეცილა მონაზვნად, – ამბობს ფრა სალიმბენე, – მაგრამ ამ ქვეყნად ყოველთვის წმინდად და უმანკოდ ცხოვრობდა". წმიდა ფრანჩესკოს თოკი ჰქონდა შებმული და ოთხმოცი მარსელელი ქალის თანხლებით მთელ პროვანსს გარშემო უვლიდა. მას პატარა ბავშვების განკურნებისა და თვით მკვდრეთით აღდგენის ნიჭსაც კი მიაწერდნენ. ფრანცისკანელთა ყველა მონასტერში შედიოდა და ცის მიმართ ხელაპყრობილი ექსტაზში ვარდებოდა; ასე გარინდებული იდგა ცისკრის წირვიდან მწუხრის წირვამდე. „მთელის არსებით ღმერთში დანთქმულმა – წერს მისი ბიოგრაფი, – თავისი ძმის, წმიდა მამის – ჰუგო დინიელის წინაშე დადო აღთქმა, მთელი სიწმინდით დაეცვა იესო ქრისტეს წმიდა სიღარიბე, როგორც დაიცვა ის წმიდა ფრანჩესკომ თავის მონაფეებთან ერთად"*. მან დაარსა „ბეგინების"[28] საზოგადოება. „არა მარტო ქალიშვილები და ქვრივები, არამედ ქმარშვილიანი ქალებიც ტოვებდნენ ოჯახებს და მისკენ მიეშურებოდნენ". საკმარისო იყო ღმერთზე, ღვთისმშობელსა თუ წმიდა ფრანჩესკოზე ჩამოვარდნილიყო სიტყვა, რომ მაშინვე ექსტაზი იპყრობდა; „ამ დროს ისეთი ზეადამიანური განცდა ეუფლებოდა, რომ ვეღარაფერს ვეღარ გრძნობდა თავის გარშემო... შეეძლო საათობით მდგარიყო თითის წვერებზე, ისე, რომ არაფერს დაყრდნობოდა, თითქოს ჰაერში ჰკიდიაო... ერთხელ, ფრანცისკანულ ეკლესიაში ყოფნისას, ჩვეულებრივ, ექსტაზმა შეიპყრო. ვიღაცა მიუახლოვდა და, ექსტაზის ჭეშმარიტებაში დაეჭვე-

* La Vie de sainte Douceline, texte et traduction par l'abbé Aubanès, Marseille, 1879.

ბულმა, სადგისი შეურჭო. წმიდა დედა არ შერხეულა და არც არაფერი უგრძვნია, მაგრამ როცა კვლავ გონს მოეგო, საშინლად იტანჯებოდა ტკივილისაგან. შარლ ანჟუელმა პირველად რომ დაინახა ექსტაზში დანთქმული, გადაწყვიტა გამოეცადა: ბრძანა, ტყვია გაედნოთ და მისი თანდასწრებით შიშველ ფეხებზე დაესხათ; წმიდანმა ვერაფერიც ვერ იგრძნო. მეფე ისეთი სიმპათიით განიმსჭვალა მისდამი, რომ შვილი მოანათვლინა". „ყოველგვარ ჩქამს, სიმღერის ხმას და თვით ჩიტის გალობასაც კი შეიძლებოდა ექსტაზში ჩაეგდო. ერთ მშვენიერ დღეს ეული ბეღურას ჭიკჭიკი ჩაესმა ყურში და თავის თანამგზავრებს უთხრა: „გესმით რა საწყალობლად გალობს?" და მყისვე ექსტაზმა შეიპყრო, ღვთის მიმართ მიქცეული ამ პატარა ჩიტის ჭიკჭიკით".

შარლ ანჟუელი[29], რომელსაც, ცოტა არ იყოს, ეშინოდა მისი, ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებისას ეთათბირებოდა წმიდანს. როცა ექსტაზში იყო დანთქმული, მის სიტყვებს ისეთი მოწინებით კრებდნენ, როგორც ღვთაებრივ გამოცხადებას. ერთხელ, წმიდა პარასკევს, ჯვრის აღმართვისას, ქვითინი აუვარდა და აკივლდა: „ო, მაცთურო და ცრუო სოფელო, რა საშინელი სასჯელი გელის! მოდით, მოდით ამ კიდობანში შემოდით ყველა, რადგანაც ვინც გარეთაა, ვერსად წაუვა სიკვდილს... ნუთუ არ გესმით მესაჭის ხმა? ის გვეძახის: შემოდით ამ კიდობანში, თუ წერას არ აუტანიხართ! ვაი ჩვენს დღეს და მოსწრებას! ესენი არიან ქრისტეს სისხლით მოთხვრილი სულნი!" ერთ შეშფოთებულ დას ასე მიუგო: „ჭეშმარიტად გეუბნებით თქვენ: წმიდა ფრანჩესკოს ფრთებქვეშ ყველანი ცხონდებით!" ერთ ღამეს დაინახეს, როგორ დადიოდა მონასტრის დორტუარში, „თითქოს პროცესიას მიჰყვებაო". გულისშემძვრელად მღეროდა და ასე ამბობდა ხოლმე: „ახალი იესო! ახალი იესო!" ზოგჯერაც წამოიწყებდა: „ახალი იერუსალიმი! ახალი წმიდა ქალაქი!" საბრალო „ბეგინებს" ვერაფერი გაეგოთ... ჯოაკინო დელ ფიორეს დიადმა ზმანებამ, იდეალური

რწმენისა და უწმიდესი სამოთხის ხილვამ წამით გაიელვა წინასწარმწეტყველის სულში.

IV

შუა საუკუნეები იმდენად მოხიბლულნი იყვნენ დოგმატიკითა და ნაწერი ტექსტის ავტორიტეტით, რომ შეუძლებელია ჯოაკინისტებისათვის დიდხანს მიეტევებინათ ბუნდოვანი და ფარული მოძღვრება. ახალ რელიგიას ახალი მოძღვრება სჭირდებოდა. ჯოაკინომ იწინასწარმეტყველა „მარადიული სახარება", მაგრამ არცერთი მისი ქმნილება არ ამართლებდა ამ სახელწოდებას. 1254 წელს პარიზის უნივერსიტეტის კედლებში პირველად გამოჩნდა სული წმიდის „საბოლოო" ეკლესიის „მანიფესტი". ეს უცნაური წიგნი, რომელსაც მხოლოდ მისი მტრების დასმენითა და რომის ეკლესიისმიერი შეჩვენებით ვიცნობთ, სხვა არა არის რა, თუ არა ფრა სალიმბენეს მეგობრისა და იოანე პარმელის მოწაფის – ჯერარდო დი ბორგო სან დონინოს „Introductorius ad Evangelium aeternum"[30].

ჟან დე მენის[31] მტკიცებით, რომელიც, მართალი რომ ვთქვათ, ერთი წლით ცდება, ეს წიგნი გამოჩნდა

Rar movaise intencion,
En l'an de l'incarnation
Mille et deus cens cinc et cinquante,[32]

და პირველად გამოფენილ იქნა

Au parvis devant Notre-Dame.* [33]

ეს წიგნი განსახიერება იყო ყველაზე რადიკალური რევოლუციისა, რაც კი ოდესმე დამუქრებია ეკლესიას და ქრისტიანობას. ჯოაკინოს სამი ძირითადი თხზულება – „Concordia", „Expositio in Apocalypsin" და „Psalterium"[34] – შეადგენდა მის პირველ სამ თავს. ჯერარდომ, როგორც ჩანს, მხოლოდ პირველის, ე.ი. „Concordia"-ს გამოქვეყნება შესძლო. შესავალში და განმარტებებში, რომლებიც შეადგენდნენ წიგნის ორიგინალურ ნაწილს, გაცხადებული

* Roman de la Rose, t. II, v. 1198 et suiv.

იყო კალაბრიელი განდეგილის თხზულებათა მისტერია*. ანანიელ ინკვიზიტორთა „ოქმის“ თანახმად „Introductorius“[35] – ის შესავალში ჯერარდო ამბობდა, რომ 1200 წელს, ესე იგი, დაახლოებით იმ დროს, როცა ჯოაკინომ დაასრულა თავისი გამოცხადება, სული წმიდა მთლიანად გაედინა ორივე აღთქმიდან – ძველიდანაც და ახლიდანაც, რათა „მარადიულ სახარებაში“ გადასულიყო. ამ აშკარად სქიზმატური თვალსაზრისის შემცველი თავისი პირველივე დებულებით ჯერარდო მთლიანად ცვლიდა დასაბამიერ ჯოაკინიზმს. თუ ჯოაკინო მომავლის სახარებას უყურებდა როგორც ორივე აღთქმის გაგების თავისებურ საშუალებას, რაც განკუთვნილი უნდა ყოფილიყო „საბოლოო“ ეკლესიის სულიერ ქრისტიანთათვის, „Introductorius“-ის ავტორი გვაუწყებს, რომ ფუძემდებლის სწორედ სამი ზემოხსენებული თხზულება შეადგენს „მარადიული სახარების“ ტექტს, და იმ სამი წმიდა წიგნის (tria sacra volumina; triplex lettera[36]) დასკვნით ნაწილად გვევლინება, რომლის პირველ ორ ნაწილადაც ძველი და ახალი აღთქმა უნდა მიგვაჩნდეს. ის, რაც ჯოაკინოსათვის მხოლოდ საღმრთო წერილის განმარტება იყო, რომელიც არ სცილდებოდა ქრისტიანობის ტრადიციულ დოგმათა ფარგლებს, ჯერარდოსათვის ახალ საღმრთო წერილად იქცა, სადაც მესამე სჯულის, სული წმიდის სჯულის გამოცხადება ცვლის და აუქმებს ქრისტეს სჯულს, ზუსტად ისევე, როგორც ამ უკანასკნელმა შეცვალა მამის სჯული. მონაზონთა ეკლესია, თვით ქრისტიანობის არსით რომ სულდგმულობს, რაზედაც ოცნებობდა ჯოაკინო დელ ფიორე უდაბნოში, ჯერარდომ იმ სულთა ურთიერთობით შეცვალა, რომელნიც ამიერიდან სრულიად ინდეფერენტულნი იქნებიან წმიდა სიმბოლოთა მიმართ და, ბოლოს და ბოლოს, მთელი სავსებით იგემებენ ნეტარებას. ეს კაცი, რომელმაც თავისი მოძღვრის წინასწარმეტყველებიდან მთელი ერეტიკული

---

* იხ. P. Denifle, Das Evangel. aetern. und die Comiss. zu Anagni, t. I, fasc. I, de l'Archiv.

მოძღვრება გამოიყვანა, ჯოაკინისტთა მთელი საძმოს მრწამსს გადმოგვცემდა თუ მხოლოდ ეული ნოვატორი იყო? დენიფლეს ვარაუდით, ის მხოლოდ მორწმუნეთა ძალზე მცირერიცხოვანი ჯგუფის სახელით ლაპარაკობდა, ჩვენ კი ვფიქრობთ, რომ სახიფათო სიცხადით გადმოსცემდა იმ ჯერ კიდევ ბუნდოვან რწმენას, რომელმაც უკვე მრავალი სული აამღვრია და გაცილებით უფრო ფართოდ გავრცელდა იტალიაში, ვიდრე საფრანგეთში. მან პირველმა გაბედა ეთქვა, საითკენ მიისწრაფოდნენ ფრანციისკანული ქადაგებით აღგზნებული მორწმუნენი, რადგანაც წმიდა ფრანჩესკოს მოძღვრებიდანაც ისევე ამოდიოდა, როგორც ჯოაკინოს მოძღვრებიდან. პირველი მისთვის „ჯვალოთი მოსილი კაცია, ზეციდან ქვეყნად გაშლილი წიგნით ჩამოსული სწავლული და ანგელოზი". ფრანჩესკო მართლაც ანგელოზი ჰგონია მას, ქრისტეს შობიდან 1200 წლის თავზე ცოცხალი ღმერთის ნიშნით აღბეჭდილი რომ მოევლინა ქვეყნიერებას. მის მიერ დაარსებული ორდენი „თანაბრად ეკუთვნის სამღვდელოებასაც და საეროთაც". პირველი წესდების ფრანციისკანელთა, „ფეხშიშველა" ძმების ეს უზარმაზარი ლაშქარი, რომელიც უკვე ჩამოშორდა რომის ეკლესიას, ასიზელ მესიას, ისევე, როგორც მის დელ-ფიორელ წინამორბედს, ერთსულოვნად მიაწერდა გრანდიოზულ გამოცხადებას, ახალ რწმენას, ბოლო რომ უნდა მოეღო ძველი სარწმუნოებისათვის და ხუთი წლის განმავლობაში ერთპიროვნულად გაბატონებულიყო „ზღვიდან ზღვამდე". „Introductorius"-ით გამოწვეულმა არეულ-დარეულობამ, მკაცრ ქრისტიანთა აღშფოთების ყვირილმა და წმიდა ტახტისმიერმა გმობამ მალე აუხილა თვალი ამ ენთუზიასტებს და შეძრწუნებულებს დაანახა ის უფსკრული, რომლის პირასაც იდგნენ. მაშინ ბევრმა ზურგი აქცია ჯერარდოს. სალიმბენე ვერ პოულობს საკმაოდ მკაცრ სიტყვებს ამ შეშლილის „სიბრიყვეთა" საგმობად, თავისი თხზულებით რომ აცთუნა „უვიცი ძმები", რისთვისაც სანიმუშოდ იქნა დასჯილი, valde bene fuit punitus. თუმცა სალიმბენესათვის ის მაინც ყველაზე თვინიერი

კაცია ამ ქვეყნად, სათნო, ზრდილი, მოკრძალებული, თავდაჭერილი და ქედმოდრეკილი, მაგრამ თავისი დამნაშავეობრივი მრწამსით შებღალა ყველა ეს ბუნებითი ნიჭი.

ჯერარდომ უთუოდ ყველაზე ხელსაყრელი დრო და ადგილი შეარჩია საიმისოდ, რომ პოპულარობა მოეხვეჭა თავისი მწვალებლური მოძღვრებისათვის. პარიზის უნივერსიტეტი არცერთ თეოლოგიურ სიახლეს არ დაუშვებდა თავის კედლებში მკაცრი განხილვის გარეშე. საუკუნოვანი თვითწვრთნა სილოგისტიკაში, საღმრთო წერილის უწყვეტი ინტერპრეტაცია და ხანგრძლივი დავა-კამათის ვნებიანი სიყვარული ფრანგ დოქტორებს მრისხანე იარაღს აძლევდა ხელში ყოველგვარი საეჭვო მოძღვრების წინააღმდეგ საბრძოლველად. თავისი „სქოლასტიკური ფუნქციის“ წყალობით, უნივერსიტეტი, „ვარდის რომანის“ სიტყვებით რომ ვთქვათ, ფხიზლად იცავდა „ქრისტიანობის გასაღებს“, ქრისტიანობისა, რომელსაც ჟან დე მენის თქმით, ეძინა და

Au bruit du livre s' eveilla,
N'onc puis gaires ne sommeilla;
Ains s'arma pour aler encontre
Quand el vit cel horrible monstre,
Tout prest de bataillier,
Et du livre as juges baillier.[37]

მაგრამ რასაც არ უნდა ამბობდეს ტრუბადური, ქრისტიანობა საბოლოოდ გამოფხიზლდა იმ დღეს, როცა გამოჩნდა „მარადიული სახარების“ პირველი ნაწილი. სწავლულთა დავა დომინიკანელებსა და ფრანცისკანელებთან, რომლებსაც თავიანთი სამწყსოს დამოძღვრა სურდათ, კარგა ხანია აღელვებდა უნივერსიტეტს. საუნივერსიტეტო პრივილეგიების ყველაზე თავგამოდებული დამცველი გიომ დე სენტ-ამური არ დაელოდა „Expositio in Apocalypsin“-ისა და „Psaltirium“-ის გამოქვეყნებას და გულმხურვალე ქადაგება დაიწყო იმ წყეული წიგნის წინააღმდეგ, რომელიც მარტოოდენ „Introductorius“-თა და „Concordia“-თი წარმოდგენილი, მისი აზრით, უფრო მეტ წიგნს შეიცავდა,

ვიდერე თვით ბიბლია. მათე პარიზელის მონმობით, სწავლულებმა მთელი კომისია შექმნეს, რომელსაც მათი საჩივარი უნდა წარედგინა პაპისათვის. მოქადაგე ძმებმა თავიანთი მხრივაც დააპირეს ელჩების წარგზავნა, ut magistris in faciem contradicerent* [38].

რიშე დე სენონის სიტყვით, გიიომმა თავისი ხელით გადასცა „Introductorius"-ის ეგზემპლარი ალექსანდრე IV-ს. 1256 წელს გიიომმა კვლავ მოითხოვა სათანადოდ გამოეძიათ „უფლის სახლში შეპარულ" ამ ცრუ მოქადაგეთა საქმე. მისი წიგნი „De Periculis novissimorum temporum"[39] სასტიკი ბრალდებებითაა სავსე. მათი უმრავლესობა მიმართულია დომინიკანელების წინააღმდეგ, რომლებიც „პრეტენზიას აცხადებდნენ ახალი კალაპოტით წარემართათ ცხოვრება და რეფორმების გზით გარდაექმნათ ეკლესია". უნივერსიტეტი ისე გაფაციცებით დაეძებდა მწვალებლობას ჯერარდოს თვითეულ ბნკარსა და ჯოაკინოს მთელ წიგნში, ისე გამალებით ადგენდა „ახალი სახარების" თეოლოგიური შეცდომების ნუსხას, რომ მთლიანად დაამახინჯა ტექსტი და არსებითად შეცვალა მისი დებულებები. ამ უჩვეულო პროცედურამ, უწინარეს ყოვლისა, თვით წმიდა ტახტის თეოლოგები შეაცბუნა: „ჩვენ მიგვანიშნეს იმნაირ მწვალებლურ თეზისებზე, – ნათქვამია ალექსანდრე IV-ის ბრევეში პარიზის ეპისკოპოსისადმი, – რომლებიც საერთოდ არ გვხვდება ამ წიგნში და თვალთმაქცურად მიაწერეს მას".

ამრიგად, 31 დებულებისაგან შემდგარი სახელგანთქმული „Excerpta"[40], რომელმაც მრავალი ხელნაწერის სახით მოაღწია ჩვენამდე (მათე პარიზელის ქრონიკა, ჰენრიხ ჰერტფორდტელის „Liber de Rebus memorabilioribus"[41], ეიმერიკის „Directorium"[42]), XIII საუკუნის რელიგიის ისტორიისათვის ძალზე საეჭვო წყაროდ უნდა მიგვაჩნდეს. ასე მაგალითად, „Excerpta"-ში ჯერარდოს კი არა,თვით ჯოაკი-

---

* იხ. Herm. Haupt, Zur Geschich. des Joakimismus, Gotha, 1885. იხ. აგრეთვე ჩვენი სტატია _ Hist. du Joachin., Rev. hist., mai-juin, 1886.

ნოს მიეწერება სიტყვები, რომელთა თანახმადაც ღმერთი მშვიდობას მიანიჭებს და იხსნის კიდევაც ებრაელთა გარკვეულ ნაწილს, რაგინდ ჯიუტადაც არ უნდა იცავდნენ ისინი თავიანთ ცთომილებას: მაშინ როდესაც ჯოაკინო დაჟინებით იმეორებდა, რომ სამყაროს მესამე რელიგიური ერის დამდეგს ახალი მოციქულები გაანათლებენ ებრაელ ხალხს და „უფალ იესო ქრისტეს მიმართ მიაქცევენ" სინაგოგის უკანასკნელ ნაშთებს. „Excerpta"-ს მიხედვით, „Concordia"-ში თითქოს ნათქვამია, რომ მესამე გამოცხადების მოახლოებისას ორდენის ბევრი წინამძღოლი ჩამოშორდება სეკულარულ, ე.ი. რომის ეკლესიას, რათა კვლავ მიუბრუნდეს ძველ ებრაულ სარწმუნოებას; „Concordia" კი სრულიად საპირისპიროს ამტკიცებს: როცა ებრაელებს, ბოლოს და ბოლოს, მოულბებათ გული და იხილავენ რელიგიის ჭეშმარიტ ნათელს, ეკლესია კვლავ დაიბრუნებს აპოსტოლური დროების სიხარულს და, როგორც უნინ, თავის წიაღში მიიღებს ებრაელებსაც და ნარმართთა ურიცხვ სიმრავლესაც. ჯოაკინომ თქვა: „ერთ მშვენიერ დღეს მოქადაგენი ეწვევიან ურწმუნოებს, რათა კეთილი სიტყვა ახარონ მათ, და ეს ახლად მოქცეულნი ძველი თემის უკეთურ ქრისტიანთაგან დაიცავენ მოციქულებს". „Excerpta"-ში კი ეს სიტყვები ასეა თარგმნილი: „მოქადაგენი, კლერიკოსთა მიერ დარწმუნებულნი, ურწმუნოთა მხარეს გადავლენ, და ვაითუ გააერთიანონ ისინი, რათა შემდეგ რომის ეკლესიის წინააღმდეგ დაძრან". მოვიტანთ კიდევ ერთ, შესაძლოა, ორიგინალის ტექსტის ყველაზე თავხედურ დამახინჯებას. „Concordia"-ს მეორე წიგნში ბერძნული ქრისტიანობის ჩამოშორებას და კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსის სქიზმატურ მღვდელთმთავრობას რომ იხსენიებს, ჯოაკინო ასე განაგრძობს: ambulantes usque in finem in erroribus suis[43]. მეხუთე წიგნში კი ბერძნებს გმობს იმის გამო, რომ აღარც ღმერთი ახსოვთ და აღარც მისი სული; ყველაფერი დაივიწყეს, გარდა ამქვეყნიური საზრუნავისა, და დღემდე სდევნიან მათ, ვინც სული წმიდითა ცოცხლობს: persequuntur eos qui ambulant secundum spiritum usque in presentem diem.

„Excerpta"-ში კი იგივე სიტყვები შემდეგნაირადაა გადმოცემული: „მეექვსე შეცდომა: ბერძენი პაპი თუ ბერძენი ხალხი უფრო ჭეშმარიტ გზას ადგას, ვიდრე ლათინი პაპი თუ ლათინი ხალხი: ასე რომ, ის უფრო ადვილად გვიხსნის და ამიტომ უმალ მას უნდა ვმორჩილებდეთ, ვიდრე რომის პაპს და რომაულ ეკლესიას".

ანანიის საღვთისმეტყველო სამსჯავრომ კარდინალების – ოდოს, უგოსა და სტეფანოს შემადგენლობით, 1255 წლის ივლისში განიხილა პარიზის უნივერსიტეტის კლერიკოსთა მიერ წამოყენებული და, შესაძლოა, მთელი ამ საქმის წამომწყების – აკრის ეპისკოპოს ფლორენციუსის რეკვიზიტორიუმით გამძაფრებული ბრალდება. მაგრამ ინკვიზიტორებმა გულდასმით წაიკითხეს არა მარტო „Concordia"-ს, არამედ „Expositio in Apocalypsin"-ისა და „Psalterion"-ის ყველა ინკრიმინირებული ადგილი. გიიომ დე სენტ-ამური არ ცდებოდა, როცა ერთი წლით ადრე ამტკიცებდა, რომ ეს წიგნები თავიანთ დამცველებს ჰპოვებდნენ წმიდა ტახტის მსჯავრის წინაშე. დელ ფიორეს მხცოვანი აბატის ორთოდოქსია ეჭვმიუტანლად იქნა ცნობილი ანანიის სამსჯავროს ვრცელ ოქმში, და სწორედ ეს ოქმი გვევლინება ჯოაკინოს სისტემის ყველაზე სანდო და ყველაზე სრულ გადმოცემად. მაგრამ თვით ჯერარდო დი სან დონინოს ერეტიკული აზრების გამო „Introductorius"-ი ალექსანდრე IV-ის სამი ბულით დაგმობილ იქნა. თუმცა სამივე ბულა საკმაოდ თავდაჭერილად, ყოველგვარი რისხვისა და, თუ შეიძლება ასე ითქვას, კრიტიკის გარეშე იყო შედგენილი*. მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ არლის პროვინციალურმა საეკლესიო კრებამ, იმავე ფლორენციუსის თავმჯდომარეობით, ღვთისმგმობლებად შერაცხა და შეაჩვენა ჯოაკინოცა და ჯოაკინელებიც. ალექსანდრე IV-მ დაბეჯითებით მოსთხოვა პარიზის ეპისკოპოსს სამონასტრო ბიბლიოთეკების ჩხრეკით არ შეეწუხებინათ ფრანცისკანელები. თუმცა ისიც ბრძანა, რომ მალულად (secrete, sine fratum scandalo[44]) დაეწვათ „ახალი წიგნის" ეგზემპლარები, როგორც

* D'Argentré, Collectio judicior., t. I, p. 165.

გადმოგვცემს მათე პარიზელი. მაგრამ, ეტყობა, რომს მაინცდამაინც დიდი სიმკაცრე არ უნდა გამოეჩინა ჯერარდოს მიმართ: თავდაპირველად მას მხოლოდ ქადაგებისა და აღსარების უფლება ჩამოართვეს. უფრო მკაცრი სასჯელი, რაც მოგვიანებით დაატყდა თავს: პატიმრობა, სატუსალოს მკაცრი რეჟიმი, საეკლესიო წესით დაკრძალვის უფლების ჩამორთმევა, სალიმბენესა და ანჯელო კლარენოს მტკიცებით, თვით მინორიტთა მცდელობის შედეგი იყო, რომლებსაც აღიზიანებდა ჯერარდოს სიკერპე, არასდიდებით რომ არ სურდა განდგომოდა ჯოაკინელთა მრწამსს. გიიომ დე სენტ-ამურს ძვირად დაუჯდა მის მიერ ატეხილი აყალმაყალი: მისი თხზულების – „De periculis" გამო კათედრა ჩამოართვეს, საფრანგეთიდან გააძევეს და სამუდამოდ აუკრძალეს ქადაგება და სწავლება*. ეს რთული საქმე გარკვეულნილად იოანე პარმელსაც შეეხო. „Historia septem Tribulationum ordinis Minorum"-ის თანახმად, „მან თვით წმიდა ფრანჩესკოსაგან მიიღო სიცოცხლის სასმელით სავსე თასი, მონიწებით გაუსინჯა გემო და მზესავით სხივმფინარი გახდა"**. მაგრამ მას ბოლომდე უნდა დაეცალა თასი. წმიდა ტახტის ერთგულმა ფრანცისკანელებმა კაპიტულში, კასტელო დე ლა პიევეში მიიხმეს იგი, რათა „სული წმიდით სავსეს – ამბობს ფრა ანჯელო, – თავი ემართლა მცირედ მორწმუნე ქრისტიანთა ბრალდებისაგან, მწვალებლობას რომ სწამებდნენ მას". ყველაზე მძვინვარე მონაზვნებს, წმიდა ბონავენტურას მმართველობას რომ ემორჩილებოდნენ, ის ხმამაღლა მიუგებდა: „Credo in unum Deum, Patrem omnipotentem"[45]. კარდინალმა ოტობანიმ, მომავალმა პაპმა ადრიანე V-მ, როგორც იქნა, მოახერხა, რომ მინორიტთა ორდენის გენერალი ციხეში არ ჩაესვათ. მაგრამ 1257 წელს არაჩელის საეკლესიო კრებაზე თვითონვე გადადგა გენერლის თანამდებობიდან და გრეჩას პატარა მონასტერში განმარტოვდა, რიეტის მახლობლად, იმ მთაგორიან ხეობაში, სადაც წმიდა ფრანჩესკო საშობაო

---

* Du Boulay, Histor. Univ. Paris., t. III, p. 342.

** Archiv, t. II, Fasc. II, p. 280.

ღამის მისტერიას ასრულებდა. იქ მან, ფრა ანჯელოს სიტყვით, „ანგელოზური ცხოვრების“ მთელი ოცდათორმეტი წელი გაატარა. ყველა პაპს უყვარდა და დიდ პატივს სცემდა მას. არაერთხელ შეუთავაზებიათ კარდინალის ქუდი. 1288 წელს ოთხმოცი წლის ბერიკაცმა ნიკოლოზ IV-ს საბერძნეთში წასვლის ნებართვა გამოსთხოვა, რათა მოექცია სქიზმატიკოსები და ამრიგად აღედგინა ქრისტიანობის ერთიანობა. კამერინოს მახლობლად სიკვდილის მოახლოება იგრძნო და თავის თანამგზავრებს უთხრა: „აი, ჩემი საუკუნო განსასვენი; აქ დავივანებ სამარადისოდ“. რამდენიმე დღის შემდეგ მშვიდად აღესრულა ეკლესიის წიაღში.

V

ჩვენ შეგვიძლია ადვილად განვსაზღვროთ როლი (ზოგჯერ სრულიად მოულოდნელი), რაც ამ ღირსსახსოვარ კრიზისში ითამაშეს უნივერსიტეტმა და წმიდა ტახტმა. პირველს უთუოდ აცბუნებდა ეკლესიის ორჭოფული ქცევა, რომი კი, თავის მხრივ, ალბათ განცვიფრებული იყო ფრანგ სწავლულთა უჩვეულო გულმოდგინებით, მარტოოდენ თავიანთ თავზე რომ იღებდნენ ეკლესიის ხსნის საქმეს და ცდილობდნენ შეენარჩუნებინათ მისი დოგმების მთლიანობა. თუმცა ის კი უეჭველია, რომ რომიცა და უნივერსიტეტიც სწორედ იმ მხრივ მიუდგნენ „მარადიული სახარების“ საქმეს, ყველაზე სრულად რომ შეესაბამებოდა მათ ინტერესებს და ტრადიციებს.

უნივერსიტეტისათვის ფრა ჯერარდოს საქმე საუცხოო საბაბი იყო საიმისოდ, რომ მწირ ბერთა ორივე მთავარი ორდენის[46] კომპრომეტირების გზით საბოლოოდ თუ არა, კარგა ხნით მაინც ჩამოეცილებინათ თავიანთი მეტოქეები. მწვალებლობას რომ სწამებდნენ მათ, ისინი, რა თქმა უნდა, pro domo sua[47] იღვწოდნენ. ამიტომ ნუ ვიფიქრებთ, თითქოს მთელ ამ ისტორიას წვრილმანი ინტერესების ჭიდილი განსაზღვრავდა. აქ გაცილებით უფრო დიდ პრივილეგიებს ეხებოდა საქმე, ვიდრე იმ კათედრების ხელში ჩაგდებას, რასაც ესწრაფოდნენ ფრანცისკანელე-

ბიცა და დომინიკანელებიც. ჯოაკინიზმი – სულერთია, იმ სისტემად მივიჩნევთ მას, კალაბრიელი აბატის ავთენტიკურ თხზულებებში რომ გვხვდება, თუ იმ ფსევდო-წინასწარმეტყველებათა ერთობლიობად, სიკვდილის შემდეგ რომ მიაწერდნენ მას, – ორივე შემთხვევაში მკვეთრად უპირისპირდებოდა სქოლასტიკას. დედუქციურ მსჯელობას, რომელიც ზოგჯერ თვით სოფიზმებზედაც კი იყო დაფუძნებული, ახალი სექტა უპირისპირებდა უსასრულობის უშუალო ინტუიციას, უშუალო ურთიერთობას ღმერთთან. ადამიანური გონების მთელი ძალისხმევა, გონებისა, რომლის კერადაც აბელიარის დროიდან უნივერსიტეტი გვევლინებოდა, ფუჭად და ამაოდ იყო მიჩნეული. თავის საუკუნოვან მეთოდს მოკლებული მეცნიერება ხელახლა უნდა დაწყებულიყო; მეტიც, ის უსარგებლო ხდებოდა. მისტიციზმს არც ცდა სჭირდება და არც სილოგიზმები. ის არას დაგიდევთ მტკიცების გზით რისამე დასაბუთებას, რადგანაც დარწმუნებულია, რომ უშუალოდ სწვდება ღვთაებრივ საიდუმლოთა არსს, და მთლიანად უგულებელყოფს რეალურ საგნებს, რომლებსაც გრძნობათა ცთომილების ნაყოფად სახავს. მისტიკოსები ზმანებებითა და ექსტაზით სულდგმულობენ, ბუნებას, საზოგადოებას, ისტორიას უსასრულო მანძილით დაშორებულნი. ნმიდა ფრანჩესკოსი არ იყოს, მათ საარსებოდ ჭრიჭინობელას ჭრიჭინიც ჰყოფნით.

პარიზის უნივერსიტეტი კი, გარკვეულწილად, ზომიერებისა და პრაქტიკულობის ფრანგული სულის, მე ვიტყოდი, საერო სულის განსახიერებაც კი იყო, განუწყვეტლივ რომ იზრდებოდა და ვითარდებოდა თვით ფილიპე მშვენიერის[48] ეპოქამდე. ის უფრთხოდა მისტიკოსებს და არ უყვარდა იდეალიზმი. თანდათანობით ითვისებდა და იმსჭვალებოდა არისტოტელეს ფილოსოფიის რაციონალური გენიით. თავდაუზოგავად ცდილობდა გზიდან ჩამოეშორებინა იოანე სკოტუს ერიუგენასა და გიიომ შამპოელის[49] მეტაფიზიკური ქიმერები, რათა ერთხელ და სამუდამოდ დაესამარებინა მოძღვრება უნივერსალიების შესახებ,

სიზიფეს გორაკივით გამუდმებით რომ უბრუნდებოდა მას. ჯერარდოს „Introductorius"-ი მან აღიქვა გაცილებით უფრო საშიშ ერესად, ვიდრე ორმოცდაათი წლის წინათ ამორი შარტრელის მწვალებლობა იყო. და მართლაც, ჯოაკინელთა წინასწარმეტყველება სანახევროდ უკვე განხორციელებული ჩანდა, ანდა რას მოასწავებდა მონაზონთა ურიცხვი სიმრავლე, მოუთმენლად რომ მოელოდა რელიგიურ განახლებას, თუ არა მესამე ერის, „სპირიტუალურ კაცთა" (spirituales viri) ერის დადგომას? „ახალი სახარების" ქადაგებას სამმაგი ბეჭდით უნდა განემტკიცებინა ორივე აღთქმა: როგორც მოსეს, ისე იესოს გამოცხადება. ნუთუ საღმრთო წერილი, ძველი მეცნიერების ეს უქრობი ნათელი, გამუდმებით რომ ანათებდა სწავლულთა აზრს როგორც ფიზიკური კვლევა-ძიების დროს, ისე პოლიტიკურ თეორიათა ფორმირებისას, სამუდამოდ უნდა დაშრეტილიყო და თავისი უზენაესი შემწეობის გარეშე დაეტოვებინა ადამიანის გონება? რა ელოდა Trivium-სა და Quadrivium[50]-ს, გონების მეთოდურ ქმედითობას, სქოლასტიკურ კულტურას და თვით სქოლასტიკასაც, თუკი ილუმინანტთა[51] ჯგუფი შესძლებდა მთელი მსოფლიოსათვის თავს მოეხვია თავისი გავლენა?

წმიდა ტახტის ინტერესი მთელი ამ საქმის მიმართ სულ სხვანაირი იყო. რომს ეჭვიც არ ეპარებოდა ამ სექტის მამის, დელ ფიორეს აბატის ორთოდოქსიაში. მას მტკიცედ ეჭირა ხელში მონაზონთა უზარმაზარი ოჯახი და სულაც არ ადარდებდა ის გავლენა, რომლითაც იოანე პარმელი სარგებლობდა მინორიტთა შორის. არც „სპირიტუალთა" სუფევა და არც მონაზვნობის განუხრელი ზრდა მას ისტორიულ სიახლედ არ ეჩვენებოდა. განა გრიგოლ VII[52]-ის ეკლესია უკვე მონაზვნების ეკლესია არ იყო? განა ის ოდესღაც არ მფარველობდა ლომბარდიულ „Pataria"[53]-ს, ესე იგი, შავი სამღვდელოების ჯანყს მილანის თეთრი სამღვდელოების წინააღმდეგ? ინოკენტი III-იდან მოყოლებული წმიდა ტახტის სიდიადე სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. „მარადიული სახარების" სითამამეს რომის

თვალში გარკვეულნილად აქარწყლებდა მისივე უკიდურესობა. მართლაცდა, რა ისეთი საშიში იყო ორიოდე ვიზიონერის წინასწარმეტყველება, რომელთა ვარაუდითაც ტრადიციული ქრისტიანობა მალე უნდა დამხობილიყო? შიში 1260 წლის წინაშე, რა თქმა უნდა, ისევე უკვალოდ ჩაივლიდა, როგორც უფრო ადრე ჩაიარა მე-1000-ე წლის შიშმა. ამიტომაც იტალია მშვიდად ზომავდა ამ უცნაური მწვალებლობის ღირებულებას. რომმა მშვენივრად იცოდა, რომ თვით იტალიელ ფრანციისკანელთა შორისაც ბევრი დაცინვით უყურებდა ჯოაკინელთა ზმანებებს, ისე, რომ არცკი დალოდებია საბედისწერო წელს. ჯერ კიდევ 1248 წელს პეტრე აპულიელი სექტის მთავარ წევრთა თანდასწრებით ეუბნებოდა ჰუგო დინიელს: „მე დიახაც წამიკითხავს ჯოაკინოს თხზულებები, მაგრამ მათი არ მჯერა". იოანე ნეაპოლელს კი არწმუნებდა: „ჩემთვის ჯოაკინო იგივეა, რაც ფორნის მეხუთე ბორბალი", Quantum de quinta rota plaustri*. ფაქტიურად, აბსოლუტური სიღარიბის თეორია, რომელიც XIII საუკუნის მეორე ნახევრიდან უშუალოდ ეკლესიის ამქვეყნიური ძლიერების წინააღმდეგ იყო მიმართული, გაცილებით მეტ საზრუნავსა და სადარდელს უჩენდა ეკლესიას, ვიდრე „მარადიული სახარების" ქადაგება.

და ბოლოს, შუა საუკუნეების ამ მომენტში რომს ძალიან სჭირდებოდა მონაზვნები; იმ კრიზისში, რასაც ის განიცდიდა ფრიდრიხ II-ის ჯანყის შემდეგ, წმიდა ტახტი მჭიდროდ იყო დაკავშირებული მონაზვნობასთან. იმპერატორი მიიცვალა, მაგრამ „გველების ბუდე", ე.ი. ჰოჰენშტაუფენების ოჯახი, ჯერ კიდევ არ გაესრისათ. ყოველივე ის, რაც ფრიდრიხის საქმიდან დარჩა – რაციონალისტური ცივილიზაცია, რელიგიური ინდიფერენტიზმი, შემწყნარებლობისა თუ ირონიის სული, – წმიდა ტახტს აიძულებდა თავის გარშემო შემოეკრიბა მონაზვნები და, მაშასადამე, თვალი დაეხუჭა მათ განმარტებებში დაშვებულ შეც-

* Salimbene, Cron., p. 104.

დომებსა და მათი მისტიციზმის მრავალ უკიდურესობაზე. ეკლესიას მაშინ გაცილებით ნაკლებად სჭირდებოდა ნამდვილი თეოლოგები. ურწმუნოებსა და მქირდავებს სქოლასტიკური დისკუსიებით კი არ პასუხობენ, არამედ ენთუზიაზმითა და საკუთარი იდეალის ქება-დიდებით. მწირ ბერთა ორდენს, ანუ აქტიურსა და დემოკრატიულ მონაზვნობას, ძალზე მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა იტალიური კომუნების სულიერ ცხოვრებაში, რათა რომს, რომელსაც ისინი ფარის მაგივრობას უწევდნენ, უყოყმანოდ არ მიეტევებინა მათთვის ესა თუ ის თეოლოგიური ლიცენცია. გიბელინების პარტიას, ფრიდრიხ II-ს, პიეტრო დე ლა ვინიას, მეფე მანფრედსა და სხვებს, რომლებსაც სურდათ ეკლესიის გარეშე და თვით ეკლესიის საპირისპიროდაც განეახლებინათ საერო საზოგადოება, არასოდეს ჰყოლიათ ამ მოხეტიალე ღვთისმოსავებზე უფრო შეუპოვარი მტრები, ქალაქის ქუჩებში თუ ტრიალ მინდორში, ხეების ჩრდილქვეშ რომ უქადაგებდნენ ბრბოს და თავიანთ სიტყვებში მარტო ღვთის სასუფეველს კი არ ეხებოდნენ, არამედ საზოგადოებრივ თავისუფლებათა საკითხსაც. რაც შეეხება აბატ ჯოაკინოს უშუალო მემკვიდრეებს, რეფორმირებულ ცისტერციანელებს, რომელთა მონასტრებითაც მოფენილი იყო მთელი სამხრეთ იტალია, რომს საკმარისზე მეტი საბაბი ჰქონდა მათ დასანდობად. წმიდა ტახტი ოდითგანვე მიელტვოდა იმას, რომ ნეაპოლიტანურ პროვინციებს თუნდაც ნომინალურად ეღიარებინათ მისი სუზერენიტეტი. სწორედ ამას მოითხოვდა ნორმანდიელებისა და ანჟუელებისაგან. რამდენად ხელსაყრელი იყო მისთვის ამნაირ ვითარებაში მონაზვნობის გადაკიდება, რომლის ფუძემდებელიც წმიდანად და წინასწარმეტყველად იყო მიჩნეული და მას თავის სანდო მოკავშირედ ეგულებოდა? ლათინური ეკლესიის პირველობის თვალსაზრისითაც, დანარჩენი იტალიისაგან ამ ყველაზე განკერძოებულსა და შორეულ კუთხეში, სადაც მკვეთრად საგრძნობი იყო აღმოსავლეთთან კავშირი და ბერძნული აღმსარებლობის გავლენა, – მხოლოდ ამ მონაზვნობის

წყალობით თუ შეიძლებოდა სათანადო წონასწორობის შენარჩუნება.

VI

პარიზის უნივერსიტეტმა მით უფრო საშიშ სიახლედ აღიქვა ჯერარდო დი სან დონინოს უკიდურესი ჯოაკინიზმი, რომ ალპებს აქეთ ის სრულიად იზოლირებულ და მოულოდნელ მოვლენად ჩანდა. წმიდა ტახტის თვალში კი ეს სექტა მხოლოდ იმ რელიგიურ თავისუფლებას მოწმობდა, რაც ეკლესიას დასაშვებად მიაჩნდა იტალიაში და მხოლოდ დროდადრო ცდილობდა მის ყველაზე უკიდურეს გამოვლინებათა აღკვეთას. ალექსანდრიული ეპოქიდან და ნიკეის საეკლესიო კრებიდან[54] მოყოლებული, არსად ნახულა უფრო მეტი რელიგიური მღელვარება და არც მისტიციზმის უფრო სრული გაფურჩქვნა. ფრა სალიმბენეს ფასდაუდებელი „ქრონიკა" საშუალებას გვაძლევს წარმოვიდგინოთ, რა სისხლსავსე ცხოვრებით ცხოვრობდა მაშინდელი იტალია და რა ნაყოფიერი თესლი ჩაყარა წმიდა ფრანჩესკომ ყველა ცოცხალ სულში

რა თქმა უნდა, ფრანგი სქოლასტიკოსები გაოგნებულნი იყვნენ მათთვის ესოდენ უჩვეულო სანახაობით. მათ ვერასდიდებით ვერ აუღეს ალღო ორთოდოქსიის იმ სრულიად თავისებურ აღქმას, XIII საუკუნის შუა წლებში რომ ასულდგმულებდა იტალიურ ქრისტიანობას. აქ, ეკლესიის დედობრივი ზედამხედველობის ქვეშ, საყოველთაოდ მიღებულ წესად იქცა, რომ მორწმუნეებს, ცალცალკეც და თავისუფალ რელიგიურ თემებად გაერთიანებულთაც, თავიანთი ნება-სურვილით ეძებნათ ხსნის გზა. და მართლაც, თვითეული, თავისი მიდრეკილების მიხედვით, საკუთარ გზას ირჩევდა. ერთი პარმელი ერისკაცი ცისტერციანულ მონასტერში ჩაიკეთა, რათა იქ თავისი წინასწარმეტყველებანი დაეწერა. მეორემ, მინორიტთა მეგობარმა, „მხოლოდ თავისი თავისთვის შექმნა საკუთარი რელიგია, sibi ipsi vivebat"[55]; გარეგნობით იოანე ნათლისმცემელსა ჰგავდა, თავისი გრძელი წვერით,

სომხური კაპიუშონით, მხრებზე მოსხმული ტყავით, ტყავისავე სარტყლითა და „სპილენძის საშინელი საყვირით". განუწყვეტლივ ქადაგებდა ეკლესიებში თუ მოედნებზე, ბავშვებით გარშემორტყმული, რომლებსაც ხელში მწვანე რტოები და ანთებული სანთლები ეჭირათ. ქადაგების ტექსტს, რომელიც ყოველთვის უცვლელი იყო, მხოლოდ იტალიურ ენაზე წარმოსთქვამდა: „Laudato e benedetto e glorificato sia lo Padre"[56], და ბავშვები იმეორებდნენ ამ სიტყვებს. შემდეგ ის ქება-დიდებას ასხამდა ძესა და სული წმიდას. პასუხად კი ერთსულოვანი ყიჟინი ისმოდა: ალილუია!

იტალია ვეღარ იტევდა განდეგილებს: წმიდა ავგუსტინეს, წმიდა გულიელმოს, ჯოვანი კეთილის განდეგილები, ათასგვარი კონფრერიები. ჯოაკინელების მიხედვით, საბედისწერო 1260 წელს ჩრდილო იტალიაში გამოჩნდნენ „ფლაგელანტები". „ყველანი – დიდი თუ პატარა, კეთილშობილი თუ მდაბიორი, ჯარისკაცი თუ ხელოსანი, – წელზევით გაშიშვლებულნი და გრძელ პროცესიებად გამწკრივებულნი ქალაქიდან ქალაქში გადადიოდნენ და დაუნდობლად ამათრახებდნენ ერთმანეთს". მისტიურმა პანიკამ საშინელი გაპარტახება გამოიწვია. თავგზააბნეულმა ხალხმა აღარ იცოდა, რა ექნა; ყველანი აღსარების სათქმელად ეშურებოდნენ, უკანვე აბრუნებდნენ უკანონოდ შეძენილ ქონებას, სასწრაფოდ უზავდებოდნენ თავიანთ მტრებს და ღვთის სადიდებელ საგალობლებს თხზავდნენ. გეგონებოდათ, ქვეყნიერების აღსასრულმა მოაწიაო. ვინც თავს არ იმათრახებდა, „ეშმაკზე უარესად" იყო მიჩნეული, ლანძღავდნენ, აგინებდნენ და უდიერად ექცეოდნენ. ყველა წმიდის დღეს პროცესიებმა მოდენიდან რეჯოს მიაღწიეს, იქიდან კი პარმისა და კრემონისაკენ აიღეს გეზი. კრემონის პოდესტამ ქალაქში შესვლა აუკრძალა მათ და პოს პირას სახრჩობელები აღმართა იმ ფლაგელანტებისათვის, რომლებიც ძალით დააპირებდნენ ქალაქში შესვლას; მაგრამ ვერცერთმა ვერ გაბედა ამ ნაბიჯის გადადგმა. პერუკისა და რომის შიშველი მოქალაქენი მოედნებზე იმათრახებდნენ თავს. სცენაზე „გაუდენტების" (gaudentes[57]) გამო-

ჩენა მთელ სურათს ცვლის. ისინი თავს კი არ იმათრახებენ, არამედ, რაინდულ კონფრერიებად გაერთიანებულნი, განცხრომას ეძლევიან. ეს კონფრერიები ეპისკოპოსმა ბარტოლომეო ვიჩენცელმა ჩამოაყალიბა. ისინი ნთქამდნენ თავიანთ ავლადიდებას „cum hystrionibus", – წერს სალიმბენე. არც მოწყალებას გასცემდნენ და არც საღვთო საქმეს შეეწეოდნენ; სამაგიეროდ ძარცვა-გლეჯაში ბადალი არ ჰყავდათ. როცა გაღატაკდნენ, თავხედურად მოსთხოვეს პაპს, მათთვის გადაეცა იტალიის ყველაზე მდიდარი მონასტრები. პირფერთა პროცესიის აღწერისას, ოქროთი მოსირმული ქუდები რომ ხურავთ, დანტე საგანგებოდ მიმართავს ლოდერინგოს, სალიმბენეს მიერ მოხსენიებულ სექტის ერთ-ერთ დამფუძნებელთაგანს.

რა თქმა უნდა, სარეველა ბლომად ერია ხორბალს. სალიმბენე იხსენიებს გარყვნილებს, მანანწალებს, არამზადებს (ribaldi, trutoni, trufatores), აგრეთვე „ტომრით მოსილთა" (saccati) და „ტყიურთ" (boscarioli). ეს იყო ჰუგო დინიელის ჯგუფიდან გამოსული ცრუ მინორიტთა სექტა, ფრანცისკანელთა სამოსი რომ მიითვისა. ჰუგომ მათ უთხრა: „ტყე იყოს თქვენი ბინა, ფესვები – თქვენი საზრდო, რადგან ახლოა სალმობა". ისინიც ტყე-ტყე, შარაგზებზე თუ ქალაქის ქუჩებში დაძრნოდნენ; ქადაგებდნენ, ხალხს აღსარებას ათქმევინებდნენ და მათხოვრობდნენ, ხოლო ამ მხრივ გაცილებით უფრო დიდ გულმოდგინებას იჩენდნენ, ვიდრე ფრანცისკანელები, რომლებსაც უბადრუკ ნამცეცებსღა უტოვებდნენ. ერთი მათგანი არლის არქიეპისკოპოსი გახდა. მათ გარდა იყვნენ apostoli – მოხეტიალე ცრუ მოციქულნი, tota dies otiosi, qui volunt vivere de labore et sudore aliorum[58]. მათი ცხოვრება ნამდვილი ანარქია იყო, არც შრომობდნენ, არც ლოცულობდნენ, არც ქადაგებდნენ და არც აღსარებას ათქმევინებდნენ ხალხს. ისინი „ეძებდნენ მხოლოდ ქალებს". ეს ბანდა თავის ნრეში ითრევდა ბავშვებს, რომლებსაც აიძულებდნენ ექადაგათ და ქალებს, mulierculas[59], რომლებიც, გრძელ კაბებში გამოწყობილნი, თან დაჰყვებოდნენ „მოციქულებს" და მათ

დებად ასაღებდნენ თავს. სექტის წევრებს შორის ყველაზე ტლანქი კომუნიზმი სუფევდა. მათ თავკაცს – გერარდინო სეგალელოს, თავიანთი ორდენიდან რომ გააძევეს მინორიტებმა, უფლის ძედ მოჰქონდა თავი. მისი თანმხლები გაჰკიოდნენ: Pater! Pater! Pater![60] მაგრამ ეს სულაც არ უშლიდა ხელს გალანტური თავგადასავლების ძებნაში, რაც შემდეგ გააგრძელა რობერტ არბრისელმა და რაც ასე აშფოთებდა სალიმბენეს. ამ სკანდალმა საშინლად აღაშფოთა პარმის ეპისკოპოსიც, რომელმაც ციხეში უკრა თავი ყველა „მოციქულს", ვინც კი მოიხელთა. უფრო გვიან გრიგოლ X[61]-მ შეაჩვენა სექტა, რომელმაც უარი თქვა მის მორჩილებაზე.

სალიმბენეს „ქრონიკა" ძალზე საინტერესოა თავისი შინაარსით. აქ გადმოცემულია ყველაფერი: რელიგიური ენთუზიაზმიც, რომლის წყალობითაც რეჯო ემილიაში მოქადაგე ძმებისათვის აგებულ იქნა ეკლესია, და რომელმაც მოიცვა უკლებლივ ყველა – ჯარისკაცები, ქალები, გლეხები, მოქალაქენი, თავიანთი ზურგით რომ ეზიდებოდნენ მშენებლობისათვის საჭირო ქვასა და კირს; პარმელი ფრანცისკანელებისა და დომინიკანელების საღვთისმოსაო ინდუსტრიაც, რომლებმაც „ერთად მოითათბირეს, რა სასწაულები უნდა მოეხდინათ იმ წელიწადს სააღდგომოდ"; ფრა ნიკოლო დი მონტეფელტროს მხიარული სასწაულიც, ღამღამობით მთელი მონასტრის გამაყრუებელი ხვრინვისაგან რომ განკურნა ერთი მორჩილი, რომელიც წირვის შემდეგ ცხვირით ათრია საკურთხევლის უკან; წმიდა ალბერტ კრემონელის ყალბი ნეშტის ამბავიც, რომლის წინაშეც პარმელი მღვდლები საამბოროდ და სათაყვანებლად აჩოქებდნენ მრევლს, ut melius oblationes a populo obtinerent[62]; ეპიკურელი კანონიკოსის „გედის სიმღერაც", რომელმაც დაიფიცა ჭიქით ხელში გაელია ათასი მომაკვდინებელი ცოდვით სავსე სიცოცხლის ულანასკნელი დღენი. ამ უცნაურ ქრისტიანობაში ერთმანეთს ეძმაკაცებოდნენ დარდიმანდები და ასკეტები, ხოლო შარლატანები თავიანთი მეგობრობის ღირსად ხდიდნენ წმიდანებს, ეკლესია კი მშვიდად და აუმღვრევლად

აძლევდა ამ ხალხს უფლის სახლში მხიარული გართობისა და დროსტარების ნებას. მას ხომ მზად ჰქონდა სიტყვები, რომლებითაც, როცა სურდა, მაშინ შეეძლო აღეკვეთა ყოველგვარი რელიგიური უწესრიგობა, და სიკვდილის მისტერიით მტკიცედ ეჭირა ხელში თავისი ყველაზე ურჩი ძენი.

VII

მაგრამ მთელ ამ ქრისტიანობაში ყველაზე უცნაური პიროვნება იყო თვით მისი მემატიანე, ფრა სალიმბენე. დაიბადა პარმაში, 1221 წელს. ჩვიდმეტი წლისა დედ-მამის უნებურად და თვით იმპერატორ ფრიდრიხ II-ის ნებართვის გარეშე, რომელსაც მშობლებმა დახმარებისათვის მიმართეს, ბერად აღიკვეცა. თავისი „ქრონიკა" 1283-1288 წლებში დაწერა. უნდა გარდაცვლილიყო 1289 წელს. ბავშვობაში მას შეეძლო ენახა წმიდა ფრანჩესკო. მის თვალწინ მთელი თავიანთი საგაზაფხულო მშვენებით იშლებოდნენ სერაფიკული ლეგენდის პირველი ყვავილები. მთელი ორმოცი წლის მანძილზე მოგზაურობდა იტალიასა და საფრანგეთში, მონასტრიდან მონასტერში. პირადად იცნობდა თავისი დროის ბევრ გამოჩენილ ადამიანს. შეხვედრია ფრიდრიხ II-საც, ამ „ანტიქრისტეს", vidi eum et aliquando dilexi[63]. დაახლოებული იყო იოანე პარმელსა და ჰუგო დინიელთან. სანსში მოუსმენია პლანო კარპის, მარკო პოლოს ამ წინამორბედის გამოსვლა, თავის წიგნს „თათრების შესახებ" რომ განმარტავდა. ლიონში თვით ინოკენტი IV-სთან, ამ გოროზ პაპთან შეაღწია, რომელმაც დაიფიცა, რომ მუსრს გაავლებდა ჰოჰენშტაუფენთა მოდგმას. და ბოლოს, სანსში, 1248 წელს, ორმოცდაათობის დღესასწაულზე[64] თავისი თვალით იხილა წმიდა ლუი, ჯვაროსნული ლაშქრობისთვის რომ ემზადებოდა. მეფე ფეხით მიდიოდა, რაინდთა ამალის გარეშე; ლოცულობდა და მოწყალებას ურიგებდა უპოვართ. „მონაზონს უფრო ჰგავდა, ვიდრე მეომარსო", – ამბობს სალიმბენე. მის მიერ დახატული მეფის პორტრეტი იმდენად შესანიშნავია, რომ თარგმნას არ ექვემდებარება: „Erat autem Rex subtilis et

gracilis, macilentus convenienter et longus, habens vultum angelicum et faciem graciosam"[65]. ჩვენმა პატარა ბერმა რონის პირამდე მიაცილა მეფე. ერთ დილას მასთან ერთად შევიდა სოფლის ეკლესიაში, რომლის იატაკი მოკირწყლულიც კი არ იყო. წმიდა ლუიმ თვინიერების ნიშნად შიშველ მინაზე მოირთხა და ძმებს უთხრა: „Venite ad me, fratres mei dulcissimi, et audite verba mea"[66]. და მონაზვნები გარს შემოუსხდნენ საფრანგეთის მეფეს.

რა თქმა უნდა, უბრალო მონაზვნის კვალობაზე, სალიმბენეს მოგონებებში არაფერია ვულგარული. ამას დავუმატოთ დიდი მისტიური ავანტურა – მისი ხმობა ჯოაკინიზმის მიმართ, რომელიც მან მიამიტურად მიიღო, მხოლოდ იმიტომ, რომ ირგვლივ ყველა ჯოაკინისტი ხდებოდა. იტალიური მონასტრის სიგრილესა და სიმყუდროვეში ის დიდხანს ესაუბრებოდა წინასწარმეტყველ ჯერარდო დი სან დონინოს და უცებ მოინუსხა აპოკალიპსური საშინელების ხიბლით. თუმცა, იმ მორალური კატაკლიზმების მიუხედავად, მას რომ უნდა განეცადა, ფრა სალიმბენე მთელი სიცოცხლის მანძილზე ფრთხილ, მოკრძალებულ და, ცოტა არ იყოს, გონებაშეზღუდულ მონაზვნად დარჩა, ვისი მიხედვითაც, წმიდა ფრანჩესკოს გარდაცვალებიდან ოცდაათი წლის შემდეგ, მაინცდამაინც დიდ წარმოდგენას ვერ შეიქმნიდით ფრანცისკანელთა საძმოზე. მისთვის ნიშნეული იყო ყველა ნაკლი კლერიკოსისა, რომელიც არც წმიდანობაზე დებს თავს და არც სწავლულისა თუ მოციქულის სახელს იჩემებს. მისი ეგოიზმი მართლაც რომ აღტაცების ღირსია. პატარაობისას, როცა ჯერ კიდევ აკვანში იწვა, პარმას საშინელი გრიგალი დაატყდა თავს. დედამისს შეეშინდა, ვაითუ ბაპტისტერიუმი ჩამოიქცეს და ჩვენს სახლს თავზე დაეცესო, ამიტომაც სასწრაფოდ აიტაცა ხელში თავისი ორი პატარა გოგონა, რომ სამშვიდობოს გამოეყვანა, მომავალი მემატიანე კი განგების ნებას მიანდო. „აი, რა იყო იმის მიზეზი, რომ დიდად არასდროს მყვარებია, – იგონებს იგი, – პირველად გოგონები კი არა, ბიჭი უნდა გადაერჩინა".

მავედრებელ მამამისს, ბერად აღკვეცაზე ფიქრს თავი ანებეო, ასე მიუგო: „Qui amat patrem aut matrem plus quam me, non est me dignus“[67]. მიუხედავად ამისა, არც ისე ბეჯითი და გულმოდგინე მონაზონი იყო. ყოველ შემთხვევაში, ღვთისმსახურებაზე მონაზვნისათვის, ცოტა არ იყოს, შეუფერებელი ტონითა მსჯელობს: „მაინც რამდენხანს გრძელდება ღამღამობით ფსალმუნთა კითხვა, ვიდრე „Te Deum“[68]-ს იგალობებდნენ. ეს ერთნაირად გულისგამაწვრილებელია ზამთარშიაც და ზაფხულშიაც, რადგანაც ზაფხულის ღამეები მოკლეა და სულისშემხუთველი, რნყილები კი ისე მწარედ იკბინებიან“. და იქვე დასძენს: „ეგეც არ იყოს, ამ ჩვენს სასულიერო საქმეში ბევრი რამ არის ისეთი, რაც შეიძლებოდა უკეთესით შეცვლილიყო“. მას დიდი მონასტრები უფრო უყვარს, სადაც „ძმობას გაცილებით მეტი აქვს სანუგეშო და თავშესაქცევი, ვიდრე პატარა მონასტრებში“. არც მალავს, რა არის ეს „სანუგეშო“: თევზი, ნანადირევი, ვარიები, ნამცხვრები, მოკლედ, მთელი ის მიწიერი სიამე, რასაც უფალი არ იშურებს მათთვის, ვინც აღუქვა სამუდამოდ მას ემსახუროს. „ქრონიკებში“ გვხვდება ფრანცისკანელთა რამდენიმე სუფრის აღწერა, რომლებიც გვაცვიფრებენ თავიანთი სიუხვით. ამ აღწერილობებიდან ყველაზე საკვირველია სამარხვო ტრაპეზის მენიუ, ორმოცდაათობის წინა დღეს წმიდა ლუიმ რომ შესთავაზა ძმობას: უწინარეს ყოვლისა, საუცხოო, ჭეშმარიტად სამეფო ღვინო, შემდეგ – ალუბალი, რძეში მოხარშული ქორფა ლობიო, თევზეული, კიბორჩხალები, გველთევზის ღვეზელი, ნუშის რძეში მოხარშული და დარიჩინმოყრილი ბრინჯი, გველთევზები „დიდებული სოუსით“, ტკბილეული, ხილი. სად ეს სუფრა და სად წმიდა ფრანჩესკოსა და ფრა მასეოს ხმელი პური და წყაროს წყალი? მაგრამ ორდენის ფუძემდებელმა თავის წესდებაში თქვა: „მიირთვით ყველა კერძი, რასაც შემოგთავაზებენ; necessitas non habet legem“[69]. და სალიმბენეც სიამოვნებით დაემორჩილა ამ წესს.

არსებითად, ეს კაცი, რომელსაც ასკეტისა არა ეცხო რა, კეთილი ქრისტიანი იყო; მონაზონთა უზარმაზარი ფარის ერთი პატარა ცხვარი, ბუნებით, ცოტა არ იყოს, მოხეტიალე, მაგრამ ყოველთვის მზადმყოფი, კვლავ დაბრუნებოდა თავისი მწყემსის ფარეხს. უდრტვინველად ემორჩილებოდა დისციპლინას, მაგრამ თავს არ იწუხებდა მეტისმეტი ღვთისმოსაობით. რაკიღა მეამბოხური სულისკვეთება სრულიად უცხო იყო მისთვის, თავის თავშივე ჰპოვა მყუდრო თავშესაფარი, თავისუფლებისა და შვების სავანე. დარწმუნებული იყო, რომ სამოთხეში უკვე დაიბევა თბილი ადგილი, ასე რომ, სულაც არ ჩქარობდა დაესრულებინა თავისი ამქვეყნიური მოგზაურობა და არც ძველი მონაზვნების მელანქოლიური მოუთმენლობით მიელტვოდა ზეციური იერუსალიმის ბრწყინვალებას. მისი თავშექცევა ზოგჯერ სავსებით ბანალურია; ჭეშმარიტად გალური მახვილგონიერებით გადმოგვცემს მონასტრის ამბებს, მოაქვს ციტატები სუფრული სიმღერების ტექსტიდან, რომლებიც, ალბათ, მოხეტიალე სტუდენტებისაგან მოუსმენია, და რომლებსაც, სადღესასწაულო სუფრაზე შექეიფიანებული, ნასადილევს საეკლესიო საგალობლების ჰანგზე ღიღინებდა ხოლმე. თუმცა, ადვილი შესაძლებელია, წმიდა ფრანჩესკოს წრეშიც ჰყოლოდათ თავიანთი ფრა სალიმბენე, ვის მოსწრებულ ოხუნჯობებსაც კეთილმოსურნე ღიმილითა და დიდსულოვანთათვის ნიშნეული შემწყნარებლობით უგდებდა ყურს სერაფიკული მამა. ტყუილად ხომ არ დაუსახავს მხიარულება თავისი ორდენის ერთ-ერთ სიქველედ: ostendant se gaudentes in Domino[71]. და განა „მარადიული სახარების“ ყველა აღთქმა ღირდა იმ სიხარულად, ხანდაზმული ეკლესიის სულში ხელახლა რომ გააღვიძა წმიდა ფრანჩესკომ, და ახალ მცნებად, რომლითაც მან თითქოს შეავსო მთის თხემზე წარმოთქმული ქადაგების სიტყვები: Beati qui rident![71].

თავი VI

წმიდა ტახტი და სპირიტუალები. პოეზია და ხალხური ხელოვნება

მარადიული სახარების დაგმობამ ვერ დააცხრო „სპირიტუალთა“ გზნება, რომლებიც, იოანე პარმელის მიხედვით, „მხოლოდ მარადისობას მიელტვოდნენ, ზიზღით აქცევდნენ ზურგს ყოველივე ხორციელსა და მიწიერს, მხოლოდ იესოსკენ ეჭირათ თვალი, მხოლოდ რელიგიური ცხოვრებით ცხოვრობდნენ და ამ ქვეყნისაგან განდგომით უდრტვინველად მიჰქონდათ მაცხოვრის ჯვარი“. იოანე პარმელის დამხობა, რაც „კონვენტუალთა“ მოქმედებამ გამოიწვია, მათი აზრით, იმას ნიშნავდა, რომ აღსრულდა წმიდა ფრანჩესკოს სიტყვები, რომელმაც იწინასწარმეტყველა ზოგიერთი ძმის რელიგიური დაცემა, ისევე, როგორც დევნა, რაც უნდა განეცადათ მის უერთგულეს მონაფეებს, და თვით ის უბედურებაც, რასაც ზოგიერთი პაპი თავს დაატეხდა მინორიტებს. მისტიკოსები ომიანობისა და სქიზმის შავბნელი დღეების მოლოდინში იყვნენ. ჰუგო დინიელმა ლიონში თქვა: „ქრისტიანები დაკარგავენ წმიდა მიწას. ტამპლიერებს[1] მუსრს გაავლებენ. მინორიტები გაიყოფიან. მოქადაგენი კი ხარბად ნაეპოტინებიან სიმდიდრეს“. იოანე პარმელი, თავის მხრივ, ამბობდა: „ვისაც სურს აღასრულოს ფუძემდებლის აღთქმა, გადაჭრით განუდგეს ყველას, ვინც წესდების საპირისპირო პრივილე-

გიებს მიელტვის"*. ნახევარი საუკუნის განმავლობაში, თვით ავინიონის ტყვეობამდე[2], იტალიას ამღვრევდა და აშფოთებდა მწვალებლობასთან დაკავშირებული ერთი მტკივნეული საკითხი: ყოველთვის შეესაბამება თუ არა სეკულარული ეკლესიის სულს პირწმინდად ევანგელურ იდეალზე დაფუძნებული ქრისტიანული ცხოვრება?

I

პრობლემა ადვილი გადასაწყვეტი იქნებოდა, მონაზვნობა რომ პირველი ფრანცისკანული ეპოქის ჭეშმარიტი სიბრძნისა და თავისუფლების ნიშნით აღბეჭდილი ტრადიციების ერთგული დარჩენილიყო. წმიდა ტახტს მხოლოდ რელიგიური მშვიდობა სურდა. ის ყოველთვის დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებას აძლევდა ასკეტებსა და განდეგილებს. აკი, ჯოაკინისტების საქმესთან დაკავშირებით, სულ ცოტა ხნის წინათ დაადასტურა თავისი შემწყნარებლობა მისტიკოსების მიმართ. ინოკენტი IV-სა და ბონიფაციუს VIII-ს შორის ეკლესიამ ტახტზე აიყვანა რამდენიმე თვინიერი და დამყოლი პაპი, რომლებისთვისაც უცხო არ იყო პოლიტიკური გამჭრიახობა, და რომლებიც სიამოვნებით დაიფარავდნენ თავიანთი სამღვდელთმთავრო მოსასხამით შეუპოვარ ფრანცისკანელებს. მათ რიცხვს მიეკუთვნებიან: ალექსანდრე IV (1254-1261), მემატიანის სიტყვით, vir placidus, sanguineus, jucundus, risibilis[3]; გრიგოლ X, რომელიც მინორიტთა ორდენის გენერლის – წმიდა ბონავენტურას[4] ზეგავლენით იქნა არჩეული, და რომელსაც ძალ-ღონე არ დაუზოგავს, რათა ერთმანეთისათვის შეერიგებინა ურთიერთმოშულლე ძმები, გველფები და გიბელინები[5], ბერძნები და ლათინები, პაპობა და რუდოლფ ჰაბსბურგელის (1271-1276)[6] იმპერია; პორტუგალიელი იოანე XXI[7], მედიკოსი და სქოლასტიკოსი, რომელსაც სძულდა მონაზვნები, მონაზვნებს კი ჯადოქრად მიაჩნდათ; შემდეგ ეკლესიამ აირჩია მინორიტთა მფარველი კარდინალი იო-

* Histor. Tribulat., Archiv, t. II, fasc. 2, p. 271, 278, 282, 293.

ანე გაეტანი ორსინი, ნიკოლოზ III[8]-ის სახელით რომ ავიდა ტახტზე, ავტორი 1278 წლის კონსტიტუციისა, რომელმაც სამოქალაქო თავისუფლება დაუბრუნა წმიდა კოლეგიასა და პაპს და რომის მაგისტრატურებიდან განდევნა ყველა მოხეტიალე, ვინც წარმომავლობით რომაულ საგვარეულოებს არ ეკუთვნოდა. ჰონორიუს IV[9]-ის, ამ სნეული და საპყარი პაპის შემდეგ, რომელიც უპირატესად თავისი ოჯახის აღსაზევებლად იღწვოდა, ტახტზე ავიდა პირველი ფრანცისკანელი პაპი ალექსანდრე IV (1288-1292), ეპისკოპოსებისა და სამრევლო სამღვდელოებისაგან დამოუკიდებელ საზოგადოებად რომ ჩამოაყალიბა ტერციარიუსები, რომლებიც ამიერიდან მხოლოდ მინორიტებს ემორჩილებოდნენ. და ბოლოს, საუკუნის დამლევს წმიდა პეტრეს ტახტი დაიკავა (მართალია, სულ რამდენიმე დღით) განდეგილმა, ფრატიჩელომ, ცელესტინე V*-მ.

მაგრამ უთანხმოების მიზეზი ფრანცისკანელთა ორდენის ორ მთავარ ფრაქციას, ისევე, როგორც წმიდა ტახტსა და მისტიკოსებს შორის, მეტისმეტად ღრმა იყო. მთელი ქრისტიანობიდან მისტიკოსებს მისაღებად მიაჩნდათ მხოლოდ მისი ჰეროიკული ასპექტი, და რაც უფრო შორდებოდნენ ისინი ამქვეყნიურ სინამდვილეს, რაც უფრო იზოლირებულნი ხდებოდნენ – თავიანთი მკაცრი დისციპლინის წყალობით, – საზოგადოებრივი ცხოვრებისაგან, მით უფრო ღრმად იყვნენ დარწმუნებულნი, რომ თავიანთი მოღვაწეობით ხორცს ასხამდნენ წმიდა ფრანჩესკოსა და სახარებისეულ იდეალს. ისინი უკვე ველარ არჩევდნენ, რა იყო როგორც სარწმუნოების, ისე სათნოების თვალსაზრისითაც ზომიერების კრიტერიუმი. საკმარისი იყო, რომელიმე მონაზონი დაინტერესებულიყო საეკლესიო თუ სახელმწიფო მმართველობის პრობლემებით, ან საერო მეცნიერების შესწავლისათვის მიეყო ხელი, რომ საეჭვო პირად შერაცხილს დაუყოვნებლივ დაეკარგა ყოველგვარი ავტორიტეტი. უთუოდ საგულისხმოა, რომ

* Gregorovius, Gesch. der Stadt Rom. im Mittelalt., t. V.

წმიდა ბონავენტურამ ვერასდიდებით ვერ შესძლო დაეშოშმინებინა ეს მბორგავი სულები. ბონავენტურა თვითონაც მისტიკოსი იყო, მაგრამ მან სქოლასტიკის სკოლა გაიარა და პარიზის უნივერსიტეტში წვრთნიდა შეგირდებს. დიალექტიკისა და ინტერპრეტაციის ხელოვნებამ მასში გონებისადმი პატივისცემა განავითარა, და ამ ჭკვიან კაცს ძალიან დიდი გავლენა ჰქონდა ორდენის საქმიანობაზეც და წმიდა ტახტზედაც. მთელ XIII საუკუნეში, იოანე პარმელის გარდა, ვერ მოძებნიდით ფრანცისკანელთა ვერცერთ თავკაცს, მასზე უფრო დიდი მოწინებით რომ ინახავდა წმიდა ფრანჩესკოს ხსოვნას და შეეძლო ლათინური ქრისტიანობის რეალური ვითარებისათვის მასზე უკეთ მიესადაგებინა დასაბამიერი ასიზური ტრადიცია. მაგრამ ის კარდინალი იყო, რომში დიდად პატივცემული დოქტორი და სწავლული, ყოველგვარი რელიგიური ქიმერის მტერი, ღრმად დარწმუნებული იმაში, რომ აბსოლუტური სიღარიბის თეორიას შეეძლო შეესუსტებინა მთელი ორდენის მნიშვნელობა; და ბოლოს, ის იყო მემკვიდრე იოანე პარმელისა, რომელმაც, მართალია, თვითონვე მიუთითა კაპიტულს მასზე, როგორც ღირსეულ კანდიდატზე, მაგრამ ყველაზე ეგზალტირებული მონაზვნების თვალში ის მაინც უკანონო ბელადად ჩანდა. „ის არჩეულ იქნა გენერლად, – წერს ანჯელო კლარენო, – და მის დროს დაიწყო მეოთხე დევნილობა". ანჯელო მოურიდებლად ადანაშაულებს ბონავენტურას ორპირობასა და სიცრუეში; იოანე პარმელის რელიგიური მრწამსი გამოძიებისას, – გვაუწყებს იგი, – ის „იოანესავით ფიქრობდა, როცა მასთან ერთად იკეტებოდა მისსავ სენაკში, ძმობის თანდასწრებით კი იოანეს სანინააღმდეგოდ ლაპარაკობდა". ერთხელ, ერთი „სპირიტუალის" ქადაგება – მოღალატე პრელატების დაუნდობელი კრიტიკა რომ წაიკითხა, ბონავენტურამ მასში თავისი თავი იცნო და მწარედ ატირდა, რაც ახალი დევნილობის ერთ-ერთ მიზეზად იქცა. როცა იოანეს განაჩენი წაიკითხეს, ბონავენტურას სიბრძნესა და სიწმინდეს ჩრდილი მიადგა; მისი თვინიერება

მრისხანებამ შეცვალა და მან წამოიძახა: „ორდენის ღირსებას რომ არ ვუფრთხილდებოდე, ვბრძანებდი, სამაგალითოდ დაესაჯათ ეს კაცი, როგორც მწვალებელიო“. „სპირიტუალები თავიანთ ექსტაზში ხედავდნენ, როგორ მიიწევდა ბონავენტურა ნათელში მდგომი იოანესაკენ, რათა თავისი რკინის კლანჭებით დაეფლითა, იესო და წმიდა ფრანჩესკო კი ერთობლივად ცდილობდნენ განეიარაღებინათ მკრეხელი*.

მაგრამ „სპირიტუალები“ მჭიდროდ დაირაზმნენ წმიდა ტახტისაგან თავდასაცავად, როგორც იქცევა სექტა, რომელმაც გადანყვიტა თვით განხეთქილებასაც კი არ დაერიდოს და მტკიცედ დაიცვას თავისი დამოუკიდებლობა. სერაფიკულმა მამამ, ოდესღაც სულიერი ცხოვრების თავისუფლება რომ მიანიჭა შვილებს, საგრძნობლად შეასუსტა ჰიერარქიასთან მორწმუნეთა შემაერთებელი კავშირი; თუმცა თვითონ ბოლომდე შეინარჩუნა გულისშემძვრელი მოწიწება ეკლესიის მიმართ და ბავშვურად მიამიტური რწმენა იმ დოგმებისა, რომლებიც ეკლესიის წიაღშია დაცული. ყოველივე ამქვეყნიურის სრულმა უგულებელყოფამ მისტიკოსებს შორის დასაბამი მისცა სარწმუნოებას, რომელსაც საერთო არაფერი ჰქონდა რომის ეკლესიის ქრისტიანიზმთან. ეკლესიის საერო ძლევამოსილებამ, რასაც წმიდა ფრანჩესკოს თვალწინ საფუძველი ჩაუყარა ინოკენტი III-მ, ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ მკაცრი ქრისტიანები, რომლებსაც სიმდიდრეც ეზიზღებოდათ და ძლიერებაც, შიშით და ძრწოლით იყურებოდნენ რომისკენ. ნუთუ ამ ეპისკოპოსს, ესოდენ დიდ მნიშვნელობას რომ ანიჭებს ამქვეყნიურ სიკეთეს, შეიძლება კვლავაც ევანგელური ღმერთის ნაცვალი ერქვასო? – ეკითხებოდნენ ერთმანეთს. აზრადაც არ მოსდიოდათ, რომ, შესაძლოა, სწორედ იმდროინდელი ისტორია განაპირობებდა პაპების ამ დაუოკებელ სწრაფვას ამქვეყნიური სიდიადისა და ძალმოსილებისაკენ. იმ სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში ფრიდრიხ II-ისა და მანფრედის წინააღმდეგ, რომელშიაც ჩაბმულნი იყვნენ პაპები,

---

* Histor. Tribulat., Archiv, t. II, p. 271.

მათ მიაჩნდათ, რომ ინოკენტი III-ის მიერ ჩაყრილ აპოსტოლური ძალაუფლების საფუძველი ჯერ კიდევ არ იყო მყარი. მათთვის სრულიადაც არ კმაროდა მარტოოდენ რომის მბრძანებლობა, მაშინ როდესაც იმპერია ცდილობდა მთელი იტალიის ბატონ-პატრონი გამხდარიყო. გველფების პარტიის ჰეგემონია რომ შეენარჩუნებინათ, მათთვის აუცილებელი იყო გველფური ტოსკანის მხარდაჭერა, ასე რომ, იძულებულნი იყვნენ მთელი თავიანთი ტერიტორიული და სამხედრო ძალმოსილებით განემტკიცებინათ ეს პოლიტიკური ხელშეკრულება. იგივე ითქმის ანჟუსთან მათი კავშირის შესახებ[10]. მას შემდეგ, რაც შვაბიური სახლი საბოლოოდ დაემხო ბენევენტოსა და ტალიაკოცოში, წმიდა ტახტისათვის ცხადი შეიქნა, რომ, უდიდესი ეკონომიური ძლიერების გარეშე, ადვილი შესაძლებელია თავისივე ფრანგი ვასალის კლიენტად ქცეულიყო. უფრო გვიან, მას მოეჩვენა, რომ ფლორენცია შეიძლებოდა სახიფათო მოკავშირედ ქცეოდა, თუკი შარლ დე ვალუას[11] მძიმე ხელით არ ამოსდებდა ლაგამს. და ბოლოს, კლემენტე IV-სა და ბონიფაციუს VIII-ის მღვდელთმთავრობათაშორის პერიოდში[12] წმიდა ტახტმა მოინდომა განთავისუფლებულიყო საიმპერატორო სამართლის ძველი თეორიის კირთებისაგან. 1274 წელს, ლიონის საეკლესიო კრებაზე, გრიგოლ X-მ საკმაოდ ადვილად მიაღწია უდიდეს წარმატებას. რუდოლფ ჰაბსბურგელმა აღიარა საეკლესიო სახელმწიფო და რომსა და პატრიმონიუმში[13] თავისი წინამორბედების ტრადიციულ ძალაუფლებაზე აიღო ხელი; ამასთანავე, სიცილიის მეფედ სცნო შარლ ანჟუელი. გერმანიის დანარჩენ მთავრებთან ერთად მან ქედი მოიხარა პაპის, ამ „უდიადესი მნათობის" წინაშე და განაცხადა, რომ, როგორც კი წმიდა ტახტი უხმობდა, მზად იყო მის დასაცავად ეშიშვლა ხმალი. 1278 წელს იმპერატორმა დაადასტურა ყველა ეს ვალდებულება და, გარდა ამისა, ნიკოლოზ III ორსინის თხოვნით სცნო კაროლინგების ეპოქიდან წმიდა ტახტისათვის ბოძებული მთელი მიწა-წყალი: პენტაპოლისი[14] და „იმპერიის ბაღნარად" წოდებული რომანია. ამრიგად, რომანიის ტირანებმა უცებ იგრძნეს, რომ პაპის სუზერენიტეტს დაექვემდებარნენ; მალე

მღვდელთმთავარმა რომის სენატორის თანამდებობაც ჩამოართვა შარლ ანჟუელს. მაგრამ წმიდა ტახტის ყველა ეს გამარჯვება, რომელთა შედეგებსაც გამუდმებით სადაოს ხდიდა რომის კომუნის ამბოხებები, არამყარი და ილუზორული იყო. რომაელ დიდგვაროვანთა პატივმოყვარეობა, რომელსაც უკვე აღარ ბოჭავდა უცხოელის ხელი, სულ უფრო და უფრო სახიფათო ხდებოდა პაპისათვის[15], ასე რომ, ნეპოტიზმი[16], დინასტიური უსაფრთხოების ეს გარანტია, პონტიფიკური მონარქიისათვის სახელმწიფოებრივ აუცილებლობად ჩანდა.

ნიკოლოზ III-მ თავისი სამფლობელოს უდიდეს სენიორებად აქცია ორსინები. ის ოცნებობდა ლომბარდიასა და ტოსკანაში სამხედრო ტირანიები შეექმნა მათთვის. „მან თავისი ნათესავების საკეთილდღეოდ აღმართა სიონი, როგორც იქცეოდა რომის ბევრი პაპი", – წერს სალიმბენე. „ძალიან უყვარდა თავისინები", – ამბობს პტოლომეო ლუკელი. მას ძალიან უყვარდა ოქროც, ყოველგვარი პოლიტიკური ძლიერების ეს საფუძველთა-საფუძველი. დანტე მას ჯოჯოხეთში ხვდება სიმონიაკოსებთან ერთად. „მე ისე ხარბად მიველტვოდი ჩემი ბელების[17] დამდიდრებას, რომ იქ, ზემოთ, ყოველნაირად ვცდილობდი გამეჯეჯგა ჩემი ქისა, აქ კი ამ ჯურღმულში ვარ დანთქმული"[18].

დანტეს მიერ შეჩვენებული ეს პაპი არც მინორიტებს მიაჩნდათ იმის ღირსად, რომ ღვთის ეკლესიის სათავეში მდგარიყო. აქედან მოყოლებული, მისტიკოსთა სულში თანდათანობით მწიფდება განხეთქილება, რომელიც მთელი სიცხადით თავს იჩენს მხოლოდ ბონიფაციუს VIII-ის შემდეგ. ჭეშმარიტი ეკლესიის მისტიკოსებისეულ გაგებას თვალნათლივ წარმოგვიჩენს იოანე XXII-ის 1318 წლის ბულა: „მათი წარმოდგენით, არსებობს ორი ეკლესია – ერთი ხორციელი, ფუფუნებაში ჩამხრჩვალი, განცხრომაში ჩამყაყებული და ბიწიერებით შესვრილი, რომელსაც, მათი სიტყვებით, პაპი მართავს; მეორე – სულიერი და, თავისი სიღარიბის წყალობით,თავისუფალი". მისტიკოსთა ეს მეორე ეკლესია კარგა ხანს ელოდა წმიდა ტახტისაგან განსხვავებულ მმართველობას, ვიდრე 1328 წელს ანტიპა-

პად (ნიკოლოზ V) არ აირჩიეს მინორიტი პიეტრო დი კორბარა. მაგრამ უკვე მთელი საუკუნის მანძილზე ის ელოლიავებოდა ანჟელო კლარენოს მიერ გამოხატულ გრძნობებს. ის წერს, რომ წმიდა ფრანჩესკოს ესეც უნინასწარმეტყველებია: „მოვა დრო, როცა პაპის ტახტზე დაჯდება უკანონოდ არჩეული კაცი, უმართებულოდ რომ ფიქრობს ქრისტეს ცხოვრებასა და წესდებაზე, მის მიერ ჩემი მეშვეობით რომ მიეცა ჩემსავე შვილებს და დამტკიცებულ იქნა ეკლესიის მიერ. და თუ ეს პაპი თავისი დეკრეტებით საეჭვოს გახდის ზოგიერთ ეჭვშეუვალ ჭეშმარიტებას და მწვალებლობად შერაცხავს იმას, რასაც ეკლესია, სწავლულები და წმიდათა წესი ერთობლივად გვთავაზობენ როგორც კათოლიკური სარწმუნოების დოგმებს და ყოველგვარი სრულქმნილების ზღვარს, – მას არავინ განსჯის, მაგრამ თვითონვე განისჯის თავს თავისი დეკრეტებით, რომლებსაც თვითნებურად გამოაქვეყნებს წმიდათა მოძღვრებისა და ეკლესიის მიერ აღიარებული წესების წინააღმდეგ თავისი ძალაუფლების სახელით"*.

II

ორთოდოქს ფრანცისკანელებსა და „კონვენტუალებს" შორის დაზავება ისევე ძნელი იყო, როგორც მისტიკოსებსა და წმიდა ტახტს შორის. ელია კორტონელის მონაზვნური ტრადიციის ერთგულ მონაზონთა აზრით, რომი უფრო სწორად განმარტავდა სახარებას, და მძიმე სინანული, ფერფლის სარეცელი და შავი პური სულაც არ იყო აპოსტოლური ცხოვრების საუკეთესო დასტური. თავიანთი ძმების ულმობელ სიმკაცრეს ისინი პასუხობდნენ ზიზღით, რასაც მდიდრები არცთუ იშვიათად ავლენენ უბედურთა და მეამბოხეთა მიმართ. ყოველთვის, როცა ზურგსუკან ძალას გრძნობდნენ, ისინი სასტიკად უსწორდებოდნენ თავიანთ მტრებს, დაუნდობლად სდევნიდნენ მათთვის საძულველ მოძღვრებას, და რაკი თეოლოგების დაწვას

* Archiv, t. I, fasc. 4, p. 566-567.

ვერ ბედავდნენ, თუმცა საშინლად კი აწამებდნენ მათ, ჯერჯერობით მხოლოდ მათ წიგნებს წვავდნენ. იოანე პარმელის დამხობიდან მოყოლებული, ფრა ანჯელოს „Historia Tribulationum" ნამდვილ მარტიროლოგიად იქცევა.

ნიკოლოზ IV-ისა და ბონიფაციუს VIII-ის დროს მონაზონთა ურთიერთმტრობის ტიპიური მსხვერპლია პიერ ჟან დ'ოლივი, ბეზიეს დიოცეზის მონაზონი, პარიზის უნივერსიტეტის აღზრდილი*. ბევრს წერდა, ყველა თავისი თხზულების დაგმობას მოესწრო და იძულებულიც კი იყო თავისი ხელით დაეწვა ზოგიერთი მათგანი. არც ისე მკაცრად იქნა დასჯილი ორდენის რამდენიმე გენერლის – გერონიმო დ'ასკოლის (მომავალი პაპი ალექსანდრე IV), ბონაგრაციასა და არლოტო და პრატოს მიერ, ჯერ სტრასბურგში, შემდეგ კი ავინიონსა და პარიზში. 1292 წელს, პარიზში, იძულებული შეიქნა ახსნა-განმარტებით წამდგარიყო მთელი გენერალური კაპიტულის წინაშე, რომელსაც რაიმონდ გოფრიდი თავმჯდომარეობდა. მშვიდად მიიცვალა ნარბონის მონასტერში 1298 წელს, მას შემდეგ, რაც აღიარა კათოლიკური სარწმუნოება და მორჩილება პაპ ბონიფაციუს VIII-სადმი. რამდენიმე წლის განმავლობაში მისი გარდაცვალების დღეს დიდი ზარზეიმით აღნიშნავდა პროვანსის სამღვდელოება და მდაბიო ხალხი. მაგრამ უფრო გვიან, იოანე XXII-ის მღვდელთმთავრობისას, დევნა დაუწყეს იმ მონაზვნებს, რომლებიც, ამდენი გმობის მიუხედავად, კვლავ განაგრძობდნენ მისი თხზულებების კითხვას. ფორმალურად დასდეს ბრალი მწვალებლობაში, საფლავიდან ამოთხარეს და დაწვეს მისი ცხედარი.

დ'ოლივის ეკუთვნის ორი ტრაქტატი – „De Paupere usu"[19] და „De Perfectione evangelica"[20], რომლებსაც ჩვენამდე არ მოუღწევია, აგრეთვე შესაქმის, ფსალმუნების, ქებათა-ქების, წმიდა ოთხთავისა და აპოკალიპსის კომენტარები, ტრაქტატი „პაპისა და საეკლესიო კრების ძალაუფლებისათვის" და წმიდა ფრანჩესკოს წესდების გადმო-

---

* Hist. littér. de la France, t. XXI, p. 41. Ehrle, Archiv, t. III, p. 409.

ცემა, რომელთა ხელნაწერებიც დღემდე შემოგვრჩა. სიღარიბის მისეული წარმოდგენა, რეზიუმირებული „Historia Tribulationum"-ის ავტორის მიერ, სავსებით ნათელია. ის ნებას რთავს მონაზვნებს მხოლოდ იმდენი ჭამონ, რამდენიც საჭიროა არსებობის შესანარჩუნებლად, და მარტოოდენ ის ნივთები – ვთქვათ, ბრევიარიუმი, წმიდა შესამოსელი და სხვა მისთანანი იქონიონ, რაც აუცილებელია ღმრთისმსახურების აღსასრულებლად. ის უკრძალავს მონაზვნებს ფრანცისკანულ სასაფლაოებზე ადგილების გაყიდვას და ნაანდერძევი ქონების გამოყენებას. მისი მოძღვრების ძირითადი იდეა პირწმინდად ჯოაკინისტურია. ამას მოწმობენ მისი ცენზორებიცა და აპოლოგეტებიც. მას მიაჩნდა, რომ ეკლესია მომავალში გაცილებით უფრო სრულქმნილი იქნებოდა, და ამტკიცებდა, რომ ამ სრულქმნილების წინამორბედი იყო წმიდა ფრანჩესკო, რომელმაც გარდაქმნა მონაზვნობა და, ამრიგად, დააჩქარა ამ ნეტარი დროის მოახლოება. ის კვლავ უბრუნდებოდა ანგელოზის ჯოაკინოსეულ ხილვას, ანგელოზისა, რომელსაც ხელში მარადიული სახარება ეჭირა. ნიკოლოზ ეიმერიკს თავის „Directorium Inquisitorum"[21]-ში საგანგებოდ მოაქვს დ'ოლივის თხზულებებიდან ამოკრებილ მწვალებლობათა ნუსხა. შემდეგი ფრაგმენტი მარადიული სახარების ტრადიციას მოგვაგონებს, თუმცა საგრძნობლად კია გამძაფრებული: „წმიდა ფრანჩესკოს წესდება ჭეშმარიტად ევანგელური კანონია. ფრაცისკანელთა კანონს უარყოფს ხორციელი ეკლესია, ზუსტად ისევე, როგორც ქრისტიანთა კანონი უარიყოფა სანიგოგის მიერ. იმისათვის, რომ ხორციელი ეკლესია ღირსი გახდეს თავისი ნგრევისა, მან უნდა ჰგმოს წმიდა ფრანჩესკოს ევანგელური კანონი, რომელიც ბერძნებს, ებრაელებსა და სარაცინებს შორის უფრო დიდ წარმატებას ჰპოვებს, ვიდრე ლათინთა ხორციელ ეკლესიაში. ეს ეკლესია, უნივერსალურ, კათოლიკურ და მეომარ ეკლესიად რომ იწოდება, სხვა არა არის რა, თუ არა უწმინდური ბაბილონი, დიდი მეძავი – meretrix magna, თავისი სიმონიის, ქედმაღლობისა და ათასი ბინის წყალობით რომ

მიილტვის ჯოჯოხეთისკენ. დღესდღეობით ქრისტიანული სიბრძნის სულიერი ბჭე შეიძლება გახსნილ იქნეს მხოლოდ მომავალი სრულქმნილების მცოდნეთა მიერ, გაცილებით უფრო ფართოდ, ვიდრე ეს შესძლეს ძველი დროის მოციქულებმა". უფრო გვიან, როცა ფრატიჩელთა ამბოხით გამონვეული ქარიშხალი უკვე ჩადგა, ეკლესიამ გაცილებით უფრო მეტი შემწყნარებლობა გამოიჩინა პიერ ჟან დ'ოლივის მიმართ, რომელსაც ნმიდა ანტონინუსმა ქება შეასხა მისი ორთოდოქსულობისა და მორჩილების გამო, ხოლო სიქსტე IV[22]-მ, ფრანცისკანელმა პაპმა, მისი ნიგნების კითხვის ნებაც კი დართო მონაზვნებს. მაგრამ „Historia Tribulationum" გვაუწყებს, რა უკიდურსობაში ვარდებოდნენ იტალიელი „კონვენტუალები" პიერ დ'ოლივის უშუალო მონაფეების წინააღმდეგ ბრძოლისას. ერთ მათგანს – პონციუს დი ბუონტუგატოს, უარი რომ განაცხადა ინკვიზიციისათვის ჩაებარებინა მასწავლებლის თხზულებები, ქედზე ჯაჭვი დაადეს და ბნელსა და ვიწრო საკანში უკრეს თავი, ჯაჭვი კი კედელს მოამაგრეს ბოლოებით. აქ მისთვის მიჰქონდათ „panem artum et aquam brevem"[23]. წელში მოხრილი და თავისი დილეგის სიბინძურით სულშეხუთული „გულმხნედ და სიყვარულით ანთებული" უცდიდა სიკვდილს. იგივე ხვედრი ელოდა ტომაზო დი კასტელდემილიოს. ზოგიერთი მათგანი (როგორც, მაგალითად, პოსტრო დი მაჩერატა), რომლებსაც სამუდამო პატიმრობა მიუსაჯეს და ბრევიარიუმი, აღსარებისა და საეკლესიო წესით დაკრძალვის უფლება ჩამოართვეს, – დროულად იქნა განთავისუფლებული ორდენის გენერლის – რაიმონდ გოფრიდის მიერ. განთავისუფლებულებმა ითხოვეს აღმოსავლეთში წასვლის ნება მიეცათ მათთვის, რადგანაც დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სარაცინებში მეტ გულმოწყალებასა და თავისუფლებას ჰპოვებდნენ, ვიდრე თანამოძმეთა შორის.

ამრიგად, XIII საუკუნის დამლევს დასრულდა განხეთქილება იტალიელ ფრანცისკანელთა შორის: ერთ მხარეს აღმოჩნდნენ ის მონაზვნები, აბსოლუტურ სრულქმნილე-

ბას რომ მიელტვოდნენ, მეორეზე კი– ზომიერი და კეთილგონიერი მორწმუნენი, რომლებსაც გაცილებით უფრო მოკრძალებული პრეტენზიები ჰქონდათ და სულის ხსნისათვის, ეკლესიის მაგალითისამებრ, ნაკლებად ნარეკლიანი გზა აირჩიეს. ყოველივე მინიერის უგულებელყოფა ნიშნეული იყო ტერციარიუსთა ორდენის ბევრი წევრისთვისაც, რომლებიც ყოველნაირად ცდილობდნენ თავი აერიდებინათ თავიანთი საზოგადოებრივი მოვალეობებისათვის და ხალხმრავალ ქალაქებშიაც მონასტრების ეგოისტურ სიმშვიდესა და სიმყუდროვეს მიელტვოდნენ. 1289 წელს პაპმა ნიკოლოზ IV-მ თავისი ბულით „Supra Montem"[24] განაახლა ტერციარიუსთა, ანუ „სინანულის ძმათა" კონსტიტუცია, რომელთა პირველი წესდებაც წმიდა ფრანჩესკოს სიკვდილიდან ხუთი თუ ექვსი წლის შემდეგ იქნა შედგენილი. 1290 წლის ბულით „Unigenitus"[25] მან დაავალა ორდენის ვიზიტორებს თვალყური ედევნებინათ მისი წევრებისათვის, რომლებიც თავისუფლდებოდნენ თავიანთი ეპისკოპოსების ინკვიზიციისაგან და, ამრიგად, თითქოს რელიგიურ დაწესებულებას ქმნიდნენ. ამ ახალი წესის წყალობით, მოქალაქეთა მნიშვნელოვანი ნაწილი ყველა კომუნაში ფრანცისკანელთა თავკაცებს, მათი მეშვეობით კი წმიდა ტახტს ემორჩილებოდა. ფლორენციის ეპისკოპოსისადმი მიმართულ ნიკოლოზ IV-ის 1291 წლის ბულის – „Ad Audientiam"[26] – მიხედვით ჩვენთვის ნათელი ხდება, რა მალე იჩინა თავი განხეთქილებამ თვით ტერციარიუსებს შორის; ზოგიერთები, რომლებიც არ დაემორჩილნენ ბულას „Supra Montem", თავიანთი ეპისკოპოსების ირგვლივ გაერთიანდნენ და ძველი წესრიგისადმი ერთგულების ჯილდოდ გარკვეული პრივილეგიები – უწინდელი კონფრერიების უძრავ-მოძრავი ქონება მიიღეს. ამიტომ პაპმა იმ ტერციარიუსებს დაუჭირა მხარი, რომლებმაც უფრო მეტი მორჩილება გამოიჩინეს წმიდა ტახტის მიმართ, და რომლებიც ფლორენციის ეპისკოპოსისა და სამრევლო სამღვდელოების თვალში ნამდვილ განდგომილებად ჩანდნენ. იტალიური ეპისკოპატის ეს ნი-

ნააღმდეგობა ნიკოლოზ IV-ის რეფორმების მიმართ იმ ბრძოლის ერთ-ერთ ნიშანდობლივ ინციდენტად გვევლინება, სეკულარულმა ეკლესიამ რომ გააჩაღა მწირი ბერების ორდენთა წინააღმდეგ. მეორეს მხრივ, ამავე კრიზისის განმავლობაში თავს იჩენს არანაკლებ სერიოზული კონფლიქტი სამოქალაქო საზოგადოებასა და „სინანულის ძმებს" შორის. სახელმწიფოს დამოკიდებულება ამ უზარმაზარი რელიგიური თემის მიმართ ძალიან რთული იყო. ტერციარიუსები ოდითგანვე თავს არიდებდნენ სამხედრო სამსახურს, ფეოდალურ მოვალეობებსა და საზოგადოებრივ თანამდებობებს. პაპების მუდმივი საზრუნავი იყო მათი განთავისუფლება კომუნალური კანონის მოთხოვნებისგან. გრიგოლ IX მკაცრად განსაზღვრავს იმ შემთხვევებს, როცა მათ შეუძლიათ ფიცი დადონ და მონაწილეობა მიიღონ თავ-თავიანთი ქალაქების სადღესასწაულო ღონისძიებებში. ნიკოლოზ IV „აპოსტოლური ტახტის შემწყნარებლობის ძალით" ამტკიცებს ამ გამონაკლისებს სამოქალაქო განდგომილების საერთო წესიდან. გარდა ამისა, ის განაახლებს ტერციარიუსებისათვის ბოძებულ პრივილეგიებს – საკუთარი ნება-სურვილით გამოიყენონ თავიანთი ავლადიდება ღარიბებისა და ეკლესიის სასარგებლოდ და სახელმწიფოსა და თავიანთივე ოჯახების საზიანოდ, რომლებისთვისაც ეს მკაცრი ქრისტიანები, ევანგელური სიღარიბის სახელით, მოწყალებასა და ლუკმა პურს არ იმეტებენ*.

III

ამ ეგზალტირებულ ფრანცისკანელებს, რომლებსაც მათი იდეალი სულ უფრო და უფრო აშორებდა ამქვეყნიურ სინამდვილეს, უდაბნოში გაქცევა და განმარტოება, ალბათ, ნამდვილ ნეტარებად ეჩვენებოდათ. ამიტომაც ისინი კვლავ მიუბრუნდნენ წმიდა რომუალდისა და წმიდა ნილის

---

* K. Müller, Die Anfänge des Minoritenord. und der Bussbruderschaften, ch. III.

ძველისძველ ტრადიციებს. ისინი ტყეებს, რომანული კამპანიის სტეპებსა თუ აპენინის უდაბურ ხეობებს აფარებდნენ თავს, ლერწმის ქოხებში იდებდნენ ბინას, ლოცულობდნენ და ელოდნენ, როდის მიართმევდათ უფალი ღმერთის მიერ მოვლენილი ყორანი არსობის პურს, ზუსტად ისევე, როგორც ლეგენდარული ეპოქის ეგვიპტელსა თუ სირიელ განდეგილებს. XIII საუკუნის დამლევს ერთმა აბრუცოელმა გლეხმა, სახელად პიეტრომ, გონებაშეზღუდულმა ფანატიკოსმა, თავის ქოხში, მურონის მთაზე, სულმონის მახლობლად, რამდენიმე გაქცეული ფრანცისკანელი შეიფარა. მთელი იტალია ამ მეუდაბნოის სინმინდეზე ლაპარაკობდა. ერთხელ, თვით გრიგოლ X-ის თანდასწრებით, ახალი რელიგიური თემის ამ ფუძემდებელმა მზის სხივზე ჩამოჰკიდა თავისი ქიტონი, მაგრამ ეს სასწაული გაცილებით უფრო ნაკლებ საოცარია, ვიდრე თვით პიეტროს არჩევა პაპად. ნიკოლოზ IV-ის სიკვდილის შემდეგ[27] შეკრებილი კონკლავი, ორად რომ გაიყო ორსინებსა და კოლონებს შორის, ანარქიით დამფრთხალი, რომელიც მთელი ორი წლის მანძილზე მძვინვარებდა რომში, რიეტიში გაიქცა, 1293 წელს კი კვლავ შეიკრიბა პერუჯაში. ეკლესია, რომელსაც რევოლუციური სენატი მართავდა და, იმავდროულად, შარლ ანჟუელიც ემუქრებოდა, სულ ახლოს იყო სქიზმასთან. მაშინ კარდინალ ლატინო ორსინის უჩვეულო აზრი დაებადა – წმიდა კოლეგიისათვის შეეთავაზებინა მურონელი განდეგილი აერჩიათ პაპად, ვისი წინასწარმეტყველური ხილვებიც მთელ ნახევარკუნძულს აღელვებდა. 1294 წლის 5 ივნისს პიეტრო არჩეულ იქნა. კონკლავის მიერ წარგზავნილმა სამმა ეპისკოპოსმა რის ვაივაგლახით მიაკვლია უდაბურ ხეობაში, რომელსაც ის თავს აფარებდა, რათა პაპად არჩევა ეხარებინათ მისთვის. უბადრუკ ქოხში, რომელშიაც ცხაურიანი ვიწრო ფანჯრიდან შემოდიოდა სინათლე, მათ დახვდათ ჩამოძონძილი, მარხულობით სახეჩამომჭკნარი და ცრემლებით თვალებჩაწითლებული გრძელწვერა ბერიკაცი. ეპისკოპოსებმა ქუდები მოიხადეს და მონიწებით მოიყარეს მუხლი მის ნი-

ნაშე. პიეტროს ეგონა სასწაულებრივ ჩვენებას ვხედავო და თვითონაც მოიყარა მუხლი. მაშინ ეპისკოპოსებმა მოახსენეს, დღეის იქით პაპი ხარო და თან პერგამენტზე დაწერილი ოქმი გადასცეს, მის არჩევას რომ იუწყებოდა. შეძრწუნებულმა პიეტრომ გაქცევა დააპირა, მაგრამ მისმა თანამოაზრეებმა, რომლებმაც ეს არჩევა ჯოაკინოს წინასწარმეტყველების ახდენად აღიქვეს, ძალით მიაღებინეს ტიარა. რომისაკენ მიმავალ ახალ პაპს მთის თხემზე შარლ ანჟუელი შეეგება, თავისი ვაჟის, უნგრეთის ტახტის პრეტენდენტის, ბარონების, სამღვდელოებისა და ურიცხვი ბრბოის თანხლებით. კორტეჟი აკვილაში შევიდა. ჯერ კიდევ თავისი ძონძებით მოსილი პაპი ვირზე იჯდა, რომლის სადავეც ორ მეფეს ეჭირა. სწორედ ამ დროს პერუჯაში მისი არჩევის მოთავე კარდინალი ორსინი სულს ებრძოდა. პიეტრომ წმიდა კოლეგიას უბრძანა, აკვილაში ხლებოდნენ მას, და კარდინალები, რომელთა შორისაც იყო გოროზი ბენედიკტე გაეტანი, მომავალი ბონიფაციუს VIII, აკვილაში ჩავიდნენ, რათა თავიანთი თვალით ენახათ ეს „პაპი-მუმია“, რომელსაც ისინი გრიგოლ VII-ისა და ინოკენტი III-ის ტახტზე უპირებდნენ დასმას.

1294 წლის 24 აგვისტოს ფრა პიეტრო ცელესტინე V-ის სახელით პაპად აკურთხეს. მისი ხანმოკლე მღვდელთმთავრობა ერთ-ერთი ყველაზე საოცარი ფურცელია ეკლესიის ისტორიაში. დროს რომ ხელი შეეწყო და პოლიტიკური გამჭრიახობაც გამოეჩინა, ადვილი შესაძლებელია მთელი საქრისტიანო შეეძრა. მაგრამ იმთავითვე შარლ ანჟუელის ხელში აღმოჩნდა, რომელმაც, კარდინალების წინააღმდეგობის მიუხედავად, ნეაპოლში წაიყვანა იგი. დიდი ქალაქის გნიასითა და ფუჭი ფუსფუსით გაოგნებული ცელესტინე რამდენიმე კვირით ჩაიკეტა „კასტელნუოვოს“ სენაკში, „ხოხბის მსგავსად, ფრთებქვეშ რომ ამოიდებს თავს და ჰგონია, მონადირეებს დავემალეო“. ტახტზე ასვლისას თავი სიზმარში ეგონა, ახლა კი ენით უთქმელმა შიშმა შეიპყრო. სინანულით იგონებდა მურონის უდაბური ხეობის სიმშვიდეს და სიმყუდროვეს, აპენინის მწვერ-

ვალთა წმინდა მდუმარებას, თავის ხანგრძლივ საუბრებს ღმერთთან და იმ ნეტარ წუთებს, როცა არაფერი არ ამღვრევდა ამქვეყნიური სინამდვილის მის ჭეშმარიტად ბავშვურ არცოდნას. ხუთი თვის განმავლობაში ებრძოდა თავის შიშს, ბოლოს კი კარდინალ გაეტანის ვერაგულ რჩევას დაჰყვა და გადაწყვიტა პაპობაზე უარი ეთქვა. 13 დეკემბერს, მას შემდეგ, რაც კონსისტორიუმში წინასწარ ნაიკითხა ბულა, სანქციას რომ აძლევდა გადადგომის აქტს, ცელესტინემ უარი განაცხადა უზენაეს საეკლესიო ძალაუფლებაზე, მაშინ როდესაც ამბოხებული განდეგილები და ფრატიჩელები ამაოდ ცდილობდნენ როგორმე შეეცვლევინებინათ გადაწყვეტილება. კარდინალების თანდასწრებით მან მოიხსნა პაპის მანტია და კვლავ თავისი ძველი ქლამიდა მოისხა. მაგრამ ბონიფაციუს VIII-მ ტახტზე ასვლისთანავე გადაწყვიტა საერთოდ მოეცილებინა თავიდან ეს მწირი პაპი, რომელიც რელიგიურსა თუ პოლიტიკურ არეულობას შეიძლებოდა კვლავ ჩაეყენებინა ეკლესიის სათავეში, და რომლის არსებობაც მას, ბონიფაციუსს, მონაზონთა თვალში ანტიპაპად ხდიდა. ცელესტინე V-მ, აპულიის მთებში ნადირივით რომ გაურბოდა მისი მემკვიდრის მიერ წარგზავნილ მდევრებს, რის ვაივაგლახით მიაღწია ზღვის ნაპირს და დააპირა მეთევზის ნავით მისდგომოდა დალმაციას, მაგრამ გრიგალმა იტალიაშივე დააბრუნა იგი. იქაურებმა, სადაც ცელესტინე ზღვამ გამორიყა, თაყვანი სცეს და შეევედრნენ კვლავ პაპად გამოეცხადებინა თავი. მაგრამ ცელესტინემ ყურად არ იღო მათი თხოვნა და თავისი ნებით ჩაბარდა იქაურ პოდესტას, რომელმაც ნეაპოლის მეფეს გადასცა იგი. 1295 წლის მაისში შარლ II-ის კონეტაბლმა პაპის ოლქის საზღვრამდე მიაცილა ყოფილი მღვდელთმთავარი. ბონიფაციუს VIII-მ ადვილად დაითანხმა ბებერი განდეგილი, სამუდამო პატიმრობა ერჩია. ალატრის მახლობლად ქარაფზე აღმართულ ციხე-კოშკში ჩაკეტეს. მისი საკანი ისე ვიწრო იყო, რომ დაძინებისას საკურთხეველზე უნდა მიედო თავი, რომელზედაც მანამდის წირვას ას-

რულებდნენ. მომდევნო წელს გარდაიცვალა. საკმაოდ ევნო და ეწამა, რათა მარტვილის საკადრი პატივი მიეგოთ მისთვის. 1313 წელს ეკლესიამ წმიდანად შერაცხა. მაგრამ დანტემ ვერასდიდებით ვერ აპატია ის, რომ გაეტანის დაუთმო თავისი ტიარა. ამიტომაც ჯოჯოხეთში მოათავსა, იმ სულებს შორის, რომლებმაც „დიდებისა და სირცხვილის გარეშე“ გალიეს წუთისოფელი, და რომლებსაც „ვერც ღვთის გულმოწყალება ამჩნევს და ვერც მისი სამართლიანობა“,

l'ombra di colui,
Che fece per viltate il gran rifiuto.* [28]

IV

ცელესტინე V-მ ეკლესიას დაუტოვა თავისი ხსოვნის ორი შურისმგებელი: ახალი რელიგიური ორდენი, რომელსაც „Pauperes heremitae domini Celestini“[29] ეწოდა, და პოეტი ჯაკოპონე დი ტოდი. ცელესტინელთა ორდენი, არსებითად, სხვა არა იყო რა, თუ არა ფრა პიეტროს ძველი ანონიმური თემი, რომელსაც შეუერთდნენ პიერ ჟან დ'ოლივის უკანასკნელი მოწაფეები. მალე მთელი საძმო იძულებული შეიქნა საბერძნეთში გახიზნულყო, რათა ბონიფაციუს VIII-ის დევნისაგან დაეხსნა თავი. ცელესტინელები ერთხანს მშვიდად ცხოვროვდნენ მორეის სანაპიროზე, ლეპანტოს სრუტესთან, თესალიაში და არქიპელაგის კუნძულებზე. მაგრამ მინორიტებმა, ვაჭრებისაგან რომ გაიგეს ამ განდეგილთა ცხოვრების ნესი, რომლებიც პირს არ აკარებდნენ ხორცს, არ სვამდნენ ღვინოს და, კაცთაგან განშორებულნი, არც წირვას უსმენდნენ და არც პაპსა და ეკლესიას სცნობდნენ, – ლათინი ეპისკოპოსებისა და ბარონების წინაშე დააბეზღეს ისინი. ამ მითქმა-მოთქმის უმეტესი ნაწილი მტკნარი სიცრუე იყო, მაგრამ მან ბონიფაციუს VIII-ის ყურამდე მიაღწია და პაპმა კონსტანტინოპოლის პატრიარქსა და ათენისა და პატრასის

* Inf., III, 59.

არქიეპისკოპოსებს უბრძანა კათოლიკური ეკლესიისათვის დაებრუნებინათ ცელესტინელები. მონაზვნებმა, ერთი ზარზეიმითა და ნეგრეპონტის ეკლესიის ზარების რეკვით რომ გამოაცილეს ბერძნებმა, გადაწყვიტეს თავიანთი თავკაცის – ფრა ლიბერატოს წინამძღოლობით დაბრუნებულიყვნენ რომში, რათა უშუალოდ პაპის წინაშე ემართლათ თავი. როდესაც მინორიტთა ორდენის გენერალმა გაიგო, რომ ისინი ნეაპოლის სამეფოს უდაბურსა და უკაცრიელ ადგილებს აფარებდნენ თავს, მათი შეპყრობა ბრძანა, რათა ინკვიზიტორ ტომაზო ავერზელისათვის განსასჯელად გადაეცა ისინი. ეს უკანასკნელი დომინიკანელთა ორდენის წევრი იყო, ნიკოლოზ IV-ის მღვდელთმთავრობისას რომ გაასამართლეს წმიდა ფრანჩესკოს სტიგმატთა[30] უგვანი სიტყვით ხსენებისათვის და ქადაგების უფლება ჩამოართვეს. მან დაუყოვნებლივ გაამართლა საბრალო ცელესტინელები, ურჩია, ღამის სიბნელით ესარგებლათ და სასწრაფოდ მიმალულიყვნენ, თანაც აღუთქვა, რომ პაპის საბჭოს წინაშე სიტყვას შეაწევდა მათ. ფრა ლიბერატომ ვიტერბოს მახლობლად დალია სული. ცელესტინელთა ორდენი ისევე ეფემერული იყო, როგორც ცელესტინეს პაპობა. მაგრამ განხეთქილების თესლი, თავიანთი თავკაცის ხელიდან რომ მიიღეს მურონელმა ანაქორეტებმა, XIV საუკუნის ფრატიჩელებმა შეაგროვეს, და მან თავისი ნაყოფი გამოიღო. ანჯელო კლარენო გადმოგვცემს, რომ ცელესტინე V-მ პაპად არჩევისთანავე ფრანცისკანელთა თავკაცის მორჩილებისაგან გაათავისუფლა თავისი საძმო და ამ მეოცნებეთა მართვისათვის მთელი თავისი აპოსტოლური ძალაუფლება უბოძა ფრა ლიბერატოს. არსებითად, ეს სხვა არა იყო რა, თუ არა მიამიტური აღიარება რელიგიური ჯანყის უფლებისა. ამიტომაც იყო, რომ ბონიფაციუს VIII-ის აღზევებისთანავე მთელს იტალიაში სული წმიდის სახელით დაიწყო პატარა სექტების ჩამოყალიბება და ისეთივე

ანარქიამ იჩინა თავი, ორმოცი წლის წინათ, ჯოაკინიზმის გაფურჩქვნის ჟამს რომ ამღვრევდა ეკლესიას*.

მაგრამ მშფოთვარე სექტანტთა მთელი ეს სამყარო თითქმის შეუმჩნეველი დარჩებოდა ბონიფაციუსის მღვდელთმთავრობის ტრაგიკულ ისტორიაში, ერთი უცნაური პოეტი, ფრა ჯაკოპონე დი ტოდი რომ არ ქცეულიყო წმიდა ტახტის წინააღმდეგ დაგროვილი რელიგიური და პოლიტიკური სიძულვილის გამომხატველად. მესსერ ჯაკომო ბენედეტი საკმაოდ გვიან მიიქცა მისტიური ცხოვრების მიმართ. დაიბადა 1230 წელს უმბრიისა და საეკლესიო ოლქის საზღვარზე. სწავლობდა სამართალს, დოქტორის წითელი მანტია დაიმსახურა და ერთხანს ადვოკატის ხელობას მისდევდა. იმხანად მას იცნობდნენ როგორც გულქვა, ქედმაღალ, ხარბსა და ურწმუნო კაცს**. ოჯახურმა უბედურებამ ნერტილი დაუსვა მის კარიერას. მისი ცოლი, რომელიც გიბელინური ოჯახიდან იყო, 1268 წელს, სახალხო დღესასწაულისას მოულოდნელად ჩამონგრეულმა ესტრადამ გასრისა. აღმოჩნდა, რომ ძვირფასი კაბის ქვეშ ქალს თურმე ძაძები ეცვა. ეს საკმარისი აღმოჩნდა საიმისოდ, რომ მესსერ ჯაკომო ღმერთს მიბრუნებოდა. სამუდამოდ დაემშვიდობა იურისპრუდენციას, მთელი თავისი ავლადიდება ღარიბ-ღატაკებს ჩამოურიგა, მხრებზე ჯვალოს კაპიუშონიანი მოსასხამი მოისხა და წმიდა ფრანჩესკოს განდეგილ-ტერციარიუსად იქცა. ათწლიანი სინანულის შემდეგ, როგორც ძმა, მინორიტთა ორდენში შევიდა. მისი ღვთისმოსაობა საკმაოდ უჩვეულო იყო: ის იმეორებდა თითქმის ყველა ექსცესს, რითაც წმიდა ფრანჩესკო აღნიშნავდა ოდესღაც თავის განდგომას ამქვეყნიური სინამდვილისგან: ნახევრად შიშველი დადიოდა, დაოთხილი, ვირივით ლაგამამოდებული და დასაპალნებული; ან კიდევ ფისს წაიცხებდა ტანზე, მერე ბუმბულის

---

* Histor. Tribulat., Archiv, t. II, p. 309. Dom Luigi Tosti, Stor. di Bonif. VIII, Roma, 1886, t. I, p. 205.

** nb. D'Ancona, Jac. di Todi, il giullare di Dio, Nuov. Antol., 15 mai e 1er juin, 1880.

გროვაში გაგორდებოდა და ასე გადიოდა ხალხში, რომელიც დასცინოდა და მასხრად იგდებდა, სწორედ მაშინ იყო, ჯაკოპონე რომ შეარქვეს სათრეველად. ღამღამობით, ყველასგან მალულად, ქვითინებდა, მკერდში იცემდა მჯიღს და ლოცულობდა. ეს ავადმყოფური ღვთისმოსაობა, ეს სიშლეგე „ქრისტეს გულისთვის" სულაც არ ჩანდა რაღაც უჩვეულოდ იმათ თვალში, ვისაც ჯერ კიდევ ახსოვდა ფლაგელანტების დამთხვეულობა. მაგრამ ჯაკოპონე, გარდა ამისა, „ღვთის მომღერალიც" იყო; თავის თავსვე უქადაგებდა, თავის ღმერთსა და თავის სინანულს ადიდებდა ისეთივე ლაღი, უცნაური და ტლანქი ენით, როგორიც იყო ამ ენით გამოხატული მისტიური თეოლოგია. „საომრად მიმავალს წინ დიდი ღვანლი მელის; შეენიე, უფალო, ჩემს გამარჯვებას. ვნებიანად შევიყვარებ ჯვარს და მასზე ვილოცებ, რათა სიშლეგით აღმანთოს. სულთმობრძაობის სიხარულში ვპოვებ სიმშვიდეს და ბედნიერებას... ვნახოთ, შევძლებ თუ არა, ჩემს მიერ არჩეული გზით შევიდე სასუფეველში, რათა დავტკბე ზეციური გალობითა და მარადისობის ღიმილით. უფალო, მომეც იმისი ძალა, რომ შევიცნო და ამ ქვეყნადვე აღვასრულო შენი ნება, მერე კი გინდ მიხსენი და გინდ შემაჩვენე". ეს გულგრილი დამოკიდებულება ხსნისადმი სრულიად ახალი რამ გახლავთ შუა საუკუნეების მისტიკოსისთვის, რაც გვიმოწმებს ჯაკოპონეს მეამბოხურ განწყობილებას. „მე ჯოჯოხეთი ვთხოვე შემოქმედს, რადგანაც ღმერთი მიყვარდა, ჩემი თავი კი წარსაწყმედად მემეტებოდა; ეს იმიტომ, რომ მასთან ერთად შვებად მივითვლი ყოველგვარ ბოროტს". როდესაც ცელესტინე წმიდა ტახტზე ავიდა, ჯაკოპონე ცას ეწია სიხარულით, რადგანაც ეკლესიის ღირსეულ მესაჭედ მიაჩნდა იგი. მისი გადადგომის შემდეგ კი ვერასდიდებით ვერ შესძლო პაპად ეღიარებინა ბონიფაციუს VIII, ცელესტინეს მიერ ნაბოძებ პრივილეგიებს რომ ართმევდა მონაზვნებს, და ისეთი გააფთრებით დაესხა თავს ახალ მღვდელთმთავარს, რომ ამ მხრივ მას თვით დანტეც კი ვერ აღემატა.

V

მალე ისეთი ვითარება შეიქმნა, რომ ჯაკოპონე ძალაუნებურად უნდა ჩაბმულიყო ომში. 1297 წელს პაპი აქტიურად ჩაერია კოლონების ოჯახურ დავაში, რის შედეგადაც კარდინალები – იაკობი და პეტრე, ბიძა-ძმისწული, რომის ეკლესიის ორი მძლეთა-მძლე სენიორი გადაიმტერა. კარდინალებმა თავიანთი ბიძაშვილების – სტეფანოსა და შარრას მეშვეობით გადმოიბირეს გიბელინების პარტია, ანჟუს დინასტიის წინააღმდეგ კავშირი შეჰკრეს იაკობ არაგონელთან, უკანონო პაპად გამოაცხადეს ბონიფაციუსი და უარი თქვეს პალესტრინის ფეოდებში მიეღოთ მღვდელთმთავრის გარნიზონები. ბონიფაციუსმა დაუყოვნებლივ გამოაქვეყნა საგანგებო ბულა მათ წინააღმდეგ და საეკლესიო თანამდებობებიდან გადააყენა ორივე კარდინალი. მათაც მიიღეს პაპის გამონვევა. 10 მაისს ლუნგეცასა და ანიოში კოლონებმა ოჯახურ წრეში გამართეს თათბირი, რომელსაც ესწრებოდნენ იურისპრუდენციის დოქტორები, ფრანგი პრელატები და ორი მინორიტი – დიოდატი და ჯაკოპონე. შეთქმულებმა გამოაქვეყნეს მანიფესტი, რომელშიაც ბონიფაციუსი ანტიპაპად გამოაცხადეს, ცელესტინეს გადადგომა კი – ბათილად, რადგანაც მისი გადაყენება მზაკვრობისა და ძალადობის შედეგად მოხდა; და ბოლოს, მათ მოითხოვეს მსოფლიო საეკლესიო კრების მონვევა. ეს მოწოდება რომში გაავრცელეს და წმიდა პეტრეს ტაძრის საკურთხეველზეც კი გააკრეს. მაგრამ ცელესტინეს სიკვდილიდან უკვე ორი წელი გავიდა, ორივე კარდინალმა კოლონამ კი კონკლავზე გაეტანის მისცა ხმა, და ამ უკანასკნელმა, რაკიღა დარწმუნებული იყო, რომ სამართალი მას უმაგრებდა მხარს, ეკლესიისაგან განკვეთილად გამოაცხადა ყველა ურჩი კოლონა, როგორც გამცემი და სქიზმატიკოსი; თანაც, შეჩვენებით დაემუქრა ყველას, ვინც თავშესაფარს მისცემდა მათ. კოლონებმა გაამაგრეს თავიანთი ციხე-კოშკები და პალესტრინაში ჩაიკეტნენ. მაშინ პაპმა მესამე ბულა გამოაქვეყნა, მთელ საქრისტიანოს თავისი მტრების წინააღმდეგ ჯვაროსნული

ლაშქრობისთვის უხმო და ინდულგენციების გაყიდვა დაიწყო, რომ ჯვაროსანთა გულმოდგინებისთვის სათანადო საზღაური მიეგო. ჯვაროსნები კი ბლომად მოვიდნენ ტოსკანიდან და უმბრიიდან, კოლონებისათვის კი სულ უფრო და უფრო ცხადი ხდებოდა, რომ სიცილიის მეფემ ფრიდრიხმაც უმუხთლათ და პატრიმონიელი გიბელინების, არისტოკრატიისა და რომაელი ხალხის მიერაც მიტოვებულნი აღმოჩნდნენ. სწორედ ამ დროს, 1297 წლის დამდეგს შეთხზა ჯაკოპონემ გარითმული პამფლეტები ბონიფაციუსისა და სეკულარული ეკლესიის წინააღმდეგ.

„ჩვენო მწყემსთმთავარო, ბონიფაციუს, შენ ისე თავდავიწყებით თამაშობდი ამ ქვეყნის თამაშს, რომ, ჩემის აზრით, გაგიჭირდება მისი მიტოვება. ისე გულმოდგინედ აგროვებდი ოქროს, რომ დასაშვები ხერხებით ვეღარ დაიცხრე სიხარბე და ყაჩაღივით მიჰყავი ხელი ძარცვაგლეჯას... შენს პირველ წირვას რომ ასრულებდი, წყვდიადმა მოიცვა ქალაქი და წმიდა საკურთხეველი ჩაქრა... როდესაც პაპად გაკურთხეს, ორმოცი კაცი დაიღუპა ეკლესიიდან გამოსვლისას, და ამ სასწაულით თვალნათლივ გვიჩვენა ღმერთმა, რაოდენ სასურველი იყავი მისთვის..."

შემდეგ ის გვიხატავდა ეკლესიის ალეგორიულ ფიგურას, ქრისტიანობის გარდასულ საუკუნეთა მოციქულებს, მარტვილებსა და ღვთისმსახურთ რომ დასტიროდა... იესო ქრისტეს პირით ის გმობდა რომის ეკლესიის უმადურებას, რამაც მაცხოვრის სიყვარულის უღირსი გახადა იგი. „ცრუ სამღვდელოებამ დამღუპა და დამაქცია: სწორედ მან წარმტაცა ჩემი ღვაწლის ნაყოფი და სიკვდილზე მწარე ტკივილით მომიწყლა გული":

Lo falso clericato
Si m'ha morto e destrutto:
D' ogne mio lavoreccio
Me fan perder lo frutto;
Major dolor de morte
Da loro aggio portato.[31]

ამასობაში პალესტრინის ციკლოპური ციხე-სიმაგრე, კოლონების უკანასკნელი თავშესაფარი, იძულებული შეიქნა მტერს დანებებოდა. სამგლოვიარო სამოსით მოსილი და ყელზე თოკშებმული კარდინალები იაკობი და პეტრე რომს წაიყვანეს, სადაც მათ მუხლი მოიყარეს წმიდა კოლეგიით გარშემორტყმული ბონიფაციუსის წინაშე და მღვდელთმთავრის საკადრი პატივი მიაგეს მას. პალესტრინა, თოთხმეტი საუკუნის წინათ მინასთან რომ გაასწორა სულამ[32], ახლა, წმიდა მამის ბრძანებით, საბოლოოდ დანგრეულ იქნა, მიუხედავად იმისა, რომ ეკლესიის შვიდი მთავარი საეპისკოპოსოდან ერთ-ერთი სწორედ ის იყო. კოლონების მთელმა ოჯახმა, ეკლესიისაგან ხელახლა რომ განკვეთა პაპმა, გაქცევით უშველა თავს. კარდინალებმა ტოსკანელ გიბელინებს შეაფარეს თავი; შარრა დიდხანს იმალებოდა ტყეებსა და ჭაობებში; ბოლოს, როგორც იქნა, ზღვის ნაპირს მიაღწია, მაგრამ იქ მეკობრეებმა შეიპყრეს და მონასავით მიუსვეს ნიჩბებს. სტეფანო, რომელსაც პეტრარკა სციპიონ აფრიკელს[33] ადარებდა, სიცილიას შეეხიზნა. ფრა ჯაკოპონე, საყოველთაო ნგრევისა და ბონიფაციუს VIII-ის ულმობელი რისხვის ეს ცოცხალი მოწმე, შეიპყრეს და პალესტრინის დილეგში ჩააგდეს. კედელს მიჯაჭვული, გაუთენებელ ღამეში კვლავინდებურად მღეროდა თავის ლექსებს: „როგორც ლომს, სამუდამოდ დამადეს ჯაჭვი ქედზე“. ლუკმა პურს რის ვაივაგლახით იცავდა ვირთხების სიხარბისაგან. ლოცვებით იხდიდა საზრდოს საფასურს. პატიმრობის პირველ თვეებში მტკიცედ ინარჩუნებდა სქიზმატიკოსის სიამაყესა და ფრატიჩელოს სიხარულს, რომელსაც ღმერთმა, ბოლოს და ბოლოს, წილად არგუნა სრული სიღარიბის განცდა: „აჰა, დადგა, ჯაკოპონე, შენი გამოცდის ჟამი. პრებენდად[34] მოგცეს მინისქვეშა დილეგი და ამას დასჯერდი... ოცდაათი წლის მანძილზე ნატრობდი ტანჯვა-წამებას, და ახლაღა გაღირსეს როგორც სასჯელი. ბოლოს მაინც ხომ მოანია ნუგეშის დღემ. ქვეშ შიშველი მინა გიგია, სამუდამოდ ბორკილდადებულს. რომს უნდა უმადლოდე ამ

კეთილდღეობას". მაგრამ მარადიულ წყვდიადში დანთქმულს თანდათან ეძალება სევდა, და ის სულ უფრო და უფრო ქედმოდრეკით ეეედრება პაპს, შეიბრალოს სასომიხდილი. საიუბილეო 1300 წელს ის კვლავ ითხოვს შეწყალებას, სულთა საოხად, და საწყალობლად უხმობს „მწყემსს, ფარეხიდან რომ განდევნა იგი". მას ენატრება მზის ნათელი, რათა, ბზის ტოტით ხელში, პატარა ბავშვებთან ერთად იგალობოს „ოსანა":

Messer, chi io riveggia la luce!
Ch'io possa cantar a voce
Quello osanna puerile.[35]

დაე, ბონიფაციუსმა წმიდა ფრანჩესკოს მამობრივ მზრუნველობას მიანდოს იგი და ყურში ჩასძახოს: „Vecchio, surge!" – „აღსდექ, ბებერო!" ლეგენდა გადმოგვცემს: ერთხელ პაპმა პალესტრინის დილეგს ჩაუარა და პატიმარს გასძახა: „ღვთის მგალობელო, როდის გამოხვალ მანდედან?" რაზეც ჯაკოპონემ მიუგო: „როცა შენ შემოხვალ აქ"*.

„ღვთის მგალობელი" მხოლოდ 1303 წლის დამლევს, ბონიფაციუსის სიკვდილის შემდეგ გაათავისუფლა მისმა მემკვიდრემ ბენედიკტე XI-მ. ამ დროს ის სამოცდაცამეტი წლისა იყო. უკანასკნელი თავშესაფარი კოლაძონეს მონასტერში ჰპოვა, სადაც სამი წელი კიდევ იცოცხლა. 1306 წლის შობის ღამეს აღსასრულის მოახლოება იგრძნო და თქვა, ჩემმა ძველმა მეგობარმა – ჯოვანი დელა ვერნიამ მაზიაროსო. ფანტაზიის ამ ჟინიანმა თამაშმა, ცოტა არ იყოს, შეაცბუნა მონაზვნები. მაშინ ჯაკოპონემ მხიარულად წამოიწყო სიმღერა: „Anima benedetta" – სულო, კურთხეულო შენი შემოქმედის მიერ, ჯვარზე გაკრული რომ გელის". სიმღერა არცკი დაესრულებინა, რომ კარი გაიღო და სენაკის ზღურბლზე ჯოვანი დელა ვერნია გამოჩნდა. ჯოაკინომ წამოიწია, გალობით წარმოსთქვა ხალხური ლექსის საწყისი სიტყვები –

---

* Wadding, Annal. minor., VI, 77.

Jesu, nostra fidanza,
Del cor somma speranza,[36]

და სული განუტევა, სწორედ იმ დროს, როცა მღვდელმა, მონასტრის ეკლესიაში შუაღამის წირვას რომ ასრულებდა, დააგუგუნა: Gloria in excelsis.[37]

VI

ფრა ჯაკოპონეს საფლავზე ხელახლა იფეთქა იმ რელიგიურმა ენთუზიაზმმა, რომელმაც ფრანჩესკო ასიზელის სიკვდილისას მთელი მდაბიო ხალხი მოიცვა. სიცოცხლეში დევნილმა ჯაკოპონემ თითქოს ახალი სული შთაბერა უპოვართა და უმწეოთა რწმენას, რაც სავსებით საკმარისი იყო, რომ უფლის რჩეულთა შორის შეერაცხათ. მისი სახით თაყვანს სცემდნენ არა მარტო ასკეტს და მარტვილს, არამედ პოეტსაც. რა თქმა უნდა, მისი სატირები და პამფლეტები, რომლებითაც ის ამათრახებდა ბონიფაციუსს, მალე მიეცენ დავიწყებას, მაგრამ ხალხურ ენაზე დანერილი მისი „laudes" და მისი ლათინური ჰიმნები სამუდამოდ აღიბეჭდნენ ხალხის მეხსიერებაში. ალერსიანად მომღიმარე და ქრისტეს სიყვარულით სავსე ეს ქმნილებები ყველაზე სრულად შეესაბამებოდნენ საზოგადოების დაბალი ფენების მიამიტურ მისტიციზმს. მათ მღეროდნენ ეკლესიებში, რათა ოდნავ მაინც შეერბილებინათ ლიტურგიის სიმკაცრე, და პილიგრიმების პროცესიებში, რათა შეემსუბუქებინათ შორეული გზის სიძნელე. შეუძლებელია დაბეჯითებით ვამტკიცოთ, როგორც იქცევა ოზანამი, რომ ჯაკოპონეს ეკუთვნის Stabat Mater[38] ჯვართან, ან Stabat Mater ბაგასთან:

Stabat Mater Speciosa,
Juxta foenum gaudiosa,
Dum jacebat parvulus,[39]

მაგრამ მისი laus[40]-ი: Di Maria dolce[41] თავისი განწყობილებით ძალიანა ჰგავს ამ მეორე Stabat-ს: „შენ ბაგაში ჩაანვინე ჩვილი, დაკონკილი ჩარსავი გადააფარე და ენით უთქმელი სიხარულით უცქერდი მას". დ'ანკონას ეს

ქმნილება XV საუკუნის დახვეწილ ხელოვნებას უფრო აგონებს, ვიდრე ჯაკოპონეს უშუალო და მიამიტურ შთაგონებას. მაგრამ იგივე განწყობილება არაერთხელ მეორდება უმბრიელი პოეტის laus-ებში, აღწერის იმ უჩვეულო ხიბლთან ერთად, რომელიც თითქოს იტალიური ფერნერის თავისუფალი და საღვთისმოსაო ტრადიციის წინამორბედად გვევლინება: „შეხედეთ, როგორ ათამაშებს Bambino[42] თავის პანია ფეხებს თივაში; დედაც იქვეა, ჩარსავს აფარებს და რძით სავსე ძუძუს უწვდის, ყრმა კი პანანინა ბაგეებით ჩააფრინდება და ხარბად წოვს თავისი უკბილო პირით. დედა მარცხენა ხელით არწევს, უმღერის და უნანავებს... ირგვლივ კი ანგელოზები ფრთხიალებენ და სიყვარულს ადიდებენ თავიანთი ტკბილი გალობით... ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა და აღმოსავლეთით ეჩვენა მოგვებს, რომლებიც მოვიდნენ, იხილეს და თაყვანი სცეს ხარსა და ვირს შორის მწოლარე სხივოსან ყრმას. მატყლის ლბილ სარეცელზე როდი იწვა ნაზი ყვავილი; თვალისმომჭრელი შროშანი თივის ბულულზე ესვენა. რას განიცდიდი, ქალწულო დედავ, როცა შენი ღვთაებრივი ძე წოვდა შენსავე ძუძუს? როგორ გაგიძლო და აღტაცებისგან არ გასკდა გული, როცა ჰკოცნიდი მას?".. განა ეს სტრიქონები ლორენცო დი კრედისა[43] თუ სანდრო ბოტიჩელის[44] წმინდა ტილოების ესკიზად არ წარმოგვიჩნდება?

ადვილი შესაძლებელია, სწორედ ჯაკოპონეს ეკუთვნოდეს სიყვარულისადმი მიძღვნილი ჰიმნი, რომელსაც დიდხანს მიაწერდნენ წმიდა ფრანჩესკოს:

Amore, Amore, che si m'hai ferito,
Altro che Amore non posso gridare;
Amore, Amore, teco son unito,
Altro non posso che te abbraceiare.[45]

თუმცა რა მნიშვნელობა აქვს, ქრისტეს ამ ორი მომღერლიდან რომელს ეკუთვნის ეს ჰიმნი? ერთმაც და მეორემაც აიძულა უმბრია ყური მიეგდო სიყვარულის ერთი და იმავე ტანჯული ყვირილისათვის. ყოველ შემთხვევაში, ჯაკოპონეს სულში არანაკლებ ნათელი სიმშვიდე სუფევდა,

ვიდრე წმიდა ფრანჩესკოს სულში. სიკვდილზე ფიქრი ზოგჯერ ჩრდილს ჰფენს მის პოეზიას, და ეს სიკვდილი მშვიდობის ანგელოზად კი არ ესახება ჯაკოპონეს, ზეციდან რომ ჩამოდის მორწმუნის მკერდზე დასავანებლად, არამედ იმ პირქუშ ფიგურად, რომელსაც შემდეგ კამპოსანტოს კედლებზე აღბეჭდავს ორკანია:

Ecco la pallida morte,
Laida, scura e sfigurata.[46]

ის პირქუში მაღალფარდოვნებით აღგვინერს სასაფლაოს მთელ საშინელებას: „ოდესღაც მათ მომხიბლავ სხეულებს ახლა მატლები ღრღნიან. აი, სიკვდილი, დაუნდობლად რომ ცელავს რაინდებს, ბანოვანებსა თუ პაჟებს, მიწად აქცევს მონაზვნებსა და განდეგილებს, სამღვდელოთაც და საეროთაც, პირმშვენიერთაც და უსახურთაც... რას ზვაობ, მტვერო? რას ქედმაღლობ, ფერფლო? სიკვდილის კერძი ხარ, მატლო მინისა, დასაჭკნობად განწირული ბალახის ღერი. ხედავთ, დღეს რა ლაღად მიაბიჯებს კაცი? ცა ქუდად არ უჩანს და დედამიწა ქალამნად, ხვალ კი მძორია, უსულო გვამი, მატლებდასეული გახრწნილი ლეში“.

VII

ჯაკოპონეს laus-ები ხალხური სიმღერებია და მათ არაფერი აქვთ საერთო საეკლესიო საგალობელთა მიბაძვასთან. ფლაგელანტთა პირველი რაზმები, 1288 წელს ბებერი უმბრიელი განდეგილის – რანიერი ფაზანის მოწოდების პასუხად რომ აღდგნენ, ხოლო შემდეგ ცენტრალურ იტალიაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი Disciplinati di Gesù Cristo[47], სალიმბენეს სიტყვით, „ღვთისა და წმიდა ქალწულის სადიდებლად“ უკვე მღეროდნენ საგალობლებს „და თან დაუნდობლად იმათრახებდნენ თავს“*. როცა ეს ღვთისმოსავი ვაგაბუნდები სამრევლოებს დაქვემდებარებულ კონფრერიებად ჩამოყალიბდნენ, laus-ებმა, XIII საუ-

* Cron., p. 239

კუნის დამლევს, თანდათანობით დრამატული ფორმა მიიღეს. დიალოგი უფრო გულისშემძვრელი ჩანდა, ვიდრე მონოლოგი. ზოგიერთ რელიგიურ დღესასწაულზე სახარების პერსონაჟთა სამოსით მოსილი ღვთისმოსავნი, კლერიკალთა დახმარებით, წმიდა ლეგენდების ამა თუ იმ ეპიზოდს ასახიერებდნენ. განა სწორედ ამ პატარა დრამატული წარმოდგენების პირველსახე არ იყო ის საშობაო წირვა, ოდესღაც რომ აღასრულა ხარსა და ვირს შორის ბაგასთან მდგარმა წმიდა ფრანჩესკომ? მალე მორწმუნეთა წარმოსახვამ ლიტურგიულ ტექსტს მიუმატა ის, „რაც შეიძლებოდა მომხდარიყო". რადგანაც, წმიდა ბონავენტურას თქმისა არ იყოს, „ევანგელისტებს ყველაფერი როდი დაუწერიათ"*. იგივე წმიდანი ცდილობს წარმოიდგინოს ათასნაირი სურათი თუ სცენა, რაც შეიძლებოდა სახარების ჩარჩოში ჩამჯდარიყო. დიდი ხელოვნება სულაც არ სჭირდებოდა იმას, რომ საკვირაო სახარებიდან ამოეკრიბათ დიალოგიზირებული სცენები, რომლებშიაც მათესა და მარკოზის თხრობის შთამბეჭდავი სისადავე არცთუ იშვიათად იბღალებოდა ფრანცისკანელი ძმების უბადრუკი ჩანართ-ჩანამატებით. უმბრიელი პოეტისათვის ზოგჯერ მარტივი მონოლოგიც საკმარისი იყო მსმენელთა დასამოძღვრად. ასე მაგალითად, იესო ყველასათვის ადვილად გასაგები ენით უამბობდა თავის მოწაფეებს „ძე შეცთომილი"-ს[48] იგავს, საიდანაც შემდეგ მისტერიების ავტორებმა მთელი დრამა გამოიყვანეს.

თუმცა საღმრთო წერილის ორმა დიადმა სიუჟეტმა უფრო ღრმად გასააზრებელი თემაც შესთავაზა პირველ უმბრიელ თეატრს. ეს სიუჟეტებია „განკითხვის დღე" და „უფლის ვნებანი". „ავანის კვირის"[49] laus-ში ძალიან ბევრი მოქმედი პირი იყო: ანტიქრისტე და მისი ამალის წევრი მეფეები, იერუსალიმელი მოქალაქენი, გაბრიელ მთავარანგელოზი, სატანა და ეშმაკეულნი, რჩეულნი და შეჩვენებულნი, თავისი ძის მავედრებელი მარიამი და ბოლოს,

---

* D'Ancona, Origini del Teatro in Ital., t. I, p. 117.

უზენაესი მსაჯული – ქრისტე, ამქვეყნიურ სიცოცხლეში მათ მიერ ჩადენილ ცოდვებს რომ შეახსენებს შეჩვენებულებს. „მშიერ-მწყურვალი მიხილეთ, მაგრამ არც მასვით და არც დამაპურეთ... გზას ვადექი და არ შემიფარეთ... გზად მიმავალს უცნობივით მაქციეთ ზურგი... დილეგში ვეგდე სნეული, თქვენ კი არ მინახულეთ". დასჯილნი მიუგებენ: „როდის გიხილეთ, უფალო, ასე ურვილი? რა ვიცოდით, რომ გიჭირდა? მაშ, რად დაგვსაჯე? – „მათხოვარი რომ მონყალებას გთხოვდათ, ეს მე ვიყავი, – ბრძანებს მსაჯული, – თქვენი ყოველი ცოდვით ჯვარს მაცვით მე. და მაინც, მოთმინებით ველოდი, იმედი მქონდა, რომ არ მომიწევდა თქვენი დასჯა... გამშორდი, წყეულო მოდგმავ!" მაშინ ცოდვილნი ფეხქვეშ უვარდებიან და გამოსარჩლებას სთხოვენ ღვთისმშობელს. წმიდა ქალწული, თავისი სასწაულებრივი დედობის ძალით, ამაოდ ცდილობს ეკლესიის ურყევი დოგმის შეცვლას: „გაფიცებ იმ რძეს, რომლითაც გზრდიდი, მისმინე, შვილო: მიუტევე მათ, რომელთა გამოც გევედრები... ცხრა თვე გატარებდი ჩემი ქალწულებრივი მუცლით, ამ ძუძუს გაწოვებდი უმწეო ჩვილს; გემუდარები, თუ შეიძლება, ნაშალე შენი განაჩენი".

„ღვთისმშობლის მოთქმაში მისი ძის იესო ქრისტეს ვნების გამო" ერთმანეთს ენაცვლებიან სასომიხდილი დედის ქვითინი, ბრბოის გნიასი, მარტვილთა გოდება და პოეტის ხმა, დრამის ბოლო სცენებს რომ უჩვენებენ წმიდა ქალწულს. „რატომ აწამებ პილატე, ჩემს შვილს? მე შემიძლია დაგიმტკიცო, რომ უსამართლოდ დასდეს ბრალი".

„ჯვარს აცვი, ჯვარს აცვი კაცი, რომელმაც ჩვენს მეფედ გამოაცხადა თავი: ჩვენი კანონის თანახმად, სენატის წინაშე სცოდა. დაე, მეგობრებად მოჰგვარონ ავაზაკები! ეკლის გვირგვინი დაადგან, ვინც ჩვენს მეფედ შერაცხა თავი!"

„შეხედე, ქალო, ჯვარს მიალურსმეს მისი ხელი".

„რამ მოგიყვანა აქ, დედაჩემო? შენი ქვითინი ისარივით მესობა გულში".

„მიხმეს, საყვარელო; შვილო ჩემო, მამაო ჩემო, მეუღლევ ჩემო; ვინ დაგარტყა, შვილო, ვინ შემოგახია სამოსი? სული განუტევე, ჩემო მწყაზარო, მარტო დამაგდე, თეთრყირმიზო ჩემო! რად მოგექცა ქვეყანა ასე სასტიკად? იოანე, ჩემო შვილობილო, აღარ არის შენი ძმა; მე რომ მიწინასწარმეტყველეს, იმ მახვილმა ერთი დაკერით განგმირა დედაც და შვილიც!"

ეს პოემები, უფრო ლირიული, ვიდრე დრამატული ხასიათისა, რომლებიც შეიძლება ჯაკოპონე დი ტოდის მიეწეროს, სავსებით საკმარისი იყო XIII საუკუნის მორწმუნეთა დასამოძღვრად. ეს იყო ერთგვარი ღვთისმსახურება, სამრევლო წირვის დასრულების შემდეგ ხან ნეფში, ხანაც ეკლესიის ერთ-ერთ კაპელაში რომ ასრულებდნენ „სინანულის ძენი".

ამ უმბრიელი ძმების დრამატული საღვთისმსახურო ტექსტებიდან, რომლებიც გამოცემულია მონაჩის მიერ*, ბევრი ღირსშესანიშნავია იმით, რომ მათში გვხვდება სიცილიიდან გადმოტანილი სალექსო საზომი, ე.წ. ottava rima[50], რაც უკვე მოწმობს როლების ზუსტ განაწილებას, დრამის განვითარების დასაწყისს და თვით სცენის დეკორირების ხელოვნებასაც. წმიდა პარასკევის laudes მლოცველთა შემდეგი სიტყვიტყვებით ი26 „აღაპყრეთ თვალი და იხილეთ! იესო ქრისტე დღეს მოკვდა ჩვენთვის, ხელ-ფეხით ჯვარს მილურსმული და შუბით ფერდგანგმირული". ღვთისმშობელი, მარიამ მაგდალინელი, იოანე მახარებელი, წმიდა დედები ჯვრის ირგვლივ დგანან და ერთმანეთს უამბობენ უფლის ვნებათა ცალკეულ ეპიზოდებს: ავაზაკების შეწყალებას მის მიერ, მის უკანასკნელ ღაღადისს, შუა რომ გააპო კარვის ფარდა და ა.შ.

ასე, პირველადი დიდაქტიკური სიტყვების ჩანართებითა თუ ჩანამატებით შევსების, სახარების ახალი პერსონაჟების შემოყვანის, დრამატული მოქმედების განვითარებისა და საკრალურ სურათთა ექსპრესული ძალის

---

* Imola, 1874.

გრადაციის გზით, laus-ები თანდათან მისტერიების სასცენო ფორმას იძენენ.

XIV საუკუნის იტალიური მისტერია, არსებითად, არ განსხვავდება დანარჩენი ქრისტიანული სამყაროს რელიგიური წარმოდგენებისაგან. და მაინც, მასში აქა-იქ თავს იჩენს ორიგინალური ელემენტი: ირონია, ბოკაჩოსა და საკკეტის ის ირონია, რომელიც ზოგჯერ დანტეს ირონიასავით დაუნდობელია და ნათლად გვიჩვენებს ამ სახალხო თეატრის საერო, კრიტიკულსა და დამცინავ სულს, ესოდენ სწრაფად რომ გავრცელდა იტალიაში. სახელგანთქმულ პანტომიმაში „ჯოჯოხეთი", რომელიც 1303 წელს დაიდგა ფლორენციაში და ესოდენ სამწუხარო შედეგით დასრულდა, უთუოდ უნდა ყოფილიყო ბუფონური სცენები, ხოლო დრამაში – „წმიდა მამა და მონაზონი", რომლის დაწერის თარიღიც უცნობია, თუმცა საკმაოდ ძველი კი უნდა იყოს, უკვე ვხვდებით მონაზვნური ცხოვრების ძალზე მკაფიო სატირას: „დღეს ისინი ნამდვილ ჩარჩებად იქცნენ და თავიანთი ორდენის იმედით თაყვანისცემას მოითხოვენ ხალხისაგან, რომელსაც თვითონ სულწარწყმედილად თვლიან. ქედმაღალი, უმადური და ყეყეჩი მოდგმა, ხსნის ვიწრო ბილიკს რომ გვიჩვენებს, თვითონ კი ხელახლა ჯვარს აცვამდა მაცხოვარს, აქედან რაიმე გამოსარჩენსა და ხელის მოსათბობს რომ მოელოდეს. ეს ხარბნი და უკეთურნი დარწმუნებულნი არიან, რომ სამოთხეში დაიმკვიდრებენ ადგილს, მას შემდეგ, რაც ერთმანეთს გაჰყრიან მამას და შვილს"*.

VIII

იმ დროს, როცა იტალიელთა წარმოსახვა კვლავ მიუბრუნდა სახარებისა და ეკლესიის წარსულს, რათა რელიგიური დრამების სიუჟეტები ეპოვნა მასში, ერთმა მისტიკოსმა მწერალმა, ჯაკომო და ვორაჯინომ[51] განუმეორებელი მიამიტობით ხელი მიჰყო მორწმუნეთა მეხ-

* D'Ancona, Origini del Teatro, t. I, p. 189.

სიერებასა და წმიდანთა ცხოვრებებში შემონახული აპოსტოლური ისტორიის ძველისძველი და გულისშემძვრელი ეპიზოდებისა თუ გადმოცემების შეგროვებას ქრისტეს მოწაფეების, მარტვილების, თეოლოგების, ეპისკოპოსების, მეუდაბნოე მამების, ქალწულებისა და თავმატურგების შესახებ. ხანდაზმული გენუელი ეპისკოპოსის ჯაკომო და ვორაჯინოს „Legenda aurea"-ში, ყოველგვარი ისტორიული თანმიმდევრობის, კრიტიკული ანალიზისა და საღვთისმეტყველო თეორიების გარეშე, ერთმანეთს ენაცვლებიან მოზეიმე ეკლესიის ყველაზე კეთილშობილი წარმომადგენლები, იოანე და პავლე მოციქულებიდან მოყოლებული წმიდა ფრანჩესკომდე, დომინიკესა და ბონავენტურამდე. ბავშვური მიამიტობის წყალობით, მას ისევე სწამდა „შვიდი მძინარე ეფესელი ძმის" ამბავი, დეციუსის[52] დევნისაგან თავდასაღწევად მღვიმეს რომ შეაფარეს თავი, სადაც ორასი წელი ეძინათ, გამოღვიძების შემდეგ კი „კოკობი ვარდივით" უღვიოდათ სახე, – როგორც წმიდა თომა აქვინელის არსებობა, ვისთანაც, ალბათ, არაერთხელ უსაუბრია. „ამბობენ, – წერს ვორაჯინო, – რომ მათ 372 წელი ეძინათ, მაგრამ ეს სწორი არ არის, რადგანაც დეციუსი დაახლოებით ერთ წელიწადს მეფობდა, 252 წელს, ძმები კი 448 წელს აღსდგნენ, ასე რომ, მათ მხოლოდ 196 წელი სძინებიათ". მას სწამდა ყოვლად წარმოუდგენელი სასწაულები, ჯადოქრობა და შელოცვა, რომელთა მეშვეობითაც შეიძლება გამოიხმო ან განდევნო დემონები. მას ეჭვიც არ ეპარებოდა იმაში, რომ ეშმაკი ხან მომხიბლავი ყმანვილი ქალის სახეს იღებდა, ხან ჭაბუკისას და გამუდმებით აცთუნებდა განდეგილებსა და ქალწულებს. როგორც ასიზური ლეგენდის ჭეშმარიტ მიმდევარს შეშვენის, ჯაკომო ღრმად იყო დარწმუნებული, რომ აღმსარებლები ათვინიერებდნენ ველურ მხეცებს; რომ მგელმა პირდაპირ წმიდა პავლე განდეგილის[53] სენაკთან მიიყვანა ანტონიუსი[54]; რომ ყვავმა იმავე დღეს მიუტანა ორ მეუდაბნოეს პური და ხილი, და რომ ორი ლომი იმავე საღამოს დაბარებულივით გამოცხადდა, რათა

საფლავი გაეთხარათ წმიდა პავლესთვის, მონიწებით რომ მიაბარეს მიწას, რის შემდეგაც კვლავ ტყეს შეაფარეს თავი. მართალია, „ოქროს ლეგენდა" უპირატესად მონამეთა ცხოვრებისა და უფლის რჩეულ მეგობართა მკაცრი სინანულისადმია მიძღვნილი, მიუხედავად ამისა, ის შეიცავს მხოლოდ სანუგეშო გაკვეთილებს მარტივი სულებისათვის და ცდილობს ამოავსოს ის უფსკრული, რომელიც ძევს დიდ წმიდანთა და ამქვეყნიურ საცთურთა სიმრავლით თავგზააბნეულ მდაბიო მორწმუნეთა შორის. ის არ წარმოგვიჩენს ცოდვას და ბოროტებას კაცთა მოდგმის ყველაზე საზარელ მტრებად, არამედ ეშმაკის სასირცხვო, ზოგჯერ კი კომიკური ოინბაზობის აღწერით კმაყოფილდება. სატანას, მთელი მისი მზაკვრობის მიუხედავად, საკმაოდ მწირი ნადავლი ხვდება წილად: შეიძლება აქა-იქ დაეპატრონოს ამა თუ იმ წარმართი პროკონსულის სულს, დაჟინებით რომ აიძულებს ხალხს, ეთაყვანოს მის ბრინჯაოსა თუ თიხის ღვთაებებს. სასწაულთა ცხოველმყოფელი ატმოსფეროთი გარემოცული ქრისტიანებისათვის მცირეოდენი კეთილი ნებაც საკმარისია სულის სახსნელად: ღმერთი თავის მონყალე ხელს უწვდის მათ, რათა ზეცამდე აამაღლოს ისინი. ყველა ის სიქველე, რომელიც შეიძლება თვით პატარა სულშიაც კი ღვიოდეს, – სიკეთე, გულმოწყალება, სიწრფელე, სინაზე თუ რწმენა, მომავალი ნეტარების არანაკლები გარანტიაა, ვიდრე საკუთარი თავის სისხლიანი მსხვერპლშეწირვა, ან სრული განდგომა ყოველგვარი მიწიერი სიამისაგან. მღვდელი იშვიათად თუ გამოჩნდება „ლეგენდაში" და ეს სულაც არ უშლის ხელს მორწმუნის საუბარს მამაზეციერთან. აქ ჩვენ ვხედავთ რწმენის უპირატესობას საქმის წინაშე: სინიდისის გასაწმენდად სინანულის იმპულსიც სავსებით საკმარისია. ერთმა ჭაბუკმა, იოანე მახარებელმა რომ მოაქცია, თავზე ხელი აიღო და ავაზაკთა ბელადი გახდა. მოციქულმა ძებნა დაუწყო და, ერთხელ, მთის ფერდზე რომ მოჰკრა თვალი, შესძახა: „ჩემო საყვარელო შვილო, რად გაურბიხარ მამაშენს? ნუ გეშინია, მე ვილოცებ შენთ-

ვის იესო ქრისტეს მიმართ და თავს დავდებ შენთვის, როგორც იესომ დადო თავი ჩვენი გულისთვის. მაშ, დაბრუნდი, ჩემო საყვარელო შვილო, რადგან თვით იესომ გამომგზავნა შენთან". ამ სიტყვების გაგონებაზე ჭაბუკი სინანულმა შეიპყრო და ცრემლების ფრქვევით დაბრუნდა, მოციქული კი ფეხქვეშ ჩაუვარდა და ხელზე ემთხვია, თითქოს ის უკვე განმენდილიყო სინანულით. ერთმა ქალმა საშინელი დანაშაული ჩაიდინა და ეშინოდა აღსარება ეთქვა იოანე გულმოწყალისთვის[55], რომელიც ალექსანდრიის პატრიარქი იყო. „მაშინ დაწერე, – უთხრა სულგრძელმა პატრიარქმა, – შენი ხელით დაბეჭდილი მომიტანე და მე ვილოცებ შენთვის". შემცოდე ასეც მოიქცა. რამდენიმე დღის შემდეგ კი იოანე მოკვდა. საიდუმლოს გამჟღავნების შიშით თავზარდაცემული ქალი იოანეს საფლავთან მივიდა და ქვითინით დაუწყო ვედრება, ჩემი აღსარება დამიბრუნეო. მაშინ თავისი საეპისკოპოსო სამოსით მოსილი იოანე საფლავიდან ამოვიდა და ქალს მისი აღსარება მისცა, რომლის ბეჭედიც ხელუხლებელი იყო. ქალმა ბეჭედი ახსნა და დაინახა, რომ აღსარება წაშლილიყო, მის ადგილას კი ეწერა: „შენი ცოდვა ჩემი მსახურის – იოანეს დამსახურებამ გამოისყიდა". ერთხელ, იმავე ეპისკოპოსს, განმარტოებით რომ ლოცულობდა, მომხიბლავი ქალიშვილი მოევლინა, ზეთისხილის გვირგვინი რომ უმკობდა შუბლს. ღვთისმსახურს ძალიან გაუკვირდა და ჰკითხა, ვინ ხარო. „მე ვარ გულმოწყალება, – მიუგო ქალმა, – სწორედ მე ვაიძულე უფლის ძე ზეციდან ჩამოსულიყო. დამეწინდე და ბედნიერი იქნები". იოანე მიხვდა, რომ ზეთისხილი გულმოწყალებას ნიშნავდა და იმ დღიდან ისეთი მოწყალე გახდა, რომ მეტსახელად „გულმოწყალე" შეარქვეს, „თავის უფალს რომ უწოდებდა ყველა უპოვარს". მაგრამ განა ალერსიანი შემწყნარებლობის იმავე სულს არ ვხედავთ იოანე მახარებლის სიტყვებში, წმიდა იერონიმეს მიხედვით რომ გადმოგვცემს „ოქროს ლეგენდის" ავტორი? – „ღრმად მოხუცებული იოანე ეფესოში ცხოვრობდა. ეკლესიაში რომ დაჰყავდათ, მხოლოდ

ამ სიტყვებს უმეორებდა თავის მოწაფეებს: „შვილებო, გიყვარდეთ ერთმანეთი". განცვიფრებულმა მოწაფეებმა, რა სულ ერთსა და იმავეს გვიმეორებსო, ჰკითხეს, რა იყო ამის მიზეზი. მან მიუგო: „ესაა ჩვენი მაცხოვრის აღთქმა, და ვინც მას აღასრულებს, ყველაფრის აღსრულებას შესძლებს".

IX

იტალიური ხელოვნება, ფერწერა და სკულპტურა, თავდაპირველად ქრისტიანობის ადრეული საუკუნეების იმავე წყაროთი საზრდოობდა, საიდანაც იღებდა შთაგონებას ხალხური პოეზიაც, რელიგიური დრამაცა და დიდაქტიკური ლიტერატურაც. პიზელი მხატვრები და ჯოტოს[56] სკოლა – აი, ის ორი ორიგინალური ფენომენი, რომელთა მეშვეობითაც საუკუნეების მანძილზე შენარჩუნებულ იქნა ცოცხალი ბუნების, ამაღლებული განწყობილებისა და რელიგიური სინაზის გრძნობა. პიზელები ბერძნული სკულპტურის ნამსხვრევებზე აღიზარდნენ, ჯოტოს შემოქმედებაში კი ნათლად ვლინდება ანტიკური კეთილშობილების ფაქიზი განცდა, რისი წყალობითაც ტოსკანური ხელოვნების ნატურალიზმი სამუდამოდ დაზღვეულ იქნა XIV საუკუნის ფრანგი მხატვრებისათვის დამახასიათებელი ბურჟუაზიული ტრივიალურობისაგან. ამ ნატურალიზმმა, იმ დროს, როცა დანტე „სამოთხეს" წერდა, თავის მხრივ, დაიფარა იტალიური ფერწერა მისტიციზმით გატაცებისაგან, რამაც XV საუკუნეში ხელახლა იჩინა თავი ფრა ანჯელიკო და ფიეზოლეს[57] ნამუშევრებში.

საეკლესიო ფერწერა მთელ თავის ისტორიულ მნიშვნელობას იძენს მხოლოდ მაშინ, როცა ის უაღრესად გულწრფელია და თვით თავისი მიამიტობით სრულად შეესაბამება მორწმუნეთა რელიგიურ გრძნობას. იტალიელთა პრაქტიკული ხელოვნება – მოზაიკა, უწყვეტად რომ ვითარდება ბიზანტიური ეპოქიდან კოსმატების სკოლამდე (XIII ს.), ჩიმაბუემდელი[58] ფრესკული ფერწერა და ტემპერა, კომპოზიციის ერთგვარი უგერგილობისა და ტექნიკური

არსენალის გარკვეულ ნაკლოვანებათა მიუხედავად, მშვენივრად გადმოსცემდნენ ჭმუნვისა და, ზოგჯერ, ძრწოლის გრძნობასაც, რომლითაც სავსე იყო შუა საუკუნეების ადამიანის სული. ღმერთის სიდიადის ამ ძველი მხატვრებისეული განცდა მწუხარეა და სევდიანი. მათი ღმერთი მკაცრი მასჯულია, აბსიდის სიღრმეში მაღალ ტახტზე მორჭმით მჯდომარე გოროზი მბრძანებელი, თავის სამღვდელთმთავრო სამოსში გარინდებული რომ გასცქერის შორეთს, და მისი მზერა საერთოდ ვერ ამჩნევს ეკლესიის ქვის ფილებზე განრთხმულ მავედრებელთა ბრბოს. პირველი იტალიელი მხატვრების ნარმოსახვა, ჩიმაბუემდე, მხოლოდ უსიცოცხლო მადონას, ჯვარცმასა და უფლის ვნებათა თვითმხილველ პერსონაჟებს დასტრიალებს თავს, თავიანთი ჩამომჭკნარი სხეულებით, ტანჯვით შეშლილი სახეებითა და გრძელი, უხეში თმებით გარს რომ შემოხვევიან ჯვარს და სასოწარკვეთილნი შეჰყურებენ მაცხოვრის სულთმობრძაობას, ვისი ტანჯვაც საზარელი უფროა, ვიდრე გულისშემძვრელი.

ასიზის რელიგიურმა რენესანსმა არა მარტო მთვლემარე სინიდისი გამოაღვიძა, არამედ იტალიური ხელოვნების აღორძინებასაც შეუწყო ხელი. ნათელი და ჰაეროვანი ეკლესია, პიზის კათედრალური ტრადიციების ერთგულმა ჯაკოპომ რომ აღმართა პირქუში რომანული ტაძრის ზემოთ, სადაც განისვენებს წმიდა ფრანჩესკოს ნეშტი, ხელოვნების ყველა დარგის განახლების ჭეშმარიტ სიმბოლოდ გვევლინება. XIII საუკუნემ უკუაგდო შუა საუკუნეების თავზარდამცემი შიში. მას უყვარს დღის სინათლე, ბუნება და ადამიანის გული, რომელშიაც უკვე ივანებს თანალმობა და სიყვარული. პისტოიაში, ორვიეტოში, სიენაში, არეცოსა თუ ლუკაში უფლის ტაძრები შორიდანვე იზიდავენ მორწმუნეს თავიანთი ნათელი სადღესასწაულო იერით: ფოთლებით, ხილით, ყვავილებით შემკულ კარიბჭეთა ნატიფი ჭედურობით, ფერადი მარმარილოთი მოპირკეთებული და დახვეწილი ხელოვნებით ინკრუსტირებული კედლებით; ინტერიერში კი მზერას

ატყვევებს ნახევარკუნძულის სხვადასხვა არქიტექტურულ პერიოდთა ცალკეული ელემენტების ორიგინალური შერწყმა-შეხამება. ისრული კამარები მსუბუქად ეყრდნობიან ნორმანდიული თუ კორინთული კაპიტელებით დამშვენებულ მკვრივ სვეტებს. დეკორს ამრავალფეროვნებენ აღმოსავლური არაბესკები და ფერადი მოზაიკები. მზის სხივებში მოელვარე და თითქოს სპილოს ძვლისაგან ნაკვეთი ჩუქურთმების გირლიანდებით შემკული იტალიური ეკლესია, გეგონებათ, თვითონვე მღერის წმიდა ფრანჩესკოს „შესაქმის საგალობელს". ის ყველა ცოცხალ ფორმას ითვისებს. სანტა მარია მაჯორეს ტრიბუნებზე ნიკოლოზ IV-ის მოზაიკოსი ჯაკოპო დელა ტურიტა სურათის ცისფერ ფონზე წარმოგვიდგენს ღვთისმშობელს, რომელსაც თავზე გვირგვინს ადგამს მაცხოვარი; მათ ზემოთ ანგელოზები ლოცულობენ; აქეთ-იქით პეტრე და პავლე, ორივე იოანე[59], წმიდა ფრანჩესკო ასიზელი და ანტონიო პადუელი[60] დგანან, ქვემოთ კი პირქვე განრთხმულან შემწირველები – ნიკოლოზ IV და ჯაკოპო კოლონა. ოქროსფერ მოზაიკაზე გამოსახულია მიწა, ზედ დაფენილი მწვანე ვაზებით, რომლებსაც თავს დაფრთხიალებენ ჩიტუნები, ასე ძალიან რომ ჰგვანან წმიდა ფრანჩესკოს „Fioretti"-ში ღმრთისმსახურების მსმენელ ფრთოსნებს. სნეულის სიზმარივით საზარელი ურჩხულები, რომლებითაც რომაელი სკულპტორები ესოდენ უხვად ამკობდნენ ეკლესიების ფასადებს, სამუდამოდ გაქრნენ იტალიური ტაძრებიდან და მათი ადგილი სახარების ცხოველებმა დაიკავეს, სიმბოლურად რომ განასახიერებენ ერთგულებას და თვინიერებას. გულიელმო დ'ანიელო, ნიკოლო პიზელის[61] ყველაზე სახელგანთქმული მოწაფე, პისტოიაში, სან ჯოვანი ფუორ ჩივიტას კათედრაზე დიდი რეალიზმით გამოსახავს ხარსა და ვირს, თავს რომ დასდგომიან ბაგას; ცოტა მოშორებით სამი ცხვარი ბალახობს, რომლებიც წამით დავიწყნია მწყემსს, ვეებერთელა ნაგაზი კი ყურადღებით ადევნებს თვალს ყრმის სათაყვანებლად მოსულ მოგვებს. ასიზიში, ჯოტოს მოწაფე, პუჩო კაპანა[62] სურათზე „ქრისტე

კოლონასთან" გვიხატავს მაიმუნს, დაოთხილი რომ გადარბის შენობის სახურავზე, ხოლო სურათზე „საიდუმლო სერობა" – ძაღლს, ხარბად რომ ლოკავს თეფშს, და მის გვერდით ჩაცუცქულ კატას. პადუაში ჯოტო განსაცვიფრებელი სიზუსტით ხატავს ჩოჩორს, უკან რომ ასდევნებია ვირს, რომელზედაც იერუსალიმში შესვლისას ამხედრებულა იესო ქრისტე*.

რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების საეკლესიო ფერწერა რელიგიური სცენების ტილოზე გადატანისას არასდიდებით არ დაუშვებდა იმ მხიარულ სისადავესა და უბრალოებას, ტიციანსა[63] და ვერონეზემდე[64] რომ შეინარჩუნეს იტალიურმა სკოლებმა. მას, შესაძლოა, დასაშვებად მიეჩნია ნიკოლო პიზელის მკაცრი არქიტექტურული სკულპტურა, მაგრამ უთუოდ შეზღუდავდა კლასიკურ რემინისცენციებს, მის „წმიდა დომინიკეს სარკოფაგში" რომ იჩენენ თავს, და მისივე „შობის" კლასიკურ პოზებს. მაგრამ უკვე რეალიზმის პირველსავე ცდებში, პიზის ბაპტისტერიუმის „განკითხვის დღეში" რომ ვხედავთ, სადაც ასე გამწარებით იკლაკნებიან წელში ოთხად მოკაკული ცოდვილნი, სავსებით აშკარაა პროგრესი, რასაც ბუნების კეთილსინდისიერი შესაწავლის წყალობით აღწევს ხელოვანი. მისი ვაჟიშვილი ჯოვანი უკვე ნამდვილი ნატურალისტია, როგორც ამას გვიმოწმებენ პიზის ტაძრის კათედრის შემკულობა და პისტოიის სანტ ანდრეაში მისივე ნამუშევრები. მაგრამ მისი მძლავრი საჭრეთელი ყოველთვის გაკეთილშობილებულია ამა თუ იმ მაღალი გრძნობით, რომლის წყაროდაც სახარების ყველაზე შთამბეჭდავი ფურცლები გვევლინებიან. პიზის „ყრმათა ულეტაში" მწუხარებით შეშლილი დედები ჯალათებს ხელიდან სტაცებენ თავიანთ პატარებს, მკერდში იკრავენ და ხელის ფათურით უსინჯავენ სხეულს, რათა დარწმუნდნენ, ცოცხლები არიან თუ არა, შემდეგ კი მიწაზე განრთხმულნი მწარედ დასტირიან მათ, „რადგანაც აღარ არიან".[65] მთელი

---

* Müntz, Hist. de l' art pendant la Renaiss., Les Primitifs, p. 285.

ამ სცენის თავში კი გვირგვინოსანი მტარვალი, ტახტზე მჯდომარე ჰეროდე, დედების ვედრების მიუხედავად, შეწყალებას რომ შესთხოვენ მას, სულსწრაფი და მბრძანებლური ჟესტით ანიშნებს ჯალათებს, არავინ დაინდოთო. პისტოიის „ყრმათა ჟლეტაში“ ებრაელთა მეფე მძვინვარე სიხარულით დაჰყურებს თავს ჯალათთა და მათ მსხვერპლთა საწყალობელ ბრბოს.

მაგრამ პიზელ სკულპტორთა სკოლას შეუძლია ასევე კარგად გადმოსცეს რელიგიური სიმშვიდე საუკუნისა, რომელიც თავის დასასრულს უახლოვდება. ის უჩვეულო სინაზითა და სიყვარულით გვიხატავს „ჩვენს დას – ხორციელ სიკვდილს“, რომელსაც ასე მხიარულად მიესალმებოდა წმიდა ფრანჩესკო. ბენედიკტე XI[66]-ის აკლდამასთან, პერუჯის წმიდა დომინიკეს ეკლესიაში, მარმარილოს სარეცელზე მწოლარე პაპის თავთით და ფერხთით დახრილი ორი ანგელოზი, თავიანთი ტრადიციული ფრთების გარეშე, ცდილობს ნელ-ნელა ასწიოს ფარდა, თითქოს მღვდელთმთავრის გამოღვიძებას ელისო. კორტონაში, წმიდა მარგარიტას[67] ფერხთით ძაღლი წევს, თავისი მიჯნურის გასისხლიანებულ გვამთან რომ მიიყვანა ქალი. ჯოვანის მეგობარი, არნოლფო დელ ლაპო, ნიკოლო პიზელის შეგირდი, ორვიეტოში, კარდინალ დე ბრეს სამარხზე სასოების საწინდრად გამოსახავს იტალიური ხელოვნების ყველაზე ნათელ ხილვას: სიკვდილს თან ახლავს ორი მწუხარე ანგელოზი: ზემოთ, გოთური კამარის ქვეშ, ორ ხვეულ სვეტს რომ ეყრდნობა, ტახტზე ზის ჩაფიქრებული და სევდიანი მადონა; შუბლს დიადემა უმკობს, საიდანაც ჩამოშლილი რიდე მხრებზე ეფინება; კალთაში თავისი „ბამბინო“ უზის; მარჯვენა ხელით კი მშვიდად ეყრდნობა სავარძლის სახელურს. ამ ფლორენციელმა, დახვეწილმა და ფაქიზმა ხელოვანმა, სან ჯოვანის პირველი ბრინჯაოს კარის ავტორის – ანდრეას სახით პიზის სკოლას უანდერძა პოზების ჰარმონიული სისადავით გამოხატული ის გულისშემძვრელი სისპეტაკე, ფლორენციული ხელოვნების ყველა დარგის სპეციფიკურ ნიშნად რომ იქცა.

ფლორენციული ფერწერისათვის დამახასიათებელი ეს ნიშანი უკვე სავსებით ჩამოყალიბებული ჩანს ჯოტოს შემოქმედებაში. მისი მეგობრის, დანტეს მიერ წარმოთქმული სიტყვები – „ed ora ha Giotto il grido"[68], – თავიანთ მნიშვნელობას ინარჩუნებენ ფლორენციული სკოლის არსებობის მთელი დროის განმავლობაში, სკოლისა, რომლის მარადიულ მასწავლებლადაც ჯოტო გვევლინება. ცნობილია, რომ ის მინიატურის ჟანრშიც მუშაობდა. ეს ნატიფი ხელოვნება, რომელსაც დანტე ხოტბას ასხამს ოდერიზის[69], l'onor d'Agobbio[70], სახით, XIII საუკუნის დამლევს მეტოქეობას უწევდა ფრანგულ „enluminure"[71]-ს. თავისი მინიატურისტული ცდებიდან ჯოტომ შეინარჩუნა ნათელი და მხიარული ფერები, კომპოზიციის სიწმინდე და მხატვრული გამომგონებლობის თავისუფლება, ეგზომ ძვირფასი საღვთისმსახურო წიგნების ილუსტრატორთათვის, რომლებიც ძალაუნებურად უნდა შემოფარგლულიყვნენ მარტოოდენ წიგნის კაბადონებით და ამიტომ იძულებულნი იყვნენ უნატიფესი დეტალებით გადმოეცათ საღმრთო წერილის სცენები, რათა გრძნობის სისადავითა და დეკორის ინტიმურობით ერთგვარად გაეხალისებინათ ბიბლიის ტრადიციული სიმკაცრე. მაგრამ ბუნების გამუდმებულმა შესწავლამ ჯოტოს და მის მემკვიდრეებს საშუალება არ მისცა სკოლის პრინციპის რანგში აეყვანათ რელიგიური ფერწერის ეს სისადავე. ცხოვრება ხელოვანს მთელ თავის მრავალფეროვნებას ახვევდა თავზე. ასიზის ზემო ეკლესიაში, მის პირველ ფრესკებზე ჩვენ ვხედავთ წყურვილით გატანჯულ კაცს, წყაროს რომ მოჰკრა თვალი და ისეთი კისრიტეხით გარბის მისკენ, თითქოს შიგ ჩაყვინთვას აპირებსო; მტირალი მონაზვნები სასიკვდილო სარეცლის თავზე დახრილან, რომელზედაც სულს ებრძვის წმიდა ფრანჩესკო; ერთი მათგანი ზევით იყურება და ხედავს წმიდანის სულს, ზეცისკენ რომ მიაქროლებენ ანგელოზები, და ამ უჩვეულო სანახაობით გაოგნებული ლამის თვითონაც მოსწყდეს მიწას, რათა კვალდაკვალ მისდიოს მოციქულის სასწაულებრივ ამაღლებას. ეს

ხელოვნება, ესოდენ თავისუფალი, არ უარყოფს რეალობის არცერთ ნიუანსს, და არასოდეს არ ხდება ვულგარული არც თავისი ფიგურებით, არც პერსონაჟთა ჟესტებით, არც მათი განლაგებითა თუ მხატვრული სამკაულებით. ხელოვანი ჩვენს თვალწინ აცოცხლებს მხოლოდ კეთილშობილურ სცენებს, მაშინ როდესაც საფრანგეთში გოთური ფერწერა თუ სკულპტურა ტრივიალურობამდე ეშვება ღვთისმშობლისა და ყრმა იესოს გამოსახვისას, რომელსაც ვაშლი თუ ბზრიალა უჭირავს ხელში და „ნამდვილი ბურჟუას შვილს მოგაგონებთ, სათამაშოებით რომ ართობენ“.

ჯოტო, როგორც მისი თანამედროვე თითქმის ყველა იტალიელი, მორწმუნე კაცი იყო. ასიზის ორივე ეკლესიაში, ისევე, როგორც ბარდის კაპელასა თუ სანტა კროჩეში მას სურდა განედიდებინა წმიდა ფრანჩესკო და მისი სასნაულები, რომლებიც წმიდანს შთააგონა მისმა თანალმობამ და გულმოწყალებამ უმწეოთა და უპოვართა მიმართ, და მისი ორდენის მაღალი სიქველენი, რომელნიც წმენდენ და აფაქიზებენ ადამიანის სულს. პადუაში, სკროვენის კაპელაში, მან დანტეს თვალწინ გააცოცხლა სახარების დიადი სცენები: „ლაზარეს აღდგომა“, „იუდას ამბორი“, „ღამე გეთსიმანის ბაღში“, „ჯვარცმა“ და „გარდამოხსნა“. ის უპირატესობას ანიჭებს სახარების იმ ციკლს, რომელიც იოაკიმიდან, იოანე ნათლისმცემლის პაპიდან მოყოლებული „ამაღლებამდე“ უწევს, და რომლის ცენტრალურ მომენტადაც უფლის ვნებანი გვევლინებიან. პადუაში ის ხატავს „ჯოჯოხეთს“, რომელიც ბავშვებს უფრო აღუძრავს ცნობისმოყვარეობას, ვიდრე ცოდვილებს – შიშს. პიზის კამპო სანტოსა და ფლორენციის სანტა მარია ნოველას „ჯოჯოხეთი“ სულაც არაა უფრო საშიში. ნამდვილ ძრწოლას მარადიული ტანჯვის წინაშე პირველად მხოლოდ ლუკა სინიორელის ფრესკებზე ვხედავთ, ორვიეტოში, შემდეგ კი – მიქელანჯელოს „განკითხვის დღეში“. მაცხოვრის სასწაულებრივი გულმოწყალება ყველას მიმართ, ვინც მასთან სასონარკვეთილების ყვირილითა თუ სიყვარულის სიტყვით მიდის, ჯოტოს

თაოსნობით, ყველა იტალიური სკოლის ჭეშმარიტ „რწმენის სიმბოლოდ" იქცა. ჯოტომ უარყო ბიზანტიურ „მაცხოვართა" თავზარდამცემი სიდიადე; მისი ქრისტე ჭეშმარიტი „ძეა კაცისა", რომელიც მხოლოდ დახვეწილი ქცევითა და ნაკვთების მელანქოლიური სინატიფით აღემატება თავის მოწაფეებს. ასე წარმოგვიჩნდება იგი ლაზარეს სამარხში თუ გეთსიმანის ბაღში შესვლისას, ნახევრად დაფარული იუდას წითელი მოსასხამით, როგორც მტაცებელი ფრინველის ფრთებით, მჭმუნვარე ზიზღით რომ იღებს გამყიდველის ამბორს. იგივე ქრისტე, ხელოვნების პროგრესის კვალდაკვალ, სულ უფრო და უფრო სრულყოფილი სახით წარმოგვიდგება მაზაჩოს[72] ფრესკებზე, შემდეგ კი – ლეონარდო და ვინჩისა და ანდრეა დელ სარტოს[73] „საიდუმლო სერობაში", სადაც ის მოციქულთა ოჯახის უკანასკნელ ტრაპეზს აკურთხებს.

მაგრამ ბებერი ოსტატის ყველაზე ტრაგიკული ქმნილებაა პადუის „საფლავად დადება". წმიდა დედები, იოანე მახარებელი და აღსასრულის ჟამის მეგობრები, ფეხზე მდგომნი თუ პირქვე განრთხმულნი ქვითინით თაყვანს სცემენ იესოს, ვისი თავიც უმწეოდ მისვენებია ტანჯული დედის მკერდს. შვილის ფერმიხდილ სახეზე ღვთისმშობელი ამაოდ ეძებს უკვე მიმქრალი სიცოცხლის ნიშანწყალს. მარიამ მაგდალინელს მისი ფეხები უჭირავს ხელით; ბორცვზე საგაზაფხულო კვირტებით გადაპენტილი ხე დგას, ზეციდან კი გამალებით მოისწრაფიან სახეზე ხელაფარებული თუ ფართოდ მკლავგაშლილი მგლოვიარე ანგელოზები, მწარედ რომ დასტირიან მაცხოვრის სიკვდილს.

ეს რელიგიური იდეალიზმი, XIII საუკუნისგან მემკვიდრეობით რომ მიიღო ჯოტომ, ჩვენი ყურადღების ღირსია. ის მაღალი რენესანსის ეპოქამდე შემორჩა იტალიას, და ყოველგვარი რელიგიური მრწამსის, ზებუნებრივისაკენ სწრაფვისა და თვით რელიგიური ცხოვრების წესებისაგან დამოუკიდებლადაც კი განაგრძობდა არსებობას მხატვართა და სკულპტორთა შემოქმედებაში. ჩვენ

მას ვხვდებით ფრა ფილიპო ლიპის[74] ნამუშევრებში, მთელი მისი თავაწყვეტილი, უჩვეულო თავგადასავლებით სავსე სიჭაბუკის მიუხედავად, რომელიც კორსარის ახალგაზრდობას უფრო მოგვაგონებს, ვიდრე მონაზვნისას. დროდადრო ის შთაგონებით ავსებდა სნეულსა და წმიდა ანგელოზის ციხე-კოშკში ჩაკეტილ ბენვენუტო ჩელინისაც[75], ფსალმუნების გალობით რომ ესაუბრებოდა იესო ქრისტესა და მის ანგელოზებს. არც რაფაელს გაუწყვეტია მასთან კავშირი, ლეონ X[76]-ის სასახლის კარის მთელი ელეგანტური გარყვნილების მიუხედავად. ჩვენ მას ვხედავთ პერუჯინოს[77] ნამუშევრებში – „ქრისტე კოლონასთან“ და „საფლავად დადება“. ამ უკანასკნელი სურათის წინა პლანზე მუხლმოყრილ მლოცველთა მიღმა თვალწარმტაცი ხედი იშლება, სადაც ბუნება თავისი აუმღვრევლობით, ლაჟვარდოვანი ცის ღიმილით, მსუბუქ ნისლში გახვეული ბორცვების სიმშვიდით, ანკარა წყაროების ჩუხჩუხითა და ხასხასა ველ-მინდვრებით თითქოს შეჰხარის და გუნდრუკს უკმევს მოახლოებული აღდგომის სასოებას. არადა, ფლორენციული ურწმუნოების სულით გამსჭვალულ დიდ უმბრიელ მხატვარს, ვაზარის[78] მოწმობით, „არავითარი რელიგია არ გააჩნდა და ვერც სულის უკვდავებაში დაარწმუნებდა ვინმე. როგორც ამ გრანიტის თავიან კაცს შეჰფეროდა, დაჟინებით უარყოფდა ჭეშმარიტ გზას, და საერთოდ არ სწამდა არაფერი, მინიერი სიამის გარდა“.

ამრიგად, მთელი იტალიური ხელოვნებისათვის ჯოტო იყო იმ მისტიციზმის ინიციატორი, რომლის გარეშეც შეუძლებელია ჭეშმარიტად ქრისტიანული ფერწერის არსებობა, და რომელიც, ერთმანეთს რომ უხამებს წმიდა ტრადიციების თაყვანისცემას და მათი ენით უთქმელი პოეზიის გრძნობას, დღესაც კი ცოცხლობს ბევრი მორწმუნის გულში, რომლებმაც დიდი ხანია ზურგი აქციეს ძველ ეკლესიას. მაგრამ ჯოტოს გულში, გარდა ამისა, კვლავაც ღვიოდა ღვთიური გრძნობა და სასოება, რომლის ბადალიც მას აქეთ არ ახსოვს ქვეყნიერებას: ეს იყო

უკანასკნელი რელიგიური ხილვები საუკუნისა, რომლის ხულიერი სამყაროც ეს-ესაა მიმოვიხილეთ. სანტა კროჩეს პეტრუცების კაპელაში ის გვიხატავს ეულ იოანე მოციქულს, პატმოსის კლდეზე რომ მიუდვია თავი და ძილს მისცემია, ხოლო მის ზემოთ, მრუმე ღრუბლებში ღმერთების ხომლივით მწყობრად მიიგრაგნებიან მომავლის დიადი მისტერიები, რომელთა ამოცნობასაც ამაოდ ცდილობდა შუასაუკუნეობრივი აზრი აპოკალიპსისა და მეოთხე სახარების სტრიქონებს შორის. მეზობელ ფრესკაზე გამოსახულია მოციქულის აღდგომა, საფლავიდან რომ ამოდის თავისი გაოგნებული და აღტაცებული მსმენელების თვალწინ. ეს მხატვრობა სხვა არა არის რა, თუ არა უკანასკნელი „მშვიდობით", იტალიური ხელოვნება თავისი აკვნიდან რომ უგზავნის იოანე მახარებლის, ჯოაკინო დელ ფიორეს, იოანე პარმელისა და ჯაკოპონე დი ტოდის ტრადიციებს.

თავი VII
დანტეს მისტიციზმი, ეთიკა და რელიგია

ჩვენ აღვნიშნეთ სამი პასუხი, რომელთა მეშვეობითაც შუა საუკუნეების იტალიური ქრისტიანიზმი მთელი თავისი ცვალებადი განვითარების მანძილზე ცდილობდა გაერკვია სულისა და ღმერთის, ქრისტიანისა და ეკლესიის ურთიერთმიმართების საკითხი. ეს პასუხები გაცემულ იქნა არნოლდ ბრეშიელის, აბატ ჯოაკინოს, წმიდა ფრანჩესკოს, იოანე პარმელის, იმპერატორ ფრიდრიხ II-ისა და მისი ფილოსოფოსების მიერ. ყველა ამ პასუხს საფუძვლად უდევს თავისუფლების იდეა: პოლიტიკური საზოგადოების აბსოლუტური თავისუფლება მიწიერ ეკლესიასთან მიმართებით, ინდივიდუალური რელიგიის თავისუფლება, სადაც რწმენა და სიყვარული დომინანტურნი უნდა ყოფილიყვნენ მორჩილებასა და სინანულთან შედარებით, და ბოლოს, პიროვნული აზრის თავისუფლება დოგმისა და მის მსახურთა მიმართ. არნოლდისტების, ჯოაკინისტების, თავგადაკლული ფრანცისკანელების, ფრატიჩელებისა თუ ურწმუნო გიბელინების გამო ბევრი სიმწარე უნახავს და განუცდია რომის ეკლესიას. პაპები საშინელ ბულებს აქვეყნებდნენ მათ წინააღმდეგ, თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ამ თავისუფალ ქრისტიანებს არასოდეს გადაუდგამთ საბოლოო ნაბიჯი, რომელიც გარდუვალს გახდიდა სრულ სარწმუნოებრივ განხეთქილებას, არასოდეს უღიარებიათ თავი სქიზმატიკოსებად თუ მწვალებლებად. დანტეს, თავისი ეროვნებისა და თავისი

ეპოქის ამ უდიდესი წარმომადგენლის სულში მთელი სისრულით ვლინდება რელიგიური თავისუფლების ყველა ეს იმპულსი. იტალიური რელიგიის ყველა ორიგინალური გამოვლენა თითქოს ერთმანეთს ეთანხმება და უზავდება მის არსებაში. ამ მკაცრ ქრისტიანს, ვისი რწმენის ორთოდოქსულობაშიც ბევრს ეპარებოდა ეჭვი, რაფაელი თავის „დავაში ევქარისტიის შესახებ" მსოფლიო ეკლესიის წმიდა მამათა და სწავლულთა გვერდით მიუჩენს ადგილს[1]. წმიდა ფრანჩესკოსთან ერთად ის იყო უდიდესი ფიგურა იმ ეპოქისა, რომლის ისტორიაც ესკიზურად მოვხაზეთ ზემოთ.

I

მაგრამ ამ კაცის ბუნება მეტისმეტად რთულია, რადგანაც მისი სული ისეთივე ბობოქარი იყო, როგორც მისი ცხოვრება. მაშინ, როდესაც წმიდა ფრანჩესკო, უმბრიის მწვანე სამოთხეში, მხიარულად მოჭიკჭიკე ჩიტუნებთან ერთად მარადიულ „Laetare"[2]-ს უგალობს უფალს, დანტე თავის თავზე წერს: „მე ვგავარ უსაჭო და უიალქნო ხომალდს, აქეთ-იქით რომ ახეთქებს და ნაპირიდან ნაპირამდე, ნავთსაყუდლიდან ნავთსაყუდლამდე დააქანებს გრიგალი". მან დაკარგა ყველაფერი, რაც უყვარდა: თავისი პირველი სიყვარული – ბეატრიჩე, თავისი მშობლიური ქალაქი მისი ბაპტისტერიუმითა და მისი „საყვარელი სან ჯოვანი"-თურთ, თავისი პოლიტიკური მრწამსი და პატივისცემა რომის ეკლესიის მიმართ. ზომიერი გველფიდან, წმიდა ტახტისა და, უფრო მეტად, ფლორენციის კომუნალური თავისუფლების მომხრედან გიბელინად იქცა, როცა ბონიფაციუს VIII-მ თავისი ხელით დაშალა გველფების პარტია. მაგრამ ჰენრიხ VII[3]-ის შემდეგ იმპერიაზეც ისევე აუცრუვდა გული, როგორც უფრო ადრე – ეკლესიაზე. მაშინ მთელს იტალიაში, „მწუხარების ამ თავშესაფარში" დაიწყო ხეტიალი და თან დაჰქონდა თავისი ტკივილი და აუხდენელი ოცნებები. ერთ საღამოს რავენის ბიზანტიური ბაზილიკის ჩრდილში ჩამოჯდა და იქვე განუტევა სული[4].

ამ საყოველთაო ნგრევის ჟამს მან შესძლო ერთი რამ მაინც შეენარჩუნებინა: თავისი გენია – თავისი რწმენა. მას სნამდა ღმერთი, მაცხოვარი და ცხოვრების ცხოველმყოფელი, ღვთაებრივი სამართლიანობა, ერთპიროვნულად რომ მბრძანებლობს კაცთა მოდგმის უბადრუკ ისტორიაზე და მოწყალედ ნუგეშს სცემს იმას, ვისთვისაც ეს ქვეყანა ერთი ბეწო სიხარულსაც არ იმეტებს. მის გენიას შეეძლო იმ ურყევ ჭეშმარიტებათა წვდომა, სინათლის სხივად რომ აკიაფებს ღმერთი ადამიანის გონებაში, და იმ უსაზღვრო სიყვარულისაც, რითაც უფალი აჯადოებს მოკვდავთა გულებს. ყოველივე ამის წინაშე ის ხან მონიწებით იდრეკდა ქედს, როგორც ღმრთისმსახური, წმინდა შესაწირავს რომ დებს საკურთხეველზე, ხანაც თავდაჯერებული გეომეტრის სიმშვიდით, რომელიც თეორემას წყვეტს. მას არა მარტო სწამს, კიდევაც ხედავს; ის არანაკლებ თავისუფლად მოძრაობს ზებუნებრივის სფეროში, ვიდრე „ოქროს ლეგენდის“[5] სასწაულმოქმედი, და ბავშვები არ ცდებოდნენ, როცა მისი წითელი კაპიუშონის დანახვისას დაფეთებულნი გარბოდნენ და თან ყვიროდნენ: „აი, ჯოჯოხეთიდან ამოსული კაცი!“

დანტეს, უწინარეს ყოვლისა, მისი „ახალი ცხოვრების“ გარიჟრაჟზე უნდა დავუკვირდეთ, როცა მის გულში პირველად იღვიძებს გრძნობა. ცხრა წლისა იყო, როცა პირველ მაისს, „Primavera“[6]-ს დღესასწაულზე თვალი მოჰკრა პატარა ბეატრიჩე პორტინარის. გოგონას ალისფერი კაბა ეცვა. მისი დანახვისთანავე ელდანაცემივით გაშეშდა და ანაზდეულად ჩაესმა ხმა, რომელიც თითქოს თვითონ მასშივე ამბობდა:„Ecce Deus, fortior me“[7]. მეორედ მხოლოდ ცხრა წლის შემდეგ ნახა. ყმანვილ ქალს ამჯერად თეთრი კაბა ეცვა და მის სალამზე ისე თავაზიანად უპასუხა, რომ ჭაბუკი ცას ეწია სიხარულით[8]. ერთხელ კი, როცა ქალი რატომღაც არ მიესალმა, მას თვალწინ წარმოუდგა თეთრით მოსილი ჭაბუკი, ცრემლების ფრქვევით რომ ამბობდა: „შვილო ჩემო“[9]. „Vita Nuova“[10]-ში რვა ხილვაა და დანტეს ყოველთვის ყურში ჩაესმის ჰაეროვანი ხმა, მის

თვალწინ სხივოსანი აჩრდილები რიალებენ და ვიღაცა ჩურჩულებს მის სულში. ბოლო ხილვა, სწორედ ბეატრიჩეს სიკვდილის დღეს, იმდენად გამაოგნებელი იყო, რომ მისი აღწერის თავიც აღარა აქვს[11]. თავის თხრობას იმით ამთავრებს, რომ ღმერთს ევედრება, სამოთხეში მაინც აღირსოს ბეატრიჩეს ხილვა, „ნეტარებით რომ უმზერს იმას, ვისი სახეც კურთხეულია უკუნითი-უკუნისამდე"[12].

ამ ბავშვსა და ჭაბუკში უკვე იგრძნობა ის მისტიციზმი, რაც ნიშნეული იყო დიდი წმიდანებისა და იმ ფილოსოფოსებისათვის, რომელთა აზრიც გამუდმებით ეძებდა ღმერთს. მაგრამ ისინი უკვე მოწიფულობისას განიცდიდნენ მძიმე სულიერ ტრავმას, რაც მათში იწვევდა უკურნებელ ზიზღს ყოველივე მიწიერის მიმართ: ეს იყო ამქვეყნიური ბედნიერების ამაოებისა თუ გონების უკმარისობის შეგნება, ან ძრწოლა უხილავის წინაშე, რაც ამ ტანჯულთა გულში სამუდამოდ ახშობდა ვნებათაღელვას და უფლის მიმართ მიაქცევდა მათ, რომლისგანაც განშორებაც მათ უკვე აღარ უნდოდათ, თუმცა, რომც მოენდომებინათ, ვერასდიდებით ვეღარ შესძლებდნენ. „აპოკალიპსის" ვიზიონერი ავტორი ნერონის სისხლიანი ეპოქის მომსწრე იყო; პლოტინი[13] და პროკლე[14] რელიგიურ ოცნებათა ყველაზე უჩვეულო მდუღარების დროს ცხოვრობდნენ და თეურგიის[15] სახიფათო ცთუნებებს იყვნენ აყოლილნი; ჯოაკინო დელ ფიორე კარგად იცნობდა ნორმანდიული სასახლის კარის ფუფუნებას და მთელი აღმოსავლეთ ევროპის, კონსტანტინოპოლისა და მცირე აზიის მოვლა მოასწრო, ვიდრე სული წმიდა უხმობდა; წმიდა ფრანჩესკო სარაინდო რომანების კითხვით აღაგზნებდა თავის წარმოსახვას, სიჭაბუკეში არ დაუკლია არანაირი სიამოვნება და მხოლოდ ხანგრძლივმა ავადმყოფობამ, ზიზღი რომ აღუძრა ყოველგვარი განცხრომის მიმართ, და გულმოწყალების უჩვეულოდ მძაფრმა მოთხოვნილებამ მიუბრუნა იგი სახარებას. ყველა ეს მისტიკოსი კონტემპლაციისა და ასკეტიზმის მეოხებით თრგუნავდა თავის მიდრეკილებას ყოველივე ამქვეყნიურის მიმართ, და

როგორც ტალახში ამოსვრილ სამოსს იცვლიან, ისე თავისუფლდებოდა თავისი ხორციელი გარსის ტყვეობისაგან. მათი კავშირი ღმერთთან იმდენად მჭიდრო იყო, რომ ბრმად ენდობოდნენ მას, და ისე ცვიოდნენ ღვთაებრივ სიდიადეში, როგორც უფსკრულში. წმიდა ეკატერინე[16] სასიკვდილო სარეცელზე ამბობდა: „მე დავივანებ წყნარ ზღვაში, რომელსაც ჰქვია ღმერთი". პლოტინის უკანასკნელი სიტყვები იყო: „ვგრძნობ, რომ ღმერთი გამოდის ჩემგან". თითქმის ყველა მათგანი, თვით ისინიც კი, წმიდა ფრანჩესკოსა და წმიდა ეკატერინეს მსგავსად ამქვეყნიური ცხოვრების ორომტრიალში რომ იყვნენ ჩაბმულნი, საკმაოდ ადვილად აღწევდნენ ექსტატური არსებობის უკიდურეს ზღვარს, ე.ი. ღმერთისა და საუკუნო სოფლის საიდუმლოთა ხილვას. გრძნობადი საგნები მათ თვალში თანდათანობით იქცეოდნენ ჭეშმარიტ არსთა ლანდებად, რის შედეგადაც მათი სული თითქოს ნისლივით იფანტებოდა, უშუალოდ ერწყმოდა ღმერთს და ერთადერთი ცოცხალი, ერთადერთი პიროვნული გრძნობა, რაც მათ არსებაში რჩებოდა, ეს იყო უსაზღვრო, ენით უთქმელი სიხარული, რასაც მათში მარადისობასთან ყოველდღიური ურთიერთობა იწვევდა.

სულ სხვაა დანტე, ბურჟუაზიული ოჯახის შვილი, ლეგისტთა შთამომავალი, ლათინი პოეტების ლექსებზე აღზრდილი, სამხედრო ხელოვნებაში სიჭაბუკიდანვე გაწაფული. ის აღიზარდა იმ იტალიური კომუნის წიაღში, რომელსაც ყველაზე მეტად არყევდნენ პოლიტიკური ძალადობანი, მისი წინაპრებიც და მამამისიც ჩათრეულნი იყვნენ ფლორენციელი გველფებისა და გიბელინების დაუსრულებელ კონფლიქტში და არაერთხელ უწვნევიათ განდევნის მთელი სიმწარე. ვაჭრებისა და ბანკირების ამ ქალაქში, სადაც მძლავრობდნენ მხოლოდ მიწიერი ვნებანი, რელიგიური გრძნობა კი იმდენად უმწეო იყო, რომ წმიდა ანტონინუსის ეპოქამდე (XV ს.) არცერთ ფლორენციელს არ დაუკავებია ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო ადგილი იტალიელ წმიდანთა ხომლში, – დიახ, სწორედ ყვავილების

ამ ქალაქში, რომელსაც უყვარდა სიხალისე, რომელმაც გამოიგონა სატირული ნოველა და XI საუკუნეში ააღორძინა ეპიკურესეული ათეიზმი, სევდიანი ყმანწვილი, ჯერ კიდევ მეტისმეტად ნორჩი საიმისოდ, რომ იცოდეს, რა არის ტანჯვა, და მეტისმეტად წმინდა, რათა იცნობდეს ცხოვრების ზოგიერთ ამაზრზენ ასპექტს, ბეატრიჩეს დანახვისთანავე, ვის ღვთაებრივ სახესაც არაამქვეყნიური სილამაზის ნათელი ადგას, ამ უებრო მშვენებით მონუსხული თავის თავში აღმოაჩენს გამაოგნებელ მოწოდებასა თუ დაუოკებელ სწრაფვას ზებუნებრივის მიმართ, და ამას იქით თავდავიწყებით ემსახურება მხოლოდ და მხოლოდ მას. ამიერიდან, ცოცხალი თუ მკვდარი ბეატრიჩეს მეოხებით, მას გამუდმებით ევლინება უჩვეულო გამოცხადება და, ბეატრიჩეს მეშვეობითვე, ღმერთსა და მის ანგელოზებთან საუბრის ღირსი ხდება. ზოგჯერ, როცა ღმერთთან ზიარებისას, ზებუნებრივი ნათელი თვალსა სჭრის და აბრმავებს, ჰგონია, გული მიმდისო და გონებას კარგავს. ყველა დიდი მისტიკოსის მსგავსად, ექსტაზისას ორი ურთიერთსაპირისპირო გრძნობა ეუფლება: სანეტარო აღტაცება იდუმალების წინაშე და, როგორც კი თვალს დაბლა ხრის, ამქვეყნიური არსებობის სიმწრისა და სიდუხჭირის მტანჯველი განცდა. მთელი სამყარო სამგლოვიაროდ მოსილი წარმოუჩნდება და ასე ჰგონია, „მწუხარების ქალაქში" მიმავალი პილიგრიმები მწარედ აქვითინდებოდნენ, მისი ტანჯვის მიზეზი რომ გაეგოთ[17]. ყველაფერი უფერულდება, სიხარული მთელ თავის მომხიბვლელობას კარგავს; სხეული, სულის ეს დილეგი, ირღვევა; „მალე ისე დავსუსტდი და დავძაბუნდი, რომ მეგობრებს მწუხარებით ავსებდა ჩემი დანახვა". სულის ამნაირი განწყობილება დამთრგუნველ ზემოქმედებას ახდენს აზრების მწყობრ თანმიმდევრობასა და გონების ქმედითობაზე; ინტელექტუალური ცხოვრების პირობები გარკვეულწილად ტრანსფორმირდება. სულიერი ციებცხელება, რომელიც მოიცავს პოეტს, მის სულში სახეს უცვლის ყოველივე ხილულსა თუ გრძნობით აღსაქმელს.

ცნობიერების უჩვეულო გაორების გამო მას გზაჯვარედინზე მდგარი ანგელოზის სახით წარმოუჩნდება თავისივე ენება, ხოლო ამ იდუმალი გამვლელის დრტვინვა და ოხვრა, სხვა არა არის რა, თუ არა მისივე გულისძგერის გამოძახილი. როდესაც ბეატრიჩე ევლინება და სალამს უძღვნის, ის, უსაზღვრო ბედნიერებით ცნობამიხდილი, მოცელილივით ეცემა ძირს. დანტეს ეჩვენება, თითქოს მთელი მისი სული სიყვარულად იქცევა, ყველა გრძნობა კვდება და მის არსებაში მხოლოდ სიყვარულიღა ცოცხლობს, ნეტარებით რომ შეჰფრფენს ბეატრიჩეს. „ჩემი სხეული ხშირად რაღაც მკვდარსა და უსულოს ემსგავსებოდა". იმავდროულად, სიმბოლიზმი მისი აზრის ძირითად ფორმად იქცევა. ყველაფერს, რაც მას ესმის, რასაც ის ხედავს, მხოლოდ იმდენადა აქვს აზრი, რამდენადაც ღვთაებრივსა და უხილავს უკავშირდება. ბეატრიჩეს სამოსის ფერი მისთვის იდუმალ ენად იქცევა, რომელიც უფრო ნათლად ესმის, ვიდრე მოკვდავთა მეტყველება. თვით ბეატრიჩეც გარდაიქმნება და მისი სახით ზეციური იერუსალიმის ზღურბლზე დანტეს თეოლოგია თუ წარუვალი სიბრძნე ეგებება. ბუნებრივი მოვლენები, ზღვა, ცა, მოციმციმე ვარსკვლავები, „რომლებიც თითქოს ტირიან", ველური მხეცები, ისტორიის აქციდენტები, ვერგილიუსის სადარი დიადი სულები, იუდასა თუ ბრუტუსისნაირი დიდი გამცემები, – ყოველივე ეს მისთვის სხვა არა არის რა, თუ არა ღვთაებრივი სიტყვის საიდუმლოთა ამოხსნისა და ამოცნობის საშუალება.

თავისი გენიის ამ არსებითი ნიშნით დანტე უთუოდ მჭიდროდ უკავშირდებოდა შუა საუკუნეების მისტიურ იდეალიზმს, რომელიც ესოდენ სხვადასხვაგვარად ვლინდებოდა: გოთური სკულპტურის სნეული წარმოსახვის, ფეოდალური ჰერალდიკის, უკეთილშობილეს ქრისტიანთა ოცნებებისა თუ უდიდეს სქოლასტიკოსთა ტრანსცენდენტური პლატონიზმის სახით. დანტე ბავშვობაშივე ვიზიონერი იყო. წარმოიდგინეთ პირტიტველა ჭაბუკი, რომელიც უკვე მონასტერში შედის, სამუდამოდ მოწყვეტილი იტალ-

იური ცხოვრების რეალობას, პოლიტიკურ ქარიშხლებს გარიდებული, საღმრთო წერილზე აღზრდილი და კლასიკური მწერლობის უარმყოფელი. და თუ ის, ამასთანავე, პოეტიცაა, ხელახლა მიუბრუნდება ფრა პაჩიფიკოს ფრანცისკანულ ტრადიციებს და, ფრა ჯაკოპონეს მიბაძვით, საღვთისმოსაო laus-ების თხზვას მიჰყოფს ხელს; თუ მხატვარია, ის დაეუფლება ფრა ანჯელოკოს ნაზსა და ნატიფ ხელოვნებას; თუ მოქადაგეა, მას შეუძლია სავონაროლას აპოკალიპსური ხილვებით შეძრწუნოს მორწმუნენი; ხოლო თუ სწავლულია, წმიდა ბონავენტურას კათედრას დაიკავებს. თუმცა ყველა ამ შემთხვევაში ის იქნება მონაზონი, გულმხურვალე და ნათელმხილველი, უდიდესი იტალიის მთელ რელიგიურ ისტორიაში, მაგრამ მაინც მონაზონი, მხოლოდ მონაზონი.

II

სასოწარკვეთოლებამ, რომელმაც ბეატრიჩეს გარდაცვალების შემდეგ შეიპყრო დანტე, ინტელექტუალური ცხოვრების მიმართ მიაქცია იგი. იმ წიგნებიდან, რომლებსაც თავის მასწავლებელთან – ბრუნეტო ლატინისთან ერთად კითხულობდა, მან ამოარჩია ყველაზე სერიოზული ქმნილებები – არისტოტელეს, ციცერონისა და სენეკას ფილოსოფიური ტრაქტატები. „მე დავიწყე იმ წიგნების კითხვა, რომლებითაც თავს ინუგეშებდა დატყვევებული და გადასახლებული ბოეციუსი. რაკიღა ვიცოდი, რომ ციცერონმა დაწერა წიგნი, სადაც, მეგობრობაზე მსჯელობისას, მოაქვს დიდად კეთილშობილი კაცის – ლელიუსის სანუგეშო სიტყვები მისი მეგობრის სციპიონის გარდაცვალებასთან დაკავშირებით, – გატაცებით შევუდექი მის კითხვას. შეძლებისდაგვარად ჩავწვდი კიდეც ამ ბრძენთა აზრს, და, იმ კაცისა არ იყოს, ვერცხლს რომ ეძებდა და ოქრო კი იპოვა, მე, ნუგეშის მძებნელმა, არა მარტო ჩემი ცრემლების წამალი ვპოვე, არამედ ავტორთა სახელებიც, მეცნიერებებიცა და წიგნებიც, და მივხვდი, რომ ფილოსოფია, დედოფალი ყველა ამ ავტორის, მეც-

ნიერებისა და წიგნისა, ყველაფერზე უმაღლესია და უზენაესი. მაშინ სიარული დავიწყე იქ, სადაც ეს მშვენიერი ქალბატონი ყველაზე ხშირად ჩანდა, ესე იგი, საეკლესიო სკოლებში და ფილოსოფოსთა დისპუტებზე, და ოცდაათი თვის განმავლობაში ისე მომნუსხა თავისი ხიბლით, რომ მისმა სიყვარულმა ყველა სხვა გრძნობა განდევნა ჩემი გულიდან"*.

„Convito"[18], რომლის ცალკეული წიგნებიც დანტეს ცხოვრების სხვადასხვა პერიოდში დაიწერა, გარკვეულწილად შეიცავს სიბრძნის ამ დაუცხრომელი ძიების მოგონებებს. მაგრამ პადუაში, ბოლონიასა თუ პარიზში, სენტ-ჟენევიევის თხემზე[19], ვერც „Quodlibet"[20]-ის არგუმენტირებაში მონაწილეობამ, ვერც „სენტენციათა წიგნის"[21] კომენტარების ჩხრეკამ, ვერც თომა აქვინელის თეოლოგიის შესწავლამ და ვერც სქოლასტიკაში ჩაღრმავებამ, მოკლედ, ვერც მოძღვრებმა და ვერც მოძღვრებებმა ვერ აპოვნინეს დანტეს ის მანუგეშებელი ფილოსოფია, რომელსაც მიელტვოდა მისი სნეული სული. ფილოსოფია, რომელსაც ის ეძებდა, სულაც არ იყო ინტელექტუალური ოპერაციების, ეგზეგეტიკისა თუ რაციონალური განსჯის, სილოგიზმების მეშვეობით ადამიანური გონების ყველა ცნების, ბუნების ყველა ფაქტის, საღმრთო წერილის ყველა მონაცემის განხილვისა და გააზრების ხელოვნება. არა, დიდ მოაზროვნეებსა და პოეტებთან ურთიერთობისა და თვითანალიზის წყალობით, ეს იყო, უწინარეს ყოვლისა, პირადი საქმე, გაცილებით უფრო ცოცხალი და ცხოველმყოფელი, ვიდრე ფუარის ქუჩის ყველა თეორია, გაცილებით უფრო დიადი, ვიდრე სქოლასტიკური ლოგიკა და დიალექტიკა. დანტესთვის ფილოსოფია გულიც იყო და გონებაც, რომლებიც განწონიდნენ და ავსებდნენ კიდეც ერთმანეთს; მეცნიერება, რომელიც, თვით პოეტის სიტყვებით რომ ვთქვათ, რომლებითაც ის მიმართავს „ჯოჯოხეთში" ბრუნეტო ლატინის „მამობრივ, ძვირფასსა და

* Convito, II, 13.

საყვარელ სახებას", – ადამიანს ასწავლის, როგორ მიაღნიოს უკვდავებას, „come l'uom s'eterna".[22]

და მართლაც, სწორედ ბრუნეტო ლატინის ლექციებით დაიწყო დანტეს ფილოსოფიური ინიციაცია. ბრუნეტომ მთელი თავისი სიცოცხლე ფრანგული სქოლასტიკური სკოლების ჩრდილში გაატარა, მაგრამ მან იქიდან იტალიაში ჩამოიტანა წარმართული სინათლის სხივი. თავის „საუნჯეში" ის არა მარტო ენციკლოპედისტი კომპილატორია, ვენსან დე ბოვეს მსგავსად, არამედ ბრძენიც, რომელმაც იმ უცნაურ ცნობათა ქაოსში, ერთმანეთზე რომ დაახვავეს შუა საუკუნეებმა, შესძლო ჩასწვდომოდა მარტივ და დიად ჭეშმარიტებათა არსს, რომელთა საიდუმლოც საფლავში ჩაიტანეს ანტიკური ეპოქის მოაზროვნეებმა. „საუნჯე" აჭრელებულია იმნაირი მაქსიმებით, რომლებიც უშუალოდ ბერძენი თუ რომაელი მორალისტებისაგან გადმოღებული ეგონება კაცს. აქ გამოთქმულია სოკრატული თუ სტოიცისტური ფილოსოფიის ძირითადი აზრი, რომლის თანახმადაც ცოდნა სინიდისის გარეშე მკვდარია, ხოლო სიქველე სიბრძნის უმშვენიერეს ნაყოფად გვევლინება. „კარგად მსჯელობდე და ცუდად იქცეოდე, ეს ნიშნავს განაჩენი გამოგქონდეს შენივე თავისთვის". „ღირსეული ადამიანი უნდა ენდობოდეს იმ ბრძენკაცს, რომელიც საქმით ადასტურებს თავის თეორიებს". ჯოვანი ვილანის სიტყვით, ლატინი იყო „დიდი ფილოსოფოსი, რიტორიკის საუცხოო მასწავლებელი, მაგრამ განცხრომის მოყვარე კაცი, mondano homo".[24] ხოლო ფილიპო ვილანის მიხედვით, „ეს ლაღი და ხალისით სავსე კაცი, ვისი სიტყვაც დიდი მახვილგონიერებით გამოირჩევა, დიახაც იმსახურებს იმას, რომ ანტიკურობის უკეთეს ორატორთა რიცხვს მივაკუთვნოთ". ბრუნეტო იყო აგრეთვე გვიდო კავალიკანტის მასწავლებელი, დიდი ელეგიკოსი პოეტისა, ვისი შემოქმედებაც პათეტიკურობისა და სენსუალიზმის ნიშნითაა აღბეჭდილი, და ვინც ფლორენციელ ეპიკურელთა წრის ერთ-ერთ ყველაზე აშკარა ათეისტად გვევლინება. ყოველივე ამის გათვალისწინებით შეიძლება

გარკვეულწილად წარმოვიდგინოთ ბრუნეტო ლატინის ორიგინალური პიროვნება. ანგარიშიც რომ გავუნიოთ იმას, რასაც დანტე გვავარაუდებინებს თავის მასწავლებელზე, ის მაინც აღორძინების ეპოქის ჰუმანისტთა წინამორბედად უნდა მიგვაჩნდეს, ვისი ხასიათიც ყოველთვის როდი იდგა მისი გონების დონეზე, მაგრამ ამ გონებამ, კლასიკური მწერლობით რაფინირებულმა, ლათინ ავტორთა მჭევრმეტყველებით მონუსხულმა, თავისუფლებისმოყვარემ და ირონიულმა, ყოველგვარი დაწვრილმანების გარეშე, შესძლო ქრისტიანული შუა საუკუნეებისათვის დაებრუნებინა არა მარტო ძველი რომის კეთილხმიერი ენა, არამედ ანტიკური რაციონალიზმიც.

რა თქმა უნდა, შუა საუკუნეების ყველა სწავლული კითხულობდა იმ ბრძენ თუ რომაელ მწერლებს, ისტორიკოსებსა და ფილოსოფოსებს, რომლებსაც ლატინი უხსნიდა პოეტს. მაგრამ აქ მასწავლებელსა და მონაფეს შორის ანტიკურობის სრულიად ახლებური გაგება იჩენს თავს. ის თითქმის რელიგიური თაყვანისცემა ანტიკურ ავტორთა მიმართ, რასაც მასწავლებელი უნერგავს თავის მონაფეს, ჭაბუკის სულში ნამდვილ გადატრიალებას იწვევს, დაახლოებით იმის მსგავსს, რასაც აღგვიწერს პლატონი. თავისი ენთუზიაზმისა და სიყვარულის წყალობით, დანტე ცდილობს თვითონვე მიბაძოს ამ კეთილშობილ ნიმუშებს და „თავის სულში შვას მშვენიერი სიტყვები". ის არ კმაყოფილდება მარტოოდენ იმით, რომ ჯოჯოხეთში ჩასვლისას თაყვანი სცეს თავისი საყვარელი ვერგილიუსის სკოლას, ჰომეროსის, ჰორაციუსის, ლუკანუსის დიდებულ ლანდებს, ან მოწიწებით უმზიროს მარადიული ნათლით მოსილ სოკრატესა და პლატონს, დიოგენესა და ანაქსაგორას, ზენონსა და ჰიპოკრატეს, ციცერონს, ტიტუს ლივიუსსა და სენეკას, მოკლედ, სიბრძნისმეტყველთა მთელ ოჯახს, „ფილოსოფოსთა მოძღვრის" („il maestro di color che sanno"[25]) – არისტოტელეს ირგვლივ რომ მოუყრიათ თავი, – არამედ თვითონვე იკავებს ადგილს ამ ბრძენკაცთა შორის, ცდილობს მათი ენით იმეტყველოს და

მათსავე მოძღვრებებში დაუწყოს ძებნა სინიდისის თავისუფლების მარადიულ იდეალს.

III

დანტეს „Convito“ უკვე თავისუფალი აზრისა და კვლევის ნაყოფია. სქოლასტიკური და გეომეტრიული კვლევის მეთოდი, რასაც ესოდენ მკაცრად მისდევს „De Monarchia“,[26] მთლიანად ქრება მორალური ექსპერიმენტაციის, შესაძლო შესიტყვებათა თუ საპირისპირო აზრთა გაბათილების მცდელობის, ძველ ავტორთა, სქოლასტიკოსთა თუ არაბ მწერალთა ციტატების, ხალხურ ცრურწმენათა მხილებისა და თავისი დროის ზნე-ჩვეულებათა მიმოხილვის მიღმა. დანტე მხოლოდ იმდენად მიმართავს ავტორიტეტს, რამდენადაც ეს შეჰფერის თავისუფალ სულს. როგორც ქრისტიანი, ის მხოლოდ ხანდახან თუ მოიხმობს გამოცხადებას, როცა გონებაც და თეორიაც ყოყმანით ჩერდება ამა თუ იმ პრობლემის, ვთქვათ, სულის უკვდავების საკითხის წინაშე*. როგორც ფილოსოფოსს მას მოაქვს თავისი მასწავლებლის შეხედულებანი, მაგრამ მხოლოდ მას შემდეგ, რაც თავის საკუთარ აზრს გადმოგვცემს; სხვისი შეხედულებებით თავისი წარმოდგენის განსაზღვრას კი არ ცდილობს, არამედ ახსნა-განმარტების გზით მის განმტკიცებას. სილოგიზმების შემდეგ, ბოლოს და ბოლოს, ეგზეგეტიკაც ექვემდებარება რაციონალურ კვლევა-ძიებას.

მთელი ეს ფილოსოფია დასაბამს იღებს ადამიანის გონებაზე დანტეს მიერ შემუშავებული წარმოდგენიდან. გონება – ამბობს ის, – ადამიანის კეთილშობილების უპირველეს ნიშნად უნდა მიგვაჩნდეს; გონებაა მისი ფორმა, საიდანაც გამომდინარეობს ადამიანის არსებითი განსაზღვრა. მისთვის „ცხოვრება“ გრძნობებით ცხოვრებას კი არ ნიშნავს, როგორც ცხოველებისთვის, არამედ გონებით ცხოვრებას. გონების უზენაესი დანიშნულება,

* Convito, II, 9.

მარადიულ ჭეშმარიტებებს რომ იაზრებს, ღვთაებრივ აზრთან მისი ურთიერთობით განისაზღვრება, აზრთან, რომელშიაც მოქცეულია ყველა ეს ჭეშმარიტება. ჩვენი სული, რომელმაც იცის, რომ ღვთაებრივ სულს ენათესავება, ცდილობს სიყვარულის მეოხებით უშუალოდ შეერწყას მას. ყოველგვარი მატერიალური გარსისაგან თავდაღწეული, ის ისეთივე სინათლით ბრწყინავს, როგორც ანგელოზთა სული. ამრიგად, თავისი გონივრული სულის წყალობით, ადამიანი ღვთაებრივი ცხოველია. მისი გონება თავისუფალია, რადგანაც ის მხოლოდ თავის თავს ემსახურება; რაც შეეხება გრძნობას და ვნებას, ისინი მისი მხევლები არიან. გონებაა ადამიანის უზენაესი მბრძანებელი, ყოველი ჩვენგანი მისდამი მორჩილებით მაღლდება, და ის, ვისაც განგებამ ბოროტი ბუნება არგუნა წილად, მაგრამ სძლევს თავის მდაბალ ინსტინქტებს და ბრძოლის გზით აღწევს სიბრძნეს, იმაზე მაღლა დგას, ვის სიქველესაც თავის დღეში არავითარი შინაგანი ბრძოლა არ გადაუხდია. ადამიანი, რომელიც თავისი რაციონალური ცხოვრების მთელი სისავსით ტკბება, ცოდნასთან ერთად სიბრძნესაც ფლობს და ფილოსოფიურ ნეტარებას ეძლევა, რომლის ზომაც მისივე ფილოსოფიური სურვილის ფარგლებით განისაზღვრება. მას სულაც არ სურს იმის შეცნობა, რაც მეტისმეტად მაღალია საიმისოდ, რომ თავისი გონების თვალით მისწვდეს, როგორიცაა, მაგალითად, ღმერთისა თუ პირველი მატერიის ინტიმური ბუნება. ამიტომ არც იტანჯება იმის გამო, რომ მოკლებულია ამნაირ ცოდნას. დანტე ამტკიცებს ღმერთის არსებობას, მაგრამ როდი აღგვიწერს მას. „Convito"-ში არავითარი ადგილი არ ეთმობა მისტიციზმსა თუ სულის აღმასვლას ზებუნებრივის მიმართ. ის მხოლოდ რჩეულთა სულებს უნარჩუნებს უსასრულო ცოდნასა და უსასრულო ბედნიერებას.*

მისი საკუთარი თვალსაზრისი ეთიკის შესახებ ადამიანის მთელ ცხოვრებას გონების ამ თეორიას უქვემდე-

---

* Convito, II, 14-15.

ბარებს. „ვინც ისე ცხოვრობს, რომ გონებას არ იყენებს, ცოცხალი კი არა, მკვდარი ეთქმის“. კი მაგრამ, განა გონებას არ უარყოფს ის, ვისაც არ სურს გაიაზროს თავისი ცხოვრება და გზა, რომელსაც უნდა მისდიოს? გონებას არ ძალუძს ღვთაებრივ თუ გეომეტრიულ ჭეშმარიტებათა შეცვლა, არც ცხოველური ცხოვრების პირობებისა თუ ბუნების კანონებისა. მაგრამ ის თავის სუვერენულ ძალმოსილებას ავრცელებს ნების ყველა აქტზე, როგორიცაა, მაგალითად, „სიკეთე თუ ბოროტება, რასაც სხვების მიმართ ჩავდივართ, ბრძოლის ველზე გამოჩენილი სიმამაცე თუ სიმხდალე, უმანკოება თუ გარყვნილება“. მაშასადამე, გონებაა ზომა და ზღვარი, ცოცხალი კანონი, რომელსაც ექვემდებარება მთელი ცხოვრება, ისევე, როგორც პოლიტიკის სფეროში საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა მოვლენა იმპერატორის ძალაუფლებას ემორჩილება. და ეს მარად ქმედითი მბრძანებლობა გონებისა სიქველეს ადამიანის გონივრულ მდგომარეობად თუ ჩვევად აქცევს. დანტე კვლავ უბრუნდება პერიპატეტიკულ ეთიკას, განსხვავებას ინტელექტუალურ სიქველეთა (როგორიცაა, მაგალითად, კეთილგონიერება) და მორალურ სიქველეთა (სიმამაცე, სიუხვე, დიდსულოვნება, სამართლიანობა) შორის. პირველნი, არსებითად, ზომიერებაზე დაფუძნებული გონივრული მდგომარეობანი არიან, თანაბრად დაშორებულნი ორივე უკიდურესობისაგან, და სიქველის ეს გზა სულისათვის არა მარტო სრულქმნილების, არამედ მორალური ბედნიერების წყაროდაც გვევლინება. კმაყოფილება, წრფელი მოქმედებისგან რომ იღებს დასაბამს, არანაკლებ ფასეულია, ვიდრე კონტემპლაციით მიღწეული ნეტარება; ეგეც არ იყოს, ის საერთოა სულთა უმეტესი ნაწილისათვის; მაგრამ, მსგავსად იმისა, როგორც კონტემპლაციური ნეტარება თავისუფალია ყოველგვარი მისტიციზმისგან, მორალური კმაყოფილება, რომელიც დანტეს ისევე ესმის, როგორც არისტოტელეს, არაფერს არ მოითხოვს არც ასკეტიზმის მტანჯველი სიხარულისგან,

ასარც მონაზონთა განდგომილებისა და არც წმიდანთა თუ ნნამებულთა ჰეროიკული თავგანწირვისგან.*

ზომიერების გრძნობას, ანტიკური სიბრძნის ამ ერთ-ერთ უმთავრეს პირობას, დანტე უნდა უმადლოდეს თავისი „Convito"-ს მშვიდსა და აუმღვრეველ ოპტიმიზმს. თუ ადამიანი თავისი გონების მუდმივი ქმედითობით თვითონვეა საკუთარი ბედის მჭედელი, როგორც ფიქრობდნენ ძველი მოაზროვნენი, ეს ბედი მსუბუქი და შეიძლება კეთილმოწყალეც კი იყოს. ადამიანი თვითონვე ინათებს გზას, რომლითაც მიდის, ისე, რომ არც ზეცით მონაფენ ნათელს ელოდება და არც რაიმე წყალობას, ღვთისაგან წარმოგზავნილს მისი ლოცვების სანაცვლოდ. ის „ცრემლების ხეობაში" კი არ მილასლასებს, არამედ მშვიდად მიაბიჯებს თავის გზაზე, რომელზედაც სიარულს მისივე სიქველე უადვილებს. ახალგაზრდობა, ოცდამეხუთე წელს რომ მთავრდება, ბედნიერი ხანაა, როცა სული სიქველის ყველა მონაცემს იძენს. მას თავისი საკუთარი თვისებები აქვს: მორჩილება, მოკრძალება, სილბო (soavità), სახისა და სხეულის ნაკვთთა მომხიბვლელობა, ფაქიზი ზნე, რაც აუცილებელი გახდება მისთვის საზოგადოებრივი ცხოვრების დასაწყისში და ჭაბუკს ბევრ მეგობარს შესძენს, რის გარეშეც წარმოუდგენელია სრულფასოვანი ცხოვრება. დანტე სიამოვნებით ჩერდება იმ უპირატესობებსა თუ ღირსებებზე, რომლებითაც ასე მდიდარია ეს ასაკი, პირადად მისთვის ესოდენ უსიხარულოდ რომ ჩაიარა. ის დაწვრილებით აღგვიწერს, რა სიხარულით ეგებებიან ყველგან ჭაბუკს, მის თავაზიან სიტყვას თუ ქცევას; მიამიტურ განცვიფრებას, რასაც ის განიცდის ყოველივე უცხოსა თუ უცნობის მიმართ; სიწმინდეს, ყოველგვარ სიმდაბლეს რომ განარიდებს და აიძულებს გრძნობელობის ნებისმიერი გამოვლენისას წითლდებოდეს ან ფითრდებოდეს; სიმორცხვეს (verecundia), რომელიც შიშს მის მიერ ჩადენილი თუნდაც სულ მცირე დანაშაულის წინაშე იმნაირ სიმწარეს

* Convito, IV, 17.

უმატებს ზედ, რომ მისი ერთი გახსენებაც კი აღარასოდეს გაამეორებინებს ერთხელ დაშვებულ შეცდომას; და ბოლოს, სხეულის მოქნილობას (snellezza), „თავისი საოცარი ჰარმონიულობით რომ ახალისებს მზერას“ და სიჯანსაღეს, „საამო ფერებით რომ ამკობს ადამიანს“; ყოველივე ეს სულის შინაგანი სილამაზის საბოლოო შედეგია, სულისა, სიხარულით რომ ამკობს და ამშვენებს თავის საცხოვრისს. დანტე ხელახლა აღმოაჩენს სოკრატულ პრინციპს: სული ხელოვანია, რომელიც ძერწავს და აქანდაკებს ადამიანის სხეულს. ახალგაზრდობის მისეული თეორია, რომელიც თითქოს პლატონიზმის ათინათითაა განათებული, ჩვენს წარმოდგენაში ფლორენციელ მხატვართა სკოლის მოქნილი და ტანკენარი ჭაბუკების რემინისცენციას ინვევს, ლუკა სინიორელის[27] დახვეწილსა და ელეგანტურ სხეულებს, ლუკა დელა რობიასა[28] თუ დონატელოს[29] მეოცნებე სახეებს.

სიჭაბუკის ამ თვისებებს მონიფულობა საკუთარ ვნებებისა თუ სურვილების – ამ ურჩი და უჯიათი ცხენების გონივრული მართვის უნარს ჰმატებს. გამოცდილი მხედარი სადავით იურვებს გაფიცხებულ ცხენს, წინ გაჭრას რომ ლამობს, ან დეზებით სჯის, როცა ყალყზე დგება ან უკან იხევს. სადავე ზომიერებაა, დეზები კი – დიდსულოვნება. დანტე აქაც პლატონიკოსებისა და ზომიერ სტოელთა მოძღვრების ერთგული რჩება. ის შეძლებისდაგვარად შორდება შუა საუკუნეების მონაზვნურ თეორიას, რომელიც მოითხოვს სრულ განდგომას ყოველივე მიწიერისგან და გულში ყოველგვარი ვნებისა თუ სურვილის ჩაკვლას. მისთვის ადამიანის ღირსება გონების ენერგიაა, რომელიც წარმართავს ბუნებას და არავითარი მორალური სახიჩრობით არ არის შესუსტებული. სიკეთისაკენ ეს მუდმივი სწრაფვა თავის საზღაურს იღებს სიბერეში. ათას ჭირვარამგამოვლილსა და თავის საკუთარ სიქველეში დარწმუნებულ ბერიკაცს შეუძლია უშურველად გასცეს სიკეთე თავისი საუნჯიდან, რომელსაც თანდათანობით ავსებდა და ამდიდრებდა. ის – ამბობს დანტე, – „გა-

ფურჩქვნილ ვარდსა ჰგავს, ყველას რომ ატკბობს თავისი სურნელით". ის ყველას უზიარებს თავის გამოცდილებას, რომელიც სხვა არა არის რა, თუ არა წარსულის მოგონებების, აწმყოზე უშუალო დაკვირვებისა და მომავლის წინასწარხედვის ჯამი. ის ხელგაშლით ხარჯავს თავის სამართლიანობას და საზოგადოების სასიკეთოდ მონაწილეობს თავისი ქალაქის სათათბიროში. „რაც უფრო ხანში შევდივარ, – ამბობდა კატონ უფროსი,[30] – მით უფრო დიდ სიამოვნებას მანიჭებს საუბარი". მაგრამ სიბერის ყველაზე დიდი უპირატესობა ღმერთთან სიახლოვეა, რომელსაც ის თანდათანობით უახლოვდება, ისევე, როგორც სიკვდილის სიახლოვე, რომელიც მას მარადიულ ნავთსაყუდლად ესახება, სადაც, ბოლოს და ბოლოს, უნდა შევიდეს, სიხარულით აღვსილი იმის გამო, რომ მშვიდობით გადაცურა ცხოვრების მღელვარე ზღვა. და, აი, იალქნები უკვე დაშვებულია, ნიჩბები ოდნავლა ეხებიან დამცხრალი წყლის ზედაპირს; ნაპირზე თავს იყრიან ახლობლები, თანამოქალაქენი, დიდი ხნის წინათ გარდაცვლილი წინაპრები, უფლისა და ზეციური სამშობლოს მეგობრები, რომლებთან შეხვედრაც მან დაიმსახურა, და რომლებიც იმისათვის მოსულან აქ, რომ მოგზაურის დაბრუნებას მიესალმონ. ის ჩამოდის ხომალდიდან, როგორც გამოდიან სასტუმროდან, ლოცვა-კურთხევით იხსენებს უკვე დასრულებულ სიცოცხლეს და თავის სამუდამო სამყოფელში შედის.

ესაა წმიდათა-წმიდა ჟამი, რომელიც ნათელს ჰფენს ადამიანის სამი სხვადასხვა ასაკისათვის ნიშნეულ რელიგიურ მრწამსს და უფლის ნიაღს უბრუნებს ალალმართლის სულს. „Convito-ს უკანასკნელ ფურცლებზე დანტე პირველად გადმოგვცემს თავის შეხედულებას რელიგიურ მოვალეობებზე, ღმერთთან რომ აკავშირებენ ადამიანს, და ეს შეხედულება ზედმიწევნით შეესაბამება მთელი წიგნის რაციონალისტურ თეორიას. „ამაოდ ადანაშაულებენ საქორწინო კავშირს იმაში, თითქოს ის რელიგიისაკენ მიქცევაში ხელს უშლიდეს ადამიანს, როგორც იქცევიან ისინი, ბერად აღკვეცასა თუ წმიდა ბენედიკტეს, წმიდა ავგუსტინესა და წმიდა ფრანჩესკოს ორ-

დენებში შესვლას რომ აპირებენ. ვითომ რატომ არ შეიძლება, რომ ცოლშვილიანი კაციც ჭეშმარიტად რელიგიური ცხოვრებით ცხოვრობდეს? რადგანაც ღმერთი ჩვენგან მოითხოვს მხოლოდ მორწმუნე გულს – Iddio non vuole religioso di noi se non il cuore".* [31]

მაგრამ განა „გულის ეს რელიგია", იმავდროულად, შუა საუკუნეების იტალიელ მისტიკოსთა რელიგიაც არ იყო? იქნებ ამ თავისუფალი რელიგიის წყალობით, ინდივიდუალური რწმენის ნაყოფად რომ უნდა მიგვაჩნდეს, ერთიანი და დიადი ცნობიერების წიაღში ერთმანეთს უზავდებოდა დანტეს მისტიციზმი და რაციონალიზმი. სულის ამდენი სხვადასხვა უნარის თავმოყრა მას ღრმად მორწმუნე ქრისტიანად აქცევდა, ვისთვისაც თანაბრად ნიშნეული იყო მისტიური ეგზალიტაციაც და დარბაისლური მსჯელობაც, რამაც ის ჩამოაყალიბა ასიზური გამოცხადების უკეთესი და უკურთხეულესი დროების ღირს პოეტად, ვის ბობოქარ ბუნებასაც გარკვეულწილად აწონასწორებდა ანტიკური სიბრძნე და რეალური ვითარების ამომწურავი შეგნება, ფრიდრიხ II-ის რაციონალისტურმა ცივილიზაციამ რომ დაუბრუნა იტალიას. ალბათ ზემოაღნიშნული თვისებების ჩამოთვლაც საკმარისი იქნებოდა იმის წარმოსადგენად, თუ როგორი იყო მორალური სახე დანტესი, ამ ფლორენციელი ეპიქტეტესი, რომელსაც სამოთხის ხილვებიც ეწვეოდნენ ხოლმე, მაგრამ აუცილებელი იყო ბონიფაციუს VIII-ის მღვდელთმთავრობა, წმიდა ტახტის გამცემლობა ფლორენციის მიმართ და პაპების გადაბარგება საფრანგეთში, რათა მისივე ვნებების სიმძაფრითა და პიროვნული თეოლოგიის სითამამით დაგვესრულებინა ამ ორიგინალური მოაზროვნის რელიგიური პორტრეტი.

---

* Convito, IV, 27-28.

IV

ბონიფაციუს VIII დანტეს ნამდვილ ანტი-პაპად ესახებოდა, რადგანაც მან ცელესტინე V-ის სიცოცხლეშივე მიიღო ტიარა. მის თვალში ის იყო ნამდვილი აპოსტატა, ეგზომ ბოროტად რომ იყენებდა სიმონიას, და ულირსი იტალიელი, მისი დამნაშავეობრივი პოლიტიკის გამო. პეტი ღრმად იყო დარწმუნებული, რომ რომის წმიდა ტახტი ბენედიკტე გაეტანის მღვდელთმთავრობისას განუდგა ეკლესიას და ჩამოშორდა ქრისტიანობას. „ის იყო – წერს დინო კომპანი, – ძალიან თამამი და ჭკვიანი პაპი, თავისი ნება-სურვილით რომ მართავდა ეკლესიას და მუსრს ავლებდა თავის მტრებს“. „ის ამბობდა, – გვაუწყებს ვილანი, – რომ ყველაფერი, რაც ხელსაყრელია ეკლესიისთვის დასაშვებია“. ბონიფაციუსის მთავარი შეცდომა ის იყო, რომ, ქედმაღლობის გამო, XIII საუკუნის დამლევს ვერ ხედავდა პაპიზმის ჭეშმარიტ მდგომარეობას და რეალურ ურთიერთობას წმიდა ტახტსა და იტალიას შორის. იყო მასში რაღაც გრიგოლ VII-ისა და ალექსანდრე VI-ისეული, გარკვეულწილად რომ ანეიტრალებდნენ ერთიმეორეს. მას სურდა ერთდროულად XI საუკუნის პაპიც ყოფილიყო და XV საუკუნის თეოკრატიც, მაგრამ ამ ორი როლის ურთიერთდაპირისპირებულობამ მთელი მისი სიცოცხლის საქმე არარაობად აქცია. რომში ორსინების სიდიადის, თავისი ძმისწულების ამქვეყნიური კეთილდღეობისა და სამღვდელთმთავრო მონარქიის აბსოლუტური ძალაუფლებისათვის რომ იბრძოდა, იმავდროულად ცდილობდა დაებრუნებინა გარდასული დროის მისტიური პირველობა და იმის უფლება, რომ უფლის სახელით ემართა სამეფოები და რესპუბლიკები. მისი ბულების გამაოგნებელი ქედმაღლობა პაპების იმდროინდელ პრეტენზიებს მოგვაგონებს, როცა გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა ინვესტიტურისათვის: „ყველა ცოცხალი არსება აუცილებლად უნდა ემორჩილებოდეს რომის მღვდელთმთავარს. სულიერი ძალაუფლება აწესებს ყველა მიწიერ ძლიერებას და კიდევაც განიკითხავს მას, თუ ის საკმარისად სრულყ-

ოფილი არ არის. ღმერთმა მეფეებსა და სამეფოებზე აამაღლა წმიდა ტახტი, და ყოველი სული ქედს უნდა იხრიდეს ამ უზენაესი მოძღვრის წინაშე, ვისი ნებართვითაც მბრძანებლობენ მბრძანებელნი".

მაგრამ ამ თეორიას არავითარი მნიშვნელობა აღარ ჰქონდა ფილიპე მშვენიერის საფრანგეთისთვის[32]. რაც შეეხება იტალიას და გერმანიას, მათ ის მეტისმეტად გაზვიადებული ეჩვენებოდათ იმ პაპისათვის, ვისაც magnanimus peccator[33]-ს უწოდებდნენ თანამედროვენი. გრიგოლ VII-სა და ინოკენტი III-ს შეეძლოთ ამ ტონით ელაპარაკათ, რადგანაც ქრისტიანობა ხედავდა მათ გვერდით მდგომარე ღმერთს. მაგრამ ბონიფაციუსი, მისი ეგოიზმის, მზაკვრობისა და, არცთუ იშვიათად, სისასტიკის გამო, რითაც აღბეჭდილია მისი ყოველი ნაბიჯი საზოგადოებრივ ასპარეზზე, იმავე ქრისტიანობის თვალში სხვა არა იყო რა, თუ არა პირწავარდნილი პატივმოყვარე, ისევე, როგორც მისი მემკვიდრენი XV საუკუნეში. თავის ნათესავებს უხვად რომ ურიგებდა ფეოდებს, საეპისკოპოსოებსა და კარდინალთა ქუდებს, ამასაც არ სჯერდებოდა და, მარტინ IV[34]-ისა და ნიკოლოზ IV[35]-ის ბულების საპირისპიროდ, ლაციუმში საბატონო მამულებს იძენდა მათთვის. პიეტრო გაეტანისათვის ყიდულობდა სულმონიდან ტერაჩინამდე გადაჭიმულ სამფლობელოებს, კონფისკაციით რომ ჩამოერთვა კოლონებს. საეკლესიო ქონებას ურცხვად ახმარდა თავისი ოჯახის წევრებს. საიუბილეო 1300 წელს, როცა მთელი ქრისტიანული სამყარო უწინდელ დღეთა რწმენითა და სასოებით მიაწყდა რომს, ერთი პილიგრიმის სიტყვით, შეიძლებოდა გენახათ, „როგორ ხვეტდა ნიჩბით წმიდა პავლეს საკურთხეველთან მდგარი ორი კლერიკალი მთებად დახვავებულ მონეტებს".

ბონიფაციუსი ერთიმეორის მიყოლებით მუსრავდა წმიდა ტახტის ყველა მყარ საყრდენსა თუ საფუძველს. იმის შედეგად, რომ მონაწილეობას იღებდა ფეოდალურ საგვარეულოთა დავაში, მან ჩამოიშორა რომის კომუნა, იტალიის გველფური კომუნები კი იმით, რომ ფილიპე

მშვენიერის ძმა – შარლ ვალუა იხმო, ვისი გულისთვისაც გასწირა ფლორენციელი თეთრი გველფები. მან ისარგებლა იმპერიის სისუსტით, რათა იმპერატორის ეკუმენური ძალმოსილება თეორიულადაც შეეერთებინა პაპის ძალაუფლებისათვის. ბონიფაციუსი იყო ნეაპოლელ ანჟუთა სუზერენი და ამიტომაც მოინდომა სიცილიიდან განედევნა არაგონელები, ან პოლიტიკურად ნმიდა ტახტისათვის დაექვემდებარებინა ისინი. პაპმა სისხლში ჩაახრჩო ლაციუმი. მან სათანადოდ ვერ შეაფასა საფრანგეთის სამეფო ხელისუფლების ძლიერება, რომელსაც მხარს უჭერდნენ პარლამენტი, უნივერსიტეტი, სამღვდელოება და გენერალური შტატები: წარმოიდგინა, თითქოს სამიოდე ქედმაღლურ ბულას შეეძლო ფრანგული ეკლესიისა და საფრანგეთის სამეფოს სამოქალაქო სამართლის მბრძანებლად ექცია რომი. მეფემ ბრძანა პარიზის ღვთისმშობლის ტაძრის წინ საჯაროდ დაეწვათ ბულა „Ausculta, Fili"[36]; პარლამენტმა მწვალებლად გამოაცხადა პაპი, ხოლო ფილიპემ თავისი ლეგისტი ნოგარე და შარრა კოლონა წარგზავნა იტალიაში. ბონიფაციუსის მმართველობით უკმაყოფილო იტალიელები, რომანული კამპანის ბარონები და კოლონების კლიენტები დაუყოვნებლივ შეუერთდნენ ლეგატებს და ანანიში მიუხტნენ პაპს. ტახტზე მჯდომარე ბონიფაციუსს, თავზე ტიარა რომ ეხურა, უფრო საშინელი შეურაცხყოფის ატანა მოუხდა, ვიდრე ოდესმე დაუთმენია რომელიმე პაპს. სამი დღის საზარელი სცენების შემდეგ ხალხმა და გველფმა კარდინალებმა როგორც იქნა დაიხსნეს და რომში დააბრუნეს მღვდელთმთავარი. ბონიფაციუსი გაცოფებული იყო; ლუკმა არ ჩაუდევს პირში, კედელს ახლიდა თავს და საკუთარი უმნეობის შეგნებით გამწარებულს ღაპაღუპით ჩამოსდიოდა ცრემლები. პაპი 1303 წელს, ოთხმოცდაექვსი წლისა გარდაიცვალა. მასთან ერთად ფეოდალური მღვდელთმთავრობა და მღვდელთმთავრული შუა საუკუნეები სამუდამოდ ჩაბარდა წარსულს. რონის პირას გაძევებული რომის ეკლესია თანდათანობით ამზადებდა თავის გარდაქმნას

ერთ-ერთ იმ ტირანულ თუ მონარქიულ სამეფოდ, რომლებითაც XIV საუკუნეში დაიფარა მთელი იტალია.

დანტემ, ნამით, სინანულიც კი იგრძნო ამ არნახული დაცემის გამო. „ქრისტე – ამბობს ის, – მისი ვიკარის სახით დაატყვევეს". მაგრამ პოეტი მძიმედ განიცდიდა მხოლოდ ქრისტიანთა მღვდელთმთავრის, ეკლესიის უავგუსტოესი მეთაურისათვის მიყენებულ შეურაცხყოფას და „სამეფო შროშანის" თავგასულობას, განუკითხავად რომ შეიჭრა ანანიში. თვით ბონიფაციუსის მიმართ კი ზიზღის მეტს არაფერს გრძნობდა. ვერასდიდებით ვერ შესძლო დაევიწყებინა, რომ სწორედ პაპის ორპირობის გამო გააძევეს თავისი მშობლიური ქალაქიდან, პაპისა, რომელმაც სწორედ იმდენ ხანს შეაჩერა ფლორენციის საელჩო, რომლის შემადგენლობაშიც ის შედიოდა, რანდენიც საჭირო იყო საიმისოდ, რომ საბოლოოდ მოეგრიხათ კისერი ფლორენციელი ზომიერი გველფებისათვის; ვერასდიდებით ვერ აპატია პაპს მისი ლეგატის – შარლ დე ვალუას გულმხეცობა და სისასტიკე, რომლითაც ამ მშვიდობისმყოფელმა დააშოშმინა ფლორენცია, დაუნდობლად რომ გაძარცვა და ცეცხლს მისცა იგი. დანტეს მიაჩნდა, რომ პაპმა დაარღვია წმიდა ტახტის ტრადიციული დამოკიდებულება იტალიის ქალაქების მიმართ და უფრო მეტად, ვიდრე მისმა რომელიმე წინამორბედმა, ხელყო იტალიის თავისუფლება[37]. აქედან მოყოლებული, პოეტმა ზურგი აქცია რომის სეკულარულ ეკლესიას, მტკიცედ გადაწყვიტა, რომ არავითარი მოვალეობა აღარ აკავშირებდა მასთან და ქრისტეს მარადიულსა და მისტიურ ეკლესიაზე გადაიტანა თავისი სიყვარული. და რაკი ის, ერთდროულად, ნათელმხილველიც იყო, ჰუმანისტიც და, ანტიკურ ავტორთა შესწავლის შედეგად, ღრმად განათლებული ფრატიჩელოც, თავის „ღვთაებრივ კომედიაში" შესძლო მთელი სისრულით გამოეხატა განსაცვიფრებლად თამამი, ინდივიდუალური ქრისტიანიზმის არსი. ეს იყო ჭეშმარიტად რევოლუციური, ნათელი ლოგიკის, ექსტაზისა და რა-

ციონალიზმის რელიგია, უკანასკნელი ორიგინალური რელიგიური კონცეფცია იტალიისა.

V

„ღვთაებრივი კომედია“, უპირატესად, წმიდა ტახტის წინააღმდეგ მიმართული პოლიტიკური პამფლეტია. იმისათვის, რომ პაპი ერესიარქთა ალმოდებულ ლუსკუმაში ჩაეგდო, დანტე ფოტინოსის[38] მიერ ცთუნებულ იმპერატორ ანასტასისთან[39] აიგივებს პაპ ანასტასი II[40]-ს. სიმონიაკოსთა წრეში, სადაც ცოდვილნი თავდაყირა არიან ჩაკიდებულნი მოგიზგიზე ჭების ხახაში, ის ხვდება ნიკოლოზ III-ს, რომელსაც თავისი მემკვიდრე ჰგონია იგი და გამწარებული უყვირის: „ეს შენა ხარ, ბონიფაციუს? ჯერ კიდევ ფეხზე დგახარ? ეტყობა, წინასწარმეტყველებამ რამდენიმე წლით მომატყუა!“[41] ამ სიტყვებით რომ მიესალმება ბონიფაციუს VIII-ის მომავალ მოვლინებას, პაპი ორსინი[43] კლემენტე V-ის, პირველი ავინიონელი პაპის მოსვლასაც იუწყება: „უკანონო მღვედელთმთავარი, დასავლეთიდან რომ მოვა, ორივეს გადაგვფარავს – მეც და ბონიფაციუსსაც“. განრისხებული დანტე ეკითხება ხარბსა და გაუმაძღარ პაპს: „მითხარი, რა საუნჯე მოსთხოვა უფალმა წმიდა პეტრეს, ვიდრე გასაღებს ანდობდა მას? არაფერიც არ მოუთხოვია, ეს უთხრა მხოლოდ, გამომყევიო. თქვენი სიხარბეა, რომ აქცევს ქვეყანას; თქვენი სიხარბეა, ფეხით რომ თელავს კეთილთ, უკეთურთ კი აღაზევებს. მახარებელმა, წყალთა ზედა მჯდომარე რომ იხილა ის, ვინც მეფეებთანა სცოდა, მისი სახით თქვენ გიხილათ; თქვენ, რომელთაც ოქრო-ვერცხლისაგან შეჰქმენით ღმერთი“*. დანტე განსანმენდლით სჯის პაპ ადრიანე V[45]-ს, კისერმოღრეცილი რომ აღიარებს: „შეხედე, რა საწყალობელი და ღვთისაგან მიტოვებული იყო ჩემი სული, ჩემივე სიხარბის გამო“.[46] თვით შუაგულ სამოთხეში ის ამ შემზარავ სიტყვებს ათქმევინებს წმიდა პეტრეს: „უზურპატორმა[47], ჩემს

---

* Inf., XIX.

დაქვრივებულ ტახტზე რომ ზის მაცხოვრის წინაშე, სისხლისა და ხრწნილების კლოაკად აქცია ჩემი საფლავი"*.

მაგრამ მარტოოდენ პოლიტიკური ბოღმით ვერ ავხსნით დანტეს ამ მძვინვარებას. ეს მკაცრი ქრისტიანი, თავისი სინიდისის დასამშვიდებლად და თავისი სიძულვილის გასამართლებლად, მთელ დოგმატურ თეორიას ქმნის, რომელიც მას სავსებით ორთოდოქსული ეჩვენება. მისი მრწამსის უკანასკნელი სიტყვა, მისი „გულის რელიგია" რაზედაც „Convito"-ში მიგვანიშნა, „სამოთხის" ოცდამეოთხე სიმღერაშია გადმოცემული, სადაც ის აღსარებას უბნება თვით წმიდა პეტრეს. დანტე უბრუნდება რწმენის წმიდა პავლესეულ უაღრესად მარტივ სიმბოლოს – „რწმენა, სასოება და სიყვარული"[48]; მისთვის, ისევე, როგორც მოციქულისთვის, რწმენა, არსებითად, სხვა არა არის რა, თუ არა სასოება: fides sperandarum substantia rerum[49]. ხოლო როდესაც პირველი პაპი[50] სთხოვს, უფრო დაწვრილებით აუხსნას თავისი რწმენის საგანი, ის მიუგებს:

Credo in uno Dio
Solo ed eterno.[51]

მას სწამს მოსე, წინასწარმეტყველნი და სახარება, აგრეთვე ღვთისმეტყველნი; მას სწამს სამება:

E credo in tre Persone eterne.[52]

ესაა ქრისტიანიზმის არსებითი ელემენტი, ყველა ქრისტიანის რწმენის საფუძველი, აპოსტოლური რწმენის სიმბოლოს ეპოქიდან დაწყებული და ნიკეის მეტაფიზიკური სიმბოლოთი[53] დამთავრებული. რა არის რწმენა, სასოება და სიყვარული, თუ არა გონივრული ზიარება სულისა იმ ჭეშმარიტებებთან, „რომლებიც მიუწვდომელნი არიან გონებისათვის?"** ხოლო თუ რწმენა, სასოება და სიყვარული ადამიანის სულში ყოველგვარი რელიგიური ცხოვრების სამმაგი წყაროა, თუ ეს სამი სიქველე ადამიანს

---

* Parad., XXVII, 22.
** Paarad., XXIV, 65.

რჩეულთა ხომლამდე ამაღლებს და ხელს უწყობს მის ხსნას, მაშინ რაღა მნიშვნელობა აქვს ეკლესიის წინაშე ვერხვის ფოთოლივით მოცახცახე მორწმუნის საქმეს, ლოცვას, სინანულს თუ თავშეკავებას, ან იმ სისხლიან ღვაწლს, რის ფასადაც ის იმედოვნებს გამოისყიდოს თავისი ცოდვები და სასუფევლის ღირსი შეიქნეს? განა სწორედ იმ შინაგანი ეკლესიის მსჯავრით არ განიკითხება თვითეული ჩვენგანი, ყოველი მორწმუნე თავისუფლად რომ აგებს საკუთარ სულში, და განა იმ ჰიერარქიის მომხიბვლელობა, რომელსაც მხოლოდ ორი საფეხური აქვს – სული და ღმერთი, მთლიანად არ ჩრდილავს საეკ-ლესიო ჰიერარქიის ბრწყინვალებას, რომლის სულ ზემო საფეხურზეც რომის ეპისკოპოსი ზის?

ამიტომ „ღვთაებრივი კომედიის“ ცენტრალური მო-მენტი ის ფარული მოძღვრებაა, ათასნაირი სხვადასხვა სახით რომ გადმოგვცემს ავტორი და თანაბრად ეხება როგორც ცოდვისა თუ ბოროტების დოგმას, ისე ეკლესიის როლსაც ყოველი მორწმუნის რელიგიურ ცხოვრებაში. „უნდა ვიცოდეთ, – სწერს დანტე კან გრანდე დელა სკალას[54], რომელსაც თავის „სამოთხეს“ უძღვნის, – რომ ამ ქმნილების აზრი მარტივი კი არ არის, არამედ მრავალ-ფეროვანი. პირველი უშუალოდ სიტყვებით გადმოცემული აზრია, მეორე კი ამ სიტყვიერი გარსის მიღმა იგულისხ-მება. ამიტომ პირველს სიტყვასიტყვითი აზრი ეწოდება, მეორეს კი – ალეგორიული თუ მორალური“. და მართლაც, პირველი – სიტყვასიტყვითი აზრი, არსებითად, შუა საუ-კუნეების კანონიკურ-თეოლოგიურ, პოეტურ თუ სქოლას-ტიკურ ტრადიციებს იმეორებს. საიქიო ცხოვრების სამი სფეროს დანტესეულ აღწერილობას წინ უსწრებს ასობით რელიგიური პოემა და მრავალი ლეგენდა, რომლებიც წმიდა პატრიკისა[55] და წმიდა ბრანდანის[56] კელტური სამყაროდან, წმიდა გრიგოლის „დიალოგებიდან“,[57] წმიდა პავლეს ხილვებიდან, XII საუკუნის მონტეკასინოელი მონაზვნის – ფრა ალბერიკის „ხილვიდან“ და წმიდა ფრანჩესკოს „Fioretti“-დან იღებენ დასაბამს. „ჯოჯოხეთში“

დომინანტობს მოძღვრება სატანის შესახებ, იმ სახით, როგორც ის არსებობს „აპოკალიპსის“ დროიდან მოყოლებული: სატანა, უფლის მტერი, ხანდახან, თუნდაც წამიერად, უფრო ძლიერიც კია, ვიდრე თვით ღმერთი. მთელი ონტოლოგიური და კოსმოლოგიური მასალა, მომაკვდინებელ ცოდვათა თეორია, სულიერ ძალთა თამაშის ანალიზი, ცათა მოძრაობა, სამყაროული ჰარმონია, – ყოველივე ეს მისი მასწავლებლების – ალბერტ დიდისა და წმიდა თომას,[58] სინათლის ამ ორი ანგელოზისაგან მომდინარეობს, რომლებსაც ის დიდ სწავლულთა ხომლის თავკაცებად ხედავს „სამოთხის“ მეათე სიმღერაში;[59] მათგანვე იღებს მემკვიდრეობად სქოლასტიკური მეცნიერების მეთოდსაც და მთელ მის საუნჯესაც. ზუსტად ასევე, ტრაქტატში „მონარქიისათვის“, რომელშიაც ხორცს ისხამს პირწმინდად შუასაკუნეობრივი კონცეფცია, ის ტრადიციული ქრისტიანობისა და სქოლასტიკური სკოლის ერთგულ მოწაფედ გვევლინება ყველა იმ საკითხში, რაც არ ექვემდებარება ინდივიდუალური ცნობიერების ძალმოსილებას.

მაგრამ ტრადიციების ფარდის მიღმა მისტიკოსისა და რაციონალისტის ინდივიდუალური აზრი ანათებს. გადავწიოთ ეს ფარდა და უშუალოდ დავუკვირდეთ დანტეს ჭეშმარიტ რელიგიას. ეჭვს გარეშეა, როგორც ეს ცხადყო ოზანამმა,[60] რომ დანტე მორჩილად იღებს ეკლესიის ყოველგვარ რწმენასა და ყოველგვარ საიდუმლოს. მაგრამ პოეტის ორიგინალობა იმაში ვლინდება, თუ როგორ უთანხმებს იგი ამ ორთოდოქსულ რწმენას თავის პირად შეხედულებებს გამართლების, საუკუნო ხსნისა თუ შეჩვენების შესახებ. ტრადიცია მას სთავაზობდა ჯოჯოხეთს, რომელსაც დანტემ, თავის მხრივ, დაუმატა ის თითქმის სანეტარო სავანე, სადაც თავს იყრიან ძველ ბერძენ თუ რომაელ ბრძენთა ლანდები;[61] ის ჩრდილუხვი ხეობა, სადაც დიდ წარმართთა სულები და, მათ შორის, ანტიქრისტე ავეროესიც,[62] დინჯად საუბრობენ, მარადიულ სიმშვიდეში დავანებულნი. ტრადიცია მას სთავაზობდა განსაწმენ-

დელს; დანტეს მის მცველად გამოჰყავს წარმართი კატონი,[62] სტოიკოსი და თვითმკვლელი. ტრადიცია მას სთავაზობდა სამოთხეს; დანტე იქ ათავსებს ტროელ რიფეოსს,[63] სამშობლოსთვის რომ გასწირა თავი, და კეთილ იმპერატორს ტრაიანეს.[64] მის თვალში ყველაზე ამაზრზენი ცოდვაა სიმდაბლე (la viltà) თუ სულმოკლეობა, რის გამოც ადამიანი ვერ ბედავს აღასრულოს თავისი ვალი, ვერ ბედავს თავგანწირვას თუ სიცოცხლეზე ხელის აღებას. პაპ ცელესტინე V-ის სულმოკლეობა იუდას გამცემლობაზე უარესი და, დანტეს აზრით, უფრო საზიზღარია, ვიდრე ის მწვალებლები თუ ათეისტები, თვით ჯოჯოხეთსაც რომ სძლევენ თავიანთი ქედმაღლური ზიზღით მისდამი. თუმცა სულმოკლეობა, ასე ძალიან რომ მოგვაგონებს ასკეტთა თვინიერებას და მონაზონთა ლაჩრულ ეგოიზმს, არც მომაკვდინებელ და არც მისატევებელ ცოდვათა ნუსხაში არაა შეტანილი. ამ უბადრუკ სულთათვის დანტე ქმნის თავისი ჯოჯოხეთის არანაკლებ უბადრუკ „წინაბჭეს" (Pre-inferno), სადაც იტანჯებიან ისინი, „ვინც მხოლოდ თავისთვის ცხოვრობდა".[66] ჯოჯოხეთში, ესე იგი იქ, სადაც ცოდვილთა სულები იტანჯებიან, ამაოდ დაუწყებთ ძებნას იმათ, ვინც თავს არიდებდა საღვთისმოსაო მოვალეობათა, საეკლესიო რიტუალთა თუ ეკლესიის მიერ დაკისრებულ კეთილ საქმეთა აღსრულებას, – ყველა იმ გულგრილსა თუ მედღეხვალიეს, უკანასკნელ წამამდე რომ აჭიანურებდა თავის დაზავებას ღმერთთან; სტაციუსს,[67] რომელმაც შიშის გამო დამალა თავისი ნათლობა და თავისი რწმენა, ასე რომ, „per paura chiuso cristian"[68]-ი იყო, დანტე განსაწმენდელში ათავსებს; ეს მზით განათებული განსაწმენდელი, რომელსაც გამუდმებით ანუგეშებენ ხილვები და ანგელოზების გალობა, სულაც არ არის საშიში და თავზარდამცემი. პოეტის აზრი თამამად ასწორებს ხსნის საეკლესიო თეორიას.

VI

საკუთრივ დანტეს მოძღვრება გამართლების შესახებ საკმაოდ დიდი სითამამით გადმოცემულია იმ პასაჟებში, სადაც პოეტი გვაცნობს ორ სულს, რომელთაგანაც ერთს სამოთხეში ათავსებს, მეორეს კი განსაწმენდელში; ესენი სიგერ ბრაბანტელისა და მეფე მანფრედის სულებია.

მაესტრო სიგერი, პარიზის უნივერსიტეტის პროფესორი, XIII საუკუნის უკანასკნელ მესამედში ცხოვრობდა და 1270 წელს დაგმობილ იქნა ეპისკოპოს სტეფანეს მიერ ავეროიზმისა და არისტოტელეს ფილოსოფიის აშკარა გავლენით აღბეჭდილი თოთხმეტი მწვალებლური თეზისის გამო.* მაგრამ მთელი შვიდი წლის განმავლობაში ის კვლავ განაგრძობდა ამ ურწმუნოების ქადაგებას თავისი კათედრიდან. 1277 წლის 12 იანვარს პაპმა იოანე XXI-მ ვიტერბოდან წერილი მისწერა სტეფანეს და უბრძანა საეპისკოპოსო სასამართლოსათვის გადაეცა ის მავნე აზრები, „რომლებიც კვლავ აფუთფუთდნენ სკოლაში", და რომელთა შესახებაც მისთვის უნდა ეცნობებინა საფრანგეთის დიდ ინკვიზიტორს, დომინიკანელ სიმონ დიუვალს. 7 მარტს პარიზის ეპისკოპოსმა შეაგროვა საღმრთო წერილის თითქმის ყველა კომენტატორის აზრი, რის საფუძველზედაც დაჰგმო და მწვალებლურად გამოაცხადა 219 თეზისი, რომელთა შინაარსიც, მისი მტკიცებით, ეწინააღმდეგებოდა კათოლიკურ სარწმუნოებას და რამდენიმე დოქტორის, მათ შორის, სიგერ ბრაბანტელისა და ბოეციუს დანიელის შრომებში იყო გადმოცემული.** ეს ერეტიკული თეზისები, რომლებიც არაბული მეცნიერებისა თუ სკოლის რადიკალური პერიპატეტიზმისაგან იღებდნენ დასაბამს, გადაულახავ უფსკრულს თხრიდნენ, ერთის მხრივ, ღმერთსა და სამყაროს, მეორეს მხრივ კი ადამიანის სულსა და ღმერთს შორის. სიგერი და მისი თანამოაზრენი უარყოფდნენ წმიდა სამების სუბსტანციურ

---

* Chartularium Universit. Parisiens., t. I, Docum. 432.

** Ibid. Docum. 473.

ერთობას, პროვიდენციას, შესაქმეს, სასწაულს და იმასაც, თითქოს ღმერთს რისიმე შეცნობა შეეძლოს, საკუთარი თავის გარდა. ისინი ამტკიცებდნენ მატერიისა და სამყაროს, მოძრაობისა და კაცთა მოდგმის მარადიულობას. მათთვის არც ადამი არსებობდა და არც ცოდვითდაცემა; ხელაღებით უარყოფდნენ გამოხსნის მნიშვნელობას და ხმამაღლა ქადაგებდნენ ყოველივე არსებულის აუცილებლობას, ღმერთის უმწეობას, რაიმე შეეცვალა საგანთა არსებულ წესრიგში და სამყაროს, ცისა და ციურ სხეულთა სულის არსებობას; ისინი ამტკიცებდნენ, რომ ადამიანის სული განუყრელია სხეულისაგან და მასთან ერთად კვდება; რომ მხოლოდ უპიროვნო გონება უნდა მიგვაჩნდეს უკვდავად; რომ ვარსკვლავები მართავენ ჩვენს ნებას; რომ თეოლოგია ფუჭია, თავშეკავება და ლოცვა-ვედრება კი – ურგები; რომ რეალურია მხოლოდ ამქვეყნიური სიკეთე, სიკვდილი კი – მთელი მიწიერი საშინელების საბოლოო ზღვარი, რომლის მიღმა არც სამოთხეა და არც ჯოჯოხეთი, და რომ ქრისტიანობა, მთელი თავისი არაკეთილურთ, გადაულახავი დაბრკოლებაა მეცნიერების სრულყოფის გზაზე.

ასე ეცლებოდა საფუძველი მთელ რელიგიურ ნაგებობას – დოგმატიკასა და ეთიკას, ძველსა და ახალ აღთქმას, ეკლესიას და სკოლას. იმისათვის, რომ უფრო მკაფიოდ წარმოეჩინა ამ გამაოგნებელი ცთუნების ჭეშმარიტად დემონიური ბუნება, პარიზის ეპისკოპოსმა იმავე განაჩენით აკრძალა ყველა წიგნი ნეკრომანტიის, ჯადოქრობის, შელოცვისა თუ ავსულთა გამოხმობის შესახებ, მთელი ეს ავადმყოფური და სატანისტური რელიგია, რომელიც საფრანგეთში წინ უსწრებდა ალბიგოელთა ერესს და მასზე დიდხანსაც გაძლო. ამ წიგნების ყველა მფლობელი ეკლესიის მხრივ – შეჩვენებისა და საეროთა მხრივ დევნისათვის იყო განწირული.

მაესტრო სიგერს კათედრა ჩამოართვეს და სამეფოდან განდევნეს. ერთი ტერცინა „Fiore“[69]-სი, ფრანგულ „ვარდის რომანს“ რომ მოგვაგონებს, შემდეგნაირად გადმოგვცემს

მისი სიკვდილის ამბავს: „მაესტრო სიგერი ბედნიერი არ ყოფილა, – ამბობს Foux-Semblant[70]-ი, – ორვიეტოსაკენ მიმავალს ტანჯვა-წამებით ამოვხადე სული რომის სამსჯავროში“.

Mastro Sighier non andò guari lieto,
A ghiado il fe' morire a gran dolore,
Nella corte di Roma, ad Orbivieto.[71]

(XCII).

შესაძლოა. დანტეს ბავშვობაში ენახა კიდეც ფლორენციის გავლით მიმავალი ეს განდევნილი. შეიძლება პარიზში მოესმინა მისი უცნაური მოძღვრების ექო, ან ბრუნეტო ლატინისა თუ ტოსკანელი ეპიკურელებისაგან სმენოდა მისი ამბავი. და თუმცა მშვენივრად იცნობდა მის ხელმოცარულობას თუ სვედავსილობას, მაინც გაბედა სამოთხეში მოეთავსებინა იგი, ეკლესიის უდიდეს მოძღვართათვის განკუთვნილ ადგილას, წმიდა თომა აქვინელის თანამოაზრეთა შორის. „ეს არის მარადიული ნათელი სიგიერისა, ლექციებს რომ კითხულობდა „სტრამის“ უბანში და სილოგიზმებით დაასაბუთა ჭეშმარიტებანი, რომელთაც უკეთურ შურს მისცეს დასაბამი“ –

Essa è la luce eterna di Sigieri,
Che, leggendo nel vico degli strami,
Silogizzo invidiosi veri.*

ცხადია, აქ რაღაც გაუგებრობასთან უნდა გვქონდეს საქმე. ტერციინის ბოლო სტრიქონის მიუხედავად, შეუძლებელია იმის დაშვება, თითქოს დანტეს ჭეშმარიტებად მიაჩნდა პარიზელი სქოლასტის დაგმობილი თეზისები. ძნელი წარმოსადგენია, რომ თუნდაც რომის წმიდა ტახტის სიძულვილით დაბრმავებულ პოეტს თავგასული ერესიარქისათვის განზრახ მიეჩინა ესოდენ წმიდა ადგილი, თვით ღმერთის სხივოსანი საუფლო. ახსნა-განმარტება, რომელსაც მიაწერენ სიგერს, თითქოს ის, როგორც ფილოსოფოსი, სულ სხვანაირად ფიქრობდა, ვიდრე

* Parad., X, 136.

როგორც ქრისტიანი, სრულიად აბსურდული ჩანს შუასაუკუნეობრივი ცნობიერებისათვის და კიდევ უფრო აბნელებს ისედაც ბუნდოვან საკითხს. და ბოლოს, უნივერსიტეტისა და სიგერის მიმართ მოქადაგეთა და, მაშასადამე, ინკვიზიტორთა მთელი სიძულვილიც კი ვერ აგვიხსნის ბრალდების ამდენ პუნქტსა და რელიგიურ უარყოფათა ამნაირ სიუხვეს. ცილისწამება მართლაც უადგილო და გადაჭარბებული აღმოჩნდებოდა თვით იმ მკაცრი დისციპლინის პირობებშიც კი, უნივერსიტეტს თავს რომ მოახვიეს პაპებმა და უცვლელი დარჩა ფილიპეს დრომდე. ამრიგად, რჩება საკითხის მხოლოდ ერთი შესაძლებელი გადაჭრა: სიგერმა გამოისყიდა თავისი ცოდვა იმ საშინელი ტანჯვით, რასაც გვაუწყებს „Fiore“, და რაც მას უნდა განეცადა ორვიეტოს პირქუშ დილეგში. შესაძლოა, კიდეც ანამეს და ასე შეუმოკლეს სიცოცხლის დღენი.* „მას ეჩვენებოდა, – ამბობს დანტე, - რომ სიკვდილი მეტისმეტად აჭიანურებდა მოსვლას“.

პოეტის აზრით, უკანასკნელი წამი, უკანასკნელი ამოსუნთქვა, ცნობიერების უკანასკნელი გაელვება ამ ერთ – ელვასავით სწრაფ წამზეა დამოკიდებული, როცა სული უზიარებლად, მღვდლისა და ყოველგვარი წმინდა ფორმულის გარეშე ეყრება სხეულს. ბუონკონტე დი მონტეფელტრო, გიბელინი მხედართმთავარი, მარტოდმარტო, უზიარებლად კვდება მდინარე ერმოს პირას, მაგრამ სიკვდილის წინ მოასწრო წაეჩურჩულებინა ღვთისმშობლის სახელი, და ეს საკმარისი აღმოჩნდა, რათა ღმერთს, მთელი მისი შეცდომებისა და შეცოდებების მიუხედავად, განსაწმენდელში მიეღო იგი:[72]

„უფლის ანგელოზმა ამიტაცა, ქვესკნელის ანგელოზი კი ყვიროდა: ჰეი, შენ, ზეცით ჩამოსულო, რად მართმევ ანსად მიგყავს მისი უკვდავი სული? ერთი პატარა ცრემლის გამო მტაცებ ჩემს ნადავლს?„ –

---

* Ghiado ხანჯალსაც ნიშნავს და ზნეობრივ ტანჯვასაც. ვარაუდობენ, რომ სიგერი მოკლულ იქნა. იხ. Hauréau, Journal des Savants, avril, 1890.

„Per una lagrimetta che 'l mi toglie".

ეს „პატარა ცრემლი", რომლის საიდუმლოც მხოლოდ ღმერთმა იცის, საკმარისი იყო მაესტრო სიგერის სახსნელად, მით უმეტეს, რომ განდევნილობის სიმწარემ და პაპის სასახლის ხრიკებმა უკვე ჩამორეცხეს ცოდვები.

სინანულისა და გამოსყიდვის ამ მწუხარე მთაზე სრულიად მოულოდნელად ვხვდებით მანფრედსაც,[73] ფრიდრიხ II-ის ძეს, ვის შესაჩვენებლადაც რომის ეკლესიას გმობის სიტყვები არ ეყო. „ქერა იყო, ლამაზი და ახოვანი, კეთილშობილური გარეგნობისა; ცალ წარბზე ღრმა ნაჭრილობევი აჩნდა"[74] მაგრამ მან ღიმილით უჩვენა პოეტს მეორე – გულის ჭრილობა. ჩეპერინოსთან ძლეული, შვაბიელი იმპერატორის დიად მიზანდასახულობათა მემკვიდრე ამ სიტყვებით მიმართავს დანტეს: „როდესაც ორმა სასიკვდილო დარტყმამ განგმირა ჩემი სიცოცხლე, ცრემლების ფრქვევით მივანდე თავი იმას, ვინც ყოველთვის მიუტევებს შემცოდეს. საშინელი იყო ჩემი ცოდვები, მაგრამ უსასრულო სიკეთე იმდენად ყოვლისმომცველია, რომ თავის წიაღში იღებს ყველას, ვინც კი მას მიუბრუნდება. ეს ჭეშმარიტება რომ შეეგნო კოზენცის ეპისკოპოსს, რომელიც ჩემს სხეულზე სანადიროდ წარმოგზავნა პაპმა კლემენტემ, ჩემი ძვლები დღეს ბენევენტოს მახლობლად, ქვის სამარხში განისვენებდნენ. ახლა კი წვიმით დაჰღმუით თავს, ჩემი სამეფოდან შორს, ვერდის პირას, სადაც ეპისკოპოსმა ჩამქრალ მაშხალებთან ერთად მიმოფანტა ისინი. მაგრამ მათ წყევლას არც ჩვენი წარწყმედის ძალი შესწევს და არც იმისა, რომ მარადიული სიყვარულის ულირსნი გვყოს, ვიდრე სასოების თუნდაც ერთი პაწაწინა ყვავილი კვლავაც იშლება ჩვენს გულში".[75]

Per lor maledizion sii non si perde,
Che non possa tornar l'eterno amore,
Mentre che la speranza ha fior del verde.*

---

* Purgat. III.

ეს უკვე სავონაროლას ყვირილია იმ ეპისკოპოსის მიმართ, კოცონის პირას სამღვდელო და სამონაზვნო ხარისხი რომ აჰყარა მას: „შენ შეგიძლია გამაძევო მეომარი ეკლესიიდან, მაგრამ მოზეიმიდან კი ვერ გამაძევებ!“ განიარაღებული ეკლესია, უმწეო მღვდელი, ეპისკოპოსი თუ პაპი, რომელთაც არ შეუძლიათ აქეთ ან იქით გადახარონ უფლის განაჩენი, – აი, რას გულისხმობენ იტალიელი მისტიკოსები გულის სიღრმეში ყოველთვის, როცა თავიანთ მრწამსსა თუ სასოებაზე ლაპარაკობენ.

საჭირო იყო უბედურებათა უსასრულო წყება, უსაზღვრო რისხვა, მიწიერი სამშობლოს დამხობა და განადგურება, რათა დანტე იძულებული გამხდარიყო ასე გულახდილად გამოეხატა თავისი დამოკიდებულება რომისა და მისი ეკლესიის მიმართ. ნუ გავიკვირვებთ, რომ მან სამოთხეში ყოველგვარი ყოყმანის გარეშე მოათავსა მხოლოდ წამებული პაპები, წმიდა პეტრეს პირველი მემკვიდრენი და წმიდა გრიგოლ დიდი, ეს აპოსტოლური პაპი, ვისაც ჩვენი წიგნის პირველი ფურცლები მივუძღვენით. დანტე პროტესტს აცხადებს საეკლესიო ფეოდალიზმის წინააღმდეგ იმ შინაგანი რელიგიის სახელით, სახარების, წმიდა იოანესა და წმიდა პავლეს დროიდან რომ იღებს დასაბამს; რელიგიისა, რომელიც მარადიული რწმენის ჭეშმარიტ სიმბოლოდ უნდა მიგვაჩნდეს, რამდენადაც მთლიანად შეესაბამებოდა ადამიანის გულის უმშვენიერეს მისწრაფებებს და საუკუნენახევრის განმავლობაში იტალიის ყველაზე დიდ საქმედ, ნახევარკუნძულის ორიგინალური სულიერი ქმედითობის ყველაზე სრულ გამოხატულებად გვევლინებოდა, ესოდენ დიდი ზემოქმედება რომ მოახდინა ქრისტიანიზმის ისტორიულ ბედზე.

კომენტარები

ვარსკვლავებით (*) აღნიშნული და სქოლიოებში ჩატანილი შენიშვნები ავტორს ეკუთვნის. „კომენტარებში“ მთარგმნელის მიერ განმარტებულია მხოლოდ მკითხველისათვის შედარებით უცნობი სახელები, ფაქტები და მოვლენები. „წინათქმაში“ მოხსენიებული ზოგიერთი ისტორიული პიროვნება (არნოლდ ბრეშიელი, ჯოაკინო დელ ფიორე, წმიდა ფრანჩესკო, ჯოვანი პარმელი, ფრა სალიმბენე და სხვ.) და ცალკეული რეალიები ავტორის მიერ თვით მისი თხზულების ტექსტშია განხილული და შეფასებული, ასე რომ, მათ, ცხადია, „კომენტარებში“ მხოლოდ გაკვრით, ან საერთოდ აღარ ვეხებით.

წინათქმა

1. პეტრე დამიანე (დაახლ. 988-1072) – იტალიელი საეკლესიო მოღვაწე და ღვთისმეტყველი; ეკლესიის ზნეობრივი სიწმინდისათვის თავგამოდებული მებრძოლი.
2. წმიდა ეკატერინე – ამ სახელით იტალიის საეკლესიო ისტორიაში ცნობილია რამდენიმე წმიდანი: წმ. ეკატერინე სიენელი (1347-1390), წმ ეკატერინე ბოლონიელი (1413-1463), წმ. ეკატერინე გენუელი (1448-1510) და წმ. ეკატერინე დე რიჩი (1519-1590). მათ შორის ყველაზე ცნობილია ეკატერინე სიენელი და ავტორიც, ალბათ, მას უნდა გულისხმობდეს.

3. ს ა ვ ო ნ ა რ ო ლ ა, ჯიროლამო (1452-1498) – ფლორენციელი ღვთისმეტყველი, რელიგიური და პოლიტიკური მოღვაწე. ოცდაორი წლისა ბერად აღიკვეცა. „მე მხოლოდ ორი რამ მიყვარს – თავისუფლება და სიმშვიდე; სწორედ ამ სიყვარულმა მიმაყენა მონასტრის კარსო", – ამბობდა იგი. სავონაროლას მთელი სიცოცხლე მოწმობს, რომ მან თავისუფლებას ანაცვალა სიმშვიდე. თავგამოდებით იბრძოდა საერო თუ საეკლესიო ტირანიის, საყოველთაო კორუფციისა და აღვირახსნილობის წინააღმდეგ. თავისი გულმხურვალე ქადაგებებით წლების მანძილზე აფორიაქებდა არა მარტო ფლორენციას, არამედ მთელ იტალიასაც. მედიჩების ტირანიის დამხობის შემდეგ (1494) ხელი შეუწყო ფლორენციაში რესპუბლიკური წყობილების დამყარებას. 1497 წელს პაპმა ალექსანდრე VI-მ ქადაგების უფლება ჩამოართვა და ეკლესიისაგან განკვეთა. სავონაროლა არ დაემორჩილა პაპის განაჩენს და კვლავინდებურად განაგრძობდა ქადაგებას. იმავდროულად, საეკლესიო კრების მოწვევაც სცადა, რომელსაც ტახტიდან უნდა გადაეყენებინა პაპი. ფლორენციის ახალმა სენიორიამ, პაპთან დაპირისპირების შიშით, სავონაროლა შეიპყრო და სასტიკი წამების შემდეგ სიკვდილი მიუსაჯა. 1498 წელს მეამბოხე ბერი, რომელიც შემდგომდროინდელმა ევროპულმა ისტორიოგრაფიამ „იტალიელი ლუთერის" სახელით მონათლა, კოცონზე დაწვეს, მისი ფერფლი კი მდინარე არნოში ჩაყარეს.

4. კ ო ნ ტ ა რ ი ნ ი... ვენეციელ კონტარინთა საგვარეულომ იტალიას მისცა არაერთი თვალსაჩინო პოლიტიკური თუ რელიგიური მოღვაწე (დოჟები, გენერლები, ეპისკოპოსები, კარდინალები); კონტარინებმა თავიანთი სიტყვა თქვეს კულტურისა და ეკონომიკის სფეროშიც (მხატვრები, მწერლები, მეწარმენი, დიდვაჭრები). აქ უნდა იგულისხმებოდეს კარდინალი გასპარ კონტარინი (1483-1542), მრავალრიცხოვანი თეოლოგიური შრომების ავტორი. მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია

ტრაქტატი „სულის უკვდავებისათვის“ („De immortalitate animae“), მიმართული ცნობილი იტალიელი ფილოსოფოსის პიეტრო პომპონაცის (1462-1525) ამავე სახელწოდების წიგნის წინააღმდეგ, რომლის მიხედვითაც, სულის უკვდავების დასამტკიცებლად მოხმობილ არცერთ არგუმენტს არ შეიძლება ჰქონდეს კატეგორიული მნიშვნელობა, რამდენადაც ადამიანის გონებას თავისთავად არ შეუძლია ამ პრობლემის გადაჭრა. ვენეციელ ინკვიზიტორთა განკარგულებით პომპონაცის თხზულება დაწვეს, ხოლო უფრო გვიან ტრიდენტის საეკლესიო კრებამ აკრძალული წიგნების სიაში შეიტანა იგი.

5. ფრა ანჯელიკო (ფრა ჯოვანი და ფიეზოლე; „Fra“ – შემოკლ. „Frate“-დან: "ძმა". იხმარება ბერ-მონაზონთა სახელების წინ... 1387-1455) – სახელგანთქმული იტალიელი მხატვარი. სან მარკოს (ფლორენცია) მონასტრის წინამძღვარი.
6. ოლიმპია მორატა (ოლიმპია-ფულვია მორატა; 1526-1555) – იტალიელი მწერალი ქალი, ჰუმანისტი, კლასიკური ენებისა და მწერლობის ბრწყინვალე მცოდნე. 1548 წელს ცოლად გაჰყვა გერმანელ ექიმს ანდრეას გრუნდლერს. გარდაიცვალა ჰაიდელბერგში.
7. ვიტორია კოლონა (1490-1547) – იტალიელი პოეტი ქალი. მეუღლის, სახელგანთქმული მხედართმთავრის – მარკიზ პესკარას გარდაცვალების შემდეგ განმარტოებით ცხოვრობდა. მიქელანჯელომ თავის სონეტებში უკვდავყო მისი სახელი.
8. გრიგოლ დიდი (დაახლ. 540-604) – რომის პაპი (590-604). მდიდარი და წარჩინებული ოჯახის შვილმა თავისი დროის კვალობაზე საუცხოო განათლება მიიღო. 573 წლიდან რომის პრეფექტის თანამდებობა ეკავა; მაგრამ მალე იგრძნო ამქვეყნიური დიდების ამაოება, მთელი თავისი უზარმაზარი ქონება ახალი მონასტრების მშენებლობასა და საქველმოქმედო საქმეს შესწირა, თვითონ კი ბერად აღიკვეცა. მალე პაპმა პელაგიუს II-მ (578-590) ელჩად (nuntius) წარგზავნა კონსტანტინო-

პოლს, სადაც 579-585 წლებში რომის ეკლესიის ინ-
ტერესებს იცავდა იმპერატორის სასახლის კარზე. 586
წელს პელაგიუსის მდივანი, მისი გარდაცვალების შემ-
დეგ კი რომის პაპი გახდა. მძიმე დრო იყო. იტალიაში
ლანგობარდები პარპაშებდნენ, შავი ჭირი და შიმში-
ლობა მუსრს ავლებდა სოციალური, პოლიტიკური თუ
ეკონომიური კატასტროფებით ისედაც შეთხელებულ
მოსახლეობას. ახალმა პაპმა თავისი დიპლომატიური
ნიჭისა და გერგილიანობის წყალობით შეძლო დაეშშ-
მინებინა ლანგობარდები, სურსათ-სანოვაგით მოე-
მარაგებინა ქვეყანა, ხელახლა მოექცია ქრისტეს
სჯულისაგან განდგომილი ბრიტანეთი, გარკვეულ-
წილად შეეკვეცა კორუფციის მასშტაბები და, რაც მთა-
ვარია, მთელ დასავლურ სამყაროში განემტკიცებინა
რომის ეკლესიისა და სამღვდელთმთავრო ძალაუ-
ფლების ავტორიტეტი. სიცოცხლის ბოლო წლების მან-
ძილზე სარეცელს იყო მიჯაჭვული: დამბლა დაეცა
მძიმე შრომითა და უმკაცრესი რელიგიური დისცი-
პლინით – მარხულობითა და ღამის თევით გამოფი-
ტულს. გრიგოლ დიდი (გრიგოლ I) წმიდანადაა შერაცხ-
ილი კათოლიკური ეკლესიის მიერ.

9. გ რ ი გ ო ლ VII – რომის პაპი (1073-1085); წარმომავლო-
ბით გერმანელი (ჰილდებრანდი); დაიბადა ტოსკანაში,
დაახლ. 1013 წ. კლიუნის (საფრანგეთი) მონასტრის წი-
ნამძღვარი. პაპმა ლეონ IX-მ (1048-1054) რომში იხმო და
კარდინალად აირჩია. მისი გარდაცვალების შემდეგ
ჰილდებრანდის აქტიური მხარდაჭერით პაპები გახდნენ
– ვიქტორ II (1055-1058), ნიკოლოზ II (1058-1061) და
ალექსანდრე II (1061-1073), რომელთა მღვდელთმთავ-
რობისას თითქმის ერთპიროვნულად წარმართავდა
რომის ეკლესიის პოლიტიკას. ალექსანდრე II-ის გარ-
დაცვალების შემდეგ ჰილდებრანდი გრიგოლ VII-ის სახ-
ელით ავიდა წმიდა ტახტზე. მისი იდეალი კლიუნელთა
საერთო იდეალი იყო – სასულიერო ძალაუფლების
უპირატესობა საერო ხელისუფლების წინაშე, ეკუმე-

ნური (მსოფლიო) თეოკრატია. მთელი თავისი გიგანტური ენერგია ახალმა პაპმა ამ იდეალის ხორცშესხმას შესწირა. აქედან – მისი კონფლიქტი გერმანიის იმპერატორ ჰენრიხ (ჰაინრიხ) IV-სთან (1054-1106), რამაც ურიცხვი უბედურება დაატეხა თავს იტალიასაც და გერმანიასაც... „წმიდა სატანა" – ასე უწოდებდა ჰილდებრანდს (პაპად არჩევამდე) მისი უფროსი თანამედროვე პეტრე დამიანე (იხ. ზემოთ, შენ.1).

10. ტ რ ი დ ე ნ ტ ი ს ს ა ე კ ლ ე ს ი ო კ რ ე ბ ა – გერმანიაში მარტინ ლუთერის (1483-1546) მეთაურობით დაწყებული რეფორმისტული მოძრაობის შედეგად შექმნილი ვითარების გასარკვევად და შესაფასებლად, მოძრაობისა, რომელიც საეკლესიო ფეოდალიზმის, პაპის აბსოლუტური ძალაუფლების, ინდულგენციებით ვაჭრობის, სიმონიისა და, საერთოდ, კათოლიკური ეკლესიის წიაღში გამეფებული თვითნებობის, უზნეობის და აღვირახსნილობის წინააღმდეგ იყო მიმართული, და რომელმაც, გერმანიის გარდა, დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნებიც მოიცვა, – 1545 წელს იმპერატორ კარლ V-ისა და პაპ პავლე III-ის ინიციატივით ავსტრიის პატარა ქალაქ ტრიდენტში (ლათ. Tridentum, ან Tridentium; გერმ. Trient; ფრანგ. Trente; იტალ. Triento) მოწვეულ იქნა საეკლესიო კრება, რომელიც დიდი შეფერხებებით, წყვეტილად მიმდინარეობდა და თვრამეტ წელიწადს გაგრძელდა (1545-47; 1551-52; 1562-63). კრებაზე იმთავითვე დაუპირისპირდა ერთმანეთს ორი ბანაკი. იმპერატორის მომხრეები ეკლესიის რადიკალურ რეფორმირებას მოითხოვდნენ, პაპისტები კი გადაჭრით ეწინააღმდეგებოდნენ ამას. გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, საბოლოო გამარჯვება პაპის მომხრეებს დარჩათ, რამაც კიდევ უფრო განამტკიცა პაპის ძალაუფლება, პაპისა, რომელსაც კრებამ „მსოფლიო (ეკუმენური) ეკლესიის მეთაურის" ტიტული მიანიჭა. კონტრრეფორმაცია გამარჯვებას ზეიმობდა. მაგრამ ეს გამარჯვება დროებითი იყო.

11. იხ. იოანე, 10, 16: „სხვა ცხვრებიც მყვანან, რომლებიც არ არიან ამ ფარეხისა; მათი მოყვანაც მმართებს, და ისმენენ ჩემს ხმას, და იქნება ერთი სამწყსო და ერთი მწყემსი".
12. იგულისხმება იეზუიტთა ორდენი (ლათ. „Jesu" – „იეზუ", ასე გამოითქმის „იესო"), დაარსებული 1534 წელს ესპანელი იდალგოს იგნაციუს (იგნასიო) ლოიოლას მიერ (ერისკაცობაში – ინიიგო ლოპეს დე რეკალდო; 1491-1556). მანვე შეიმუშავა ორდენის სამოქმედო პროგრამა, მისი ორგანიზაციული და მორალური პრინციპები. იეზუიტთა ორდენი დაარსების დღიდანვე კათოლიკური კონტრრეფორმაციის მძლავრ იარაღად იქცა.
13. ი ა ნ ს ე ნ ი ზ მ ი – ჰოლანდიელი თეოლოგის კორნელიუს იანსენის (1583-1638) რელიგიური მოძღვრება. იანსენიზმის შესახებ იხ. ჩემი გამოკვლევა „ბლეზ პასკალი", წიგნში – ბლეზ პასკალი, აზრები, ფრანგულიდან თარგმნა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო ბ. ბრეგვაძემ, თბ., 1981, გვ. 72-76.
14. „Convito" („ლხინი") – დანტეს დაუმთავრებელი ნაწარმოები, დაწერილი 1303-1307 წლებში.
15. ფ რ ი დ რ ი ხ II-ს ქვემოთ მთელ თავს მიუძღვნის ავტორი.
16. „C a r m i n a B u r a n a" („ბურანული სიმღერები", – ლათ.) – XIII საუკუნის დამდეგს გერმანიაში შედგენილი ლათინური ლექსების ვრცელი კრებული, რომელიც ნათელ წარმოდგენას გვიქმნის შუა საუკუნეების ევროპულ ქვეყნებში (გერმანია, საფრანგეთი, ინგლისი, იტალია) მოხეტიალე კლერიკოსი პოეტების – „ვაგანტების" (Vagantes) ლირიული, სატირული, ჰედონისტური და დიდაქტიკური პოეზიის შესახებ. „Burana" მისმა პირველმა გამომცემელმა შმელერმა (1847) უწოდა იმ მონასტრის სახელის მიხედვით („Beuren"), სადაც ეს იშვიათი ხელნაწერი იპოვეს.

17. წ მ ი დ ა ტ ა ხ ტ ი (ფრანგ. „Saint Siège"; იტალ. „Santa Sede") – პაპის ტახტი იგულისხმება.

თავი I

1. იოანე, 18, 36.
2. კ ა რ ო ლ ი ნ გ ე ბ ი – ფრანკთა სახელმწიფოს სამეფო და საიმპერატორო დინასტია (VIII-X ს.), რომელმაც თავისი ძლიერების ზენიტს კარლოს დიდის (742-814; იმპ. 800-814) დროს მიაღწია.
3. ა ლ ა რ ი ხ ი (დაახლ. 370-410) – ვესტგოთების მეფე. 395 წელს ააოხრა პანონია, მაკედონია და საბერძნეთი. 401, 403 და 408 წლებში სამჯერ დალაშქრა იტალია. 410 წელს იერიშით აიღო, გაძარცვა და ცეცხლს მისცა რომი.

4. ა ტ ი ლ ა (გერმ. ეტცელ; გარდ. 453 წ.) – 445 წლიდან შავი ზღვისა და დუნაისპირეთში მომთაბარე ჰუნების ერთ-პიროვნული ბელადი. თავისი უზარმაზარი ლაშქრით, რომელიც ჰუნების ნახევრად ველური ურდოების გარდა მეზობელი გერმანული და სლავური ტომებისგანაც შედგებოდა, ატილამ თავდაპირველად ბიზანტიას შეუტია, სადაც თვით კონსტანტინოპოლამდე მივიდა და მხოლოდ უზარმაზარი გამოსასყიდის ფასად გაბრუნდა უკან. 451 წელს თავს დაესხა გალიას, მაგრამ რომაელებსა და მათ მოკავშირე გერმანელებთან შეტაკებაში, რომლებსაც აეციუსი სარდლობდა, მარცხი განიცადა. 453 წელს რომისაკენ დაიძრა, მაგრამ ჰუნების ლაშქარს გადამდებმა სენმა დარია ხელი და ატილა იძულებული შეიქნა თავის რეზიდენციაში – პანონიაში დაბრუნებულიყო, სადაც მალე გარდაიცვალა. ატილას ვრცელი იმპერია, რომელიც დონიდან პანონიამდე იყო გადაჭიმული, მისი სიკვდილისთანავე დაიშალა.
5. 568 წელს იტალიაში ლანგობარდები შეიჭრნენ, რომლებიც მანამდე დუნაის შუა წელზე სახლობდნენ.

მომხდურებმა დაამარცხეს მათ წინააღმდეგ გაგზავნილი ბიზანტიელთა ლაშქარი და მტკიცედ მოიკიდეს ფეხი ჩრდილო იტალიაში, სადაც მათი სამეფოს დედაქალაქი გახდა პავია (დღევანდელი ლომბარდიის სახელწოდება სწორედ ლანგობარდებისაგან იღებს დასაბამს). აქედან ისინი თავს ესხმოდნენ და თანდათანობით იპყრობდნენ იტალიის დანარჩენ მხარეებსაც. ბიზანტიამ მხოლოდ რამდენიმე ქალაქის (ვენეცია, რავენა, რომი, ნეაპოლი) შენარჩუნება შესძლო.

6. პ ა ვ ლ ე დ ი ა კ ო ნ ი (ვარნეფრიდი; 740-801) – ლათინურენოვანი მწერალი (ისტორიკოსი, ღვთისმეტყველი და პოეტი), წარმომავლობით ლანგობარდი. ცხოვრობდა და მოღვაწეობდა პავიაში, ლანგობარდთა მეფის დეზიდერიუსის სასახლის კარზე. 774 წელს კარლოს დიდმა დაამარცხა დეზიდერიუსი და მისი სამეფო გვირგვინი თვითონ დაიდგა თავზე. პავლე დიაკონის ძმა ტყვედ ჩაუვარდა ფრანკებს. 782 წელს პავლე ძმის დასახსნელად ჩავიდა აახენში, რომელიც მაშინ კარლოს დიდის რეზიდენცია იყო. იქ, იმპერატორის სასახლის კარზე, სამეფო აკადემიაში, რომელსაც სათავეში ედგა მთელ იმდროინდელ ევროპაში ცნობილი სწავლული, ანგლოსაქსი ბერი ალკუინი (დაახლ. 730-804), დიდი პატივით მიიღეს განათლებული ლანგობარდი. ერთხანს ალკუინსა და მის კოლეგებთან თანაშრომლობდა, შემდეგ კი კვლავ იტალიაში დაბრუნდა და მონტე კასინოს მონასტერში ბერად აღიკვეცა. პავლე დიაკონის თხზულებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანია „ლანგობარდების ისტორია“ („De gestis Langobardorum“).

7. ს ა რ ა ც ი ნ ე ბ ი – ასე უწოდებდნენ არაბებს ევროპელი ხალხები (ლათ. saraceni; ესპ. saracenes; ფრანგ. sarrasins; იტალ. saracini), რომლებიც ამ სახელწოდებას არაბულ სიტყვას „სარიკ“ – „ქურდი“ უკავშირებდნენ, არაბ დამპყრობელთა ყაჩაღური თარეშისა და ძარცვა-გლეჯის გამო. ჩვენი წინაპრები მათ „სარკინოზებს“ ეძახდნენ.

8. ცელიუსი (Coelius) – ერთი იმ შვიდ ბორცვთაგანი, რომლებზედაც გაშენებული იყო ქალაქი რომი. დღეს ამ ბორცვს „წმიდა იოანე (ჯოვანი) ლატერანელი" ეწოდება. მის ცენტრში ახლაც უჩვენებენ ადგილს, სადაც გრიგოლ დიდი სეირნობდა ხოლმე.
9. იგულისხმება პაპი გრიგოლ დიდი (იხ. ზემოთ – წინათქმა, კომენტ.8).
10. მონტე კასინოს მონასტერი დაახლ. 520 წელს დააარსა წმ. ბენედიკტემ (480-543). მანვე შეადგინა „ბენედიკტელთა წესდება". მონტე კასინოს მონაზვნის – გრიგოლ დიდის პაპად არჩევამდე ცოტა ხნით ადრე მონასტერი ლანგობარდებმა დაარბიეს. დაფეთებული მონაზვნები რომში გაიქცნენ, მაგრამ როცა ლანგობარდების მძვინვარება დაცხრა, რაშიაც გადამწყვეტი როლი ითამაშა გრიგოლ დიდის მხნეობამ და თავგამოდებამ, თავგანწირვას რომ უახლოვდებოდა, – ისინი კვლავ დაბრუნდნენ მონტე კასინოში.
11. 752 წელს ფრანკმა მთავარმა (მაიორდომმა) პიპინ მოკლემ, კარლოს დიდის მამამ, მეფის გვირგვინი დაიდგა თავზე. მეფედ კურთხევისას მირონცხების საკრალური რიტუალი აღასრულა ირლანდიელმა ბერმა ბონიფაციუსმა (ერისკაცობაში – ვინფრიდი), რომელმაც რომის პაპის გრიგოლ II-ის (715-731) მხარდაჭერით, ქრისტეს სჯულზე მოაქცია გერმანული ტომები. ამიტომ, როცა ლანგობარდების თარეშით შევიწროებულმა პაპმა სტეფანე II-მ (752-757) შემწეობა სთხოვა ახლად ნაკურთხ მეფეს, მადლიერმა პიპინ მოკლემ დაუყოვნებლივ გაუწოდა დახმარების ხელი: ორჯერ დალაშქრა ჩრდილო იტალია, რავენის ოლქი წაართვა ლანგობარდებს და 754 წელს სამფლობელოდ უბოძა პაპს. კაროლინგი მეფის ამ საბოძვარმა საფუძველი ჩაუყარა პაპების საერო მბრძანებლობას იტალიაში.
12. იოანე სალისბერიელი (დაახლ. 1110-1180) – ინგლისელი ღვთისმეტყველი და ისტორიკოსი (შუა

საუკ. მწერალთა და მოაზროვნეთა აბსოლუტური უმრავლესობის მსგავსად, ისიც ლათინურ ენაზე წერდა).

13. მარსილიუს პადუელი (გარდ. 1328 წ.) – იტალიელი იურისკონსულტი და თეოლოგი, 1312 წლიდან პარიზის უნივერსიტეტის რექტორი. მისი მთავარი თხზულება – „მშვიდობის დამცველი" („Defensor pacis") პაპების საერო ძალაიფლების წინააღმდეგაა მიმართული, რისთვისაც პაპმა იოანე XXII-მ დაჰგმო წიგნი, მისი ავტორი კი ეკლესიისაგან განკვეთა (1327 წ.).

14. ვილჰელმ ოკამი – XIV ს. ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსი და თეოლოგი. განათლება მიიღო ოქსფორდსა და პარიზში იოანე დუნს სკოტის ხელმძღვანელობით, შემდეგ კი თვითონვე კითხულობდა ლექციებს პარიზის უნივერსიტეტში. Doctor singularis („უებრო დოქტორი") – ასე უწოდებდნენ თანამედროვენი. ფრანცისკანელთა ორდენის წევრი. დიდი სახელი მოიხვეჭა საეკლესიო პოლიტიკის სფეროში. პაპ ბონიფაციუს VIII-ისა (1294-1303) და საფრანგეთის მეფის ფილიპე მშვენიერის (Philippe le Bel; 1285-1314) დავაში ამ უკანასკნელს მიემხრო და პაპის თავდასხმებისაგან იცავდა მას. შემდეგ თავისი ორდენის ფანატიკოს სპირიტუალთა მხარე დაიჭირა და მათთან ერთად აუმხედრდა პაპ იოანე XXII-ს (1316-1334), ვის წინააღმდეგაც გამოაქვეყნა მანიფესტი, რომელიც სავსე იყო მკვეთრი გამოხდომებით პაპისა და ეკლესიის სხვა მესვეურთა მიმართ. როდესაც პასუხის საგებლად მიიწვიეს რომში, თავის მომხრეებთან ერთად გაიქცა და ლუი ბავარიელს შეაფარა თავი, რომელსაც მხარს უჭერდა პაპის წინააააღმდეგ ბრძოლაში. „შენ ხმლით დამიცავი, მე კი კალმით დაგიცავო", – ეუბნებოდა მას. გარდაიცვალა დაახლ. 1347 წ.

15. „სენიორისა და ვასალის ურთიერთდამოკიდებულება სულ სხვანაირი იყო, ვიდრე მბრძანებლისა და მისი ქვეშევრდომისა. მართალია, „ვასალი" წარმოსდგება სიტყვიდან vassus, რაც „მსახურს" ნიშნავს, და ის სენიორის

„კაცად" (homo) იწოდებოდა, მაგრამ სინამდვილეში ეს იყო თანასწორთა ურთიერთდამოკიდებულება, ერთმანეთს შორის რომ დებდნენ ხელშეკრულებას, განმტკიცებულს ფიცით, რომლის დაცვაც ორივე მხარეს მართებდა. ამრიგად, ფეოდალებს შორის პოლიტიკურ კავშირს საფუძვლად ედო ცალკეული სენიორებისა და ვასალების ხელშეკრულებათა ურიცხვი სიმრავლე"... (Н. Кареев, Учебная книга истории средних веков, СПб., 1913, стр. 74-75).

16. X ს. იტალიელი მთავრები გამუდმებით ებრძოდნენ ერთმანეთს სამფლობელოებისა და მათი სანუკვარი მიზნის – იმპერატორის გვირგვინისთვისაც, რითაც ისარგებლა გერმანიის მეფემ ოტონ I-მა (936-973), კაროლინგების (იხ. ზემოთ, კომენტ. 2) მემკვიდრედ რომ მოჰქონდა თავი, გადაწყვიტა ჩარეულიყო იტალიელთა შინააშლილობაში და მთელი ჩრდილო იტალია დაიპყრო. ცოტა უფრო გვიან, პაპმა იოანე XII-მ (956-963), რომელსაც რომაელები აუმბოხდნენ, დახმარებისათვის მიმართა მას. ოტონ I-მა ხელახლა დალაშქრა იტალია, თავისი შერყეული უფლებები აღიდგინა იქ და 962 წელს იმპერატორის გვირგვინიც დაიდგა თავზე. აქედან იღებს დასაბამს ე.წ. „გერმანელი ერის წმინდა რომის იმპერია". ოთხი საუკუნის განმავლობაში გერმანელი მბრძანებლები, „რომის იმპერიის" განუყოფელ ნაწილად რომ მიიჩნევდნენ იტალიას, ტახტზე ასვლისას „რომაულ ლაშქრობებს" აწყობდნენ ალპებს გადაღმა, რათა მარადიულ ქალაქში პაპის ხელით დაედგათ თავზე იმპერატორის გვირგვინი. რომაელები ვერ ურიგდებოდნენ გადამთიელთა პარპაშს და არაერთხელ ამბოხებულან მათ წინააღმდეგ. გერმანელები ძალით ახშობდნენ მათ მღელვარებას. ჩრდილოელი მბრძანებლების ამ პატივმოყვარულმა პრეტენზიებმა საუკუნეების განმავლობაში ურიცხვი უბედურება დაატეხა თავს იტალიასაც და გერმანიასაც.

17. „სქიზმა“ (σχίσμα) ბერძნულად „განხეთქილებას“ ნიშნავს. კათოლიკეებისათვის სქიზმატიკოსები მართლმადიდებელი ბერძნები იყვნენ (და არიან), ბერძნებისათვის კი – კათოლიკენი.
18. ბერძნები და ნორმანები უპირატესად სიცილიასა და სამხრეთ იტალიაში იყვნენ დამკვიდრებულნი.
19. ტ უ ს კ უ ლ უ მ ი (დღევანდელი ფრასკატი) – დიდი ისტორიული წარსულის მქონე პატარა ქალაქი, რომიდან დაახლ. 20 კმ-ით დაშორებული. აქ დაიწერა ციცერონის სახელგანთქმული „ტუსკულუმური საუბრები“.
20. იგულისხმება „რომის კამპანია (Campagna)“ – საეკლესიო სახელმწიფოს ცენტრი, რომელიც მოიცავდა ძველი ლაციუმის ტერიტორიას. მთავარი ქალაქები: ტივოლი, არიჩა და კასტელ გონდოლფო.
21. კ ა პ ი ტ ო ლ ი უ მ ი – ერთი იმ შვიდ ბორცვთაგანი (Mons Capitolinus; Capitolium), რომლებზედაც გაშენებული იყო ძველი რომი. კაპიტოლიუმს ორი თხემი ჰქონდა. ჩრდილოეთის თხემზე აღმართული იყო მძლავრი ციხესიმაგრე (Arx), სამხრეთისაზე კი – სამი ღვთაების: იუპიტერ კაპიტოლინუსის, იუნონასა და მინერვას ტაძრები. დღეს ბორცვის თხემზე ლამაზი მოედანია (Piazza del Campidoglio), მუზეუმის ორი შენობა, მარკუს ავრელიუსის გრანდიოზული ქანდაკება, ქალაქის საბჭოს (სენატის) სასახლე (Palazzo del senatore) და სხვ.
22. პ ა ტ რ ი მ ო ნ ი უ მ ი (წმ. პეტრეს პატრიმონიუმი) – საეკლესიო სახელმწიფოს ადმინისტრაციული ერთეული.
23. იხ. ზემოთ, კომენტ. 16.
24. კ ო ნ კ ლ ა ვ ი – კარდინალთა კრებული.
25. ლ ა ც ი უ მ ი – ჩრდილო იტალიის პატარა ოლქი, სადაც რომულუსმა ძვ. წ.ა. 754-53 წ. დაარსა ქალაქი რომი; ლათინური ენის, ლათინური კულტურისა და მთელი ლათინური ცივილიზაციის აკვანი.
26. წ მ ი დ ა ა ნ გ ე ლ ო ზ ი ს კ ო შ კ ი სხვა არა არის რა, თუ არა რომის იმპერატორის ჰადრიანეს (117-138) გრანდიოზული მავზოლეუმი, რომელიც შუა საუკუნეებში

ციხე-კოშკად გადააკეთეს და ამ სახით მოაღწია ჩვენს დრომდე.

27. ტ რ ა ი ა ნ ე – რომის იმპერატორი (98-117).

28. ნ ო ბ ი ლ ე ბ ი დ ა პ ო პ ო ლ ა ნ ე ბ ი – კეთილშობილნი და მდაბიორნი.

29. კ ლ ე მ ე ნ ტ ე III (ერისკაცობაში – გიბერტი), რავენის არქიეპისკოპოსი; გრიგოლ VII-ის მოსისხლე მტერმა, იმპერატორმა ჰენრიხ IV-მ ანტიპაპად აარჩევინა კარდინალთა კონკლავს.

30. გ რ ი გ ო ლ VII 1085 წელს გარდაიცვალა, კ ლ ე მ ე ნ ტ ე III კი – 1100 წელს.

31. ეს მოხდა 1130 წელს.

32. წ მ. ბ ე რ ნ ა რ ი –ბერნარ კლერვოელი (1091-1153), ფრანგი თეოლოგი, შუასაუკუნეობრივი ევროპული მისტიციზმის ერთ-ერთი ფუძემდებელი, პეტრე (პიერ) აბელიარის იდეური მოწინააღმდეგე.

33. ო ტ ო ნ III (983-1002), ჰ ე ნ რ ი ხ III (1039-1056), ჰ ე ნ - რ ი ხ V (1111-1125) – გერმანიის მეფეები და „წმინდა რომის იმპერიის“ იმპერატორები.

34. ს ი მ ო ნ ი ა – საეკლესიო თანამდებობების, სასულიერო წოდებების და სხვა მისთანათა ყიდვა-გაყიდვა, რაც შუა საუკუნეების ევროპულ სინამდვილეში ცხოვრების წესადაც კი იქცა: ვაჭრობდა ყველა – იმპერატორები და მეფეები, ჰერცოგები და გრაფები, პაპები და კარდინალები, ეპისკოპოსები და აბატები. „ამ პრაქტიკამ ღრმად გაიდგა თავისი შხამიანი ფესვი ქრისტიანობის წიაღშიო“, – ამბობდა პაპი გრიგოლ VII, სიმონიის წინააღმდეგ თავგამოდებული მებრძოლი. მაგრამ გრიგოლ VII-ები ერთეულები იყვნენ, ვაჭრუკანა სიმონიაკოსები კი – ურიცხვნი.

35. ნ ე პ ო ტ ი ზ მ ი (ლათ. nepos, nepotis – კლასიკ. ლათ. – „შვილიშვილი“; საშ ლათ. – „ძმისწული“, „დისწული“. „ნეპოტიზმის“ ცნებას სწორედ ეს უკანასკნელი მნიშვნელობა უდევს საფუძვლად, და არა „შვილიშვილი“, როგორც აღნიშნულია „ქართულ საბჭოთა ენ-

ციკლოპედიაში“, ტ. 7, გვ. 389) – წყალობა, რასაც პაპები მიაგებდნენ თავიანთი ოჯახის წევრებს, უპირატესად, ძმისწულებსა თუ დისწულებს, ერთადერთ იურიდიულ პირებს, რომლებიც მათ კანონიერ მემკვიდრეებად ითვლებოდნენ, რამდენადაც კათოლიკური სარწმუნოება სამღვდელოებისათვის აუცილებლად მიიჩნევდა „ცელიბატს“ (ლათ. caelibatus – „უცოლობა“). საკუთარი ოჯახისა თუ საგვარეულოს კეთილდღეობისა და გამდიდრებისათვის ზრუნვა პაპებისთვის იმას ნიშნავდა, რომ ეკლესია გაექურდათ. კანონით, მხოლოდ ეკლესიას ეკუთვნოდა თვით ისიც კი, რასაც პაპები საკუთარი ძალისხმევით იხვეჭდნენ, და არა მათი ოჯახის წევრებს. ის, რასაც ღმერთს სწირავდნენ ან უძღვნიდნენ, არამც და არამც არ უნდა გადასულიყო ადამიანზე. მაგრამ შუა საუკ. პაპები არას დაგიდევდნენ ამ საეკლესიო თუ მორალურ კანონს, რომელიც თითქოს მხოლოდ იმიტომ არსებობდა, რომ თავიანთი ანგარებითა და პატივმოყვარეობით დაერღვიათ.

36. მ ა ტ ი ლ დ ა (1046-1115) – ტოსკანელი კონტესა („გრაფინია“), თავისი დროის ერთ-ერთი უმდიდრესი და უგანათლებულესი ქალი. ღრმად მორწმუნე კონტესამ მთელი თავისი უზარმაზარი სიმდიდრე და სამფლობელოები გრიგოლ VII-ის მღვდელთმთავრობისას წმიდა ტახტს, ე.ი. ეკლესიას შესწირა. „პატრიმონიუმი“ (იხ. ზემოთ, კომენტ. 22), რომელიც ჩრდილოეთით ორვიეტანოს ესაზღვრება, აღმოსავლეთით – უმბრიასა და საბინას, სამხრეთ-აღმოსავლეთით – რომის კამპანიას, სამხრეთ-დასავლეთით – ტირენის ზღვას, ჩრდილო-აღმოსავლეთით კი – ტოსკანას, ძირითადად სწორედ მატილდას საბოძვარია.

37. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე VI (ერისკაცობაში – როდერიგო ბორჯა; ესპ. ბორხა: წარმომავლობით ესპანელი იყო) – რომის პაპი (1492-1503), ცნობილი თავისი პატივმოყვარული მისწრაფებებით, აღვირახსნილობით და სისასტიკით.

38. შდრ. მათე, V, 3, 8, 9: „ნეტარ არიან გლახაკნი სულითა, ვინაიდან მათია ცათა სასუფეველი“... „ნეტარ არიან წმიდანი გულითა, ვინაიდან ისინი ღმერთს იხილავენ“. „ნეტარ არიან მშვიდობის მყოფელნი, ვინაიდან ისინი ღმრთის ძეებად იწოდებიან“.
39. იხ. პავლე მოციქულის ეპისტოლენი: რომაელთა მიმართ – „მართალი რწმენით იცოცხლებს“ (1, 17); „...ჩვენ ვამტკიცებთ, რომ რწმენით მართლდება კაცი, რჯულის საქმეთა მიუხედავად“ (3, 28); „...აბრაამს სიმართლედ შეერაცხა რწმენა“ (4, 9); „ამრიგად, რწმენით გამართლებულთ გვაქვს მშვიდობა ღმერთთან უფლის ჩვენის იესო ქრისტეს მეოხებით“ (5, 1). გალატელთა მიმართ – „და რაკი ვიცით, რომ რჯულის საქმეთაგან როდი გამართლდება კაცი, არამედ იესო ქრისტეს რწმენით, ჩვენც ვირწმუნეთ იესო ქრისტე, რათა ქრისტეს რწმენით გავმართლდეთ და არა რჯულის საქმით“... (2, 16); „...ისინი, ვინც რწმენისაგან არიან, მორწმუნე აბრაამთან ერთად იკურთხებიან“ (3, 9); „...ცხადია, რომ რჯულით არავინ გავმართლდებით ღმრთის წინაშე, ვინაიდან მართალი იცოცხლებს რწმენით“ (3, 11). ეფისელთა მიმართ – „რადგანაც მადლით ხართ გამოხსნილნი რწმენის წყალობით“... (2, 8). ებრაელთა მიმართ – „ხოლო რწმენის გარეშე შეუძლებელია სათნო ყოფა, რადგან მას, ვინც უახლოვდება ღმერთს, უნდა სწამდეს, რომ ის არის და სანაცვლოს მიაგებს მის მაძიებელთ“ (11, 6) და სხვ...
40. ზემოთ (იხ. წინათქმის კომენტ. 9) ჩვენ გაკვრით შევეხეთ პაპ გრიგოლ VII-ისა და იმპერატორ ჰენრიხ IV-ის კონფლიქტს. აქ სწორედ ამ კონფლიქტის ერთ-ერთი ყველაზე დრამატული ეპიზოდი იგულისხმება. 1077 წელს იმპერატორი იძულებული შეიქნა იტალიაში ჩასულიყო, რათა შეწყალება ეთხოვა პაპისათვის, რომელმაც კანოსაში, კონტესა მატილდას (იხ. აქვე, კომენტ. 36) ციხე-სიმაგრეში მიიღო იგი, თუმცა, ვიდრე აუდიენციას აღირსებდა, სამი დღე კი ალოდინა სიმაგრის ბჭესთან,

მონანულის სამოსით მოსილი, მშიერ-მწყურვალი და ფეხშიშველი.

41. „ნეტარ არიან გულმოწყალენი, რადგანაც ისინი შეწყალებულნი იქნებიან“ (ლათ.) – მათე, V, 7.

42. იგულისხმება „ცელიბატის“ (იხ. კომენტ. 35) დარღვევა.

43. ნერონი (54-68), კალიგულა (37-41), ჰელიოგაბალი (218-222) – რომის სამი ყველაზე ვერაგი, გულმხეცი და აღვირახსნილი იმპერატორი.

44. ასე მაგალითად, პაპი იოანე X (914-928) მისმა საყვარელმა, თავისი განსაცვიფრებელი სილამაზით, სიმდიდრითა და ცბიერებით განთქმულმა კურტიზანმა–თეოდორამ აიყვანა წმიდა ტახტზე. ინტრიგების ხლართვის ეს უებრო ოსტატი, რომელიც არა მარტო იოანე X-ის, რამდენიმე სხვა პაპის ხარჭაც იყო, მთელი ოცდაათი წლის განმავლობაში (890-920) თავის ნებაზე ატრიალებდა რომს. ამ მხრივ, თეოდორას ტოლს არ უდებდნენ მისი ქალიშვილები – მაროცია (მაროჩა) და დედის სეხნია – თეოდორა, რომელიც შემდეგ იმავე იოანე X-ის ხარჭა გახდა, დედამისი რომ ჰყვარობდა. მაროციამ კი არ დაინდო დედისა და დის საყვარელი, ვის წინააღმდეგაც წააქეზა თავისი მეორე ქმარი, ტოსკანის ჰერცოგი (დუკა) გვიდო, რომელმაც დილეგში ჩააგდო და ჯალათებს მოაშთობინა პაპი. მაროციას შემწეობით დაიდგა თავზე პაპის ტიარა ლეონ VI-მ (928-929), შემდეგ კი – სტეფანე VII-მ (929-931), მაროციამვე აიყვანა პაპის ტახტზე თავისი ვაჟი იოანე XI (931-936), რომელიც მას პაპ სერგიუს III-ისაგან (904-911) შეეძინა... რაც შეეხება ავაზაკებს, ცნობილია, რომ პაპი იოანე XXIII (ერისკაცობაში – ბალთაზარ კოსა; 1410-1415) ახალგაზრდობისას მეკობრე (კორსარი) იყო, და წმიდა ტახტზედაც ისე იქცეოდა, როგორც ყაჩაღი.

45. იოანე XII-ს (956-968), ჩვიდმეტი თუ თერამეტი წლისა რომ ავიდა პაპის ტახტზე, თანამედროვეთა მტკიცებით, „სატანის მსახური უფრო ეთქმოდა, ვიდრე ღვთისა“.

46. იოანე XIV მხოლოდ ათი თვე (983 ნოემბერი - 984 აგვისტო) იჯდა პაპის ტახტზე.
47. ეს ანტიპაპები იყვნენ სილვესტრ III და იოანე XX.
48. ბენედიკტე IX-ის სამგზისი მღვდელთმთავრობა 1033-1049 წლებს შორისაა მოქცეული.
49. ფორმოზუსი – რომის პაპი (891-896). მისი სიკვდილშემდგომი მარტვილობა პაპ სტეფანე VI-ის (896-897) საქმეა, შებღალული პატივის აღდგენა კი – თავისი სიწმინდითა და ღვთისმოსაობით გამორჩეული პაპის იოანე IX-ისა (898-900).
50. ბონიფაციუს VII 974 წელს აკურთხეს პაპად. ამ დროს ჯერ კიდევ ცოცხალი იყო პაპი ბენედიკტე VI (972-974), რომელიც შეთქმულებს წმ. ანგელოზის კოშკის დილეგში ჰყავდათ გამომწყვდეული. ბონიფაციუსმა ტახტზე ასვლისთანავე მოაწამვლინა იგი. როგორც ზემოთ აღნიშნავს ავტორი, მანვე იმსხვერპლა კიდევ ერთი პაპი – იოანე XIV, რომელსაც იმავე წმ. ანგელოზის კოშკში შიმშილით ამოხადა სული (984 წ.). მომდევნო წელს კი მასვე ამხობენ და შუბით განგმირულს რომის ქუჩებში დაათრევენ.
51. ზემოთ (იხ. კომენტ. 40) ჩვენ მოკლედ გაგაცანით პაპ გრიგოლ VII-ისა და იმპერატორ ჰენრიხ IV-ის კონფლიქტის ერთ-ერთი დრამატული ეპიზოდი. მაგრამ კონფლიქტი ამით არ დასრულებულა. 1084 წელს ჰენრიხ IV-მ ალყა შემოარტყა რომს და მის მიერვე არჩეული ანტიპაპის კლემენტე III-ის ხელით იმპერატორის გვირგვინი დაიდგა თავზე. მაშინ გრიგოლ VII-მ ნორმანდიელებს უხმო დასახმარებლად. ნორმანდიელებმა იმპერატორი კი დაიფრინეს იტალიიდან, მაგრამ უმოწყალოდ გაძარცვეს რომი, პაპი კი თან წაიყვანეს, რომელიც სიკვდილამდე, ფაქტიურად, მათ ტყვედ რჩებოდა. თუმცა სიკვდილსაც არ დაუხანებია: გრიგოლ VII მომდევნო – 1085 წელს გარდაიცვალა.
52. პასკალ II – რომის პაპი (1099-1116). გრიგოლ VII-ისა არ იყოს, ისიც ებრძოდა იმპერიას, მაგრამ გრიგოლის

ნებისყოფა, სიმხნევე და შემართება კი აკლდა. 1110 წელს იტალიაში დიდძალი ლაშქრით შემოჭრილმა ჰენრიხ V-მ დილეგში ჩააგდო.

53. გ ე ლ ა ს ი უ ს II პაპად აირჩიეს 1118 წელს. არჩევის ცერემონიალი არც კი დამთავრებულიყო, რომ ჰენრიხ V-ის მომხრე გიბელინური პარტიის ლიდერებმა – ფრანჯიპანებმა (XI-XII ს. რომის ერთ-ერთი უნარჩინებულესი საგვარეულო) მოიტაცეს და დილეგში ჩააგდეს, საიდანაც პაპის მომხრე ლეონებმა გაათავისუფლეს. მაგრამ იტალიაში შემოჭრილი ჰენრიხ V-ის შიშით პაპი გაეტაში გაიქცა, ფრანჯიპანებმა კი, იმპერატორთან შეთანხმებით, ანტიპაპად აირჩიეს ბურდინო დი ბრაგა, გრიგოლ VIII-ის სახელით რომ ავიდა ტახტზე. გელასიუსი 1119 წელს გარდაიცვალა საფრანგეთში.

54. ე პ ი ტ რ ა ხ ი ლ ი (ბერძნ. ἐπιτραχήλιον) – სამღვდელო ოლარი, ყელზე ჩამოსაკიდი ფართო ბაფთა მკერდიდან ანაფორის კალთამდე.

55. „ო, თქვენ ყველანი, რომელნიც ამ გზით მიდიხართ, შეჩერდით და იხილეთ, თუა ისეთი მწუხარება, როგორიცაა წუხილი ჩემი!“ (ლათ.).

56. ს ო რ ა კ ტ ა (Soracte) – მთა ეტრურიაში, რომიდან დაახლ. 50 კმ-ის მანძილზე. მას უმღეროდა ჰორაციუსი. ძველად აქ აპოლონის ტაძარი იდგა. დღეს მას სანტო ორესტე ეწოდება. კარლომანმა, კარლოს დიდის ძმამ, მთის თხემზე დაარსა წმიდა სილვესტრის მონასტერი, სადაც თვითონვე განმარტოვდა.

57. გ ლ ა ბ ე რ ი, რაულ (გარდაიცვალა დაახლ. 1050 წ. კლიუნის მონასტერში) – ფრანგი მემატიანე. მისი „ქრონიკა“, დაწერილი ლათინურად ტლანქი და მოუქნელი ენით, მაინც დიდად საინტერესოა და საგულისხმო, რამდენადაც დაწვრილებით აღგვიწერს თავისი დროის ზნე-ჩვეულებებს („ქრონიკა“ 900-1046 წწ. ამბებს ეხება).

58. „გადმოსაცემადაც კი საზარელია მისი საუბრისა და ცხოვრების (vite – შეცდომაა: უნდა იყოს – vitae; იხ. ზემო შენიშვნა) უხამსობა“ (ლათ.).
59. წ მ ი დ ა ა მ ბ რ ო ს ი – ამბროსი მედიოლანელი (დაახლ. 333-397) – კათოლიციზმის ერთ-ერთი ბურჯი, მილანის ეპისკოპოსი, დასავლური ეკლესიის ერთი ოთხ დოქტორთაგანი (წმ. იერონიმესთან, წმ. ავგუსტინესა და წმ. გრიგოლთან – პაპ გრიგოლ დიდთან ერთად).
60. წმ. ბ ე ნ ე დ ი კ ტ ე (დაახლ. 480-547) – დასავლეთ ევროპაში მონაზვნობის ფუძემდებელი. 529 წელს დაარსა მონტე კასინოს ცნობილი მონასტერი და შეიმუშავა მისი წესდებაც, რომელიც მთელი დასავლური მონაზვნობისათვის მისაბაძ ნიმუშად იქცა.
61. წმ. ბ რ უ ნ ო დაიბადა დაახლ. 1035 წელს კელნში, გარდაიცვალა 1001 წელს კალაბრიაში. ფილოსოფიასა და თეოლოგიას სწავლობდა რეიმსში; 1086 წელს მაღალი მთებით გარშემორტყმულ შარტრეზის უდაბურ ხეობაში, გრენობლიდან დაახლ. 20 კმ-ის დაშორებით, დააარსა შარტრეზიელთა (კარტეზიანელთა) მთელ დასავლურ სამყაროში სახელგანთქმული მონასტერი.
62. „ო, ნეტარო მარტოობავ! ო, მარტო ნეტარებავ!“ (ლათ. – ციტატა წიგნიდან „ქრისტეს მიბაძვა“).
63. „ქ რ ი ს ტ ე ს მ ი ბ ა ძ ვ ა“ – XIV ს. გერმანული ლიტ. ძეგლი, რომლის ავტორობასაც ზოგი თომას კემპიელს მიაწერს, ზოგი კი – იოანე ტაულერს. „მიბაძვა“ მალე ითარგმნა ლათინურად, 1621 წელს კი ფრანგულად თარგმნა ჟაკ ტალონმა.
64. ციტატა „ქრისტეს მიბაძვიდან“.
65. მთა იტალიასა და საფრანგეთის საზღვარზე.
66. მ ე ლ ქ ი ს ე დ ე კ ი – ბიბლიის მიხედვით სალემის მეფე, უზენაესი ღმერთის მღვდელთმსახური, აბრაამის თანამედროვე („შესაქმე“, 14, 18; „ფსალმ.“, 109, 4); „უმამო, უდედო, უგვარტომო, დღეთა დასაბამისა თუ სიცოცხლის დასასრულის არმქონე, მსგავსი ღვთის ძისა

და მღვდლად შთენილი სამარადისოდ“ (პავლე მოციქულის ეპისტოლე ებრაელთა მიმართ, 7, 3).

67. კლიუნის მონასტრის შესახებ, რომელიც 910 წელს დააარსა ვილჰელმ ღვთისმოსავმა, იხ. Б. Рассел, История западной философии, М., 1959, стр. 427-428.

68. pineta – ფიჭვნარი. აქ დაასრულა დანტემ თავისი „ღვთაებრივი კომედია“.

69. რომუალდი (დაახლ. 956-1027) – იტალიელი ასკეტი, მრავალი მონასტრის, მათ შორის, კამალდოლის დამაარსებელი. აქედან წარმოსდგება „კამალდულელთა ორდენის“ სახელი. კათოლიკური ეკლესიის მიერ რომუალდი წმიდანადაა შერაცხილი.

70. ვიქტორ III რომის პაპი იყო 1086-1087 წლებში.

71. იტალიური და, საერთოდ, დას. ევროპული კომუნების შესახებ ზღვა მასალა არსებობს. მოკლედ იხ. Н. Кареев, Учебная книга истории средних веков, СПб., 1913, стр. 143-148.

72. ვიკარი ნიშნავს „ნაცვალს“ (наместник).

73. „მსუქანი ხალხი“, „მჭლე ხალხი“ (იტალ.) – ე.ი. მდიდრები და ღარიბები.

74. დინო კომპანი (დაახლ. 1250-1323) – იტალიელი ისტორიკოსი. მისი თხზულება „ფლორენციის ისტორია“ გამოირჩევა მეცნიერული სიზუსტით, სტილის სიწმინდით და სინატიფით.

75. ბონიფაციუს VIII – რომის პაპი (1294-1303). მის შესახებ ქვემოთ საკმაოდ დაწვრილებით მსჯელობს ავტორი.

76. „XII საუკუნის პირველ ნახევარსა და XIII საუკუნის მეორე ნახევარში იმპერიის ტახტზე ისხდნენ ჰოჰენშტაუფენთა საგვარეულოს წარმომადგენელნი (1138-1254). ჰოჰენშტაუფენები უწინ შვაბიელი ჰერცოგები იყვნენ, რომელთა აღზევებასაც ეწინააღმდეგებოდნენ ბავარიისა და საქსონიის ჰერცოგები – ველფები, რომლებიც, ამასთანავე, საკმაოდ ვრცელ მიწა-წყალს

ფლობდნენ იტალიაში. ველფების გვარისაგან იტალიელებმა შექმნეს თავიანთი პარტიის სახელწოდება იტალიაში – გველფები, ხოლო ჰოჰენშტაუფენთა საგვარეულო ციხე-დარბაზის სახელი „ვაიბლინი" გიბელინებად გადაკეთდა: ასე იწოდებოდა იტალიაში მათი პარტია. თავდაპირველად განსხვავება გიბელინებსა და გველფებს შორის ის იყო, რომ პირველნი იცავდნენ უნივერსალური მონარქიისა და დამოუკიდებელი საერო ძალაუფლების იდეას, მეორენი კი ეროვნული, ანუ ადგილობრივი დამოუკიდებლობისა და პაპიზმის ინტერესების დამცველნი იყვნენ. ორივე პარტიას თავისი მომხრეები ჰყავდა გერმანიაშიც და იტალიაშიც, რის შედეგადაც პაპიზმისა და ჰოჰენშტაუფენების დროინდელი მონარქიის ბრძოლას ორივე ამ ქვეყანაში შინააშლილობებიც ამწვავებდა" (ნ. კარეევი, დასახ. ნაშრ., გვ. 137).

77. ვ ი ლ ა ნ ი, ჯოვანი (დაახლ. 1275-1348) – სახელგანთქმული იტალიელი ისტორიკოსი, „ფლორენციის ისტორიის" ავტორი.

78. „მოხეტიალე კლერიკოსები" (ლათ.).

79. „მივეახლები ბახუსის საკურთხეველს, იმ ღმერთს, რომელიც ამხიარულებს კაცთა გულებს" (ლათ.).

80. „და მარკოზის ნაცვლად კითხულობენ ფლაკუსს (ჰორაციუსს), პავლეს ნაცვლად კი ვერგილიუსს (ლათ.).

81. პ ულ ჩ ი, ლუიჯი (1432-1484) – იტალიელი პოეტი, ავტორი ეპიური პოემისა „მორგანტე", რომელიც სარაინდო რომანების ერთგვარ პაროდიად გვევლინება.

82. P a t a r i a („პატარია") – ერეტიკული მიმდინარეობა XI-XIII ს. კათოლიციზმში. ჩრდილო იტალიაში დამკვიდრებული პატარინები მატერიალური სამყაროს შექმნას უკეთურ საწყისს უკავშირებდნენ, მიუღებლად მიიჩნევდნენ ძველი აღთქმის რელიგიურ დოქტრინას, უწმინდურებად სახავდნენ ქორწინებას და, სასულიერო წოდების კორუფციით აღშფოთებულნი, საეკლესიო რეფორმის მოთხოვნით გამოდიოდნენ. მათი პროტეს-

ტანტული სულისკვეთება წმიდა საიდუმლოთა და სამ-
ღვდელოების როლის უარყოფამდეც კი მიდიოდა. 1179
წელს ლატრანის საეკლესიო კრებამ სხვა მწვალებლო-
ბებთან ერთად დაჰგმო და შეაჩვენა პატარინული
ერესი.

83. იხ. წინათქმის კომენტ. 9.

84. „წყეული ლიტანია" (ლათ.).

85. შ ა რ ლ მ ე ლ ო ტ ი (შარლ II; 823-877) – 840 წლიდან
ფრანკთა მეფე; 875 წლიდან ფრანკთა იმპერატორი და
იტალიის მეფე.

86. ო ტ ო ნ (ოტო) III (980-1002) – გერმანიის მეფე, წმინდა
რომის იმპერიის იმპერატორი.

87. „მედიოლანელ (მილანელ) ეპისკოპოსს პაპობა
უპირისპირდება" (ლათ.).

88. იგულისხმება მედიოლანური (მილანური) ეკლესია (იხ.
კომენტ. 59).

89. ნ ი კ ო ლ ა ი ტ ი – ტერმინი დასაბამს იღებს „აპოკალიპ-
სიდან" (II, 6, 15). ნიკოლა იყო იერუსალიმის ერთი შვიდ
დიაკონთაგანი, რომელიც დასაშვებად მიიჩნევდა
კერპთათვის შენაწირის ჭამასა და მრავალცოლიანობას.
IX საუკუნიდან მოყოლებული „ნიკოლაიტებს" უწოდებ-
დნენ ცოლიან მღვდლებსა და დიაკვნებს.

90. „ვინც თავს ვერ იკავებს, დე, იქორწინოს" (ლათ. პავლე
მოციქულის I ეპისტოლე კორინთელთა მიმართ, 7, 9).

91. კ ა თ ა რ ე ბ ი (ბერძნ. καθαρός – სუფთა, წმინდა) –
ერეტიკული სექტა, რომელიც ქადაგებდა ზნეთა სი-
ნინდეს. კათარების დოქტრინას საფუძვლად ედო
მანიქეური დუალიზმი (უფრო დაწვრილებით იხ. ქვე-
მოთ).

92. იგულისხმება ალბიგოური ერესი, კათარების თავისე-
ბური განშტოება სამხრეთ საფრანგეთში. ალბიგოელები
უარყოფდნენ ყოველივე ამქვეყნიურს, სატანის ქმნილე-
ბად მიიჩნევდნენ სამყაროს, არ სცნობდნენ სამების
დოგმას, ჯოჯოხეთსა და განსაწმენდელს. პაპმა ინო-
კენტი III-მ მათ წინააღმდეგ ჯვაროსნული ლაშქრობა

წამოიწყო, რომელიც ოც წელიწადს (1209-1229) გაგრძელდა.

93. ევქარისტია – ზიარება, ქრისტიანული სარწმუნოების ერთ-ერთი უდიდესი საიდუმლო.

94. ორმოცდაათობის დღესასწაული („პენტეკოტე") – ქრისტიანული რელიგიური დღესასწაული, ქრისტეს აღდგომიდან ორმოცდამეათე დღეს, როცა სული წმიდა მოეფინა მოციქულებს და ისინი სხვადასხვა ენებზე ამეტყველდნენ.

95. აბელიარი (აბელარი), პეტრე (1079-1142) – ცნობილი ფრანგი ფილოსოფოსი და თეოლოგი.

96. იგულისხმება სენტ-ჟენევიევის ბორცვი პარიზში, სადაც მდებარეობდა აბელიარის ფილოსოფიური სკოლა.

97. იოანე სკოტუს ერიუგენა (დაახლ. 810 - დაახლ. 877) – შუა საუკ. დიდი ფილოსოფოსი და ღვთისმეტყველი. „ერიუგენას სისტემას შეიძლება გენიალური ვუწოდოთ, მაგრამ არა ქრისტიანული" (ა. შტეკლი) მისი მოძღვრება, უმალ, პლატონიზმითა და ნეოპლატონიზმითაა ნასაზრდოები.

98. იხ. კომენტ. 39.

99. არნოლდ (არნო) ბრეშიელი (დაახლ. 1100-1155) – იტალიელი ერესიარქი; განათლება მიიღო პარიზში, აბელარის ხელმძღვანელობით. იტალიაში დაბრუნების შემდეგ კლერიკალთა კორუფციისა და გარყვნილების წინააღმდეგ მებრძოლ საკმაოდ ძლიერ პარტიას ჩაუდგა სათავეში. მის პირველსავე ქადაგებებს შედეგად მოჰყვა ბრეშიელ მოქალაქეთა ჯანყი მათი ეპისკოპოსის წინააღმდეგ. 1139 წელს პაპმა ინოკენტი II-მ (1130-1143) ლატერანის საეკლესიო კრებაზე შეაჩვენა იგი. არნოლდმა ციურიხს შეაფარა თავი. 1145 წელს იტალიაში იხმო მისმა პარტიამ. მალე არნოლდმა რომიდან განდევნა პაპი ევგენი III (1145-1153) და ნობილებსა და პოპოლანებზე დაყრდნობით საქალაქო კომუნის დაარსებასთან ერთად საეკლესიო რეფორმის განხორციელებასაც შეუდგა. მთელი ათი წლის განმავლობაში

მეამბოხე ერეტიკოსი რომის ფაქტიური ბატონ-პატრონი იყო. 1155 წელს პაპმა ადრიანე IV-მ (1154-1159) რელიგიური ინტერდიკტი დაადო რომს. შეძრწუნებულმა მოქალაქეებმა რომიდან გააძევეს არნოლდი, რომელიც იმავე წელს შეიპყრო და პაპს გადასცა იმპერატორმა ფრიდრიხ ბარბაროსამ (1152-1190). ერეტიკოსი წმ. ანგელოზის კოშკის დილეგში მოაშთეს, მისი გვამი კი დაწვეს და ფერფლი ტიბერისს გაატანეს.

100. იხ. კომენტ. 32.

101. ბ ერ ა ნ ჟ ე ტ უ რ ე ლ ი (998-1088) – ფრანგი ერესიარქი; რაციონალისტურად განმარტავდა ევქარისტიის საიდუმლოს, რომელსაც მხოლოდ წმიდა სიმბოლოდ მიიჩნევდა, რისთვისაც რამდენიმეჯერ განკვეთეს ეკლესიიდან.

102. ო ტ ო ნ ფ რ ა ი ზ ი ნ გ ე რ ი – გერმანელი მემატიანე (გარდ. 1158 წ.).

103. „ამბობენ, მართებულად ვერ ფიქრობდაო" (ლათ.).

104. მ ურ ა ტ ო რ ი ლ უ ი ჯ ი ანტონიო (1672-1750) – ცნობილი იტალიელი ისტორიკოსი.

105. ც ე ლ ე ს ტ ი ნ ე II – რომის პაპი (1143-1144).

106. ლ უ ც ი უ ს II – რომის პაპი (1144-1145).

107. ნ ი კ ო ლ ო ზ II – რომის პაპი (1058-1061). მისი საარჩევნო რეფორმის თანახმად პაპი კარდინალთა კონკლავს უნდა აერჩია. მაგრამ ამ არჩევანისთვის მხარი უნდა დაეჭირა ხალხს და, გარდა ამისა, ის უნდა მოეწონებინა იმპერატორს.

108. ტ ი ტ უ ს ლ ი ვ ი უ ს ი (ძვ.წ.ა. 59 - ახ. წ.ა. 17) – სახელგანთქმული რომაელი ისტორიკოსი. მისი პოლიტიკური მრწამსი ზომიერი რესპუბლიკანიზმი იყო.

109. „ქვეყნიერების კიდიდან გიხმე, ვიდრე შფოთავდა ჩემი გული" (ლათ.).

110. ლ ე ნ ი ა ნ ო – ჩრდ. იტალიის პატარა ქალაქი, მილანიდან 24 კმ-ით დაშორებული. აქ 1175 წელს

ლომბარდიის კომუნებმა დაამარცხეს იტალიაში შემოჭრილი ფრიდრიხ I-ის (ბარბაროსას) ლაშქარი.

თავი II

1. წმიდა ანსელმუსი –ანსელმუს კენტერბერიელი (1033-1109) – შუა საუკ. დიდი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი. 1060 წელს ბერად აღიკვეცა ბეკის მონასტერში (ნორმანდია), სადაც მალე პრიორი, შემდეგ კი აბატი გახდა. 1093 წელს კენტერბერიის არქიეპისკოპოსად იქნა არჩეული და სიკვდილამდე თავგამოდებით ცდილობდა გრიგოლ VII-ის პრინციპებით გარდაექმნა ინგლისური ეკლესია, რის გამოც არაერთხელ შესჯახებია მეფეებს – ვილჰელმ მწითურსა და ჰენრის (მისი მოძღვრების შესახებ იხ. ა. შტეკლი, შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ., 1994, გვ. 93-106).
2. ჰუგო სენ-ვიქტორელი (1097-1141) – შუა საუკ. სახელგანთქმული თეოლოგი და მისტიკოსი. დაწყებითი განათლება ჰამერსლებენის სამონასტრო სკოლაში მიიღო, ჰალბერშტადტის მახლობლად, ხოლო განსწავლა პარიზის მახლობლად, წმ. ვიქტორის მონასტერში დაასრულა. მალე ის სათავეში ჩაუდგა ამ მონასტერთან არსებულ სკოლას, სადაც გარდაცვალებამდე მოღვაწეობდა (მისი მოძღვრების შესახებ იხ. ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 123-127).
3. წმიდა ბონავენტურა (ერისკაცობაში – ჯოვანი და ფიდანცა; 1221-1274) – დიდი იტალიელი თეოლოგი, საეკლესიო მოღვაწე, მისტიკოსი. 1238 წელს ფრანცისკანელთა ორდენში შევიდა, 1257 წელს კი ამავე ორდენის გენერალი გახდა. 1273 წელს კარდინალად აირჩია პაპმა გრიგოლ X-მ. მისი საპატიო ტიტული იყო Doctor seraphicus – სერაფიკული დოქტორი (ბონავენტურას დოქტრინის შესახებ იხ. ა. შტეკლი, დასახ. ნაშ., გვ. 185-190).

4. „კალაბრიელი აბატი ჯოვაკინო, რომელსაც მიეცა პროფეტული სული“ (იტალ.) – დანტე, სამოთხე, XII, 140-141.
5. ცისტერციანელები –კათოლიკური მონაზვნური ორდენის წევრები. ორდენი 1098 წელს დაარსეს საფრანგეთში ბენედიქტელმა ბერებმა; მისი პირველი მონასტერი იყო ცისტერციუმი (დიჟონის მახლობლად, სადაც დღეს სოფელი სიტოა). XII საუკუნეში ბერნარ კლერვოელმა (იხ. I თავის კომენტ. 32) ორდენის რეორგანიზაცია მოახდინა, რამაც განსაკუთრებით გააძლიერა იგი. ამიტომაცაა, რომ ცისტერციანელებს ბერნარდელებსაც უწოდებენ ხოლმე.
6. დიოცეზი აქ ეპარქიას ნიშნავს.
7. ანტიფონი –ლიტურგიაში – საღმრთო წერილის ესა თუ ის მუხლი, რომელსაც ფსალმუნის ან საგალობლის წინ წარმოსთქვამენ. ანტიფონი ეწოდება წმიდანთა შესხმასა თუ ქებასაც.
8. „ნეტარმა იოახიმმა (ჯოაკინომ), რომელსაც მიეცა პროფეტული სული, განაცხადა მერმისიც და აწმყოც“ (ლათ.).
9. II კორინთელთა მიმართ, III, 3, 6, 17.
10. იგულისხმება იოანე ღმრთისმეტყველი, აპოკალიპსის ავტორი („მე, იოანე, ძმა თქვენი და ჭირისა და სუფევის თქვენისა და იესო ქრისტეს მოთმინების თანაზიარი, ვიყავი კუნძულზე, რომელსაც ჰქვია პატმოსი, ღმრთის სიტყვისა და იესო ქრისტეს მოწმობისათვის“, – აპოკალიპსი, I, 9).
11. იოანეს სახარება, IV, 21, 23.
12. იოანეს სახარება, X, 30.
13. იოანეს სახარება, XIII, 3.
14. იოანეს სახარება, XVII, 20-21.
15. პარაკლეტოსი (παράκλητος) – „ნუგეშისმცემელი“, ასე იწოდება სული წმიდა იოანეს სახარებაში (XIV, 26).
16. იოანეს სახარება, XIV, 26.
17. იოანეს სახარება, XVI, 5-7.

18. ციტატები იოანეს სახარებიდან: XIII, 34; XIV, 15; XV, 9; XV, 4.
19. იოანეს სახარება, XI, 36.
20. იგულისხმება იოანე მახარებელი.
21. იოანეს სახარება, IV, 15.
22. წმიდა ავგუსტინე (354-430) – დიდი ქრისტიანი ღვთისმეტყველი. მკითხველს შევახსენებთ, რომ ავგუსტინე კათოლიციზმის მიერ წმიდანადაა შერაცხილი, მართლმადიდებლობის მიერ კი – ნეტარად.
23. იხ. I თავის კომენტ. 97.
24. იგულისხმება ნეტარი ავგუსტინე, რომელიც 396 წლიდან სიკვდილამდე კართაგენის მახლობლად მდებარე პატარა ქალაქის – ჰიპონის ეპისკოპოსი იყო.
25. ნეტარი ავგუსტინეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი თხზულება.
26. იხ. აპოკალიპსი, XI, 2: „ხოლო ეზო, რომელიც გარს აკრავს ტაძარს, გამორიცხე და ნუ გაზომავ მას, რადგანაც მიეცა იგი წარმართთ, და დათრგუნავენ წმიდა ქალაქს ორმოცდაორი თვე". იქვე, XIII, 5: „და მიეცა მას პირი მზვაობრად მეტყველი და მგმობელი, და მიეცა მას ხელმწიფება, რათა იბრძოდეს ორმოცდაორი თვე".
27. „პირველადი ჭვრეტით" (ლათ.).
28. „ბაზილიელები" – იგულისხმებიან წმ. ბასილი დიდის (329-379) რელიგიური ორდენის წევრები.
29. „მოვედ, შემოქმედო" (ლათ.).
30. რომის პაპები, შესაბამისად – 1181-1185, 1185-1187 და 1187-1191 წლებში.
31. ცელესტინე III – რომის პაპი (1191-1198).
32. ჰენრიხ VI – გერმანიის მეფე და წმინდა რომის იმპერიის იმპერატორი (1190-1197; იმპერატორი – 1191 წლიდან). ცოლად შეირთო სიცილიის მეფის ასული კონსტანცა, მაგრამ მხოლოდ სისხლისმღვრელი ომების (1190-92, 1194-95) შედეგად შეძლო მეუღლის სამკვიდროს დაუფლება.

33. „ტრითეიზმი“ – ერეტიკული მიმართულება როგორც აღმოსავლურ, ისე დასავლურ თეოლოგიაში, რომლის მიმდევრებიც ერთარსება და სამპიროვანი ღმერთის ნაცვლად სამ სხვადასხვა არსებას, სამ სუბსტანციას, ე.ი. სამ ღმერთს აღიარებენ.

34. პეტრე ლომბარდი (გარდ. 1164 წ.) – ფრანგი ღვთისმეტყველი. მისი მთავარი თხზულებაა „Quattuor libri sententiarum“ („სენტენციათა ოთხი წიგნი“). ესაა ქრისტიანული დოგმებისა და მათგან გამომდინარე შედეგების სისტემატური გადმოცემა. „ლომბარდმა თავისი თხზულება ორ ნაწილად გაყო: პირველში გადმოცემულია მოძღვრება საგნების, ხოლო მეორეში – ნიშნების შესახებ. საგნებად მას მიაჩნდა ის, რაც ამა თუ იმ ფენომენის აღმნიშვნელად ან სიმბოლოდ არ გვევლინება, ნიშნებად კი საიდუმლოებებს, როგორც მადლის ქმედით სიმბოლოებს გულისხმობდა. მოძღვრება საგნების შესახებ, თავის მხრივ, ოთხ ნაწილად იყოფა. ამნაირი დაყოფის საფუძველი საგანთა კლასიფიკაციაა, რომელთა შორისაც ლომბარდი ერთმანეთისაგან განასხვავებს ოთხ კატეგორიას: 1. ტკბობის საგნები; 2. საგნები, რომლებსაც იყენებენ; 3. საგნები, რომლებითაც ტკბებიან და კიდეევაც იყენებენ; 4. საგნები, რომლებიც ტკბებიან და თვითონვე იყენებენ სხვა საგნებს. ტკბობის საგანი ღმერთი და წმიდა სამებაა; საგნები, რომლებსაც იყენებენ, გრძნობადი საგნებია; საგანი, რითაც ტკბებიან და კიდეც იყენებენ სიქველეა, ხოლო საგნებად, რომლებიც ტკბებიან და თვითონვე იყენებენ სხვა საგნებს, ანგელოზები და ადამიანები გვევლინებიან. ამისდა კვალად, ლომბარდი ჯერ ღმერთსა და სამებაზე მსჯელობს, შემდეგ კი, ანგელოზებსა და ადამიანებზე, სიქველესა და, ბოლოს, საიდუმლოებებზე გადადის“ (ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 131-132).

35. აპოკალიპსი, XIV, 6.

36. „სასუფევლის სახარება“ (ლათ.).

37. იხ. მათეს სახარება, III, 17.

38. გამოსვლა, III, 8, 17; XIII, 15; XXXIII, 3. ლევიტ. XX, 24; რიცხვ. XIII, 28; XIV, 8; XVI, 14 და სხვ...
39. „რაოდენობრივად და არა ღირებულების მიხედვით" (ლათ.).
40. წმიდა ბენედიკტე (480-540) – დასავლური მონაზვნობის ფუძემდებელი, მონაზონთა უძველესი ორდენის – ბენედიკტელთა ორდენის დამაარსებელი (იხ. I. თავის კომენტ. 10).
41. II კორინთ., III, 17.
42. იხ. მათე, I, 17: „ასე რომ, მთელი შთამომავლობა აბრაამიდან დავითამდე თოთხმეტი თაობა, და დავითიდან ბაბილონის ტყვეობამდე თოთხმეტი თაობა, და ბაბილონის ტყვეობიდან ვიდრე ქრისტემდე თოთხმეტი თაობა" (14.3.30=1260).
43. იხ. შესაქმე, XXVIII, 12-14.
44. იხ. მათეს სახარება, VI, 28-30.

თავი III

1. ვალდელები – ასე იწოდებოდნენ ფრანგი ღვთისმეტყველის პიერ ვალდოს (XII ს.) სახელის მიხედვით. ვალდო მდიდარი ვაჭარი იყო. თანამემამულეების უკიდურესი სიღარიბითა და გაჭირვებით შეძრწუნებულმა მთელი თავისი ქონება ღარიბ-ღატაკებს დაურიგა და მათთვის გასაგებ ხალხურ ენაზე ათარგმნინა ბიბლიის ცალკეული წიგნები, რომლებსაც თვითონვე განმარტავდა. ვალდო ქადაგებდა ზნეობრივ სიწმინდეს და ნებაყოფლობით სიღარიბეს. მისი მტკიცებით, ყველა კაცს, რომელიც განუხრელად ასრულებდა ქრისტეს მიერ ადამიანისა და ადამიანობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს, გაცილებით უფრო მეტი უფლება ჰქონდა მღვდლად და ღვთისმსახურად წოდებულიყო, ვიდრე ფუფუნებაში ჩამხრჩვალ მღვდლებს, აბატებსა თუ ეპისკოპოსებს, რითაც ამ უკანასკნელთა რისხვა

დაიმსახურა. ვალდელთა ერესი 1179 წელს დაჰგმო ლატერანის საეკლესიო კრებამ, ხოლო მათი სასტიკი დევნა და ტანჯვა-წამება საუკუნეების მანძილზე გრძელდებოდა.

2. გ ო ტ ი ე დ ე ბ რ ი ე ნ ი (გარდ. 1205 წ.) – ფრანგი გრაფი (ბრიენები შამპანის ჰერცოგთა ვასალები იყვნენ), სიცილიის მეფის ტანკრედის (1190-1194) სიძე. სიცილიის დასაბრუნებლად ებრძოდა ჰენრიხ VI-ს (იხ. II თავის კომენტ. 32).
3. იგულისხმება ჰენრიხ VI.
4. მათეს სახარება, თ. V-VII.
5. ი ნ ო კ ე ნ ტ ი III – რომის პაპი (1198-1216).
6. ო რ ს ი ნ ე ბ ი – რომაელ დიდებულთა სახელგანთქმული საგვარეულო, საიდანაც გამოვიდა ხუთი პაპი, ოცი კარდინალი და მრავალი კონდოტიერი.
7. ო ტ ო ნ IV (დაახლ. 1174-1218) – ბრაუნშვაიგელი, ველფების სახლის (იხ. I თავის კომენტ. 76) წარმომადგენელი, რომელსაც 1198 წლიდან სამეფო ტახტს ეცილებოდა ჰენრიხ VI-ის ძმა ფილიპე შვაბიელი. მათ ბრძოლაში ინოკენტი III მხარს უჭერდა ოტონს, რომელიც 1201 წელს მეფედ აკურთხეს აახენში. მაგრამ 1206 წელს ის დაამარცხა ფილიპემ და გერმანიიდან გააძევა. 1208 წელს ფილიპე შვაბიელი მოკლეს და ოტონ IV გერმანიაში დაბრუნდა. 1209 წელს ინოკენტი III-მ თავისი ხელით დაადგა თავზე იმპერატორის გვირგვინი. მაგრამ ერთი წლის შემდეგ იმპერატორმა სიცილიის სამეფოს დაპყრობა მოინდომა, რომელიც პაპის ძალაუფლებას ემორჩილებოდა. ამიტომაც იყო, რომ ინოკენტი III-მ ეკლესიისაგან განკვეთა იგი და მეფედ ჰენრიხ VI-ის ძე ფრიდრიხ II გამოაცხადა (1211 წ.). 1214 წელს საფრანგეთის მეფემ ფილიპე II-მ ბუვინის ბრძოლაში (ფლანდრია) სასტიკად დაამარცხა ოტონ IV, რომელიც ამის შემდეგ ჰარტცბურგში, თავის საგვარეულო ციხე-კოშკში განმარტოვდა და 1218 წელს ყველასგან მივიწყებული გარდაიცვალა.

8. ბონიფაციუს VIII-ის (1294-1303) თეოკრატიულმა პრეტენზიებმა გამოიწვია პაპისა და საფრანგეთის მეფის ფილიპე IV-ის (1285-1314) მძაფრი კონფლიქტი, რომელიც მეფის სრული გამარჯვებით დამთავრდა. პაპები იძულებულნი გახდნენ სამხრეთ საფრანგეთის პატარა ქალაქ ავინიონში გადაეტანათ თავიანთი რეზიდენცია. „ავინიონის ტყვეობა" თითქმის სამოცდაათ წელს (1309-1377) გაგრძელდა.
9. იგულიხმება იმპერატორი ფრიდრიხ II, რომელსაც ქვემოთ მთელ თავს მიუძღვნის ავტორი.
10. მათეს სახარება, XIX, 21.
11. „Fioretti" (fiori - „ყვავილებს" ნიშნავს იტალიურად, Fioretti კნინობითი ფორმაა) – წმ. ფრანჩესკოს ცხოვრებისეული ეპიზოდების ამსახველი თხზულება, რომლის ავტორადაც ტრადიცია ფრა უგოლინო და მონტეჯორჯოს მიიჩნევს; XIV ს. იტალიური მწერლობის ერთ-ერთი უშესანიშნავესი ძეგლი.
12. „მოხარულნი უფალში" (ლათ.).
13. მათეს სახარება, X, 9-10.
14. უ ა კ დ ე ვ ი ტ რ ი (გარდ. 1244 წ.) – ფრანგი მემატიანე. ინოკენტი III-ის ლეგატი, ბელგიასა და გერმანიაში წარგზავნილი საქადაგებლად, რათა ჯვაროსნული ლაშქრობა ნამოეწყო ალბიგოური მწვალებლობის წინააღმდეგ. შემდეგ – პტოლემაიდის ეპისკოპოსი. უფრო გვიან, პაპმა გრიგოლ IX-მ ტუსკულუმის საეპისკოპოსო უბოძა. ვიტრის თხზულებებიდან აღსანიშნავია „აღმოსავლური ისტორია", რომელიც შეიცავს პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის საინტერესო სურათებს და წმიდა მიწის აღწერილობას. „დასავლური ისტორია" კი იმდროინდელი ეკლესიის მდგომარეობას მიმოიხილავს.
15. გ რ ი გ ო ლ IX – რომის პაპი (1227-1241).
16. ბ რ ე ვ ე – პაპის წერილი, რომელიც შეიცავს მღვდელთმთავრის გადაწყვეტილებას ან დეკლარაციას ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხთან დაკავშირებით.

17. მ ი ნ ო რ ი ტ ე ბ ი – ფრანცისკანელთა ორდენის წევრები.
18. ბ ერ ნ ა რ დ ო (ბ ერ ნ ა რ დ ი ნ ო) ს ი ე ნ ე ლ ი (1380-1444) – იტალიელი წმინდანი, 300 მონასტრის დამაარსებელი.
19. მათეს სახარება, XXVII, 46.
20. ს ტ ი გ მ ა ტ ი (ბერძნ. στίγμα, στίγματος – ნიშანი, დამღა, დაღი) – კათოლიკური ტრადიციის თანახმად, წმ. ფრანჩესკო იესო ქრისტეს ხუთი წყლულის ნიშნით იყო აღბეჭდილი (ორსავე ხელ-ფეხსა და მკერდზე).
21. იხ. აქვე, კომენტ. 4.
22. მათესა სახარება, V, 4.
23. „ჩვენი სულების ეპისკოპოსი" (ლათ.).
24. იხ. აქვე, კომენტ. 11.
25. „ღმერთის მონათა მონა" (ლათ.).
26. „უფრო გონებრივად, ვიდრე ხმიერად" (ლათ.).
17. „იდიდე, უფალო ღმერთო ჩემო, შენი ყოველი ქმნილებითურთ" (იტალ.).
28. „ჩვენი დედა მინა" (იტალ.).
29. ეს იტალიური ლექსი ზემოთვეა თარგმნილი.
30. „მეწყალვის ბრბო" (ლათ.).
31. „Miserere" – „შემიწყალე"; „De Profundis" – „(ხმა) უფსკრულიდან", – კათოლიკური ლოცვები.
32. ტ ერ ც ი ა რ ი უ ს ე ბ ი – ასე იწოდებოდნენ ერისკაცთა ასოციაციები, რომლებიც ამა თუ იმ რელიგიური ორდენის ერთგვარ „ფილიალებსა" ქმნიდნენ, რათა თავიანთი ორდენის წევრებთან ერთად ელოცათ და მათ კეთილ საქმეებში მიეღოთ მონაწილეობა (ტერციარიუსების შესახებ ქვემოთ საკმაოდ დაწვრილებით მსჯელობს ავტორი).
33. დ ე კ რ ე ტ ა ლ ი ე ბ ი – კანონიკური სამართლის ძეგლები: პაპების წერილები, რომლებიც საეკლესიო იურისპრუდენციის ამა თუ იმ კონკრეტულ საკითხს არკვევენ.
34. ჰ ო ნ ო რ ი უ ს III – რომის პაპი (1216-1227).

35. ოზანამი, ანტუან-ფრედერიკ (1813-1853) – ცნობილი ფრანგი ისტორიკოსი. მისი შრომებიდან აღსანიშნავია – „ორი ინგლისელი კანცლერი, ბეკონ ვერულამელი და წმ. თომას კენტერბერიელი“ (1836); „დანტე და XIII ს. კათოლიკური ფილოსოფია“ (1839); „გერმანული ეტიუდები“ (1847-1849; 2 ტომი); „იტალიის ისტორიის გამოუქვეყნებელი დოკუმენტები VIII-XIII ს.“ (1850); „ფრანცისკანელი პოეტები XIII ს. იტალიაში“ (1852); „პილიგრიმობა სიდის ქვეყანაში“ (1854).
36. კაპიტული (Capitulum) – კათედრალური ეკლესიის კანონიკოსთა (მოწესეთა) კრებული.
37. იხ. I თავის კომენტ. 94.
38. აბატი, პრიორი – კათოლიკურ მონასტერთა წინამძღვრები.
39. „კლარისები“ – წმ. კლარას ორდენის მონაზონი ქალები. ორდენი 1212 წელს დააარსა წმ. ფრანჩესკოს თანამოქალაქემ წმ კლარამ (დაახლ. 1193-1253). მალე ორდენი მთელ იტალიაში გავრცელდა და 1220 წელს ესპანეთში, XIII ს. შუა წლებიდან კი საფრანგეთშიც მოიკიდა ფეხი. თავდაპირველად ორდენი წმ. ბენედიკტეს (იხ. I თავის კომენტ. 10; II თავის კომენტ. 40) წესდებით ხელმძღვანელობდა, მაგრამ 1224 წელს მას ახალი წესდება შეუდგინა წმ. ფრანჩესკომ, რომელსაც სურდა, რომ „კლარისებს“ მხოლოდ მოწყალების ხარჯზე ეარსებათ და მთელი ორდენი ნებაყოფლობით სიღარიბეზე ყოფილიყო დაფუძნებული. თუმცა შემდეგ პაპმა ურბანუს IV-მ (1261-1263) „კლარისების“ ზოგიერთ მონასტერს ნება დართო თავიანთი შემოსავალი (რენტა) ჰქონოდათ. ამისდა კვალად ორდენი ორად – ე.წ. „ურბანისტებად“ და „ღარიბ კლარისებად“ გაიყო.
40. იხ. აქვე, კომენტ. 32.
41. ნიკოლოზ IV – რომის პაპი (1288-1292).
42. „მთაზე“ (ლათ.).
43. წმიდა ლუი – საფრანგეთის მეფე ლუი IX (1226-1270), ცნობილი თავისი ღვთისმოსაობით. სათავეში

ედგა მეშვიდე (1248-1254) და მერვე (1270) ჯვაროსნულ ლაშქრობებს.

44. „უფლის ქოფაკები“ (ლათ.). ასე იქნა გადააზრებული დომინიკანელთა ორდენის (იხ. მომდევნო კომენტ.) წევრების სახელი.

45. იგულისხმება ალბიგოელთა მწვალებლობის (იხ. I თავის კომენტ. 92) საბოლოო განადგურება სამხრეთ საფრანგეთში პაპ ინოკენტი III-ისა და მისი ინკვიზიციის მიერ 1229 წელს. ალბიგოური ერესის წინააღმდეგ ოცწლიანი ბრძოლის (1209-1229) პერიოდში შეიქმნა მოქადაგე ბერ-მონაზვნებისა და ინკვიზიტორების მრისხანე ორდენი, რომელიც დააარსა ესპანელმა კანონიკოსმა სანტო დომინგომ – წმ. დომინიკემ (1170-1221) და რომელსაც მისი სახელის მიხედვით დომინიკანელთა ორდენი ეწოდა. ორდენი 1216 წელს დაამტკიცა პაპმა ჰონორიუს III-მ.

46. წ მ ი დ ა ა ნ ტ ო ნ ი ო (1195-1231) – პორტუგალიელი ღვთისმეტყველი, ფრანცისკანელთა ორდენის წევრი; მოღვაწეობდა იტალიაში, სადაც თავისი ქადაგებებით გაითქვა სახელი.

47. იგულისხმება მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობის (1217-1221) ერთი დრამატული ეპიზოდი, როცა ჯვაროსნებმა ეგვიპტეს მიაღწიეს და ნილოსის დელტასთან მდებარე ქალაქი დამიეტი აიღეს, მაგრამ მალე იძულებული გახდნენ უკან დაბრუნებულიყვნენ.

48. ეს იგივე ჟაკ დე ვიტრია (იხ. აქვე, კომენტ. 14).

49. „ეს კაცი, რომელმაც საფუძველი ჩაუყარა მინორიტ ძმათა ორდენს, სახელად ფრანსუა (ფრანჩესკო)... დამიატის ლაშქარში ჩავიდა, სადაც მრავალი სიკეთე მოიმოქმედა და ქალაქის აღებამდე დარჩა იქ. იხილა ბოროტება და ცოდვა, მოლაშქრე ხალხს რომ მოედო, რამაც ისე შეზარა, რომ იქიდან წავიდა: ერთხანს სირიაში იყო, შემდეგ კი თავის სამშობლოში დაბრუნდა“ (ძვ. ფრანგ.).

50. „ტოროლები, სინათლის მეგობარი ჩიტები“ (ლათ.).

51. იგულისხმებიან ფრანცისკანელთა და დომინიკანელთა (იხ. აქვე, კომენტ. 45) ორდენები.
52. იხ. წინათქმის კომენტ. 2.
53. იგულისხმება იგნასიო ლოიოლა (იხ. წინათქმის კომენტ. 12).
54. იხ. წინათქმის კომენტ. 3.
55. იხ. წინათქმის კომენტ. 13.

თავი IV

1. სფორცები – სახელგანთქმულ იტალიელ კონდოტიერთა საგვარეულო, რომელმაც ხელთ იგდო მილანის საჰერცოგო (ducato) და მნიშვნელოვანი როლი შეასრულა XV-XVI ს. იტალიის ისტორიაში. სფორცების ყველაზე თვალსაჩინო წარმომადგენლები არიან: ჯაკომუცო ატენდოლო სფორცა (1369-1424) და მისი შთამომავალნი: ფრანჩესკო ალესანდრო (1401-1466), გალეაცო მარია (1444-1476), ჯოვანი გალეაცო (1468-1494), ლოდოვიკო მარია (მეტსახელად – მორო; 1451-1508), მასსიმილიანო (1491-1530), ფრანჩესკო მარია (1492-1535).
2. ლუი XI – საფრანგეთის მეფე (1461-1483); მისი მეფობისას ფაქტიურად დამთავრდა საფრანგეთის გაერთიანება და საფუძველი ჩაეყარა ფრანგულ აბსოლუტიზმს. ის იყო თავისი დროის ღვიძლი შვილი, გამუდმებით ხლართავდა მზაკვრობისა და ცბიერების ქსელს, არ ერიდებოდა არავითარ საშუალებას დასახული მიზნის მისაღწევად. მაგრამ სფორცებისა და სხვა იტალიელი მთავრებისაგან განსხვავებით, რომლებსაც პირადული მიზნები ამოძრავებდათ, ლუი XI-ის მისია გაცილებით უფრო მაღალი იყო. მას კარგად ჰქონდა შეგნებული, რომ პატარა სამთავროს ბედ-იღბალი კი არ ებარა, არამედ დიდი ერისა, და თავდაუზოგავად ცდილობდა საფუძველი ჩაეყარა წარუვალი საქმისათვის, რომელიც

მისი სიკვდილის შემდეგაც გამოიღებდა ნაყოფს. ერთი ფრანგი ისტორიკოსის სიტყვით, „ის იყო ცუდი ადამიანი, მაგრამ არა ცუდი ფრანგი“. ხოლო ოგიუსტენ ტიერი ამბობს: „დესპოტი ლუი XI ეგოისტი ტირანების ჯილაგს კი არ ეკუთვნის, არამედ უწყალო და ულმობელი ტირანებისას“.

3. ამ წიგნის შესახებ იხ. ქვემოთ.
4. ს ა ლ ი მ ბ ე ნ ე ს შესახებ იხ. ქვემოთ.
5. „ზღვიდან ამოდის“ (ლათ.).
6. იხ. „ჯოჯოხეთი“, XIII, 58-60.
7. იხ. III თავის კომენტ. 45.
8. გ ი ი ო მ ფ ი გ ე ი რ ა (დაიბ. დაახლ. 1190 წ.) – პროვანსელი ტრუბადური, ალბიგოელთა განადგურების შემდეგ იტალიაში გადახვეწილი.
9. გ რ ი გ ო ლ IX – რომის პაპი (1227-1241).
10. ი ნ ო კ ე ნ ტ ი IV – რომის პაპი (1243-1254). ორივე პაპი გააფთრებით ებრძოდა ფრიდრიხ II-ს.
11. ც ე ლ ე ს ტ ი ნ ე ს IV – რომის პაპი (1241 წ.). ცელესტინეს სიკვდილის შემდეგ წმიდა ტახტი ცხრამეტი თვის განმავლობაში (ინოკენტი IV-ის არჩევამდე) დაქვრივებული იყო.
12. ფრიდრიხ II-ის პაპა – გერმანიის მეფე ფრიდრიხ I ბარბაროსა (1152-1190), რომელიც საფრანგეთისა და ინგლისის მეფეებთან – ფილიპ II ოგიუსტსა და რიჩარდ I ლომგულთან ერთად სათავეში ედგა მესამე ჯვაროსნულ ლაშქრობას (1189-1192), ზოგიერთი ისტორიული წყაროს მიხედვით, მცირე აზიის მდინარე სალეფში ბანაობისას დაიხრჩო.
13. ეს იყო მეხუთე ჯვაროსნული ლაშქრობა.
14. „სირიისა და პალესტინის ქრისტიანობა დიდ მხარდაჭერას პოულობდა სასულიერო-სარაინდო ორდენების სახით, რომლებიც პირველი ჯვაროსნული ლაშქრობის ეპოქაში შეიქმნა. ეს იყო რაინდთა ძმობა, რომლებიც, იმავდროულად, მონაზვნებიც იყვნენ, იმდროინდელი დასავლეთ ევროპის ფეოდალურ-კათოლიკური სა-

ზოგადოების ნამდვილი ნაშიერი. მონაზვნობის აღთქმებს (უცოლობა, უანგარობა, მორჩილება) ეს ორდენები უერთებდნენ უსჯულოებთან ბრძოლისა და პილიგრიმთა მფარველობის აღთქმებსაც. რაინდ-მონაზონთა ამ საზოგადოებებს თავიანთი რეგულარული ორგანიზაცია ჰქონდათ, საგანგებო წესდებითურთ. ისინი მიწა-წყალსა და ციხე-სიმაგრეებს ფლობდნენ აღმოსავლეთშიც და ევროპაშიც, თავიანთი ხარჯით ინახავდნენ ლაშქრებს, აარსებდნენ მოგზაურთა თავშესაფრებსა და საავადმყოფოებს. ყველაზე უმალ – უპირატესად იტალიელებისა და, ნაწილობრივ, ფრანგებისაგან – შეიქმნა ჰოსპიტალიერების (მესნეულეების), ანუ იოანიტების ორდენი, რომელიც ასე იწოდებოდა მისი პატრონის – წმიდა იოანე იერუსალიმელის სახელის მიხედვით. მათი განმასხვავებელი ნიშანი იყო თეთრჯვრიანი შავი მოსასხამი, რომელსაც აბჯარს ზემოდან ისხამდნენ. მეორე იყო ტამპლიერების (ანუ მეტაძრეების) პირწმინდად ფრანგული ორდენი: სახელი მიიღო სოლომონის ტაძრიდან, რომლის შემოგარენიც ბალდუინმა უბოძა მას. ტამპლიერების მოსასხამი თეთრი იყო, ზედ ამოქარგული წითელი ჯვრით. ტამპლიერები აურაცხელ სიმდიდრეს ფლობდნენ: მათ ჰქონდათ დაახლოებით ათი ათასი მამული არა მარტო აღმოსავლეთში, არამედ ევროპაშიც (უპირატესად – საფრანგეთში) და უზომო ფული"... (ნ. კარეევი, დასახ. ნაშრ., გვ. 124).

15. თხუთმეტი წლის შემდეგ (1244 წ.) თურქ-სელჩუკები ხელახლა დაეუფლნენ იერუსალიმს.
16. პ ე ტ რ ე (პიერ) მ ე უ დ ა ბ ნ ო ე (1050-1115) – ფრანგი მონაზონი; თავისი გულმხურვალე ქადაგებებით დიდი წვლილი შეიტანა იმაში, რომ უსჯულოთა წინააღმდეგ პირველი ჯვაროსნული ლაშქრობისათვის აღეძრა ევროპელი ხალხები.
17. იგულისხმება საფრანგეთის მეფე წმიდა ლუი (იხ. III თავის კომენტ. 43).

18. „ხმა უდაბნოში მღაღადებლისა“ (ლათ.) – მათეს სახარება III, 3.
19. ს ა ლ ა დ ი ნ ი (1137-1193) – ეგვიპტისა და სირიის სულთანი, მესამე ჯვაროსნული ლაშქრობის დროს მუსულმანური სამყაროს გმირი (წარმომავლობით ქურთი), ცნობილი თავისი რაინდული ბუნებით, დიდსულოვნებით და შემწყნარებლობით.
20. იგულისხმება ფილიპ II ოგიუსტი (იხ. აქვე, კომენტ. 12).
21. „სამი ცრუპენტელასათვის“ (ლათ.).
22. ლ ე ო ნ ა რ დ ო ფ ი ბ ო ნ ა ჩ ი (დაახლ. 1180-1240) – შუა საუკ. თვალსაჩინო იტალიელი მათემატიკოსი. „ფიბონაჩის რიცხვები“ ეწოდება შემდეგი მომდევრობის წევრებს: 1, 1, 2, 3, 5, 8, 13, 21..., რომელშიაც ყოველი შემდგომი წევრი წინა ორი წევრის ჯამის ტოლია.
23. „აბასიდთა მბრძანებლობის ეპოქიდან (750 წლიდან – ბ. ბ.) მოყოლებული, არაბეთში თეოლოგიის პარალელურად ვითარდება საკუთრივ არაბულ-არისტოტელური ფილოსოფიაც. ხალიფები მფარველობდნენ და ხელს უწყობდნენ მის განვითარებას, აგებდნენ ბიბლიოთეკებს და აარსებდნენ სკოლებს, რომელთა შორისაც მთელს აღმოსავლეთში ყველაზე სახელგანთქმული იყო ბაღდადის სკოლა. ფილოსოფიის კულტივირებისაკენ ეს გულმოდგინე სწრაფვა ესპანელ ომაიადებსა და მორაბეტებსაც გადაეცათ, თუმცა ფილოსოფიის განვითარებამ ესპანეთში უფრო გვიან მიაღწია თავის აპოგეას, ვიდრე აღმოსავლეთში. ყველაზე ცნობილი ფილოსოფიური სკოლა ესპანეთში კორდოვის სკოლა იყო. მაგრამ ეს არაბულ-არისტოტელური ფილოსოფია ყოველმხრივ როდი ეთანხმებოდა ყურანის მოძღვრებას... ზოგიერთ საკითხში, როგორიცაა, მაგალითად, მოძღვრება სამყაროს მარადიულობისა და ღვთიური წინასწარზრახვის შესახებ, ის ძირეულად უპირისპირდებოდა ყურანს. არაბი არისტოტელიკოსები... აღიარებდნენ, რომ რელიგია თავისთავად ფლობს ჭეშმარიტებას, მაგრამ იქვე დასძენდნენ, რომ სარწმუნოება

ხატებათა გარსში აქცევს მას, რადგანაც ხალხისათვის ის მხოლოდ მაშინაა მისაწვდომი, როცა სიმბოლოების საბურველში ექცევა. რელიგია მარტოოდენ ხალხისთვისაა განკუთვნილი, რადგანაც მას არ გააჩნია შემეცნების არავითარი სხვა წყარო, სარწმუნოების გარდა. ფილოსოფიის ამოცანა კი შემდეგი გახლავთ: სიმბოლოების საბურველი ჩამოაცილოს ჭეშმარიტებას და გონების მეშვეობით ამაღლდეს იქამდე, რომ წმინდა სახით შეიცნოს ჭეშმარიტება. ფილოსოფიამ არ უნდა ხელყოს რელიგიის საფუძვლები, მაგრამ ეს უკანასკნელი ბრძენკაცისათვის სულაც არ წარმოადგენს სავალდებულო ნორმებისა თუ სახელმძღვანელო წესების კოდექსს. ბრძენი მხოლოდ გონების ხმას უწევს ანგარიშს, მაგრამ სწორედ იმ მიზნით, რომ ხელი შეუწყოს ხალხში სარწმუნოების შენარჩუნებას, ფილოსოფია მარტოოდენ ბრძენკაცთა წრით უნდა შემოიფარგლოს; ის სანამლავი იქნებოდა ბრბოისათვის" (ა. შტეკლი, შუა საუკუნეების ფილოსოფიის ისტორია, თბ., გვ. 10-11).

24. ომაიადები – არაბ ხალიფათა დინასტია დამასკოს სახალიფოში (661-750), კორდოვის საამიროსა (756-929) და კორდოვის სახალიფოში (929-1031).

25. ალმორავიდები –მაროკოს, დასავლეთ ალჟირისა და მუსულმანური ესპანეთის არაბ მბრძანებელთა დინასტია (XI-XII ს.).

26. ავეროესი (1126-1198) – თვალსაჩინო არაბი ფილოსოფოსი (მოღვაწეობდა ესპანეთში). სახელი გაითქვა არისტოტელეს თხზულებების („მეორე ანალიტიკა", „ფიზიკა" „ცისათვის", „სულისათვის", „მეტაფიზიკა" და სხვ.) კომენტარებით.

27. აქ იგულისხმება ავეროესის ორიგინალური ფილოსოფიური ტრაქტატი „Tehafat al Tehafat" („Destructio destructionis" – „უარყოფის უარყოფა"), რომელიც მიმართულია ცნობილი არაბი ფილოსოფოსის – ალ-ღაზალის (გარდ. 1111 წ.) თხზულების – „Tehafat al falasifa" („Destructio philosophorum" – „ფილოსოფოსთა უარყოფა") წინააღმდეგ,

სადაც ავტორი გადაჭრით უარყოფს სამყაროს მარადიულობის ფილოსოფიურ კონცეფციას და თავგამოდებით იცავს ღმერთის მიერ არაფრისაგან (ex nihilo) სამყაროს შექმნის რელიგიურ თვალსაზრისს.

28. ი ბ ნ ტ უ ფ ა ი ლ ი (ლათ. აბუბაცერი; 1100-1185) – არაბი მწერალი, სწავლული და ფილოსოფოსი. იბნ ტუფაილის კალამს ეკუთვნის ფილოსოფიური რომანი „Haji ibn lokdahn" („ცოცხალი, ძე მღვიძარისა"), რომელშიაც აღწერილია, როგორ შესძლო ბავშვობაშივე უკაცრიელ კუნძულზე მოხვედრილმა კაცმა მარტოოდენ თვითწვრთნითა და საკუთარი გონების ძალით მიეღწია შემეცნების უმაღლესი საფეხურისთვის და, ექსტაზში დანთქმულს, პირისპირ ეხილა ღმერთი.

29. პ ე რ ი პ ა ტ ე ტ ი ზ მ ი – არისტოტელესა და მისი მიმდევრების მოძღვრება. სახელწოდება წარმოსდგება ბერძნული ზმნიდან περιπατέω, რაც „ირგვლივ სიარულს", „სეირნობას" ნიშნავს: არისტოტელე თავისი ფილოსოფიური სკოლის – ლიკეიონის (ლიცეუმის) ბაღში სეირნობისას უკითხავდა ლექციებს თავის შეგირდებს.

30. ა ლ ე ქ ს ა ნ დ რ ე ჰ ა ლ ე ს ე ლ ი (გარდ. 1245 წ.) – ცნობილი ინგლისელი ღვთისმეტყველი და ფილოსოფოსი. ალექსანდრე ჰალესელი იყო პირველი სქოლასტიკოსი, რომელიც გაეცნო არისტოტელეს ყველა ფილოსოფიურ თხზულებას, ნაწილობრივ – არაბ ფილოსოფოსთა კომენტარებსაც, და თავისი ცოდნა სრულად გამოიყენა თეოლოგიური მიზნით.

31. ა ლ ბ ე რ ტ დ ი დ ი (ალბერტ ფონ ბოლშტედტი; დაახლ. 1193-1280) – გერმანელი თეოლოგი, ბუნებისმეტყველი და ფილოსოფოსი, შუა საუკ. სქოლასტიკის ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი წარმომადგენელი (მისი მოძღვრების შესახებ იხ. ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 147-157).

32. თ ო მ ა ა ქ ვ ი ნ ე ლ ი (1225-1274) – შუა საუკ. სქოლასტიციზმის მწვერვალი. თუ არისტოტელეს ფილოსოფია სამუდამოდ დამკვიდრდა კათოლიკური თეოლოგიის

სააზროვნო სისტემაში, ეს, უწინარეს ყოვლისა, თომა აქვინელისა და მისი მასწავლებლის – ალბერტ დიდის დამსახურებად უნდა ჩაითვალოს (თომა აქვინელის მოძღვრების შესახებ იხ. ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 157-184).

33. ორკანია, ანდრეა (1329-1389), გოძოლი, ბენოცო (1406-1478), გადი (Gaddi), ანჯელო (1324-1384), ტრაინი (?) – იტალიელი მხატვრები.

34. აქ ავეროესის თვალსაზრისი მთლიანად ემთვევა დიდი არაბი სწავლულისა და მოაზროვნის ავიცენას (იბნ-სინა; 980-1037) თვალსაზრისს (იხ. ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 27), ან, უფრო სწორად, იმეორებს მას. სამყაროს მარადიულობის ავიცენასეული კონცეფცია კი, მოკლედ, ასეთი გახლავთ: „რაკი სამყაროს არსებობა აუცილებელი არ არის და, მაშასადამე, მის სინამდვილეს ლოგიკურად წინ უსწრებს შესაძლებლობა, ჩვენ ალტერნატივის წინაშე ვდგავართ: შესაძლებლობა, რომელიც წინ უსწრებს სინამდვილეს, ან სუბიექტშია, ან არა. სუბიექტში რომ არ იყოს, მაშინ თვითონვე იქნებოდა სუბსტანცია, რაც შეუძლებელია. ამრიგად, აუცილებლად უნდა მივიღოთ პირველი დაშვება; აუცილებელია დავუშვათ წინარე-არსებობა სუბიექტისა, რომელიც თავის თავში შეიცავს სამყაროს წარმოშობის შესაძლებლობას. შესაძლებლობის ამნაირ მტვირთველად გვევლინება მატერია. მაშასადამე, მატერია, როგორც შესაძლებლობის სუბსტრატი, ყოველგვარი სინამდვილის წინაპირობაა. მაგრამ რაკი შესაძლებლობა მარადიულია, ამიტომ მატერიაც მარადიულად უნდა მიგვაჩნდეს. ამ წანამძღვრებიდან გამომდინარეობს სამყაროს მარადიულობაც. რადგან, ჯერ ერთი, მატერია, როგორც წმინდა შესაძლებლობა, ვერასოდეს ვერ იქნება ნამდვილი, აქტუალური, ვინაიდან ეს მისივე ცნების საწინააღმდეგო იქნებოდა. ის შეიძლება ნამდვილი იყოს მხოლოდ სამყაროს ნამდვილ საგნებში, რომელთა საფუძვლადაც თვითონვე გვევლინება,

როგორც წმინდა შესაძლებლობა. მიზეზი და აქტუალობა ურთიერთთანაფარდი ცნებებია და ერთი მეორის გარეშე ვერ იარსებებს. მაგრამ ღმერთსა და სამყაროს შორის ისეთივე თანაფარდობაა, როგორიც მიზეზსა და აქტუალობას შორის, რის შედეგადაც ვერც სამყარო მოიაზრება ღმერთის გარეშე და ვერც ღმერთი – სამყაროს გარეშე. ამიტომ, თუ ღმერთი მარადიულია, სამყაროც აუცილებლად მარადიული უნდა იყოს. ამრიგად, ღმერთი მარადიულია თავისით და თავისთავად, სამყაროს არსებობა კი, პირიქით, მარადჟამ განპირობებულია ღმერთით. ღმერთი მარადიულია დროის გარეშე, სამყაროსათვის კი, პირიქით, ნიშნეულია მარადიული გრძლივობა. მაგრამ რაკი სამყარო სინამდვილედ ვერ იქცეოდა ღმერთის გარეშე, უკვე სინამდვილედ ქცეულიც ვერ იარსებებს უღმერთოდ. არსებობისათვის გამონვეული სამყარო თავისთავად კი ვერ ინარჩუნებს ამ არსებობას, არამედ მთელი მისი შემდგომი ყოფიერება არსებითად განპირობებულია ღვთიური მიზეზობრიობით. ღმერთი სამყაროს ყოფიერების წარმავალი კი არა, წარუვალი მიზეზია“ (ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 16-17).

35. ამის შესახებ იხ. ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 27 (პარაგრაფი 10).
36. იხ. ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 28-31 (პარაგრაფი 11-19).
37. იხ. ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 31-32 (პარაგრაფი 21-22).
38. მ ი ხ ე ი ლ ს კ ო ტ უ ს ი (გარდ. 1291 წ.) – შოტლანდიელი თეოლოგი, ასტროლოგი და ალქიმიკოსი, მოგვად და ჯადოქრად მიჩნეული თანამედროვეთა მიერ. თეოლოგიას, ფილოსოფიას და მათემატიკას სწავლობდა ოქსფორდსა და პარიზში; იქვე ეუფლებოდა ოკულტურ მეცნიერებებსაც. შემდეგ ფრიდრიხ II-ის სასახლის კარზეა, სადაც სიცილიის მბრძანებლის თხოვნით არაბულიდან ლათინურად თარგმნის არისტოტელეს ზოგი-

ერთ თხზულებას და მათ ავეროესისეულ კომენტარებს. მისი ორიგინალური თხზულებებიდან აღსანიშნავია „ტრაქტატი სფეროს შესახებ“, „სამყაროს სუბსტანციისათვის“, „მეტეორებისათვის“, „ფიზიოგნომონი“, რომელიც 1477-1533 წლებში თვრამეტჯერ გამოიცა ლაიფციგში, ვენეციაში, პარიზსა და ფრანკფურტში (ითარგმნა იტალიურადაც), და რომლის ავტორობასაც ზოგჯერ შეცდომით ალბერტ დიდს მიაწერდნენ.

39. „კვლევა ცოდნისა“ (ლათ.).

40. მ ა ნ ფ რ ე დ ი (1233-1266; მეფე 1258 წლიდან) – ფრიდრიხ II-ის ძე, ნეაპოლისა და სიცილიის მეფე. ისეთივე გამწვავებული ურთიერთობა ჰქონდა პაპებთან, როგორც მამამისს. ორმა პაპმა – ალექსანდრე IV-მ და ურბანუს IV ჯვაროსნული ლაშქრობა გამოაცხადა მის წინააღმდეგ. ურბანუს IV-მ ანჟუსა და პროვანსის გრაფს შარლ I-ს (დაახლ. 1220-1285) უხმო ურჩი მეფის დასამხობად. 1266 წელს ბენევენტისთან გამართულ ბრძოლაში მანფრედი მოკლულ იქნა. გამარჯვებულმა გრაფმა მუსრი გაავლო შვაბიელთა თითქმის მთელ დინასტიას.

41. ფ ა რ ი ნ ატ ა დელი უბერტი (გარდ. 1264 წ.) – იმპერატორის მომხრე ფლორენციელ გიბელინთა პარტიის ბელადი. მონაწილეობდა ფლორენციელი გველფებისა და გიბელინების ყველა სისხლიან შეტაკებაში (1248, 1251, 1258, 1260 წწ.), რომელშიაც ხან ერთი პარტია გამოდიოდა გამარჯვებული, ხანაც მეორე. გამარჯვებულნი სასტიკად უსწორდებოდნენ დამარცხებულებს.

42. გ ვ ი დ ო კ ა ვ ა ლ კ ა ნ ტ ი (დაახლ. 1255-1300) – ფლორენციელი პოეტი, იტალიური პოეტური სკოლის „Dolce stil nuovo“ („ახალი ტკბილი სტილი“) ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი, დანტეს მეგობარი.

43. უ ბ ა ლ დ ი ნ ი (ოტავიანო დელი უბალდინი) – ბოლონიის ეპისკოპოსი (1240-1244), შემდეგ – კარდინალი (1245-1273). XIII ს. ეკლესიისა და იმპერიის გამუდმებულ ბრძოლებში გიბელინების პარტიის მომხრე.

44. კ ა ვ ა ლ კ ა ნ ტ ე დ ე ი კ ა ვ ა ლ კ ა ნ ტ ი – პოეტ გვიდო კავალკანტის მამა; ბიოგრაფიული ცნობები მის შესახებ ძალზე მწირია. ცნობილია მხოლოდ ის, რომ გველფი ყოფილა და 1257 წელს გუბიოს პოდესტად აურჩევიათ.
45 „მთელი ტანით (სიტყვასიტყვით – „მკერდით და შუბლით") აღმართულიყო, თითქოს საშინლად ეზიზღებოდა ჯოჯოხეთი" (იტალ.) – „ჯოჯოხეთი", X, 35.
46. „ფრინველებით ნადირობის ხელოვნებისათვის" (ლათ.).
47. ეს იტალიური სტრიქონები თვით ავტორის მიერვეა თარგმნილი.
48. ესენიც.

თავი V

1. „მინორიტთა ორდენის შვიდი სალმობის ისტორია" (ლათ.).
2. ვ ა დ ი ნ გ ი , ლუკა (1588-1657) – ფრანცისკანელთა ორდენის ისტორიკოსი და ბიოგრაფი, წარმომავლობით ირლანდიელი.
3. ც ე ლ ე ს ტ ი ნ ე V – რომის პაპი (1294). მის შესახებ ქვემოთ დაწვრილებით მსჯელობს ავტორი.
4. ბ ო ნ ი ფ ა ც ი უ ს VIII – რომის პაპი (1294-1303). დაწვრილებით იხ. ქვემოთ.
5. ი ო ა ნ ე XXII – რომის პაპი (1316-1334). თუმცა მას მხოლოდ პირობითად თუ შეიძლება ენოდოს რომის პაპი, რამდენადაც მისი მღვდელთმთავრობა ე.წ. „ავინიონის ტყვეობის" (1309-1377) პერიოდს ემთხვევა.
6.„მიმტევებლობითი ეპისტოლენი" (ლათ.).
7. „შუამდგომელ პირთა მეშვეობით" (ლათ.).
8. იხ. III თავის კომენტ. 46.
9. კ ო ი მ ბ რ ი (ანტიკური კონიმბრიკა) – პორტუგალიის ქალაქი, ლისაბონიდან დაახლ. 175 კმ-ით დაშორებული, შუა საუკ. ცნობილი რელიგიური და კულტურული ცენტრი (წმ. ანტონიო პადუელი პორტუგალიელი იყო).

10. „გარს შემომერტყა მრავალი ხბო: ნასუქმა ხარებმა შემომიტიეს“ (ლათ.).
11. „ისმინეთ სიტყვა, ნასუქო ძროხებო“ (ლათ.).
12. კ ა რ მ ე ლ ი –მთაგრეხილი პალესტინაში. მისი შიშველი და უდაბური კალთები ოდესღაც ტყით ყოფილა დაფარული, რასაც მისი სახელიც მოწმობს: „კარმელი“ ბაღსა თუ ხეივანს ნიშნავს ებრაულად.
13. „სალმობათა ისტორია“ (ლათ.).
14.„მოკლე მოსასხამები საჯდომამდე“ (ლათ).
15. რ ო მ ი ს კ უ რ ი ა – პაპის ხელისუფლებას დაქვემდებარებულ ინსტიტუტთა ერთობლიობა.
16. „ანუგეშებდა მწუხარეთ, ამშვიდებდა მშფოთვართ, მხარში ედგა უმტკიცო ხალხს, სითბოს არ აკლებდა უმწეოებს, მეგობრულად და სიხარულით ასწავლიდა უბირთ“ (ლათ.).
17. მ ე რ ლ ი ნ ი –შუა საუკუნეობრივი ევროპული ლეგენდებისა და საგმირო თქმულებების გმირი, გრძნეული, მოგვი, წინასწარმეტყველი და ჯადოქარი, განსაკუთრებით პოპულარული გახდა სარაინდო რომანების წყალობით.
18. ს ი ბ ი ლ ა – მითიური გრძნეული ქალების ზოგადი სახელი. მისნობის ნიჭით ცხებულ ამ წინასწარმეტყველებს ტრადიცია სხვადასხვა ეპოქას და ხალხს აკუთვნებს. ჰერაკლიტე ეფესელი და პლატონი იცნობენ მხოლოდ ერთ სიბილას, არისტოფანე და არისტოტელე – რამდენიმეს, ხოლო ვარონის დროინდელ რომში უკვე ათამდე სიბილას ითვლიდნენ. მათ შორის ყველაზე ცნობილნი იყვნენ დელფოსელი და ერითრიელი სიბილები. სიბილას, როგორც წინასწარმეტყველის, დიდ ავტორიტეტს გვიმოწმებს ჰერაკლიტეს სიტყვები: „სიბილა შმაგი ბაგეებით ღაღადებს პირქუშ, შეუფარავსა და შეუფერავ სიმართლეს, და მისი ხმა საუკუნეებს სწვდება, რადგან თვით ღმერთი მეტყველებს მისი პირით“ (Diels, Fragm., B 92).

19. „წმიდა ფრანჩესკოსა და ქალბატონ სიღარიბის საკრალური გარიგებისთვის“ (ლათ.).
20. იგულისხმებიან ტერციარიუსები (იხ. III თავის კომენტ. 32).
21. „თანხმობათა წიგნი“ (ლათ.).
22. „ყველაფრისთვის მზადმყოფი“ (ლათ.).
23. „უაღრესად სპირიტუალური კაცი“ (ლათ.).
24. „მოხუცი და წმიდა კაცი“ (ლათ. vetulus – კნინობითია; რუს. –старочок).
25. „ჩვენს კუთხეებში“ (ლათ.).
26. „მამისა და ძისა და წმ. მათეს სახელით“ (ძვ. იტალ.).
27. „ფ ლ ა გ ე ლ ა ნ ტ ე ბ ი“ – „შოლტით თვითმგვემნი“ (ლათ. flagellum – შოლტი, მათრახი).
28. ბ ე გ ი ნ ე ბ ს უნოდებდნენ XIII ს. ერეტიკული რელიგიური ასოციაციის წევრებს, რომლებსაც აერთიანებდათ ნებაყოფლობითი სიღარიბის აღთქმა. ისინი ამტკიცებდნენ, რომ სრულქმნილების ზღვარს მიაღწიეს და ამიტომ სამოქალაქო თუ საეკლესიო კანონებზე მაღლა აყენებდნენ თავიანთ თავს. მათ რელიგიურ დაწესებულებებს – ბეგინაჟებს (béginages) საფუძველი ჩაუყარა ნიდერლანდელმა მღვდელმა ლამბერ რეგმა. ბეგინაჟები მალე გავრცელდნენ ფლანდრიაში, გერმანიასა და საფრანგეთში. „ბეგინაჟი, ერთი ფლამანდიელი ავტორის სიტყვით, ესაა წმიდა ქალაქი პროფანულ ქალაქში; ქალაქი თავისი გალავნითა და ქუჩებით, თავისი ეკლესიითა და საზოგადოებრივი მოედნით, თავისი საავადმყოფოთი, თავისი ძეგლებით, თავისი ისტორიითა და ტრადიციებით. მოყაყანე და მოვაჭრე ქალაქის გვერდით, ესაა ღვთისმოსავი და მყუდრო ქალაქი, სადაც სანეტარო სიმშვიდე სუფევს და სადაც მხოლოდ ამ ქვეყანას განშორებული ქალები ცხოვრობენ, რომლებმაც ღმერთს მიუძღვნეს თავი“...
29. შ ა რ ლ ა ნ ჟ უ ე ლ ი (1226-1285) – ანჟუს, მენისა და პროვანსის გრაფი, სიცილიისა (1266-1282) და ნეაპოლის (1282-1285) მეფე.

30. „მარადიული სახარების შესავალი“ (ლათ.).
31. ჟ ა ნ დ ე მ ე ნ ი (დაახლ. 1280-1315) – ფრანგი პოეტი, „ვარდის რომანის“ ავტორი (გიიომ დე ლორისთან ერთად).
32. „უკეთური ზრახვით, განკაცების წელს, ათას ორას ორმოცდათხუთმეტს“ (ძვ. ფრანგ.).
33. „ღვთისმშობლის ტაძრის კარიბჭის წინ“ (ძვ. ფრანგ.).
34. „კონკორდანსი“, „აპოკალიპსის გადმოცემა“, „ფსალმუნნი“ (ლათ.).
35. „შესავალი“ (ლათ.).
36. „სამი წმიდა ტომი, სამი წერილი“ (ლათ.).
37. „წიგნის შრიალზე გამოეღვიძა და აღარ დაუძინია; ამ საზარელი ურჩხულის დანახვისას შესაგებებლად აღიჭურვა, რომ შებმოდა და მსაჯულთათვის გადაეცა წიგნი“ (ძვ. ფრანგ.).
38. „რათა პირისპირ წინ აღდგომოდნენ მაგისტრებს“ (ლათ.).
39. „უახლოესი დროის განსაცდელთათვის“ (ლათ.).
40. „ექსცერპტები“, „ამონარიდები“ (ლათ.).
41. „ღირსახსოვარ საქმეთა წიგნი“ (ლათ.).
42. „წარმმართველი“ (ლათ.).
43. „ბოლომდე თავიანთ ცთომილებაში მავალნი“ (ლათ.).
44. „საიდუმლოდ, ძმების სკანდალის გარეშე“ (ლათ.).
45. „მწამს ერთი ღმერთი, მამა ყოვლისმძლე“ (ლათ.).
46. იგულისხმება ფრანცისკანელთა და დომინიკანელთა ორდენები.
47. „თავისი სახლისათვის“ (ლათ.).
48. ფ ი ლ ი პ ე მ შ ვ ე ნ ი ე რ ი – საფრანგეთის მეფე ფილიპე IV (1285-1314); იხ. III თავის კომენტ. 8.
49. გ ი ი ო მ შ ა მ პ ო ე ლ ი (1070-1121) – ცნობილი ფრანგი თეოლოგი (მის შესახებ იხ. ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 89-92).
50. „Trivium“; „Quadrivium“ („სამი გზა“; „ოთხი გზა“, – ლათ.) – ასე იწოდებოდა შუა საუკუნეებში სასკოლო განათლების ორი სხვადასხვა ციკლი. „ტრივიუმი“ მოიცავდა

გრამატიკას, დიალექტიკასა და რიტორიკას, ხოლო „კვადრივიუმი“ – არითმეტიკას, გეომეტრიას, ასტრონომიასა და მუსიკას. „ტრივიუმი“ დაწყებით კლასებში ისწავლებოდა, „კვადრივიუმი“ კი უფროს კლასელთათვის იყო განკუთვნილი.

51. იგივეა, რაც ნათელმხილველი (მისტიკოსები იგულისხმებიან).
52. იხ. წინათქმის კომენტ. 9.
53. იხ. I თავის კომენტ. 82.
54. იგულისხმება ნიკეის პირველი მსოფლიო საეკლესიო კრება, რომელიც 325 წელს მოწვეულ იქნა ნიკეაში იმპერატორ კონსტანტინე დიდის მოთხოვნით. კრებამ დაგმო და შეაჩვენა არიანული ერესი. აქვე იქნა მიღებული „რწმენის სიმბოლოც“.
55. „თავისთვის ცხოვრობდა“ (ლათ.).
56. „იქოს, იდიდოს და კურთხეულ იყოს მამა“ (იტალ.).
57. „მოხარულნი“ (ლათ.).
58. „მთელი დღე უქმად მყოფნი, რომელთაც სურთ სხვისი შრომითა და ოფლით ცხოვრობდნენ“ (ლათ.).
59. „ქალების“ კნინობითი ფორმა ლათინურად.
60. „მამაო! მამო! მამაო!“ (ლათ.).
61. გ რ ი გ ო ლ X – რომის პაპი (1271-1276).
62. „რათა უკეთესი შესანირავი მიეღოთ ხალხისაგან“ (ლათ.).
63. „ვიხილე იგი და ერთხანს კიდევაც გავერთე“ (ლათ.).
64. იხ. I თავის კომენტ. 94.
65. „ნატიფი და დახვეწილი, ზომიერად გამხდარი და მაღალი, ანგელოზური და მომხიბლავი სახის მქონე“ (ლათ.).
66. „მოდით ჩემთან, ჩემო უტკბესო ძმებო, და მოისმინეთ ჩემი სიტყვები“ (ლათ.).
67. „ვისაც მამა ან დედა ჩემზე მეტად უყვარს, არ არის ჩემი ღირსი“ (ლათ.) – მათეს სახარება, X, 37.
68. „შენ, ღმერთო“ (ლათ.).
69 „აუცილებლობას არა აქვს კანონი“ (ლათ.).

70. „მხიარულნი გვეჩვენონ უფალში“ (ლათ.).
71. „ნეტარ არიან მოცინარნი!“ (ლათ.) – ანტითეზა მათეს სახარების ერთი პასაჟისა: „ნეტარ არიან მგლოვიარენი“.

თავი VI

1. იხ. IV თავის კომენტ. 14.
2. იხ. III თავის კომენტ. 8.
3. „კაცი, თვინიერ, სანგვინიკოსი, მხიარული, მოცინარი“ (ლათ.).
4. იხ. II თავის კომენტ. 3.
5. იხ. I თავის კომენტ. 76.
6. იგულისხმება გერმანიის იმპერატორი რუდოლფ I ჰაბსბურგელი, ავსტრიის მონარქიის ფუძემდებელი.
7. ი ო ა ნ ე XXI – რომის პაპი (1276-1277).
8. ნ ი კ ო ლ ო ზ III – რომის პაპი (1277-1280).
9. ჰ ო ნ ო რ ი უ ს IV – რომის პაპი (1285-1287).
10. იმპერატორ ფრიდრიხ II-ის (1216-1250) სიკვდილის შემდეგ მისი ვაჟი კონრად IV მხოლოდ ოთხ წელიწადს მეფობდა გერმანიაში, სადაც 1254 წლიდან დაიწყო საკმაოდ ხანგრძლივი მეფობათაშორისი პერიოდი. რაც შეეხება სამხრეთ იტალიას, პაპმა ურბანუს IV-მ (1261-1264) ის შარლ ანჟუელს (იხ. V თავის კომენტ. 29) გადასცა, რომელმაც დაამარცხა ფრიდრიხ II-ის ვაჟი მანფრედი (იხ. IV თავის კომენტ. 40), მამამისი რომ შეცვალა სიცილიისა და ნეაპოლის სამეფო ტახტზე. თვით მანფრედი ბრძოლის ველზე დაეცა. კონრად IV-ის ძე კონრადინი ამაოდ შეეცადა სიცილია და ნეაპოლი წაერთმია ფრანგებისათვის.
11. შ ა რ ლ დ ე ვ ა ლ უ ა (1270-1325) – მენისა და ანჟუს გრაფი, საფრანგეთის მეფის ფილიპ III მამაცის მესამე ვაჟი, თავისი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო მხედარ-

თმთავარი. ბონიფაციუს VIII-ის თხოვნით ფლორენ-ციიდან გააძევა გიბელინები.

12. იგულისხმება 26 წელი, ერთმანეთისაგან რომ აშორებს კლემენტე IV-ის (1265-1268) მღვდელთმთავრობის დასასრულსა და ბონიფაციუს VIII-ის (1294-1303) მღვდელთ-მთავრობის დასაწყისს.

13. იხ. I თავის კომენტ. 22, 36.

14. პ ე ნ ტ ა პ ო ლ ი ს ი მოიცავდა ხუთ ქალაქს: რიმანის, პეზაროს, ფანოს, სინიგალიასა და ანკონას. ეს უკანასკ-ნელი პიპინ მოკლემ წაართვა ლანგობარდებს და პაპს გადასცა.

15. „XIII საუკუნის შუა წლებში პაპობასთან ბრძოლის შედეგად ჰოჰენშტაუფენების დამხობა, იმავდროულად, გერმანელი ერის „წმინდა რომის იმპერიის" დამხობასაც მოასწავებდა, იმპერიისა, რომელიც ამიერიდან უბრალო ფიქციად იქცა. იტალია და გერმანია ერთმანეთს გაეთიშნენ და დაქუცმაცდნენ. მაგრამ ბრძოლაში გა-მარჯვების მიუხედავად, პაპიზმის ძალაუფლებამაც დეგრადაცია განიცადა. პაპები დასაყრდენს პოუ-ლობდნენ იტალიურ ქალაქებში, რომლებსაც ეშინოდათ, ვაითუ გერმანელი მეფეების ხელში აღმოჩნდეთო; მა-გრამ როგორც კი ეს საფრთხე თავიდან აცილებულ იქნა, იტალიის ქალაქებში საშინელი შინააშლილობა დაიწყო, თვით ქალაქებში კი ცალკეული პარტიები დაუ-პირისპირდნენ ერთმანეთს. ჰოჰენშტაუფენებთან ბრძოლისას პაპები სულ უფრო და უფრო მეტად ზრუნ-ავდნენ პირწმინდად პოლიტიკურ ინტერესებსა და მა-ტერიალურ სახსრებზე, რისთვისაც არცთუ იშვიათად მიმართავდნენ ვერაგობასა და სხვა ამნაირ საშუალე-ბებს, რაც მხოლოდ ძირს უთხრიდა მათ მორალურ ავ-ტორიტეტს. XIV-XV საუკუნეები უკვე პაპიზმის საში-ნელი დამხობის ხანაა" (ნ. კარეევი. დასახ. ნაშრ., გვ. 142).

16. იხ. I თავის კომენტ. 35.

17. ნართაული მინიშნება ნიკოლოზ III-ის ერისკაცობის დროინდელ გვარზე – ორსინი: orso „დათვს“ ნიშნავს იტალიურად.
18. „ჯოჯოხეთი“, XIX, 71-72.
19. „სიღარიბით სარგებლობისათვის“ (ლათ.).
20. „ევანგელური სრულქმნილებისათვის“ (ლათ.).
21. ნ ი კ ო ლ ო ზ ე ი მ ე რ ი კ ი (დაახლ. 1300-1399) ესპანელი კანონისტი და ინკვიზიტორი, თავისუფლად მოაზროვნეთა ჯალათი. მისმა წიგნმა „Directorium Inquisitorum“ („ინკვიზიტორთა წარმმართველი“) სისხლისა და ცრემლების ზღვა დააყენა შუა საუკუნეების ესპანეთსა და საფრანგეთში.
22. ს ი ქ ს ტ ე IV – რომის პაპი (1471-1484).
23. „მცირეოდენი პური და წყალი“ (ლათ.).
24. „მთის თხემზე“ (ლათ.).
25. „მხოლოდშობილი“ (ლათ.).
26. „მოსმენისათვის“ (ლათ.).
27. ნიკოლოზ IV გარდაიცვალა 1292 წლის 3 აპრილს. მისი სიკვდილის შემდეგ ორ წელზე მეტი ხნის განმავლობაში წმიდა ტახტზე პაპი არ მჯდარა, ვიდრე 1294 წლის 5 ივნისს ცელესტინე V-ის სახელით პაპად არ იქნა არჩეული პიეტრო მურონელი თუ მორონელი.
28. „იმისი ლანდი, ვინც სულმოკლეობის გამო დიდი უარი განაცხადა“ (იტალ.) – „ჯოჯოხეთი“, III, 59.
29. „უფალ ცელესტინეს ღარიბი განდეგილები“ (ლათ.).
30. იხ. III თავის კომენტ. 20.
31. „მომკლა და დამაქცია ყალბმა კლერიკალობამ, მთელი ჩემი შრომის ნაყოფი რომ დამაკარგვინა; სიკვდილის მწარე სატკივარი შემყარა მათმა მევახშეობამ“ (იტალ.).
32. ს უ ლ ა, ლუციუს კორნელიუს (138-78 ძვ. წ.ა.) – რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მხედართმთავარი.
33. ს ც ი პ ი ო ნ ა ფ რ ი კ ე ლ ი (235-183 ძვ. წ.ა.) – რომაელი მხედართმთავარი და პოლიტიკური მოღვაწე.
34. პ რ ე ბ ე ნ დ ა (ლათ. praebenda) – საეკლესიო შემოსავალი.

35. „უფალო, დაე, კვლავ ვიხილო ნათელი, კვლავ ვიგალობო ხმამაღლა ის ბალღური ოსანა“ (იტალ.).
36. „იესო, ჩვენო რწმენავ, გულის უზენაესო სასოებავ“ (იტალ.).
37. „დიდება მაღალთა შინა“ (ლათ.).
38. „იდგა დედა“ (ლათ.).
39. „იდგა პირმშვენიერი, მხიარული დედა თივასთან, ვიდრე ყრმა იწვა“ (ლათ.).
40. „ქება“ (ლათ.).
41. „მითხარი, ტკბილო მარიამ“ (იტალ.).
42. „ბალღი“ (იტალ.).
43. ლ ო რ ე ნ ც ო დ ი კ რ ე დ ი (1453-1531) – იტალიელი მხატვარი.
44. ს ა ნ დ რ ო ბ ო ტ ი ჩ ე ლ ი (1445-1510) – დიდი იტალიელი მხატვარი.
45. „სიყვარულო, სიყვარულო, რომელმაც ისე დამჭერი, რომ არ შემიძლია სხვა რამეს ვყვიროდე, გარდა „სიყვარულისა“, სიყვარულო, სიყვარულო, შენთან ვარ შეერთებული; არ შემიძლია სხვას ვეხვეოდე შენს გარდა“ (იტალ.).
46. „აჰა, ფერმიხდილი სიკვდილი, მახინჯი, პირქუში და უსახური“ (იტალ.).
47. „იესო ქრისტეს მოწესენი“ (იტალ.).
48. იხ. ლუკას სახარება, XV, 11-32.
49. „ ა ვ ა ნ ი ს კ ვ ი რ ა“ – „ავანს“ (ფრანგ. l'Avent; ლათ. adventus - „მოსვლა“) თავდაპირველად შობას უწოდებდნენ, შემდეგ კი სამსა თუ ოთხ კვირას შობამდე.
50. „მერვე რითმა“ (იტალ.).
51. ჯ ა კ ო მ ო დ ა ვ ო რ ა ჯ ი ნ ო (დაახლ. 1230-1298) – იტალიელი მწერალი, „Legenda aurea“ -ს („ოქროს ლეგენდის“) ავტორი.
52. დ ე ც ი უ ს ი, გნეიუს მესიუს კვინტუს ტრაიანუს – რომის იმპერატორი (249-251).
53. ნ მ ი დ ა პ ა ვ ლ ე გ ა ნ დ ე გ ი ლ ი (229-342) – ეგვიპტელი მეუდაბნოე: 28 წლისა იყო, დეციუსის დევნას რომ

გაექცა თებაიდის უდაბნოში, სადაც მთელი თავისი ხანგრძლივი სიცოცხლე მღვიმეში გაატარა.

54. წმიდა ანტონიუსი (ანტონი; 251-356) – სამონასტრო ცხოვრების ერთ-ერთი ფუძემდებელი. დაიბადა ზემო ეგვიპტის ერთ-ერთ ქალაქში, მდიდარი ქრისტიანის ოჯახში. სიჭაბუკეშივე მთელი თავისი ქონება ღარიბებს გაუნაწილა, თვითონ კი თებაიდის უდაბნოში განმარტოვდა, სადაც მრავალი მონასტერი დააარსა.

55. იოანე გულმოწყალე (გარდ. 651 წ.) – ალექსანდრიელი პატრიარქი, ცნობილი თავისი ღვთისმოსაობითა და ქველმოქმედებით.

56. ჯოტო დი ბონდონე (1267-1337) – დიდი იტალიელი ფერმწერი.

57. ანჯელიკო და ფიეზოლე (ფრა ჯოვანი და ფიეზოლე; დაახლ. 1400-1455) – იტალიელი ფერმწერი.

58. ჩიმაბუე (დაახლ. 1240-1302) – იტალიელი ფერმწერი.

59. იოანე ნათლისმცემელი და იოანე მახარებელი.

60. იხ. III თავის კომენტ. 46.

61. ნიკოლა პიზელი (გარდ. 1273 წ) – იტალიელი მოქანდაკე და არქიტექტორი, XIII ს. ერთ-ერთი უთვალსაჩინოესი ხელოვანი.

62. პუჩო კაპანა (XIV ს.) – იტალიელი მხატვარი, ჯოტოს მოწაფე და მიმდევარი.

63. ტიციანი (1477-1576) – დიდი იტალიელი მხატვარი.

64. ვერონეზე (1528-1588) – დიდი იტალიელი მხატვარი.

65. იხ. მათეს სახარება, II, 18.

66. ბენედიკტე XI – რომის პაპი (1303-1304).

67. წმიდა მარგარიტა (გარდ. 1297 წ.) – კორტონელი წმიდანი. მისი ცხოვრება გარკვეულწილად მარიამ მაგდალინელის ცხოვრებას მოგვაგონებს.

68. „ახლა ჯოტო ხმიანებს“ (იტალ.).

69. ოდერიზი (ოდერიჯი) დი გვიდო და გუბიო (გარდ. 1299 წ.) – სახელგანთქმული იტალიელი მინიატურისტი.

70. „აგობიოს (გუბიოს) ღირსება“ (იტალ.) – „განსაწმენდელი“, XI, 80.

71. „enluminure“ – ხელნაწერების მინიატურებით შემკობის ხელოვნება (ფრანგ.).
72. მ ა ზ ა ჩ ო (1401-1428) – სახელგანთქმული იტალიელი მხატვარი.
73. ა ნ დ რ ე ა დ ე ლ ს ა რ ტ ო (1486-1530) – იტალიელი ფერმწერი.
74. ფ რ ა ფ ი ლ ი პ ო ლ ი პ ი (დაახლ. 1406-1469) – იტალიელი მხატვარი.
75. ბ ე ნ ვ ე ნ უ ტ ო ჩ ე ლ ი ნ ი (1500-1571) – იტალიელი მოქანდაკე, იუველირი, მწერალი და ხელოვნების თეორეტიკოსი.
76. ლ ე ო ნ X – რომის პაპი (1513-1521).
77. პ ე რ უ ჯ ი ნ ო (დაახლ. 1445-1523) – იტალიელი ფერმწერი.
78. ვ ა ზ ა რ ი, ჯორჯო (1511-1574) – იტალიელი ხუროთმოძღვარი, ფერმწერი და ხელოვნების ისტორიკოსი.

თავი VII

1. რაფაელის ეს ფრესკა, რომელიც უფრო „დისპუტის“ სახელითაა ცნობილი, 1509-1511 წლებშია შექმნილი.
2. „გიხაროდენ“ (ლათ.).
3. ჰ ე ნ რ ი ხ VII – გერმანიის იმპერატორი (1308-1313).
4. დანტე გარდაიცვალა 1321 წლის 14 სექტემბერს (დაიბადა 1265 წლის 8 მაისს).
5. იხ. VI თავის კომენტ. 51.
6. „გაზაფხული“ (იტალ.).
7. „აჰა, ღმერთი, ჩემზე უძლიერესი“ (ლათ.) – იხ. დანტე, „ახალი ცხოვრება“, II.
8. იხ. „ახალი ცხოვრება“, III.
9. იხ. „ახალი ცხოვრება“, X, XII.
10. „ახალი ცხოვრება“ (იტალ.).
11. იხ. „ახალი ცხოვრება“, XXVIII.
12. იხ. „ახალი ცხოვრება“, XLII.

13. პლოტინი (205-270) – დიდი ბერძენი მოაზროვნე, ნეოპლატონიზმის ფუძემდებელი.
14. პროკლე (410-485) – დიდი ბერძენი ფილოსოფოსი, ნეოპლატონისტი.
15. თეურგია – მაგიის ერთ-ერთი სახე, რომლის მეშვეობითაც ადამიანი ცდილობდა უშუალო კონტაქტი დაემყარებინა მისდამი კეთილგანწყობილ ღმერთთან.
16. წმიდა ეკატერინე – იხ. წინათქმის კომენტ. 2.
17. იხ. „ახალი ცხოვრება", XL.
18. „ლხინი" (იტალ.) – დანტეს ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი ტრაქტატი, დაწერილი ძირითადად 1303-1306 წლებში.
19. 1302 წელს, მას შემდეგ, რაც ბონიფაციუს VIII-ის მოკავშირემ შარლ დე ვალუამ გაძარცვა, დაარბია და ააოხრა ფლორენცია, დანტე თავის თანამოაზრეებთან ერთად განდევნილ იქნა მშობლიური ქალაქიდან. იწყება ემიგრანტის სიმწრითა და სიმწირით სავსე ცხოვრება, დაუსრულებელი ხეტიალი ქალაქიდან ქალაქში, ქვეყნიდან ქვეყანაში, კარითი - კარად. ბიოგრაფიული ცნობების მთელი სიმწირის მიუხედავად, მაინც ხერხდება ცელკეულ მომენტთა დადგენა. 1303 წელს პოეტი ვერონაშია, ბარტოლომეო დელა სკალას სასახლის კარზე; 1304-1307 წლებში – ბრეშიაში, ტრევიზოსა და რეჯოში, სადაც მას მფარველობენ იქაური მბრძანებლები – კორადო და პალაცო, გერარდო და კამინო, გვიდო და კასტელო; 1309-1310 წ. – პარიზში, სადაც, ჯოვანი ვილანისა და ბოკაჩოს მოწმობით, ხშირად ესწრება სორბონაში გამართულ დისპუტებს და თვითონაც მონაწილეობს მათში... ასე გრძელდება მანამ, სანამ 1321 წლის 14 სექტემბერს რავენაში არ დაასრულებს თავის მრავალტანჯულ სიცოცხლეს.
20. „Quodlibet" (პირობითად შეიძლება ითარგმნოს როგორც „რაგინდარა") – ამ სათაურით ცნობილია შუა საუკ. რამდენიმე სქოლასტიკოსის თეოლოგიური ტრაქტატი, ვთქვათ, რიშარ (რიჩარდ) მიდლტონელისა (XIII-XIV ს.)

და გოტფრიდ ფონტენელისა (გარდ. 1303 წ.); (იხ. ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 192-193; E. Gilson, La philosophie au Moyen Âge, Paris, 1962, p. 458-461; 432-433).

21. „...საკუთრივ დოგმატური მასალის სისტემატურ გადმოცემას ჩვენ ვხვდებით მთელი XII საუკუნის მანძილზე თეოლოგიურ კრებულებში, რომლებსაც „Libri sententiarum" („სენტენციათა წიგნები") ეწოდებოდათ. ამნაირი წიგნების ავტორებად ასახელებენ რობერტ პულეინს (გარდ. 1150 წ.), რობერტ მელუნელსა და ჰუგო რუანელს (გარდ. 1164 წ.), აგრეთვე პარიზის უნივერსიტეტის კანცლერს პეტრე პუატიელს (გარდ. 1205 წ.). მაგრამ მათ შორის ყველაზე მნიშვნელოვანია თხზულება – „Quattuor libri sententiarum" („სენტენციათა ოთხი წიგნი"), რომელიც პარიზელ თეოლოგს პეტრე ლომბარდს ეკუთვნის" (ა. შტეკლი, დასახ. ნაშრ., გვ. 130-131). დანტე მას სამოთხეში (X, 107 და შმდ.) ხვდება (იხ. აგრეთვე II თავის კომენტ. 34).
22. „როგორ მარადისდება ადამიანი" (იტალ.).
23. ვ ე ნ ს ა ნ დ ე ბ ო ვ ე (1190-1264) – ფრანგი თეოლოგი.
24. „ერისკაცი" (იტალ.).
25. „მცოდნეთა მოძღვარი" (იტალ.).
26. „მონარქიისათვის" (ლათ.).
27. ლ უ კ ა ს ი ნ ი ო რ ე ლ ი (დაახლ. 1440-1525) – იტალიელი მხატვარი.
28. ლ უ კ ა დ ე ლ ა რ ო ბ ი ა (1388-1463) – იტალიელი სკულპტორი.
29. დ ო ნ ა ტ ე ლ ო (დაახლ. 1386-1466) – დიდი იტალიელი მოქანდაკე.
30. კ ა ტ ო ნ ი, მარკუს პორციუს უფროსი (234-149 წ. ძვ. წ.ა.) – რომაელი სახელმწიფო მოღვაწე და მწერალი.
31. ეს იტალიური ფრაზა იქვეა თარგმნილი.
32. იხ. IV თავის კომენტ. 8.
33. „დიდსულოვანი ცოდვილი" (ლათ.).
34. მ ა რ ტ ი ნ IV – რომის პაპი (1281-1285).
35. ნ ი კ ო ლ ო ზ IV – რომის პაპი (1288-1292).

36. „ისმინე, შვილო“ (ლათ.).
37. ამიტომაც იყო, რომ პოეტმა ჯოჯოხეთში მიუჩინა ადგილი ბონიფაციუს VIII-ს (იხ. „ჯოჯოხეთი“, VI, 69; XIX, 53 და შმდ., XXVII, 70, 85).
38. ფ ო ტ ი ნ ო ს ი (IV ს.) – სირმიუმისა და პანონიის ეპისკოპოსი, ერესიარქი, ვისი მტკიცებითაც იესო ქრისტე ღმერთი კი არ იყო, არამედ კაცი. ანტიოქიის (345 წ.) და მილანის (346 წ.) საეკლესიო კრებებზე მისი მოძღვრება დაგმობილ იქნა. ხოლო თვით ფოტინოსს „სკოტინოსი“ („ბნელი“, „ობსკურანტი“) ენოდა სათრეველ მეტსახელად („ფოტინოსი“ წარმოსდგება ბერძნული სიტყვიდან φῶς, φωτός – „სინათლე“, σκοτεινός კი „ბნელს“ ნიშნავს ბერძნულად).
39. იგულისხმება ბიზანტიის იმპერატორი ანასტასი I (491-518).
40. ა ნ ა ს ტ ა ს ი II – რომის პაპი (496-498).
41. ნ ი კ ო ლ ო ზ III – რომის პაპი (1277-1280).
42. „ჯოჯოხეთი“, XIX, 52-54.
43. იგულისხმება ნიკოლოზ II, ორსინების საგვარეულოს (იხ. III თავის კომენტ. 6) წარმომადგენელი.
44. კ ლ ე მ ე ნ ტ ე V - პირველი ავინიონელი პაპი (1305-1314).
45. ა დ რ ი ა ნ ე V - რომის პაპი (1276; გარდაიცვალა ტახტზე ასვლიდან 18 დღის შემდეგ).
46. „განსაწმენდელი“, XIX, 112-114.
47. იგულისხმება ორი პაპიდან ერთ-ერთი: ან ბონიფაციუს VIII (1294-1303), საიქიოში დანტეს მოგზაურობის პირობითი დროის (1300 წ.) მიხედვით, ან იოანე XXII (1316-1334), რეალური დროის მიხედვით.
48. იხ. I კორინთელთა მიმართ, XIII, 13.
49 „რწმენა არის სუბსტანცია იმისა, რასაც სასოებით მოველით“ (ლათ.).
50. იგულისხმება პეტრე მოციქული.
51. „მწამს ერთი ღმერთი, ერთადერთი და მარადიული“ (იტალ.) – „სამოთხე“, XXIV, 129-130.

52. „და მწამს სამი მარადიული პირი“ (იტალ.).
53. იხ. V თავის კომენტ. 54.
54. კან გრანდე დელა სკალა (1291-1329) – ვერონის მბრძანებელი, სახელგანთქმული მხედართმთავარი, რომელმაც 1303 წელს დიდი პატივით მიიღო ფლორენციიდან განდევნილი დანტე (იხ. აქვე, კომენტ. 19).
55. წმიდა პატრიკი (387-460) – ირლანდიელი (წარმომავლობით ბრეტონელი) წმიდანი, რომელმაც ქრისტეს სჯულზე მოაქცია ირლანდია.
56. წმიდა ბრანდანი (გარდ. 578 წ.) – ირლანდიელი საეკლესიო მოღვაწე, მრავალი მონასტრის დამაარსებელი ინგლისსა და ირლანდიაში.
57. წმიდა გრიგოლი – პაპი გრიგოლ დიდი (იხ. წინათქმის კომენტ. 8); მისი დიალოგების შესახებ იხ. ბ. რასელი, დასახ. ნაშრ., გვ. 394-396.
58. იხ. IV თავის კომენტ. 31, 32.
59. „სამოთხე“, X, 94 და შმდ.
60. იხ. III თავის კომენტ. 35.
61. იხ. „ჯოჯოხეთი“, IV, 82 და შმდ.
62. იხ. IV თავის კომენტ. 26.
63. კატონი, მარკუს პორციუს უმცროსი (უტიკელი; 95-46 ძვ. წ.ა.) – კატონ უფროსის (იხ. აქვე, კომენტ. 30) შთამომავალი, ერთ-ერთი ყველაზე კეთილშობილი პიროვნება ძველი რომის ისტორიაში (იხ. „განსაწმენდელი“, I, 31 და შმდ.).
64. რიფეოსი – ვერგილიუსის „ენეიდას“ (II, 426-427) ერთ-ერთი გმირი, რომელმაც ტროას გადასარჩენად გასწირა თავი.
65. ტრაიანე – რომის ერთ-ერთი ყველაზე ღირსეული იმპერატორი (98-117).
66. „ჯოჯოხეთი“, III, 39.
67. სტაციუსი, პუბლიუს პაპინიუს (დაახლ. 40 - დაახლ. 95) – რომაელი პოეტი, ეპიური პოემის „თებაიდის“ ავტორი (იხ. „განსაწმენდელი“, XXI, 10 და შმდ.).
68. „შიშის გამო ფარული ქრისტიანი“ (იტალ.).

69. „ყვავილი“ (იტალ.).
70. „პირფერი“, „პირფერობა“ (ფრანგ.).
71. „მაესტრო სიგიერს არ უვლია სიხარულით; საშინელი ტანჯვით ამოვხადე სული რომის სასახლეში, ორვიეტოს მიმავალს“ (იტალ.).
72. „განსაწმენდელი“, XV, 85 და შმდ.
73. მ ა ნ ფ რ ე დ ი – იხ. IV თავის კომენტ. 40.
74. „განსაწმენდელი“, III, 107-108.
75. „განსაწმენდელი“, III, 118-138.